ქართული წყაროთმცოდნეობა

XXIV

2022

UDC (უაკ) 930.2
(051.2)
ქ – 279

რედაქტორები
გიული ალასანია, მარიამ ჩხარტიშვილი,
ზურაბ თარგამაძე

სარედაქციო კოლეგია
გონელი არახამია
ეკა კვაჭანტირაძე
დავით მერკვილაძე
ნატო სონღულაშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
ქეთევან ქუთათელაძე
გიორგი ჭეიშვილი

Editors
Giuli Alasania, Mariam Chkhartishvili, Zurab Targamadze

Editorial Board
Goneli Arakhamia
Sopio Kadagishvili
Ketevan Kutateladze
Eka Kvachantiradze
David Merkviladze
Nato Songulashvili
George Tcheishvili

რედაქციის საკონტაქტო მონაცემები:
ელ-ფოსტა: source-studies@tsu.ge
მობ.: 577 62 21 34
ვებ-გვერდი: www.sourcestudies.ge
Editorial office contact details:
E-mail: source-studies@tsu.ge
Mob.: +995 577 62 21 34
Webpage: www.sourcestudies.ge

© ტექსტი – ავტორები, 2022
© შედგენა – გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი, ზ. თარგამაძე, 2022
© Text – authors, 2022
© Compilation – G. Alasania, M. Chkhartishvili, Z. Targamadze, 2022

ISSN 1987 – 9563

დაიბეჭდა შპს „პრინტეო"-ში, 2022

თბილისი, 0131, დემეტრე თავდადებულის ქ. 18, ☎: +995 32 222 06 08
E-mail: geoprint07@gmail.com

შინაარსი
CONTENT

რედაქტორებისაგან 10
EDITORIAL

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები
RESEARCHES IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES

ქსნის ხეობის სოფელ გოლგოლეთის ისტორიიდან 13
დავით ახლოური
From the History of the Village of Golgoleti in Ksani Gorge
Davit Akhlouri

ქორწინებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი უდიებსა და ქართველებში 20
ამირან ბასილაშვილი
Marriage-related Customs among Udis and Georgians
Amiran Basilashvili

1679 წლის დღემდე უცნობი საღმშენებლო წარწერა სოფელ ცხრუკვეთის წმიდა მარინეს ეკლესიიდან და მისი მნიშვნელობა აბაშიძეთა ფეოდალური სახლისათვის 25
თამაზ გოგოლაძე
ირაკლი გელაშვილი
დარეჯან გველესიანი
An Unknown Building Inscription from the Church of St. Marine of Tskrukheti Village of 1679 and its Significance for the Feudal House of Abashidze
Tamaz Gogoladze
Irakli Gelashvili
Darejan Gvelesiani

დავით აღმაშენებლის რელიგიური პოლიტიკა საქართველოს მუსლიმური თემის მიმართ 38
დავით თინიკაშვილი
Religious Policy of David IV the Builder towards the Muslim Community in Georgia
David Tinikashvili

ჰენოტიკონი – ქართლის პოლიტიკური თუ ღირებულებითი არჩევანი? 45
ეკა კვაჭანტირაძე
Henoticon – was it the Reflection of the Political Orientation of Kartli or its Value choice?
Eka Kvachantiradze

ჯორჯ ელისი და მისი ქართველური ლექსიკური მასალები: კითხვები და პასუხები 51
ზაალ კიკვიძე
ლევან ფაჩულია
George Ellis and His Kartvelian Lexical Data: Questions and Answers
Zaal Kikvidze
Levan Pachulia

დედა ღვთაება დემეტრე და ქართული წარმართული კოსმოგონიის ზოგიერთი საკითხი 67
გოჩა კუჭუხიძე
Goddess Demeter and some Issues of the Georgian Pagan Cosmogony
Gocha Kuchukhidze

სამეურნეო ყოფის ისტორიისათვის ტაო-კლარჯეთში: მესაქონლეობა და მესაქონლეთა ტრადიციული კულტურა 83
ნუგზარ მგელაძე
For the History of Agricultural Life-Style in Tao-Klarjeti: Herding and Traditional Culture of Herders
Nugzar Mgeladze

რეიმონ დიუგე – საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბოლო დღეების მემატიანე და მის მიერ გამოყენებული პირველწყაროები 103
ლადო მირიანაშვილი

Raymond Duguet – Chronicler of the Last Days of the First Georgian Republic and Primary Sources Used by Him
Lado Mirianashvili

ბაზალეთის ბრძოლის შეფასების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში 113
მალხაზ მურუსიძე
The Issue of Bazaleti Battle in Georgian Historiography
Malkhaz Murusidze

1944 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გადასახლებულთა რეპატრიაციის საკითხი XX საუკუნის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1989-1990) 125
ნიკოლოზ სარაჯიშვილი
The Issue of Repatriation of Deportees from Southwestern Georgia in 1944 in the National Liberation Movement of the 20th Century (1989-1990)
Nikoloz Sarajishvili

ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ პირველის რეპრეზენტაცია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში: ჟანრის კანონი და მეტაისტორიოგრაფიული კონტექსტი 135
მარიამ ჩხარტიშვილი
Representation of Presiding Prince of Karli Stephanoz I in Georgian Medieval Historiography: the Genre Canon and Metahistorical Context
Mariam Chkhartishvili

ქართველი ბერი – იერუსალიმის მეფის ნაცვალი 158
მამუკა წურწუმია
A Georgian Monk – Steward of a Crusader King
Mamuka Tsurtsumia

ახშნის გორიჯვრის წმ. გიორგის მონასტრის XVI საუკუნის ახლადმიკვლეული წარწერა გურზი ლიპარიტიანის მიერ სატრაპეზოსა და გალავნის აღშენების შესახებ (ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის, ახშნის გორიჯვრის მონასტრისა და გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი) 178
თემო ჯოჯუა
An Inscription of the 16th Century, Newly Revealed in Gorijvari Monastery of St. George, Akhshni, with Information about Construction of a Refectory and Enclosure Wall by Gurzi Liparitiani (Several Issues From the History of the Feudal House of the Liparitianis, Gorijvari Monastery of Akhshni and Pre-Chancel Cross of Gorijvari)
Temo Jojua

ისტორიოგრაფია
HISTORIOGRAPHY

XX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთის ისტორიის ისტორიოგრაფია: მოკლე მიმოხილვა 207
გიორგი აფხაზავა
Historiography of the History of Abkhazia in the Second half of the Twentieth Century: A Brief Overview
Giorgi Apkhazava

საარქივო მასალების პუბლიკაცია
PUBLICATION OF ARCHIVAL MATERIALS

მიხეილ მაქარაშვილის წერილები და მოგონებები 221
გიორგი სოსიაშვილი
Letters and Memoirs of Mikhael Makarashvili
Giorgi Sosiashvili

წყაროთა თარგმანი და წარდგინება
TRANSLATION AND PRESENTATION OF SOURCES

პეტრე ბუტკოვი რუსეთის მფარველობაში მისაღებად ერეკლე II-ის თხოვნის შესახებ 245
დავით მერკვილაძე
Peter Butkov about the Request of Erekle II to be Received under the Protection of Russia
David Merkviladze

ექიმ ანტუან-მარი სალვატორის ცნობები ირანში მედიცინისა და ჰიგიენის მდგომარეობის შესახებ (1807-1808) 252
ირინე ნაჭყებია
Evidences on Medicine and Hygiene in Iran by Physician Antoine-Marie Salvatori (1807-1808)
Irine Natchkebia

კარლა სერენას „მოგზაურობა კავკასიაში". თარგმანი ფრანგულიდან, შესავალი და კომენტარები 263
ანა ჭეიშვილი
თარგმანი ფრანგულიდან
ქეთევან ბიაშვილი
"Travel to the Caucasus" by Carla Serena. Translated from French, introduction and comments by
Ana Cheishvili
Translated from French by
Ketevan Biashvili

კომენტარები
COMMENTS

„ხუთჯვრიანი მონეტა" – სამეცნიერო ციტირება და მისი საფრთხეები 283
მაია პატარიძე
"Coin with Five Crosses" and Dangers of Quoting in Scholarly Articles
Maia Pataridze

დისკუსია VI-VII საუკუნეების ქართლის პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე 288
მარიამ ჩხარტიშვილი
Discussion on the Issues of the Political History of Kartli in 6th-7th Centuries
Mariam Chkhartishvili

თვალსაზრისი
STANDPOINT

სასარგებლო და კარგი საქმე გაუგებრობების თანხლებით (არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის" ქართული თარგმანის გამოცემის გამო) 297
მურმან პაპაშვილი
Useful and Good Work with Misunderstandings (For Publication of Georgian Translation of Arcangelo Lambert's "Colchide Sacra")
Murman Papashvili

წიგნების მიმოხილვა
BOOK REVIEWS

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის "Scientia"-ს მეორე ნომერი 303
მანუჩარ გუნცაძე
The Second Volume of International Scholarly Journal "Scientia"
Manuchar Guntsadze

დავით მერკვილაძის ახალი წიგნი: „გეორგიევკის ტრაქტატი და მეფე ერეკლე" 304
ზურაბ თარგამაძე
A New Book by David Merkviladze: "The Treaty of Georgievsk and Erekle II"
Zurab Targamadze

ავთანდილ სონღულაშვილის მონოგრაფია: „ისტორია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები" 306
ზურაბ თარგამაძე
A Book By Avtandil Songulashvili: "History, Policy, International Relations"
Zurab Targamadze

პროფესორ გიული ალასანიას ახალი წიგნი: „ფარსადან გორგიჯანიძის *საქართველოს ცხოვრება*" 308
ზურაბ თარგამაძე
A New Book of Professor Giuli Alasania: "Parsadan Gorgijanidze's *The Life of Georgia*"
Zurab Targamadze

მიხეილ ქართველიშვილის მონოგრაფია: „საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში“ 310
ზურაბ თარგამაძე
Mikheil Kartvelishvili's Monograph: "Soviet Religious Policy and Features its Reflection in Georgia in 1953-1964"
Zurab Targamadze

ალბერტ ტენ კეიტის წიგნი „იოანეს ბერძნული სახარება: იოანეს სახარების სხვადასხვაენოვანი ვერსიების კრიტიკული ტექსტური ანალიზი“ 312
ლადო მირიანაშვილი
A Book by Albert Ten Kate "The Gospel of John in Greek: Textcritical Research on the Gospel of John in all its Variety"
Lado Mirianashvili

„სტუდენტური საისტორიო ძიებანი“ 313
ნიკოლოზ სარაჯიშვილი
"Student Historical Researches"
Nikoloz Sarajishvili

ქეთევან მანიას მონოგრაფია: „აფხაზეთი და ქართული იდენტობა ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით“ 316
სოფიო ქადაგიშვილი
Monograph "Apkhazeti and Georgian Identity through the Print Media Representation" by Ketevan Mania
Sopio Kadagishvili

თეა ქამუშაძის წიგნი: „რუსთავის საბჭოთა მემკვიდრეობა – პატარა ქალაქის დიდი ამბები“ 318
სოფიო ქადაგიშვილი
A Book by Tea Kamushadze: "Soviet Heritage of Rustavi – Big Issues of the Small Place"
Sopio Kadagishvili

ახალი მონოგრაფია: „საზღვრისპირა მოსახლეობა ძველად და ახლა (კახეთი)“ 320
ლავრენტი ჯანიაშვილი
A New Monograph: "Border Settlement in the Past and Present (Kakheti)"
Lavrenti Janiashvili

ქრონიკა
CHRONICLE

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია (2021) 325
ზურაბ თარგამაძე
The Annual Scientific Conference of the Department of Medieval History of Georgia and Source-Studies at Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology (2021)
Zurab Targamadze

ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXIII ნომრის პრეზენტაცია 328
ზურაბ თარგამაძე
Presentation of the 23rd Volume of the Scientific Journal "Georgian Source-Studies"
Zurab Targamadze

თსუ კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კონფერენცია „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“ 331
ამირან ბასილაშვილი
Conference of TSU Institute of Caucasology "Historical-Philological Aspects of Georgian-Caucasian Relations"
Amiran Basilashvili

შედარებითი ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის XXIII კონგრესი 332
ზურაბ თარგამაძე
XXIII Congress of the ICLA
Zurab Targamadze

კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი 336
ლადო მირიანაშვილი

VI International Congress of Caucasiologists
Lado Mirianashvili

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „კავკასია საერთაშორისო სავაჭრო და კულტურათაშორისი ურთიერთობების გზაჯვარედინებზე" 340
ზურაბ თარგამაძე
International Scientific Conference: "The Caucasus on the Crossroads of International Trade and Cultural Exchanges"
Zurab Targamadze

საქართველოს ეროვნული არქივის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 346
ლადო მირიანაშვილი
The 7th International Scientific Conference of the National Archives of Georgia
Lado Mirianashvili

საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი 348
თეა ქამუშაძე
International Congress of Caucasian Studies
Tea Kamushadze

ბელგრადის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 350
ზურაბ თარგამაძე
International Scientific Conference Organized by Belgrade University Faculty of Law
Zurab Targamadze

კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი (თბილისი, 14-16 ნოემბერი, 2022) 356
მარიამ ბეჟიტაშვილი
1st International Linguistic-Anthropological Congress of Caucasologists
Mariam Bezhitashvili

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – Scientia II 360
მანუჩარ გუნცაძე
International Scientific Conference – Scientia 2
Manuchar Guntsadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია (2022) 362
სოფიო ქადაგიშვილი
The Annual Scientific Conference of the Department of Medieval History of Georgia and Source-Studies of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology (2022)
Sopio Kadagishvili

ინფორმაცია
INFORMATION

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ძარცვის (შავი არქეოლოგიის) პრობლემის შესახებ საქართველოში 369
ვასილ ჭიჭაღუა
ანზორ მჭედლიშვილი
On the Problem of Looting of Cultural Heritages Monuments (Black Archeology) in Georgia
Vasil Chichagua
Anzor Mchedlishvili

ხსოვნა
IN MEMORIAM

პროფესორ იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილის (1961-2022) გამოსათხოვარი
In Memoriam of Professor Ioseb (Soso) Alimbarashvili (1961-2022) 377

გზამკვლევი ავტორთათვის 381
GUIDELINES FOR AUTHORS

რედაქტორებისაგან

მკითხველებს ვთავაზობთ ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალ, XXIV ტომს.

ჩვენი ჟურნალი კვლავაც მრავალფეროვან მასალას წარმოუდგენს სამეცნიერო საზოგადოებას. სტატიები განაწილებულია რამდენიმე სექციაში. ესენია: ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები; ისტორიოგრაფია; საარქივო მასალების პუბლიკაცია; წყაროთა თარგმანი და წარდგინება; კომენტარები; თვალსაზრისი; წიგნების მიმოხილვა; ქრონიკა; ინფორმაცია; ხსოვნა. ჯამში ოთხ ათეულზე მეტი წერილი ქვეყნდება ჟურნალის ამ ნომერში. აქედან დაახლოებით ნახევარი კვლევითი ხასიათის სტატიაა. როგორც კვლევითი, ასევე სამეცნიერო ცხოვრების ამსახველი საინფორმაციო სტატიები გამდიდრებულია ფოტომასალით. ავტორები არიან ჰუმანიტარიის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები, რომლებიც ათეულზე მეტ უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს წარმოადგენენ.

ვიმედოვნებთ, რომ სამეცნიერო საზოგადოება ინტერესით გაეცნობა ჟურნალის ამ ნომერს.

გიული აღასანია
მარიამ ჩხარტიშვილი
ზურაბ თარგამაძე
2022 წელი, 15 დეკემბერი

EDITORIAL

It is our pleasure to introduce the new N24 issue of "Georgian Source-Studies". As always the journal presents a variety of materials. The articles are distributed in the following sections: Researches in Field of History and Source-studies; Historiography; Publication of Archival Materials; Translation and Presentation of Sources; Comments; Standpoint; Book Reviews; Chronicle; information, In Memoriam. In total there are more than forty papers published in the present issue. Almost half of them represents research papers. All publications are enriched with photos. The authors work in various field of humanities and represent more than a dozen research centers and universities.

We are convinced that this issue of the journal, like all the previous ones, will cause great interest of the scientific public.

Giuli Alasania
Mariam Chkhartishvili
Zurab Targamagze
December 15, 2022

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები

RESEARCHES IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES

ქსნის ხეობის სოფელ გოლგოლეთის ისტორიიდან

დავით ახლოური
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
datoakhlouri@gmail.com

ნასოფლარი გოლგოლეთი მდებარეობს ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის ქარჩოხის თემში, მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, სოფელ ქენქაანის სამხრეთ-დასავლეთით. გოლგოლეთი ქსნის ხეობის ერთ-ერთი უძველესი სოფელია, რომელიც მოხსენიებულია X საუკუნის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში, სახელწოდებით „გოგოეთი“ (კაკაბაძე 1929: 10). XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღწერებში სოფლის სახელწოდებად გვხვდება გოლგოლეთი, 1804 წლის პირველ რუსულ კამერალურ აღწერაში კი მითითებულია ძველი სახელწოდებით – გოგოეთი. დღეს, ქარჩოხის ხეობის მოსახლეობაში თითქმის აღარავისთვისაა ცნობილი გოლგოლეთის წარსული, მაგრამ ხალხის ხსოვნას ბოლოდრომდე შემორჩა სალოცავებში დეკანოზის ტრადიციული დალოცვა: „გაუმარჯოთ ხოზოვლებსა, გოგოვლებსა, ქენქათა და მიდელათა ...“ ქვემო ქარჩოხის ოთხ მეზობელ სოფელს ერთად ამწყალობებდნენ. გოგოვლებში კი გოლგოლეთელებს გულისხმობდნენ.

დემოგრაფიულ ნუსხებსა და ქსნური ზეპირსიტყვიერების მასალებზე დაყრდნობით, ასევე სოფელ ქენქაანის მკვიდრთა მონათხრობითა და ნასახლარებზე დაკვირვებით, ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია სოფლის დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და რელიგიურ ყოფაზე საუბარი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთრის მიხედვით, გოლგოლეთში 7 კომლი ცხოვრობდა, 5 კომლი ქენქაძედაა აღწერილი, ერთი კომლი ბეჟუაშვილის და ერთიც – ზაქუტაშვილის გვარით.

გოლგოლეთს:
ქ. ბეჟუაშვილის მამულს აძეს მგელს (მგელას) და შიოსა და ბასილს ბეგარი: (პური) ჩანახი თხუთმეტი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. ზაქუტაშვილის შერმაზანის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. ქენქაძე გიორგის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. ქენქაძე იმედას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. ქენქაძე ბერის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. ქენქაძე ბერის მამულს აძეს საქორესა ბეგარი: პური ჩანახი ათი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. ღვთისია ქენქაძეს საქორეს რომ მამული უჭირავს იმაზე აძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი (ჯავახიშვილი 1974: 177-178); (დოლიძე 1970: 1050).

გადასახადებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ გოლგოლეთელებს უფრო მეტი მამულები უნდა ჰქონოდათ, ვიდრე მეზობელი ქენქაანის მცხოვრებლებს. სამთავისის დავთრის მიხედვით, ქენქაანელები იხდიან პურს სამი ან ოთხი ჩანახის ოდენობით, ცხვარს ან თხას, ქათამს და ხუთ კვერცხს, ხოლო გოლგოლეთში მაცხოვრებელი ბეჟუაშვილების მამულის ბეგარა შეადგენს თხუთმეტ ჩანახ პურს, ცხვარს, თხას, ქათამს და ხუთ კვერცხს, ზაქუტაშვილის მამულის ბეგარა ათი ჩანახი პური, ცხვარი, თხა, ქათამი და ხუთი კვერცხია. დანარჩენი კომლებიც გაცილებით მეტს იხდიან, ვიდრე მათი მეზობელი სოფლის მკვიდრნი.

1774 წლის აღწერაში გოლგოლეთელებს ქენქაანთკარის მცხოვრებთა შორის ვხვდებით. ორივე სოფელი 16 კომლისგან შედგება, მამაკაცთა რაოდენობა კი – 36-ია. ეს აღწერა იმითაცაა საყურადღებო, რომ ყველა კომლი, გარდა მოურავ აბრამ თინიკაშვილის ოჯახისა, ქენქაძეა, მათ შორის ბეჟუას შვილები: ელია, ბასილა, ბერი და გოგია.

1783 წლის აღწერებში კომლები მამიშვილობით არიან მითითებულნი, გარდა გაბრიელ ილურიძის, რომელიც ილურთკარიდან უნდა იყოს მოსული. სულ სოფელში ცხოვრობს 8 კომლი, 14 მამაკაცი.

ქარჩოხს გოლგოლეთიდამ ამისივე სახელო:
ქ. ოთარას შვილი კომლი ა, თავი ბ, ბერი და გოგია
აქავ ნადირის შვილი კომლი ა, თავი ა, ზურაბა
აქავ ნადირის შვილი კომლი ა, თავი ა, იმედა
აქავ ბერის შვილი კომლი ა, თავი ა, მახარებელი
აქავ ბერის შვილი კომლი ა, თავი ბ, გიორგი და ბერი
აქავ ბეჟუას შვილი კომლი ა, თავი გ, ბასილა, ბერი და გოგია
აქავ ზაქუტას შვილი კომლი ა, თავი გ, შერმაზან, ზურაბ და გლახა.
აქავ ილურიძე კომლი ა, თავი ა, გაბრიელ
იქნა ჟამი მემკვიდრისა კომლი ც, თავი ი-დ (თაყაიშვილი 1951: 12); (ჯავახიშვილი 1967: 211; 232).

გერმანელი მოგზაური იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი თავის ჩანაწერებში ახსენებს როგორც გოლგოლეთს (გელაშვილი 1964: 275), ისე ბეგუანთკარს (Begmantkari) (გელაშვილი 1964: 63, 389); (ახლოური 2007: 36), რაც იგივე ბეჟუანთკარია, ეს კი, თავის მხრივ მიგვანიშნებს, რომ გოლგოლეთს ერთ-ერთი უბნის სახელითაც მოიხსენიებდნენ.

1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერაში გოლგოლეთის შესახებ ცნობები არ გვხვდება (აქტები 1868: 82-83). პირველ რუსულ კამერალურ აღწერაში კი, როგორც დასაწყისშიც აღვნიშნე, გოლგოლეთის ნაცვლად გოგოეთია მითითებული. როგორც 1774 წლის აღწერაში, აქაც გოლგოლეთის მოსახლეობა ქენქაძეებად არიან აღწერილნი ანუ ბეჟუას შვილებს და ზაქუტას შვილებს უშუალო წინაპრის სახელი გვარად არ უქცევიათ. რუსულ აღწერაში ძირითადად ვხვდებით იმ პირებს, რომლებიც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღწერებშიც არიან მოხსენიებულნი. ქენქაძეები – თენქაძეებად (Тенкадзе) ან თანქიძეებად (Танкидзе) არიან აღრიცხულნი.

ჩვენ მიერ რედაქტირებული ვარიანტის მიხედვით, სოფელ გოლგოლეთში (Гогоеты) მცხოვრები ქართველები:

1) ხოსრო ქენქაძე, რომლის ოჯახშიც 1 მამაკაცი და 2 ქალია, მის საკუთრებაშია 3 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 7 თივა, გადახდილი აქვს 3 ლიტრა ხორბალი, 60 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 96 1/2 კაპიკი.
2) ბერი ქენქაძე, 6 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 5 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 6 თივა, გადახდილი აქვს 1/4 კოდი ხორბალი, 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 82 1/2 კაპიკი.
3) ბერი ქენქაძე, 2 მამაკაცი, 2 ქალი, მასაც გადახდილი აქვს 82 1/2 კაპიკი.
4) ოთარ ქენქაძე, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 7 თივა, გადახდილი აქვს 1/2 კოდი ხორბალი, ერთი ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.
5) თევდორე ქენქაძე, 2 მამაკაცი, 1 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს 10 ფუთი ხორბალი, 25 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 47 1/2 კაპიკი.
6) ბერი ქენქაძე, 2 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 4 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს სულ: 47 1/2 კაპიკი.
7) გლახა ქენქაძე, 4 მამაკაცი, 4 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 6 თივა, გადახდილი აქვს 2 1/2 ლიტრა ხორბალი, 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 82 1/2 კაპიკი.
8) ვასილ ქენქაძე, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 8 დღის სახნავი მიწა, 4 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 1 თივა, გადახდილი აქვს 1 1/2 ლიტრა ხორბალი, 30 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 54 1/2 კაპიკი.
9) ბერი ქენქაძე, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 4 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 1 თივა, მასაც გადახდილი აქვს 54 1/2 კაპიკი.
10) გრიგოლ ქენქაძე, 5 მამაკაცი, 3 ქალი, მასაც გადახდილი აქვს 54 1/2 კაპიკი.
სულ სოფელ გოლგოლეთის მოსახლეობა 10 ოჯახია, 32 მამაკაცი და 27 ქალი, მათ მფლობელობაშია 32 დღის სახნავი მიწა, 55 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 41 თივა, გადახდილი აქვთ 7 მანეთი და 55 კაპიკი (გსიემ 1956: 80-81).

შედარებისთვის გავიხსენოთ, რომ შესაბამისი პერიოდის მეზობელ ქენქაანთკარის მოსახლეობა ფლობს 32 დღის სახნავ მიწას, 41 დღის – სახნავად გამოუყენებელს, 15 თივას, სულ გადახდილი აქვთ 13 მანეთი და 7 1/2 კაპიკი. სახნავი მიწების რაოდენობაში სხვაობა არაა, სახნავად გამოუყენებელი ანუ სათიბი მიწები კი გოლგოლეთელებს მეტი ჰქონიათ, ისინი 41 თივას თიბავენ, ქენქაანთკარელები – 15-ს, მაგრამ გადასახადებს გოლგოლეთელები – 7 მანეთსა და 55 კაპიკს იხდიან, ქენქაანელები – 13 მანეთსა და 55 1/2 კაპიკს, სხვაობა თითქმის ორჯერ მეტია, ვხედავთ, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო

არა მიწების რაოდენობით, არამედ ხარისხით. არადა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში კი საპირისპირო სურათი გვაქვს – გოლგოლეთელთა მამულებზე გაცილებით მეტი ბეგარა იყო დაკისრებული. ისიც რთული სათქმელია, რამდენად ზუსტადაა სხვადასხვა აღწერებში ერთმანეთისგან გამიჯნული ქენქაძეების ორი სხვადასხვა სოფელი, თუმცა ჩვენ შეგვიძლია მეტ-ნაკლები სიზუსტით მოვახდინოთ გოლგოლეთის ლოკალიზება.

დემოგრაფიული ნუსხების მიხედვით, სადავო აღარაა, რომ გოლგოლეთი მოიცავდა ბეჟუანთ ნასოფლარს და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიას, სადაც გვხვდება ძველი ნამოსახლარების, ციხე-კოშკებისა და ეკლესია-მონასტრების კვალი.

ბეჟუანი უბანი იყო სოფელ ჭორჭოხის მოპირდაპირედ, ქენქაანის სამხრეთით, სადაც ბეჟუას შთამომავლები ცხოვრობდნენ. მათთან დაკავშირებით ჩვენამდე მოღწეულია გადმოცემა, რომლის მიხედვით, ერთ-ერთ ძმას მოუკლავს ჟამურელი ყაჩაღი მამსირა, ეროვნებით ოსი, რომელიც გამორჩეული ყოფილა თავისი ძალადობითა და გარყვნილი საქციელით. მამსირა დაეხეტებოდა სოფელ-სოფელ და რაც მოეწონებოდა, ყველაფერს ისაკუთრებდა, არც ქალს ინდობდა და არც მასპინძლის ოჯახს. ქენქაძეებთან სტუმრად მყოფი ოსი დედაბოძზე დაკიდებულ ვერცხლის ქამარ-ხანჯალს დახარბებულა და შეზარხოშებულს წელზე შემოურტყამს. ძმებიდან უფროსს ეს ვერ აუტანია, მივარდნილა მოძალადეს, თავისივე წინაპრის ხანჯალი ქარქაშიდან ამოუძვრია და განუგმირავს. ძმები იმავე ღამეს აყრილან და სამკვიდროდან გადახვეწილან. სად, არავინ იცის. განრისხებულ ჟამურელებს ქენქაძეების სახლ-კარი გადაუწვავთ და მოუოხრებიათ. ვ. ქენქაძის სიტყვებით, რომ ვთქვათ, დღეს „საცოდავად გამოიყურება ძმები ქენქაძე ბეჟუას შვილების: ელიას (მგელიას – დ.ა.), ბასილის, ბერის, გოგიას ნამოსახლარი, სადაც დათვებისაგან ტოტებდამტვრეული რამდენიმე ძირი პანტა და ერთი დიდი ნამეხარი კაკალიღა დგას მხოლოდ (ქენქაძე 2010: 46-47). დღეს ბეჟუანთ ნამოსახლარი კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია, ისევე, როგორც აქ ოდესღაც არსებული კოშკისა და სალოცავის ნაშთები.

გოლგოლეთის საზღვრებში უნდა მოვიაზროთ მზარულიანთ მიწებიც. მზარეულიანი ბეჟუანის ზემოთ, დასავლეთით მდებარეობს. აქ მოსახლე ქენქაძეები გაცილებით დიდხანს შემორჩნენ ძველ სამკვიდროს. უკეთესადაა შემორჩენილი საცხოვრებლისა და სალოცავების ფრაგმენტებიც. მზარეულიანთში მცხოვრები ქენქაძეები დღევანდელ ქენქაანში დასახლდნენ, მათ შტოს დღეს მზარეულიანთ სახელით მოიხსენიებენ.

სოფელ ქენქაანის მკვიდრის, ნუგზარ გრიგოლის ძე ქენქაძის (დაბ. 1966 წელს) მონათხრობით, მისი ბებია და პაპა ხშირად ახსენებდნენ ზაქუტაანთ მამულებს, რომლებსაც ქენქაანის მოსახლეობა საქონლის საძოვრად იყენებდა. ეს მამულები ყოფილა სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 600-700 მეტრის დაშორებით, სადაც ასევე იკვეთება ნასოფლარის კვალი. სწორედ აქ უნდა ეცხოვრათ აღწერებში ნახსენებ ზაქუტას შთამომავლებს. გოლგოლეთის უბნებს ერთმანეთთან და მეზობელ სოფლებთან საურმე გზა აკავშირებდა, რომლის კვალიც ბოლო დრომდე შემორჩა.

საურმე გზის გარდა გოლგოლეთელები მეზობლებს სხვადასხვა საცალფეხო ბილიკებითაც უკავშირდებოდნენ. ბალაანის საჯარო სკოლის მასწავლებლის ლილი ბალხამიშვილის (დაბ. 1938 წელს) მონათხრობით, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის დროს (1954-1959 წლები) ხშირად ფეხით უწევდა მიდელაანიდან ქენქაანის, გოლგოლეთისა და ხარბლის გავლით ლარგვისში ჩასვლა, საიდანაც უფრო მოსახერხებელი იყო ტრანსპორტით ახალგორში და შემდეგ ცხინვალში გამგზავრება. ერთხელ გზად შეხვედრია ჭორჭოხის მკვიდრი, უცხო, ასაკოვანი ადამიანი, რომელმაც ჭაობიან ადგილზე მიანიშნა და მოუყვა ადრეული წლების საინტერესო ამბავი, თუ როგორ მოიპოვებდა და ყიდიდა ნავთობს გოლგოლეთში სტუმრად მოსული მეწარმე. ხარბლის სიახლოვეს, ყველდაბის გადმოსწვრივ მდებარე ტერიტორიაზე ჩავლისას შესამჩნევი ყოფილა ნავთის მკვეთრი, სპეციფიკური სუნი.

მზარეულიანსა და ხარბალს შორის მდებარე ვრცელ მამულს პანტიანი ეწოდებოდა, სადაც ასევე იკვეთება სალოცავის კვალი. სახელწოდება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო პანტის ჯიშის მსხლებთან, რომელთა სიმრავლე აქ დღესაც თვალშისაცემია.

ასევე მზარეულიანთ ნასოფლარის ქვემოთ, ჭორჭოხის მოპირდაპირედ, ჭალის პირას ველიანი ადგილია შოლტების სახელწოდებით. სიტყვა „შოლტი“ ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენებოდა. სულხან-საბას განმარტებით, შოლტი არის მათრახი სამ-ოთხ ღერი, მეორე მნიშვნელობით ტყავის ანაჭერია გრძლად, „ტყავის ნაკვეთი გრძელი“ (ორბელიანი 1993: 306). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი შოლტს ქართულ ენაში უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდა – ნიშნავდა ტყავის წვრილი ნაჭრების წნულს, ასევე საქალამნედ დაჭრილ საქონლის ტყავს, წკეპლას და კედლიდან კედელზე გადებულ კოჭს, რომელსაც სახურავი უჭირავს და ცნობილია როგორც ფშავში, ისე მთიულეთში (ჩიქობავა 1996: 505). მაშასადამე, თითქმის ყველა მნიშვნელობით, ტოპონიმი „შოლტები“ მიგვანიშნებს, სწორ და გრძელ, შოლტებად დაფენილ ველებზე. ამ ველებს ქენქაძეები, სავარაუდოდ, სახნავად იყენებდნენ.

ქენქაანისა და გოლგოლეთის ტერიტორიაზე ხშირად გვხვდება გატეხილი, დამუშავებული მამულები, რომლებიც ცნობილია ნატეხებისა და ახოების სახელწოდებით. ეს ახოები ზოგჯერ კონკრეტული პიროვნების სახელობისაა. მაგალითად, ოთარას ახო და ოთარას ხევი ის ადგილია, სადაც, გადმოცემით, მზარეულიანთ ნარიმანიძეები დახოცეს, ამიტომ ცოდვიან ხევადაც მოიხსენიება.

ნაგებობების კვალი იკვეთება კვირიკეთის (კვირიქედის) ახლოს, რომელიც მუნჯების სახელით იყო ცნობილი. კვირიკეთსა და მუნჯებს ყოფს პატარა ტყიანი ადგილი და ნაკადული. მუნჯები საქონლის საძოვარი ადგილი იყო, იგი უფრო კლდიანია და სახნავად ვერ გამოიყენებდნენ. სავარაუდოდ, იქ ადრე ტყე ყოფილა და გაუკაფავთ. სახელი უნდა მიეღო უტყვი, მიკარგული ადგილმდებარეობის გამო.

გოლგოლეთელთა სახნავი მამული უნდა ყოფილიყო ნასოფლარის ახლოს, ჭურთის წყალგამყოფ ქედზე მდებარე ვაკე ადგილი ბუერიანის სახელწოდებით. როგორც ჩანს, ეს ტერიტორიაც თავის დროზე გატეხილი და დამუშავებულია. ბოლოს გაასაძოვრეს და ძირითადად, მსხვილფეხა საქონლის გამოსაკვებად იყენებდნენ. ამ ადგილზე გავრცელებულია ბუერა –რთულყვავილოვანთა ოჯახის მრავალწლიანი ბალახი, დიდი, მომრგვალო გრძელყუნწიანი ფოთლებით. რომელიც ტენიან ადგილებში ხარობს (ჩიქობავა 1996: 64). ტენიანობა ბუერიანისათვისაცაა დამახასიათებელი.

ჭურთის წყალგამყოფ ქედზე ასევე მდებარეობს საკმაოდ ვრცელი, დაკიდული მინდორი – გრძელველა. ცნობილია, რომ ამ ადგილს ერთხანს სათიბად და სახნავად იყენებდნენ მეზობელი სოფლის – მიდელაანის მკვიდრნი. არ გამოვრიცხოთ, რომ მიდელაშვილების წინაპრებს გოლგოლეთელებისგან შეეძინათ ეს ტერიტორია, როგორც ძაბუეთში შეიძინეს სათიბი მამულები და ბალაანში წმინდა გიორგის ეკლესიის გვერდით სასაფლაოსთვის მიწა. გრძელველა ბოლო პერიოდში ქენქაძეებსა და მიდელაშვილებს შორის დაპირისპირების საგანიც გამხდარა. როგორც მოსალოდნელი იყო, დავა ბოლოს ქენქაძეების სასარგებლოდ დასრულდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან გოლგოლეთში მცხოვრებ მოგვარეთა მამულებს ქენქაანის მოსახლეობა პატრონობდა. სამწუხაროდ, ზოგიერთი ტოპონიმი ჩვენამდე აღარაა მოღწეული, თუმცა ვიცით, რომ გოლგოლეთის ტერიტორიაზე ყოფილა მამულები საქორის სახელწოდებით, რომლებიც, სამთავისის დავთრის მიხედვით, ღვთისია და ბერი ქენქაძეებს ეკუთვნოდათ. აღვნიშნოთ ისიც, რომ, მართალია ჩვენ გოლგოლეთის სამხრეთით მდებარე სახნავი და სათიბი მიწები მათ საკუთრებად მივიჩნიეთ, მაგრამ შესაძლებელია ამ მამულების ნაწილი მეზობლად, ქენქაანთკარში მცხოვრები მათი ბიძაშვილების საკუთრებაშიც ყოფილიყო.

ქენქაანის დასავლეთით, სოფლის ზემოთ გამოედინება მანიოზის წყარო, საიდანაც ეს სოფელი მარაგდებოდა. მანიოზის წყარო ქმნიდა ხევს, რომელზეც ორი წისქვილი იყო გამართული, ერთი აბრამიანთ ეკუთვნოდა, მეორე – ხოზოეთის მაცხოვრებლებს. ცალკე წისქვილი უნდა ჰქონოდათ გოლგოლეთელებსაც, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, მეზობლებს ერთი წისქვილით ესარგებლათ.

სად უნდა გადასახლებულიყვნენ ქენქაძეები გოლგოლეთიდან? როგორც უკვე ითქვა, ნაწილი სოფელ ქენქაანში დამკვიდრდა, ნაწილმა ქართლისა და კახეთის სოფლებს მიაშურა. არა მხოლოდ გოლგოლეთიდან, უშუალოდ ქენქაანიდანაც ხშირად ხდებოდა მოსახლეობის მიგრაცია.

2016 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში და საზღვარგარეთ 981 ქენქაძე ცხოვრობს, თბილისში – 305, ქუთაისში – 1, ბათუმში – 25, გორში – 43, რუსთავში – 11, ზუგდიდში – 1, გარდაბანში –

10, ქობულეთში – 1, გალში – 1, ბოლნისში – 3, თელავში – 19, ზესტაფონში – 2, გურჯაანში – 2, ხაშურში – 4, საგარეჯოში – 1, ხელვაჩაურში – 1, საჩხერეში – 1, კასპში – 141, მცხეთაში – 50, ახალციხეში – 3, ახმეტაში – 2, სიღნაღში – 3, ლანჩხუთში – 4, ოჩამჩირეში – 1, ყვარელში – 38, დუშეთში – 22, დედოფლისწყაროში – 103, ბაღდადში – 1, ტყიბულში – 3, ქედაში – 1, გაგრაში – 2, ამბროლაურში – 1, ცხინვალში – 1, ახალგორში – 191, საზღვარგარეთ – 3 (კვაჭანტირაძე 2017: 493). ქენქაძეები, ძირითადად, მიგრირებულნი არიან თბილისში, კასპსა და დედოფლისწყაროში. თბილისსა და კასპის მუნიციპალიტეტში მთის სოფლებიდან მოსახლეობის დამკვიდრება ჩვეული ამბავი იყო, ისევე, როგორც გორისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში. ისინი ტერიტორიულად ახალგორთან ახლოს იყვნენ. თუმცა დედოფლისწყაროში და კერძოდ, ზემო ქედშიც ბევრი ქსნისხეობელი გადასახლდა, მათ შორის, უმეტესობა ქენქაძეები. ზემო ქედი თემის ცენტრია, მდებარეობს შირაქის ვაკეზე, დედოფლისწყაროდან 30 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 700 მეტრზე (ქსე 1979: 511).

პირველი ქსნელი, გვარად ყველაშვილი შირაქის ვაკეზე 1918 წლამდე გადმოსახლებულა. ძირითადი ნაწილი კი – 1930-იან წლებშია მიგრირებული.

> შირაქში შიდა ქართლის მთიელთა მიგრაცია ძირითადად ორ ეტაპად განხორციელდა: ა) XX ს-ის 10-იანი და 20-იანი წლების დასაწყისი და ბ) XX ს-ის 30-იანი წლები. ეს ორი ეტაპი თვისობრივად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ისინი განხორციელდა განსხვავებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში. პირველი ეტაპის დროს, მთიულ-გუდამაყრელთა და სხვა მთიელთა მიგრაცია სტიქიურად მიმდინარეობდა და ინდივიდუალურ სახიათს ატარებდა, თუმცა გადასახლების მასობრივი ხასიათის გამო, შეიძლება ჯგუფურ გადასახლებებს მივაკუთვნოთ. ამ ეტაპის გადასახლებები ძირითადად განპირობებული იყო მთაში არსებული უაღრესად მძიმე ეკონომიკური ვითარებით, დემოგრაფიული და ეკონომიკური მომენტების არაშეთანაწყობით. ჩვენი მთიდან დროდადრო ასეთი მიგრაციული პროცესები მთაში იწვევდა ერთგვარ დემოგრაფიულ სტაბილურობას, შირაქში შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციის მეორე ეტაპი 1930-იან წლებში განხორციელდა. იგი ძირითადად კოლექტივიზაციის პერიოდს დაემთხვა. ყველა გადმოსახლებული თავისი ნებითაა მოსული, ხელისუფლების მხრივ მოსახლეობის ძალით აყრა-გადასახლება არ მომხდარა, ისე, როგორც იგი 1950-იან წლებში განხორციელდა ხევსურების მიმართ. 1930-იან წლებში შირაქში შიდა ქართლის მთიელთა გადმოსახლება, გაგრძელება იყო 1910-იან წლებში დაწყებული პროცესისა. 1930-იანი წლების მიგრაციაში დიდი როლი ითამაშა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა – მიგრანტი ნათესავ-მოგვარეთა გარემოში გადმოსახლდებოდა. ახლად გადმოსახლებულთათვის გარემო მთლად უცხო აღარ იყო, რადგან ისინი ნაწილობრივ უკვე გაცნობილი იყვნენ მას, ადრე გადმოსახლებულ ბიძაშვილ-მოკეთეებთან ორმხრივი კონტაქტების კვალობაზე. 1930-იანი წლების მიგრაციაც, ისევე როგორც 1910-იანი წლებისა, მთაში არსებული ეკონომიკური გაჭირვებით იყო გამოწვეული (თოფჩიშვილი 2002: 74-75).

სწორედ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ქსნისხეობელთა მასიური დამკვიდრება შირაქის ვაკეზე. 1972 წლის მონაცემებით, ზემო ქედში 24 კომლი ქენქაძე ცხოვრობდა. ქენქაძეების გარდა აღწერებში ფიქსირებულნი არიან ჩიტიშვილები – 23 კომლი, ყველაშვილები – 22 კომლი, ბუნტურები – 14 კომლი, მიდელაშვილები – 14 კომლი, ილურიძეები – 13 კომლი, ბაშარულები – 13 კომლი, გვრიტიშვილები – 11 კომლი, სუხაშვილები – 11 კომლი, ჟივიძეები – 9 კომლი, ბერიანიძეები – 8 კომლი, შერმადინები – 8 კომლი, თეზელაშვილები – 7 კომლი, ნათაძეები – 7 კომლი, პავლიაშვილები – 6 კომლი, გაროზაშვილები – 6 კომლი, ზანგურები – 5 კომლი, თინიკაშვილები – 5 კომლი, თათარაშვილები – 5 კომლი, შიუკაშვილები – 5 კომლი, თანდილაშვილები – 4 კომლი, ტატუნაშვილები – 4 კომლი, ახალაშვილები – 3 კომლი, ბასილაშვილები – 3 კომლი, ბალხამიშვილები – 3 კომლი, გამხიტაშვილები – 3 კომლი, თამარაშვილები – 3 კომლი, მაჭარაშვილები – 3 კომლი, ჟამურელები – 3 კომლი, რუსიტაშვილები – 3 კომლი, მარტიაშვილები – 3 კომლი, ნიკოლიშვილები – 3 კომლი, ოღაძეები – 3 კომლი, ოქრუაშვილები – 3 კომლი, გაბრიელაშვილები – 2 კომლი, თამარეულები – 2 კომლი, მილაძეები – 2 კომლი, მწითურიძეები – 2 კომლი, ქაწაშვილები – 2 კომლი, მელთაურები – 1 კომლი, ჯაბანაშვილები – 1 კომლი, ხერკელაძეები – 1 კომლი. როგორც ქალბატონმა ნონა გამხიტაშვილმა გვითხრა, ზემო ქედელები არასდროს ივიწყებენ თავიანთ ფესვებს, ოკუპაციამდე ხშირად სტუმრობდნენ ქსნის ხეობას, განსაკუთრებით ქრისტიანული დღესასწაულების დროს. მამამისს – ელგუჯა გამხიტაშვილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში თავისი ისტორიული

სოფლის სახელით იცნობენ და „ხოზოელად" მოიხსენიებენ.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ზოგადად, ბეჟუაშვილებსა და ზაქუტაშვილებზეც. მართალია, აღწერებმა გვიჩვენა, რომ ქსნისხეობელ ქენქაძე ბეჟუას და ზაქუტას შვილებს მამიშვილობა არ გაუგვარდათ, მაგრამ არსებობს ვერსია, სამკვიდროდან წასვლის შემდეგ, მათ წინაპრის პატივსაცემად ახალი გვარი მიეღოთ, როგორც ეს ჭორჭოხში დამკვიდრებული საბიაშვილების შემთხვევაში გვქონდა. ბეჟუაშვილები დღეს სულ 1050 ადამიანია, ძირითადად ცხოვრობენ თბილისში – 337, თელავში – 194, ქუთაისში – 84, თეთრიწყაროში – 70, რუსთავში – 66, გურჯაანში – 50, ქარელში – 35, კასპში – 35, ზესტაფონში – 25, ახმეტაში – 25, მარნეულში – 23 და ასე შემდეგ (კვაჭანტირაძე 2017: 67). ახალგორის მუნიციპალიტეტში არცერთი კომლი არაა, თუმცა, პროფ. რ. თოფჩიშვილის მიხედვით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გოლთეთში ბეჟუაშვილები ქსნის ხეობის წირქოლიდან უნდა იყვნენ ჩასახლებულები (თოფჩიშვილი 2002: 52).

ზაქუტაშვილები სულ 145 ადამიანია, აქედან თბილისში ცხოვრობს – 99, ბათუმში – 1, გორში – 6, მარნეულში – 1, გარდაბანში – 2, სოხუმში – 1, ხაშურში – 10, ქარელში – 24, დმანისში – 1 (კვაჭანტირაძე 2017: 199). გვარ-სახელების ცნობილი მკვლევარი ი. ახუაშვილი ერთი ძირისად მიიჩნევს ზაქუტაშვილს, ზაკუტაშვილსა და ზაკუტოვს (ახუაშვილი 2005: 411). ზაკუტაშვილები 140 ადამიანია, ცხოვრობენ თბილისში – 56, გორში – 8, ხაშურში – 10, ქარელში – 50, ბორჯომში – 13, ბაღდადში – 1, ცხინვალში – 1, ონში – 1 (კვაჭანტირაძე 2017: 195).

დღეს, სამწუხაროდ, გოლგოლეთის მსგავსად, სადაც დიდი ხანია აღარავინ ცხოვრობს, ქსნის ხეობაში ქენქაძეებით დასახლებული ყველა სოფელი სავალალო მდგომარეობაშია.

დამოწმებანი

აქტები 1868: Акты, *собранные Кавказской археографической комиссией:* Том II. Тифлис.

ახლოური 2007: დ. ახლოური. *იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში*, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი.

გელაშვილი 1964: იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, *გეიმანუღი ტექსტი ქაჰთუღი თაჰგმანითუჰთ გამოსცა და გამოკვლევა დაუჰთო გ. გელაშვიღმა*, ტ., II.

გსიემ 1956: გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486.

დოლიძე 1970: ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ), საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ., III, *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაუჰთო პროფ. ი. დოლიძემ*, თბილისი.

თაყაიშვილი 1951: ე. თაყაიშვილი. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), *სტაღინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 45, თბილისი.

თოფჩიშვილი 2002: რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები), თბილისი.

კაკაბაძე 1929: ს. კაკაბაძე. *საისტორიო კრებული*, წიგნი IV, ტფილისი.

კვაჭანტირაძე 2017: კ. კვაჭანტირაძე. *ქაჰთუღი და ქაჰთუღ-ებჰაუღი გვაჰ-სახელები*, თბილისი, მერიდიანი

ორბელიანი 1993: სულხან-საბა ორბელიანი, *ღექსიკონი ქაჰთუღი, II*, თბილისი, მერანი.

ქენქაძე 2010: ვ. ქენქაძე. *ქსნური ხაღხური ფაბღიო*, თბილისი.

ქსე 1979: ზემო ქედი, *ქაჰთუღი საბჭოთა ენციკღოპედია (ქსე)*, ტ. 4, თბილისი.

ჩიქობავა 1996: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), ერთტომეული, *მთავარი ხედაქტორი აჰნოღღ ჩიქობავა*, თბილისი.

ჯავახიშვილი 1967: ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, *ღემოგჩაფიუღი ძეგღები, აღმოსავღეთ საქაჰთვეღოს XVIII საუკუნის ხაღხის აღწეჰის დავთჩები*, თბილისი, მეცნიერება.

ჯავახიშვილი 1974: ი. ჯავახიშვილი. *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II*, თბილისი, მეცნიერება.



სურ. 1 მზარეულიანის წმინდა გიორგის სალოცავი



სურ. 2 ნასოფლარი გოლგოლეთი. ბეჟუანთ ციხე-კოშკი

FROM THE HISTORY OF THE VILLAGE OF GOLGOLETI IN KSANI GORGE

Davit Akhlouri
Gori State Teaching University
datoakhlouri@gmail.com

The paper talks about the past of the mountainous village of Golgoleti in the Ksani gorge, which is now a village and is located in the Karchokhi community of Akhalgori municipality.

The memory of the population of Karchokhi gorge has very little information about Golgoleti today. Only elderly people have heard a little about this ancient Georgian village, which is mentioned in the book of the noun of the 10th century Samtavisi Cathedral. Nevertheless, the demographic data that has come down to us by analyzing the lists of economic nature, the records of Georgian and foreign authors or the Ksanis oral tradition, as well as by observing the stories of the population of the neighboring villages and observing the settlements, it is possible to restore the past picture of the village.

The *census data* of the Ksani Saeristavo of the second half of the 18th century, together with the Samtavisi Cathedral book and folklore data, allow us to separate the two different villages of the Kenkadzes – Kenkaantkari, and Golgoleti and to locate them with more or less accuracy.

A study of the village's past reveals that the Golgotha boundaries included a vast area southwest of modern-day Kenkan, which includes the Bezhuang, Mzarebuli, and Zakutanta districts, where traces of settlements, castles, shrines, and arable lands intersect.

The paper also talks about rural toponyms, pastures, ridges, ravines, springs, mills, and natural minerals ... The reasons and consequences of the migration of the population from the village are outlined. Part of the population of Golgoleti settled in the neighboring village of Kenkaani, part – in the villages of Kartli and KakhetiMost of the Kenkadzes settled in the Shirak plain, in the upper ridge, where the migration of the population from the Ksani gorge begins in the 1910s.

ქორწინებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი უდიებსა და ქართველებში

ამირან ბასილაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
amiranbasilashvili@gmail.com

უდიები კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხია. უდი ხალხი კომპაქტურად მხოლოდ სამ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობს. ესენია: ქ. ოღუზი (ყოფილი სოფ. ვართაშენი) და სოფ. ნიჯი აზერბაიჯანში და სოფ. ზინობიანი (ყვარლის მუნიციპალიტეტი) საქართველოში. უდიები კავკასიის ალბანელთა შთამომავლები არიან. ალბანეთი საქართველოსა და სომხეთის მსგავსად ქრისტიანული სახელმწიფო იყო. ალბანელებს ქართველებთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ალბანეთის სახელმწიფოს დაცემამ და იქ თურქულენოვანი ელემენტის გაბატონებამ ეს ურთიერთობა ფაქტობრივად მოსპო. ალბანელთა მხოლოდ მცირე ნაწილი, უდი ხალხის სახით, გადარჩა. უდიებმა შეინარჩუნეს საკუთარი ენა, სარწმუნოება და წეს-ჩვეულებანი (რა თქმა უნდა, თურქულ-აზერბაიჯანული გავლენა განიცადეს). უდიების ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება (ნაწილმა ისლამი მიიღო ან მონოფიზიტობა) და სწორედ ამ გზით კავშირი საქართველოსთან.

XIX საუკუნეში აზერბაიჯანში მცხოვრები მართლმადიდებელი უდიები დევნის ობიექტად იქცნენ. გაუსაძლის პირობებში მათ დაიწყეს ფიქრი საქართველოში გადმოსახლებაზე. უდიების ასეთ ყოფაზე რეაქცია ჰქონდათ საქართველოშიც. უდიების მძიმე მდგომარეობაზე აქტიურად იწერებოდა იმდროინდელ ქართულ პრესაში (დროება 1879ა: № 118); (დროება 1879ბ: № 201); (ივერია 1900: № 122); (მეგობარი 1906: № 4). საბოლოოდ, 1920-1922 წლებში მოხერხდა უდიების საქართველოში გადმოსახლება. მათ დაარსეს სოფელი, რომელსაც ზინობიანი უწოდეს, გადმოსახლების თაოსნისა და უდიების წინამძღოლის ზინობი სილიკაშვილის საპატივცემულოდ.

უდი ხალხის ეთნოგრაფიული შესწავლის სათავესთან გერმანელი მეცნიერი ანტონ შიფნერი დგას. ამავე მეცნიერის სახელთან არის დაკავშირებული უდიური ენის პირველი მონოგრაფიული შესწავლაც (შიფნერი 1863). მოგვიანებით უდიების ეთნოგრაფიას, მათ შორის ქორწინებასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს აღწერდნენ და იკვლევდნენ მ. ბეჟანოვი, მ. ბარხუდარიანი, გ. ბეჟანიშვილი, ა. არზუმანიანი, თ. შარაბიძე, დ. აბულაძე და სხვ. (ბეჟანოვი 1892); (ბარხუდარიანი 1893); (ბეჟანიშვილი 1960); (არზუმანიანი 1987); (შარაბიძე 2003); (აბულაძე 2013).

წინამდებარე წერილში მინდა გამოვყო უდიებსა და ქართველებში გავრცელებული ქორწინებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საერთო წეს-ჩვეულება (ასეთი წეს-ჩვეულებანი ხშირად არც სხვა ხალხებისთვის იყო უცხო).

1. საბედოს სიზმარში ნახვა

უდიებში გავრცელებული იყო ბედისმაძიებელ ქალიშვილთა მარხვა *წუმ-ეჶსუნ* (ზედმიწ. „წუმის“ შენახვა“) საბედოს სიზმარში ნახვის მიზნით. დიდი მარხვის დაწყების წინ, ყველიერში, მიღებული იყო მარილიანი (მლაშე) სეფისკვერის – *ეღღა კოკაღ* (ელლა „მარილიანი“, კოკალ „კვერი“) მიღება (ჯეირანიშვილი 1971: 197).

ასეთი ჩვეულება გავრცელებული იყო ქართველებშიც. ქიზიყში წუმის შენახვის დროს (დიდ-მარხვის პირველ ორშაბათს) გასათხოვარი ქალები (ზოგჯერ ვაჟებიც) არაფერს ჭამდნენ და სვამდნენ. მათთვის საგანგებოდ აცხობდნენ *ვეძიკვეჰას* – მლაშე კვერს (*ვეძა* „მომჭაო წყარო ბუნებით“, „მლაშე წყალი“ (ორბელიანი 1991: 262). ვეძიკვერას შეჭმის გამო ღამე წყალი მოსწყურდებოდათ და სიზმარში ვინც წყალს დაალევინებდათ, სწამდათ, ის იქნებოდა მათი საქმრო ან საცოლე (მენთეშაშვილი 1943: 246).

ფშავში დიდმარხვის მეორე დღეს, ორშაბათს, აღინიშნებოდა ბედობის ღამე, რომელზეც სრულდებოდა *პოვნიღას* წესი. გასათხოვარი ქალები და დასაქორწინებელი ვაჟები მთელ დღეს უსმელ-უჭმელები ატარებდნენ. საღამოს ვინმე ქვრივ ქალს გამოაცხობინებდნენ სამ-სამ *მახიღის კვეხას* და დაძინების წინ შეჭამდნენ. სიზმარში საბედო წყალს დაალევინებდათ (ხორნაული 2000: 184).

ხევსურეთში კუდიან[თ] წუხრას – აღდგომის წინა ოთხშაბათის საღამოს (ჭიაკოკონობა საღამოს) აცხობდნენ მარილიან კვერებს, რომელსაც *წეხისკვეხი* ერქვა. სამ ცალ ასეთ კვერს შეჭამდა გასათხოვარი ქალი ან უცოლო ვაჟი, რათა ღამე სიზმარი ენახა და მისი წერის ვაჟს (ან ქალს) მიეწოდებინა წყალი. ფშავის მსგავსად, ხევსურეთშიც ამ წესს *პოვნიეღას*, *პოხნიღაობას* უწოდებდნენ (ჭინჭარაული 2005).

იმერეთში ყველიერის ოთხშაბათს იცოდნენ ბზნილობა. გაუთხოვარი ქალები უჭმელ-უსმელები აღამებდნენ. საღამოს გააკეთებდნენ ძალიან მლაშე ხაჭაპურს და გზაჯვარედინზე შეჭამდნენ ისე, რომ არავინ შემოსწრებოდათ. ღამე წყალუსმელები წვებოდნენ, რათა სიზმარში საქმრო მოსულიყო და წყალი დაელევინებინა (ბერიძე 1986: 16).

სამეგრელოში დიდმარხვის პირველი კვირის შაბათს სოფლელი ქალები, ვისაც უნდოდა გაეგო – ვინ იქნებოდა მისი საბედო, კვერებს აცხობდნენ სიმინდის ფქვილისაგან, თან ჭარბად მარილს უშვრებოდნენ. ამას ეძახდნენ *ბედის კვეხებს*. საღამოს, სხვებისგან ფარულად, სოფლის გზაგასაყარზე შეჭამდნენ. ამ მლაშე კვერების შეჭმის შემდეგ, წყურვილის მიუხედავად, პირში ერთ წვეთ წყალს არ ჩაუშვებდნენ. ვინც მოითმენდა და წყურვილს გაუძლებდა, სიზმარში გამოეცხადებოდა საბედო, რომელიც შეეცდებოდა მისი ტანჯვის შემსუბუქებას და პირთან წყლით სავსე ჭურჭელს მიუტანდა (სახოკია 1956: 109).

თუშეთში დიდი მარხვის შუა კვირაში, ოთხშაბათს, ბედის ნახვის დღეს, ძილის წინ, დედები ქალიშვილებს მათ მიერვე მოქსოვილ საკაცო ჩითებს (ჩითა – ნაქსოვი ფეხსაცმელი) ამოუდებდნენ ბალიშის ქვეშ იმ იმედით, რომ სიზმარში თავიანთი მომავალი საბედო ენახათ (ქმკელ 2011).

2. ბავშვის კალთაში ჩასმა

უდიებში ერთ-ერთ საქორწინო წესს წარმოადგენდა პატარა ბავშვის (ბიჭის) დედოფლის კალთაში ჩასმა, რომელიც პატარძლის გამრავლების (ვაჟიანობის) მიზნით სრულდებოდა. ბიჭი შეიძლებოდა პატარძლისთვის შინიდანაც გამოეყოლებინათ. ბიჭუნას *ბინეღახ* (ზედმიწ. „პატარძლის ვაჟი“) ერქვა (ჯეირანიშვილი 1971: 195).

ასეთი ჩვეულება არც ქართველებისთვის იყო უცხო. ქართლში ჯვარდაწერილ პატარძალს კალთაში ჩვილ ბავშვს (ბიჭს) ჩაუსვამდნენ და დალოცავდნენ: „ღმერთმა ამისთანა ვაჟი მოგცესო“. პატარძლის შემდეგ ნეფე ჩაიგორებდა ჩვილს კალთაში (მაჩაბელი 1978: 113). ანალოგიური მოვლენა გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

საინგილოში მას შემდეგ, რაც პატარძალს სახლში შეიყვანდნენ და ჩრდილოეთ კუთხეში დასვამდნენ, მუხლებზე მცირეწლოვან ვაჟს დაუსვამდნენ – ვაჟიშვილები მოგეცესო (ჯანაშვილი 1913: 147).

თუშეთში უკვე საქოწინო სუფრასთან მჯდარ პატარძალს კალთაში ვაჟს ჩაუსვამდნენ. პატარძალი ბავშვს ტკბილეულით ასაჩუქრებდა და კისერზე ჭრელ წინდას ჰკიდებდა (მაკალათია 1983: 165).

ბავშვის კალთაში ჩასმის რიტუალი სრულდებოდა სამეგრელოსა და სვანეთშიც (სახოკია 1956: 100); (ჩართოლანი 1961: 150).

სვანეთში *წჳილ*-ის (პატარძლის) ქმრის ოჯახში შესვლისას, მას შემდეგ, რაც ცეცხლის შემოვლას გაათავებდნენ, პატარძალს *ლჳრბიჱლა* ბანდრი თხუმ-ზე (ასე ეწოდება ვარცლის დასადგმელი სკამის თავს, რომელზედაც ჩვეულებრივად მერბიელი (უფროსი რძალი, რომელსაც აბარია ოჯახში პურეულის მარაგი და ეკისრება პურის გამოცხობა) ზის.) დასვამდნენ. ამ დროს ერთი ვინმე *მეხუბარჳრ*-თაგანი (*მეხუიბ* – მოძმე, მოგვარე) *წჳილ*-ს კალთაში პატარა ბიჭს ჩაუსვამდა და ყველანი შემდეგი სიტყვებით დალოცავდნენ: „ღერებეთ *მეკუშდა ხჱსინგა* ჭყინტ *ხათხჱლინ* – ღმერთო, მოკლე ხანში მოაძებნინე

ვაჟი, ე. ი. შესძინე ვაჟი“ (ხარაძე 1939: 90).

აჭარაში პატარძალს კალთაში ვაჟს ჩაუსვამდნენ – წლისთავზე შენც გეყოლოსო. ეს ბიჭი დედოფალს უნდა დაესაჩუქრებინა პერანგით ან ფულით. ამ საჩუქარს „საჯიფო“ ეწოდებოდა (ბექაია 1974: 66).

თურქეთელ ქართველებში ოჯახის კერის გაცნობის მიზნით, ქალებს პატარძალი სამზარეულოში შეჰყავდათ, სკამზე დასვამდნენ და კალთაში პატარა ბიჭს (არა ნათესავს) სამჯერ ჩაუგორებდნენ, რათა მას ბიჭი გაეჩინა (ოქროსცვარაძე 2014: 183-184).

ვერის ხეობის სოფელ ვანათში ჩაწერილი მასალის მიხედვით, სახლში ბალიშზე მჯდარ პატარძალს პატარა ბიჭს ჩაუგორებდნენ კალთაში და ეტყოდნენ: „ცხრა ვაჟი და სამი ქალიო“. ბავშვი მოგვარისა უნდა ყოფილიყო (სონღულაშვილი 2016: 33).

პატარძლის კალთაში ბავშვის ჩაგორების ჩვეულებას ინარჩუნებდნენ ფერეიდნელი ქართველებიც (გოცირიძე 1987: 120). აფხაზებისთვისაც არ იყო უცხო ეს საქორწინო წესი (ჭარაია 2011: 45).

3. სანთიობო

კავკასიაში საქორწინო წეს-ჩვეულების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი ახალდაქორწინებულთა ან კარ-მიდამოში ცალკე მდგარ ნაგებობაში ან კიდევ საცხოვრებელზე მიშენებულ, დამოუკიდებელი შესასვლელის მქონე ოთახში დაბინავება იყო (ანთელავა 2020: 79-80). ძირთადი ოჯახისგან ახლადდაქორწინებულთა იზოლირებულად ცხოვრება ტრადიციული მორალურ-ეთიკური ნორმების დაცვასა და სათანადო ფსიქოლოგიური აკლიმატიზაციის გავლას ითვალისწინებდა (ანთელავა 2005: 175).

უდიებშიც არსებობდა ეს ჩვეულება. *ბინეკოჯ* (ზედმიწ. „პატარძლის სახლი/ოთახი“) წარმოადგენდა ოთახს, სადაც ახალდდაქორწინებული ქალ-ვაჟი თაფლობის დღეებს ატარებდა. ერთოთახიანი სახლის პატრონები შუა ოთახში ფარდაგს აფარებდნენ, რათა ნეფე-დედოფალი ცალკე ყოფილიყო. სოფელ ნიჯში ამ ფარდაგს *გარდაჭ*-ს უწოდებდნენ (ჯეირანიშვილი 1971: 195, 215).

დასავლეთ საქართველოში (ქვემო იმერეთი, ზემო რაჭა) იცოდნენ ოროთახიანი ბეღელი. ერთი, ტრადიციულად, მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა, ხოლო მეორე სასტუმრო ოთახს წარმოადგენდა. მას ბეღელ-ოთახს, ბეღლის ოთახს ან ხულას უწოდებდნენ. *ბეღლის ოთახი* ახალშეუღლებულთა საცხოვრებლის ფუნქციასაც ასრულებდა. რაჭაშივე სცოდნიათ ახლადდაქორწინებულთათვის *ჯეფანის* – ბეღლის გვერდზე მოდგმული პატარა ოთახის – გამოყენება. ასევე რაჭაში დადასტურებულია ნეფე-პატარძლის ბეღლის თავზე ან ბეღლის თვალში დაწვენა (რუხაძე 1976: 100-103). ვუკოლ ბერიძის ცნობით, იმერეთსა და რაჭაში ახალჯვარდაწერილთათვის გამოყოფილ ოთახს *სამთიობო* ერქვა (ბერიძე 1986: 28).

სამეგრელოში ახალჯვარდაწერილებისთვის საგანგებოდ მოწყობილ ცალკე ბინას *ამხახა* ერქვა, სადაც მათ გარდა სხვას არავის უშვებდნენ (სახოკია 1956:102-103). აზუსტებენ, რომ აფხაზურიდან მეგრულში შემოსული საქორწინო წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებული სიტყვა ამხარა სამურზაყანოსა და ენგურის პირის სამეგრელოში იყო გავრცელებული. დანარჩენ სამეგრელოში კი იმავე მნიშვნელობით მოწმდება *თოხ*-ფაცხა (ანთელავა 2005: 175, 178-179).

თუშეთში საქორწინო სუფრის დამთავრების შემდეგ ეჯიფი და დადი ნეფესა და პატარძალს სპეციალურად მათთვის განკუთვნილ სახლში მიაცილებდნენ (ცოცანიძე 1990: 204).

ახალეუღლებულთათვის განკუთვნილ საძინებელ ტახტს სამცხე-ჯავახეთში ბოსელში აკეთებდნენ, სადაც ისინი წლამდე იძინებდნენ. ამ ტახტს ჯავახეთში აჯდლა, სამცხეში კი აჯილაკს უწოდებდნენ (ივერიელაშვილი 1987: 58, 60).

საქართველოში ბეღელისა და ბოსელის გარდა ახლადდაქორწინებულთათვის სამყოფელს საწნახელშიც აწყობდნენ. ხალხური რწმენით ქორწილი და სქესობრივი ურთიერთობა გამრავლებასა და სიუხვე-ბარაქიანობას უკავშირდებოდა. არსებობდა შეხედულება, რომ წყვილთა შეუღლება ბუნების ძალებზე ზემოქმედების ერთ-ერთი უპირველესი საშუალება იყო (გოცირიძე 1987: 122).

უდიებსა და ქართველებში გავრცელებული მსგავსი საქორწინო წეს-ჩვეულებანი აქ

წარმოდგენილით არ ამოიწურება, კიდევ არაერთი საერთო წეს-ჩვეულების გამოყოფა შეიძლება, რომელთა ერთად თავმოყრა და საფუძვლიანად შესწავლა სამომავლო საქმეა.

დამოწმებანი

აბულაძე 2013: დ. აბულაძე. *საქორწინო წესები უდიებში*, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. V, თბილისი.

ანთელავა 2005: ნ. ანთელავა. *ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში*, თბილისი.

ანთელავა 2020: ნ. ანთელავა. *ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეტიკეტი*, თბილისი.

არზუმანიანი 1987: А. Арзуманян. *Удины. вопросы этнической истории и культуры (историко-этнографическое) исследование*, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Ереван.

ბარხუდარიანი 1893: М. Бархударян. *Албания и её соседи* (სომხურ ენაზე), Тифлис.

ბეჟანიშვილი 1960: გ. ბეჟანიშვილი. *საქორწინო კავშირის დამყარებისთვის სავალდებულო წინაპირობები უდიებში*, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბილისი.

ბეჟანოვი 1892: М. Бежанов. *Краткие сведения о с. Варташен и его жителях*, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, Выпуск 14, Тифлис.

ბერიძე 1986: ვ. ბერიძე. *სიტყვის კონა იმერული და ხაჭვე თქმათა*, თბილისი.

ბექაია 1974: მ. ბექაია. *ძველი და ახალი საქორწილო ტრადიციები აჭარაში*, ბათუმი.

გოცირიძე 1987: გოცირიძე გ. *ქორწინება ფეხიერნენ ქართველებში*, თბილისი.

დროება 1879: *დროება*, № 118.

დროება 1879: *დროება*, № 201.

ივერია 1900: *ივერია*, № 122.

ველაშვილი 1987: თ. ველაშვილი. *საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში (XIX ს. II ნახ. – XX ს.)*, თბილისი.

მაკალათია 1983: ს. მაკალათია. *თუშეთი*, თბილისი.

მაჩაბელი 1978: ნ. მაჩაბელი. *ქორწინების ინსტიტუტი ქართლში*, თბილისი.

მეგობარი 1906: *მეგობარი*, № 4.

მენთეშაშვილი 1943: ს. მენთეშაშვილი. *ქიზიყური ლექსიკონი*, თბილისი.

ორბელიანი 1991: ს.-ს. ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული, I*, თბილისი.

ოქროსცვარაძე 2014: ნ. ოქროსცვარაძე. *ოჯახი და საოჯახო ყოფა თუჰქეთელ ქართველებში (ინგოდის ხაიონის სოფელ ჰაიჩიეს მოსახლეობის მაგალითზე)*, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

რუხაძე 1976: ჯ. რუხაძე. *ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში*, თბილისი.

სახოკია 1956: თ. სახოკია. *ეთნოგრაფიული ნაწერები*, თბილისი.

სონღულაშვილი 2016: ჯ. სონღულაშვილი. *საქორწილო წეს-ჩვეულებანი ვეხის ხეობაში*, ისტორიული მემკვიდრეობა, № 10, თბილისი.

ქმკელ 2011: *ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*, ვებ-გვერდი: nplg. gov. ge http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=39 (ნანახია: 25/06/2022).

შარაბიძე 2003: თ. შარაბიძე, *ვინ არიან უდიები?!*, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. 5, თბილისი.

შიფნერი 1863: A. Schifner.*Versuch über die Sprache der Uden*, Mémoires de l'academie impériale des sciences de St.-Pétersbourg, VII S.P.VI, N8, St.-Petersburg.

ჩართოლანი 1961: მ. ჩართოლანი. *ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან*, თბილისი.

ცოცანიძე 1990: გ. ცოცანიძე. *გიორგობიდან გიორგობამდე (ეთნოგრაფიული ექსკურსები თუშეთის ახლო წარსულში)*, თბილისი.

ჭარაია 2011: პ. ჭარაია. *აფხაზეთი და აფხაზნი*, თბილისი.

ჭინჭარაული 2005: ა. ჭინჭარაული. *ხევსურული ლექსიკონი*, ვებ-გვერდი: ice.ge https://liv/liv/xevs.php (ნანახია: 25/06/2022).

ხარაძე 1939: რ. ხარაძე. *დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში*, ტფილისი.

ხორნაული 2000: გ. ხორნაული. *ფშაური ლექსიკონი*, თბილისი.

ჯანაშვილი 1913: მ. ჯანაშვილი. *საინგილო, „ძველი საქართველო“*, ტ. II, ტფილისი.

ჯეირანიშვილი 1971: ე. ჯეირანიშვილი. *უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი)*, თბილისი.

MARRIAGE-RELATED CUSTOMS AMONG UDIS AND GEORGIANS

Amiran Basilashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
amiranbasilashvili@gmail.com

The Udis are one of the smallest peoples in the Caucasus. The Udis are the descendants of the Albanians of the Caucasus. Albania, like Georgia and Armenia, was a Christian state. The Albanians had close cultural relations with the Georgians, but the fall of the Albanian state and the dominance of the Turkish-speaking element there virtually destroyed that relationship. Only a small fraction of the Albanians, in the form of the Udi people, survived. The Udis retained their own language, beliefs, and customs (of course, they were impacted by Turkish-Azerbaijani influence). One part of the Udis maintained the Orthodox faith (part converted to Islam or Monophysitism) and thus connected with Georgia.

In this letter, I would like to highlight some common customs related to marriage among Udis and Georgians. Similar wedding customs common among the Udis and Georgians are not limited to what is presented here, there are a number of other common customs that can be brought together and thoroughly studied in the future.

1679 წლის დღემდე უცნობი საარმშენებლო წარწერა სოფელ ცხრუკვეთის წმიდა მარინეს ეკლესიიდან და მისი მნიშვნელობა აბაშიძეთა ფეოდალური სახლისათვის[1]

თამაზ გოგოლაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
tazogogoladze@yahoo.com

ირაკლი გელაშვილი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
Gelashvili_irakli@yahoo.com

დარეჯან გველესიანი
დამოუკიდებელი მკვლევარი
gvelesianid@yahoo.com

I წარწერის პუბლიკაცია

სოფელი ცხრუკვეთი დასავლეთ საქართველოში, უფრო კონკრეტულად, ზემო იმერეთში მდებარეობს და დღეს ჭიათურის მუნიციპალიტეტში შედის. სოფელში წმიდა გიორგისა და ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიებია აღმართული.

2016 წლის 28 სექტემბერს პროექტის „ჭიათურის რაიონის ხუროთმოძღვრული ძეგლები (გზამკვლევი)" ფარგლებში[2] აღნიშნული სოფელი მოვინახულეთ. იქ არსებული ეკლესია-მონასტრების მონახულებისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრის (სურ. 8) სამხრეთ შესასვლელის თავზე ჩასმულმა სამად დანაწევრებულმა ტიმპანის ქვამ და მასზედ ამოღარულმა ასომთავრულმა წარწერამ. თავდაპირველად, ამოვიკითხეთ წარწერის ტექსტი, გადმოვიღეთ მისი პალეოგრაფიული პირი და მოვახდინეთ მისი ფოტოზე აღბეჭდვა. ამის შემდეგ, დავინტერესდით ამ წარწერის და, შესაბამისად, ეკლესიის ისტორიით და ამ მიზნით შევეცადეთ ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვებას. სოფელ ცხრუკვეთის მკვიდრ – რევაზ ტატიშვილის (85 წლის) მონაცემებით, ეს ეკლესია დანგრეული ყოფილა და 2001 წელს აღუდგენიათ. გარდა ამისა, მან მეტად საყურადღებო ინფორმაცია მოგვაწოდა წარწერის შესახებ. მისი თქმით, ეს ეკლესია და ასევე წარწერა ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს – გიორგი წერეთელს უნახავს, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმოშობით ცხრუკვეთიდან იყო. მას წაუკითხავს წარწერის ტექსტი და უთქვამს, რომ იგი სამშენებლო ხასიათის წარწერას წარმოადგენდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ კულტურის ძეგლთა დაცვის სააგენტოს ინფორმაციას გავეცანით და აღმოჩნდა, რომ 1949 წელს არქიტექტორებს რ. გვერდწითელსა და ა. გოგელიას ტაძარი აუზომავთ და შეუდგენიათ ძეგლის პასპორტი. მათი ინფორმაციით, ტაძარი დაზიანებული ყოფილა და 1949 წლისათვის „ძეგლის ერთადერთ შემკულობას წარმოადგენს გვიანი წარწერა ამოკვეთილი სამხრეთი შესასვლელის არქიტრავზე".[3] მეტი ინფორმაცია დღესდღეობით არ მოგვეპოვება ცხრუკვეთის ღმრთისმშობლის ტაძრის, ასევე მის სამხრეთ შესავლელის თავზე ამოკვეთილი წარწერის შესახებ.

გთავაზობთ წარწერის არქეოგრაფიულ აღწერილობას, წარწერის ფერად ფოტოს, წარწერის პალეოგრაფიულ პირებს, მის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და მის ჩვენეულ წაკითხვას:

წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, შესასვლელის ზემოთ ჩასმულ არქიტრავის ქვაზე, მიწის დონიდან 260 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერიანი ქვის ზომები: 43 X 167 სმ.; წარწერის ფართობი: 35 X 154 სმ.; 5 სტრიქონი; ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: Ⴔ (I სტრიქონის I გრაფემა) – 14 X 6,5 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: Ⴚ (IV სტრიქონის XV გრაფემა) – 1 X 2 სმ.;


ქარაგმის ნიშნები: მოკლე ან განივი კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ან სამწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.

დაზიანება: წარწერიანი ქვა დაზიანებულია. ეკლესიის დანგრევის დროს წარწერიანი ქვა ჩამოვარდა თავის პირვანდელი ადგილიდან და მიწაზე დაცემის შედეგად სამ ნაწილად გატყდა. გარდა ამისა, წარწერიან ქვას აკლია გარკვეული გრაფემები. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი გრაფემებისა და კონტექსტის მიხედვით ხერხდება წარწერის შინაარსის სრულად აღდგენა. აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ წარწერის სამი ფილა არასწორად არის ჩასმული ეკლესიის სამხრეთის შესასვლელის თავზე.


წარწერის დათარიღების საფუძველი: წარწერას უზის თარიღი ქრონიკონი – ტჟზ, რაც (367+1312=1679 წ.) 1679 წელს გვაძლევს.



სურ. 1 1679 წლის ცხრუკვეთის სააღმშენებლო წარწერა წმიდა მარინეს ეკლესიიდან



სურ. 2 1679 წლის ცხრუკვეთის სააღმშენებლო წარწერა წმიდა მარინეს ეკლესიიდან



სურ. 3 1679 წლის ცხრუკვეთის სააღმშენებლო წარწერა წმიდა მარინეს ეკლესიიდან

1. ჶ:. ს᾽ⷮᲔᲔᲜᲫᲮᲮ᾽ⷮ ----ᲚᲮ:. Ძ--- ᲣᲮ:. ᲚᲜᲚ᾽ⷮᲮ᾽:. ᲩᲜᲚᲮᲫᲮ
2. ᲧᲮ:. ᲩᲮ᾽ⷮᲥ:. ᲭᲮᲩᲩᲜᲥ:. ᲮᲮ᾽ⷮᲜᲩᲜ ᲧᲮ᾽ⷮᲭᲫᲜᲩ ᲧᲩᲫᲜ:. ᲭᲜᲩᲫᲜ: ᲩᲚᲩ:. ᲜᲣᲭᲫᲜᲩᲥ:. ᲮᲧᲘᲩᲜᲫ
3. ᲩᲫᲫᲜᲚᲮ:. ᲧᲮᲜᲩᲚᲮ:. ᲩᲮ᾽ⷮ:. ᲮᲮ᾽ⷮᲚᲮ:. ᲜᲮ᾽ⷮᲚᲜᲫᲮ:. ᲥᲚᲚ:. ᲣᲮ. ᲭᲩᲥᲘᲚᲮ:. ᲭᲚᲜ᾽ⷮᲚᲮ:. ᲭᲫᲫᲜᲫᲮ ᲣᲮ
4. ᲣᲮ ᲫᲩᲫ ᲭᲫᲜᲫᲮ ᲚᲩ᾽ⷮᲥᲫᲩᲩ ᲩᲮ᾽ⷮ:. ᲘᲜᲚᲮ:. ᲣᲘᲘᲩᲚᲮ ᲭᲚ
5. ᲚᲮᲮᲩᲩᲫᲮᲚᲮ ᲮᲮ᾽ⷮᲩ:. ᲮᲩ᾽ⷮᲩᲚᲮ -ᲥᲮ᾽ⷮᲭ

„ჩ. სახ(ე)ლ(ი)თა [მამი]სა, ძ[ისა] და ს[უ]ლ{ი}სა წ[მ]ი[დი]სა[ჲ]თა. | შ(ე)ნ, წ(მიდა)ო მ(ო)წ(ა)მეო, ქ(ა)ლწ(უ)ლ(ო) მ{ა}რინე, შ(ეი)წ(ი)რე მცირე ესე ვ{ე}დრებ{ა}ჲ აშე{ნე}ბ{ისა}თ{ჳ}ნ | ტ{ა}ძრისა შ(ე)ნისა წ(ინაშ)ე ქ(რისტ)ესა ჩ(უე)ნ(ი)ს(ა)თა, გ[იორ]გ[ი]ს და მეუღ{ლე}სა მისსა მ[ა]რთას და | <და> ძეთ{თა} მ[ა]თთა, გჳოხენ წ(ინაშ)ე ღ(მრ)თ(ი)სა დღესა მ{ა}ს განკითხვ{ი}სა{სა}, ა(მე)ნ, ქ(რონი)კ(ო)ნსა [ტ]ჲზ (367+1312=1679 წ.)“.

წარწერის I ნაწილში, საღმრთისმეტყველო ტექსტში მოხსენიებულია მამა, ძე და სულიწმიდა, ამის შემდეგ ტაძრის ქტიტორები – გიორგი და მართა ვედრებით მიმართავენ ტაძრის ზეციურ მფარველს – წმიდა მარინეს უშუამდგომლოს ღმრთის წინაშე მათ მიერ გაწეული შრომის სანაცვლოდ: „ჩ. სახ(ე)ლ(ი)თა [მამი]სა, ძ[ისა] და ს[უ]ლ[ი]სა წ[მ]ი[დი]სა[ჲ]თა. | შ(ე)ნ, წ(მიდა)ო მ(ო)წ(ა)მეო, ქ(ა)ლწ(უ)ლ(ო) მ[ა]რინე, შ(ეი)წ(ი)რე მცირე ესე ვ{ე}დრებ{ა}ჲ აშე{ნე}ბ{ისა}თ{ჳ}ნ | ტ{ა}ძრისა შ(ე)ნისა წ(ინაშ)ე ქ(რისტ)ესა ჩ(უე)ნ(ი)ს(ა)თა“.

წარწერის II ნაწილში ტაძრის ქტიტორები გიორგი და მისი მეუღლე – მართა მათი და მათი შვილების სულისთვის მეოხებას ითხოვენ ღმრთისაგან მეორედ მოსვლის დროს: „გ[იორ]გ[ი]ს და მეუღ{ლე}სა მისსა მ[ა]რთას და | <და> ძეთ{თა} მ[ა]თთა, გჳოხენ წ(ინაშ)ე ღ(მრ)თ(ი)სა დღესა მ{ა}ს განკითხვ{ი}სა{სა}, ა(მე)ნ“.

წარწერის III ნაწილში მოცემულია წარწერის თარიღი – ქორონიკონი [ტ]ჲზ: „ქ(რონი)კ(ო)ნსა [ტ]ჲზ (367+1312=1679 წ.)“.

როგორც წარწერის ტექსტიდან ვიგებთ, 1679 წელს გიორგის და თავის მეუღლეს, მართას წმიდა მარინეს სახელზე ეკლესია აუგიათ, რის სანაცვლოდაც თავისი და თავიანთი შვილების სულისათვის მეოხებას ითხოვენ ღმრთისაგან. წარწერის ტექსტის თანახმად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტაძარი აგებულია არა ღმრთისმშობლის, როგორც ეს ჩვენამდე იყო ცნობილი, არამედ წმიდა მარინეს სახელზე. როგორც ცნობილია, საქართველოში ფართოდ გავრცელებული იყო წმიდა მარინეს კულტი და მის სახელზე აშენებული ეკლესიები ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში გვხვდება.[4]

II წარწერის ქტიტორის ვინაობა

წარწერის ტექსტის მიხედვით, ტაძრის აგების ინიციატორები და, შესაბამისად, ტაძრის ქტიტორები – გიორგი და მისი მეუღლე, მართა გახლავთ. ჩნდება ლოგიკური კითხვა - ვინ შეიძლება მოვიაზროთ წარწერაში მოხსენიებულ გიორგიში?

დასმულ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გვაწვდის ცხრუკვეთის ახლოს მდებარე ნავარძეთის („თირის“) ეკლესიის (სურ. 9) სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე ამოღარული საქტიტორო წარწერები. მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გთავაზობთ ორივე წარწერას თავისი არქეოგრაფიული აღწერილობით, ფერადი ფოტოებით, პალეოგრაფიული პირებით, გადმონაწერებით დედნის შრიფტის დაცვითა და ჩვენეული წაკითხვებით:

წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის სამხრეთ შესასვლელის ტიმპანის ქვაზე, მიწის დონიდან 255 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერიანი ქვის ზომები: 52 X 99 სმ.; წარწერის ფართობი: 49 X 95 სმ.; 6 სტრიქონი; ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: Ⴑ (V სტრიქონის VII გრაფემა) – 5,2 X 2,5 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: Ⴑ (I სტრიქონის XXXI გრაფემა) – 0,7 X 1,2 სმ.; ქარაგმის ნიშნები: მოკლე კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები: არ ახლავს; წარწერისათვის დამახასიათებელია შეწიაღების შემთხვევები.

დაზიანება: წარწერიანი ქვა დაზიანებულია. წარწერიანი ქვის ცალკეული ადგილები ამოტეხილია, რომლის შედეგადაც გარკვეული ასო-ნიშნები ფრაგმენტულად იკითხება. მიუხედავად ამისა, წარწერის წინა გამოცემების, შემორჩენილი გრაფემებისა და კონტექსტის მიხედვით ხერხდება წარწერის შინაარსის სრულად აღდგენა.


გამოცემები:

ვახტანგ ბერიძე, 1994. 5

წარწერის დათარიღების საფუძველი: წარწერას უზის თარიღი ქრისტესშობიდან ქორონიკონი ჩღც (1708 წ.), ადამს აქეთ ჴსივ (7216-5508=1708 წ.), რაც ორივე შემთხვევაში 1708 წელს გვაძლევს.



სურ. 4 1708 წლის გიორგი აბაშიძისა და მისი მეუღლის, გულქან ლორთქიფანიძი სააღმშენებლო წარწერა



სურ. 5 1708 წლის გიორგი აბაშიძისა და მისი მეუღლის, გულქან ლორთქიფანიძი სააღმშენებლო წარწერა

1. ⴒⴟ ⴆⷣⵊⵎⵗ ⵏⵆⵆⵣⵎⵚⵊ·ⵗⵎ ⵖⵅⵔ·ⵅⵏⵚⵊ·ⵗⵎ ⵚ·ⵆⵔⵆ ⵍⵊⵖⵆⵅⵖⵔⵆ ⵜⷣⵆ
2. ⵇⵍⵊⵖⵅⵔⵆ ⵐⵊⵖⵅⵊⵚⵇⵆ ⵣⵊⵗⵅⵗⵇ ⵖⵊⵇⵆ ⵜⵒ, ⵑ·ⵖ,ⵇ, ⵟⷣⵗ ⵜⷣⵆ
3. ⵑ·ⵚ·ⵊⵅⵗ ⵜⵆⵆ ⵜⷣⵇⵆ,ⵅⵏⵖ·ⵚ·ⵊⵊⵖⵅⵗ ⵐⷣⵊ ⵒⵄⵃⵅⵖⵑⵆ ⵆⵊⵅⵖⵑ ⵐⵊⵅⵖⵑ ⵐⵊⵅⵖⵑ
4. ⵆⵊⵅⵖ-·ⵚ·ⵊⵊ ⵆⵚⵐⵊⵅⵊ·ⵊ·ⵑⵅⵚⵊ·ⵊ ⵜⵆⵆ ⵒ·ⵆⵆⵊⵅ---,ⵅ·ⵊⵊ ⵅⵑⵊ·ⵊ ⵑⵑⵅⵊ·ⵊⵑⵆ
5. ⵜ·ⵆ, ⵖⵇⵅⵒⵜⵊⵗⵆⵆ·ⵑ ⵆⵑ·ⵑⵖⵊ ⵆ·ⵜⵊⵗ ⵆ·ⵜⵊⵗ ⵆⵒⵜⵊⵗ ⵜⵚⵑ ⵅⵆⵆ·ⵆ ⵆ·ⵆⵆ
6. ,ⵅⵑ -[ⵜ·ⵊⵗ·ⵒ·----

„ქწ. ⵃ(ო)ი, წ(მიდა)ო სამებ(ა)ო, ერთარსებ(ა)ო, ყ(ოველ)თა ხილულთა და | უხილ(ა)ვთა შემოქმედო მ(ა)მ(ა)ო, ძეო და ს(უ)ლო წ(მიდა)ო, დ(ა)უ|ს(ა)ბ(ა)მ(ო)ო და დ(ა)უსრ(უ)ლ(ე)ბელო, შ(ეი)წყალ)ე ტ(ა)ძრისა ამის შ(ე)ნსა | ამგ[ე]ბი, აბ(ა)შიძე გი(ო)რგი და თ(ან)ამე[ცხ(ე)დ]რე გულ|ქ(ა)ნ, ლორთქიფ(ა)ნიძ(ი)ს ას(უ)ლი, ქ(რისტ)ეს აქ(ე)თ ქკს ჩღც, ადა|მს [ა]ქეთ [ჴსივ]“.

II წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, სარკმლის მარჯვენა მხარეს, მიწის დონიდან 540 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერიანი ქვის ზომები: 63 X 56 სმ.; წარწერის ფართობი: 60 X 53 სმ.; 9 სტრიქონი; ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: Ⴆ (I სტრიქონის VII გრაფემა) – 5,2 X 4,3 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: Ⴢ (IV სტრიქონის XV გრაფემა) – 1,2 X 2 სმ.; ქარაგმის ნიშნები: მოკლე განივი ან კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები: არ ახლავს.

დაზიანება: წარწერიანი ქვა დაზიანებულია. წარწერიანი ქვის ცალკეული ადგილები ამოტეხილია, რომლის შედეგადაც გარკვეული ასო-ნიშნები ფრაგმენტულად იკითხება. მიუხედავად ამისა, წარწერის წინა გამოცემების, შემორჩენილი გრაფემებისა და კონტექსტის მიხედვით წარწერის შინაარსის სრულად აღდგენა ხერხდება.

წარწერის დათარიღების საფუძველი: წარწერას არ უზის თარიღი. თუმცა მხედველობაში ვიღებთ ტაძრის სამხრეთ ფასადზე შესრულებული წარწერის თარიღს – 1708 წელს და, აქედან გამომდინარე, წინამდებარე წარწერასაც 1708 წლის ახლო ხანებით ვათარიღებთ.



სურ. 6 1708 წლის ახლო ხანები. მოსახსენებელი წარწერა გიორგი აბაშიძისა და მისი ოჯახის წევრებისა



სურ. 7 1708 წლის ახლო ხანები. მოსახსენებელი წარწერა გიორგი აბაშიძისა და მისი ოჯახის წევრებისა

1. ⴒ ⴒ̃ⵁ ⵍ̃ⵟ̃ⵁ ⵆ- ⵠ̃ⵁ ⵜ̃ⵛⵍⵁ
2. ⵗⵛⵍⵁ, ⵔ ⵛⵜⵥⵛⵏ ⵁ] ̃ⵒ̃ⵄ,ⵒⵛ ⵖⵛⵏ
3. ⵆ ⵇⵔ̃ⵒ̃ⵟⵆⵟ ⵆ̃ⵥⵖ‘ⵛⵟⵆⵟ ⵆⵆ
4. ⵥⵆⵆⵥⵍⵛⵟⵆⵟ
5. ⵒ̃ⵚⵒⵛⵏⵆ ⵖ‘[ⵏⵛ̃ⵏⵆ
6. ⵆ‘ⵟⵆⵖⵏⵚⵛ ⵟ̃ⵛⵏ ⵄⵆⵏⵏⵆ
7. ⵥⵛⵇⵔⵛⵛⵆⵒⵒ,ⵆ, ⵟ,ⵜⵚⵏ
8. ⵚⵛⵏⵆ ⵥ̃ⵄⵏ,ⵆ ⵜⵛⵛⵒⵏⵏ
9. ⵆⵆ ⵟⵛⵛⵏ,-

„ⵒ. წ(მიდა)ო ს(ამე)ბ(ა)ო დ[ა] ჯ(უარ)ო ქ(რისტ)ესო, | მეოხ ექმენ ორთ(ა)ვე შინ|ა ცხ(ოვ)რ(ე)ბასა ამშე(ნე)ბ(ელ)სა და | მადიდებ{ე}ლსა | ტ(ა)ძრისა შ(ე)ნის(ა)სა, | აბაშიძეს გ(იორგ)ის, თანა|მეცხედრესა გ{უ}ლქ{ა}ნს, | ძესა მ(ა)თსა: ლევ{ა}ნს | და ბეჟ{ა}ნ[ს]“.[6]

ჩვენთვის საინტერესო წარწერის ტექსტების მიხედვით, ტაძრის ქტოტორებად გვევლინებიან XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ცნობილი იმერელი ფეოდალი, გიორგი აბაშიძე და მისი

მეუღლე, გულქან ლორთქიფანიძე. აქედან გამომდინარე, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ცხრუკვეთის 1679 წლის სააღმშენებლო წარწერაში მოხსენიებულ ეკლესიის ქტიტორ გიორგიში გიორგი აბაშიძე უნდა ვიგულისხმოთ. თუმცა აქ ვაწყდებით ერთ ფრიად მნიშვნელოვან წინააღმდეგობას: ცხრუკვეთის ეკლესიის წარწერაში გიორგის მეუღლედ დასახელებულია მართა, ხოლო ნავარძეთის ეკლესიის ორივე წარწერაში გიორგი აბაშიძის გვერდით მისი მეუღლე, გულქან ლორთქიფანიძეს ვხვდებით. აღნიშნულ წინააღმდეგობას ამომწურავ პასუხს სცემს ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება, სადაც გიორგი აბაშიძის შესახებ ვკითხულობთ: „ამავ ჟამებთა მოკუდა ცოლი აბაშიძისა (იგულისხმება გიორგი აბაშიძე – თ.გ; ი.გ; დ.გ.) პირველი, განუტევა მეორე ცოლიცა და შეირთო ქურივი პაპუნა ერისთავისა, ასული ბეჟან ლორთქიფანიძისა და დედა შოშიტა ერისთავისა, და მოიმტკიცა ამით იმერეთი უმეტესად“ (ყაუხჩიშვილი 1973: 860-861).

სწავლული ბატონიშვილის თხზულების თანახმად, 1698 ახლო ხანებში გიორგი აბაშიძეს პირველი მეუღლე გარდაეცვალა, მეორე მეუღლეს, (გიორგი გურიელისა და კაცია ჩიქვანის ნაცოლარს – თ.გ; ი.გ; დ.გ.) გაეყარა და მესამე ცოლად შეირთო ბეჟან ლორთქიფანიძის ასული და რაჭის ერისთავის, პაპუნას ქვრივი გულქანი.[7] როგორც ვხედავთ, ქართულ ნარატიულ წყაროში დასახელებული არ არის მისი პირველი მეუღლის ვინაობა. ამ ლაკუნას სრულიად ავსებს ცხრუკვეთის 1679 წლის სააღმშენებლო წარწერა, სადაც გიორგის გვერდით მისი პირველი მეუღლე მართა იხსენიება.

როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიოგრაფიაში (ოლღა სოსელია) გიორგი აბაშიძის ცხოვრების ძირითადი მომენტები შესწავლილი და გამოკვლეულია.

1684 წლის როკითის ბრძოლის დროს გიორგი აბაშიძის ძმები – ლევანი ომშივე დაიღუპა, ხოლო მისი მომდევნო ძმა, პაატა ბრძოლაში მიღებული ჭრილობებით უფრო მოგვიანებით გარდაიცვალა. სწორედ „პაატას სიკვდილის შემდეგ, აბაშიძეთა საგვარეულოს უფროსად მისი ძმა გიორგი ზის. იგი მალაქიად სახელდებული ერთ ხანს ბერად იყო შემდგარი. მისი ბერად აღკვეცის მიზეზი იმ „ავი საქმის“ მონანიება უნდა ყოფილიყო, რომელიც მან 1658-1676 წწ. ჩაიდინა. ძმის გარდაცვალების შემდეგ, მალაქია საერო ცხოვრებას უბრუნდება. ენერგიულმა და გამჭრიახმა თავადმა თავიდანვე დაიწყო იმერეთში პირველობისათვის ზრუნვა. საამისო თადარიგსაც ადრევე შეუდგა. პირველ რიგში მან თავისი ეკონომიური მდგომარეობა გააუმჯობესა: ცოლად შეირთო გიორგი გურიელის და კაცია ჩიქვანის „ნაცოლარი“, რომელიც იყო „მდიდარი ფრიად“; გააფართოვა საგვარეულო მიწა-წყალი; ხელთ იგდო მეზობელ თავად ჩხეიძეთა ციხე-ქალაქი შორაპანი, მიითვისა მეფის სახასო მამულები ზემო იმერეთში, წაართვა აგიაშვილებს ციხისთავობა და ცუცხვათის ციხე და, ამგვარად, თავის ბატონობას მტკიცე საფუძველი მოუპოვა.

ეკონომიკურმა ძლიერებამ გიორგი აბაშიძეს შესაძლებლობა მისცა კულტურულ-საამშენებლო მუშაობისათვისაც მიეყო ხელი. მისი განკარგულებითა და „საფასით გადაიწერა არა ერთი ხელნაწერი, „შეიმკო“ თუ მოიჭედა არა ერთი ხატი და ჯვარი. მისივე „წარსაგებლითა“ იქნა აშენებული თუ განახლებული იერუსალიმში „პატრიარქის აბრაჰამის“ მონასტერი 1700 წელს.

გიორგი აბაშიძეს ლექსის წერაც ემარჯვებოდა. 1705 წელს მის მიერ დავით გარეჯის მონასტრისადმი შეწირული გულანის პირველ გვერდებზე ჩაწერილია მისი ლექსი, რომელიც ეხება, ხელნაწერის მონასტრისადმი მიძღვნას, ავტორის ზოგიერთ საქმიანობასა და სხვ.

თავისი მიზნების მისაღწევად იგი არავითარი ღონისძიების წინაშე უკან არ იხევდა. მას ოთხი ასული ჰყავდა. ყველა ისინი, ერთის გარდა, მისი პოლიტიკური ინტერესების მიხედვით რამდენჯერმე იყვნენ დაქორწინებულ-განქორწინებული. იყო დრო, როცა „მეფეს, დადიანს, გურიელს სამსავ ... ყვა“ აბაშიძის ასული.

სანამ იგი თავის მდგომარეობას განამტკიცებდა, ერთგულებდა იმერეთის კანონიერ მეფეს. ეს იყო XVII ს. მიწურულამდე. მაგრამ როცა აბაშიძე მეტისმეტად გაძლიერდა, პოზიცია შეიცვალა. ახლა იგი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ რაჭის ერისთავს დაუკავშირდა. ამიერიდან იმერეთის კანონიერი თუ უკანონო მეფეები გიორგი აბაშიძისა და მისი მომხრეთა ნებისამებრ იცვლებიან ან სხედან ტახტზე მხოლოდ ფორმალურად, ფაქტიურად კი სამეფოს აბაშიძე განაგებს. ასეა ეს მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში. მაგალითად, 1696-1698 წწ. იმერეთის მეფედ იჯდა

გიორგი IV (გოჩიად წოდებული). მაგრამ სამეფოს საქმეებს მას არავინ ეკითხებოდა: „მართავდა აბაშიძე გიორგი და თაობდა ყოველთა იმერთა ზედა“.

1698 წელს, როცა იმერეთში სვიმონ ალექსანდრეს ძე გამეფდა, აბაშიძე „შეეზრახა“ მას, გაჰყარა თავისი ასული ანიკა თავად ნასყიდა იაშვილს, შერთო მეფეს ცოლად და „თაობდა“ იმერეთს ისევ გიორგი აბაშიძე. 1701 წელს კი, მისივე ინიციატივით, სვიმონ მეფე ვერაგულად მოკლეს.

სვიმონის შემდეგ იმერეთის მეფედ დასმული მამია გურიელიც „თუმცა იყო მეფედ“, მაგრამ „წარსაგებლითა თვისითა“, რადგან „სამეფონი დაბანი, აგარანი და შემოსავალნი ეპყრა აბაშიძეს და ასულსა მისსა თამარს“. ასეთ შევიწროებულ მეფობას გურიელმა, ბოლოს, გურიელობა არჩია და წავიდა იგი გურიასავე 1701 წ.

ამის შემდეგ სამი წლის განმავლობაში იმერეთში მეფე სულ არ დაუსვამთ. მთავრობდა გიორგი აბაშიძე და „განეგებოდა მის მიერ ყოველი იმერეთი“. ამდენად, მართალია, იგი, როცა ერთ ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში ამბობს: „ამ სოფელს არა მაკლდა რა, ცამდის არ ვიყავ ასული“.

გიორგი აბაშიძის მმართველობა ქვეყნისთვის ცუდი არ ყოფილა. მის დროს იმერეთში ადმინისტრაციული წესრიგი და მყუდროება დამყარდა: „ვერვინ იკადრებდა პარვად რისიმედ“ და „განყიდვად ტყვისა“.

ოსმალთათვის დაწესებული „ქრთამის“ მიცემაც შეწყდა იმერეთში. გაძლიერებული აბაშიძე არც „ეგდენ“ მორჩილებდა და არც „ქრთამს“ აძლევდა ახალციხის ფაშას.

იმერეთის ასეთ გამგებელს ოსმალეთი, ცხადია, დიდ ხანს ვერ მოითმენდა. სულთანმაც 1703 წელს აბაშიძის წინააღმდეგ არზრუმის ფაშა გამოგზავნა დიდძალი ჯარით.

აბაშიძემაც საჭირო ზომები მიიღო: ლაშქარს თავი მოუყარა. შემოიფიცა მთელი იმერეთი დადიან-გურიელითურთ, მოსახლეობა „დახიზნა“, იმერეთში შემოსავლელი გზები შეკრა, ჭალა-ტყის კოშკები თხრილებით გაამაგრა.

მტერს იმერეთში შემოსვლა გაუძნელდებოდა, რომ ფეოდალურ შუღლს მისთვის გზა არ გაეხსნა (გურიელი და ლიპარტიანი დამპყრობლებს მიუვიდნენ).

თურქებმა მოსწვეს არგვეთი, დაანგრიეს ციხე-კოშკები. მათი ლაშქრობა აქ დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ ამ დროს (1703 წ.) სულთნის კარზე დაწყებული „შფოთის“ გამო თურქთა ჯარი იმერეთიდან გაიწვიეს, ოსმალთა სარასკერმა არზრუმის ფაშამ თავის ქეჰას (მოადგილეს) აბაშიძესთან დაზავება უბრძანა. ქეჰა დაეზავა აბაშიძეს. უკანასკნელმა ქეჰას მოთხოვნით დაანგრია შორაპნის ციხე. ქეჰამ იმერეთის მეფედ ტახტის კანონიერი მემკვიდრე გიორგი ალექსანდრეს ძე დასვა. იგი აბაშიძეს „აშვილა“, მისი „მოურვეობაც“ მას მიანდო. აბაშიძემ მისცა ქეჰას „მძევალი და ქრთამი“ და ოსმალთა ჯარი „უკუიქცა“.

გიორგი აბაშიძემ ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით: მისი ბრძანებით იმერლებმა „შეკრეს მთა ფერსათი და მოსვრიდნენ მრავალთა ოსმალთა“: მოკლეს კოლა ფაშა, დაჭრეს ისაყ ახალციხის ფაშა. განადგურებულმა თურქთა ლაშქარმა დატოვა არათუ აღებული „ქრთამი“ – „ურიცხვნი ცხენნი, ჯორნი და აქლემნი კიდებულნი“.

ამის შემდეგ იმერეთში, ისევ გიორგი აბაშიძე გაბატონდა.

ოსმალთა მიერ მეფედ დასმული გიორგი VI აბაშიძის შიშით ექვს წელს ქუთაისის ციხიდან არ გამოსულა. უფრო მეტ ხან დარჩებოდა მეფე ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ, ბოლოს, გიორგი აბაშიძის ბატონობა მოსწყინდათ იმერეთის თავადებს. გადაუდგნენ მას მისი ძმისწულებიც: ზურაბ, სვიმონ, ვახუშტი აბაშიძეები და მეფეს მიემხრნენ. ამაში გარკვეული როლი ითამაშა ქართლის ჯანიშინმა ვახტანგმა, რომლის ძმის ასულ როდამთან იყო დაქორწინებული იმერთა მეფე გიორგი VI. ამ მეფის მხარეზე „გარდმოიბირა“ ვახტანგმა აგრეთვე შოშიტა რაჭის ერისთავი, გრიგოლ კათალიკოსი, გენათელი და სხვები. 1709 წელს მეფემ დაიპყრო გიორგი აბაშიძის საგვარეულო ციხესიმაგრეები: კაცხი და ნავარძეთი. ასეთ ვითარებაში მას იმერეთში დარჩენა აღარ შეეძლო და 1711 წელს იგი ქართლის ჯანიშინს მიენდო. სიცოცხლის ბოლო წლები დამარცხებულმა არგვეთის თავადმა ვახტანგის საფარველს ქვეშ გაატარა. გიორგი გარდაიცვალა თბილისში 1722 წლის 15 ოქტომბერს, „წარმოგზავნეს და დაკრძალეს კაცხს, მამა-პაპათა მონასტერში“ (სოსელია 1973: 177-181).

ქართული წერილობითი ძეგლების თანახმად, გიორგი აბაშიძე ერთ-ერთ ძლიერი და გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა იყო იმდროინდელ იმერეთის სამეფოში, უფრო მეტიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ფაქტიურად იმერეთის მმართველადაც გვევლინება.

როგორც ოლღა სოსელია ფიქრობს, გიორგი აბაშიძის ბერად მალაქიას სახელით შედგომის მიზეზი გახლდათ 1658-1676 წლებში ჩადენილი ცუდი საქციელი. უფრო კონკრეტულად, საუბარია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცულ ერთ-ერთ საბუთზე, რომელიც შემდგომი სახით იკითხება: „...ესე ... უტყუარი ფიცი, პირი და საფიცა|რი მოგართვით ჩვენ, აბაშიძემა გიორგი{მ}, შვილმა ჩემ{მ}ა ფინეზ, შვილმა და მომავალმა ჩვენმან ყოვე[ლთავე] | თქუენ, აბაშიძეს, ბატონს პა{ა}ტას, შვილთა და მომავალთა თქუენთა.

ასრე და ამა პირსა ზედა, | რომე გამირისხდა ღ(მერთ)ი და მომივიდა ამრიგი საქმე და კურთხეული ბატონი მამათქუენი | მოვკალ და კურთხეული ბატონისშვილი ბატონი დედათქუენი [დავ]კოდეთ და ბევრი ავი საქმე || ვქენ, სიკუდილსაც მემართლებოდით და წაჴდენასაცა. წინათ კურთხეულ|ი ბატონი როსტომ {მ}ეფე და კურთხეული ბატონი მეფე ალექსანდრე და სულა იმერელ|ნი და ქართველნი შუა ჩამოვიდნენ და არა ჰქენით და ვერ შეგვარიგეს და ახლა თავა|თ თქუენის ღ(მრ)თის გულისათვინ და მერმე კურთხეულის ბატონის მამის თქუენისა და | დედისთქუენის სულისათვინ და მერმე ბატონი შანაოზ მეფე და სულა დარბაისე|ლნი შუაჩამოვიდნენ. მოიბრუნეთ გული და ჩვენის ამდენის დანაშავების პასუ|ხი არ გუიყავით და ჩვენი შერიგება მოინდომეთ, ჩვენ ბატონის მამისთქუენის და დედის|თქუენის სისხლის მოცემა როგორ შეგვეძლო, მაგრამე თქუენს ღ(მრ)თ(ი)ს მიმადლი|თ მოგართვით ნასისხლად ჩხერის ციხე, იქავე გოგიჩაშვილი მისის მამული|თა, ივანა ნიყუაძე მისის მამულითა და სახლისკაცითა, დათია ბლუაშვილი, უბ|ისას თევდორე მისის შვილითა და მამულითა, ნასყიდა კაპანაძე მისის სახლის კაც|ითა და მამულითა, ზაქუტა მაქაძე მისის სახლისკაცითა და {მა}მულიტა, ილემს | მამუკა გორგაძე მისის სახლისკაცითა და მამულითა, ესრა თქუენის სისხლის | სანუქბო არის, მაგრამე ამას გარეთ ჩემი თავი, ჩემი შვილი და მამული თქუენს | ჴელად მამიგდია ...“ (ხეც, Sd-535).

როგორც საბუთიდან ვიტყობთ, გიორგი აბაშიძეს პაატა აბაშიძის მამა მოუკლავს, ხოლო მისი დედა – ბატონიშვილი დაუჭრია. გიორგი აბაშიძისა და პაატა აბაშიძის შესარიგებლად ქართლის მეფე როსტომმა (1633-1658), იმერეთის მეფემ, ალექსანდრე III-მ (1639-1660) და იმიერ-ამიერ ქართველმა დიდებულებმა იშუამდგომლეს, თუმცა მათი შერიგება ვერ მოახერხეს. სახლიკაცების შერიგება ქართლის მეფემ – ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675) შეძლო, რის სანაცვლოდაც გიორგი აბაშიძემ პაატას თავისი მშობლების სისხლის ფასად ჩხერის ციხე და ყმები თავიანთი მამულებით უბოძა. თუ საბუთის ტექსტიდან ამოვალთ, ვერ გავიზიარებთ ოლღა სოსელიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს გიორგი აბაშიძემ პაატას მშობლები 1658-1676 წლებში მოკლა. საბუთში გარკვევით არის ნათქვამი, რომ მოსისხლე მხარეების შერიგება თვით ქართლის მეფე როსტომსა და იმერეთის მეფე ალექსანდრე III უცდია. თუ გავითვალისწინებთ იმერეთის მეფის ზეობის წლებსა – 1639-1660 წლები და როსტომის გარდაცვალების თარიღს – 1658 წელს, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა გაცილებით ადრე, უფრო კონკრეტულად XVII საუკუნის 40-50-იან წლებში. არც ის მოსაზრება მოგვაჩნია მართებულად, რომ თითქოს გიორგი აბაშიძე იძულებული შეიქმნა ბერად შემდგარიყო პაატა აბაშიძის მშობლების მოკვლის გამო. აღნიშნული მოსაზრებას დოკუმენტურად ადასტურებს ცხრუკვეთის ეკლესიის 1679 წლის სააღმშენებლო წარწერა, სადაც გიორგი ჯერ კიდევ საერო ცხოვრებას ეწევა და თავის მეუღლესთან ერთად წმიდა მარინეს ეკლესიას აშენებს. თუმცა ჩვენ ვახუშტის თხზულების მიხედვით ვიცით, რომ გიორგი მალაქიას სახელით იყო ბერად შემდგარი და 1684 წელს მომხდარი როკითის ბრძოლაში თავისი ძმების, ლევანისა და პაატას დაღუპვის შემდეგ გაიხადა საბერო ტანსაცმელი და ისევ საერო ცხოვრებას დაუბრუნდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ მისი მონაზონობის წლები. ერთი მხრივ ვითვალისწინებთ ცხრუკვეთის 1679 წლის წარწერის ტექსტს, მეორე მხრივ მხედველობაში ვიღებთ სწავლული ბატონიშვილის ცნობას მალაქია ყოფილ გიორგის კვლავ საერო ცხოვრებაში დაბრუნების შესახებ, მისი მონაზონობის პერიოდს – 1679-1684 წლებით განვსაზღვრავთ.

III გიორგი აბაშიძის კულტურული მოღვაწეობა

როგორც ცნობილია, გიორგი აბაშიძე თავისი აქტიური პოლიტიკური საქმიანობის გარდა, გამოირჩეოდა კულტურულ-საეკლესიო მოღვაწეობითაც, რისი ნათელი დადასტურებაცაა ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი 1679 წლის ცხრუკვეთის წმიდა მარინეს ეკლესიის საეკლესიო წარწერის ტექსტი.

1920-იან წლებში, ექვთიმე თაყაიშვილს მოგზაურობის დროს რაჭა-ლეჩხუმში, კერძოდ, ჭელიშის მონასტერში უნახავს სირმითა და ოქრომკედით შეკერილი გარდამოხსნა, რომელიც დღეისათვის სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში ინახება და შესულია მარტვილიდან. წარწერის ტექსტი შემდეგი სახით იკითხება:

> ჩვენ, ცოდვილმან და ყოველთა მამათა უნარჩევესმან, აბაშიძე გიორგი[მ] და მ|ეუღლემან ჩემმან, ლორთქიფანიძის ასულმან, გულქან, | შევაკერვინეთ გარდამოხსნა ესე სულისა ჩვენისა სახსრად, ცოდვათა ჩვენთა შესანდობე|ლად, ქრ(ი)სტეს აქეთ, ათას შვიდას თხუთმეტსა, ქ(რონი)კ(ონ)სა უე (405+1312=1717 წ.), | ...ძისა ჩვენისა: ლევანის, ბეჟანის, მალაქიას აღსაზრდელად და წარსამართებლად (ბერიაშვილი 2011: 68).

გარდა ამისა, გიორგი აბაშიძისა და მისი მეუღლის, გულქანის დაკვეთით შეუკერავთ კიდევ ერთი საეკლესიო ტანისამოსი – საკოსი, რომელსაც შემდომი წარწერა აქვს: „ღმ(ერთ)ო, აცხონე აბაშიძე გიორგი, განაძლიერე ძე მისი ლევან, ბეჟან და მალაქია. ღმ(ერთ)ო, აცხონე აბაშიძე გიორგი და მეუღლე მისი, გულქან“ (ბერიაშვილი 2011: 207).


როგორც ვხედავთ, აღნიშნული წარწერაში ღმრთისაგან ითხოვენ გიორგი აბაშიძისა და მისი მეუღლის, გულქანის სულის ცხონებასა და მათი ვაჟების: ლევანის, ბეჟანისა და მალაქიას გაძლიერებას მათ მიერ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი ჩვენთვის საინტერესო საეკლესიო ტანისამოსი რომელი ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენდა და ცნობილია როგორც დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ნივთი წარწერაში მოხსენიებული პირების მიხედვით. იქიდან გამომდინარე, რომ წარწერაში მოხსენიებული ისტორიული პირები XVIII საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდნენ აღნიშნული საეკლესიო ტანისამოსის შექმნისა და, შესაბამისად, წარწერის ქრონოლოგიაც XVIII საუკუნის I ნახევრით არის დათარიღებული. თუმცა ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო დავავიწროვოთ წარწერის ქრონოლოგიური ჩარჩოები, ვითვალიწინებთ რა ნავარძეთის („თირის“) ეკლესიის წარწერების თარიღს – 1708 წელსა და გიორგი აბაშიძის გარდაცვალების თარიღს – 1722 წლის 15 ოქტომბერს, საეკლესიო სამოსელის შექმნისა და წარწერის ზოგად ქრონოლოგიურ ჩარჩოს – XVIII საუკუნის I ნახევრის ნაცვლად, 1708-1722 წლებით განვსაზღვრავთ.

როგორც ცნობილია, სწორედ გიორგი აბაშიძის დაკვეთით შეიქმნა არა-ერთი ხელნაწერი. 1705 წლის მის მიერ გარეჯის მონასტრისადმი შეწირულ ხელნაწერის პირველ აშიაზე მოთავსებულია მისივე ხელით შესრულებული ლექსი, რომელიც კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს, რომ ის გახლდათ XVII საუკუნის II ნახევრისა და XVIII საუკუნის I ნახევრის ერთ-ერთ თვალსაჩინო კალიგრაფი. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში (Q) კოლექციაში დაცული გულანი, რომელიც ასევე გიორგი აბაშიძის ფეოდალური ოჯახიდან არის გამოსული.

გთავაზობთ ანდერძის ტექსტის არქეოგრაფიულ აღწერილობას, ანდერძის ტექსტის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და მის ჩვენეულ წაკითხვას:

ანდერძი შესრულებულია 532 r-ს თითქმის მთელ ფურცელზე, ოცდაერთი სტრიქონი, ტექსტის ზომა (საზედაო ასოს ზომების ჩათვლით): 17 X 15,3 სმ.; ნუსხური; პირველი სტრიქონის პირველი გრაფემა, დიდი ზომის საზედაო ასო (მ) – მთავრულით; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი, ორწერტილი ან სამწერტილი რამდენიმე სიტყვის შემდეგ, გამონაკლისს წარმოადგენს XVIII და XXI სტრიქონები. XVIII სტრიქონის ბოლოს დასმულია ორი წერტილი, ხოლო XXI სტრიქონის ბოლოს დასმულია სამი წერტილი; ქარაგმის ნიშანი: პატარა განივი ან კლანილი ხაზი; IX და XVIII სტრიქონებზე ანდერძის დამწერს გამორჩენია შემდეგი გრაფემები („ და ს) და სიტყვის ზემოთ აქვს

ჩამატებული; ანდერძის ტექსტი გამოცემულია ერთხელ ნადია კასრაძის მიერ, 1958 წელს, მხედრული შრიფტით.



მე, უღირსმ(ა)ნ დიდის წ(ა)რჩინ(ე)ბ(უ)ლის ლორთქიფ(ა)ნიძის, მეფის მო|ლარეთუხუცის, ქუთაის{ის} ქ(ა)ლ(ა)ქის მოურ(ა)ვის, დიდის გედევ|ან გენ(ა)თ(ე)ლის ძმის, ბეჟ(ა)ნის ას(უ)ლმ(ა)ნ, კ(ათალიკო) ზის გრ(ი)გ(რ)ლის და ნიკ(ო)ლ(ო)ზ | გენ(ა)თ(ე)ლის დამ(ა)ნ, ერისთ(ა)ვის შოშიტას დედამ და დიდის გ(იორგ)ის აბა|შიძის თ(ან)ამეცხედრემ(ა)ნ და მეუღლემ(ა)ნ, გ(უ)ლქ(ა)ნ, შემოგწირეთ ჩ(უე)ნს ს|აძვ(ა)ლეს მონასტერს, ს(ა)მ(ე)ბ(ა)ჲ წ(მიდ)ის მ(ა)ცხ(ოვა)რს, დავდევით გ(უ)ლანი ესე | ს(უ)ლთა გ(ა)ნმ(ა)ნთლ(ე)ბ(ე)ლი.

პ(ირველა)დ, მალაქია ყ(ო)ფილის გ(იორგ)ი აბაშიძის დაწე|რილი იყო, მ[ერ]ე ის რომ მიიცვალა, ჩ(უე)ნ მოვიტანეთ და დავდევით ს|ულისა საოხად და მეუღლისა ჩ(უე)ნისა აბ(ა)შიძე გ(იორგ)ის ც(ო)დვ(ა)თა შესა|ნდობლ(ა)დ და ძეთა ჩ(უე)ნთა: ლევანის, ბეჟ(ა)ნის და მალაქიას წ(ა)რსამ(ა)რთ|ებლ(ა)დ. ვინ იკითხევდეთ, შ(ე)ნდ(ო)ბ(ა)ს გ(უი)ბძ(ა)ნ(ე)ბდეთ.


აწ, ვინცა და რ(ა)მ(ა)ნცა | ძემ(ა)ნ კ(ა)ცისამ(ა)ნ ეს გ(უ)ლანი კ(ა)ცხ(ი)ს მ(ა)ცხ(ოვა)რს გ(ა)მოსწიროს და გ(ა)მოახვ(ა)ს, |ან მოჰპ(ა)როს ან ძალათ წაართვას ან შეხიზნ(უ)ლი დაუჭიროს | ან ყ(ოველ)თა ვ(ითა)რ(ე)ბის(ა)გ(ა)ნ დაკ(ა)რგ(უ)ლი იშოვნოს და ამ(ა)სვე არ გ(ა)მოუ|გზავნოს, ესემც ს(ა)მ(ე)ბ(ა)ჲ წ(მიდა)ჲ მონასტერი და მ(ა)ცხ(ოვა)რი გაუწყრ(ე)ბ(ა)<ჲ> და ჩ(უე)ნ|ათამც ნუქბ(ა)<ჲ>თ მეორეთ მოსლვას გ<ე>(ა)ირჯებ(ა)<ჲ>. ნუმცარა ეჴსნ(ე)|ბ(ა)<ჲ> მის ს(უ)ლს(ა) წირვითა, ნუცა ლ(ო)ცვითა, ნუცა გლ(ა)ხ(ა)კთ მწყ(ა)ლ(ო)ბ(ელ)ი, | ნუცა იჱ(რუსა)ლ(ი)მს მისლვითა, ქრ(ო)ნიკ(ო)ნსა დას(ა)ბ(ა)მითგ(ა)ნ შჳდიათას ორას ო|ცდა თერთმეტსა, ქ(რისტე)ს აქეთ ათას შჳდას ოცდა ს(ა)მსა, ინდიკტიონ|სა ერთსა მზის მოქცევ[ა]სა შჳდსა მთ(ო)ვ(ა)რის მოქცევ[ა]სა თერთმე|ტსა ზედნადებსა ერთსა, ნ(ოე)ნბ(ე)რსა ათსა, დღ(ე)სა კ(ჳრია)კესა. [8]

როგორც ანდერძის ტექსტი გვაუწყებს, მეფის მოლარეთუხუცესის და ქუთაისის მოურავის, გედევან ლორთქიფანიძის ძმის, ბეჟანის ასულმა, გრიგოლ კათალიკოზისა და ნიკოლოზ გენათელის დამ, რაჭის ერისთავის შოშიტას დედამ და დიდი გიორგი აბაშიძის მეუღლემ, გულქანმა კაცხის მაცხოვრის ეკლესიას გულანი შესწირა. ხელნაწერის შემომწირველი ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე ამახვილებს ანდერძის ტექსტში ყურადღებას და ამბობს, რომ პირველად ეს ხელნაწერი წიგნი მალაქია ყოფილი გიორგი აბაშიძის დაწერილი იყო. სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1723 წლის 10 ნოემბერს, კვირა დღეს შესწირა გულანი კაცხის ეკლესიას მისი და მისი მეუღლის, გიორგი აბაშიძის ცოდვების შესანდობლად და მათი შვილების: ლევანის, ბეჟანისა და მალაქიას სადღეგრძელოდ.

საინტერესოა როგორ უნდა გავიგოთ ანდერძში მოყვანილი ფაქტი გიორგი აბაშიძის მიერ ხელნაწერის დაწერის შესახებ?

დასმულ კითხვაზე პასუხს სცემს ამავე ხელნაწერის სხვა ანდერძ-მინაწერები, რომლის ერთ-ერთ ტექსტს უცვლელი სახით გთავაზობთ.

ანდერძი შესრულებულია 424 v-ს შუაში, დავითნის ტექსტის ბოლოს. ოთხი სტრიქონი, ტექსტის ზომა (საზედაო ასოს ზომების ჩათვლით): 16,3 X 3,2 სმ.; ნუსხური; პირველი სტრიქონის პირველი გრაფემა, დიდი ზომის საზედაო ასო (Ⴑ) – და მეოთხე სტრიქონის პირველი გრაფემა (Ⴟ) მთავრულითა და სინგურით; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის; ანდერძის მესამე და მეოთხე სტრიქონების ბოლოს დასმულია სამი წერტილი; ქარაგმად ნახმარია პატარა კლანილი ხაზი; ანდერძის ტექსტი გამოცემულია ერთხელ ნადია კასრაძის მიერ, 1958 წელ, მხედრული შრიფტით.



ა(ღი)წერნეს წ(ი)გნი ესე და(ვი)თნი შეწევნითა ღ(მრთ)ისა(ჲ)თა და მოჭირვებითა და ბრძანები|თა პ(ა)ტრონის აბაშიძის გიორგისითა, მრ(ა)ვ(ა)ლმცა არიან წელნი ცხ(ოვ)რ(ე)ბისა მ|ის(ის)ანი. შ(ე)ნ, მ(რ) წყ(ა)ლეო და კ(ა)ცთმ(ო)ყ(ვა)რეო ო(ფალო), ი(ესო)ჳ ქ(რისტ)ე, ღ(მერთ)ო, ღ[ი]რს ყ(ა)ვ ორთავე შ(ინ)ა ცხ(ოვ)რ(ე)ბ(ა)თა, ა(მე)ნ.
დაიწერა წიგნი ესე ჴ(ე)ლითა ფ(რია)დ ც(ო)დვილისა ნ(ი)კ(ოლო)ზ ბაკურაძისათა, შ(ე)ნდ(ო)ბ(ა)ჲსა გ(ევედრე)ბით.

ანდერძის ტექსტის თანახმად, გულანის ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილი – დავითნი ნიკოლოზ ბაკურაძეს გიორგი აბაშიძის დაკვეთით მის სადღეგრძელოდ გადაუწერია. ამის გათვალისწინებით, სრულიად ცხადია, რომ ხელნაწერი სწორედ გიორგი აბაშიძის დაკვეთით არის გადაწერილი. ხელნაწერის სხვა ანდერძ-მინაწერებშიც გიორგი აბაშიძე გვველინება ხელნაწერის შექნის ინიციატორად. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, გულქან ლორთქიფანიძის კაცხის მონასტრისათვის შეწირულების ანდერძში აღნიშნულ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ თავდაპირველად ეს ხელნაწერი თავად მალაქია ყოფილი გიორგი აბაშიძის დაწერილი იყო, არ გამოვრიცხავთ, რომ მას თავადაც მიეღო მონაწილეობა ხელნაწერის წერის პროცესში სხვა გადამწერებთან ერთად.

ჩვენი წინამორბედი მეცნიერის – ნადია კასრაძის მიერ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი გულქან ლორთქიფანიძის შეწირულების ანდერძის ტექსტის მიხედვით 1723 წლით არის დათარიღებული. სინამდვილეში ხელნაწერი გაცილებით ადრეა გადაწერილი. ჩვენ ვითვალისწინებთ რა გიორგი აბაშიძის მონაზონობის წლებს – 1679-1684 წლებს, ამავდროულად მხედველობაში ვიღებთ იმერეთის მეფის მიერ 1709 წელს გიორგი აბაშიძის დამარცხებას, მისი კუთვნილი ციხე-სიმაგრეებისა და მამულების დაკავებასა და სიცოცხლის ბოლომდე ანუ 1722 წლის 15 ოქტომბრამდე მის მიერ ქართლში ვახტანგ VI-ის სამეფო კარზე გატარებულ წლებს, ხელნაწერის შექმნის თარიღად 1679-1684 ან 1709-1722 წლებს მივიჩნევთ.

შენიშვნები

[1] წინამდებარე ნაშრომი 2016 წელს ჩვენ მიერ მოხსენების სახით წაკითხულ იქნა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ილია აბულაძისადმი მიძღვნილ VI სამეცნიერო კონფერენციაზე.

[2] პროექტი „ჭიათურის რაიონის ხუროთმოძღვრული ძეგლები (გზამკვლევი)“ ქალაქ ჭიათურის კულტურის სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

[3] საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, პასპორტის ცნობა ცხრუკვეთის ეკლესიის შესახებ.

[4] მეტი თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 1304 წელს აგებული თმოგვის წმიდა მარინეს ეკლესია (სილოგავა 2012: 62-62) და ქვემო ქართლში მდებარე დმანისის ნაქალაქარის წმიდა მარინეს ეკლესია (ოთხმეზური 2017: 206).

[5] ვახტანგ ბერიძეს თავის სამეცნიერო პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით; გ) წარწერის ნაკითხვა; დ) წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი; და ე) ეკლესიისა და წარწერის შავ-თეთრი ფოტოები (ბერიძე 1994: 186-187).

[6] წარწერის ნაკითხვა სხვა გამოცემებში:

ვახტანგ ბერიძე: „ქნ: ჱი წმიდაო სამებაო ერთარსებაო, ყოველთა ხილულთა და უხილავთა შემოქმედო,

მამაო, ძეო და სულო წმიდაო, დაუსაბამო და დაუსრულებელო, შეიწყალე ტაძრისა ამის შენის ამგები აბაშიძე გიორგი და თანამეცხედრე მისი გულქან ლორთქიფანიძის ასული. ქრისტეს აქეთ ქრონიკონს ჩღც, ადამს აქეთ ჴსივ“ (ბერიძე 1994: 187).

[7] 1698 წელს, თუ მის ახლო ხანს ასე ათარიღებდა იგი (გულისხმობს ვახუშტი ბატონიშვილს - თ.გ; ი.გ; დ.გ.) მისი პირველი ცოლის სიკვდილს, მეორე ცოლის გაშვებასა და მესამი ცოლის ბეჟან ლორთქიფანიძის ასულის გულქანის მოყვანას. თუმცა, როგორც ბაბილინა ლომინაძემ სწორად მიაქცია ყურადღება თავის სტატიაში „მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის“ იმ ფაქტს, რომ „გრიგოლ ლორთქიფანიძე კათალიკოსობს 1696 წლიდან, ამაზე მიუთითებს მისი საკათალიკოსო ბეჭდის თარიღი“ „მფე და მღუდელთმთავარი აფხაზეთის კზი გრიგოლ ქკს ტპდ„ (1696 წ.). ვახუშტი აშკარად ცდება, როცა გრიგოლის გაკათოლიკოსებას 1698 წლის ამბებში სდებს“ (ლომინაძე 1954: 133).

[8] ანდერძის ტექსტი წინა გამოცემებში: „მე, უღირსმან დიდის წარჩინებულის ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ის მეფის მოლარეთუხუცის, ქ უ ა თ ა ი ს ქალაქის მოურავის, დიდის გ ე დ ე ვ ა ნ გ ე ნ ა თ ლ ი ს ძმის ბ ე ჟ ა ნ ი ს ასულმან, კათალიკოზის გ რ ი გ ო ლ ი ს და ნ ი კ ო ლ ო ზ გენათლის დამან, ერისთავის შოშიტას დედამ და დიდის გ ი ო რ გ ი ს ა ბ ა შ ი ძ ი ს თანამეცხედრემან და მეუღლემან გულქან შემოგწირეთ ჩ˜ნს საძვალეს, მონასტერს, სამებაჲ ნ˜ის მცხ˜რს დავდევით გ უ ლ ა ნ ი ესე სულთა განმანათლებელი. პ˜დ მ ა ლ ა ქ ი ა ყოფილის გ ი ო რ გ ი ა ბ ა შ ი ძ ი ს დაწერილი იყო, მე (!), ის რომ მიიცვალა, ჩ˜ნ მოვიტანეთ და დავდევით სულისა ჩ˜ნისა საოხად და მეუღლისა ჩ˜ნისა ა ბ ა შ ი ძ ე გ ი ო რ გ ი ს ცოდვათა შესანდობლად და ძეთა ჩ˜ნთა ლ ე ვ ა ნ ი ს, ბ ე ჟ ა ნ ი ს და მ ა ლ ა ქ ი ა ს წარსამართებლად; ვინ იკითხვიდეთ, შენდობას გჳბძანებდეთ. აწ, ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ესე გ უ ლ ა ნ ი კ ა ც ხ ს, მც˜ხრს, გამოსწიროს და გამოახვას, ან მოჰპაროს, ან ძალათ წაართვას, ან შეხიზნული დაუჭიროს, ან ჟამთა ვითარებისაგან დაკარგული იშოვნოს და ამასვე არ გამოუგზავნოს, ესემც სამაბაჲ ნ˜ჲ მონასტერი და მც˜ხრი გაუწყრებაჲ და ჩ˜ნათამც ნუებაჲთ მცირეთ მოსლვას გაირჯებაჲ. ნუმცა რა ეჴსნებაჲ მის სულს წირვითა, ნუცა ლოცვათა, ნუცა გლახაკთ მწყალობი, ნუცა იცრუსალემს მისლვითა. ქორონიკონსა დასაბამითგან შჳდიათას ორას ოცდათერთმეტსა, ქრისტეს აქეთ ათას შჳდას ოცდასამსა, ინდიკტიონსა ერთსა, მზის მოქცევსა შჳდსა, მთვარის მოქცევსა თერთმეტსა, ზედნადებსა ერთსა, ნოენბერსა ათსა დღესა კჳრიაკესა“ (აბულაძე 1958: 85-86).

დამოწმებანი

აბულაძე 1958: *ქართული ხელნაწერთა აღწერილობა*, ახალი (Q)კოლექცია, ტომი II, შედგენილი და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ბერიაშვილი 2011: *ქართული ნაქარგობა*, ავტორები: გულნაზ ბარათაშვილი, ე. ბერელაშვილი, მ. კეცხოველი, ი. მელიქიშვილი, ნ. ნადარაია, ე. სულხანიშვილი, რედაქტორი: ლ. ბერიაშვილი. თბილისი, ჯემალ ქარჩხაძის გამომცემლობა.

ყაუხჩიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, საბჭოთა საქართველო.

ბერიძე 1994: ვ. ბერიძე. *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება*. თბილისი, მეცნიერება

ლომინაძე 1954: ბ. ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, *მასაღები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 31. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ოთხმეზური 2017: *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი*, ტ. I დმანისის რაიონი V-XVIII სს. თბილისი.

სილოგავა 2012: *ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი*, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს: † ვ. სილოგავამ, ლ. ახალაძემ, მ. ბერიძემ, ნ. სულავამ და რ. ყავრელიშვილმა. თბილისი, ნეკერი.

სოსელია 1973: ო. სოსელია. *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან*. თბილისი, მეცნიერება.

ხეც, Sd-535: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-კოლექცია, საბუთი 535.



სურ. 8 1679 წ. ცხრუკვეთის წმიდა მარინეს ეკლესია (ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან)



სურ. 9 1708 წლის ნავარძეთის („თირის“) ეკლესია (ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან)

AN UNKNOWN BUILDING INSCRIPTION FROM THE CHURCH OF ST. MARINE OF TSKRUKHETI VILLAGE OF 1679 AND ITS SIGNIFICANCE FOR THE FEUDAL HAUSE OF ABASHIDZE

Tamaz Gogoladze
Korneli Kekelidze National Center of Manuscripts
tazogogoladze@yahoo.com
Irakli Gelashvili
Korneli Kekelidze National Center of Manuscripts
Gelashvili_irakli@yahoo.com
Darejan Gvelesiani
Independent Researcher
gvelesianid@yahoo.com

In the present work, we have brought the construction inscription of Tskhrukets of 1679, unknown in Georgian historiography, mentioning Giorgi, his spouse – Martha, and their children. Based on the mutual comparison of Georgian epigraphic monuments (inscriptions of the so-called "Tiris" church in Navardzeti) and Georgian narrative sources (Vakhushti Batonishvili), we identified the founder of the temple – Giorgi Fulabioti with Giorgi Abashidze, a famous and influential Imerel feudal lord who worked in the second half of the 17th century and at the beginning of the 18th century. In addition, we found out the name of his first wife Martha, who was also unknown to Georgian community, and the heavenly patron of the temple, Saint Marine. On the basis of the historical and source-studies analysis of the inscription, the years of nunnery (1679-1684) were established, and we also narrowed down chronological frames of the creation of the church item ("sakos") commissioned by her and her third husband, Gulkan Lordkifanidze, and the inscription embroidered on it, and instead of the first half of the 18th century, we defined it by the years 1708-1722. Finally, we changed the date of copying of one of the Gulan's (Q-631) copied by his order to 1679-1684 or 1709-1722 instead of 1723.

დავით აღმაშენებლის რელიგიური პოლიტიკა საქართველოს მუსლიმური თემის მიმართ[1]

დავით თინიკაშვილი
კავკასიის უნივერსიტეტი
dtinikashvili@cu.edu.ge

დავით აღმაშენებლის მმართველობა მრავალი კუთხით გამოირჩევა. აღნიშნული მეფის სახელი თავად მიუთითებს მისი მოღვაწეობის შინაარსსა და მიღწევებზე. დავითის ეპოქა ასევე განეკუთვნება საქართველოს ისტორიის ოქროს ხანას, როდესაც საქართველო არა მხოლოდ ტერიტორიულად გაერთიანებული და ეკონომიკურად ძლიერი შეიქნა, არამედ განსაკუთრებით აღორძინდა აგრეთვე ქართული კულტურაც – ლიტერატურა, არქიტექტურა, ფერწერა, პოეზია და სხვა. გატარდა მნიშვნელოვანი შიდა საეკლესიო რეფორმები რუის-ურბნისის კრების საშუალებით. ამჯერად, შევეხები დავითის მიერ წარმოებულ რელიგიურ პოლიტიკას არაქრისტიანების, კერძოდ მუსლიმების მიმართ.

დავით მეოთხის (ასევე დემეტრე პირველისა და გიორგის მესამის) მუსლიმებთან ურთიერთობების შესახებ შემორჩენილია არაბულენოვანი მემატიანეების ცნობები, რომელთა აქ წარმოდგენის შემდეგ ისინი სათანადოდ გაანალიზდება.

პირველი მათგანია ალ-ფარიკი,[2] რომელიც 1153-1154 წლებში თბილისში არსებულ ვითარებაზე წერს, რაც მას საკუთარი თვალით აქვს ნანახი. ალ-ფარიკი დემეტრე მეფის სამსახურში იმყოფებოდა და მეფეს საქართველოს სხვადასხვა მხარეში თან დაჰყვებოდა და საინტერესოდ აღწერდა ქართველთა ყოფა-ცხოვრებას. ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა მისი უწყება, რომ დავითმა თბილისის აღების შემდეგ მნიშვნელოვანი პრივილეგიები მიანიჭა მუსლიმ მოსახლეობას. დავითმოწმოთ ვრცელი ციტატა ალ-ფარიკის ჩანაწერიდან:

> დაუდო მუსლიმებს ყველა პირობა, რაც მათ მოისურვეს იმ პირობათაგან, რომლებიც ძალაშია ახლაც. ეს პირობებია: რომ არ გადავიდოდა ამ ქალაქის მუსლიმთა უბანში ღორი, არც დაიკვლებოდა იქ და არც იქნებოდა [გასაყიდად] ბაზარზე; მოუჭრა მათ დირჰემები, რომლის ერთ მხარეზე იყო სახელები სულთნისა და ხალიფასი, მეორე მხარეზე სახელი ალლაჰისა და სახელი წინასწარმეტყველისა, მშვიდობა მას. მისი (მეფის) სახელი კი დირჰემის კიდეზე იყო ამოტვიფრული. ქალაქში გამოაცხადა, რომ ვინც მუსლიმანს რაიმე ვნებას ან ზიანს მიაყენებდა, ნებას რთავდა დაუსჯელად მისი მოკვლისა. პირობა დაუდო, რომ ამკარად შეიძლებოდა აზანისა და სალათის (ლოცვისკენ მოწოდება, მთარგ.) შესრულება და ყურანის კითხვა; რომ წარმოეთქვათ ხუტბა პარასკევობით, ელოცათ და მოეხსენებიათ ხალიფა და სულტანი და არ მოეხსენებიათ მინბარიდან მათ გარდა არავინ. დაუდო პირობა, რომ თბილისში, ისმაილის აბანოში არ შევიდოდა არც ქართველი, არც სომეხი და არც იუდეველი და განსაზღვრა ამ წელს ქართველის სამსახური 5 დინარით, იუდეველს 4 დინარით, მუსლიმის 3 დინარით. მეფემ მიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი. მეცნიერებს, ღვთისმეტყველებს და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონიათ (თვით) მუსლიმებთანაც კი. მე ვნახე ყველა ეს პირობა ძალაში იყო მაშინაც, როცა ჩავედი თბილისში 548 წელს (ქრისტიანული წელთაღრიცხვით, 1153-1154 წწ.), მე ვნახე აბხაზთა მეფე დიმიტრი, რომლის სამსახურშიც ვიმყოფებოდი, როგორ ჩამოხდა თბილისში და დარჩა იქ რამდენიმე ხანს. ერთ პარასკევ დღეს იგი მივიდა ჯამეში, დაჯდა ქვის საჯდომზე ხატიბის (მუსლიმი სასულიერო პირი, დ.თ.) პირდაპირ და ფეხი არ მოუცვლია, ვიდრე არ ჩაათავეს ხუტბა ხატიბმა და ხალხმა. მთელი ხუტბა მოისმინა, შემდეგ გავიდა და შესწირა ჯამეს 200 წითელი დინარი (სიხარულიძე 1985: 89).[3]

მეორე არაბულენოვანი მემატიანე სიბტ იბნ ალ-ჯაუზი 1122-1123 წლებში არსებული ვითარების შესახებ მოგვითხრობს, რომ

> [დავით მეფის მიერ თბილისის აღების შემდეგ მუსლიმმა მოსახლეობამ] თხოვეს მას ზოგი რამ. მან (დავით მეფემ) მისცა მათ ზოგიერთი პრივილეგია. ისინი აქამდე არსებობენ. იმ პრივილეგიებში შედიოდა, რომ დავითი არ დაკლავდა იქ (თბილისში) ღორს, ამოკვეთდა დირჰემებსა და დინარებზე ალლაჰის, მისი მოციქულისა და ხალიფას სახელებს, შეასრულებდნენ მუსლიმი მცხოვრებლები

პარასკევ დღეს აბანსა და ხუტბას, არ შევიდოდა ურწმუნო აბანოში მუსლიმებთან ერთად და რომ არ შეავიწროვებდა ურწმუნო მუსლიმს. ყველა ეს პრივილეგია დღესაც აქვთ მათ. დავითი ყოველ პარასკევს შედიოდა მეჩეთში, მასთან ერთად იყო ხოლმე მისი შვილი დიმიტრი, ისმენდა ხუტბასა და ყურანის კითხვას და აძლევდა ხატიბსა და მუეზინებს მრავალ ოქროს. მან ააშენა ქარვასლები სტუმართათვის და სახლები მქადაგებელთათვის, სუფიებისა და პოეტებისათვის. დააწესა მათთვის სტუმართმოყვარეობა. და თუ მოისურვებდნენ ისინი წასვლას თბილისიდან, ნებას დართავდა და მოამარაგებდა მათ მრავალი ქონებით. იგი (დავითი) მეტ პატივსა სცემდა მუსლიმებს, ვიდრე მათ სცემდნენ პატივს ისლამის მფლობელები (ცქიტიშვილი 1967: 205).[4]

აღნიშნული წყაროს ქართული თარგმანის პუბლიკაციის ავტორის სიტყვით, „დავით აღმაშენებლის ამ პოლიტიკას, რომელიც შემდგომში დიმიტრი პირველსაც გაუგრძელებია, მკვლევრები რჯულთშეწყნარების პოლიტიკას უწოდებენ“. ეს პოლიტიკა, გარდა ზემოაღწერილისა, ალ-ფარიკის ცნობით, გამოიხატა ასევე კონკრეტულ ეკონომიკურ ღონისძიებაში, რაც დავით მეფეს განუხორციელებია, კერძოდ, მას დაუკისრებია მუსლიმთათვის წელიწადში 3 დინარი სულზე მაშინ, როცა ქართველებს უნდა ეხადათ 5, ხოლო ებრაელებს 4 დინარი (ცქიტიშვილი 1967: 212).[5]

ასევე არაბი მოგზაურის, იბნ ჰაუკალის თხზულების XII საუკუნის ჩანართში[6] დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების შემდგომი პერიოდის შესახებ აღნიშნულია, რომ

ისლამის წესები იქ ისევე სრულდება, როგორც წინათ. საკრებულო მეჩეთი დაცულია ყოველგვარი უკეთურებისაგან. მეფე [დემეტრე I] ანთებს იქ სანთელსა და კანდელს და ასრულებს, რაც საჭიროა. აზანი მის ყველა მეჩეთში წარმოითქმის (სიხარულიძე 1976: 35).

იბნ ჰაუკალის ამ უწყებასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ ამიკო ეჯიბიას უახლესი კვლევა, რომლის მიხედვითაც აქ უნდა იგულისხმებოდეს მეფე გიორგი მესამე და არა დიმიტრი პირველი.[7] ამრიგად, ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად, მეჩეთში ღვთისმსახურებას ესწრებოდა *სამი ქართველი მეფე*: დავით მეოთხე აღმაშენებელი, დიმიტრი პირველი და გიორგი მესამე.

* * *

ამგვარია ისტორიული ცნობები მოცემულ თემაზე. ქართველი მართლმადიდებელი ფუნდამენტალისტები ყველანაირად ცდილობენ უარყონ ისტორიული წყაროებით დადასტურებული ფაქტები, რაც დავით აღმაშენებლის მუსლიმებთან რელიგიურ ურთიერთობას ეხება. აღნიშნულ ქართველ ავტორთა კრიტიკის ობიექტი უმთავრესად ამ ურთიერთობის სწორედ რელიგიური კომპონენტია, თუმცა ამ ურთიერთობაში რელიგიურ და პოლიტიკურ შემადგენელს ასე მკაფიოდაც ვერ გავმიჯნავთ ერთმანეთისგან, რადგან საუბარია შუა საუკუნეების ქვეყნის მმართველზე და მის მიერ წარმოებულ პოლიტიკაზე. ეს თემა არასდროს ყოფილა ფოკუსირებულად გაანალიზებული თეოლოგიურ ჭრილში, როგორადაც ეს ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

ე.წ. მართლმადიდებლური სიწმინდის დამცველთა აზრით, შეუძლებელი იყო, რომ „წმიდანად შერაცხულ“ მეფე დავით აღმაშენებელს მეჩეთში ევლო და იქ ელოცა „საეკლესიო კანონების საწინააღმდეგოდ“.

როგორც ჩანს, ამგვარი მოსაზრების ავტორები თვლიან, რომ საეკლესიო თუ საერო პირის კანონიზირება თავისთავად გულისხმობს მის მიერ ყველა თეოლოგიური იდეისა თუ კანონის ცოდნას. მაგრამ საქართველოს ეკლესიას ისეთი წმინდანებიც ჰყავს, რომლებსაც არასაკმარისი ცოდნა ჰქონდათ ქრისტიანულ თეოლოგიასა და საეკლესიო კანონმდებლობაში. თუნდაც რომ სცოდნოდა მეფეს საუკუნეების წინ ამ საკითხზე მიღებული კანონები, წმინდანად შერაცხულობა არ ნიშნავს უშეცდომობასა და, მით უმეტეს, უცოდველობას, ამ შემთხვევაში კი, იმ წესების განუხრელ და აუცილებელ დაცვას, რომელთა შესახებ თეორიული ცოდნა შეიძლება ჰქონდეს ვინმეს.

გარდა ამისა, მეფის დღევანდელი რელიგიური აპოლოგეტები დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელისთვის ამგვარი სპეციფიკური და ძალზედ ვიწრო დანიშნულების საეკლესიო კანონები მნიშვნელოვანი იქნებოდა. განსხვავებული რელიგიური რწმენის პირებთან ერთად ლოცვისა და ზიარების ამკრძალავი კანონები, უმთავრესად, რიგითი ქრისტიანებისთვის და არა, ასე ვთქვათ, ხელმძღვანელი პირებისთვისა და რწმენაში ძლიე-

რებისთვის იყო დადგენილი. თვით იმ ეპოქაშიც კი, როცა ეს კანონები მიიღეს, ეკლესიის მამებს დასაშვებად მიაჩნდათ შემოქმედებითი და თავისუფალი მიდგომა მსგავსი შეზღუდვებისადმი. მაგ., წმინდა იოანე სინელი (კლემაქსი) „მწყემსის მიმართ“ თავის სიტყვაში წერდა: „როგორც მამების მიერ არის დაწერილი, უძლურებმა მწვალებლებთან ერთად არ ჭამონ; ხოლო ძლიერები, თუ უფლის სადიდებლად მათთან წასვლა და ჭამა სურთ, დაე წავიდნენ“ (ცომაია 2008: 328).[8] ამრიგად, ხსენებულ კანონებს ფარდობითი და არა აბსოლუტური მნიშვნელობა ჰქონდა, სხვა სიტყვებით, განუხრელად ყველასთვის სავალდებულოდ არ იყო მიჩნეული.

ზოგადად ამ კანონებს დროებითი ზომის მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ისინი შემოიღეს ორთოდოქსებსა და ერეტიკოსებს შორის დაპირისპირების „მწვავე სტადიაში“, როგორც ამას თავის დროზე სრულიად სამართლიანად და მახვილგონივრულად თეოლოგი, სერგი ბულგაკოვი აღნიშნავდა[9] და თუკი არ არსებობს ასეთი მწვავე ურთიერთდაპირისპირება, მსგავსი თავდაცვითი კანონების გამოყენება აზრს კარგავს. როდესაც არსებობს კეთილგანწყობა ან სწრაფვა კეთილმეგობრული დამოკიდებულების წარმოქმნისკენ, მაშინ არაგონივრულია ამგვარი კანონების პრაქტიკაში ასეთი სკრუპულოზური იმპლემენტირება. ასეთ დროს მსგავსი კანონების შეჩერება გამართლებულია თვით რელიგიური თვალსაზრისითაც და არა ოდენ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

ამრიგად, შეცვლილი მდგომარეობა განსხვავებულად მოქცევის საჭიროებას ქმნის და სწორედაც რომ განსხვავებული იყო ვითარება დავითის მმართველობის დროს, როცა ქვეყანაში არსებობდა მუსლიმთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელთა მიმართ შემწყნარებლობა და არა მხოლოდ შემწყნარებლობა (ანუ მათი მოთმენა და ატანა), არამედ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის დამყარება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ქართველ მართლმადიდებელ ფუნდამენტალისტებს შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ მეფე დავითი ყურანს ისმენდა, რადგან ამ სურებში უარყოფილია წმიდა სამება და ქრისტე ოდენ წინასწარმეტყველად იწოდება, და არა ძედ ღმრთისა. ამგვარი რწმენა მათთვის საკმარისი საფუძველია, რომ ისტორიული ცნობები ნაყალბევად მიიჩნიონ. მაგრამ საკითხავია, ყურანის მხოლოდ მოსმენა რატომ ნიშნავს უკლებლივ მისი ყველა მუხლის შეწყნარებას, გაზიარებასა და აღიარებას თეოლოგიური თვალსაზრისით?

ასევე უთითებენ, რომ დავითი ზოგჯერ სჯა-ბაასს უმართავდა თბილისელ მუფთებს სარწმუნოების შესახებ, აოცებდა რა მათ ყურანის ცოდნით. რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მეფე აღნიშნულ სჯა-ბაასებს მხოლოდ მუსლიმების კრიტიკისა და მხილების მიზნით მართავდა და არა ცნობისმოყვარეობისა და ყურანის ღრმა შესწავლის განზრახვით? ამგვარი საფუძველი არათუ არ არსებობს, არამედ ის ვერც იარსებებდა, რადგან მუსლიმების კრიტიკა და, შესაბამისად, მათთან რაიმე დაძაბულობის შექმნა ან ერთგვარი დამცირება რომ მეფის მიზანი ყოფილიყო, მას ნამდვილად არ ექნებოდა საკუთარ სამეფოში გამორჩეულად ტოლერანტული პოლიტიკა განსხვავებული რწმენის მიმდევრების მიმართ. ღრმა საგნობრივ დისკუსიებს დავით მეფე კი ნამდვილად აწარმოებდა მუსლიმებთან. მაგ., ქალაქ განჯის ყადისთან (მუსლიმი მოსამართლე) დავითი განიხილავდა იესო ქრისტეს ღვთაებრიობის საკითხს და თუ როგორ იყო ეს საკითხი ასახული მუსლიმურ თეოლოგიაში (ჯაფარიძე 1993: 56).

ზოგადად, გაუგებარია რატომ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ დავით მეფე, რომელიც პოლიტიკური ლიდერი იყო და არა რელიგიური მოღვაწე, მართლმადიდებლური დოგმატების ისეთი დამცველი იქნებოდა, როგორიც მავანს აქვს ჩაფიქრებული? განა დავით მეფის კანონიზირება მის მიერ ქვეყნის საკეთილდღეოდ წარმოებული პოლიტიკური მოღვაწეობით არაა განპირობებული, რაც აგრეთვე სასარგებლო აღმოჩნდა ეკლესიისთვისაც? განა მეფე დავითი რელიგიური მოღვაწე იყო, რომლის აზროვნება და ქმედებები ამგვარი მკაცრი თეოლოგიური კრიტერიუმებისა და ვიწრო საეკლესიო დისციპლინარული წესების საფუძველზე უნდა განვიხილოთ? არ არსებობს ისტორიული წყაროები, რომლის საფუძველზეც ვინმე დამაჯერებლად დაამტკიცებს, რომ მეფეს ყველა საეკლესიო დოგმატთან დაკავშირებით სწორი წარმოდგენები ჰქონდა. მეფის კანონიზირებულობის ფაქტი არ იძლევა ყველა თეოლოგიური შეხედულების სისწორისა და სიწმინდის გარანტიას.

ისტორია იცნობს წმინდანად შერაცხულ საერო მმართველებს (მაგ., ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს), რომლისთვისაც ზოგჯერ უფრო პრიორიტეტული იყო იმპერიაში პოლიტიკური სიმშვიდის დამყარება (Pax Romana), ვიდრე ჭეშმარიტი რწმენის დაცვა. ამ მხრივ, საკმარისია გავიხსენოთ იმპერატორ კონსტანტინეს მიერ ერეტიკოს არიანელებთან მებრძოლი წმინდა ათანასეს დევნა ან თუნდაც იმპერატორ ზენონის „ჰენოტიკონი“. ამრიგად, პირველადი სწორედ პოლიტიკური ასპარეზია, რომლის მიხედვითაც ფასდება საერო მმართველი, რომლის დროსაც სულაც არ არის აუცილებელი, რომ რელიგიურ სფეროში ყველა მისი ქმედება სწორი იყოს.

მართლმადიდებელი ფუნდამენტალისტების მტკიცებით, თუკი დავით მეფე ეკუმენისტი იყო, მაშინ როგორღა უნდა შევუთანხმოთ ეს მისი ინიციატივით მოწვეული რუის-ურბნისის კრების დადგენილებებს, სადაც მართლმადიდებლობაში დაბრუნებული მონოფიზიტების ხელახალი მონათვლა დაწესდა. ბერძნული ეკლესიები არ მოითხოვდნენ ასეთ მკაცრ მიდგომას მონოფიზიტებისადმი და, შედარებით უფრო მსუბუქი წესებით (სინანული, მირონცხება) იღებდნენ მათ ეკლესიაში.

გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი ე.წ. „ეკუმენისტი“? განა ეს სიტყვა მხოლოდ რელიგიური შინაარსის არაა? ისევ ცნებების აღრევასთან გვაქვს საქმე. უფრო ზუსტი და ადეკვატური იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ მეფე საკუთარი სამეფოს ფარგლებში არსებული ყველა ჯგუფის გაერთიანებისა და კონსოლიდაციისკენ მიილტვოდა. დავით მეფე ნამდვილად მიისწრაფვოდა სომხებთან ერთიანობისკენ, როგორც საერო, ისე საეკლესიო თვალსაზრისით. მაგ., სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილის აღების შემდეგ დავით აღმაშენებელმა სომხებისადმი დიდი რელიგიური შემწყნარებლობა გამოიჩინა (ლორთქიფანიძე 2016: 378).[10] ქართველმა მეფემ სომხური და საქართველოს ეკლესიების გაერთიანების მიზნით საეკლესიო კრებაც კი მოაწვევინა (ლორთქიფანიძე 2016: 377).[11] სამწუხაროდ, კრებაზე საეკლესიო პირებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, რის შემდეგაც დავით მეფე ჩაერია დისკუსიაში და მან, „მარტივი და ცხადი სიტყვით დააწყნარა ორივე მხარე და გაუშვა კრება“ (ლორთქიფანიძე 2016: 375).[12] კრების მიზანი რომ საქართველოსა და სომხური ეკლესიების გაერთიანება იყო, ამაზე მოწმობს ქართლის ცხოვრების როგორც სომხური, ისე ქართული ვერსიები. ცხადია, სომხების რელიგიური კონვერტაცია ქართული სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა, რომლის პრაქტიკულ განხორციელებასაც ზოგჯერ შეიძლება იძულების ფორმებიც ჰქონოდა.

ამრიგად, სრულიად ნათელია დავით მეფის ე.წ. ეკუმენური მისწრაფება (თუ მაინცდამაინც ეს სიტყვა გვინდა გამოვიყენოთ), რათა ქართული სახელმწიფოს გარშემო მტკიცედ შეეკავშირებინა და გაეერთიანებინა ყველა ეთნიკური და რელიგიური გაერთიანება. სამწუხაროდ, ქართველებსა და სომხებს შორის რელიგიური ურთიერთდაახლოება შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე ვითარება განსხვავებული იყო. როგორც ცნობილია, ქართველები და სომხები თურქების წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ სომხური მიწების განთავისუფლებისთვის. შედეგად, სომეხი ისტორიკოსები დავით აღმაშენებელს სომხეთის მხსნელად თვლიან (იხ. მათე ურჰაელის, ვარდან დიდისა და სხვათა მატიანეები). მაგ., მათე ურჰაელი დავითზე წერდა, რომ „ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა“ (დავლიანიძე 1966: 248).

ამრიგად, დავით მეფის ზოგადი რელიგიური შემწყნარებლობა აგრეთვე გულისხმობდა სომხების (და არა, მაგ., მუსლიმების და იუდეველების) რელიგიურ კონვერტაციას. ისტორიკოს მარიამ ლორთქიფანიძის აზრით, ამის მიზეზი შეიძლებოდა ის ყოფილიყო, რომ

> მაჰმადიანური ქვეყნები არ შემოსულან უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში... ამავე დროს, მაჰმადიანური სამყარო ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობებში და ქართული სახელმწიფო ამასაც ითვალისწინებდა. სომხეთის დიდი ტერიტორია შემოვიდა საქართველოს სახელმწიფოში და ამ მონაპოვრის შენარჩუნება იყო საჭირო და ამ მიზანს ემსახურებოდა მცდელობა სომეხთა ქალკედონურ მრწამსზე მოქცევისა (ლორთქიფანიძე 2016: 390).

ასე და ამრიგად, ალბათ, ზემოთ წარმოდგენილი განხილვის შემდეგ უფრო მეტი სინათლე მოეფინა დავით აღმაშენებლის მიერ მუსლიმებთან დაკავშირებული რელიგიური პოლიტიკის

თავისებურებას. შეჯამებისას უნდა ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის ჰუმანურობა და ლმობიერება განსხვავებული რწმენისა და ეთნოსის დამორჩილებული პირებისადმი აღაფრთოვანებდა მუსლიმ მმართველებს, რომლებიც მას „ძლევამოსილ მართლმსაჯულს“ უწოდებენ (თოდუა 1979: 5). ამ მართლმსაჯულების ლეგიტიმური კომპონენტი იყო საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფი განსხვავებული იდენტობის მქონე პირთა რწმენის დაფასება. დავით მეფე საქართველოში მუსლიმთა ლოცვას ესწრება და ყურანს ისმენს როგორც ქვეყნის მმართველი და პოლიტიკური ლიდერი. ასეთი ქმედებით მეფე პატივს მიაგებს თავის ახლად გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრებ მუსლიმებს და მათ რელიგიურ მსახურებას. ესაა გონიერი მმართველის მიერ სახელმწიფოს მართვის სტრატეგიის ნაწილი: მრავალეროვანი და მრავალკონფესიური მოსახლეობისგან შემდგარ სახელმწიფოში აუცილებელი იყო ტოლერანტული პოლიტიკის წარმოება, განსაკუთრებით სამეფოში არსებული მძლავრი მუსლიმური კონტიგენტისადმი.

საინტერესოა, რომ მსგავსი პლურალიზმი და რელიგიური თავისუფლება, როგორც ჩანს, საუკუნეების მანძილზე შენარჩუნდა საქართველოში, რის შესახებაც წერს, მაგ., მე-17 საუკუნეში ჟან შარდენი:

> აქ უფლება გაქვს, იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკოვიტებსა (რუსებს) და ევროპელებს (მგალობლიშვილი, სანიკიძე 2018: 295).

შენიშვნები

[1] წინამდებარე სტატია მოხსენებად იყო წაკითხული 2021 წლის 20 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ წმინდა გრიგოლ ფერაძის მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე მიძღვნილი დიდგორის ბრძოლის 900 ნლისთავისადმი.

[2] სრული სახელი: აჰმად იბნ იუსუფ იბნ ალი იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკ.

[3] ალ-ფარიკის ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ვ. ფუთურიძემ შემოიტანა იხ. (ფუთურიძე 1942). ამ ცნობების მოკლე მიმოხილვაა წარმოდგენილი გ. წერეთლის ნაშრომში „არაბული ქრესტომათია“ (წერეთელი 1949**).**

[4] ალ-ჯაუზის ცნობა დავითის შესახებ იხსენიება იხ. შემდეგ ავტორებთან: (ჯავახიშვილი 1907: 19); (ჯავახიშვილი 1948: 217-218, 223); (ფუთურიძე 1942: 141-142); (კიკვიძე 1943: 50); (მაკალათია 1945: 35-36); (კოპალიანი 1953: 62) და სხვა შრომები.

[5] დამოწმებისათვის იხ. (წერეთელი 1949: 71).

[6] იბნ ჰაუკალი მე-10 საუკუნის მოღვაწეა. მის ნაშრომში ეს კონკრეტული ცნობა ჩამატებულია მე-12 საუკუნის ესპანეთში მყოფი რედაქტორის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, მის ხელთ არსებული შედარებით ახალი ინფორმაციით ავსებს იბნ ჰაუკალის ნაშრომს. ვინაიდან საქართველოში ამგვარი ტოლერანტული ვითარება დადასტურებული გვაქვს სხვა არაბულენოვანი ავტორებისგანაც, ამ ცნობის სულისკვეთება სრულ ნდობას იმსახურებს.

[7] ვრცლად იხ. სადოქტორო დისერტაცია (ეჯიბია 2022: 80-81). იბნ ჰაუკალის ცნობისა და აღნიშნული დისერტაციის მონოდებისთვის ვმადლობ ისტორიკოს მამუკა წურწუმიას.

[8] იგივე ციტატა იხ. ინგლისურენოვანი კრიტიკული გამოცემიდან (კონტიჩელო 2015: 319).

[9] ამ კანონების ანალიზი იხ. ჩემს სტატიაში (თინიკაშვილი 2021: 281-298).

[10] დამოწმებისათვის იხ. (მელიქსეთ-ბეგი 1928: 33-35, 193).

[11] დამოწმებისათვის იხ. (აბულაძე 1953: 254).

[12] დამოწმებისათვის იხ. (აბულაძე 1953: 255).

დამოწმებანი

აბულაძე 1953: *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი*, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ. თბილისი.

დავლიანიძე 1966: ლ. დავლიანიძე. *„მათე უჰაეცის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ“*, საქართველო რუსთაველის ხანაში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი, მეცნიერება.

ეჯიბია 2022: ა. ეჯიბია. *მე-9-10 საუკუნეების არაბი გეოგრაფების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თინიკაშვილი 2021: დ. თინიკაშვილი. „ინტერკონფესიური საერთო ლოცვა და მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ხედ.: გიორგი სანიკიძე, იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გამოცემა*, ტომი XIII, თბილისი.

თოდუა 1979: მ. თოდუა (შემდგ., მთარგმ.). *„მე-12 საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელები“*, ქართულ-სპარსული ეტიუდები. წიგნი მესამე. ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. თოდუამ. თბილისი, მეცნიერება.

კიკვიძე 1943: ა. კიკვიძე. *დავით აღმაშენებელი*. თბილისი.

კონტიჩელო 2015: *John Climacus. Letter to the Sheperd, trans. J. Chryssavgis*, in: La theologie Byzantine et sa tradition, vol. I/1. Edited by Carmelo G. Conticello. Turnhout: Brepols.

კოპალიანი 1953: ვ. კოპალიანი. თბილისელთა ორიენტაციის საკითხისათვის 1121-1122 წლებში, *თბილისი – 1500*, თბილისი.

ლორთქიფანიძე 2016: მ. ლორთქიფანიძე. *„საქართველოსა და სომხეთის უსიერთობის წარსულიდან“*, რჩეული ნაწერები. წიგნი პირველი. თბილისი, მერიდიანი.

მაკალათია 1945: ს. მაკალათია. *დავით აღმაშენებელი*, თბილისი.

მგალობლიშვილი, სანიკიძე 2018: *ჟან შარდენი. მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*. მე-2 შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს მზია მგალობლიშვილმა და გიორგი სანიკიძემ. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მელიქსეთ ბეგი 1928: ლ. მელიქსეთ-ბეგი. *„ჩხდიღო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა სომეხ-ქართველთა უსიერთობის საკითხებთან დაკავშირებით“* (ცდა ისტორიულ ლიტერატურული გამოკვლევისა). ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სიხარულიძე 1985: ე. სიხარულიძე. *„აღ-ფარიკი საქართველოში“*, სემიტოლოგიური ძიებანი, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, 2.

სიხარულიძე 1976: ე. სიხარულიძე. *„იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ“*, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები. წიგნი 1, თბილისი, მეცნიერება.

ფუთურიძე 1942: ვ. ფუთურიძე. არაბი ისტორიკოსი მე-12 საუკუნის თბილისის შესახებ, *ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბე*, #13, თბილისი.

ცომაია 2008: იოანე სინელი. *კლემაქსი ანუ კიბე*. თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი გამართა ტატიანა ცომაიამ. თბილისი, ახალი ივირონი.

ცქიტიშვილი 1967: ო. ცქიტიშვილი. „სიმბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ“, *თსუ შრომები* ტ. 118, თბილისი.

წერეთელი 1949: გ. წერეთელი. *„ახაბური ქრესტომათია“*, თბილისი.

ჯავახიშვილი 1907: ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფილისი.

ჯავახიშვილი 1948: ი. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მეორე. თბილისი.

ჯაფარიძე 1993: გ. ჯაფარიძე. „რაზე ეკამათებოდა დავით აღმაშენებელი განჯის ყადის?“, *ხელოვნება* 3-4, თბილისი.

RELIGIOUS POLICY OF DAVID IV THE BUILDER TOWARDS THE MUSLIM COMMUNITY IN GEORGIA

David Tinikashvili
Caucasus University
dtinikashvili@cu.edu.ge

The governance of famous Georgian king David the Builder stands out in many ways. The very name of the King indicates the character and achievements of his reign. The era of David also refers to the *Golden Age* of Georgian history. Then Georgia was not only united politically and economically strong, but also Georgian culture developed significantly – architecture, painting, poetry and much more. Religious policy was also very important in David's reign. In this regard, Ruis-Urbnisi council should be mentioned first, and the drastic religious reform carried out in the country's dominant Church. However, in this paper I will discuss the policy pursued by David towards non-Orthodox people, namely, Muslims.

Georgian Orthodox fundamentalists make every effort to refute the facts confirmed by historical sources regarding King David's tolerant religious attitude with Muslims. The object of criticism of the mentioned Georgian authors is mainly the religious component of these relations. The theme has never been examined in theological terms.

In the opinion of so-called defenders of Orthodox faith, it was impossible for the King David (who was canonized lately) to attend religious service in mosque and pray together with Muslims as long as such actions contradict with church canons. The authors of such a view believe that the very act of canonization of a person (including government officials or Kings) implies the knowledge of any Christian theological idea and all canons of church law by a given person, as well as the strict observance of all religious rules and practices. The Georgian Church knows saints who had a significant lack of knowledge in Christian theology and church law.

The King's religious apologists are convinced that such specific and very narrowly defined canons would be very important to the country's political leader. Canons prohibiting prayer and communion with persons of different faiths were enacted primarily for ordinary Christians and not for leaders and those who were strong in the faith. Even in the era when these laws were passed, the Church Fathers took a creative and free approach to such restrictions. For example, St. John Climacus wrote: "As defined in the holy canons, let the weak not sit at the same table with heretics. However, if those who are strong in the Lord are invited in good faith and disposition by heretics, then they should go". Thus, these canons had a quite relative rather than an absolute meaning, in other words, they were not necessary for everyone.

The King attends the prayers of Muslims and listens to the Quran as the political leader. By doing so, the King respects people of different faiths living in his kingdom and their religious service. This is part of the way of governing the Kingdom by a wise ruler: in a state of multinational and multi-confessional populations, it was necessary to pursue a policy of tolerance, especially towards the powerful Muslim contingent in Georgia.

In general, it is uncertain why we should be convinced that King David, who was only a political leader and not a religious figure, would be such a defender of Orthodox Christian faith as the religious apologists want him to be? King David was canonized because of his political activities for the benefit of the country, which also proved to be useful for the Church. King David was not a religious figure, and his thinking and actions should not be viewed in the light of such strict theological criteria and narrowly defined religious discipline.

ჰენოტიკონი – ქართლის პოლიტიკური თუ ღირებულებითი არჩევანი?

ეკა კვაჭანტირაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
e.kvachantiradze@bgs.edu.ge

სტატიის მთავარი ასპექტია, მთავარი კითხვაა – პოლიტიკურ თუ ღირებულებით არჩევანს აკეთებს ამ პერიოდის ქართული სახელმწიფო. ეს არჩევანი აყალიბებს ერთობის თვითცნობიერებას, ფაქტობრივად განსაზღვრავს მის სააზროვნო სისტემას, მის იდენტობას, აყალიბებს მისი განვითარების მაგისტრალურ ხაზს, ფასეულობათა სისტემას.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არჩევანის წინაშე დგას ვახტანგ გორგასლის დროინდელი ქართლი. ამ არჩევანის პირველი მომენტი ვახტანგის დედას უკავშირდება, მეორე მომენტი კი თავად ვახტანგის არჩევანს. საინტერესოა ვახტანგის დედის საგდუხტის ისტორია. საგდუხტი ქართლ-ალბანეთის მარზპანის, რანის ერისთავის ბარზაბოდის ასული, რომელიც მაზდეანობის მიმდევარი იყო და ქართლის დედოფლად გახდომის შემდეგ გაქრისტიანდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ საგდუხტი მამასთან ბარდავში ჩავიდა, რადგან ეშინოდა, რომ მას ქრისტიანობის მიღებისათვის არ დაესაჯა ის და არ ემტრო მცირეწლოვანი ვახტანგისათვის. საგდუხტმა მუხლი მოიყარა, ფეხებზე ეამბორებოდა მამას და ითხოვდა მისგან, რომ არ აეძულებინა ქრისტიანობის დატევება, არ ევნო ვახტანგისათვის, რომელიც სასანიანთა ირანის ქვეშევრდომად დარჩებოდა. ჯუანშერის ცნობით; „ევედრებოდა, რათა არ აიძულოს დატევება ქრისტეს სჯულისა ... იპყრას შვილი მისი მამულსა შინა მისსა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 144). ბარზაბოდმა შეიწყალა ასული და ყველა თხოვნა შეუსრულა. აღნიშნულ პასაჟში მნიშვნელოვანია დედოფლის მიერ ქართული ერთობის რელიგიური მარკერის სრულად გაცნობიერება და სწორად აღქმა. ის ვერ იქნება ქართველთა დედოფალი ამ ნიშნულის აღიარების გარეშე, ის, ალბათ, ვერც დაბრუნდებოდა უკან ქართლში, რადგან ქართველთა დედოფლობისათვის ისეთ სულიერ სიმაღლეებთან და სიღრმეებთან ზიარება იყო აუცილებელი, რასაც ქართული ეთნოსისათვის ქრისტიანობა ნიშნავდა. აღნიშნული სიმაღლის დათმობა მისთვის სიკვდილის ტოლფასი იყო. სწორედ ამ ნიშნულის ფასი იგრძნო ბარზაბოდმა ქალიშვილის თხოვნაში, ეს გაიაზრა, ყველანაირ დათმობაზე წავიდა და უვნებელი დააბრუნა ქართლში (კვაჭანტირაძე 2013: 85).

საგდუხტი უფრო შორს მიდის ქრისტიანობის დაცვის საქმეში და, ვფიქრობთ, სწორედ ბარდავიდან დაბრუნებულმა, ბიზანტიიდან გამოიხმო „მღვდელი ჭეშმარიტი“ მიქაელი და ქართლის მთავარეპისკოპოსად განაჩინა. მიქაელი ქალკედონიტობის მტკიცე დამცველია: „ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჭეშმარიტსა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 145). ვახტანგი მიქაელის მსოფლმხედველობით იზრდებოდა. ჯუანშერი წერს: „ვახტანგ იზარდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 146). მაგრამ შემდგომ ვახტანგსა და მიქაელს შორის მოხდა განხეთქილება. როცა მიქაელმა გაიგო ვახტანგის განძრახვა კათალიკოსობის დაწესებისა და ამ მიზნით კონსტანტინოპოლიდან პეტრეს კათალიკოსად მოწვევის შესახებ, განრისხებულმა მთავარეპისკოპოსმა „კრულყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი“. ვახტანგმა არ მოინდომა კონფლიქტის გამწვავება, ეახლა მიქაელს და „შეემთხვია ფერხთა ეპისკოპოსისათა“, მაგრამ ეპისკოპოსმა „განძრა ფერხი და მიამთხვია პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 196). „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი მეფესა და ეპისკოპოსს შორის დაპირისპირებას ასე ხსნის:

როცა მიქაელ ეპისკოპოსმა შეიტყო, რომ ქართლს მოდიან კათალიკოსი და ეპისკოპოსი მისი ნების გარეშე, დაუძიმდა, აყვედრიდა ვახტანგს მომიზეზებით, ვითომც მას თაყვანი ეცეს ცეცხლისათვის. ხოლო მეფე ეფიცებოდა და ევედრებოდა მას, რომ ქრისტეა ჩემი ჭეშმარიტი ღმერთი და ნუ მაბრალებ მე ტყუილიადო (აბულაძე 1953: 179).

ვახტანგმა მეფის შეურაცხმყოფელი ეპისკოპოსი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან გაგზავნა, რათა მას განესაზღვრა სასჯელი. ამ დანაშაულისათვის მიქაელს სიკვდილით დასჯა ეკუთვნოდა, მაგრამ ის შეიწყალეს ბიზანტიაში და აკემიტთა ანუ მღვიძარეთა მონასტერში განაწესეს.

ისტორიკოსთა შორის სხვადასხვა მოსაზრებაა თუ რა იყო მათ შორის კონფლიქტის მიზეზი. ქართულ ისტორიოგრაფიაში მეფესა და ეპისკოპოსს შორის მომხდარ კონფლიქტს ხან კონფესიურ ნიადაგზე წამოჭრილი დაპირისპირებით, ხან მიქაელის ვერცხლისმოყვარეობით ხსნიან, ხან კი ვახტანგის სურვილით ქართლის დამოუკიდებელი ეკლესიის პირველი მეთაური ისევ ანტიოქიიდან გამოგზავნილი არ ყოფილიყო. მოვიყვანთ ისტორიკოსთა მოსაზრებებს: ი. ჯავახიშვილის აზრით, ვახტანგ გორგასალი იყო მონოფიზიტი, მან გადააყენა დიოფიზიტი მიქაელი, მის ნაცვლად დასვა მონოფიზიტი კათალიკოსი და ამ გზით ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა მოუპოვა (ჯავახიშვილი 1979: 342-345). ს. ჯანაშიას კი პირიქით, მიაჩნდა, რომ ვახტანგი იყო დიოფიზიტი, ხოლო მიქაელი მონოფიზიტი (ჯანაშია 1949: 290-292). ზ. ალექსიძე თვლის, რომ არავითარი საყრდენი ჯუანშერთან ვახტანგ გორგასლის მონოფიზიტობის სამტკიცებლად არ მოიპოვება და მრწამსის საკითხში მეფესა და ეპისკოპოსს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა (ალექსიძე 1976: 102). მ. თარხნიშვილი მიიჩნევს, რომ ვახტანგ მეფესა და მიქაელ ეპისკოპოსს შორის ამტყდარი დავის მიზეზი მათ რელიგიურ მრწამსში უნდა ვეძიოთ, ამიტომ გამორიცხული არ არის ვახტანგი ქართველი მონოფიზიტების საშუალებით დაუკავშირდა პეტრე ფულონს, ანტიოქიის პატრიარქს, რომელმაც საქართველოს საპატრიარქო მონოფიზიტი მღვდელმთავრით გააბედნიერა (თარხნიშვილი 1994: 142). ნ. ლომოურის აზრით, მიქაელის რეაქციულ დიდაზნაურთა მხარეს ყოფნას უნდა გამოეწვია მეფისა და მთავარეპისკოპოსის დაპირისპირება, პეტრეში კი ვახტანგი თავის პოლიტიკურ მოკავშირეს ხედავდა. წინასწარ კონტაქტებით ეს კავშირი მომზადებული ჰქონდა და ეკლესიას კათალიკოსის მეთაურობით ქვეყნის ხელისუფლების ცენტრალიზაციაში თავისი გეგმების მხარდამჭერად ხედავდა (ლომოური 2000: 139).

ჩვენი აზრით, ვახტანგსა და მიქაელს შორის შეუთავსებლობა რელიგიურ მრწამსს არ ეხებოდა და არც შეიძლება შეხებოდა. როგორც ჯუანშერი არაერთხელ აღნიშნავს, მიქაელი დიოფიზიტობის ურყევი დამცველი, ხოლო მისი აღზრდილი ვახტანგი უდრეკი ქრისტიანი იყო. სწორედ რწმენაში სიმყარემ და მართებულმა ღირებულებებმა მიაღებინა ვახტანგს გადაწყვეტილება – კრიტიკულ მომენტში ქართული იდენტობის უმთავრესი მარკერის – რელიგიური ნიშნულის დაცვის გზით წასულიყო. იმ მომენტში მას, რთულ პოლიტიკურ და რელიგიურ სიტუაციაში მყოფი ბიზანტიისათვის უნდა დაეჭირა მხარი, ბიზანტიისათვის, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქართლისთვის რელიგიური მარკერის შენარჩუნების გარანტორი ყოფილიყო. ბიზანტიისთვის მხარდაჭერა იმ მოცემულ მომენტში ვახტანგისაგან ჰენოტიკონის გაზიარებას მოითხოვდა, ამიტომ უერთდება ვახტანგი ჰენოტიკონს, მრწამსის თვალსაზრისით მიუღებელს. მაგრამ უერთდება ბიზანტიისთვის დახმარებას, როგორც ქართული საზოგადოების სწორი თვითცნობიერების არსებობას გრძელვადიან პერსპექტივაში. აქ არა მონოფიზიტ-დიოფიზიტს შორის დაპირისპირებაა, არამედ სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახული ფაქტი. მიქაელისთვის ჰენოტიკონის გაზიარება რელიგიური დათმობაა, ვახტანგისათვის კი ქართული იდენტობის უმთავრეს მარკერზე ზრუნვის გამოხატულება. სწორედ ამ ნიადაგზეა საძიებელი კონფლიქტის მიზეზი და არა კონფესიურ განსხვავებაში.

ქართლში კათალიკოსობის თარიღის დადგენისას ქართველ მეცნიერთა აზრი ასეთია: ი. ჯავახიშვილი, ბ. ლომინაძე მიიჩნევენ, რომ კათალიკოსობის დაწესება მოხდა ვახტანგის უშუალოდ სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, პ. იოსელიანი კი 458-471 წლებს ასახელებს, კ. კეკელიძე 467 წელს (კეკელიძე 1957: 330-331), მ. საბინინი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე ქართლში კათალიკოსობის დაწესებას 486-488 წლებზე დებენ. ვ. გოილაძის შეხედულებით ქართლში კათალიკოსობის დაწესება 487-488 წლებით უნდა დათარიღდეს (გოილაძე 1991: 135) ა. ბოგვერაძე კათალიკოსობის შემოღების თარიღად 468 წელს

მიიჩნევს (ბოგვერაძე 1979: 52). ნ. ჯანაშია კი V საუკუნის 70-იან წლებს ასახელებს (ჯანაშია 1986: 46) ეს საკითხი ჩვენი სტატიის ძირითად თემას არ წარმოადგენს, ამიტომ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ვახტანგისათვის კათალიკოსობის დაწესება, ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მოპოვება თვითმიზანი როდია. მისთვის პრიორიტეტი ქართული სააზროვნო სისტემის ღირებულებითი კონტექსტის შენარჩუნებაა. ავტოკეფალიის მოპოვება ბუნებრივად მოხდა – ვახტანგის ბიზანტიისადმი ერთგულების სანაცვლოდ ქართული ეკლესია დამოუკიდებლობას იღებს.

რაც შეეხება რელიგიურ ნიადაგზე წამოჭრილ კონფლიქტს, ისტორიკოსები ქრისტიანობისა და მაზდეანობის დაპირისპირებას გულისხმობენ ჯუანშერის მონაცემებზე დაყრდნობით: ჯუანშერის ცნობით, მიქაელი ეუბნება ვახტანგს „შენ დაგიტოებია ქრისტე და ცეცხლსა ესავ“ (ყაუხჩიშვილი 1955: 196). ჯუანშერის ეს ცნობა, ვფიქრობთ, რეალურ ვითარებას არ უნდა გამოხატავდეს. ჯერ ერთი, ეს ამბავი დროში ირანის მტრების წინააღმდეგ ლაშქრობიდან ვახტანგის დაბრუნებას რომ უკავშირდება, ეს არასწორია. ვახტანგის ხანგრძლივი ლაშქრობა ჰეფთალების, ჰუნების, სინდების წინააღმდეგ 467-468 წლებში დასრულდა. ამ დროს კი პეტრე კათალიკოსის ხელდასხმასა და ავტოკეფალიის მინიჭებაზე საუბარიც არ იყო. დროში ეს ბევრად გვიან, V საუკუნის 80-იან წლებს უკავშირდება და მეორეც, მიქაელი მაზდეანობის მიღებაში ამ ლაშქრობიდან დაბრუნებულ ვახტანგს ვერაფრით დაადანაშაულებდა, რადგან კარგად იყო ინფორმირებული, რომ სანამ ქართველთა ლაშქარი ირანელთა ბანაკს დატოვებდა, შაჰმა თავისი ასული ცოლად ვახტანგ მეფეს შესთავაზა, მაგრამ ვახტანგმა უპასუხა: „არა ჯერ არს ჩემგან ორთა ცოლთა პყრობა, რამეთუ მივის მე ცოლი ასული კეისრისა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 196). ამ პასუხის შემდეგ ვახტანგის მიერ მაზდეანობის მიღების თაობაზე, ცხადია, საუბარი აბსურდულია. ამიტომ ვფიქრობთ, მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის სხვა მიზეზია საძიებელი და დროშიც ეს სხვა მოვლენებს უკავშირდება.

მიმოვიხილოთ ბიზანტიასა და ირანში არსებული რელიგიური სიტუაცია. რელიგიური ვნებათა ღელვა არყევდა ბიზანტიის იმპერიას, იმპერიის აღმოსავლეთი, აზიური ნაწილი მონოფიზიტობას მოეცვა. ეგვიპტის, პალესტინის და სირიის მონოფიზიტები სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ დიოფიზიტურ ბიზანტიას. ირანი მონოფიზიტებს უჭერდა მხარს. ცეცხლთაყვანისმცემლური ირანი, ცხადია, არაფერ შუაში იყო მონოფიზიტების დაცვასთან, მას ეს დამოკიდებულება ბიზანტიასთან პოლიტიკური მტრობისათვის სჭირდებოდა მხოლოდ. იმპერია აღმოსავლეთს დაკარგავდა თუ ვერ მოახერხებდა მონოფიზიტების შემორიგებას. ამიტომ საჭირო გახდა შემარიგებელი დოკუმენტის მიღება. იმპერატორმა ზენონმა 482 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქის აკაკიუსის რჩევით გამოსცა ერთობის ედიქტი *ჰენოტიკონი*. ჰენოტიკონის საშუალებით ცდილობდნენ მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების მორიგებას, ამიტომ ხმარებიდან ამოიღეს წინადადებები, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქრისტეს ჰქონდა ერთი ან ორი ბუნება. ეს დოკუმენტი აშკარად იხრებოდა მონოფიზიტობისაკენ. დოგმატური დათმობების ხარჯზე აღიარებული იქნა მონოფიზიტების უფლებები დიოფიზიტების უფლებების დამცრობით.

ვახტანგისათვის ჰენოტიკონი მის არჩევანთანაა დაკავშირებული – დასავლეთს აირჩევს თუ აღმოსავლეთს? მას არჩევანი აქვს გასაკეთებული ირანსა და ბიზანტიას შორის. ბიზანტია რელიგიურ დაპირისპირებებშია ჩაბმული და დასუსტებულია, ირანი კი ამ პერიოდისათვის ბევრად ძლიერ პოზიციებს იკავებს. თუკი ვახტანგი დასავლურ არჩევანს გააკეთებს, ეს მისგან ზენონის საეკლესიო პოლიტიკის შეწყნარებას მოითხოვს. ვახტანგი უერთდება ჰენოტიკონს. სწორედ აქ და ამ მიზეზით არის ვფიქრობთ საძიებელი მიქაელისა და ვახტანგის კონფლიქტის მიზეზი. ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებაა დაფიქსირებული, რომლის მიხედვით, ქართლის ეკლესიის რეორგანიზაცია და ვახტანგის არჩევანი უფრო მეტად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ნ. ჯანაშიას აზრით, ქართლის ეკლესიის რეორგანიზაცია უფრო პოლიტიკური ხასიათის უნდა ყოფილიყო, ვიდრე წმინდა საეკლესიო, საკუთრივ სარწმუნოებრივ ინტერესებს კი ვახტანგის თვალში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონია (ჯანაშია 1986: 44-45). მ. ლორთქიფანიძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ჩვენ არ გამოვრიცხავთ მრწამსის პრობლემას ამ კონფლიქტში და ამასთანავე მიგვაჩნია, რომ ვახტანგის მიერ საეკლესიო რეფორმის გატარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის პოლიტიკურ მხარეს“ (ლორთქიფანიძე 1979: 72).

ჩვენ სხვაგვარი მოსაზრება გვაქვს ამ საკითხთან მიმართებაში: ჩვენი აზრით, მთავარი პრობლემა მეფესა და მთავარეპისკოპოსის ურთიერთობაში მსოფლმხედველობრივი განსხვავებულობაა მათ შორის. მათ მიერ ჰენოტიკონი სხვადასხვაგვარადაა გააზრებული, სხვადასხვა დატვირთვა აქვს. მიქაელისთვის ჰენოტიკონის მხარდაჭერა წმინდად რელიგიური აქტია, მისთვის როგორც ურყევი ქალკედონიტისთვის ეს გადახვევაა ჭეშმარიტი მრწამსისაგან, ვახტანგისათვის კი ეს მხარდაჭერა არჩევანის დაფიქსირებაა, გრძელვადიანი არჩევანის, რომელიც ქვეყნის უმთავრესი ფასეულობის, მისი სარწმუნოებრივი მარკერის დაცვაში გამოიხატება.

ქართლისათვის ჰენოტიკონი არაა პოლიტიკური აქტი, ბიზანტიისათვის კი ეს მისი სახელმწიფოს გადარჩენაა. ბიზანტიისათვის ეს პოლიტიკური აქტია რელიგიის სახელით, საქართველოსთვის კი ღირებულებითი აქტია პოლიტიკის სახელით. რა დააკლდება ქვეყანას პოლიტიკური არჩევანით? მარტივად – ვერ შეასრულებს მთავარ მისიას – ვერ დაიცავს ქართული იდენტობის უმთავრეს ნიშნულს.

იმპერატორ ზენონის ჰენოტიკონმა – ერთობის ფორმულამ, დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის ამ დროებითმა თანხმობამ ხელი შეუწყო ქართული ეკლესიის წარმატებას. სხვა სიტუაციაში ანტიოქიის მონოფიზიტი პატრიარქი პეტრე ფულონი (მკაწრვალი), ქართულ ეკლესიას მხარს არ დაუჭერდა და ავტოკეფალიის მიღებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ბიზანტიამ დაუფასა ქართლს განსაკუთრებით მისთვის რთულ ვითარებაში სრული მხარდაჭერის გამოცხადება ანუ თანხმობა ჰენოტიკონზე და ქართულ ეკლესიას თვითმწყემსობა მიანიჭა.

ვახტანგი ერის პოლიტიკურ ლიდერზე მეტად ერის მსახურია. მას გადაწყვეტილი აქვს ქვეყანას წარუძღვეს ფასეულობითი და არა პოლიტიკური არჩევანით. დასავლეთისაგან მას არ სურს პოლიტიკური კეთილდღეობა. თუ კეთილდღეობა იქნებოდა პრიორიტეტი, უფრო ძლიერ აღმოსავლეთს დაუკავშირდებოდა. ვახტანგის მთავარი მიზანია არ მოწყდეს საკუთარი ერთობის ფასეულობათა სისტემის იმ ღერძს, რომლის გარშემო უნდა ვითარდებოდეს ქვეყანა. არჩევანი ირანზე ნაკლებად პრობლემური და პოლიტიკურად გამართლებულია. ბიზანტიის არჩევის შემთხვევაში გამართლებული ღირებულებითი არჩევანი იქნება. მისთვის ამოსავალი ქრისტიანული ღირებულების დაცვაა. ირანთან კავშირით მისი მოვლა-შენარჩუნება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამ ღირებულების ამღიარებელია ბიზანტია, რომელსაც ქართლთან ერთად შეუძლია მისი დაცვა (კვაჭანტირაძე 2016: 141).

თანამედროვე თვალსაწიერიდან ვახტანგის ეს ნაბიჯი არ იქნება გამართლებული, რადგან პოლიტიკურ დივიდენდებს არ მოიტანდა. ჩვენ დღეს გვთავაზობენ არჩევანს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვახტანგს გადაწყვეტილების მიღებისას პოლიტიკური ინტერესები არ ჰქონია. აქ პრიორიტეტებზეა საუბარი. თუ რა ფასეულობები ჰქონდა ქართულ ერთობას V საუკუნეში და რა აქვს მას ახლა? თანამედროვე საზოგადოების სააზროვნო სისტემა სხვაგვარადაა მოწყობილი, რომლის საფუძველი ყოველთვის პოლიტიკური კეთილდღეობაა. მას ისტორიულად დადასტურებული ფასეულობითი მარკერები არ ასაზრდოებს. ჩვენ დღეს დავიწყებული გვაქვს, არ ვითვალისწინებთ ქართული სამყაროს ისტორიულ მენტალურ სისტემას, რომლის საძირკველს ქრისტიანობა წარმოადგენდა.

ამრიგად, ვახტანგის გადაწყვეტილება მის ღირებულებით და არა პოლიტიკურ არჩევანს უკავშირდება. რადგან თუ წარმატებულ პოლიტიკურ სვლას გააკეთებდა, ძლიერი ირანი უნდა აერჩია. ვახტანგმა აირჩია დასავლეთი, არა გეოგრაფიული ან პოლიტიკური პრიორიტეტით, არამედ ფასეულობით, რაც ნიშნავდა ქრისტიანობაზე სწორებას.

ვახტანგ გორგასლის ეს ნაბიჯი – მისი ცივილიზაციური არჩევანია.

დამოწმებანი

აბულაძე 1953: *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი.* ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ალექსიძე 1976: ზ. ალექსიძე. *ვახტანგ გორგასალისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან,* თბილისი, მეცნიერება.

ბოგვერაძე 1979: ა. ბოგვერაძე. *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში.* თბილისი, მეცნიერება.

გოილაძე 1991: ვ. გოილაძე. *ქართული ეკლესიის სათავეებთან.* თბილისი, მეცნიერება.

თარხნიშვილი 1994: მ. თარხნიშვილი. *ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები.* თბილისი, მეცნიერება.

კეკელიძე 1957: კ. კეკელიძე. *კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.* თბილისი, მეცნიერება.

კვაჭანტირაძე 2013: ე. კვაჭანტირაძე. *ქართული თვითცნობიერება ისტორიულ ჰეტეროსპექტივაში. ჟურნალი გული გონიერი.* № 5. თბილისი.

კვაჭანტირაძე 2016: ე. კვაჭანტირაძე. *ქრისტიანული ეპოქის ფასეულობები და თანამედროვეობა ისტორიულ კონტექსტში (საქართველო, ევროპა). გული გონიერი,* № *15,* თბილისი.

ლომოური 2000: ნ. ლომოური. *საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესიის კალენდარი.* თბილისი, ნეკერი.

ლორთქიფანიძე 1979: მ. ლორთქიფანიძე. *ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში.* თბილისი, მეცნიერება.

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება.* ტ.,I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი.

ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ., I, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯანაშია 1986: ნ. ჯანაშია. *ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები.* თბილისი, მეცნიერება.

ჯანაშია 1949: ს. ჯანაშია. *საქართველო აღორძინდეი ფეოდალიზაციის გზაზე.* შრომები, თბილისი, სახელგამი.

HENOTICON – WAS IT THE REFLECTION OF THE POLITICAL ORIENTATION OF KARTLI OR ITS VALUE CHOICE?

Eka Kvachantiradze
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
e.kvachantiradze@bgs.edu.ge

The main aspect of the article is the question whether the choice made by Eastern Georgia (Kartli) was politically or value-orientated. Kartli under King Vakhtang Gorgasali faces a dilemma of choosing between East and West when a question of assent to the document, Henoticon issued by the Byzantine comes forth. For King Vakhtang Henoticon is the choice between East and West, between Iran and Byzantine. Byzantine is weakened due to religious conflicts. On the other hand, Iran holds rather strong positions. Choosing West requires acceptance of Zenon`s ecclesiastical polity. King Vakhtang decides on Henoticon.

Conflict arises between King Vakhtang and Archibishop Michael. Majority of modern Georgian historians assume that the main reason of disagreement and conflict between the King and the Archibishop was caused by religious belief. However, we consider that this was not the case between King Vakhtang and Archibishop Michael. As King Vakhtang`s historian Juansher mentions Michael was a defender of diophysitism and King Vakhtang, who was raised by the Archibishop was a staunch Christian. Vakhtang`s firm belief and genuine values led him to the decision to follow protection of Christianity, which was the main value of Georgian

identity. In those times King Vakhtang had to support Byzantine which had hard times in terms of religion and politics and which was the only one that could guarantee the maintenance of Christianity in Eastern Georgia. Although Henoticon was unacceptable according to its belief King Vakhtng had to accept the document in order to guarantee a long-term awareness of the society. It is not the case of disagreement between a monophysit-diophysit but that Archibishop and the King have different perceptions. For Michael accepting Henoticon is a religious compromise while for Vakhtang it is protection of the main aspect of Georgian identity. This is where we should seek the reason of the conflct.

Henoticon is analyzed differently by Michael and King Vakhtang. For Michael supporting the document is purely religious act and a deviation from Christianity whereas for Vakhtang the support is the choice made in order to protect Christinity being the core value of the country. For Georgia Henoticon is not a political act and for Byzantine it is a survival. For Byzantine it is a political act by the name of religion while for Georgia it is a valuable act by the name of politics. What will be the drawback for the country in case of the political choice? It will not be able to fulfill the mission, it will not be able to protect the identity of the country. Vakhtang`s decision is made to support the value of Christianity. If a political decision is made, he must choose relatively stronger Iran but he decides to use weaker Byzantine instead. Vakhtang chooses West not for its geographical or political priorities but for its value of Christianity.

This step taken by the King is his value choice.

ჯორჯ ელისი და მისი ქართველური ლექსიკური მასალები: კითხვები და პასუხები

ზაალ კიკვიძე
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
zaal.kikvidze@tsu.ge

ლევან ფაჩულია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
l_pachulia@yahoo.com

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ჯორჯ ელისის მიერ XVIII საუკუნის მიწურულს ინგლისში გამოქვეყნებულ ნაშრომს, რომელიც კავკასიის ქვეყნების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მიმოხილვას და აქ გავრცელებული რამდენიმე ენის ლექსიკოგრაფიულ მასალასაც შეიცავს. იმისათვის, რომ უფრო ნათლად გაგვეშუქებინა ცალკეული დეტალი, გადავწყვიტეთ, ჩვენი სტატია აგვეგო კითხვა-პასუხის ფორმით; კერძოდ, ავტორისა და მისი ნაწარმოების სხვადასხვა ასპექტის შესახებ ვსვამთ კითხვებს და ვცდილობთ მათთვის სათანადო პასუხების პოვნას.

სავსებით კანონზომიერი იქნება, თუ პირველ კითხვად გამოვიტანთ შემდეგს: ვინ იყო ჯორჯ ელისი? იგი ინგლისელი გახლდათ, თუმცა დაიბადა იამაიკაში, გრინკასლის მამულში 1753 წლის 19 დეკემბერს.[1] მისი მშობლები იყვნენ ჯორჯ ელისი და სიუზანა შარლოტ ლონგი. მამა ვაჟის დაბადებამდე სამი თვით ადრე გარდაიცვალა. ალბათ, ეს გახდა ერთ-ერთ მიზეზი იმისა, რომ ორი წლის ჯორჯმა დედასთან ერთად ინგლისს მიაშურა. სამწუხაროდ, არ მოიპოვება ზუსტი ცნობები მისი განათლების შესახებ. ბერკშირის საგრაფოში მდებარე იტონის კოლეჯის სარეგისტრაციო წიგნში არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ 1764-1770 წლებში იქ ირიცხებოდა ვინმე ჯ. ელისი (G. Ellis), თუმცა არავინ იცის, ეს ჩვენთვის საინტერესო პიროვნება იყო თუ არა. სხვა წყაროების მიხედვით, იგი სწავლობდა ვესტმინსტერის სკოლაში, შემდეგ კი კემბრიჯის უნივერსიტეტის სამების სახელობის კოლეჯში (კიკვიძე, ფაჩულია 2019: 451). ჯორჯ როუზ ელისი პოეტი გახლდათ და ეს სახელი პირველ რიგში სწორედ მხატვრულ ლიტერატურასთან ასოცირდებოდა მისი თანამედროვეებისათვის. იგი მეგობრობდა ბრიტანელ დიპლომატ სერ ჯეიმს ჰარისთან (ვისაც შემდგომში ეწოდა ლორდი მალმსბერი) და გარკვეული დროის განმავლობაში მის ადიუტანტადაც მუშაობდა; სწორედ მასთან ერთად ეწვია ელისი ევროპის სხვადასხვა ქვეყანას. რამდენიმე ასეთი ვიზიტის შემდეგ მან გამოსცა ორი წიგნი: ერთი მათგანი ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები თხზულებაა, რომელიც კავკასიის თემას ეძღვნება (ელისი 1788), ხოლო მეორე ჰოლანდიის რევოლუციას ეხება (ელისი 1789). სხვათა შორის, 1796 წელს იგი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის წევრიც გახდა. ჯორჯ ელისი გარდაიცვალა 1815 წლის 10 აპრილს.

საკითხის უკეთ გასააზრებლად უნდა დაისვას ასეთი კითხვა: რა არის ცნობილი ჯორჯ ელისისა და მისი ნაშრომის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში? ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო ყიასაშვილი გახლდათ პირველი, ვინც ამცნო ქართულენოვან მკითხველს ამ წიგნის არსებობის შესახებ. 1963 წელს მან გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდა მოკლე სტატია სათაურით „ერთი უნიკალური წიგნის შესახებ.“ თავისი შინაარსისა და ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობის გამო ეს სტატია უდავოდ იმსახურებს იმას, რომ აქ მისი სრულად ციტირება მოვახდინოთ:

> ბეჭდვური წესით გამოცემული წიგნის მოძებნა, თუნდაც ეს წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდეს, „მეცნიერულ აღმოჩენად“ ვერ ჩაითვლება. არც მე გამაჩნია ამის პრეტენზია. მე მხოლოდ მსურს ორიოდე სიტყვით აღვწერო წიგნი, რომელიც ერთი ინგლისელი მეგობრის წყალობით ახლა ჩემს საკუთარ ბიბლიოთეკაში ინახება.
> წიგნის სრული სათაურია: „რუკა შავი და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნებისა, კავკასიის ხალხთა აღწერითა და მათი ენების სიტყვარებით“. წიგნი გამოცემულია ლონდონში 1788 წელს ჯ.

ედვარდის მიერ.

როგორც სათაურიდანაც ჩანს, წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება: კავკასიის მოზრდილი რუკა, მოკლე ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და პოლიტიკური ცნობები კავკასიის ხალხთა შესახებ და მოკლე ლექსიკონები. ლექსიკონები შემდეგნაირადაა დასათაურებული: „აფხაზური ენა“, „ყაბარდოული ჩერქეზული“, „ოსური ენა“, „ქისტური ენა“, „ლეკური ენა“, „ქართული ენა“. ეს მოკლე ლექსიკონები წარმოადგენს ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვების (130 სიტყვა) სიებს ინგლისურ ენაზე, რომელთაც მინერილი აქვთ მნიშვნელობები ამა თუ იმ ენაზე ან დიალექტზე (ინგლისური ტრანსკიპციით). სხვათაშორის, ავტორი გამოყოფს ორ აფხაზურ დიალექტს, ორ ოსურს, ქისტური ენის ლექსიკონში ვხედავთ ჩეჩნურ და ინგუშურ დიალექტებს, ქართულში--იმერულსა და სვანურს, ლეკური ენის ლექსიკონი ოთხი დიალექტითაა წარმოდგენილი.

ზერელე გაცნობითაც აშკარაა, რომ მხოლოდ ქართული ენის ლექსიკონია შედგენილი რიგიანად (ისეთი ძნელი სიტყვები, როგორიცაა *წვეიწადი, ღეღვა, მწუხრი, ხელმწიფება, ნაკვეხრხაღი, შეუღება* და სხვ. საოცარი სიზუსტითაა გადატანილი ინგლისური ტრანსკრიფციის მეშვეობით). აფხაზური და ჩერქეზული სიტყვები კი, მაგალითად, ისეა დამახინჯებული, რომ მათი ცნობა ამ ენების მცოდნეებს ფრიად გაუჭირდებათ.

რა თქმა უნდა, ენებისა და დიალექტების მთელი ეს კლასიფიკაცია თანამედროვე ენათმეცნიერების თვალსაზრისით დაზუსტებას მოითხოვს. ამავე დროს, წიგნი კომპილაციური ხასიათისაა და ორიგინალურ მეცნიერულ ნაკვლევს არ წარმოადგენს (ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერებისათვის კარგად არის ცნობილი ამ წიგნის შემდგენელისათვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა, იქნება ეს გულდენშტეტის მოგზაურობის ჩანაწერები, დოქტორ რაინეგის აღწერა საქართველოსი, თუ პროფესორ პალასის 1786 წელს გამოქვეყნებული „მთელი მსოფლიოს ენების შედარებითი ლექსიკონები“).

მაგრამ ამ წიგნს გარკვეული მეცნიერული ღირებულება მაინც გააჩნია, მასში მდიდარი ლიტერატურაა გამოყენებული (ძველი ბერძნებიდან მოყოლებული ვიდრე მე-18 საუკუნის ისტორიკოსებამდე). ამასთან, შემდგენელი ცდილობს მეცნიერებისა თუ მოგზაურების ის ცნობები აღარ გამოიყენოს, რომელთაც, როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი, „გეოგრაფიის ყველა სახელმძღვანელოში შეხვდები“. წიგნის ავტორს (ავტორის, ან შემდგენელის გვარი წიგნს არ აწერია) არც ის წყაროები აკმაყოფილებს, სადაც ენების უცოდინარობისა, თუ სხვა მიზეზით კავკასიის ხალხების ყოფა დამახინჯებულად არის წარმოდგენილი.

ჩვენთვის ეს წიგნი იმითაც უნდა იყოს საინტერესო, რომ მისი მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ მე-18 საუკუნის 90-იანი წლების ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე დასავლეთს რისი ცოდნა შეეძლო კერძოდ საქართველოზე, ქართველებზე და ქართულ ენაზე.

საინტერესოა ერთი დეტალი: ქართული საკუთარი სახელების ინგლისურ ენაზე გადატანის პრინციპი ამ წიგნში მეცნიერულად სრულიად გამართლებულია. თუ დღევანდელი ინგლისური გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში და ტალასებში თბილისი, მტკვარი, კახეთი, სვანეთი და სხვ. გადაიტანება, როგორც „ტიფლის“, „ჯურა“, „კახეტია“ და სხვ., ამ წიგნში დაცულია წმინდა ქართული ჟღერადობა საკუთარი სახელებისა („ტბილის-ქალაქი“, „მტკუარი“, „კახეთი“, „სუანეთი“ და სხვ.). სამწუხაროდ, ეს შესანიშნავი ძველი ტრადიცია დღემდე ვერ შემორჩათ დასავლეთის მეცნიერებს, რომლებიც ყოველნაირად ამახინჯებენ ქართულ გეოგრაფიულ სახელებს. ამასთან დაკავშირებით არ იქნებოდა ურიგო, რომ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად სათანადო მუშაობა ჩაეტარებინა უცხო ქვეყნების გეოგრაფიული საზოგადოებებისა და გეოგრაფიულ სახელმძღვანელოების, ატლასებისა და რუკების გამომცემლობებისათვის ქართული გეოგრაფიული სახელების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.

ის ეგზემპლარი, რომელიც ახლა ჩემს წინ დევს, იმითაც არის საინტერესო, რომ მისი ერთ-ერთი ადრინდელი მფლობელი კავკასიით ფრიად დაინტერესებული პირი ყოფილა. წიგნის უკანასკნელ თავისუფალ გვერდებზე დაკრულია 1826 წლის ინგლისური გაზეთებიდან ამოჭრილი სტატიები. გაზეთების სახელმწოდება არსად არის აღნიშნული, მაგრამ საგაზეთო სტილისა და შრიფტის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთ-ერთი მათგანი „ტაიმსია“.

ერთი ვრცელი საგაზეთო სტატია „კავკასიის პროვინციები“ იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, ჩერქეზეთის, ოსეთის, დაღესტნისა და სხვა მხარეების აღწერისადმია მიძღვნილი. მეორე სტატია ეყრდნობა მოსკოვიდან 1826 წლის 16 სექტემბერს გამოგზავნილ კორესპონდენციას და მისი სათაურია „რუსეთი ომს უცხადებს სპარსეთს“.

მოკლე ინფორმაციული ხასიათის წერილში ამაზე უფრო დაწვრილებით ვეღარ შევჩერდები ამ საინტერესო წიგნზე, მაგრამ თუ სპეციალისტებს დააინტერესებს რუკა, ტექსტი, ან ძველი ინგლისური გაზეთებიდან ამოჭრილი სტატიები კავკასიის შესახებ, სიამოვნებით მივცემ მათ მათი გაცნობის საშუალებას (ყიასაშვილი 1963).

ნ. ყიასაშვილის სტატია მრავალმხრივ საინტერესო მონაცემებსა და დაკვირვებებს შეიცავს საკითხის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით. ერთ-ერთ ღირსსაცნობ ასპექტს წარმოადგენს ის

ფაქტი, რომ მისთვის უცნობია წიგნის ავტორის ვინაობა; ჯ. ედვარდსი (მასთან „ჯ. ედვარდი“) მხოლოდ გამომცემლადაა მიჩნეული, რაც სავსებით მართებულია.[2]

ანონიმად რჩება ამ წიგნის ავტორი ნატალია ორლოვსკაიასთვისაც, რომელიც განიხილავს იქ წარმოდგენილი ქართული ენის ლექსიკური მასალის ინგლისური ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციით გადმოცემას 1965 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში. თავისთავად ცხადია, რომ იგი ეყრდნობა ნ. ყიასაშვილის ზემოხსენებულ სტატიას (ორლოვსკაია 1965: 223). აქ მოცემული ზუსტი ანალიზისა და საგულისხმო დაკვირვებების გამო ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით აღნიშნულ ნაშრომს.

ასევე ნ. ყიასაშვილის სტატიაზე დაყრდნობით, ოღონდ მეტისმეტად სქემატური სახით, საუბარია ჩვენთვის საინტერესო ნაშრომის შესახებ მ. სურგულაძის სტატიაში „ინგლისური ცნობები საქართველოს შესახებ XII საუკუნიდან XIX ს. შუა წლებამდე“ (სურგულაძე 1977: 176).

თავის მონოგრაფიაში, რომელიც ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობებს ეხება, მარიკა ოძელი საანალიზო ნაშრომის შესახებ ამბობს, რომ „ეს არის ფრიად საყურადღებო წიგნი, რომლის ლექსიკოგრაფიულმა ნაწილმა პირველი ინფორმაცია მიაწოდა ინგლისურენოვან სამყაროს კავკასიურ და ქართველურ ენათა შესახებ“ (ოძელი 1998: 33); იქვე, პირველად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია მნიშვნელოვანი ცნობა ავტორის შესახებ:

> ინგლისის სხვადასხვა წიგნსაცავში – ბრიტანეთის ბიბლიოთეკის, ბრიტანეთის კონგრესის ბიბლიოთეკის, ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის კატალოგებში მის ავტორად მიჩნეულია ჯორჯ ელისი. გარდა ამისა, ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულ ეგზემპლარს გაკეთებული აქვს ტყავის ყდა წარწერით "ELLIS MEMOIRS". როგორც ჩანს, შეცდომაა. უნდა იყოს memoir (იქვე, სქოლიო).

2014 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში თინათინ მარგალიტაძე, იმოწმებს რა მ. ოძელისა (1998) და ნ. ორლოვსკაიას (2013) ნაშრომებს, ასევე ასახელებს ავტორს: „ინგლისელი ავტორების მიერ კავკასიური ენების, მათ შორის ქართული ენის შესწავლის ერთ-ერთ პირველ მცდელობად განიხილავენ ჯორჯ ელისის წიგნს“ (მარგალიტაძე 2014). მოგვიანებით თ. მარგალიტაძე და მ. ოძელი თავიანთ ერთობლივ ნაშრომებშიც ახსენებენ ჯ. ელისსა და მის წიგნს (მარგალიტაძე, ოძელი 2019ა: 50); (მარგალიტაძე, ოძელი 2019ბ: 7).

ჩვენ ორი სტატია მივუძღვენით აღნიშნულ ნაშრომს: პირველ მათგანში (კიკვიძე, ფაჩულია 2019) განვიხილეთ ჯ. ელისის ბიოგრაფია და შემოქმედება, მისი წიგნის აგებულება და შინაარსი, მასში შეტანილი ლექსიკოგრაფიული მასალები, ტრანსლიტერაციის წესები და გამოვიკვლიეთ მის კოლექციაში პოვნიერი მეგრული ლექსიკის სხვადასხვა ასპექტი, ხოლო მეორეში (კიკვიძე, ფაჩულია 2021) დეტალურად აღვწერეთ და კრიტიკული შენიშვნებით წარმოვადგინეთ მისი ინგლისური სიტყვანი და კავკასიური შესატყვისები.[3]

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან გამოჩნდა, თავის დროზე ნამდვილად არსებობდა ზემოხსენებული წიგნის ავტორის იდენტიფიკაციის პრობლემა. ამის მიზეზი კი, როგორც უკვე ითქვა, ის გახლდათ, რომ წიგნის არც ერთ ნაწილში არ არის მითითებული ავტორის ვინაობა. მაშ, როგორ ვადასტურებთ, რომ იგი მაინცდამაინც ჯორჯ ელისის კალამს ეკუთვნის? როგორც უკვე აღვნიშნეთ, მ. ოძელმა (1998) ეს უკვე დანამდვილებით დაადასტურა რამდენიმე სხვადასხვა ბრიტანული ბიბლიოთეკის კატალოგებზე დაყრდნობით. ამასთანავე, აღნიშნული კიდევ უფრო ცხადი ხდება, თუ ჩავხედავთ ნაირგვარ ბიბლიოგრაფიულ წყაროს. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1788 წელს გამოქვეყნდა ანონიმი (1788: 147-152) რეცენზენტის სტატია, სადაც ამ წიგნის ავტორად სწორედ ჯ. ელისია დასახელებული. კიდევ ერთი ადრეული წყარო აცხადებს, რომ ეს წიგნი დაწერა ჯ. ელისმა, მაგრამ იგი ანონიმურად გამოიცა (ლაუნდსი 1834: 659). „ანონიმურად და ფსევდონიმით გამოქვეყნებული ინგლისური ლიტერატურის ლექსიკონი“ ადასტურებს მის ავტორობას და იქვე გვაუწყებს, რომ წიგნის იმ ეგზემპლარში, რომელიც დაცულია შოტლანდიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დევს ხელნაწერი; ხელნაწერში ნათქვამია, რომ

> ამ წიგნის ავტორი ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთში დაახლოებით 1786 წელს მისტერ ფიტცჰერბერტთან ერთად, რომელიც გახლდათ ბრიტანეთის ელჩი სანკტ-პეტერბურგში, და ხელი მიუწვდებოდა ყველა იმ ინფორმაციაზე, რომელიც კი არსებობდა რუსეთში ამ მემუარის თემასთან დაკავშირებით (კენედი და *სხვები* 1971: 43).

მიუხედავად ამ და სხვა ცნობებისა," ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ზუსტ დამადასტურებელ მასალას იმისა, რომ იგი ნამდვილად იმყოფებოდა რუსეთში; ერთი კია: დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჯორჯ ელისი კავკასიაში არასოდეს ყოფილა.

ჩვენი აზრით, უკვე სავსებით უპრიანი იქნება, თუ გადავალთ საკუთრივ ნაშრომის აღწერა-დახასიათებაზე და დავსვამთ შესაბამის კითხვასაც: რა სახის ნაწარმოებია ჯ. ელისის წიგნი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თავდაპირველად უნდა ვისაუბროთ წიგნის სათაურისა და ჟანრის შესახებ. მისი დედნისეული სათაურია: *Memoir of a Map of the Countries Comprehended Between the Black Sea and the Caspian; with an Account of the Caucasian Nations, and Vocabularies of Their Languages* („უწყებანი შავი და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნების რუკის შესახებ, კავკასიის ხალხთა აღწერითა და მათი ენების სიტყვარებით"). შესაძლოა გაჩნდეს კითხვა იმის შესახებ, რატომ ვთარგმნეთ *Memoir* როგორც „უწყებანი" და არა როგორც „მემუარ(ებ)ი." პირველ რიგში, ამ წიგნში არავითარი მემუარები (ე.ი. მოგონებები) არ არის (და ვერც იქნებოდა, რადგანაც იგი კომპილაციური ნაწარმოებია). მეორეც, ინგლისური სიტყვა *Memoir* არა მარტო მემუარს, მოგონებას ნიშნავს, არამედ ასევე ჩანაწერს, უწყებას. მესამე, როგორც აღმოჩნდა, XVIII-XIX საუკუნეების ინგლისში ასეთი ჟანრიც კი არსებულა. ეს გახლდათ

> ლინგვოკულტუროლოგიური, ისტორიული და გეოგრაფიული ნაშრომების განსაკუთრებული ჟანრი, რომლებიც შეიქმნა ინგლისში XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე სხვადასხვა ავტორის მიერ, როგორც ეტყობა, სამთავრობო ორგანიზაციების ან გეოგრაფიული საზოგადოებების დავალებით (პეტრენკო, შტაინი 2017: 113).

ჯ. ელისის წიგნი არ წარმოადგენს სქელტანიან ნაშრომს; იგი სულ 86 (vi+80) გვერდისაგან შედგება და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპილაციური ნაწარმოებია. წინათქმაში ავტორი ღიად საუბრობს მის მიერ ნასარგებლები წყაროების შესახებ; ესენია: ი. ა. გიულდენშტედტის, ი. რაინეგსის, პ. ს. პალასისა და გ. ფ. მიულერის შრომები; ამასთანავე, ანტიკური გეოგრაფიის თემატიკის განხილვისას მას გამოუყენებია სტრაბონის, პლინიუსის, პტოლომეუსის მასალები, ასევე ი. მ. შტრიტერის მიერ ამოკრებილი ნაწყვეტები ბიზანტიელი ისტორიკოსების ნაწერებიდან (ელისი 1788: iii-iv).

სანამ წიგნის შინაარსის მოკლე აღწერას შემოგთავაზებდეთ, ნათელი უნდა მოეფინოს, რომელი რუკის კომენტარებზეა საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ ეს რუკა ჩართულია ჯ. ელისის წიგნში, მის შედგენას ვერ მივაწერთ წიგნის ავტორს; ტექნიკურად იგი შეუსრულებია ცნობილ ინგლისელ კარტოგრაფსა და გრავიორს სემუელ ჯონ ნილს (1763-1824). რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო წიგნს, იგი იწყება ისტორიული ექსკურსით, რომლის ბოლოსაც ავტორი აღნიშნავს:

> როგორც ჩანს, ქვეყნის ამ ნაწილში სულ ცოტა შვიდი განსხვავებული ერი სახლობს და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ენაზე საუბრობს, კერძოდ, 1. თათრები (The Tartars). 2. აფხაზები (The Abchas). 3. ჩერქეზები (The Circassians). 4. ოსები (The Ossi, or Osseti). 5. ქისტები (The Kisti). 6. ლეკები (The Lezgians). 7. ქართველები (The Georgians) (ელისი 1788: 14).

ამ ჩამონათვალს მოსდევს დასახელებული ერების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის აღწერა. რადგანაც წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია ჯ. ელისის წიგნში წარმოდგენილი ქართველური ენების ლექსიკური მასალის განხილვა, ზემოხსენებულ აღწერაზე აღარ შევჩერდებით, მეტადრე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იქ სხვა წყაროებისაგან განსხვავებულს ვერაფერს ვიპოვით. წიგნის ძირითადი ნაწილი სწორედ ქართველთა ყოფა-ცხოვრების აღწერით სრულდება (ელისი 1788: 45-57), რასაც მოსდევს დანართი (ელისი 1788: 58-80), რომელიც შეიცავს კავკასიის ენათა ნიმუშებს. თითოეული მოდული (სულ შვიდია) შემდეგნაირადაა ორგანიზებული: ინგლისურ სიტყვანს (130 ერთეული) ახლავს თარგმანი მოცემულ ენებსა და დიალექტებზე. ეს ნიმუშებია: აფხაზური ენა [Abkhas Language] (ელისი 1788: 58-60), ყაბარდოს ჩერქეზული [Circassian of the Cabardas] (ელისი 1788: 61-64), ოსური ენა [Osetian Language] (ელისი 1788: 65-68), ქისტების ენა [Language of the Kisti] (ელისი 1788: 69-72), ლეზგიური ენა [Lesguis Language] (ელისი 1788: 73-76), ქართული ენა [Georgian Language] (ელისი 1788: 77-80); თითოეული მოდულის დახასიათება წარმოდგენილია ჩვენს ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში (კიკვიძე, ფაჩულია 2021).

ვნახოთ, რაა შეტანილი ამ უკანასკნელ მოდულში. ქართულად გამოცხადებულ ცხრილს ოთხი სვეტი აქვს. მარცხნიდან პირველი სვეტი სახელწოდების გარეშეა და იგი ინგლისური სიტყვანისაგან შედგება. შემდეგ სვეტს ჰქვია *Carduel Dialect*; მომდევნო სვეტში გვაქვს *Imeretian [Dialect]*; დაბოლოს, მარჯვნიდან პირველი სვეტი: *Suaneti Dialect*. ქვემოთ წარმოგიდგენთ ჯ. ელისის ქართველურ მოდულს:

ცხრილი 1.

	Carduel Dialect.	*Imeretian.*	*Suaneti Dialect.*
God	Gmerty	Horomti	Gherbet
Heaven	Tsah	Tsah	Tsah
Father	Mamma	Mooma	Moo
Mother	Dedda	deeda	Dee
Son	Shyilly	Skooa	Yezag
Daughter	Kaly	Ozoory	Zoonak
Brother	Tsmah	Djeema	Moohkbay
Sister	Da	Datchkym	Datchoor
Husband	Kmary	Komodjy	Chash
Wife	Tsoly	Cheely	Aikhoo
Girl	Kally	Ozoory	Zoorag
Boy	Bidjaoo	Bidjaoo	Tshkynta
Child	Kmatsvilly, Tsvilly, Krmah	Boshy	Bobsh
Man	Kadtsy	Kodshy	Maray
People	Khalkhee, Erny, Cartsuy	Margalce	Khvace-maray
Head	Tavee, Kavee	Doodee	Tkhoom
Face	Peerassa, Sakhay, Peeris-sakhay	Peejeeshee	
Nose	Tskhveery	Tchkhindee	Yepkhna
Nostril	Nesto, Nestvi		
Eye	Twaly, Tvaly	Toly	Tay
Eyebrow	Tsarby		
Eyelashes	Khaltay, Erkta		
Ear	Koory	Oodjy	Shdeem
Forehead	Shoobly	Kooa	Neekba
Hair	Tma	Toma	Patoo
Cheeks	Loka, Koba		
Mouth	Peeree	Pidjee	Peel
Throat	Kharkhanto, Tkelly		
Teeth	Kbeely, Gbeely	Keebeery	Shdik
Tongue	Aina	Neena	Nin
Beard	Tswerry, Tsverry	Primooly	Waray
Neck	Kissery, Kaily	Kissery	Kinshkh
Shoulder	Pkary, Mkhary	Khoodjy	Mekher
Elbow	Dakvy, Tskrtah		
Hand	Kchelly, Khelly	Kheh	Shee
Fingers	Teeteem Teetebby, Titnee	Keetee	Pkhooyay
Nails	Fchinly, Pehkhelly, Prchkheelebby	Byrtekha	Tskhah
Belly	Mootselly		
Back	Zoorghy		
Foot	Fayghee, Paykhee, Pekky	Koochkhy	Cheeshkh

Knee	Mookly, Moohkly	Boorgooly	Gweyee
Skin	Tkhavee	Tkhebby	Kan
Flesh	Khortsy, Kartsy	Khortsy	Yekhoo
Bone	Tswally, Tszvally	Tswally	Tjeego
Blood	Seeskhly	Seeskhelly	Yemmesk
Heart	Goolee	Gooree	Goo
Milk	Rtseh, Rdzay	Bjah	Eerdjeh
Hearing	Gogonebba, Sasmeneli		
Sight	Kebvelaba, Kedva		
Taste	Ghemovneba, Ghemo		
Smelling	Knossa, Knoseba		
Feeling	Shehkeba, Gankheelba, Goorzeenova		
Voice	Khmah		
Name	Sakhely		
Cry	Kveereely, Dsahkely		
Noise	Kakanee, Grgveenba, Tchkoobee		
Clamour	Teereleegodeba, Tkebba		
Word	Saubaree, Seetkhva		
Sleep	Dzeely, Seesmaree	Loree	Loree
Love	Seekvarooly, Ookvar	Worts	
Pain	Tkeeveely, Salmoba		
Toil	Gartcheelova, Shroma, Sardjelee		
Work	Mooshakova, Mooshaova		
Force	Tszalee, Gonay		
Power	Dzalee, Goneh		
Authority	Cheelova, Chedleba, Khelmsteepaiba		
Marriage	Shayoogleba, Kortseeneba		
Life	Tsuytsotshkhley, Tskhovraba		
Stature	Taneesegzdeelova, Tanee, Agzda, Hazda		
Spirit	Soolee		
Death	Sikvdeela, Stschoolee		
Cold	Tseetsyeh, Seetskheh, Seetseeveh		
Circle	Mgoorgaly, Mergva-leatsre, Symgrgvleh		
Globe	Boorshy, Mgoorbaly		
Sun	Mzeh	Bja	Meej
Moon	Mtwary, Mtvary	Toota	Mij
Star	Maskulavy, Varseelavy	Mooroots	Antkvesk
Ray	Shooshee, Skeevee, Sharavandee		
Wind	Nyahvee, Karee, Kwheeree		
Storm	Bookee, Brtselgelba, Neeslee		
Rain	Tsuyma, Tsveema	Cheema	Ootchga
Hail	Setkva		

Lightning	Elva, Elvareba	Valy	Elvaee
Snow	Tovlee	Terree	Moos
Ice	Kinnooly, Keenoobly	Eenee	Kvarem
Day	Dgheh	Ga	Deshdwee
Night	Gam, Gamey	Zerry	Leket
Morning	Deela		
Evening	Sagamo, Mtsookhry		
Summer	Zapkhooly, Tselniee		
Spring	Gazapooly		
Autumn	Shamodgoma		
Winter	Zamtary		
Year	Ttseleetsadee	Tsanamatsana	Sahee
Time	Dro, Jamee		
Earth	Meetsa	Deehka	Gheem
Water	Tskaly, Tskhaly	Ttskary	Veets
Sea	Zgvebby, Zgva		
River	Bdeenary, Mdeenary		Gangalits
Waves	Ghelva, Ghelvani		
Sand	Khoomy, Kveesha		
Clay	Teekhah, Talakhee		Gheem
Dust	Mstverry		
Dirt	Lapee, Talakhi		
Mountain	Keeldeh, Mtah	Keerdey	Kodj
Coast	Tskleesnapeery, Napeera, Plato		
Hill	Sevvee, Bortsvee		
Valley	Vakeh, Baree, Velly		
Ar [Air][5]	Atchry, Hahery		
aipour [Vapour][6]	Ortkly, Ortkhly		
Fire	Tsetskhlee	Datshkhley	Hemmek
Heat	Nakvertskhaly	Tbeela	
Depth	Seegrmey		
Height	Seemagley		
Breadth	Seeganyerry		
Length	Seegrtseh, Seegsay		
Hole	Nakvrety		
Pit	Ormo		
Ditch	Ruby, Tkhrebly		
Stone	Kva	Kooa	Kva
Gold	Okro	Mokro	Oker
Silver	Bertskhlee	Kvartchkheely	Bertskhleh
Salt	Mareely	Joomy	Gheem
Miracle	Sakoorvely		
Forest	Tkeh, Tkheh, Tenkeh		
Grass	Balakhee, Teeva		
Tree	Tkhertkey, Khay	Tkah	Tskhekka
Pole	Palo, Margheely		
Verdure	Mtsvaneely, Mtsvanveely		

ამ ცხრილში შეტანილი ლექსიკური ერთეულების გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ სინამდვილეში აქ წარმოდგენილია არა ქართული ენის დიალექტები, არამედ ქართველური

ენები. ამასთანავე, ჯ. ელისი იყენებს ტერმინს „იმერული“ მეგრულის აღსანიშნავად. ამ ცნებითი და ტერმინოლოგიური შეუსაბამობების მიზეზს მისი წყარო წარმოადგენს; ამის შესახებ ავტორი არაორაზროვნად მიუთითებს:

> კავკასიური ენების ნიმუშები გადმოტანილია საერთო სიტყვანიდან, რომელიც შედგენილია რუსეთის იმპერატრიცის ბრძანებით, ხოლო მასში შემავალი სიტყვები, რომლებიც მანვე შეარჩია, 130-ია. და მაინც სხვადასხვა ენა თანაბრად სრულად არ არის წარმოდგენილი: განსაკუთრებით აფხაზური უკიდურესად ნაკლულად არის მოცემული. როდესაც ეს სიტყვარები გადმომქონდა, ჩემს ძალებს ხშირად აღმატებოდა ის, რომ ინგლისური ასო-ნიშნებით გადმომეცა დედნისეული ბგერები, რადგანაც რუსულ ანბანს აქვს აღნიშვნები ზოგიერთი ისეთი ხმოვნისათვის, რომელთაც ჩვენ ვერ წარმოვთქვამთ, და რადგანაც ჩვენ არ გვაქვს ერთიანი წესი თვით იმ ხმოვნებისთვის, რომლებიც ჩვენს საკუთარ ენაში მოიპოვება (ელისი 1788: iv).

გარდა იმისა, რომ ამ ციტატაში ნათქვამი სცემს პასუხს ზოგიერთ კითხვას, მაგალითად წყაროს გავლენის შესახებ, აქ გაკეთებული გარკვეული განცხადებები ახალ კითხვებს აჩენს; ამიტომაც, ყველა მათგანს შესაბამისი თანამიმდევრობით უნდა შევეხოთ. პ. ს. პალასის ლექსიკონის (ვგულისხმობთ პირველ ტომს, რომლითაც ისარგებლა ჯ. ელისმა) გავლენა თვალსაჩინოა. მის ლექსიკონში (პალასი 1787) მართლაც ასეთი ცნებითი და ტერმინოლოგიური მიმართებებია მოცემული: 108 – Карталински, 109 – Имеретински, 110 – Суанетски (იგულისხმება, შესაბამისად, ქართული, მეგრული და სვანური).[7]

რაც შეეხება ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის საკითხს, რომელზეც ავტორი აპელირებს, აქ არის ერთი უცნაურობა: მისთვის პრობლემური ყოფილა რუსული ხმოვნების გადმოტანა ლათინური ანბანით ინგლისური ორთოგრაფიის წესების შესაბამისად. ამ საკითხზე საყურადღებო კომენტარი გააკეთა ნ. ორლოვსკაიამ:

> უნდა ვიფიქროთ, რომ რუსული ხმოვნებიდან ინგლისელი მხოლოდ «ы» ბგერამ თუ შეაცბუნა, მაგრამ ინგლისურ ენაში ასეთი ბგერის არსებობა ვერ დააზარალებდა ქართული სიტყვების ჩაწერას. პალასის „შედარებითი ლექსიკონის“ ქართულ ნაწილში «ы» გვხვდება მხოლოდ ერთხელ სიტყვაში ‘შვილი’, რომელიც, უცნობია რატომ, დაწერილია როგორც шылли; ინგლისურ გამოცემაში იგი გადმოცემულია როგორც shyilly (ორლოვსკაია 1965: 224).

როდესაც ხმოვნებზე ვსაუბრობთ, ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, თვალშისაცემია სვანურის ვოკალიზმის უაღრესად „გამარტივებული“ გადმოცემა, რაც არ გამხდარა მსჯელობის საგანი ელისისათვის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სვანურის გრძელი და უმლაუტიანი ხმოვნები არც პალასთან ჩანს. როგორც მოსალოდნელი იყო, რეალურად ყველაზე პრობლემურ ასპექტს ქართველური ენების თანხმოვანთა ტრანსლიტერაცია წარმოადგენს. ამასთან, კანონზომიერად ჩნდება კითხვა: ეს ტრანსკრიფციაა თუ ტრანსლიტერაცია? ჩვენი აზრით, ელისის მიერ ქართველურ ენათა სიტყვების ჩაწერა სწორედ ტრანსლიტერაციაა და არა ტრანსკრიფცია. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ მასთან დაფიქსირებულ ტრანსლიტერაციის წესებს, რასაც ცხრილის სახით გთავაზობთ:

ცხრილი 2.

ქართველური	ინგლისური
ა	a
ბ	b
გ	g
დ	d
ე	e, eh, ay
ვ	v
ზ	z
თ	t
ი	i, ee, y
კ	k

ლ	l
მ	m
ნ	n
ო	o
პ	p
ჟ	j
რ	r
ს	s
ტ	t
უ	u, oo
ფ	p
ქ	k
ღ	g, gh
ყ	k
შ	sh
ჩ	ch, tch
ც	ts
ძ	ts, tz
წ	ts
ჭ	ch, tch
ხ	kh
ჯ	dj
ჰ	h

როგორც ვხედავთ, ერთმანეთისაგან არ არის გარჩეული ყრუ ხშული ფშვინვიერი და მკვეთრი თანხმოვნები: *თ* და *ტ – t*, *ქ* და *კ – k*, *ფ* და *პ – p*, *ც* და *წ – ts*, *ჩ* და *ჭ – ch, tch*. უფრო მეტიც, ერთი და იგივე ასო-ნიშანი *k* გამოიყენება არა მარტო *ქ* და *კ* ფონემებისათვის, არამედ *ყ* თანხმოვნისათვისაც. ამასთანავე, ელისის ჩაწერის სისტემის ტრანსლიტერაციულ ბუნებას უფრო გამოკვეთს ის ფაქტი, რომ *გ* და *ღ* ერთნაირად გადმოცემულია ან *g* ან *gh* ნიშნით; ეს იმაზეა დამოკიდებული, მოსდევს თუ არა მას პალატალური ხმოვნის აღმნიშვნელი გრაფემა: თუ სიტყვაში *გ* ან *ღ* ბგერას არ მოსდევს *ი* ან *ე*, მაშინ იწერება *g;* მაგალითად, Gmerty (ქართ. *ღმერთი*) Boorgooly (მეგრ. *ბიჩგუღი*), Goo (სვ. *გუი*), Goneh (ქართ. *ღონე*), Zgva (ქართ. *ზღვა*) და ა. შ. ამის პარალელურად, თუ სიტყვაში *გ* ან *ღ* ბგერას მოსდევს *ი* ან *ე*, მაშინ იწერება *gh;* მაგალითად, Gherbet (სვ. *ღერბეთ*), Zoorghy (ქართ. *ზურგი*), Gheem (სვ. *გიმ*), Margheely (ქართ. *მარგილი*) და ა. შ. ამასთანავე, როგორ მე-2 ცხრილში ჩანს, *ი*-ის გადმოსაცემად გამოიყენება *i, ee, y;* დახურულ მარცვალში ძირითადად გვაქვს *i:* Tchkhindee (მეგრ. *ჩხვინდი*), Kissery (ქართ. *კისერი*), Nin (სვ. *ნინ*) და ა. შ.; *ee* ძირითადად გამოიყენება სიტყვის შუაში ან ბოლოში: Kbeely (ქართ. *კბილი*), Cheeshkh (სვ. *ჭიშხ*), Eenee (მეგრ. *ყინი*) და ა. შ.; ხოლო *y* ძირითადად სიტყვის ბოლოში გვხვდება: Velly (ქართ. *ველი*), Ttskary (მეგრ. *წყარი*) და ა. შ. (და მაინც, ეს წესები ყოველთვის თანამიმდევრულად არ არის რეალიზებული). სწორედ ასეთი სინტაგმატური წესები (რომლებიც ინგლისური ორთოგრაფიისათვისაა დამახასიათებელი) გვიჩვენებს, რომ თავისი არსით ეს ტრანსლიტერაციაა და არა ტრანსკრიფცია.

პ.ს.პალასის „შედარებითი ლექსიკონი“ უბრალოდ წყარო კი არ არის ჯ.ელისის ლექსიკოგრაფიული რესურსისათვის, არამედ იგი წარმოადგენს სრულ (რაოდენობრივ[8] და თვისებრივ) კლიშეს; განსხვავება მხოლოდ ინგლისურ სიტყვანსა და ინგლისურ ტრანსლიტერაციაშია. აღნიშნულის დასადასტურებლად მე-3 ცხრილში პარალელური სახით წარმოგიდგენთ პალასის ლექსიკონის 1-ელ ტომში და ელისის წიგნში მოცემულ ქართველურ ენათა მასალას:

ცხრილი 3.

	ქართული		მეგრული		სვანური		
	Паллас	**Ellis**	**Паллас**	**Ellis**	**Паллас**	**Ellis**	
БОГЪ	Гмерти	Gmerty	Хоромти	Horomti	Гербетъ	Gherbet	God
НЕБО	Ца	Tsah	Цашь	Tsah	Ца	Tsah	Heaven
ОТЕЦЪ	Мамма	Mamma	Мума	Mooma	Ма	Moo	Father
МАТЬ	Деда	Dedda	Дида	deeda	Ди	Dee	Mother
СЫНЪ	Шылли	Shyilly	Скуа	Skooa	Iезагъ	Yezag	Son
ДОЧЬ	Кали	Kaly	Озури	Ozoory	Зурагъ	Zoonak	Daughter
БРАТЪ	Тсма	Tsmah	Джима	Djeema	Мухбе	Moohkbay	Brother
СЕСТРА	Да	Da	Дачкимъ	Datchkym	Дачуръ	Datchoor	Sister
МУЖЪ	Кмари	Kmary	Комоджи	Komodjy	Чашъ	Chash	Husband
ЖЕНА	Цоли	Tsoly	Чили	Cheely	Ъху	Aikhoo	Wife
ДѢВА	Кали	Kally	Озури	Ozoory	Сурагъ	Zoorag	Girl
МАЛЬЧИКЪ	Биджау	Bidjaoo	Бидхау	Bidjaoo	Тшкинта	Tshkynta	Boy
ДИТЯ	Кмацвили, Цвили, Крма	Kmatsvilly, Tsvilly, Krmah	Боши	Boshy	Бобшъ	Bobsh	Child
ЧЕЛОВѢКЪ	Кадци	Kadtsy	Кодши	Kodshy	Маре	Maray	Man
ЛЮДИ	Халхи, Эрни, Кацни	Khalkhee, Erny, Cartsuy	Маргали	Margalce	Хваи-Маре	Khva-ce-maray	People
ГОЛОВА	Тави, Кави	Tavee, Kavee	Дуди	Doodee	Тхумъ	Tkhoom	Head
ЛИЦО	Пирасса, Сахе, Пирисъсахе	Peerassa, Sakhay, Peeris-sakhay	Пижиши	Peejeeshee	....		Face
НОСЪ	Цхвири	Tskhveery	Чхинди	Tchkhindee	Iепхна	Yepkhna	Nose
НОЗДРИ	Несто, Нести	Nesto, Nestvi	....		....		Nostril
ГЛАСЪ	Туали, твали	Twaly, Tvaly	Толи	Toly	Те	Tay	Eye
БРОВИ	Царби	Tsarby	....		....		Eyebrow
РЕСНИЦЫ	Цамцами, Цан-цамъ	Khaltay, Erkta	....		....		Eyelashes
УХО	Кури	Koory	Уджи	Oodjy	Шдимъ	Shdeem	Ear
ЛОБЪ	Шубли	Shoobly	Куа	Kooa	Никба	Neekba	Forehead
ВОЛОСЪ	Тма	Tma	Тома	Toma	Цату	Patoo	Hair
ЩОКИ	Лока, коба	Loka, Koba	....		....		Cheeks
РОТЪ	Пири	Peeree	Пиджи	Pidjee	Пилъ	Peel	Mouth
ГОРЛО	Кҳаркҳанто, Ткели	Kharkhanto, Tkelly	....		....		Throat
ЗУБЪ	Кбили, гбили	Kbeely, Gbeely	Кибири	Keebeery	Шдикъ	Shdik	Teeth
ЯЗЫКЪ	Ена	Aina	Нина	Neena	Нинъ	Nin	Tongue
БОРОДА	Цуери, цвери	Tswerry, Tsverry	Примули	Primooly	Уерс	Waray	Beard
ШЕЯ	Кисери, кели	Kissery, Kaily	Кисери	Kissery	Киншжъ	Kinshkh	Neck
ПЛЕЧО	Пхари, мхари	Pkary, Mkhary	Худже	Khoodjy	Мекхеръ	Mekher	Shoulder
ЛОКОТЬ	Дакви, Цкрта	Dakvy, Tskrtah	....		....		Elbow
РУКА	Кьѣели, Хели	Kchelly, Khelly	Хе	Kheh	Ши	Shee	Hand
ПАЛЬЦЫ	Тити, Титеби, Титни	Teeteem Teetebby, Titnee	Кити	Keetee	Пхуїе	Pkhooyay	Fingers
НОГТИ	Фчхинли, Пчхели, Прчхилеби	Fchinly, Pehkhelly, Prchkheelebby	Биртеха	Byrtekha	Цжа	Tskhah	Nails
БРЮХО	Муцели	Mootselly	....		....		Belly
СПИНА	Зурги	Zoorghy	...		...		Back
НОГА	Феги, Пехи, Пеки	Fayghee, Paykhee, Pekky	Кучхи	Koochkhy	Чишхъ	Cheeshkh	Foot
КОЛѢНО	Мукьли, Мухли	Mookly, Moohkly	Бургули	Boorgooly	Гуей	Gweyee	Knee
КОЖА	Ткьгави	Tkhavee	Тхеби	Tkhebby	Канъ	Kan	Skin
МЯСО	Кҳорци, Карци	Khortsy, Kartsy	Хорци	Khortsy	Ъху	Yekhoo	Flesh
КОСТЬ	Тсуали, Цзвали	Tswally, Tszvally	Тсуали	Tswally	Тжижу	Tjeego	Bone
КРОВЬ	Сисхли	Seeskhly	Сисхели	Seeskhelly	Iемескъ	Yemmesk	Blood

СЕРДЦЕ	Гули	Goolee	Гури	Gooree	Гу	Goo	Heart
МОЛОКО	Ртсе, Рдзѣ	Rtseh, Rdzay	Вжа	Bjah	Ирдже	Eerdjeh	Milk
СЛУХЪ	Гагонеба, Сасменели	Gogonebba, Sasmeneli	....		....		Hearing
ЗРѢНІЕ	Хедвелаба, Хедва	Kebvelaba, Kedva	....		....		Sight
ВКУСЪ	Гемовнеба, Гемо	Ghemovneba, Ghemo	....		....		Taste
ОБОНЯНІЕ	Кносва, Кносеба	Knossa, Knoseba	....		....		Smelling
ОСЯЗАНІЕ	Шехеба, Ганхилва, Гурзиноба	Shehkeba, Gankheelba, Goorzeenova	....		....		Feeling
ГОЛОСЪ	Хма	Khmah	....		....		Voice
ИМЯ	Сахели	Sakhely	....		....		Name
КРИКЪ	Квирили, Дзахели	Kveereely, Dsahkely	....		....		Cry
ШУМЪ	Какани, Гргвинва, Чхуби	Kakanee, Grgveenba, Tchkoobee	....		....		Noise
ВОПЛЬ	Тирилигодеба, Ткеба	Teereleegodeba, Tkebba	....		....		Clamour
СЛОВО	Саубари, Ситхва	Saubaree, Seetkhva	....		....		Word
СОНЪ	Дзили, Сизмари	Dzeely, Seesmaree	Лури	Loree	Лури	Loree	Sleep
ЛЮБОВЬ	Сикварули, Укваръ	Seekvarooly, Ookvar	Уорцъ	Worts	....		Love
БОЛЬ	Ткивили, Салмоба	Tkeeveely, Salmoba	....		....		Pain
ТРУДЪ	Гарчилоба, Шрома, Сарджели	Gartcheelova, Shroma, Sardjelee	....		....		Toil
РАБОТА	Мушакоба, Мушаоба	Mooshakova, Mooshaova	....		....		Work
СИЛА	Цзали, Гонѣ	Tszalee, Gonay	....		....		Force
МОЧЬ	Гоне, Дзали	Dzalee, Goneh	....		....		Power
ВЛАСТЬ	Уплоба, Хелмципѣба, Чедълеба	Cheelova, Chedleba, Khelmsteepaiba	....		....		Authority
БРАКЪ	Шеуглеба, Корцинеба	Shayoogleba, Kortseeneba	....		....		Marriage
ЖИЗНЬ	Цыцотьшхле, Цховреба	Tsuytsotshkhley, Tskhovraba	....		....		Life
РОСТЪ	Танисегздилоба, Тани, Агэда, Хазда	Taneesegzdeelova, Tanee, Agzda, Hazda	....		....		Stature
ДУХЪ	Сули	Soolee	....		....		Spirit
СМЕРТЬ	Сикvдила, Сщули	Sikvdeela, Stschoolee	....		....		Death
СТУЖА	Циціе, Сицхе, Сициве	Tseetsyeh, Seetskheh, Seetseeveh	....		....		Cold
КРУГЪ	Мгургали, Мергвалицре, Симгргвле	Mgoorgaly, Mergva-leatsre, Symgrgvleh	....		....		Circle
ШАРЪ	Бурти, Мгурвали	Boorshy, Mgoorbaly	....		....		Globe
СОЛНЦЕ	Мзе	Mzeh	Бжа	Bja	Мижъ	Meej	Sun
МѢСЯЦЪ	Мътуаре, Мтваре	Mtwary, Mtvary	Тута	Toota	Мижъ	Mij	Moon
ЗВѢЗДА	Марскулави, Варсилави	Maskulavy, Varseelavy	Муруць	Mooroots	Аншьквескь	Antkvesk	Star
ЛУЧЪ	Шуши, Схиви, Шараванди	Shooshee, Skeevee, Sharavandee	....		....		Ray
ВѢТРЬ	Нїяви, Кари, Кьири	Nyahvee, Karee, Kwheeree	....		....		Wind
ВИХРЬ	Мгргаликари, Борбаликари, Григали		....		....		

БУРЯ	Буки, Врцель-гелва, Нисли	Bookee, Brtselgelba, Neeslee	....		....		Storm
ДОЖДЬ	Тцыма, Цвима	Tsuyma, Tsveema	Чима	Cheema	Учга	Ootchga	Rain
ГРАДЪ	Сетква	Setkva	....		....		Hail
МОЛНІЯ	Елва, Елвареба	Elva, Elvareba	Вали	Valy	Елвай	Elvaee	Lightning
СНѢГЪ	Товли	Tovlee	Тери	Terree	Мусь	Moos	Snow
ЛЕДЪ	Кинули, Кинувли	Kinnooly, Keenoobly	Ини	Eenee	Кваремь	Kvarem	Ice
ДЕНЬ	Дге	Dgheh	Га	Ga	Дешдуй	Deshdwee	Day
НОЧЬ	Гамь, Гаме	Gam, Gamey	Зери	Zerry	Лесть	Leket	Night
УТРО	Дила	Deela	....		....		Morning
ВЕЧЕРЪ	Сагамо, Мцухри	Sagamo, Mtsookhry	....		....		Evening
ЛѢТО	Запхули, Целній	Zapkhooly, Tselniee	....		....		Summer
ВЕСНА	Газапули	Gazapooly	....		....		Spring
ОСЕНЬ	Шамодгома	Shamodgoma	....		....		Autumn
ЗИМА	Замтари	Zamtary	....		....		Winter
ГОДЪ	Тцелицади	Ttseleetsadee	Цанамацана	Tsanamatsana	Сай	Sahee	Year
ВРЕМЯ	Дро, Жами	Dro, Jamee	....		....		Time
ЗЕМЛЯ	Мица	Meetsa	Диха	Deehka	Гимь	Gheem	Earth
ВОДА	Тцхали, Цкали	Tskaly, Tskhaly	Тцхари	Ttskary	Виць	Veets	Water
МОРЕ	Згвеби, Згва	Zgvebby, Zgva	....		....		Sea
РѢКА	Бдинаре, Мдинаре	Bdeenary, Mdeenary	....		Гангалиць	Gangalits	River
ВОЛНЫ	Гелва, Гелвани	Ghelva, Ghelvani	....		....		Waves
ПЕСОКЪ	Хуми, Квиша	Khoomy, Kveesha	....		....		Sand
ГЛИНА	Тиха, Талахи	Teekhah, Talakhee	....		Гимь	Gheem	Clay
ПЫЛЬ	Мтвери	Mstverry	....		....		Dust
ГРЯЗЬ	Лапи, Талахи	Lapee, Talakhi	....		....		Dirt
ГОРА	Килде, Мта	Keeldeh, Mtah	Кирде	Keerdey	Коджь	Kodj	Mountain
БЕРЕГЪ	Цклисьнапири, Напира, Плато	Tskleesnapeery, Napeera, Plato	....		....		Coast
ХОЛМЪ	Севи, Борцви	Sevvee, Bortsvee	....		....		Hill
ДОЛИНА	Ваке, Бари, Вели	Vakeh, Baree, Velly	....		....		Valley
ВОЗДУХЪ	Аэри, ⍰аери	Atchry, Hahery	....		....		Ar [Air]
ПАРЪ	Орткли, Ортхли	Ortkly, Ortkhly	....		....		aipour [Vapour]
ОГОНЬ	Цецхли	Tsetskhlee	Датшхе	Datshkhley	⍰емскь	Hemmek	Fire
ЖАРЬ	Накверцхали	Nakvertskhaly	Нагвердали	Tbeela	Тбила		Heat
ГЛУБИНА	Сигрме, Сигремѣ	Seegrmey	....		....		Depth
ВЫСОТА	Симагле	Seemagley	....		....		Height
ШИРИНА	Сиганїере, Сиганѣ	Seeganyerry	....		....		Breadth
ДЛИНА	Сигрце, Сигвѣ	Seegrtseh, Seegsay	....		....		Length
ДИРА [ДЫРА]	Нахврети	Nakvrety	....		....		Hole
ЯМА	Ормо	Ormo	....		....		Pit
РОВЪ	Руви, Тхребли	Ruby, Tkhrebly	....		....		Ditch
КАМЕНЬ	Ква	Kva	Куа	Kooa	Ква	Kva	Stone
ЗОЛОТО	Окро	Okro	Мокро	Mokro	Окерь	Oker	Gold
СЕРЕБРО	Верцхли, Ворцхли	Bertskhlee	Кварчьхили	Kvartchkheely	Верцхле	Bertskhleh	Silver
СОЛЬ	Марили	Mareely	Жуми	Joomy	Гимь	Gheem	Salt
ЧУДО	Сакурвели, Сактирвели, Саквареli	Sakoorvely	....		....		Miracle
ЛѢСЪ	Тке, Тхе, Тмке	Tkeh, Tkheh, Tenkeh	....		....		Forest

ТРАВА	Балахи, Тива	Balakhee, Teeva	....		....		Grass
ДЕРЕВО	Тхертке, Хь	Tkhertkey, Khay	Тка	Tkah	Тцхека	Tskhekka	Tree
КОЛЪ	Пало, Маргили	Palo, Margheely	....		....		Pole
ЗЕЛЕНЬ	Мцванили, Цвалвили	Mtsvaneely, Mtsvan-veely	....		....		Verdure

როგორც უკვე აღინიშნა, ელისის რესურსში გამეორებულია ქართველურ ენათა აღმნიშვნელი ის გლოსონიმები, რომლებიც პალასთან გვაქვს, ხოლო ტრანსლიტერაცია შესრულებულია იმ რუსული ვერსიის მიხედვით, რაც წყაროშია (ე.ი. პალასის ნაშრომშია) მოცემული, ცდომილებების ჩათვლით; სიტყვანი თითქმის სრულად აღებულია პალასის ლექსიკონიდან: სულ 129 (130-1) ერთეული; აქედან, ქართული შესატყვისი ახლავს ყველას; მეგრულად თარგმნილია მხოლოდ 61, ხოლო სვანურად – 60).

თუკი, როგორც დასტურდება, სწორედ პ. პალასის ლექსიკონი წარმოადგენს ჯ. ელისის ლექსიკოგრაფიული რესურსის უშუალო შაბლონს, მაშინ რა როლი უნდა შეესრულებინა ამ საქმეში ი. ა. გიულდენშტედტის კავკასიურ კოლექციებს როგორც წყაროს? უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გიულდენშტედტის მიერ ჩაწერილი ლექსიკური მასალა საკმაოდ წარმომადგენლობითია და ღირებულია არა მარტო როგორც ისტორიულად ადრეული, არამედ ასევე როგორც მეტწილად სანდო წყარო. ამასთან დაკავშირებით, ღირსსაცნობია არნოლდ ჩიქობავას კომენტარი:

> სიტყვებს თარგმნიდნენ თარჯიმნის მეშვეობით: თვითონ გიულდენშტედტმა არ იცოდა არც ერთი ენა, რასაც კავკასიის მიწა-წყალზე ხვდებოდა (არც რუსული არ იცოდა)... თარგმანი იწერებოდა ლათინური თუ გუთური ანბანით, რაც ცხადია, იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციფიკური ფონემების აღსანიშნავად საკმარისი ოდნავადაც არ იყო: ასეთი ბგერები მიახლოებით თუ აღინიშნებოდა, მით უმეტეს, რომ ასეთ ფონემათა გარჩევა, როცა ენა არ იცის კაცმა, შეუძლებელია [...] გასაკვირი ასეთი შეცდომები კი არ არის, არამედ ის, რომ მეტი უზუსტობა არ დასტურდება: ეს უთუოდ ი. გიულდენშტედტის, როგორც მეცნიერის, დაკვირვების საფუძვლიანობას მოწმობს (ჩიქობავა 1965: 111).

და მაინც, ელისის წიგნის გამოცემამდე (1788 წ.) გიულდენშტედტის ნაშრომი ბეჭდური სახით არ არსებობდა. ეს განსაკუთრებით ეხება მისი „მოგზაურობანის“ მეორე ტომს, რომელსაც დართული აქვს “Wörtersammlung zur Vergleichung der im Caucasus gangbaren Sprachen” („სიტყვათა კრებული კავკასიაში ხმარებულ ენათა შესადარებლად“) (გიულდენშტედტი 1791: 496-551). ნიშანდობლივია, რომ გიულდენშტედტის ნაშრომის ორივე ტომი სწორედ პალასის რედაქტორობით გამოვიდა. „საყოველთაო“ ლექსიკონზე მუშაობისას მას ხელთ ჰქონდა როგორც გიულდენშტედტის, ისე სხვათა მიერ შეკრებილი მასალები (ბულიჩი 1904: 478-479). ასე რომ, გიულდენშტედტის ნაშრომი შეიძლება მივიჩნიოთ ელისის ლექსიკოგრაფიული კოლექციის მხოლოდ არაძირითად ან ირიბ წყაროდ.

ღირსსაცნობია, რომ ჯორჯ ელისის ეს წიგნი ძალიან მალე ითარგმნა ფრანგულ ენაზე და დამატებითი მასალებით გავრცობილი გამოიცა პარიზში 1797 წელს. სწორედ ამ დამატებითი მასალების წყალობით მის ავტორად ჯ. ელისთან ერთად არაერთი პირია დასახელებული (ედვარდსი და *სხვები* 1797). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ წიგნის ლექსიკოგრაფიულ ნაწილს შეეხო ნატალია ორლოვსკაია (ორლოვსკაია 1965). ჩვენთვის უდავოდ საგანგებო ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ფრანგულ გამოცემაში ზემოაღნიშნული ენობრივი მასალებიცაა გადმოტანილი. სიტყვანი მთლიანად თარგმნილია ფრანგულად, ოღონდ, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ქართული, მეგრული და სვანური შესატყვისების ტრანსლიტერაციები ისევეა გადმოცემული, როგორც ეს ინგლისურ ვერსიაშია, ე. ი. ინგლისური ტრანსლიტერაციით, რაც, ბუნებრივია, ფრანგულენოვან მკითხველს ბევრს ვერაფერს მისცემდა.

სიტყვანის შედგენილობა და მეთაური სიტყვების თანამიმდევრობა თითქმის იდენტურია ინგლისურისა (ორგან არ ემთხვევა ინგლისური და ფრანგული ვერსიების თანამიმდევრობა; ეს ეხება „ზაფხულისა“ და „ნახვრეტის“ აღმნიშვნელ სიტყვებს: ინგლისურ წიგნში ჯერ გვაქვს Summer „ზაფხული“ და შემდეგ Spring „გაზაფხული,“ ხოლო ფრანგულში პირიქითაა: ჯერ არის Printemps „გაზაფხული,“ მის მომდევნოდ კი Eté „ზაფხული“; ინგლისურში გვაქვს Breadth „სიგანე,“ Length „სიგრძე,“ Hole „ნახვრეტი,“ ხოლო ფრანგულში – Trou „ნახვრეტი,“ Langueur „სიგანე,“ Longueur „სიგრძე“).

სიტყვათა თარგმანი ადეკვატურია; მხოლოდ ერთადერთ შეუსაბამობაზე მიუთითებს ნ. ორლოვსკაია; ეს ეხება სიტყვას „შრომა“ (ინგლისურში გვაქვს toil), ხოლო ფრანგულში არის peine, რომელიც არ წარმოადგენს მის შესატყვისს (ორლოვსკაია 1965: 225). და მაინც, მიუხედავად რიგი ნაკლოვანებისა, ეს ნაშრომი ინარჩუნებს ისტორიულ ღირებულებას, რადგანაც იგი წარმოადგენს პირველ ბეჭდურ ფრანგულ-კავკასიურ ლექსიკოგრაფიულ რესურსს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ხსენებული ფრანგულენოვანი წიგნი თარგმნეს რუსულ ენაზე (შიშკევიჩი 1810), მაგრამ, რადგანაც ამ გამოცემას სიტყვარები არ ახლავს, იგი ჩვენი განხილვის საგნად ვერ იქცევა.

ელისის წიგნი რომ კომპილაციური ნაშრომია, ამას ავტორისავე სიტყვებიდან ვგებულობთ, მაგრამ მისი კომპილაციურობა ვერ აკნინებს მის გამორჩეულ მნიშვნელობას როგორც კავკასიისა და კავკასიური ენების შესწავლის ერთ-ერთ ადრეულ ბრიტანულ ნიშანსვეტს. ასევე უაღრესად ფასეულია ის ფაქტიც, რომ თავის მხრივ იგი გახდა წყარო ფრანგულენოვანი ნაშრომისათვის, რომელიც უდავოდ საყურადღებოა მასში მოწოდებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ენობრივი მასალის გადმოცემის თვალსაზრისით.

შენიშვნები

1 რაც უნდა გასაკვირი იყოს „ბრიტანული ენციკლოპედია“ გვაწვდის უმართებულო ცნობას, რომ თითქოს იგი დაიბადა ლონდონში (ჰუპერი 1910: 293).

2 ნიშანდობლივია, რომ ეს ნაშრომი დასახელებული აქვს ო. უორდროპს თავისი წიგნის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში (უორდროპი 1888: 175); ავტორი არც აქაა მითითებული. ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც აქ იგი სარგებლობს ისეთი წყაროთი, სადაც ჩვენთვის საინტერესო წიგნი ასევე ანონიმურადაა წარმოდგენილი (მიანსაროვი 1874-1876: 13). არც ესაა მოულოდნელი, რადგან ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში მრავალი სწავლული იცნობდა ამ წიგნს, მაგრამ არაფერი იცოდა მისი ავტორის ვინაობის შესახებ; ასე, მაგალითად, ჩარლზ ვალანსი (1731-1812), რომელიც უხვად იყენებს ჩვენთვის საინტერესო ნაშრომიდან აღებულ მასალებს, აცხადებს: „მე დიდად ვარ დავალებული ამ ანონიმი სწავლულისაგან“ (ვალანსი 1804: 8).

3 როდესაც წინამდებარე სტატია დასრულებული იყო და რედაქციაში გასაგზავნად ვამზადებდით, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გამოქვეყნდა კიდევ ერთი ნაშრომი ამ საკითხზე (მარგალიტაძე, ჭიღლაძე 2021).

4 არსებობს ცნობა, რომ 1778-1788 წლებში ჯ. ელისი გახლდათ მოსკოვში ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომელი (ათალიკოვი 2010: 146).

5 დედანში კორექტურული შეცდომაა; კვადრატულ ფრჩხილებში წარმოდგენილია სიტყვის მართებული დაწერილობა.

6 დედანში კორექტურული შეცდომაა; კვადრატულ ფრჩხილებში წარმოდგენილია სიტყვის მართებული დაწერილობა.

7 ნიშანდობლივია, რომ პ. ს. პალასთან საერთოდ არ გვხვდება ტერმინი „грузинский;“ თავის დროზე ჩვენ კრიტიკულად მიმოვიხილეთ ელისისეული გლოსონიმები (ენათა სახელწოდებები) და სათანადო განმარტებებიც დავურთეთ (კიკვიძე, ფაჩულია 2019: 2021).

8 ელისისეულ ქართველურ ენათა ცხრილში არ ჩანს მხოლოდ ერთი სიტყვა პალასის სიტყვანიდან; ეს არის 80. Вихрь. საბოლოოდ, პალასის ლექსიკონის პირველ ტომში გვაქვს 130 სიტყვა-სტატია, ხოლო ელისთან – 129 (ვგულისხმობთ ქართველური ენების ცხრილს). ამ მხრივ, სხვადასხვა მოდულს შორის რაოდენობრივი განსხვავებები დასტურდება (იხ. კიკვიძე, ფაჩულია: 2021).

დამოწმებანი

ათალიკოვი 2010: В. Аталиков (Сост.). *Кавказ. Европейские дневники XIII-XVIII веков*, Нальчик, Издательство М. и В. Котляровых.

ანონიმი 1788: *The Monthly Review, or, Literary Journal* Vol. 79, London, Griffiths.

ბულიჩი 1904: С. К. Булич. *Очерк истории языкознания в России*, Санкт-Петербург, Тип. М. Меркушева.

გიულდენშტედტი 1791: J. A. Güldenstädt. *Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge*, B. 2, St Petersburg, Kayserliche Akademie der Wissenschaften.

ედვარდსი და სხვები 1797: B. Edwards, G. Ellis, A. B. F. Baert, G. E. J. de Sainte Croix. *Mémoires historiques et géographiques*

sur les pays situés entre la mer noire et la mer caspienne: avec un vocabulaire des dialectes et deux cartes, auxquels on a joint un voyage en Crimée, Paris, Jansen.

ელისი 1788: G. Ellis. *Memoir of a Map of the Countries Comprehended Between the Black Sea and the Caspian; with an Account of the Caucasian Nations, and Vocabularies of Their Languages*, London, J. Edwards.

ელისი 1789: G. Ellis. *History of the Late Revolution in the Dutch Republic*, London, J. Edwards.

ვალანსი 1804: C. Vallancey. *Collectanea de Rebus Hibernicis*, vol. 6, Dublin, Graisberry and Campbell.

კენედი და სხვები 1971: J. Kennedy, W. A. Smith, A. F. Johnson. *Dictionary of Anonymous and Pseudonymous English Literature*, Vol. 4, New York, Haskell House.

კიკვიძე, ფაჩულია 2019: Z. Kikvidze, L. Pachulia. *Prior to D. R. Peacock: Notes on the earliest English-Megrelian Lexicographic resource, 9th International Research Conference on Education, Language and Literature. Proceedings Book, Tbilisi, IBSU; pp. 450-460.*

კიკვიძე, ფაჩულია 2021: Z. Kikvidze, L. Pachulia. *George Ellis's 130 English Words and Their Equivalents in Caucasian Languages (Evidence from his 18th c. book), General and Specialist Translation / Interpretation: Theory, Methods, Practice: International Conference Papers, Kyiv, Agrar Media Group; pp. 226-234.*

ლაუნდსი 1834: W. T. Lowndes. *The Bibliographer's Manual of English Literature, Vol. 7, London, William Pickering.*

მარგალიტაძე 2014: *თ. მარგალიტაძე. ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფია. ქართველოლოგი 20, <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/8/7>*

მარგალიტაძე, ოძელი 2019ა: თ. მარგალიტაძე, მ. ოძელი. *ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის ეთით საინტერესო ფურცელი, საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი ჰამფს ჰასკისადმი „იდეოლოგია და ღინგვისტური იდეები" (12-14 სექტემბერი, 2019); პროგრამა და თეზისების კრებული, თბილისი, გერფონი; გვ. 50-52.*

მარგალიტაძე, ოძელი 2019ბ: თ. მარგალიტაძე, მ. ოძელი. *წინასიტყვაობა. წიგნში: უოხტხოპი, მ. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, თსუ, ლექსიკოგრაფიის ცენტრი; გვ. 7-12.*

მარგალიტაძე, ჭიღლაძე 2021: მ. მარგალიტაძე, ს. ჭიღლაძე. *ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები (ჯორჯ ელისის ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონი), თბილისი.*

მიანსაროვი 1874-1876: M. Miansarof. *Bibliographia Caucasica et Transcaucasica, St.-Pétersbourg, J. Bakst et Hohenfelden & Comp.*

ორლოვსკაია 1965: Н. Орловская. *Грузия в литературах западной Европы в XVII-XVIII веков, Тбилиси, Издательство Тбилисского университета.*

ორლოვსკაია 2013: Н. Орловская. *Очерки по вопросам литературных связей, Тбилиси, Русский клуб.*

ოძელი 1998: მ. ოძელი. *ქართულ-ინგლისური ღიცტიჰატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი, თსუ გამომცემლობა.*

პალასი 1787: P. S. Pallas. *Linguarum totius orbis vocabularia comparativa: augustissimae cura collecta. Sectionis primae, linguas Europae et Asiae complexae, Petropoli, Schnoor.*

პეტრენკო, შტაინი 2017: Д. И. Петренко, К. Э. Штайн. *Жанр «Memoir of a Map» в лингвогеографии XVIII века. Известия южного федерального университета, Филологические науки 3: 113-120.*

სურგულაძე 1977: მ. სურგულაძე. *ინგლისური ცნობები საქართველოს შესახებ XII საუკუნიდან XIX ს. შუა წლებამდე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 184: 170-188.*

უორდროპი 1888: O. Wardrop. *The Kingdom of Georgia. Notes of Travel in a Land of Women, Wine, and Song, London, Sampson Low, Maarston, Searle, and Rivington.*

ყიასაშვილი 1963: ნ. ყიასაშვილი. *ეთით უნიკალური წიგნის შესახებ. ღიტერატურული საქართველო, 26 ივლისი.*

შიშკევიჩი 1810: *Историогеографические записки о странах, лежащих между морями Черным и Каспийским, содержащие новейшие подробности описания живущих оных народов и достопамятности древнего и нынешнего тех земель местоописания, Пер. с фр. Ф. Шишкевича, Санкт-Петербург, тип. Шнора.*

ჩიქობავა 1965: ა. ჩიქობავა. *იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, განათლება.*

ჰუპერი 1910: *Encyclopaedia Britannica. A Dictionary of Arts, Sciences, Literature and General Information, 11th edition, Volume 9, ed. by H. E. Hooper, New York, Encyclopaedia Britannica Company.*

GEORGE ELLIS AND HIS KARTVELIAN LEXICAL DATA: QUESTIONS AND ANSWERS

Zaal Kikvidze
Arnold Chikobava Institute of Linguistics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
zaal.kikvidze@tsu.ge
Levan Pachulia
Sokhumi State University
l_pachulia@yahoo.com

In the present paper we discuss the Kartvelian lexical data in *Memoir of a Map of the Countries Comprehended Between the Black Sea and the Caspian; with an Account of the Caucasian Nations, and Vocabularies of Their Languages*, written by George Ellis, a British poet and diplomat, and published in London in 1788. Following a detailed review of what has been known in the literature about the book and its author, we place a particular emphasis on the lexicographic data of the languages of the Caucasus, appended to the book, with special reference to those of the Kartvelian languages. This module includes translations of 129 English headwords into Georgian, Megrelian, and Svan (Laz data do not appear in the collection).

Judging from the terminology, wordlist, translation errors, transliteration conventions, etc., we established its direct and oblique sources. The book is a remarkable landmark in the history of Caucasus Studies as one of the first accounts of the Caucasus and the Caucasian languages published in English.

In its turn, George Ellis's compilation became a source for another work, an elaborated and revised translation of his book into French which is significant for its rendering of historical, ethnographic, and linguistic data related to the Caucasus.

დედა ღვთაება დემეტრე და ქართული წარმართული კოსმოგონიის ზოგიერთი საკითხი

გოჩა კუჭუხიძე
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
gochakuch@yahoo.com

საუკუნეთა წიაღში ჩაკარგული მითების სამზეოზე გამოტანა და გაცოცხლება, ფოლკლორისა და ლიტერატურის ძველთაძველ შრეებში ძიების გარდა, ცხადია, ეტიმოლოგიასაც შეუძლია. საინტერესოა, რამდენად მოხერხდება სიტყვათა რეკონსტრუქციების წყალობით იმისი დაზუსტება, თუ როგორ აღიქმებოდა ქართველთა წარმართი წინაპრების მზერაში გარესამყარო, კერძოდ, – *მიწა* და ზეცა. რადგან ქართულ ფოლკლორთან, სასულიერო და საერო მწერლობასთან, საერთოდ, ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, ამიტომ წინამდებარე წერილში ენათმეცნიერების სფეროშიც შევეცდებით შესვლას.

ენათმეცნიერების ასპექტიდან ივანე ჯავახიშვილმა იკვლია ეს საკითხები, მკვლევარი წერს:

> [...] ყურადღების ღირსია საზოგადო ქართული სიტყვა „დედამიწა", რომელსაც ჩვენ ეხლა ჩვეულებრივ მიწის აღსანიშნავად ვხმარობთ. ძველ დროს, ძველ ქართულ მწერლობაში ამ სიტყვას ამ მნიშვნელობით არა ჰხმარობდნენ, არამედ მართოდენ სიტყვას „ქვეყანა"-ს, ალბათ იმიტომ, რომ მაშინ სიტყვას „დედამიწა"-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და მთელ „მიწის დედა"-ს, მიწის ღვთაების „დედას" ეძახდნენ. [...] საყურადღებოა, რომ ამ მიწის, თუ ადგილის, თუ ხევის ღვთაებას „დედა" ჰქვია. ამასთანავე, უნებლიედ აგონდება ადამიანს განთქმული მცირე აზიაში და ბერძენთა მიწის ღვთაება „დემეტერ", რომელიც აგრეთვე „დემატერ"-ად იწოდებოდა (ჯავახიშვილი 1979: 132).

შემდეგ ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ სიტყვა *მატერის* „თითქმის ყველანი ბერძნულ დედად სთვლიან", რომ სახელის პირველი ნაწილის მნიშვნელობა გამოურკვეველია და, მეცნიერთა აზრით, შესაძლოა, *მიწას* ნიშნავდეს, თუმც, მისი აღნიშვნით, „ეს აზრი საცილობელად არის მიჩნეული", შემდეგ კი დასძენს:

> თუ რომ „დამატერ", ანუ „დემეტერ" მართლაც ნამდვილი ბერძნული სიტყვა არ გამოდგა და მცირე აზიასთან არის დაკავშირებული, მაშინ სიტყვის პირველი ნაწილი „და" და „დე" შეიძლება მიწას კი არა, „დედას" უდრიდეს, მისი შეკვეცილი სახე იყოს, როგორც „დია" სიტყვაში „დიასახლისი", ანუ უფრო როგორც „დე" სიტყვაში „დეკეული" (წლის ფური: საბა ორბელიანი), რომელიც აგრეთვე „დიაკეულად" ითქმოდა ძველს მწერლობაში, როგორც *„დი"* სიტყვაში *„დიუფაღი"*, დიდი თავადის ცოლი. [...] ქართულში და სხვა მონათესავე ენებში „დე" ან „და" კანონიერი შეკვეცილი სახეა „დედა"-სი. მაშასადამე, სიტყვა „დემეტერ", ანუ „დემატერ" ან უნდა შესდგებოდეს, თუ რომ მეორე ნაწილი ბერძნულია, ორი ერთმნიშვნელოვანი სიტყვისაგან, დე (= დედა) + მეტერ (ბერძნ. დედა), და (= დედა) + მატერ (ბერძნ. დედა), – ან არა და, თუ რომ „მეტერიც" ბერძნული არ გამოდგა, შეიძლება უდრიდეს მიწას, იქნებ მისი დამახინჯებული სახე იყოს? (ჯავახიშვილი 1979: 132-133).

ბერძნულ პანთეონში კარგად ცნობილი ქალღმერთის სახელ *Demeter*-ში, როგორც მიჩნეულია, მეორე ნაწილი *(meter)* მომდინარეობს პროტო-ინდო-ევროპული *(პიე)* ძირიდან **mater-* და მას განმარტავენ როგორც „დედას"; ამ ძირიდან მომდინარედ არის ცნობილი: ლათ. *mater,* ბერძნ. *Mētēr,* ძველინგლისური *modor,* ინგლისური *mother,* პროტო-გერმანიკული **mōđēr,* გერმანული *Mutter* სლავური *mati* და იგივე მნიშვნელობის მქონე სხვა ლექსემები (ეტიმოლოგიური ლექსიკონი ა); ამავე *პიე *mater-* ძირიდან მომდინარედ მიაჩნიათ: ლათინური *materia* /"მატერია", „მასალა", „ხის მასალა", „ნივთიერება"/; ინტ.: 2; კალვერტ უოტკინსის აზრით, ძირი **mater-*, თავის მხრივ, *პიე *ma--*/"დედა"/ ძირზე, ასევე, *პიე *-ter-* სუფიქსის დართვით უნდა იყოს მიღებული (უოტკინსი 2000); (ეტიმოლოგიური ლექსიკონი ბ).

Demeter-ის პირველი ნაწილი კამათს იწვევს და ჯერ საბოლოოდ არ არის დადგენილი მისი

მნიშვნელობა: გავრცელებულია მოსაზრება, რომ ამ სიტყვის დასაწყისი *de* მომდინარეობს *da*-ლექსემიდან, რომელიც იგივეა, რაც დორიული *gē* („მიწა“), ამ შეხედულების თანახმად, რადგან ნაყოფიერების, მიწის ღვთაებაა დემეტრე, მისი სახელის პირველ ნაწილში *ge*-ს არსებობა ამიტომ არის სავარაუდო; ეს აზრი ლიდელისა და სკოტის ლექსიკონში გაზიარებული არ არის (ლიდელი, სკოტი 1883); (ეტიმოლოგიური ლექსიკონი გ), მას არ იზიარებს არც რობერტ ბეკესი, რომელიც ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებს, რომ *da* ფიგურირებს სახელ *Ποσειδῶνι* (ბერძ. Poseidon დორ. Poteidan), რომელიც, ცხადია, *მიწასთან* არ არის დაკავშირებული (ბეკესი 2010); (ეტიმოლოგიური ლექსიკონი გ).

ჩვენი აზრით, *Demeter-ის* პირველი ნაწილის ძიებისას გასათვალისწინებელია პროტო-ინდო-ევროპულში ცნობილი ძირი **dyeu-*, მისი მნიშვნელობებია: „ნათება“ და მისგან მომდინარე: „ზეცა“, „ღმერთი“, ამ ძირიდან გამოსულია ლექსემები: *deus* (ლათ., „ღმერთი“),*deva* (სანსკრ. „ღმერთი“, „ის, ვინც ანათებს“), *dava-* (ავესტ. „სული“, „დემონი“), *diw* (უელს. „დღე“),*dievas* (ლიტვ. „ღმერთი“) *tivar* (ძვ. ნორვ. „ღმერთები“) და სხვ. (ეტიმოლოგიური ლექსიკონი დ).

*როგორც ვნახეთ, პიე *dyeu- ძირი ღმერთთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახელს აწარმოებს.* ჩვენი აზრით, არაფერია იმაში შეუძლებელი, რომ ამ ძირიდან ისეთი სიტყვაც იყოს გამოსული, ქალღმერთთან რომ იქნება სემანტიკურად ახლოს. *ჰამდენადაც Demeter ნაყოფიერებასთან, შობასთან, ახალი სიცოცხლის გაჩენასთან დაკავშირებული ქალი ღვთაებაა და ჰამდენადაც ამ სახელის პირველი ნაწილი de ფონოლოგიურად ახლოს დგას ხსენებულ ძირთან,* ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდი, რომლის თანახმად, *ქალღმერთის სახელის პირველი ნაწილი de,* შესაძლოა, *სემანტიკურადაც ახლოს იდგეს ხსენებულ *dyeu- ძირთან, მისგან იყოს ტრანსფორმირებული და დედა ღვთაებას ნიშნავდეს.*

ამ საკითხებზე მსჯელობისას ყურადღებას იქცევს ლექსემები *დი* (სვან. „დედა“), *დია* (მეგრ. „დედა“) და, ასევე, სვანური *დიუ̈რ,* რომლის მნიშვნელობა არის *ქალიშვილი* (თოფურია, ქალდანი 2000: 414); ფონოლოგიური და სემანტიკური სიახლოვე იმის საფუძველს ქმნის, რომ, არა მარტო *დია* და *დი,* არამედ ლექსემა *დიუ̈რ* ისეთ სიტყვებთან მიმართებაში განვიხილოთ, როგორებიცაა: სვანური *დედე,* ლაზურ-მეგრული *დიდა,* ქართული *დედა; დიუ̈რ*ის სემანტიკასთან დაკავშირებით ის ფაქტი იქცევს ჩვენს ყურადღებას, რომ, ძველი ქართული ტექსტების მიხედვით, *სიტყვა – დედა მშობელსაც ნიშნავს* და, *საერთოდ, – ქალსაც,* თანამედროვე სვანურში, შესაძლოა, გაცილებით ვიწრო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ *ქართულ ლექსემასთან არსებული ფონოლოგიურ-სემანტიკური სიახლოვე* ბადებს ვარაუდს, რომლის თანახმად, წარსულში უფრო ფართო იყო ხსენებული სვანური სიტყვის სემანტიკა და რომ, *საერთოდ, ქალის /დედის/ მნიშვნელობაც ექნებოდა მას.*

რამდენადაც *პიე *dyeu-* ძირი და სვანური ლექსემა *დიუ̈რ* ფონოლოგიურ-სემანტიკურად უახლოვდება ერთმანეთს და რამდენადაც *პიე* ძირს *ღმერთის მნიშვნელობა აქვს,* ვფიქრობთ, სვანური ლექსემა სემანტიკურად, შესაძლოა, უფრო მჭიდროდაც უკავშირდებოდეს ხსენებულ *პიე* ძირს და ვუშვებთ ვარაუდს, რომ სვანური სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა *ახა მხოლოდ დედა, ახამედ – ღვთაება დედაც („ღმერთდედა“) იყო.*

ხსენებულ სვანურ სიტყვასთან ზემოჩამოთვლილი სხვა ქართველური ლექსემებიც არის დაკავშირებული (როგორც ფონოლოგიურად, ისე სემანტიკურად), რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ წინაშე ის სავარაუდო დასკვნაც ყალიბდება, რომლის თანახმად, შესაძლოა, ყველა აქ ნახსენებ სიტყვას *პიე *dyeu-* ძირთან აღმოაჩნდეს კავშირი, რომ არ არის შეუძლებელი, *ეს ძირი გამოდგეს მათი გენეზისის საფუძველი* (აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ: ცხადია, გასაგებია, რომ ქართველური ენები ინდო-ევროპულ ოჯახში არ შედის და ენათა შორის სიახლოვის ფაქტი, შესაძლოა, *ეხითი ენიდან მეოხეში სიტყვათა შესვლით უნდა აიხსნას,* მაგრამ ცხადია ისიც, რომ აუცილებელია, არ შეწყდეს იმ მიმართებით კვლევა /და არც შეწყვეტილა/, იძებნება თუ არა ქართველურსა და ინდო-ევროპულ ენებს შორის *შოხეული ნათესაობის* კვალი; ამ საკითხებს ქვემოთ, შენიშვნებშიც, შევეხებით).

ერთი შეხედვით, არცთუ ადვილი წარმოსადგენია, როგორ უნდა გამოსულიყო *პიე *dyeu-* ძირიდან ქართ. *დედ-ა-ჲ,* მეგრ. *დიდ-ა* („დედა“), ლაზ. *დიდ-ა* („მოხუცი ქალი“, „ბებია“), სვან. *დედ-ე* („დედა“, „ბებია“; – მიმართვის ფორმა), რომელთა საერთოქართველურ ძირად მკვლევართა მიერ სავარაუდო **დედ- არქეტიპი ახის* აღდგენილი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 169-170), თუმცა, დაკვირვება ცხადყოფს,

რომ არც ძალიან რთულია ეს ყოველივე: შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ლექსემაში – *დედა* მეორე თანხმოვანი *დ* შემდეგ არის გაჩენილი, რისი მიზეზიც, შესაძლოა, ის იყოს, რომ **dyeu-* ძირიდან მიღებული და *სვანუჰი დიუ̈ო-ს მსგავსი ღექსემა* (*დეა, დია...*) გაორმაგდა (*დეა+დეა > დეადა > დედა*) დაახლოებით ისე, როგორც ამას ინდო-ევროპულ, თითქმის, უნივერსალურ *mamma* (ინგლ. *mamma*, ბერძნ. *mamme* ფრანგ. *maman* და სხვ.) მსჯელობისას ვარაუდობენ (ეტიმოლოგიური ლექსიკონი ე), ან, იქნებ, უფრო ის არის საფიქრებელი, რომ კომპოზიტია სიტყვა – *დედა*, რომ *დია (დეა)*-ს დაემატა ლექსემა *კაცი* (საერთოქართველურისათვის გიორგი კლიმოვს აღდგენილი აქვს ფუძე **კაც* (კლიმოვი 1964: 106); (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 265); ძველ ქართულ ტექსტებში *კაცის* ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა არის *ადამიანი*), რომ მივიღეთ დაახლოებით ამგვარი ფორმა – *დეაკაცი (დიაკაცი)*, რომელმაც მოგვცა ფორმა – *დედაკაცი* და რომელიც მეორე ნაწილის გარეშე წარმოთქმის შედეგად გარდაიქმნა ლექსემად *დედა*, რაც შემდეგ სხვადასხვა სახით აისახა ქართველურ ენებში; მსგავსი ფონოლოგიური პროცესი, ვფიქრობთ, ქართლის ღვთაება *გაცის* სახელის ჩამოყალიბებისას უნდა იყოს მომხდარი, – ჩვენი აზრით, *გაცს*, ანუ მიწის ღვთაება *გეას* (არსებობს მოსაზრება, რომ *გაცი გეას* მსგავსებაა), პერსონიფიცირებული სახით წარმოდგენისას ემატება ლექსემა *კაცი*, რაც გვაძლევს ფორმას *გაცი (გეა + კაცი > გეაცი > გაცი /გა)*; ლექსემა *დიაცი* ან *დედაკაცის* შემოკლებული ფორმაა (როგორც მიაჩნიათ კიდეც), ან შესაძლოა, *დეაკაცის (დიაკაცის)* შემოკლებით იყოს მიღებული; ჩვენ ვუშვებთ მოსაზრებას, რომლის თანახმად, სვანური *დი*, მეგრული *დია* („დედა“) ასევე სვანური ლექსემა *დიუ̈ო*-დან და *პიე *dyeu-* ძირიდან გამოსული ის სიტყვაა, რომელმაც არქაულ ფორმასთან სიახლოვე შეინარჩუნა, რომელშიც *დ* არ გაორმაგებულა (ეს აზრი იმ შემთხვევაში იქნება მისაღები, თუ დავრწმუნდებით, რომ სვანური *დედეს* შემოკლებით არ არის იგი მიღებული).

ამრიგად, *ვფიქრობთ, სიტყვა დედა, შესაძლოა, „ღმერთის“ („ღვთაების“) მნიშვნელობის მქონე *dyeu-ძირიდან მოდიოდეს, რომ თავდაპირველად იგი დაახლოებით ჟღერდა როგორც დიუ̈ო (ან – დეა, დია...) და მისი მნიშვნელობა ღვთაება დედა იყო.*

თუ ასეა, თუ *Demeter*-ის პირველი ნაწილის მნიშვნელობა მართლა *ღვთაება დედა* იყო, მაშინ არაა გამორიცხული, რომ *მისი მეოხე ნაწილი (meter /mater) სემანტიკურად ძალიან ახ ჰგავდა პიხველს* და იგი ოდესღაც არა *დედას*, არამედ – *მშობელს* ნიშნავდა (საეჭვოა, რომ ამ კომპოზიტის ორივე ნაწილი თითქმის იდენტური სიტყვებისაგან იყოს შედგენილი). ჩვენი აზრით, *ბერძენთა ქალღმერთ დემეტრას მნიშვნელობა ეს ახის – დედა ღვთაება მშობელი.*

რა შეეხება ქართულ სიტყვა *დედამიწას*, არ არის შეუძლებელი, რომ სწორად ივარაუდა ი. ჯავახიშვილმა და მართლაც „მიწის“ დამახინჯებული სახე იყოს *მეტეჶ*, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ და უფრო გვგონია, რომ, შესაძლოა, ყოველივე პირიქით გამოდგეს და *მიწა* აღმოჩნდეს *მეტეჶისაგან* მიღებული, ჩვენ უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ *მიწა პიე *mater-* ძირიდან არის გამოსული და ტრანსფორმაციის სქემა დაახლოებით ასეთად გვესახება: *მატეჶ > მეტეჶ > მეტჶა > მიტჶა > მიწჶა > მიწა* (თავისუფლად შეგვიძლია დავუშვათ, რომ ფორმა *მეტეჶ*-ს რომთან, ლათინურ სამყაროსთან კავშირის მეშვეობით, ან ღვთაება *მითჶას / მიტჶას* / კულტის გავლენით, ცვლილება განეცადა და ამ სიტყვაში ბოლოკიდური *ა* ხმოვანი გაჩენილიყო და რომ მეტყველებაში *ჰ* დაკარგულიყო და *ე*-ს *ი* ჩანაცვლებოდა), არ არის გამორიცხული არც ის, რომ *დედა მიტა* იყო *დედა მიწის* უშუალო წინარე ფორმა, ორსავე შემთხვევაში ჩვენ *ტ*-ს *წ*-დ ქცევის შესაძლო ფაქტის წინაშე ვდგებით. ვფიქრობთ, არსებობს ალბათობა იმისა, რომ *მიწა მეტეჶ (მატეჶ)*-ის სახეცვლილების შედეგი აღმოჩნდეს, არ გამოვრიცხავთ, რომ ეს სიტყვაც ინდო-ევროპული და ქართველური ენების წინარე ენიდან მომდინარეობდეს და მისი მნიშვნელობა „მშობელი“, „დამბადებელი“ იყოს (დასაშვებია ვარაუდი, რომ **mater-* ძირიდან გამოსულმა სიტყვებმა ინგლისურსა და სხვა ინდო-ევროპულ ენებში შემდეგ იცვალა სემანტიკა და *დედის* მნიშვნელობის ლექსემებად მოგვიანებით ჩამოყალიბდა).

ამრიგად, ვფიქრობთ, სიტყვათშეთანხმება *დედა მიწის* არქეტიპი ეს არის **dyeu- *mater-*, რაც ერთ-ერთ ადრეულ პერიოდში *დაახლოებით ჟღერდა როგორც დიუ̈ო მატეჶ (მეტეჶ)* და იგი უნდა განიმარტოს როგორც *„ღვთაება დედა მშობელი“* (თანამედროვე *„მშობელი დედას“* მსგავსი გამოთქმა).

ნარმართ ქართველებს, როგორც ჩანს, მართლაც ჰყავდათ ისეთი დედა ღვთაება, რომელიც

ბერძნულ დემეტრეს შეესაბამებოდა და რომელსაც, შესაძლოა, მართლაც დედა მიწა ერქვა, როგორც ი. ჯავახიშვილი ვარაუდობდა; და, თუ ასეა, თუ სიტყვა დედამიწა სხვა ენის გავლენით მოგვიანო პერიოდში ხელოვნურად არაა ქართულში გაჩენილი, თუ ნამდვილად არსებობდა ღვთაება დედამიწა, მაშინ გაქრისტიანების შემდეგ მის ხსენებას მართლაც მოერიდებოდნენ და ქუეყანით შეცვლიდნენ ამ სიტყვას (ზემოთ ვნახეთ, რომ ამის შესაძლობასაც უშვებდა ი. ჯავახიშვილი).

თუ ჰყავდათ ქართველებს დედა ღვთაება, საფიქრებელია, რომ ახალი სიცოცხლის დაბადებას, შვილებისა და, საერთოდ, ოჯახების მფარველობას, უხვ მოსავალს შეევედრებოდნენ მას, ფაქტობრივად, იგივე ქალღმერთი დემეტრა იქნებოდა იგი. „წმიდა ნინოს ცხოვრებაზე“ დაყრდნობით რევაზ სირაძე დედა უფალზე საუბრობს, მიაჩნია, რომ წმიდა ნინოს სახეში დედა უფალს ხედავდნენ წარმართი ქართველები და ესეც მიეხმარა მათ გაქრისტიანებაში. ი. ჯავახიშვილმა ენათმეცნიერებისა და ისტორიოგრაფიის ასპექტიდან დაინახა, რ. სირაძემ კი ჰაგიოგრაფიაში განჭვრიტა იმისი კვალი, რომ დედა ღვთაებას სცემდნენ ქართველები ოდესღაც თაყვანს (სირაძე 1987).[1]

ლექსიკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას იქცევს სიტყვა *მტუეჩი*, რომლის ძირად გ. კლიმოვის მიერ საერთოქართველური ფუძე ენისათვის აღდგენილია **მტუეც-* არქეტიპი (ქართ. *მტუეჩ-ი*, /“მტვერი“/, მეგრ. *ტვეჩ-ი* /“მტვერი“/, ლაზ. *მტვეჩ-ი* /“მტვერი“, „ნაცარი“; გ. კლიმოვის ვარაუდით, ამ ძირს უკავშირდება სვანური *ტუ̄ჩ-ც*, რაც „ნიადაგს“ ნიშნავს (კლიმოვი 1964: 138-139); (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 336-337). ვფიქრობთ, ქართული *მტუეჩის* მნიშვნელობის კვლევისას ლათინური მატერია *(māteria)* არ უნდა გამოგვრჩეს თვალთახედვიდან, – ჩვენი აზრით, არაა შეუძლებელი, რომ *მტუეჩი* და *მატერია უშუალოდ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული* და ამ შემთხვევაში ან ის არის სავარაუდო, რომ ლათინურ ენაშია სიტყვა *მტუეჩის* საწყისები საძებნელი (შესაძლოა, ლათინური *მატერიის* სახეცვლილების შედეგად იყოს იგი მიღებული), ან, თუ მართლა *მტუეც-* არის ამ სიტყვის არქეტიპი, რაც საერთოქართველურ ეპოქაში უკვე არსებობდა, მაშინ ნაკლები საფუძველი რჩება იმისთვის, რომ ლათინური გენეზისისად მივიჩნიოთ ლექსემა *მტუეჩი* და შეგვიძლია, *პიე *mater-* ძირთან დავაკავშიროთ მისი გენეზისი; ვფიქრობთ, არა მხოლოდ ქართველურ, არამედ ინდო-ევროპულ კვლევით სივრცეშია განსახილველი სიტყვა – *მტუეჩი* მსგავსად ლექსემისა – *მიწა* (ლათინური ლექსემების ეტიმოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით იხ. ვაანი 2008).

როგორც ითქვა, ჩანს, წარმართულ-რელიგიური შინაარსის გამო აღარ უნდოდათ სიტყვა *დედამიწის* ხსენება და *ქვეყანით* შეცვალეს იგი, ითქვა ისიც, რომ სვანური *ტუ̄ჩ-ც*, რომელიც, გ. კლიმოვის თვალსაზრისით, უკავშირდება არქეტიპს **მტუეც-*, ასევე, *ნიადაგს* ნიშნავს, გამომდინარე აქედან, საფიქრებელი ხდება, რომ *მტუეჩს ნიადაგის* მნიშვნელობა (ან მნიშვნელობაც) ჰქონდა; ვფიქრობთ, რომ სიტყვა *მიწა* ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ უნდა იყოს სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული და იგი ლექსემა *მტუეჩის* სინონიმი გამხდარა, – საფიქრებელია, რომ სიტყვა *დედის* გარეშე ახსენებდნენ *მიწას*, რის გამოც რელიგიური მნიშვნელობა ცილდებოდა და ასე იქმნებოდა წინაპირობა, რომ ახალი სემანტიკისა გამხდარიყო იგი; ჩვენი შეხედულებით, ნელ-ნელა *ნიადაგის* მნიშვნელობა მიეცა ამ სიტყვას, რამაც ბოლოს შექმნა საშუალება, რომ, როცა ბიბლიას თარგმნიდნენ, სწორედ ხსენებული მნიშვნელობით დამკვიდრებულიყო ის სალიტერატურო ქართულში; საინტერესოა, რომ ბიბლიის იმ ადგილის თარგმნისას, რომელშიც ადამის შექმნაზეა საუბარი, *მტუეჩი* დაუწერიათ მთარგმნელებს („შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი *მტუეჩისა* მიმღებელმან *ქუეყანისაგან*“ (დაბადება 2: 7), ცოდვის გამო ადამისა და ევას დასჯის შესახებ თხრობისას კი „წარმართული *დედა მიწიდან*“ მიღებული სიტყვა *მიწის* დაწერა უმჯობინებიათ („მიწაჲ ხარ და მიწად-ცა მიიქცე“ (დაბადება 3: 19).

მაშასადამე, ჩვენი აზრით, *მტუეჩის* სინონიმად მას შემდეგ ყალიბდება სიტყვა *მიწა*, რაც სიტყვა *დედასთან* ერთად აღარ იხმარება, ანუ, როცა ცოცხალ არსებას აღარ გულისხმობს ეს ლექსემა და რელიგიურ მნიშვნელობას კარგავს; ლექსემა *მტუეჩს* მოგვიანებით უნდა ჰქონდეს თანამედროვე სემანტიკა მიღებული (იმ ფხვიერი მასის მნიშვნელობა, რომელსაც ნიადაგთან, შესაძლოა, არაფერი აკავშირებდეს); არც ის არის შეუძლებელი, რომ ერთმანეთისაგან *ჰამდენადმე* განსხვავებული მნიშვნელობები ადრევე ჰქონდა სიტყვებს: *–მტუეჩი* და *მიწა*.

ბიბლიის მთარგმნელები ვერ ახსენებდნენ სიტყვას *დედამიწა*, ვერ დაწერდნენ, ვთქვათ, ასეთ სიტყვებს: „დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცაჲ და დედა მიწაჲ“, *იმ პერიოდში მახთება დედას, მახთება დედა ღვთაებას დაინახავდნენ მასში მსმენელ-მკითხველები, თუ ჰყავდათ ასეთი ღვთაება, იგი გაახსენდებოდათ ქართველთა წინაპრებს და გაუჭიხდებოდათ ბიბლიასთან ახლოს მისვლა.*

ეს ის პერიოდები უნდა იყოს, როცა ქრისტიანობა ახალი რელიგიაა, როცა ადრეული, ვთქვათ, რენესანსის პერიოდისაგან ძალიან განსხვავებული, მსოფლმხედველობაა დამკვიდრებული. რენესანსის დროს სამყაროს ისე უყურებენ, როგორც ცოცხალს, ამ ეპოქის მხატვარს შეუძლია, რომ ცოცხალ სულებად წარმოგვიდგინოს, აამეტყველოს, სიკეთითა და ღიმილით გაანათოს ცა და ხმელეთი, ქვეყნიერება, ამ ხანაში წარმართულ ღვთაებებსაც ქრისტიანული ელ-ფერი ედებათ, გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანები კი უფრთხიან სამყაროს ცოცხლად აღქმას, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია არ ეწინააღმდეგება ასეთ მსოფლაღქმას (ამ წიგნში ნათქვამია, რომ ვარსკვლავები შექმნილნი არიან „მნათობად ქუეყანისა“, რომ მზე შექმნილია „მთავრობად დღისა“, „მთოვარე“ კი „მთავრობად ღამისა“, ბიბლიაში ადამიანის მაცდუნებელი *გუელიც* მეტყველებს), *ჩენესანსამდეც ქრისტიანულ ეპოქაში ბუნების გასულიერებულად დანახვა არ ხდება*, ამ დროს არ ცდილობენ, რომ სიკეთე დაინახონ წარმართულ ღვთაებათა საწყისებში და ამით მათ გაქრისტიანულებას შეუწყონ ხელი, *ეს ის საუკუნეებია, ჩოცა ბუნების სულიერად დანახვამ, შესაძლოა, მისი გაღმერთების საშიშროება შექმნას*, ამ დროს სიტყვა *დედა მიწის* ხსენება, როგორც ითქვა, თავის წარმართულ ღვთაებას გაახსენებდა ადამიანს, ქვეყნიერება ისევ ცოცხალ სულად წარმოდგებოდა მის ცნობიერებაში, რის გამოც, შესაძლო იყო, ისევ წარმართობისაკენ მიქცეულიყო და, ჩანს, სწორედ ამ საფრთხის გამო ვერ მოხვდა სამწიგნობრო ენაში ეს სიტყვა, სამწიგნობროში ვერ შევიდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ხალხის მეტყველებაში დარჩა იგი, რომ ზოგჯერ, იქნებ, ძველი, წარმართული მნიშვნელობითაც ახსენებდნენ სიტყვას – *დედამიწა* (როგორც, ვთქვათ, სიტყვებს: *აბგიღის დედა*) და მხოლოდ ძალიან გვიან, რელიგიური მნიშვნელობის დაკარგვის შემდეგ, დამკვიდრდა იგი ლიტერატურულ ქართულში; ჩვენი აზრით, ასე უნდა იყოს წარმოქმნილი ქართული სიტყვა – *მიწა*.

ამ საკითხებზე მსჯელობისას ჩვენთვის ისიც არის საყურადღებო, რომ, როგორც ვხედავთ, ყალიბდება ვარაუდი, რომლის თანახმად, ლექსემაში ბგერა *ტ წ* ბგერად ქცეულა (თუ ფორმამ *მეტეჰ* ამა თუ იმ სახით ტრანსფორმირების შედეგად მოგვცა ფორმა *მიწა*). ამ კონკრეტული ფონოლოგიური პროცესის სხვა *სავარაუდო* მაგალითები ქვემოთ, შენიშვნაში, მოგვყავს,[2] ძირითად ტექსტში კი ენათმეცნიერული ასპექტებიდან ისევ კოსმოგონიის სფეროში შემავალი საკითხის შესახებ გავაგრძელებთ საუბარს და ამჯერად შევეცდებით, რომ, რაც კვლევის ამ ეტაპზეა შესაძლებელი, ახლოდან დავინახოთ, თუ *როგორ აღიქმება ქართველთა წინაპრების ცნობიერებაში სუღთა სამყოფელი*; საინტერესოა, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებული არაერთი ქართველური სიტყვა ფონოლოგიურსა და სემანტიკურ ნათესაობას ისევ პროტო-ინდო-ევროპულ ძირებთან ამჟღავნებს და ეს კი ქართველთა მსოფლმხედველობის დანახვაში გვეხმარება.

დედა მიწა თუ დამბადებელი, ნაყოფის მომცემი და გამზრდელი ღვთაებაა, ცხადია, საფიქრებელია, რომ ზეცა მით უფრო იქნება ღმერთთა და სულთა სამკვიდრო ადგილად მოაზრებული; საინტერესოა, როგორ აღიქმებოდა ზეცა სხვადასხვა ინდო-ევროპელი ხალხის ცნობიერებაში და რა სავარაუდო მნიშვნელობა ჰქონდა მას პროტო-ინდო-ევროპული ენის არსებობის ხანაში, თუ იძებნება ქართველურთან პარალელები და *ჰა მნიშვნელობებს დებდნენ ამ სიტყვაში ქართველთა წინაპრები*.

ჩვენს ყურადღებას იქცევს *პიე* ძირი **(s)keu-*, რომელიც თანამედროვე ინგლისური *sky*-ის („ცა“) საწყისადაა მიჩნეული. ამ ძირის მნიშვნელობას „ცასთან“, ასევე, „დაფარებასთან“ („დაფარვა“, „დამალვა“) აკავშირებენ და მისგან მომდინარედ მიაჩნიათ ძველნორვეგიული *sky* („ღრუბელი“) და *skuggi* („ჩრდილი“), პროტო-გერმანიკული *skeujam* („საფარველი“, „ღრუბელი“), ძველინგლისური *sceo*, ძველსაქსონური *scio* („ღრუბელი“, „ადგილი, სადაც ღრუბლებია“, „ცა“), ძვ. მაღალი გერმანული *scuwo*, ძველინგლ. *scua*, გოთური *skuggwa* („სარკე“)[3] (ეტიმოლოგიური ლექსიკონი ვ); არაერთ ინდო-ევროპულ ენაში **(s)keu-* ძირიდან წარმოქმნილად სავარაუდოდ მიჩნეული სიტყვებია, ასევე: *kastha* (სანსკრ. „საფარი კედელი“), *skunati* (სანსკრ. „საფარი“),*skin* (ძველინგლ. „დაფარვა“, „ტყავი“) და სხვ. (ეტიმოლოგიური ლექსიკონი ზ).

*პიე *(s)keu-* ძირის შემადგენლობაში მყოფი *sk* ბგერები, როგორც ვნახეთ, მისგან გამომავალ ინდო-ევროპულ ლექსემებში უცვლელი რჩება და მათში ფორმათა ცვლას დიდწილად ხმოვანთა მონაცვლეობა იწვევს (ხმოვანთა მონაცვლეობის ნიმუშს კარგად ვხედავთ, მაგალითად, ძველინგლისურ და ძველსაქსონურ სიტყვათა ფორმებში – *sceo, scua, scio).*

წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ინდო-ევროპულ ენებში და, როგორც მიაჩნიათ, პროტო-ინდო-ევროპულშიც, *ცა* უმეტესწილად *დაფარვასთან, დამაღვასთანაა* დაკავშირებული, – *პიე* ძირიდან არის წარმოქმნილი სიტყვები, რომლებსაც ან *საფარის*, ან *ჩიჩიღისა* და *ღრუბლის*, ანდა *საფარი კედლის* მნიშვნელობები აქვს.

თუ *პიე *(s)keu-* ძირის *sk*-ს შესაბამის ბგერებს ქართველურში დავუწყებთ ძებნას, უპირველესად, ცხადია, ამ ძირთან ფონოლოგიურად და სემანტიკურად ახლოს მყოფი სიტყვა ზესკნელი წარმოდგება ჩვენ წინაშე. სანამ ამ ლექსემაში სავარაუდო ძირისა თუ გაჩენილი ბგერის, ან რომელიმე სუფიქსის, პოვნა მოხერხდებოდეს, შეგვიძლია გამოვყოთ *სკ* კომპლექსი *(ზე/სკ/ნეღი-ი)* და შემდეგ კი შევეცადოთ სიტყვის შემადგენელი სხვა ნაწილების მოძიებას, რამაც, შესაძლოა, ამ ლექსემის თავდაპირველი და უფრო ზუსტი მნიშვნელობის უკეთ დანახვის საშუალებაც მოგვცეს.

ს. ს. ორბელიანთან *სკნელი* ასეა განმარტებული: „(კიდურივით B), რამეთუ ვიტყვით ზესკნელი, ქვესკნელი, გარესკნელი, უკანასკნელი, ესე არს დასასრული რა კიდეთა(ნი)", ზესკნელი, სულხან-საბას თქმით, ეს არის „ანგელოზთ სამყოფი" (იორდანაშვილი 1949).

თუ სიტყვა *სკნელი პიე* ძირთან მართლაც არის დაკავშირებული (და ამაზე კი ძირისა და ლექსემის ფონოლოგიურ-სემანტიკური სიახლოვე მიგვანიშნებს), მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სუფიქსის კვალია სიტყვაში შემორჩენილი. საეჭვოა, რომ აქ არსებული *ეღ* სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსის ნაკვალევი იყოს, – გაუგებარია, რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს ამ ლექსემაში წარმომავლობის სუფიქსს, უფრო საფიქრებელია, რომ *ეღ* ამ შემთხვევაში არის *იღ* სახელზმნური სუფიქსის (წერი-*იღ*-ი, ტირი-*იღ*-ი, დუმ-*იღ*-ი...) (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 255) ცვლილება და რომ *სკნელი* უნდა რეკონსტრუირდეს როგორც *სკ-იღ-ი*, ან – *სკ/ნ/-იღ-ი*; როგორც ითქვა, პროტო-ინდო-ევროპულში სავარაუდოდ აღდგენილი და ინდო-ევროპული ენების ზემოხსენებული სიტყვები *დამაღვას, დაფარვას* (ერთ შემთხვევაში – *კედლით დაფარვას*) ნიშნავს; დაფარვა, ერთი სივრციდან მეორის გამოყოფა, ცხადია, კედლითაც ხდება, ღრუბლითაც, ღობითაც, ცხადია ისიც, რომ ღობის გაკეთება, რაიმეს გადაღობვა, სხვადასხვა საგნის ერთმანეთზე შეერთებას, გადაბმას, გადანასკვას თავისთავად გულისხმობს, გამომდინარე აქედან, თავისუფლად შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ღობის, საფარის შინაარსის შემცველი სიტყვა სწორედ ზემოხსენებული *სკნელის* მსგავსი ფორმის მქონე უნდა ყოფილიყო; როცა ვფიქრობთ, თუ როგორი იქნებოდა ეს ადრეული ფორმა, გვახსენდება ქართველური *ძირი *სკუ-* (ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისა), რომელიც ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ლექსიკონშია აღწერილი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 405-406); ხსენებულ ძირთან არის დაკავშირებული ქართ. *სკუ-/სკ-, სკ-უღ-ი* «საკრველი»; *მო-სკუ-ნ-ა; ნა-სკუ...* ლაზ. *სკვ-, ო-სკვ-უ* «შებმა», სვან. **სკუ-, ღე-სკუ-ეჰ* «შებმა» (ხსენებული ძირი და მასთან დაკავშირებული სიტყვის ლაზური ეკვივალენტი აღადგინა გიორგი კლიმოვმა, სვანური ეკვივალენტი – ზურაბ სარჯველაძემ, ქართული და მეგრული ძირები შეაპირისპირა თამაზ გამყრელიძემ (კლიმოვი 1964); სარჯველაძე 1987: 20); (გამყრელიძე 1959: 71); **სკუ-* ძირთან დაკავშირებული სახელის სახელზმნად ფორმირებისას, როგორც ვხედავთ, ქართული ენის შემთხვევაში ყალიბდება ფორმა *მო-სკუ-ნ-ა* („ნასკვის გაკეთება", „განასკვა", „გადაბმა"...), ამ ლექსემაში გაჩენილი *ნ* თანხმოვანი, ბუნებრივია, მიმღეობის ფორმაშიც ისახება და მიიღება ფორმა *მო-სკუნ-იღ-ი*, რომლის მნიშვნელობებია: „განასკული", „გადანასკული", „გადაბმული", „შეკრული"... ცხადია, რომ ლექსემა, რომელსაც ასეთი მნიშვნელობები აქვს და რომელიც სხვადასხვა საგნის ერთმანეთზე გადაბმას, მათ შეერთებას გულისხმობს, „შემოღობვის", გარკვეული სივრცის „დაფარვის" მნიშვნელობებთანაც იქნებოდა დაკავშირებული (ქართულში სწორედ ამიტომ არსებობს გამოთქმები: „წნული /დაწნული/ ღობე", „ღობის შეკვრა", „კარგად შეკრული ღობე", „ღობე შევკარი") და, აქედან გამომდინარე, ხსენებული სიტყვა *მოსკუნიღი* შეიძლება გაგებულ იქნას როგორც „შემოღობილი", *მო* თავსართის მოცილების შემთხვევაში ყალიბდებაა

მიმღეობითი ფორმა *სკნიღი*, რაც ასევე „შემოღობილ“, „შემოსაზღვრულ“, ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ ადგილს უნდა ნიშნავს, რაც დაფარულია, არ ჩანს და რაც, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, *პიე* ძირთან უნდა იყოს შორეულად დაკავშირებული; სიტყვათწარმოებისას *ნ* თანხმოვნის შენარჩუნებისა და სხვა ფონოლოგიური პროცესების მაგალითის დაკვირვების შემთხვევაში კარგად დავინახათ **სკუ-* ძირიდან მომდინარე ისეთ სიტყვაში, როგორიცაა *ფსკვნ-იღ-ი* (მოქსოვილი კრიალოსანი, რომელსაც ლოცვათა დასათვლელად ფსკვნილები /ნასკვები, კვანძები/ აქვს გაკეთებული); სახელზმნა ფსკვნა („შეკვრა“, „გაკვანძვა“), ცხადია, ხსენებული ძირიდანაა მიღებული: – **სკუ- > სკუ/ნ/-იღ-ი > სკვ/ნ/-იღ-ი (ფ/სკვ/ნ/-იღ-ი).*

ამრიგად, როგორც ვხედავთ, *ჰოტო-ინდო-ევროპული *(s)keu-* და *ქართველური *სკუ- ძირები ფონოლოგიურად და სემანტიკურად თითქმის იდენტურია* (გადაღობვა და დაფარვა არა მხოლოდ ინდო-ევროპულ, არამედ ხსენებულ ქართველურ ძირთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელობაც ჩანს), ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი იმის სავარაუდებლად, რომ ქართული ლექსემა *სკნელი* უშუალოდ ამ ქართველური ძირიდან მოდიოდეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ პროტო-ინდო-ევროპული **(s)keu-* ძირი უნდა იყოს მისი „შორეული წინაპარი“, – თუ ქართველური ძირი პროტო-ინდო-ევროპულთან არის დაკავშირებული, თუ **სკუ- პიე (s)keu-* ძირიდან არის ტრანსფორმირებული, ცხადია, *სკნელის* გენეზისი *პიე* ძირამდე მიდის.

სანამ იმ საკითხებზე გადავიდოდეთ, თუ როგორი იყო წარმართ ქართველთა წარმოდგენით სკნელი, რა არის მისი ზუსტი მნიშვნელობა, რაზე მიგვანიშნებს პროტო-ინდო-ევროპული ძირი, – ამ სიტყვის შესაძლო „წინაპარი“, ერთ ძალზე საყურადღებო *ტექსტოლოგიურ საკითხზე* გადავიტანთ ყურადღებას და პარალელურად, ნელ-ნელა, ხსენებულ კითხვებზეც წარმოგვიჩნდება სავარაუდო პასუხები:

სახარების ქართული თარგმანის მთაწმიდელებისეულ ტექსტში ვკითხულობთ:

„ძენი იგი სასუფევლისანი განითხინენ *ბნელსა მას გარესკნელსა*“ (მათე 8: 12); (ოთხთავი 1979: 281); *ძველბერძნულ კანონიკურ ტექსტში წერია: “οἱ δὲ υἱοὶ τῆς βασιλείας ἐκβληθήσονται εἰς τὸ σκότος τὸ ἐξώτερον”* (მათე 8:12); (ძველბერძნულ-ინგლისური სახარება /მათე/ 2019: 24); (ბიბლიის ცენტრი); სიტყვები: *„ბნელსა მას გარესკნელსა“* (ბერძნ. – *“τὸ σκότος τὸ ἐξώτερον”*) საქორწილო ნადიმისა და ათი ქალწულის შესახებ იესოს მიერ მოთხრობილ სახარებისეულ იგავებშიც მეორდება (მათე 22: 13); (მათე 25: 30), მათში იმ ცოდვილებს აფრთხილებს უფალი, რომელთაც ცოდვათა მოუცილებლობის შემთხვევაში „ბნელსა მას გარესკნელსა“ ჩაყრის საფრთხე მოელით; ამ წინადადებასთან დაკავშირებით ყურადღებას უპირველესად ბერძული *σκότος („სკოტოს“)*-ისა და *ქართული „სკნელის“* ურთიერთმიმართების საკითხი იქცევს, – ჩვენი აზრით, ამ ლექსემათა შორის არსებული ფონოლოგიურ-სემანტიკური სიახლოვე ადვილი შესამჩნევია, – *დაფახულობასთან, დამაღულობასთან* კავშირდება ბერძნული სიტყვის სემანტიკა (σκότος /“სკოტოს“/-ის ზუსტი ლექსიკოლოგიური მნიშვნელობებია: „სიბნელე“, „უკუნეთი“, „მიწისქვეშა სამყარო“, „სიღრმე“, „წიაღი“... (ძველბერძნული ლექსიკონი); ის ფაქტი, რომ სახარების ქართულად მთარგმნელებს ამ ბერძნული სიტყვის შესაბამისობად *სკნელი* (უფრო ზუსტად, ამ სიტყვის შემცველი კომპოზიტი – *გარესკნელი*) გამოუყენებიათ, ვფიქრობთ, ამყარებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმად, ქართული *სკნელის* მნიშვნელობა, ისევე, როგორც პროტო-ინდო-ევროპული **(s)keu-* ძირისა, *დაფახვასთან, დამაღვასთან* უნდა კავშირდებოდეს (როგორც ითქვა, ჩვენი ვარაუდით, *სკნელი *სკუ-* ძირიდან მომდინარეობს და *გადანასკუღ, გადაღობიღ, გამოყოფიღ, შემოსაზღვრულ ადგილს* ნიშნავს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში *დაფახულს, დამაღულს, უჩინოდ ქმნილს* გულისხმობს), ვხედავთ, რომ ბერძნულ-ქართულ სიტყვათა შორის აშკარად არის ფონოლოგიურ-სემანტიკური სიახლოვე, ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული ბერძნული და ქართული სიტყვები შორეულად, შესაძლოა, ენათესავებოდეს ერთმანეთს, რაც, თავის მხრივ, იმ აზრისაკენ გვიბიძგებს, რომ ორივე ერთი *პიე *(s)keu-* ძირიდან მომდინარეობს (აქვე დავძენთ, რომ, ჩვენი აზრით, *ზემოდასახელებული ინგლისურენოვან ლექსიკონში* /ეტიმოლოგიური ლექსიკონი/ ამ ძირიდან გამომავალი სიტყვების ჩამოთვლისას *ბერძნული σκότος*, ასევე, *უნდა იქნას შეტანილი*), ვფიქრობთ, სიტყვებს: *„სკოტოს“* და *სკნელი* ერთი *ძირიდან* ანათესავებს და *ქართული სიტყვის მნიშვნელობა*

ამ შემთხვევაში სიბნელესთან, დაფახულობასთან ახის დაკავშირებული.

სიტყვა *სკნელი* ყველა შემთხვევაში გულისხმობს დასაზღვრულობას, ცხადია, როცა *ქვესკნელია* ნახსენები, ამ შემთხვევაში იმ *შემოსაზღვრულ* ადგილზეა საუბარი, რომელიც *სიბნელესთან* არის დაკავშირებული, სიტყვა – *ზესკნელი* ასევე დასაზღვრულობაა, ოღონდ დიდი სინათლისა და სიკეთის არსებობა არის ნაგულისხმევი ამ დასაზღვრულობაში (ბუნდოვანება აქაც მოიაზრება, რადგან ამ შემთხვევაში სწორედ ღვთაებრივი შუქის მეოხებით ხდება ქვეყნად მყოფთათვის ყოველივე ძნელად დასანახავი), სკნელი კი, როგორც ცნობილია, მიწიერ, ფიზიკურ სამყაროს ნიშნავს და ამ სიტყვაშიც საზღვრების არსებობა იგულისხმება; ანუ, გავრცელებული აზრის თანახმად, ქართულ წარმართულ კოსმოგონიაში არსებობს სამი სამყარო: ქვესკნელი, სკნელი და ზესკნელი.

აქ ერთ გარემოებაზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება:

ხშირად ისიც აღინიშნება, რომ ქართული კოსმოგონია, *ქვესკნელის*, *სკნელისა* და *ზესკნელის* გარდა, სხვა წიაღს – *გახესკნელს* იცნობს, რაც ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, *ამ ეჭვის საფუძველს სახახების ქართულ თარგმანებთან დაკავშირებულ ტექსტოლოგიურ საკითხებზე დაკვირვება იძლევა*:

სიტყვა *გახესკნელი*, როგორც ითქვა, სახარებაში გვხვდება; ვფიქრობთ, რომ *გახესკნელი*, შესაძლოა, *ქვესკნელის* სინონიმი იყოს; სახარების ბერძნულ ტექსტში, როგორც ვნახეთ, წერია: *"τὸ σκότος τὸ ἐξώτερον"* („გარეთა /გარე/ მღვიმეში", „გარეთა სიბნელეში" /„გარე ბნელში"/, „გარეთა სკნელში"); ჩვენი აზრით, *ქართული სიტყვა „გახესკნელი" სახახების თარგმნის დროს უნდა იყოს გაჩენილი*, – მთარგმნელებს სიტყვები: „გარეთა /გარე/ სკნელში" ("τὸ σκότος τὸ ἐξώτερον") უთარგმნიათ როგორც „გარესკნელსა", ვხედავთ, რომ ჩვენ წინაშე მხოლოდ თარგმანია ბერძნული სიტყვებისა და *ეს ტექსტოლოგიური მონაცემები კი ახ გვაძლევს იმის მტკიცე საფუძველს, ვიფიქროთ, რომ „გახესკნელს", როგორც ქვესკნელისაგან განსხვავებული წიაღს, ქართველ წარმართთა კოსმოგონიაც იცნობდა*, მთარგმნელს არ დაუწერია ასე: „გარესა სკნელსა" („სკნელსა გარესა"/"გარეშესა"), თარგმანში დაუმკვიდრებია გამოთქმა: *„გახესკნელსა"* და, ეს სიტყვა, ჩანს, *შემდეგ ისე იქნა გაგებული, თითქოს, ახსებობს ქვესკნელისაგან განსხვავებული სხვა, ცაღკე წიაღი, რომელსაც გახესკნელი ჰქვია*, სახარებაში *გახესკნელი გახეთ ახსებულ სიბნელეს, გახეთ მდებახე ბნელ წიაღს* ნიშნავს და მასში, შესაძლოა, იგივე *ქვესკნელი* იგულისხმებოდეს; არც ისაა გამორიცხული, რომ ორი სიტყვა ცალ-ცალკე დაწერა მთარგმნელმა *(„გახე სკნელსა")* და შემდეგ კი, ტექსტის გადაწერისას, შეერთდა ეს სიტყვები და ასე მივიღეთ ლექსემა *„გახესკნელი"*, რაც *ქვესკნელისაგან* განსხვავებული მნიშვნელობით იქნა გაგებული; ვიმეორებთ: *ახ გვაქვს მტკიცე საფუძველი მივიჩნიოთ, რომ ქვესკნელი სხვა ახის და გახესკნელი კი – სხვა* და ეს გარემოება ქართული კოსმოგონიის შესწავლისას, ვფიქრობთ, აუცილებლად არის გასათვალისწინებელი; თუ სიტყვა *გახესკნელი* ფოლკლორში შეგვხვდება, საჭიროა განისაზღვროს, ორგანულად ერგება თუ არა იგი წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს, იგრძნობა თუ არა, რომ *ქვესკნელისაგან* რაიმეთი გამორჩეულ სამყაროზეა თხრობა და რომ მართლა წარმართული ხანიდან იღებს ეს მონათხრობი სათავეს.'

ზემოთქმულს დავძენთ: ჩვენი აზრით, ქართული **სკუ-* ძირიდან სხვაც არაერთი ლექსემა მომდინარეობს, ამჯერად ყოველი მათგანის ძიებას არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, ვფიქრობთ, ხსენებული ძირიდან უნდა იყოს გამოსული ლექსემა *ასკიღი*, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა, შესაძლოა, „აღობვა" იყო და, რადგან ამ საქმისთვის კონკრეტულ მცენარეს იყენებდნენ, სიტყვა *ასკიღი* („აღობილი") შემდეგ კონკრეტული მცენარის აღმნიშვნელად იქცა; **სკუ-* ძირთან დაკავშირებით გამოკვეთილად ერთ გარემოებაზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: არაა გამორიცხული, ამ ძირიდან, ზემოხსენებული ფორმა *სკნიღის* გარდა, ნაწარმოები იყოს ანალოგიური სემანტიკის მქონე ლექსემა *სკუ-იღ-ი* („შემოღობილი"), შემდგომში *სკუღის* (შესაძლოა, *სკიღიც* იყო პარალელური ფორმა) სახეს მიიღებდა იგი (ხსენებულ ლექსემას ქვემოთაც დავუბრუნდებით).

მაშასადამე, ჩვენი აზრით, *სკნელი* იმ ადგილს ნიშნავს, რომელიც ქვეყნიერებისაგან ზღუდით არის გამოყოფილი, – იმ ზღუდით, რომლის მიღმა ღვთაებათა სამყოფელია; ღმერთის ხელით გადმოფარებული სარქველივით მოჩანს ეს ზღუდე ქვემოდან, ის ღვთაებები იმყოფებიან მის იქით, რომელნიც მინაზეც ჩამოდიან ხოლმე, – მიწაზე, რომელსაც მფარველობენ და რომელზეც მათ

სახელზე სალოცავი ტაძრებია აგებული; ასეთთა შორის ის *დედა ღვთაებაც* უნდა ვიგულისხმოთ, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ, ნაყოფიერებისა და მოსავლის სხვა ღვთაებებიც მოიაზრებიან მათში; ცხადია, რომ ქვეყნიერებას, მიწას მფარველობენ ისინი, ვინც ზეციურ ცხაურს მიღმა იმყოფებიან, ნაყოფიერებასა და ოჯახზე ზრუნავენ, მიწიერებაში არიან განსხეულებულნი, მოსავალს აძლევენ, ნაყოფს უზრდიან ადამიანებს, სახლის კერიას ულოცავენ მათ, ანუ მიწაზეც ცხოვრობენ და ზეცის მკვიდრნიც არიან, იმ ზეციური თაღის მიღმა აქვთ საცხოვრისი, რომლისთვისაც *სკნელი, ზესკნელი,* უწოდებიათ ქვეყნად მყოფ ადამიანებს; დიდი ღვთაებები და ნათელი სულები, ღვთის ანგელოზები და ღვთისშვილები მკვიდრობენ, ქართველთა წარმართი წინაპრების წარმოდგენით, ზესკნელში და დაბლა, მიწიდან, აკაშკაშებულ ვარსკვლავებად მოჩანან მათ მზერაში ეს ანგელოზები; ზეციური ქალაქიდან, რომელიც, იქნებ, ბიბლიისეულ, ქრისტიანულ ცათა სასუფეველს არა, მაგრამ იმ ძველი აღთქმისეულ სიმაღლეებს ესადაგება, „აბრაამის წიაღის" სახელით რომ არის ცნობილი (იქნებ, სწორედ ის სიმაღლეებია დანახული ქართველთა წინაპრების მიერ), *ვახსკვლავთა სახით ანათებენ ანგელოზები,* გადმოჰყურებენ, შუქს აფრქვევენ იქიდან ადამიანებსა და ქვეყნიერებას და ახლა გვინდა, რომ სწორედ ამ ვარსკვლავებზე გადავიტანოთ სიტყვა, მხატვრულიდან ისევ ენათმეცნიერების სტილისაკენ გადავინაცვლოთ და სიტყვა *ვახსკვლავის* ეტიმოლოგიის შესახებაც ვიმსჯელოთ მოკლედ:

ი. ჯავახიშვილი ქართველთა წარმართობის საკითხებზე საუბრისას წერს:

„ვახსკუღავს"-ს, ჰომეღიც ხაღხუჰში და ნაწიღობჰივ უკვე საშუაღო საუკუნეებშიც „მახსკუღავ"-ად და „მახსკვღავ"-ად არის ქცეული, უდრის მეგრული „მურუცხი", „მურუნცხი" და „მურუნცხა", ხოლო სვანურში *„ანტყასგ"* და „ასნტყსგილ", რომელთაგან უკანასკნელი პატარა ვარკვლავს აღნიშნავს,

შემდეგ მეცნიერი განაგრძობს:

მეგრულში ზემოდასახელებულის გარდა არსებობს *„მასქუჰი"* და „მასკური"-ც, რომელნიც ზეფირისა და ბედის ვარსკვლავის მნიშვნელობით იხმარებიან და რომლებშიაც პროფ. *იოს. ყიფშიძის* სამართლიანი სიტყვით ქართული „ვარსკუ-ლავი" და „მარსკუ-ლავი"-ს პირველი ნაწილი გვაქვს" (აქ მითითებულია – ყიფშიძე, მეგრული გრამატიკა, გვ. 276) (ჯავახიშვილი 1979: 185);

შემდეგ:

მახსკუღავ-ად ქცეული ვახსკვლავი მეგჰუღშიაც ოღესღაც ასევე უნდა ყოფიღიყო, რის დამამტკიცებელია ეხლაც დაცული *„მასკუჰი"* და *„მასქუჰი",* რომელიც „მარსკულავი"-ს შეკვეცილი ფორმაა და „მარსკული"-საგან არის რასაკვირველია წარმომდგარი. შემდეგში რეგრესული ასიმილაციის წყალობით ეს სიტყვა „მორსკულავ"-ად და „მურსკულავ"-ად უნდა ქცეულიყო. მერე „სკ", „სქ"-ს „ცხ"-დ ქცევით წარმომდგარია „მურცხულავი", რომლის ოდნავ შეცვლილ სახესაც ერთი მხრით საგვაროვნო სახელი „მირცხულავა" (<მირცხულავა + ვა = ვარსკვლავასშვილს), მეორე მხრით კვლავ ბოლო-შეკვეცილი, მაგრამ გასრულხმოვანებული თანამედროვე მეგრული „მურუცხი" და „მურიცხი" წარმოადგენს (ჯავახიშვილი 1979: 186).

როგორც ვხედავთ, აქ გამოთქმულია აზრი, რომ „მარსკვლავი" „ვარსკულავიდან" არის მიღებული და იგი გახალხურებული ფორმაა. ვფიქრობთ, არ არის შეუძლებელი, სინამდვილეში ამ შემთხვევაშიაც პირიქით იყოს ყოველივე და სწორედ *მახსკუღავი (მახსკვღავი)* აღმოჩნდეს პირველადი ფორმა.

ლექსემაში *მახსკუღავი,* თუ არ ვცდებით, პრეფიქს-სუფიქსის კვალი მოჩანს: *მ (მა)* და *ეღ (უღ)* სადაურობის აღმნიშვნელი პრეფიქსი და სუფიქსი უნდა იყოს (როგორც ცნობილია, *მ-ეღ* პრეფიქს-სუფიქსი გვაქვს, მაგალითად, ამ სიტყვებში: *მ*-ეგვიპტ-ეღ-ი, *მ*-აწყუერ-ეღ-ი...); ავ (მარსკულ-ავ-ი), ასევე, სუფიქსი ჩანს, მაგრამ, რამდენადაც ვერ ვიტყვით, რომ განსახილველ ლექსემაში რაიმე დანიშნულება უნდა ჰქონდეს მას, ვვარაუდობთ, რომ ავ, ასევე, სადაურობის აღმნიშვნელი არ სუფიქსის სახეშეცვლილი ფორმაა და, ამდენად, ლექსემის ერთ-ერთი არქეტიპი ასეთ სახეს ღებულობს: *მა*-(რ)სკ-ულ-ავ-ი (*მა*-/რ/სკ-ულ-*ახ*-ი > *მა*-/რ/სკ-ულ-ავ-ი); ულ და არ ბგერების სადაურობის, წარმომავლობის, აღმნიშვნელ სუფიქსებად მიჩნევის შემთხვევაში უნდა დავუშვათ ვარაუდი, რომ ორი ამგვარი სუფიქსის გვერდ-გვერდზე დგომას ის გარემოება განაპირობებს, რომ ულ (ურ) ამ შემთხვევაში ე. წ. გაქვავებული სუფიქსია და რომ ულ სუფიქსმიმაგრებულ ფუძეზე შემდეგ უკვე

წარმომავლობის სხვა სუფიქსი არის დართული, რაც გვაძლევს ფორმას: *მა-რსკულ-ა*h*-ი; ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საფიქრებელი ხდება, რომ *h* ბგერა შემდეგ, ხალხის მეტყველებაში, არის გაჩენილი (მა-/*h*/სკულ-არ-ი) და სიტყვის სავარაუდო არქაული ფორმა ასე უნდა რესტავრირდეს: *მა-სკუღ-ა*h*-ი; რამდენადაც ზემოთ აღდგა ასეთი სავარაუდო ლექსემა – სკულ-ი, ამ შემთხვევაში იბადება აზრი, რომ მასკულარი ნიშნავს იმას, ვინც სკულში (სკნელში) ცხოვრობს, ვინც მასკულელი, მასკულარია.[5]

ამრიგად, ჩვენი აზრით: *სკუღი* და *სკნელი* პარალელური ფორმები უნდა იყოს, შემოსაზღვრულ ადგილს, ამა თუ იმ წიაღს უნდა გამოხატავდეს და, ვფიქრობთ, შეიძლება, რომ პროტო-ინდო-ევროპულ **(s)keu-* ძირთან დაკავშირებით იქნას ისინი შესწავლილი. *სკნელი (სკუღი) შემოსაზღ*h*უღი წიაღია. ქვესკნელი დაბაღსუღიეჰთა სამყოფი ქვედა ადგიღია, სკნელი – ფიზიკუჰი ქვეყანა, ზესკნელი კი – ზეციუჰთა სამკვიდჩებელი.* სიტყვა ცა, ზეცა, ჩვეულებრივი ზეცის აღსანიშნავად იხმარება, ზესკნელი კი, ცისგან განსხვავებით, უფრო მეტად არის რელიგიური დატვირთვის მქონე სიტყვა, – იმ კონკრეტულ წიაღს გამოხატავს, რომელიც ღვთაებათა და ნათელ სულთა სამყოფელია. ვფიქრობთ, ქართველთა წინაპართათვის *მასკუღავნი* ის ცოცხალი არსებები ყოფილან, რომელნიც ცაზე სახლობენ, ცის მკვიდრნი არიან, ჩანს, ცის ამ მოსახლეებშიც ხედავდნენ იმ ღვთაებებს, რომლებზედაც ზემოთ ვწერდით. ი. ჯავახიშვილის თანახმად, ქართველები შვიდ მნათობს სცემდნენ თაყვანს, იგი ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებდა, რომ „ფშაველები და ხევსურები უზენაეს ღვთაებას „მორიგეს“-ს უწოდებენ“ და რომ, მათი წარმოდგენით, *„მეშვიდე ცაში სუფევს“* იგი, იქვე მოჰყავდა სულხან-საბა ორბელიანის სიტყვები: „კრონოსი – ესე ვარსკვლავი არს მეშვიდესა ცასა, რომელსაც ეწოდების ალაბასტრი“ და წერდა, რომ მორიგე ან იგივე „მნათობი კრონოსი უნდა იყოს, ან მისი თანამოსაყდრე და გამოხატულება“ (ჯავახიშვილი 1979: 102); (აქ ი. ჯავახიშვილს ხევსურული გადმოცემების შესახებ საუბრისას მითითებული აქვს – ნ. ურბნელი, ეთნოგრ. წერილები; „ივერია“, 1887 წ. № 158); ჩანს, რომ რამდენიმე ზეცა, რამდენიმე სკნელი ეგულებოდათ ქართველთა წინაპრებს ქვეყნიერების ზემოთ; იქნებ, ზესკნელის მიღმა იმ სხვა სკნელებს, ცათა იმ სიმაღლეთა კონტურებს ხედავდნენ, რომელთა შესახებაც შემდეგ ქრისტიანულ ნეოპლატონიზმში წერდნენ ასეთი უსაზღვრო სიყვარულით და რომლებთანაც მიახლებასა და რომლებში ზეაღსვლასაც იესო ქრისტე წარმოუჩენს შესაძლებლად ადამიანს. ქართველ წარმართთა წარმოდგენით, ჩანს, ანგელოზთა შუქი აღწევდა ზესკნელიდან და, იქნებ, ზეცათაგან ვარსკვლავთა სახით ანგელოზები გადმოჰყურებდნენ, მათი აზრით, ქვეყნიერებას; ანგელოზთა და სხვა ნათელ სულთა სამკვიდრებელი იყო, ალბათ, ზესკნელი.[6]

როგორც წარმოდგენილი მსჯელობიდანაც ჩანს, *სიტყვის ეტიმოლოგიას შეუძლია, მივიწყებული მსოფლმხედველობა დაგვანახოს* (ცნობილია, რომ ეტიმოლოგიას მაცდუნებელი გატაცებაც სჩვევია და სიტყვათა რეკონსტრუქციისას მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა იმისთვისაც არის საჭირო, რომ არარსებული ისტორია არ წარმოგვესახოს რეალობად), ჩვენ ვარაუდების დონეზე ვსაუბრობთ და, ვფიქრობთ, საინტერესო სურათები წარმოდგება ჩვენ წინაშე ამ ვარაუდთა მეშვეობით: ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც მიწას ისე უყურებენ, როგორც მშობელ დედას, რომლებსაც ზეციდან ღმერთი და ანგელოზები გადმოსცქერიან და რომლებისთვისაც სამყაროში, ალბათ, ყველაფერი ცოცხალია (თუ შვიდ ზეცას იცნობდნენ ქართველები, ღმერთი ყველაზე უფრო ზემო ცაში და, ამავდროულად, მის მიღმა და ყველგან მყოფად ეყოლებოდათ წარმოდგენილი).

ი. ჯავახიშვილი, *ვა*h*სკვღავის* ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას, როგორც ვნახეთ, *სკ* და *სქ* წყვილების *ცხ*-დ ქცევის შესახებ წერს; ამ წყვილებთან დაკავშირებული ფონოლოგიური მოვლენები დღეს ვრცლად არის შესწავლილი, მაგ., ცნობილია *სკ* წყვილის *სქ*-სთან შესაბამისობის მაგალითი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 405-406); შედარებისათვის მითითებულია (შმიდტი 1962: 132) და ის, რომ *ცხ* ბგერათა კომპლექსს *ჩხ, შხ, სხ-ს კი ცხ* კომპლექსები ენაცვლება (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 410-415; 603-604)... მკვლევარები უთითებენ შემდეგ ლიტერატურას: (ცაგარელი 1880: 55); (ჭარაია 1895, XII 110; 113); (ჩიქობავა 1938: 236; 381); (თოფურია 1940: 49); (ჟღენტი 1953: 92-98); (კლიმოვი 1964: 231-233); (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 160); (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 412; 603), ფონოლოგიურ კანონზომიერებას შეესაბამება და ამ ცნობილ კანონზომიერებათა გარეშეც შესაძლოა მოხდეს ისეთი

პროცესები, როგორებიცაა სხ, ცხ, ზღ, სკ კომპლექსების ურთიერთჩანაცვლება, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მომავალში იმისი კვლევაც შეიძლება, ხომ არ არის დასაშვები ვარაუდები, რომ ერთმანეთს უკავშირდება ლექსემები: ცხაური („მცირე ზომის ხის ან ლითონის ერთმანეთში ჩაწნულ ძელაკთა ერთობლიობა, რომელიც სათავსოთა და სივრცეთა ერთმანეთისაგან განსაცალკევებლად გამოიყენება. სააღსარებოს ცხაური, როგორც წესი, ერთი მცირე ზომის დეტალია და აღმსარებელს მონანიესაგან გამოჰყოფს. განდეგილთა კლაუზურის ცხაური კი მონასტერში ან სავანეში სასულიერო პირთათვის განკუთვნილ სათავსოებს მორწმუნეთათვის ღია სივრცეთაგან გამოყოფს“ (ქრისტიანობის ლექსიკონი 2011) და სკნელი, ამავე კონტექსტში ხომ არ უნდა განვიხილოთ ლექსემა – ზღუდე, ხომ არ არის საჭირო იმ მიმართებით კვლევა, რომ ზემოხსენებულ კომპლექსებს სჰ არქეტიპული კომპლექსი უძღოდა წინ, რომ, ვთქვათ, ამ კომპლექსის განვითარების ისტორია და, ასევე, სიტყვათა და, იქნებ, ენაში ასო-ბგერათა გაჩენის კვალიც კი მოჩანდეს აქ ხსნებულ ლექსემაში ზღუდე (*სჰუდე > სხუდე > ზღუდე; ამ შემთხვევაში სჰუდე უნდა მოვიაზროთ ადგილის მნიშვნელობის მქონე ლექსემად, რომელსაც ევოლუციისას შემომსაზღვრელის მნიშვნელობა [გამყოფი, ღობე, ზღუდე] შეუძენია; სჰუდე-მ, შესაძლოა, განვითარების სხვაგვარი, პარალელური, გზაც გაიარა: *სჰუდე > *სყუდე [უკანა, ხშული ყ] > ყუდე და სახლის [ყუდე, საყუდარი] მნიშვნელობა მიიღო); შესაძლოა, სჰ წყვილიდან არის გამოსული ძირები, რომლებიდანაც სიტყვები: სახლი, ციხე წარმოიქმნა, არც ისაა შეუძლებელი, რომ სჰ კომპლექსს უკავშირდებოდეს ცნობილი ქართველური ცხ კომპლექსი, რომელიც, როგორც ზემოთ სპეციალურ ლიტერატურაზე მითითებით იქნა ნაჩვენები, ჩხ, შხ, სხ კომპლექსებთან არის დაკავშირებული და რომელიც, როგორც ცნობილია, აწარმოებს ისეთ სიტყვებს, სიცოცხლესთან, მაცხოვარებასთან რომ კავშირდება: სიცოცხლე, ცხოვრება, ცხონება, ცეცხლი, ცხელი, მაცხოვარი, ცხოველი, *ჩხე* („ცხელი“, – მეგრ), *ლიშხი* („წვა“) და სხვადასხვა; ცნობილია, რომ ცხ წყვილი არაერთ ტოპონიმშია ასახული (*ცხუმი, ცხინვალი...*). და, შესაძლოა, მათი სახელებიც სწორედ სიცოცხლესთან, ან, ასევე, შემოსაზღვრულობასთან, – ოჯახთან, თუ სახლთან დაკავშირებული სემანტიკის მქონე სიტყვებიდან მომდინარეობდეს. თუ აღმოჩნდა, რომ სჰ კომპლექსია ზემოხსენებულ წყვილთა არქეტიპი, ეს მრავალი ინდო-ევროპული და ქართველური ძირისა და ლექსემის ერთმანეთთან მიმართებით განხილვის შესაძლებლობას და კვლევის სხვა, – მრავალმხრივ პერსპექტივებს შექმნის და ძალზე შორეულად მიმავალ გზებს წარმოგვიჩენს...

ხსენებულ საკითხებზე ბევრი მსჯელობაა შესაძლებელი, ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძლებეთ, ლინგვისტიკიდან მითოსის და კულტუროლოგიის, ლიტერატუტურული კომპარატივისტიკის სფეროებისკენ გადავინაცვლებთ და დასკვნისაკენ მივმართავთ საუბრის გეზს:

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ საქართველო დედის და, საერთოდ, ქალის კულტის ქვეყნადაა მიჩნეული. ეს XIX ს-ის 60-იანელთა და სხვათა მიერ შექმნილი ყალბი ნარატივი არ არის, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, სხვებმა, ბევრი გააკეთეს საიმისოდ, რომ წმიდანის დონემდე აეყვანათ ქალი („დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება“, – ი. ჭავჭავაძე; „გამიზრდია ქართველ ქალსა ქართვლის შვილი!“, – ა. წერეთელი; „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“, – ვაჟა-ფშაველა, „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“, – ბარათაშვილი...), მწერლობამ ბევრი გააკეთა ქართველი ქალის ამაღლებული სახის შესაქმნელად, მაგრამ ცარიელ ადგილას არ აღმოცენებულა ეს სახე, – მისი საფუძველია ტრადიცია, რომელიც ფოლკლორშიც საკმაოდ ძლიერად ჩანს (დედის გული, რომელიც შვილზე მაშინაც წუხს, როცა სატრფოსთან მიაქვს იგი ამ შვილს, რადგან მისი ამოკვეთა უბრძანა სატრფომ; დედის ამაგის შეუფასებლობა...) და აშკარაა, რომ შორეულ წარსულში იღებს იგი სათავეს...

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით სტატიის დასასრულს ყურადღებას იმ გარემოებაზე გავამახვილებთ, რომ *პიე* ძირი **dyeu-* ლათინურში ასახა სიტყვამ *Deus*, იტალიურში *Dio* ლექსემა ჩამოყალიბდა; საყურადღებო ისაა, რომ ამ შემთხვევებში *მამა ღმერთის* მნიშვნელობები აქვს ხსენებულ სიტყვებს, იგივე ძირიდან მომავალი (როგორც ჩვენ ვფიქრობთ) ქართველური სიტყვა *დედა (დეა, დია...)* კი ქალი ღმერთის მნიშვნელობით დამკვიდრებულა; და თუ ასეა, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ განამტკიცებს იმ აზრს, რომ დედის კულტი, რომელიც საქართველოშია შემონახული, მართლა

განსაკუთრებული გენეზისისაა, – თითქმის იდენტურობა სახელისა, რომელიც ლათინებთან *შემოქმედ ღმერთს* გამოსახავს *(Deus, Dio)*, ქართველთა წინაპრებთან დედა ღვთაების გამომხატველი ხდება (დეა, დია...), ქალი ღვთაების სახელად ყალიბდება აქ **dyeu-* ძირიდან მომავალი სიტყვა; *დიდი ქალი ღვთაება ჰომ ახ ყოფიღიყო ქართველთა წინაპრების ეხთ-ეხთი მთავარი საღოცავი, ახ მოხდებოდა ამგვარი ჩამ; *dyeu-* ძირმა, ჩვენი აზრით, სიტყვა *დედა* წარმოქმნა, ყოვლის შემოქმედის აღმნიშვნელი სიტყვა კი *ღმერთი* გახდა ქართველთათვის და, თუ საიდან მოეცათ მათ ხსენებული სიტყვა, ეს კვლევის უკვე სხვა თემაა და მასზე მსჯელობა ცალკე ნაშრომების შესრულებას საჭიროებს, ჩვენ ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ, ვფიქრობთ, ამ სიტყვის გენეზისის ძიებისას აუცილებელია, სემანტიკურ-ფონოლოგიური ასპექტიდან შესწავლილ იქნას, ასევე, პროტო-ინდო-ევროპული ძირი **gheu(e)-* („ძახება“, „ხმობა“) და მისგან მომდინარედ მიჩნეული ლექსემები: *god* (ძვ. ინგლისური), *guthan* (პროტო- გერმანიკული) და სხვადასხვა (ეტიმოლოგიური ლექსიკონი ლ), ვფიქრობთ, საჭიროა, რომ ხსენებულ ძირთან და ლექსემებთან მიმართებით იქნას განხილული ქართული სიტყვის ასო-ბგერები ღ და თ; კვლევისას, შესაძლოა, ლექსემა „ღაღადების“ გათვალისწინებაც იყოს აუცილებელი...

ამრიგად, ჩვენი აზრით, დასაშვებია ვარაუდი, რომლის თანახმად, *დედა ღვთაება მაჰთღაც იყო ქართველთა წინაპრების ეხთ-ეხთი საღოცავი, ჰომელსაც დედა მიწა ეჰქვა*, საფიქრებელია, რომ *ქვეყანაზეც ეგუღებოდათ მისი ადგიღ-სამყოფელი და ცათა მკვიდჰადაც მიაჩნდათ იგი*; სიტყვები *დედამიწა* და *სკნელი*, შესაძლოა, პროტო-ინდო-ევროპულ ძირებთან აღმოჩნდეს დაკავშირებული.

ნაშრომის დასასრულს წარმოვადგენთ ზოგიერთ ძირითად დასკვნას:

ჩვენი აზრით, მსოფლიოში ცნობილი *ღვთაება დემეტჩას (Demeter -ის) სახელი პჩოტო-ინდო-ევჩოპული *dyeu-* და **mater-* ძიჩებიდან *მომდინაჩეობს* (**mater-* ძირიდან მომდინარეობის აზრი ცნობილია მეცნიერებაში) და მისი *თავდაპჩიჩველი მნიშვნელობა იყო დედა ღვთაება მშობელი; ქართველუჩში პიე *dyeu-* ძიჩიდან უნდა იყოს გადმოსული *სვანური დე-სა და დიუო-* ძიჩის მსგავსი ფოჩმა *დეა (დია...), ჩომელიდანაც შემდეგ სიტყვა დედა ჩანს მიღებული; პიე *mater* ძირიდან განვითარებულს ჰგავს ფოჩმა *მატჭი-ი (მეტჭი-ი)*, რომელიც, ვფიქრობთ, *ქართველუჩში კაჩგად ცნობიღი სიტყვა იყო და თავდაპიჩველად, ასევე, „მშობელს“ ნიშნავდა და შემდეგ კი მიწის მნიშვნელობა მიიღო; *mater-* ძირიდან გამოსულმა სიტყვებმა ინგლისურსა და სხვა ინდო-ევროპულ ენებში *დედის* სემანტიკა ერთ-ერთი ენის ზეგავლენით, შესაძლოა, მოგვიანებით შეიძინა; *სიტყვა სკნელი პიე *(s)keu- ძიჩიდან მომდინაჩედ მიგვაჩნია და იგი დასაზღვჩულ ადგილს უნდა ნიშნავდეს, ზესკნელი კი ის ზეციური წიაღი ჩანს, ჩომელიდანაც ვაჩსკვლავთა სახით ანგელოზები გადმოჰყუჩებენ ქვეყნად მცხოვჩებ ადამიანებს, – ისინი, ვინც ქვეყნიეჩებაზეც ჩამოდიან ხოლმე.*

ქართული წარმართული მსოფლმხედველობის საკითხების შესასწავლად, როგორც წინამდებარე ნაშრომის დასაწყისშიც ითქვა, კომპლექსური მიდგომაა აუცილებელი, საჭიროა, ერთმანეთს შეუდარდეს მასალა, რომელსაც ფოლკლორისა და სხვადასხვა ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის წიაღში შემონახული მითოსი, ენათმეცნიერება, ტექსტოლოგია, ჰაგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობა და სხვა არაერთი სფერო გვაძლევს, ამ განსხვავებულ მასალათა კომპარატივისტიკა ქართული წარმართული მსოფლმხედველობის კონტურების დანახვაშიც მოგვეხმარება და ენისა თუ სულიერი კულტურის ისტორიის არაერთი ფურცლის გადაშლაშიც შეგვიწყობს ხელს.

შენიშვნები

[1] ყურადღებას იქცევს „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ის ადგილი, რომელშიც მეფე მირიანი არმაზის ტაძრის მსახურად გახდომას ჰპირდება წმიდა ნინოს, თუ მაზდეან მოგვს განკურნავს ეს უკანასკნელი: „განგამდიდრო და გყო შენ მცხეთისა მკჳდრად და მსახურად არმაზისა“ (ძეგლები 1964: 131-132), აქედან ვხედავთ, რომ ქალი მსახურებიც ჰყოლია არმაზის ტაძარს.

[2] *ტ*-ს წ-დ და, ასევე, *ჩ*-დ და *ჭ*-დ ქცევის მაგალითები, ვფიქრობთ, კარგად ჩნდება *სავახაუდო* ფონოლოგიურ პროცესებში, რომლებსაც ზოგადი სურათის სახით ქვემოთ წარმოვადგენთ: ლექსემა *პატახა*, ან ამ სიტყვის ძირი, თუ ამავე ძირიდან მომდინარე სხვა ლექსემა, აწარმოებს კნინობით ფორმას – *პატია*, რაც ერთ რეგიონში ღებულობს ფორმას – *პაწია* და, შესაძლოა, ასევე, ფორმას – *წია (ან – წიე)*, სხვაგან მიიღება ფორმა *ჩია* და სხვაგან კი – *ჭია*; ანუ, როგორც ვხედავთ, ლექსემა *პატახა*-დან, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, ყალიბდება ახალი ლექსემები: *წიე* („ბიჭი“, მეგრ.), *ჩია* („პატარა ტანის მქონე“) და *ჭია*, რომელიც ჯერ, ალბათ, საერთოდ, რაიმე

პატარის აღსანიშნავად გამოიყენებოდა და რომელსაც შემდეგ პატარა მწერის, შემდეგ კი განსაზღვრული სახის მწერის, მნიშვნელობა მიეცა); აქვე დავძენთ: ჩვენი აზრით, ამ პროცესებში ქართველური ენების ინდო-ევროპულ ოჯახთან ნათესაობის თეორიასთან უშუალოდ დაკავშირებული იმ დებულების ალბათობაც ჩანს, რომლის თანახმად, ხსენებული *წ, ჭ* და *ჩ*, შესაძლოა, შემდეგ იყოს ქართველურში აღმოცენებული, წარმოდგენილი მაგალითებიდან, ცხადია, ჯერ ვერ საბუთდება, რომ ეს ასო-ბგერები არ არსებობდა ქართველურის წინარე ენაში და რომ ამ ახალ სიტყვებთან ერთად გაჩნდა ისინი (შესაძლოა, სიტყვა *პატარა* შემოსულია ქართველურში და ამ ენაში არსებულმა *ჭ, ჩ* და *წ* ასოებმა უცვალა მას სახე და მნიშვნელობა (*პიე*-დან შემოსული არაერთი ლექსემა, შესაძლოა, სწორედ პროდუქტიულობის საკითხის შეუსწავლელობის გამო არის ქართველურად ცნობილი), მაგრამ, თუ აღმოჩნდა, რომ უეჭველად ქართველურია სიტყვა *პატარა* და პროტო-ინდო-ევროპულ ძირს უკავშირდება მისი გენეზისი, მაშინ ეს და მსგავსი მაგალითები სულ სხვა ვარაუდის საფუძველს შექმნის: ცნობილია კელტური *dnhn pett-* („ცოტა“, „პატარა ნაწილი“, „ცალი“), რომლიდანაც, როგორც ფიქრობენ, მომდინარეობს ძველი ფრანგული *pettit* („პატარა“), გვიანი ლათინური *pittinus* (` („პატარა“), ინგლისური *petit* („პატარა“, ასევე, – ინგლისური *piece* („პატარა ნაჭერი“, „პატარა ნაწილი“, „ცალი“; (ეტიმოლოგიური ლექსიკონი თ), ხსენებულ ლექსემათა სავარაუდო პროტო-ინდო-ევროპული ძირი *p* და *t* ასო-ბგერებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჩვენი აზრით, საჭიროა დადგეს საკითხი: ხომ არ არის მიზანშეწონილი, რომ ამ ინდო-ევროპულ ლექსემებთან დაკავშირებით შევისწავლოთ ქართული სიტყვა – *პატარა*; ცხადია, თუ დავრწმუნდით, რომ ლექსემა *პატარა* შემოსული არაა ქართველურში და საკმარისად პროდუქტიულია იგი ამ ენებში, თუ არც ის იქნება საეჭვო, რომ ერთი პროტო-ინდო-ევროპული ძირიდან მოდის ქართული ლექსემაცა და ფრანგული *pettit* და ლათინური *pittinus*, სხვებს შორის, ეს მაგალითიც გახდება იმ დებულების განმამტკიცებელი, რომ ქართველური და ინდო-ევროპული ენათესავება ერთმანეთს და რომ ქართველურში შემდეგ უნდა იყოს სპეციფიკური ქართველური ასოები აღმოცენებული, – მაგ., მას მერე, რაც იმ რომელიმე ქართველური ტომის მეტყველებაში, რომელსაც, იქნებ, სხვა ხალხის გავლენით ენის გლოტალიზაციისაკენ გაუჩნდა მიდრეკილება, *ბგერებმა* სიტყვათმწარმოებლური ფუნქცია შეიძინა და *ასო-ბგერებად* იქცა; როგორც ითქვა, *პიე* და ქართველურ ლექსემებს შორის ხშირად იძებნება შეხების წერტილები და, ვფიქრობთ, არ იქნება გამართლებული, თუ მკვლევარი სპეციფიკურ ასოთა არსებობის გამო ლექსემათა ნათესაობის კვალის ძებნაზე თავიდანვე იტყვის უარს (ცალკეული სპეციფიკური ასოები მეორეულად მიაჩნია არაერთ ენათმეცნიერს); ვიმეორებთ: ჩვენი საუბარი არ გულისხმობს იმას, თითქოს, უყოყმანოდ მხარდასაჭერად მიგვაჩნდეს ცნობილი თეორია, რომლის თანახმად, ქართველური ენები ინდო-ევროპული ოჯახის განშტოებად უნდა იქნას მიჩნეული, ცნობილია, რომ ამ თეორიის მიღებას, სპეციფიკურ ასოთა არსებობისა და სხვა გარემოებათა გარდა, განსაკუთრებულად ქართველური ზმნის თავისებურება უშლის ხელს (სპეციფიკური ქართველური ასოები შემდეგ გაჩენილიც რომ აღმოჩნდეს, ამ დებულების მისაღებად ეს ფაქტიც არ იქნება საკმარისი საბუთი); თუმც, არ არის გამორიცხული, ოდესმე დადგინდეს, რომ ამ ოჯახთან *შოჰეული ნათესაობა* აკავშირებს იბერიულ-კავკასიურ ენებს, რომ ძალზე ადრეულ ეპოქაში დაცილდა ქართველური წინარე ენას და სხვადასხვა ფაქტორმა მისი მკვეთრი ცვლილება განაპირობა, რომ ქართული ენა შემდეგ ერთგვარად კონსერვატორული გახდა, რაც დოკუმენტურად იმითი დასტურდება, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქართულის გაგება დღეს არასპეციალისტებსაც შეუძლიათ.

P.S. *ტ* და *წ* ბგერების ცვლასთან დაკავშირებით, შესაძლოა, საყურადღებო იყოს ფაქტი, რომ ეს ასოები ერთმანეთს ენაცვლება სიტყვებში: *ჭიაღი* და *წჰიაღი*.

[3] ჩანს, ზღვის ამრეკლავად ჰქონიათ წარმოდგენილი, „სარკისთვის“ შეუდარებიათ ცა (ეტიმოლოგიური ლექსიკონი ი).

[4] სხვა საკითხია, თუ როგორაა აღმოცენებული სიტყვა *უკანასკნელი – უკანა სკნელს* (წიაღს) ნიშნავს, თუ სხვაგვარი ახსნაა საჭირო, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ლექსემის გაჩენაც მსგავს გარემოებასთან არის დაკავშირებული (გასათვალისწინებელია, რომ „ბნელი სკნელი“ ძველქართულად ასე ჟღერს: „უკუნი სკნელი“, რომ „საუკუნო“ „სამუდამოს“ ნიშნავს, რომ „უკუნის“ ერთ-ერთი ადრეული მნიშვნელობა, შესაძლოა, „მარადიული სიბნელე“ იყო).

[5] აქვე დავძენთ: შესასწავლია, არის თუ არა კავშირი ისეთ ლექსემებს შორის, როგორებიცაა: *მა/ჰ/სკუღახი* და *მახსი, მეჰკუხი*.

[6] ლექსემა „სულთან“ დაკავშირებით დავძენთ: ფონოლოგიურ-სემანტიკური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, ცხადია, საყურადღებოა ძვ. ინგლისური *sawol* („ადამიანის სულიერ-ემოციური მდგომარეობა“, „სიცოცხლე“, „ცხოვრება“...), ძვ. საქსონური *seola*, ძვ. ნორვეგიული *sala*, ძვ. ფრიზიული *sele*, საშ. ნიდერლანდური *siele*, დანიური *Ziel*, ძვ. მაღალი გერმანული *seula*, ინგლისური *soul*, გერმანული *seele*, გოთური *saiwala*, რომელთა წყაროდ პროტო-გერმანიკული ძირი **saiwalō*- არის მიჩნეული (ეტიმოლოგიური ლექსიკონი კ), და ქართული სიტყვა – *სუღი*, რომლის ქართულ-ზანური ერთიანობის ხანის არქეტიპი, გ. კლიმოვის თანახმად, არის **სუღ*- (კლიმოვი 1964: 178) და რომელიც, ქართულის გარდა, ასახულია მეგრულში *(შუხ-)*, ლაზურში *(შუხ-)* და, სავარაუდოდ, სვანურში *(შუხ-)* (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 423-424); თუ ეს სიტყვა შემოსული არ არის ქართველურში, მაშინ ფონოლოგიური და სემანტიკური სიახლოვე, ცხადია, განსაკუთრებულად საინტერესო ხდება, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ძველ ქართულ ტექსტებში შემონახულ სიტყვა და-*სუღ*-ებას ისეთი მნიშვნელობები აქვს, რომლებიც ემოციას გამოხატავს („გაოგნება“, „გაოცება“... სარჯველაძე 2001: 69-70).

დამოწმებანი

ბეკესი 2010: R. Beekes. *Etymological Dictionary of Greek*, Leiden, Brill.

ბიბლიის ცენტრი: *Bible Hub, Online Bible Study Suite*. https://biblehub.com/matthew/8-12.htm (ნანახია: 22.05.2022)

გამყრელიძე 1959: თ. გამყრელიძე. *სიბიძანტთა შესატყვისობანი და ქართველუთ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი*, თსუ.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: თ. გამყრელიძე. გ. მაჭავარიანი. *სონანტთა სისტემა და აბღაუტი ქართველურ ენებში*, თბილისი.

ეტიმოლოგიური ლექსიკონი: *Online Etimology Dictionary*: https://www.etymonline.com (22.05.2022).

ვაანი 2008: M. De Vaan. *Etymological Dictionary of Latin and the Other Italic Languages*, vol. 7, Leiden, Brill.

თოფურია 1940: ვ. თოფურია. ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, XV.

თოფურია, ქალდანი 2000: ვ. თოფურია. მ. ქალდანი. *სვანური ლექსიკონი*, თბილისი.

იორდანაშვილი 1949: ს.ს. ორბელიანი, *სიტყვის კონა*, ს. იორდანაშვილის გამოც. საქ. სსრ სახ. გამომც. .

კლიმოვი 1964: Г. Климов. Этимологический словарь картвельских языков, Москва.

ლიდელი, სკოტი 1883: Henry George Liddell and Robert Scott, *Intermediate Greek-English Lexicon*, Oxford University Press.

ოთხთავი 1979: *ქართული ოთხთავის ორი ბოლო ხელნაწერი*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თსუ.

ჟღენტი 1953: ს. ჟღენტი. ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი.

სარჯველაძე 1987: Z. Sardschweladse. Forschungen zur Lexik der Kartwelsprachen: *Georgica*, 19, Jena-Tbilisi.

სარჯველაძე 2001: ზ. სარჯველაძე. *ძველი ქართული ენის სიტყვის კონა*, საბაუნი.

სირაძე 1987: რ. სირაძე. *ქართული აგიოგრაფია*, „ნაკადული".

უოტკინსი 2000: C. Watkins (ed.). *The American Heritage Dictionary of Indo-European Roots*, 2nd ed., Houghton Mifflin Company.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, საბაუნის გამომც.

ქრისტიანობის ლექსიკონი 2011: პიერო პეტროზილო, *ქრისტიანობის ლექსიკონი*, იტალიურიდან თარგმნა მარიკა სააკაშვილმა, რედ. მერაბ ღაღანიძე, საბაუნი.

შმიდტი 1962: K. H. Shmidt. *Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache*, Wiesbaden.

ჩიქობავა 1938: ა. ჩიქობავა. *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*, ტფილისი.

ცაგარელი 1880: А. Цагарели. *Мингрельские этюды, вып. II, Опыт фонетики мингрельского языка*, СПБ.

ძველბერძნულ-ინგლისური სახარება (მათე) 2019: *The Gospel of Matthew, part of The Holy Bible, The ancient Greek text, alternating verse by verse with a new translation from the Greek by David Robert Palmer*. http://www.bibletranslation.ws/trans/mattwgrk.pdf (22.05.2022)

ძველბერძნული ლექსიკონი: Alpha online, *Древнегреческо-русский словарь*. http://gurin.tomsknet.ru/alphaonline.html (22.05.2022)

ჭარაია 1895: პ. ჭარაია. მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, მასალა: *„მოამბე"*, X, XII, ტფილისი.

ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი*, I, სმა, თსუ.

ეტიმოლოგიური ლექსიკონი ა: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/word/mother?ref=etymonline_crossreference (ნანახია: 22.05.2022)

ეტიმოლოგიური ლექსიკონი ბ: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/search?q=matter; https://www.etymonline.com/word/material#etymonline_v_9708 (ნანახია: 22.05.2022)

ეტიმოლოგიური ლექსიკონი გ: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/word/Demeter#etymonline_v_5561 (ნანახია: 22.05.2022)

ეტიმოლოგიური ლექსიკონი დ: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/word/*dyeu-#etymonline_v_52651 (ნანახია: 22.05.2022)

ეტიმოლოგიური ლექსიკონი ე: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/search?q=Mamma(ნანახია: 22.05.2022)

ეტიმოლოგიური ლექსიკონი ვ: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/word/sky (ნანახია: 22.05.2022)

ეტიმოლოგიური ლექსიკონი ზ: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/word/*(s)keu- (ნანახია: 22.05.2022)

ეტიმოლოგიური ლექსიკონი თ: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/word/petit (ნანახია: 22.05.2022)

ეტიმოლოგიური ლექსიკონი ი: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/search?q=skuggwa (ნანახია: 22.05.2022)

ეტიმოლოგიური ლექსიკონი კ: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/word/soul#etymonline_v_23918 (ნანახია: 22.05.2022)

ეტიმოლოგიური ლექსიკონი ლ: *ეტიმოლოგიური ლექსიკონი* https://www.etymonline.com/search?q=God (ნანახია: 22.05.2022)

GODDESS DEMETER AND SOME ISSUES OF THE GEORGIAN PAGAN COSMOGONY

Gocha Kuchukhidze
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
gochakuch@yahoo.com

This article is the attempt of definition of the archaic meanings of several lexemes.

There are different views on the meaning of the first part of Greek Goddess *Demeter*`s (Δημήτηρ) name - *De (De-meter).*

In our opinion, *de* derives from Proto-Indo-European *(PIE)* root **dyeu-* ("to shine", "heaven", "god"). From this root are derived following words related with *God*: «Sanskrit *deva* "god" (literally "shining one"); *diva* "by day"; Avestan *dava-* "spirit, demon"; Greek *delos* "clear"; Latin *dies* "day", *deus* "god"; Welsh *diw*, Breton *deiz* "day"; Armenian *tiw* "day"; Lithuanian *dievas* "god", *deina* "day"; Old Church Slavonic *dini*, Polish *dzień*, Russain *den* "day"; Old Norse *tivar* "gods"; Old English *Tig*, genitive *Tives*, name of a god» (Online Etimology Dictionary https://www.etymonline.com/word/*dyeu-#etymonline_v_52651). (21.05.2022) Whereas this lexeme produces several words associated with God, in our opinion, it is not impossible that the word semantically close to *Goddess* was derived from same root; as Demeter is a female deity associated with fertility, birth, origination of the new life and *de*, the first part of her name is phonologically close to the above mentioned root, we regard that it is quite possible that this *de* was associated with the root **dyeu-*, transformed from it, with the meaning of "deity mother".

According to the widespread opinion, the second part of *Demeter (meter)*originates from *PIE* root **mater-* ("mother"); assuming that the word *de*, having the meaning "mother", comprises the first part of this composite name, one can offer that the initial meaning of the second part would be slightly different and *Mater* in the early period meant the "parent", "birth giver"; in our opinion, *Demeter* includes two *PIE* roots *(*dyeu+*mater- > Demeter)* and its meaning is *"deity mother parent"* (words from root **mater* in English and other Indo-European languages, influenced by one of the languages, possibly have further changed their semantics and later formed into lexemes with meaning of *"Mother"*).

We regard that Georgian word *Dedamits'a* (dedamiwa, – its modern meaning – *"Mother Earth")* is also associated with *PIE* *dyeu root. Exploring of the first part of this word, *deda* (deda – "Mother") in the context of the other Kartvelian, particularly Svan, Mingrelian words *diuo* (diǯo), *de* (de), *dia* (dia) offer that archaic form of word *deda* sounded as *diuo* or *dea, dia* – as **dyeu-*, the *PIE* root with the semantics of "god" and supposedly reconstructed Kartvelian lexemes, phonologically and semantically are close to one another, we regard that the hypothesis that they could be semantically linked closer, and that proposed meaning of archaic Kartvelian word was not only *mother,* but also *deity mother* and that it originated from the above root; we regard that

mits'a (miwa), the other part of *dedamiwt'sa* is derived from Proto-Indo-European root as well, in particular, from **mater-*; we propose that in Georgian language word *meter* has obtained the form *mit'sa* and its meaning became "*earth*" (stages of transformation of the second part of Georgian word can be provided as follows: **mater- > meter > metra > mitra > mits'ra > mits'a);* in our opinion, word *dedamits'a* initially sounded like *diuo mater /meter* (diǯo mater /meter) and its meaning was *"deity mother parent".* Discussing these issues, the work provides examples of replacement of consonant *t* (t) with consonant *ts'* (w).

Further, in the article we focus on the *PIE* root **(s)keu-*, that is regarded as the origin of modern English word *sky* and other Indo-European words with the same semantics, with the meaning of *"cover", "conceal".* In relation with the mentioned root we considered *skneli* (skneli), Georgian lexeme philologically close to it, which, after attaching of Georgian suffix *ze* (*Ze-skneli* /ze-skneli), obtains meaning of *"Sky"* and after adding of Georgian suffix *qve (qve-skneli* /qve-skneli*)* its meaning is underworld, hell. Meaning of Georgian word *skneli is not precisely specified yet*, we have studied this lexeme in the context of the other Georgian words and Kartvelian root as well and this allowed assuming that *skneli* means "the restricted place divided from the other spheres" and its meanings are also associated with "covering" and "concealing"; as *skneli* is semantically closely associated with **(s)keu-*, we offered that it originates from this root.

The article mentions also that Greek lexeme *σκότος* (`darkness-), in our opinion, originates from **(s)keu-* as well; this lexeme is mentioned several times in the Gospel and it implies dark depth (Sheol, gehenna), that is also divided from the world and cannot be seen from here.

In the work we have also studied genesis of Georgian word varkulavi (varskulavi, – "Star"). In our opinion, archaic form of the mentioned lexeme is *ma-/r/skul-ar-i* (ma/r/skul-ar-i), meaning, in English "being in the sky", "living in heaven". Consequently, we offered that in the opinion of pagan Georgians (Kartli has converted to Christianity at the state level in early 4th century) the stars were the angels living in the heaven – *zeskneli*, seen from the Earth as stars (according to I. Javakhishvili, pagan Georgians knew seven heavens, i.e. they believed that there were higher heavens above *zeskneli*).

As we can see, etymology of the words is very helpful for better understanding of Georgian pagan religion.

Work focuses on the following issue as well: though Kartvelian languages do not belong to Indo-European family, there still are some common points between Kartvelian languages and the ones of this family. This could be explained by introduction of words from one language into the other; we do not reject the theory known in the linguistics, according to which, the fact of interrelation between the words could indicate distant relation between the languages.

სამეურნეო ყოფის ისტორიისათვის ტაო-კლარჯეთში: მესაქონლეობა და მესაქონლეთა ტრადიციული კულტურა

ნუგზარ მგელაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nugzar.mgeladze@bsu.edu.ge

თურქეთში მდინარე ჭოროხის აუზში მდებარე ისტორიული ქართული პროვინციების – ტაოსა და კლარჯეთის მეურნეობის ტრადიციული ფორმები ჭოროხის აუზის სხვა ქართულ თემებთან ერთად მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იქმნებოდა, ამასთან, წარმოშობისა და განვითარების რიგი თავისებურებით ხასიათდებოდა და დანარჩენ კულტურულ ტრადიციებთან შესაბამისობაში ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთიც განისაზღვრებოდა. კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე ცხოველთა მოშინაურებამ ადამიანის სამეურნეო ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ყოფიერებაშიც ბევრი რამ შეცვალა. მათი მოშინაურებაც კონკრეტულ გარემო პირობებზე იყო დამოკიდებული და, შესაბამისად, სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში იგი სხვადასხვა სახით მიმდინარეობდა, თუმცა ადამიანის ისტორიაში ამგვარი ეპოქალური გარდატეხა, ყველა შემთხვევაში, მიწათმოქმედების აღმოცენებასა და სოციუმის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან პირდაპირ იყო დაკავშირებული. ბინადარი ცხოვრების პირობებშივე განვითარდა მესაქონლეობის დღეისათვის ცნობილი ფორმებიც. კავკასიისა და მცირე აზიის – ანატოლიის ტერიტორიაზე მიკვლეული ადრეული არქეოლოგიური არტეფაქტები, პალეოლოგიურ ფენებში მოშინაურებულ ცხოველთა პალეოზოლოგიური და ოსტეო-როლოგიური მასალა, ასევე, გვიანდელი პერიოდის ისტორიულ-ეთნოლოგიური წყაროებიც უშუალოდ მიანიშნებს აქ უძველესი ხანიდან მესაქონლეობის მაღალგანვითარებულ დონეზე.

ამ თვალთახედვიდანაც, ტაო-კლარჯეთის ტრადიციული სამეურნეო ყოფის შესწავლა მრავალმხრივ საინტერესოა, უპირველესად იმიტომ, რომ რეგიონში შემონახულია მეურნეობრივი კულტურის საკმაოდ არქაული არქიტექტონიკა, სამეურნეო კულტურის ძველი კულტურული პლასტები, რაც საყურადღებოა, ერთი მხრივ, მეურნეობის უნივერსალური ისტორიის ზოგადი საფეხურების აღსადგენად, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული მეურნეობის ისტორიის ცალკეული ეპიზოდის შესავსებად. ტაო-კლარჯეთმა ჩაკეტილი ხევების, პატრიარქალური ცხოვრების წესის, თვითკმარი ნატურალური მეურნეობისა და ტრადიციული შინამრეწველობის დიდი ხნის მანძილზე შენარჩუნების წყალობით, სამეურნეო კულტურის არაერთი ძირეული ელემენტი ეთნოგრაფიულ გარემოში დააკონსერვა, რომლის საველე პირობებში კვლევა უთუოდ მრავლისმეტყველი შედეგების მომცემი იქნება. ამიტომ, ტაოელთა და კლარჯთა სამეურნეო კულტურის შესწავლის პროცესში, უპირველესად, ყურადღება უნდა მიექცეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებულ მეურნეობის იმ ტრადიციულ ფორმებს, რომლებიც მომთაბარე მესაქონლეობის პირობებში საკვები ბაზის გამოყენების ოპტიმალურ ორგანიზაციას, საქონლის მაღალი პროდუქტული ჯიშების გამოყვანას, კერძოდ, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის საჯიშე და სანაშენე საქმიანობას, რძის პროდუქტების დამზადებისა და მათი შენახვის ხერხებს, საქონლის დაავადებათა ხალხურ მკურნალობასა და სანიტარულ აკრძალვებს ითვალისწინებდა, რაც, თავის მხრივ, მესაქონლეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენათა მრავალფეროვნებასაც განაპირობებდა. თავისთავად, ეთნოლოგიისათვის საინტერესოა სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით საქონლის დაყოფის, მესაქონლეობასთან და, ბუნებრივია, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმების შესწავლა, რძის პროდუქტების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის სოციოკულტურული და ლინგვოკულტურული ანალიზი, მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, კერძოდ, საქონლით ვაჭრობისა და საქონელთან დაკავშირებული აღებ-მიცემობის დახასიათება, მითუმეტეს, რომ სამეურნეო ტრადიციებთან ერთად საჯიშე-სანაშენე საქმიანობა ეკონომიკურ გარემოსთან და საბაზრო ურთიერთობებთან იყო გაიგივებული. ცალკე თემაა კამეჩის, ცხენის, ვირის,

ჯორის მოშენების და მათი მოვლა-პატრონობის მრავალგვარი ფორმების კვლევაც.

ტაო-კლარჯეთში ცნობილი იყო მთა-ბარული როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა ალპური, საიალაღო მესაქონლეობა, რომელიც ვერტიკალურ-ზონალურ ჭრილში იყო წარმოდგენილი, ასევე, გადარეკვითი, ალპური და მომთაბარული მესაქონლეობის ისეთი გარდამავალი სახეობა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „ტრანსჰუმანსეს" სახელწოდებითაა ცნობილი და რომელიც ნომადური მესაქონლეობისაგან პრინციპულად განსხვავდებოდა (შამილაძე 1969: 21-22); (შამილაძე 1979: 45-47). ტრანსჰუმანსე, მთა-ბარული ჯოგური მესაქონლეობა, საქონლის ჯოგისა და მომვლელი პერსონალის საზამთრო, საგაზაფხულო, საზაფხულო და საშემოდგომო საძოვრებზე მოიალაღეთა ერთობლივ მოძრაობას გულისხმობდა, რომლის დროსაც ძირითადი დასახლებები მხოლოდ სამეურნეო-ეკონომიკური და ორგანიზაციული გაძღოლის ფუნქციებს ასრულებდნენ, უფრო ზუსტად, მთა-ბარული მესაქონლეობის ეს ფორმა როგორც ალპური, ისე მომთაბარული მესაქონლეობის საკლასიფიკაციო ნიშნებით ხასიათდებოდა და მეურნეობის ამ ორ მიმართულებაში წარმოშობის თვალსაზრისით გარდამავალი ადგილი ეკავა. ამ დროს, ტრანსჰუმანსეს პრინციპით საზაფხულო და საზამთრო საძოვრებს შორის მუდმივად ადგილმონაცვლე საქონლის ჯოგი და მომვლელი პერსონალი მთავარ დასახლებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ თუ ალპური, საიალაღო და მთა-ბარული მეურნეობისას ეს კავშირი ტერიტორიულიც იყო, რამდენადაც საქონელი და მომვლელი პერსონალი ზამთრობით დასახლებებში ბრუნდებოდა და იქ რჩებოდა, ტრანსჰუმანსეს პირობებში იგი მხოლოდ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ სახეს ატარებდა, ე. ი. ტრანსჰუმანსეს ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები იყო საქონლის ჯოგისა და მომვლელი პერსონალის მუდმივი მოძრაობა საზამთრო, საგაზაფხულო-საშემოდგომო და საზაფხულო საძოვრებზე, რომლის დროსაც საქონლის მოვლა-პატრონობის წლიური ციკლიდან ტერიტორიულად გამორიცხულ ძირითად დასახლებებს მესაქონლეობის სამეურნეო-ეკონომიკური და ორგანიზაციული გაძღოლის ფუნქციები შენარჩუნებული ჰქონდათ (შამილაძე 1986: 17).

სწორედ ამ თვისებების გამო ტრანსჰუმანსე ალპურ და მომთაბარე მესაქონლეობის გარდამავალ საფეხურად მიიჩნევა. მთა-ბარული და ტრანსჰუმანსეს ტიპის მესაქონლეობა ჭოროხის აუზის თითქმის ყველა კუთხისათვის იყო ნიშანდობლივი, რომლის მახასიათებლებს მესაქონლეობის მომთაბარული ბუნება და მეურნეობის სიმბიოზი – მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების შერწყმული ხასიათი განაპირობებდა. ასეთი სიმბიოზი გეოგრაფიული ზონალობის შესაბამისად რომელიმე მათგანის – მესაქონლეობის ანდა მიწათმოქმედების პრიორიტეტული მდგომარეობით განისაზღვრებოდა: დაბლობებში მიწათმოქმედების წამყვანი როლით, ხოლო მაღალმთიანეთში – მესაქონლეობის (ჩიტაია 1947ა: 338); (ჩიტაია 1947ბ: 155).

ტაო-კლარჯეთშიც, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, დროთა განმავლობაში, ტრანსჰუმანსეს ერთ-ერთი ნაირსახეობა თანმიმდევრულად ჩამოყალიბდა და ნახევრად მომთაბარული – საიალაღო ტიპის მესაქონლეობაც წარმოიქმნა, რომელიც ბუნებრივ პირობებთან შესაბამისობაში ყველგან მიწათმოქმედებასთან იყო დაკავშირებული, კომპლექსში მესაქონლეობის ბარულ, ზეგნურსა და მთურ ეტაპს მოიცავდა და ორ თუ სამ საფეხურს აერთიანებდა ძირითადი, გარდამავალი და საზაფხულო სამოსახლოების, ე. წ. „აგარა'ს" სახით (მგელაძე 2018ა); (ტაო 2000: 286-293). ე. ი. ტაო-კლარჯეთში მესაქონლეობა მთა-ბარული ზონალობის პრინციპებზე იყო დაფუძნებული. *მთა* და *ბარი* აქ მთისა და ბარის კლასიკური გაგებით არ უნდა აღვიქვათ, რადგან გეოგრაფიული თვალსაზრისით ორივე ცნება მნიშვნელობით მთა იყო, ოღონდ ამ შემთხვევაში მთა, ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით, გაცილებით მაღალზე მდებარეობდა, ვიდრე ბარი.

საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის ეთნოგრაფიულ ყოფაში, თითქმის ყველგან, საზაფხულო საძოვრები და ალპური მეურნეობა ტერმინ – „მთითაა" წარმოდგენილი. აჭარაში მსგავს ადგილმდებარეობას *თა* (მთა), გურიაში – *ტიტვეღა მთა*, იმერეთში – *მთა*, სვანეთში – *მიეღხვარ*, მთიულეთსა და გუდამაყარში – *მთობა*, თუშეთსა და ფშავში – *მემთიუჩი*, ინგუშეთში – *ღამ* (*ღოამ*) ეწოდებოდა (შამილაძე 1968: 3); (ცაგარეიშვილი 1974:32). ამიტომ, ბუნებრივია, ჭოროხის აუზის მთიან კუთხეებშიც, მაგალითად, მაღალმთიან აჭარაში, მეურნეობრივ საფეხურებთან შესაბამისობასა და

ვერტიკალურ განზომილებაში წარმოდგენილი ტერიტორიული სივრცის მთა-ბარად გააზრება ტაოს ანალოგიურად რომ ხდებოდა, რომელსაც შუალედური ზოლი – *ფეხდა*, იგივე, ყიშლა ემატებოდა და მომთაბარეობაც ანუ მომთაფერდაობაც ვერტიკალურ ზონალობაში მონაცვლეობითი დაყოფის პრინციპს ექვემდებარებოდა. ის, რომ ტაო-კლარჯეთში თემის – ხევის ტიპის დასახლებათა ჯგუფის ცხოვრებისეული წლიური ციკლი სეზონურ დინამიკაზე იყო დაფუძნებული, რაც საზაფხულო და საზამთრო დასახლებებში მონაცვლეობით ბინადრობაში გამოიხატებოდა, უფრო ზუსტად, ესა თუ ის დასახლების სისტემა სეზონურად ორ საფეხურსა და, ზოგჯერ, სამ საფეხურსაც კი აერთიანებდა, მივყავართ დასკვნამდე, რომ ტაო-კლარჯეთში მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების შერწყმული – სიმბიოზური ფორმა განსაზღვრავდა დასახლების ტიპს, მის ფორმა-აგებულებას, სოფლის იერსახესა და სტრუქტურას, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების თავისებურებებს, შრომის ორგანიზაციის ფორმებს, რაც კონკრეტულ გარემო პირობებთან იყო შეგუებული და როგორც მესაქონლეობის, ისე მიწათმოქმედების ინტერესებს ითვალისწინებდა. ასე იყო ჭოროხის აუზის სხვა კუთხეებშიც (შამილაძე 1964: 237).

ტაო-კლარჯეთის ბარში სახლეულები იზამთრებდნენ, ხოლო ზაფხულობით დროს ისეთ სოფლებში ატარებდნენ, სადაც პირუტყვის მოვლა იყო შესაძლებელი. ბევრგან ამ ორ მონაცვლეობით ზონას მთის საიალაღო დასახლებაც ემატებოდა, სადაც მესაქონლეები, ძირითადად, პირუტყვის მოვლა-პატრონობითა და რძის პროდუქციის დამზადებით იყვნენ დაკავებულნი. დასახლების ასეთ სისტემაში მეორე საზაფხულო სოფელი, თავდაპირველად, როგორც ჩანს, ყიშლური ტიპის სამოსახლოს წარმოადგენდა, რომელიც თანდათანობით სოფლის უბნად, ხოლო შემდეგ სოფლადაც კი იქცეოდა ხოლმე ისე, რომ იაილა მესამე ზონის ყველაზე მაღალ დასახლებად რჩებოდა, თუმცა იგი სამეურნეო საქმიანობის საწარმოებლად მაინც ნარჩუნდებოდა. ამდენად, *აგაჰა*, როგორც საზაფხულო სადგომი, დასახლებათა სამსაფეხურიან სისტემაში – მესამე საფეხურის დასახლებას წარმოადგენდა. მოსახლეობაში „აგარად“, ჩვეულებრივ, საზაფხულო სოფელი მოიხსენიებოდა (მგელაძე 2018ა); (მგელაძე 2018ბ: 107-109).

ცხოვრებისეულ ციკლში დასახლებათა სეზონურ საფეხურებად დანაწილების საუკეთესო ნიმუშს ბალხის დასახლების სისტემა, ბალხის ხევი – თემი, განსაკუთრებით, ბალხიბარის სეზონური დასახლება წარმოადგენს. აქაც, ამ დიდი სათემო დასახლების ცხოვრების წლიური ციკლი ზამთარ-ზაფხულ ერთმანეთს ენაცვლებოდა. *ბაღხი* ზოგადი სახელწოდება იყო საკუთრივ ყველაზე მაღლა მდებარე ზემო ბალხისა და ქვემოთ მდებარე ბალხიბარისა. ზოგჯერ ისინი ზემო ბალხიბარისა და ქვემო ბალხიბარის სახით იწოდებოდნენ. ბალხიც ადრე ვერტიკალურ სივრცეში გაშლილი და გაფანტული დასახლებებით წარმოდგენილი თემის ტიპის დასახლება იყო.

ამ მხრივ საინტერესოა წოიბანის დასახლებაც, სადაც ისეთი ტოპონიმებიცაა შემონახული, რომლებიც სამინათმოქმედო კულტურის გვერდით, მთა-ბარულ ცხოვრების წესს ასახავს, მაგალითად, *წოიბანი* და *ბეჰყანა* (*ბეჰკანა*). დასახლების ზემოთ ყიშლა-იაილებია. მოსახლეობა ზამთარში ბარის სოფელში – ბარის წოიში, ხოლო ზაფხულში იაილებისაკენ, ზედა წოიში ცხოვრობს. დასახლების სათემო არეალი ხევში იყო განფენილი. ბალხის თემის დასახლებათა მკვიდრნი ზამთარს ქვედა ზონაში – „ბარში“ ატარებდნენ. სოფლის ზემოთ სამი იაილა – *ნაფახახევი*, *ქედიყანა* და *ყვეჰეთი* იყო წარმოდგენილი. ერთი რესპონდენტი გვიყვებოდა: „აქ ზაფხულში ალთი (ექვსი თვე) – აი ვიყავით, ნისანში (აპრილში) აქ ვართ, ორინჯში (მეათე თვეს) მივდიოდით“. ჩვენი სხვა რესპონდენტის მონათხრობით, თემის მოსახლეობა „ზაფხულში ბალხაში ვცხოვრობდით, ზამთარში კი – ბალხიბარში“ (ტაო 2020: 288). ამ საუბრებში კარგად ჩანს სეზონურ დასახლებათა ციკლში თვეების მიხედვით ბინადრობის ვადები. თემის იაილა – *ქედიყანა* იყო, თუმცა მოსახლეობას დღეს ქედიყანაში პირუტყვი აღარ აჰყავს და იქ არავინ აღარ ბინადრობს. ასეთივეა ბალხის დასახლებათა სისტემის სათავეში მოქცეული ქობაგის (ქობაქის) თემიც. როგორც ადგილობრივებმა მოგვითხრეს, მათ ორი იაილა ჰქონდათ – *აბიჰანი* და *თემუზი*. ამათი წადევნებით ვრცელ ტერიტორიაზე კიდევ იყო საზაფხულო საძოვრები – *ქედიყანა*, *ნაფახახევი*, *საკენჭვანი*, *ყოჰეთი*.

ტაო-კლარჯეთში გამოვლენილი საველე-ეთნოგრაფიული წყაროების საფუძველზე საბოლოოდ

შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაოში მომთაბარეობა სამ საფეხურს: „ბარს“ – მუდმივ საცხოვრებელს, „მეზრეს“ – საგაზაფხულო და საშემოდგომო სადგომსა და „იალაღს“ ანუ „აგარას“ – საზაფხულო სადგომს მოიცავდა. აქედან, „ბარი“ პირობითი ცნება იყო და შინაარსობრივად მის გეოგრაფიულ მნიშვნელობას ბოლომდე ვერ ასახავდა. ბარად იგი მეზრესთან და იაილასთან მიმართებაში განისაზღვრებოდა. რეალურად *მეზრე* ყიშლის მსგავსი საბინადრო იყო, ხოლო *იაილა* – საზაფხულო საცხოვრებელი და საძოვარი. სამივე სამომთაბარეო საფეხური ვერტიკალურ ზონალობას შეესაბამებოდა და წლის ოთხივე დეკადას აერთიანებდა. *მეზრე*, იგივე, *ყიშლა*, დასახლების სახელწოდება იყო, ე. ი. ყიშლის აღმნიშვნელი სიტყვა *მეზრე* დასახლების სახელწოდებად იყო ქცეული. ტაო-კლარჯეთში ყიშლებში პირუტყვი მაისში აჰყავდათ, ხოლო როცა მინდვრებში ბალახი – მოლი აბიბინდებოდა, მაშინ საქონელი ალპებში – „თა'ზე“ გადაირეკებოდა და „ბალახის მოწიკვა“ იწყებოდა, თუმცა ხშირად ზოგი სახლეული საქონელს პირდაპირ იაილებზე მიერეკებოდა. შემდეგ, მესაქონლეები იაილებიდან, ოქტომბერში, კვლავ ყიშლაზე, ხოლო პირუტყვის აკლიმატიზაციის დასრულებისას ბარში – ძირ სახლში ბრუნდებოდნენ.

კლარჯეთის მთიან ზონებშიც წარსულში ყიშლური მეურნება საოჯახო ცხოვრებისათვის რომ უმნიშვნელოვანესი იყო ამას რიგი ტოპონიმიც გვიდასტურებს. ქლასქურელებს დღესაც ახსოვთ ადგილი, რომელსაც *ნაყიშლევი* ერქვა. მთხრობელთა გადმოცემით, ამ ადგილებში – ყიშლებზე „ჩომას აჩერებდნენ, ზაფხულში შესლიხან ერთი-ორი თვე, ზამთარში შესლიხან კი – გათოვლებამდე. მერე თავდაღმა დადგებიან“ (კლარჯეთი 2016: 359). როგორც ვხედავთ, ტაო-კლარჯეთში, ზოგს პირუტყვი ბარის სოფლიდან პირდაპირ მთის იაილებზე გადაჰყავდა, თუმცა ბევრგან, მათ შორის, კლარჯეთში ქლასქურელები ბარსა და საძოვარს შორის არსებული ტერიტორიული ზონის – „ყიშლის“ სამეურნეო კულტურასაც კარგად იცნობდნენ. მაგალითად, ქვემო – „ქომო“ ქლასქურელ ოჯახებს ასამდე ძროხა და ორმოცდაათამდე თხა ჰყავდა და ყიშლაც გააჩნდა. თუ სიცივეები მოუსწრებდა ისინი მწყემსებთან ერთად საქონელს „ნიშიეთი'ს“ დასახლების ზემოთ, როგორც ადგილობრივები გამოთქვამენ – „ზომო'თ“, ჯერ ყიშლაზე არეკავდნენ, რომელსაც „მეზრა'ც“ (//„მეზრე“) ერქვა, სადაც მწყემსების „ჩობანები'ს“ მიერ სახელდახელოდ კარვები – „ჩადირები“ იდგმებოდა.

ტაოშიც მომთაფერდაობის ეს პრინციპი ჭოროხის აუზის სხვა კუთხეების მომთაბარეობის მსგავსი იყო, თუმცა, ვთქვათ, აჭარის მთიანეთის სამსაფეხუროვან მომთაბარეობასთან მიმართებაში განსხვავებაც შეინიშნება. აჭარაში *ყიშლა* და *იაილა*, განსაკუთრებით, ყიშლა, ბარის სოფლების ზრდა-გამჭიდროვების, ხოლო შემდეგ, ახოს აღების საფუძველზე ჩნდებოდა, ე. ი. განსახლება ვერტიკალურ ზონალობაში ქვედა საფეხურიდან იწყებოდა, მაშინ, როცა ტაოში, პირიქით, უმეტეს შემთხვევაში, ბარის ახალი დასახლების წარმოქმნა ზედა სოფლების გამრავლების ხარჯზე მიმდინარეობდა, დასახლება ზემოდან ქვემოთ – ბარის მიმართულებით ვრცელდებოდა, ბარის ახალი სოფლისათვის ძველი სამოსახლოები კი „მეზრეებად“ და „იაილებად“ იქცეოდა ხოლმე და საგაზაფხულო თუ საზაფხულო-საშემოდგომო საბინადრო ხდებოდა. რადგან ტაოში დასახლების სტრუქტურირებულ განლაგებაში ზოგან იაილის სახით მესამე საფეხურის დასახლებაც ერთვებოდა, ამდენად ვერტიკალურ განზომილებაში დასახლების იერარქია სამსაფეხურიანი გამოდიოდა. აქედან გამომდინარე, ტაოში სახეზე გვქონდა ბარის საზამთრო, შუალედური – გარდამავალი ზოლის საგაზაფხულო-საშემოდგომო და ალპური ზონის საზაფხულო-საიალაღო დასახლებები, თუმცა *იაილა* დასახლების სამსაფეხურიანი ციკლიდან ხშირად ამოვარდნილიც კი იყო და მას ზოგჯერ *მეზრე*, იგივე, *ყიშლა* ენაცვლებოდა (ტაო 2020: 209-230). ძირითადი საცხოვრებელი სოფლის შემდეგ მნიშვნელოვან სამოსახლო სამეურნეო ბაზებზე, სოფელსა და იაილას შორის გარდამავალ ზოლში მდებარე ე. წ. „მეზრეებზე“, იგივე, „ყიშლებზე“ (*ხიშლა/კიშლა*) მცხოვრებთათვის განკუთვნილ პატარა სახლებში – „ფაცხებში“ მოიალაღეები ასვლიდან ორი თვის განმავლობაში „იდგნენ“, იაილებიდან დაბრუნების შემდეგ, სექტემბრის შუა რიცხვებიდან კი – მეზრეებში მხოლოდ ერთი თვით ჩერდებოდნენ, რაც მაღალმთიანეთსა და ბარს შორის მონაცვლეობის პროცესში საქონლისა და ადამიანების აკლიმატიზაციისათვის სავსებით საკმარისი დრო იყო. საბოლოოდ მეურნეები სოფელში – მუდმივ სამოსახლოში ბრუნდებოდნენ. ამგვარი სეზონური მიგრაციის საუკეთესო

მაგალითს ტაოში გუდასხევი და ელიასხევი წარმოადგენს. გუდასხეველები და ელიახეველები ადრე მეზრეებითა და იაილებით ინტენსიურად სარგებლობდნენ. გუდასხევლებს *ბახი* ადგილ „მახათუთში“ ჰქონდათ, იქ იზამთრებდნენ, დაზამთრებამდე – „ზამთრისკარამდე“ კი სამოსახლოებს იცვლიდნენ, ზაფხულში – ელიასხევსა და გუდასხევში ბინადრობდნენ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ელიასხეველები და გუდასხეველები „მეზრობაზე“ და იაილებზე აღარ დადიან და ზამთარ-ზაფხულ ძირითად სოფელში ატარებენ (ტაო 2020: 294).

ამდენად, როგორც ვხედავთ, ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა, ერთ-ერთ მთავარ სამეურნეო ბაზაზე – საზაფხულო საძოვრებზე, რომელთაც *იაიღა* ეწოდება, წარსულში გადარეკვით მესაქონლეობას მისდევდა. მეურნეობრივი ცხოვრების ეს წესი მთიან სოფლებში დღესაცაა შემონახული. იაილაზე მოსახლეობა, როგორც ითქვა, ორი-სამი თვე ჩერდებოდა, მაგრამ იაილაზე ასვლამდე აკლიმატიზაციის მიზნით ისინი პირუტყვს შუალედურ ზოლში – „ყიშლა'ზე“ აჩერებდნენ. ყიშლური მეურნეობა ტაო-კლარჯეთში დღეს მივიწყებულია, მისი არსებობა მეხსიერებას შემორჩა. ყიშლებზე მსხვილფეხა პირუტყვთან ერთად ხუთასზე მეტ ცხვარსაც კი აბინავებდნენ. საქონლის სხვაგვარი რაოდენობისათვის ყიშლის გამართვას აზრი არ ჰქონდა. ცხვრის ასეთ რაოდენობაში კლარჯეთში შერეული იყო, ვთქვათ, ოთხი ძროხა, ყიშლა-იაილებზე – „თა'ზე“ ხარები ნაკლებად აყავდათ.

ტაო-კლარჯეთში, მართალია, იაილა ძირითადი დასახლება არ იყო, მაგრამ იქ ადამიანთა დიდ ჯგუფს – მესაქონლეებს თვეობით უწევდათ ცხოვრება. ამიტომ იაილებზე ყოფა-ცხოვრებისათვის ყველა პირობა უნდა არსებულიყო. უფრო მეტიც, გარდა იმისა, რომ ადამიანები იქ რძის პროდუქციის დამზადებით, ასევე, სხვა ტიპის სამეურნეო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, შესაბამისად, ბინადრობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე ეს მათ საზოგადოებრივ ყოფაზეც აისახებოდა, ხშირად, მთაში დღესასწაულობდნენ კიდეც. მაგალითად, ტაოში, წალიკვანის იაილაში ივლისის თვეში ხალხი ერთად იკრიბებოდა, ერთმანეთს მოინახულებდა, განსაკუთრებით, გოგო-ბიჭები ნახულობდნენ და ეცნობოდნენ კიდეც ერთმანეთს, ცეკვავდნენ – „ფერხულობდნენ“. *ხოხონი*, იგივე, *თითხამა* ყველაზე მიღებული ფერხული იყო, ცეკვასთან ერთად მოსახლეობა „გამღერდებოდა“. ჭიპონი და გუდა მომღერალთა და მოცეკვავეთა განუყრელი მამა-პაპური საკრავები იყო. ასეთ სადღესასწაულო თავყრილობას – *შეყრიღობა* ეწოდებოდა, რომელსაც ზოგჯერ „ფესტივალსაც“ ეძახდნენ. მაგალითად, სალიქვალის იაილაზე შეყრილობა ტარდებოდა, ხოლო შემდეგ სოფლად – ოქტომბერში *გაღოცობა*. მოგვიანებით გაღოცობის დღესასწაული ივლისის თვეში გადაუტანიათ. ასეთი დღესასწაულები ხავიწის – „ხაიწი'ს“ გარეშე არ შედგებოდა ხოლმე და შემთხვევითი არ იყო ხალხურ რეპერტუარებში ხავიწთან დაკავშირებით ლექს-სიმღერებსაც რომ წარმოადგენდნენ: „ხაიწი არ მაჭამე, გული მექნება შენზეო“ (ტაო 2020: 294). მაღალი მთებისა და იაილების სანახები არაერთ თქმულება-გადმოცემას ინახავს, რომელიც ხალხური რელიგიური აზროვნების უძველესი პლასტების ამსახველია. მაგალითად, კლარჯეთში, ქლასქურელების კიდევ ერთი იაილა „დიდჩა“ კარჩხლის მთის მხარეს მდებარეობს, იქ, სადაც ადგილი *ყახაგჲოღი* დასტურდება. მას „კარჩხლის იაილა'საც ეძახდნენ. ტბასთან დაკავშირებით გადმოცემაც არსებობს. ადგილობრივ მოიალაღეებს მიაჩნიათ, რომ ტბის ქვემოთ ცხოვრება ჩქეფდა. მათი თქმით, „იქ არ იცურვოთო, ქვეშეთ მილეთია და ზენჯირით დიგეწიკვებიანო“ (გუმანიძე 2014). სხვათა შორის ჭოროხის აუზის სხვადასხვა მხარის მთიან ადგილებში არსებულ ტბებთან დაკავშირებით არაერთი სხვა საინტერესო ლეგენდაც არსებობს, განსაკუთრებით ტბის ხარის, უფრო ზუსტად, ტბაში ბინადარი ხარის შესახებ.

ტაო-კლარჯეთის იაილებზე, ჩვეულებრივ, პატარა ზომის ხის ჯარგვალური ანდა ფიცრული ქოხები და სახლები იდგა, სადაც საზაფხულო სეზონზე მოსახლეობა საქონლის მოვლა-პატრონობითა და რძის პროდუქტების დამზადებით იყო დაკავებული. კარ-მიდამოში სხვადასხვა ტიპის სამეურნეო ნაგებობათა განლაგება და საცხოვრებლის რთული არქიტექტონიკა ტაო-კლარჯეთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში მეურნეობის პროფილს პასუხობდა. ეს იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებული სიმბიოზური – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შერწყმით წარმოქმნილი მეურნეობა, სადაც მესაქონლეობას დომინირებადი ადგილი ეკავა, რომელშიც ასევე მეურნეობის დამხმარე დარგები დიდ როლს ასრულებდნენ. ტაო-კლარჯეთიდან საიალაღო ნაგებობების

თვალსაზრისით ყურადსაღებია კლარჯეთში მდებარე დევსქელის ხევის მთა – *ბაგინი*. დევსქელის ხევში, ასევე, საინტერესოა, იაილები *ჩეჰმუკი* და *ათინგო*. აქ „ბაგინიაილები'ს", „ჩერმუკი'სა" და „ათინგო'ს" გარდა იაილათა სხვა დაჯგუფებებიც არსებობდა. მაგალითად, წარმოდგენილი იყო *შუახევიიაიღები* და *დევსქელიაღები*, რომლებიც ერთად იყო განლაგებული. იქვე დასტურდება იაილა *თეთხიწყაღი*, საიდანაც მდინარეც ჩამოედინება, რომელიც შემდეგ მაჭახელს უერთდება. იგი საბოლოოდ ბათუმისაკენ მიემართება.

კლარჯეთში, ხატილას ხეობაში იაილებიდან უნდა გამოიყოს *გოღაჰოჰა* და *ხანძათი* (//*ხანძახითი*). აქ ზოგიერთი მათგანი თავად სიტყვა „იაილიიდანაა" ნაწარმოები, მაგალითად, ხატილას ხეობაში დასახლება *იაიღეთი*. ზედაჲ მარადიდის, მურათლის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის, ჯღელიფეთის იაილა „ანტაბა'ს" სახელს ატარებდა. ქლასქურის იაილები იყო: *პაწამთა*, *თეთხიწყაღი* და *სანათი*, რადგან ადგილს ირგვლივ სამი მთა ერტყა. სხვათა შორის, *სანათი* საზაფხულო საძოვრებით გამოირჩეოდა. იქ პირუტყვი ივნისიდან აჰყავდათ, რადგან ბალახი – *მოღი* ჯერ კიდევ არ იყო ამოსული. ქლასქურელების კიდევ ერთი იაილა „დიდჩა" კარჩხლის მთის მხარეს მდებარეობს, რის გამოც მას „კარჩხლის იაილა'საც ეძახიან.

როგორც კლარჯეთში, ისე ტაოში მრავალი იაილაა ცნობილი, რომელთა დიდმა ნაწილმა ძველი ქართული სახელწოდებები შეინარჩუნა. ტაო-კლარჯეთში იაილები ყველა სოფელს არ გააჩნდა, მაგრამ ადრე, რადგან მესაქონლეობა მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს წარმოადგენდა, თემები და სოფლები დასახლებასთან ახლოს მდებარე მთებში საქონლის საზაფხულო სადგომების მოწყობას მაინც ცდილობდა. იაილებზე გამოყოფილი იყო პირი, რომელსაც ტაოში *მემთევჩი*, იგივე, *შაშოჩთი* ანდა *იაღაჯი* ეწოდებოდა, კლარჯეთში კი „მემთევრი'ს" გვერდით შინაარსობრივად ტაოური სიტყვა „შაშორთი'ს" მსგავსი ტერმინი *მეშოჩდე* გვხვდება. სხვათა შორის საკმაოდ გავრცელებული ტერმინი *მემთევჩი* ჭოროხის აუზის ყველა ხეობაში აღარ გვხვდება, მაგალითად, ნიგალის ხეობის სოფლებში სიტყვა *მემთევჩი* ნაკლებადაა ცნობილი. ტერმინები *მეშოჩდე* და *შაშოჩთი* მნიშვნელობით და ფუნქციური დატვირთვით დაახლოებით იგივეა, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში, მაგალითად, იმერხევსა და აჭარის მთიანეთში *მემთევჩი*. შუშანა ფუტკარაძეს იმერხევში სიტყვა *მემთევჩი* მთაში გარეკილი საქონლის პატრონის, რძის პროდუქტების გადამამუშავებლის აღმნიშვნელად მიაჩნია (ფუტკარაძე 1993: 503), ე. ი. იმავე მნიშვნელობით, როგორიც ამას ადგილი ჰქონდა აჭარის მთიანეთში, სამცხესა და საქართველოს სხვა კუთხეში.

ჭოროხის აუზის მოსახლეობაში სახლეულის წევრთა მოვალეობებთან ერთად მემთევრობა ერთ-ერთ საპატიო და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოვალეობად მიიჩნეოდა. მისი არსი და ქართულ-კავკასიური ბუნება არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი (შამილაძე 1964: 155-172). ტაო-კლარჯეთში უფროს ქალს – მემთევრს (მეშორდეს/შაშორთს) საძოვრებზე პირუტყვის მოვლა, რძის პროდუქტების – ყველის, კარაქისა და არაჭანის დამზადება ევალებოდა. რძის პროდუქტების დამზადების გარდა მის მოვალეობებში საქონლის მოვლა-პატრონობაც შედიოდა, რომლის განხორციელება დილით იწყებოდა და საქონლის სადგომში დაბრუნების შემდეგ გვიან საღამოთი სრულდებოდა. მას ძროხები უნდა აეშვა, ხოლო საღამოთი დაება. კლარჯ მესაქონლეთა განმარტებით, *მეშოჩდე* „საქონელს შეხედევდა, ხობოებს მოლს მიუტანდა, ახორ დაგვიდა, ნეხვ დაგვიდა" (თაბანი 2013). ამდენად, *მემთევჩი*, *მეშოჩდე* და *შაშოჩთი*, ძირითადად, ქალი იყო, რომელიც საზაფხულო სახლში საქონლის მოვლა-პატრონობითა და რძის პროდუქციის დამზადებით იყო დაკავებული, ე. ი. იაილებში განმსაზღვრელ როლს სახლეულიდან მთაში საქმიანობისათვის გამოყოფილი მეურნე ქალები ასრულებდნენ. ჩვეულებრივ ბარის საცხოვრებელ სახლში დარჩენილი მეურნეები, უმთავრესად, კარ-მიდამოსა და ყანებს უვლიდნენ, ხოლო მთაში მემთევრები იაილებს, სადაც პირუტყვზე ზრუნვის გარდა, როგორც ითქვა, რძის პროდუქციის დამზადებითაც იყვნენ დაკავებულნი.

ტაო-კლარჯეთის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებაში ნათლად ჩანს შრომის ორგანიზაცია და სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნის მიხედვით შრომის განაწილება ისტორიულად ჩამოყალიბებულ სინამდვილეს რომ წარმოადგენდა, რადგან ტრადიციულ საზოგადოებაში, სადაც ყოფა-ცხოვრება სამეურნეო სინკრეტიზმს – მესაქონლეობისა და მინათმოქმედების სიმბიოზს ეფუძნებოდა,

სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო. ბუნებრივია, შრომა ქალის, მამაკაცისა და მოზარდების შესაძლებლობებთან შესაბამისობაში იყო წარმოდგენილი. საზაფხულო საძოვრებზე, თუკი დასახლება გადარეკვით მესაქონლეობას – მომთაბარეობას მისდევდა, მაშინ იაილებზე პირუტყვს ქალი და მოზარდები პატრონობდნენ, უმეტესად, სახლეულის უფროსი ასაკის წევრები, რადგან მათ შესაბამისი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდათ შეძენილი. კლარჯეთშიც „მემთევრებს“ თვალყურს ადევნებდა მესაქონლეობაში სახლეულის გამოცდილი მამაკაცი – *თის კაცი*. საზაფხულო საძოვრები საჰაეროდაც გამოიყენებოდა და იგი მცირეწლოვანი ბავშვების დასვენების ადგილსაც წარმოადგენდა. თუ სახლეული შედარებით მრავალრიცხოვანი იყო, მაშინ უფროსი ქალი – „სახლის დიდი'ს“ ცოლი – დედამთილი, იგივე, *მემთეუხი* საჭიროებიდან გამომდინარე მთაში ერთ-ერთ რძალსაც, უდრო ბავშვიან რძალს გაიყოლებდა, რომელსაც ასევე, ბუნებრივია, საქონლის მოვლა-პატრონობის უნარ-ჩვევებიც უნდა ჰქონოდა. იგი მთაში გამოსადეგი იყო, რადგან ბავშვების მცირეწლოვანების გამო ბარში შრომით საქმიანობას ვერ გასწევდა, იაილაზე კი დედამთილს შრომითი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში ხელს წაუკრავდა (მგელაძე 1967: 85-87); (მგელაძე 1973: 105).

კლარჯ „მემთევრებსა“ და „მეშორდეებს“ იაილებზე პატარა ბავშვები, მათ შორის, მოზარდები, მართალია, საჰაეროდ მიჰყავდათ, მაგრამ მოზარდები, ათ წლამდე გოგო-ბიჭები საზაფხულო საძოვრებზე მემთევრთა და მეშორდეთა დამხმარეებათაც ითვლებოდნენ. მათ „მორბედს“ ეძახდნენ. კლარჯთა განმარტებით, „მორბედი – მოწრილი ღარჭია“. სხვათა შორის, მოსწრებული გოგონები მემთევრსა და მეშორდეს სწორედ რძის პროდუქტების დამუშავებაში ეხმარებოდნენ, რომ შემდეგში თავადაც გამოცდილი მემთევრები გამხდარიყვნენ. მორბედის მოვალეობაში ოთახში, სადაც ცეცხლი ენთო, შეშის მომარაგება, წყლის მოტანა და სხვა მსუბუქი სამუშაოების შესრულება შედიოდა. მთხრობელთა თქმით, *მოხბედი* „ძროხებს აძოვს, წყალს მეიტანს, ნარცხის ძროხებს წაუღებს, ბარღიმში – ბაგაში საქონელს ნარცხს ჩაუსხამს“ (კლარჯეთი 2016: 318). ცხვარსა და თხას ცოტა მოზრდილი – თხუთმეტი წლის ზემოთ ახალგაზრდა აძოვებდა, რადგან თხა-ცხვრები მეთვალყურეს შორდებოდნენ, ქედებში დადიოდნენ, რის გამოც მეტ ყურადღებას საჭიროებდნენ. ტერმინი *მოხბედი* კლარჯეთის გარდა სამხრეთ საქართველოს არაერთ რეგიონში დასტურდება და მათ დამხმარე მოზარდის მნიშვნელობასთან ერთად სხვა შინაარსობრივი დატვირთვაც გააჩნდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მთა-საძოვარსა და ყიშლაზე მემთევრს, ისე როგორც „მზარეულს“ ბარში, მორბედი – ოჯახის ყმანვილი საქმიანობის ყველა სფეროში შველოდა. ქართლსა და კახეთში, ასევე, სამცხეში, ზოგადად კი – ისტორიულ მესხეთში „მორბედი'ს“ როლის შემსრულებელი იმავე სახლეულის წევრი იყო, თუმცა შეძლებულ ოჯახებში, მაგალითად, ზემო აჭარაში მორბედად ღარიბი ოჯახიდან გამოსული ანდა ობოლი შინამოსამსახურე ბიჭიც იწოდებოდა (მგელაძე 1973: 121).

ტაო-კლარჯულ სახლეულში მესაქონლეობასთან და მემინდვრეობა-მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები მხოლოდ მემთევრის ანდა სხვა რომელიმე მეოჯახე ქალის საქმიანობას არ ითვალისწინებდა. იგი ოჯახის წევრებს შორის შრომა-საქმიანობის სხვა სფეროებსაც წვდებოდა, რაც სათანადო უნარ-ჩვევებისა და ცოდნა-გამოცდილებას საჭიროებდა. ზოგი ახორს უვლიდა, ხოლო სხვები – მზარეულობდა და სახლეულის წევრთათვის დღის განმავლობაში საკვებს ამზადებდა. დედამთილი, გამომდინარე მისი გამოცდილებიდან, ბავშვებთან, განსაკუთრებით, ახალდაბადებულ ბავშვებთან ტრიალებდა, აკვანს ბაწარს გამოაბამდა – „მააკოჭებდა და აკვანს ღარჭებს არწევდა“ (კლარჯეთი 2016: 313, 319). ასე იყო ჭოროხის აუზის მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც ტრადიციული სტერეოტიპებით განსაკუთრებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრობდა, სადაც ადრე უგზოობის პირობებში პერიფერიები სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს მეტ-ნაკლებად მოწყვეტილი იყო. ხშირი კავშირის შემთხვევაშიც, მაგრამ ნატურალური მეურნეობის პირობებში, მათი ყოფა-ცხოვრება მაინც მამა-პაპურ ცოდნა-გამოცდილებას ემყარებოდა. საცხოვრებელი კომპლექსის ადამიანებისა და საქონლის საერთო სივრცეში ერთად ყოფნა სამეურნეო ხასიათის არაერთი ემპირიული ცოდნა-გამოცდილებისა და ტრადიციული ჩვეულების წარმოქმნის წყარო გამხდარა. იგი ადამიანის შრომა-საქმიანობის ხასიათსა და სამეურნეო ტიპის მიმართულებასაც განსაზღვრავდა. როგორც საველე-ეთნოგრაფიული

წყაროებით დგინდება, ტაო-კლარჯული საცხოვრებელი ნაგებობა ორსართულიანი ანდა სამსართულიანი – ვერტიკალურად განვითარებული სახლი იყო, რომელიც სამეურნეო ნაგებობებთან ერთად, მაგალითად, ტაოში მოიცავდა ფურ-პირუტყვისა და წვრილფეხა საქონლისათვის ერთ ჭერქვეშ მოქცეულ „ბოსელსა“ და „ქორს“, ასევე, ადამიანთა საბინადრო სამყოფ ფართს – „სახლს“. საცხოვრებლის ქვედა ნაწილში *ბოსელი* და *ქოხი* იყო წარმოდგენილი, მეორე სართულზე ადამიანები ცხოვრობდნენ, ხოლო მესამე სართული საბძელს – „სათივე'ს“ („სათივრე'ს“) ეკავა.

ტაო-კლარჯეთში ზამთარში თივა საქონლის ძირითადი საკვები იყო. ამიტომ სამეურნეო ნაგებობებს შორის საქონლის საკვების – თივის შესანახ ნაგებობას, რომელსაც კლარჯეთში ძველი ქართული ლექსიკისათვის კარგად ცნობილი სიტყვა – *საბძელი* ერქვა, დიდი ყურადღება ექცეოდა. იგი წარსულში სამეურნეო კომპლექსის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი იყო, რომელიც ხის მორებისაგან ჯარგვალურად ანდა ფიცრებისაგან კეთდებოდა. ისე მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა მასალისაგან აშენებდნენ, რომელთა შორის წნელის, ხის მორისა და ფიცრის გარდა ქვითკირით ნაგები საბძლებიც იყო წარმოდგენილი. საბძელი უმეტესად წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმის ნაგებობა იყო, რომელსაც ტოლფერდა სახურავი ჰქონდა. ამ ტიპის გადახურვას საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში „საბძლურსაც“ უწოდებდნენ. საბძელი დიდი ტევადობით გამოირჩეოდა. მასში პირუტყვის საკვებს – ბზეს, თივას, ნამჯას, ჩალას ინახავდნენ. საბძელში მესაქონლეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამეურნეო იარაღსაც ათავსებდნენ (ქართული მატერიალური 2012: 330). ზოგან საბძელში ისეთ სამეურნეო იარაღებსაც ინახავდნენ, როგორებიც იყო გუთანი, აჩაჩა, კვერთი, არნადი, ნიჩაბ-ფინალი. ზოგიერთ კუთხეში საბძელშივე იყო მოწყობილი კალო, სადაც პირუტყვს ხორბლეულს ფეხით ალექინებდნენ. საბძელი ტაო-კლარჯეთში დღეს იშვიათად გვხვდება. ისინი კარ-მიდამოში და სახლთან ახლოს არსებული სათიბების ნაპირებშიც იდგა, ტაოში კი თვით საცხოვრებელში, მესამე სართულზე იყო წარმოდგენილი და *სათივე* (*სათივჩე*) ეწოდებოდა. სხვათა შორის კლარჯეთში ე. წ. „მერეგი'ც“ ამავე ფუნქციით გამოიყენებოდა, სადაც საზამთროდ ჩალა – *ფუნჩაღი* და *მოღი* ინახებოდა. ჭოროხის აუზში – შავშეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში საბძელის ფართო გავრცელებას ზაქარია ჭიჭინაძეც გვიდასტურებდა, რომელიც თავის ცნობილ მონოგრაფიაში – „მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ საბძელს ასე აღგვიწერდა:

> შავშელი გლეხის სახლის ახლოს დგას საბძელი. საბძელს ესენი აკეთებენ მთელ-მთელი მრგვალი ნაძვის ხეებისაგან. აქაური საბძელი ჩვენს გლეხკაცობას სადგომ ბინადაც კი დაენატრება. მე როცა შავშეთი ვნახე და მითხრეს, რომ სახლების ახლოს ისინი საბძლებიაო, ჭეშმარიტად გავკვირდი (ჭიჭინაძე 1913: 274).

აქვე შეიძლება ითქვას, რომ სიდიდით განთქმული იყო ჯავახეთის საბძლები. ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დახასიათებული შავშური და, შესაბამისად, კლარჯული საბძლების გარდა საბძელი ამგვარი იყო საქართველოს სხვა მთიან რეგიონშიც.

წარსულში ტაო-კლარჯეთში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რომელიც სიმბიოზურად ვითარდებოდა, შესაბამისად, კარ-მიდამოსა და ზოგადად დასახლებაში მატერიალურ ფორმებშიც აისახებოდა. მესაქონლეობის ინტერესებს გამოხატავდა ისეთი ნაგებობა, რომელსაც *ახორი* ერქვა. ახორი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომი, სამეურნეო – სამესაქონლეო ყოფის უმნიშვნელოვანესი და, ამასთანავე, საცხოვრებელთან ერთად კარმიდამოს შემადგენელი ნაწილი იყო. იაილებზე ახორი დიდი ქოხების ქვემოთ იყო მოწყობილი, მაგრამ უმეტესად იგი ქოხზე საიალაღო სახლზე იყო მოშენებული და ერთგვარად მთის სახლის გაგრძელებას წარმოადგენდა. ამის საუკეთესო მაგალითია იაილა ბაგინის დასახლება. მართალია ტაო-კლარჯეთში ახორი სახლის ქვემოთ იყო მოქცეული, მაგრამ კარმიდამოში გვხვდებოდა სახლს მოცილებული ცალკე მდგომი ახორებიც, რათა სახლეული ახორისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ სუნს არ შეეწუხებინა. კლარჯეთში გვხვდებოდა როგორც ხის ჯარგვალური, ისე ქვით ნაშენი ახორებიც. ასევე პირუტყვის სადგომები თიხით, ე. წ. „ტალახის აგური'თაც“ კეთდებოდა. იყო შემთხვევები, როცა კარ-მიდამოში მდგარი ახორის მეორე სართული ე. წ. „მერეღს“ ეკავა, სადაც ძირითადად თივას ინახავდნენ. ეს, პირუტყვის ზამთარში დაპურებას აიოლებდა, რადგან პირუტყვი და მათი საკვებიც ერთი შენობის

ფარგლებში იყო მოქცეული. იატაკი ხშირად კირით იყო მოსწორებული, რათა სამყოფი ფართი პირუტყვის შარდით არ ავსებულიყო. ახორის უკანა ნაწილში წაბლის გარდა ნებისმიერი ხისგან „ძროხას ფეხი რომ არ გუუსლინდეს“ იატაკის მაგვარი ე. წ. ზღვე ეწყობოდა. იგი ოდნავ დაქანებული იყო, რათა „ღარი'თ“ შარდი გარეთ გადაღვრილიყო. იქ, სადაც *ბაგა*[1] იყო, *ღახი* ბოლომდე უნდა გასულიყო. ძროხისათვის რამდენი სადგომი – *ბაგა* არსებობდა, იმდენი *ღახი* იყო გამართული. ბაგა ოდნავ შემაღლებულად იყო მოწყობილი საქონლისათვის თივა – *მოღი* შიგ ადვილად რომ ჩაყრილიყო. იგი წაბლის ხიდან კეთდებოდა, რადგან წაბლი გამძლე ხედ ითვლებოდა. ახორში *ქიხეღი* იყო დასობილი, რომელზეც ძროხას ბაწრით – „თოკვით“ აბამდნენ, რომელსაც „საბელი'ც“ ერქვა. რამდენი ძროხაც იყო, იმდენი ბაგა და დარჭობილი დირეღი იყო საჭირო. ძროხების დაბმა საჭირო იყო იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთს არ შეჯახებოდნენ. იქ, სადაც ახორს ზემოთ თივის შესანახი ოთახი იგებოდა, მშენებლობა გარკვეული სპეციფიკით წარიმართებოდა. ახორის ზემოთ წაბლის ფიცრიდან ე. წ. *ღოშემე* კეთდებოდა. დაწყობილ ხის მორებზე ფიცრები ეჭედებოდა და ეს ისე უნდა გაკეთებულიყო, რომ ახორში სიცივეს არ შეეღწია. ახორი ზამთარში თბილი უნდა ყოფილიყო, რაც საქონლის დღეგრძელობასა და პროდუქტიულობაზე დიდ გავლენას ახდენდა, მერეღში კი სასურველი იყო ქარს ექროლა, რადგან ნიავის საშუალებით *თივა* შრებოდა. იქ თივა, *ჩაიხი* იყო დაწყობილი, რათა ადგილი არ დანესტიანებულიყო. დღეს ამ ჩაირებს მოსახლეობა სოფლებში არდაგანიდან ეზიდება და ადგილზე ყიდის. ეს ჩაის კულტურას განუპირობებია. ჩაის გაშენების შემდეგ სათიბებმაც იკლო და, შესაბამისად, თივაც საკმარისი აღარ იყო.

ტაო-კლარჯეთში მთის დასახლებათა ძირითადი ნაწილის განაშენიანება სამესაქონლეო ტრადიციების გათვალისწინებითაც იყო ორგანიზებული. დასახლებაში საქონლის მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი ყველა პირობა არსებობდა. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, ყველა სოფლისა თუ უბნის მისასვლელში, ხშირად, საქონლის სასმელი წყლის ხის აუზები რომ იყო გამართული, რომელთაც *ავანა* ეწოდებოდა, თუმცა მათ სხვადასხვა მიზნით ადამიანებიც იყენებდნენ. ავანა, იგივე, ავაზანი ხისაგან დამზადებული ჯარა იყო, რომელიც ჩვეულებრივ ყველა სოფლის უბანში უნდა მდგარიყო. იგი საერთო სარგებლობას ექვემდებარებოდა. მას საჭიროების შემთხვევაში უბნის ყველა მეკომური იყენებდა. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა განმარტავდა, არსებობდა „ფეხის ავანა და ხელისაც“. ნიშანდობლივია ტერმინი *ავაზანი* ტაოს ამა თუ იმ დასახლების ადგილთა სახელწოდებებშიც რომაა წარმოდგენილი, მაგალითად, ბოსტანჯის დასახლების სოფიგილ მაალეში (სარ'ი 2018). ჭოროხის აუზის თითქმის ყველა კუთხის – აჭარის, შავშეთისა და კლარჯეთის, მათ შორის, იმერხევის ქართული მოსახლეობის სამესაქონლეო კულტურაში ავაზანები ფართოდ იყო გავრცელებული და მსგავსი კონსტრუქციული აგებულებით ხასიათდებოდა. იგი ამ კუთხეებშიც წყლის სადგომს, წყლის დასაგუბებელ ხის ჯარას, დიდი გეჯას, პირუტყვისათვის ხის მოგრძო ვარცლს,საქონლისათვის წყლის დასალევ ხის აუზს ნიშნავდა. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ავაზანი „წყლის სადგური“ იყო. ზოგჯერ წყლის მოსაკავებლად მსხვილი ხისაგან გამოთლილ დიდ ვარცლს ხის საყრდენებზე ათავსებდნენ. ავაზანი საქონლისათვის წყლის დასალევად ამა თუ იმ კუთხეში „ჰავლში“ ანდა კარმიდამოში – ეზოშიც იყო გამართული, ასევე, იგი სახლთან და საძოვრებზე წყაროებთან ახლოს ეწყობოდა. ადრე საქართველოში ავაზანი წყლის რეზერვუარებს ეწოდებოდა, რომელსაც ესთეტიკური დანიშნულება ჰქონდა. იგი მდიდრული სასახლეების წალკოტებში ეწყობოდა. ავაზანებს მარმარილოებითა და შადრევნებით ამკობდნენ. იოანე შავთელს საქართველოს მეფის სასახლეზე ნათქვამი აქვს: „მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთხენი, ზედ ავაზანთა შექმნულობანი“. მოგვიანო პერიოდში, ავაზანები წყაროებთან არსებულ ქვით ნაშენებ ანდა ქვისავე ქანში ამოკვეთილ დიდ გეჯებს ეწოდათ. ასეთი ავაზანების საუკეთესო ნიმუშები ჯავახეთში, სოფელ საროში დასტურდება. როგორც ტაო-კლარჯეთში, ისე საქართველოს სხვა კუთხეში, წყლის დასალევად ავაზანები არა მარტო პირუტყვისათვის, არამედ სხვადასხვა საოჯახო და სამეურნეო საქმიანობისათვისაც იყო განკუთვნილი. ავაზანის შემცვლელი მნიშვნელობით „აოზანი'ც“ გამოიყენებოდა (იორდანაშვილი 1949: 20); (მგელაძე 1966); (მგელაძე 2012: 103); (შამილაძე, 1969: 131); (ნიჟარაძე, 1971); (ქართული მატერიალური 2011: 21); (ქართული ეთნოლოგიური 2009: 10);

(კობერიძე 2011: 42, 45-46); (ქართველი ხალხის 2019).

ტაო-კლარჯეთში, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა მესაქონლეობა, საქონლის ეს ორი სახესხვაობა ერთმანეთისაგან ტერმინოლოგიურადაც განირჩეოდა. სხვათა შორის, ტაოში მსხვილფეხა საქონელს ზოგადად – *ფური* ერქვა, განსხვავებით წვრილფეხა საქონლის აღმნიშვნელი ტერმინისაგან, რომელსაც *პიჩიტყვი* (*პიჩუტყვი*) ეწოდებოდა, რომელსაც ასევე გვიანი შუასაუკუნეებიდან თურქული სიტყვა – *ბოინა* ენაცვლება. თუ ფური ტაოში მსხვილფეხა საქონელს ზოგადად აღნიშნავდა, ისტორიული საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეში, პირიქით, იგი მხოლოდ დედალი ძროხის აღმნიშვნელი იყო. აქ იკვეთება ტერმინი „ფიჯი'ც". *ფიჯი*, „ფუჯი'ს" სახით კოლხურში, კერძოდ ქართველურის ერთ-ერთ ენობრივ განშტოებაში – მეგრულშიცაა დადასტურებული, რომელიც საქონელს სქესის გამოსახატავად ემატება: *ხოჯი* მამრი საქონელია, ხოლო *ფუჯი* – მდედრი (კვარაცხელია 2003: 13). მსხვილფეხა საქონელს „ტალისაგან"[2] ყელზე ე. წ. *საყელო* (*საყოლო*) ჰქონდა შებმული, რომელსაც ბაწრის გამოსაბმელი უკეთდებოდა. იგი ზოგჯერ ხისა იყო და ბაგაზე საქონლის დასაბმელად გამოიყენებოდა. საქონლის საყელო ადრე ტყავისაგან მზადდებოდა, ამჟამად კი რკინისაგან – „ზენჯირი'საგან" კეთდება. ტაო-კლარჯული *ხარი* და *ძროხა* მთის გარემო პირობებთან ადაპტირებული იყო. ზოგან ისინი აღნაგობით საკმაოდ დიდები იყვნენ. ტრადიციულად ცნობილია, რომ მაღალმთიანეთის საქონლები ტანად მომცრონი იყვნენ, რათა მთის საძოვრებზე ადვილად და სხარტად ემოძრავათ, თუმცა მათ წველადობაც ნაკლები ჰქონდათ. ამიტომ, ხშირად უპირატესობას დიდი ზომის ძროხასა და ხარს ანიჭებდნენ, რადგან ასეთი ძროხები მაღალი წველადობით გამოირჩეოდნენ. კლარჯები, ისე როგორც სხვა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები თვლიან, რომ „ფური საწველისთვის", ხოლო „ხარი მუშაობისათვისაა" გაჩენილი: „ხარს ახნავინებდნენ, ტვირთვს აზიდინებდნენ". კლარჯები „ბუღა'საც" იცნობდნენ. ბუღას „ბონდრუკს" არ დაადებდნენ. იგი „ტამაზლუღი'სათვის" იყო განსაზღვრული. ბუღის აქტივობას კარგი ხბოს – „ხობო'ს" გაჩენა მოჰყვებოდა ხოლმე. ხარი ოჯახში მნიშვნელოვან პირუტყვს წამოადგენდა. ჩვეულებრივ ორი – წყვილი ხარი სახნავად გამოიყენებოდა, ერთიც ძროხებისათვის სათესლედ, მემკვიდრეობის გასამრავლებლად იყო საჭირო.

ტაო-კლარჯეთის მესაქონლეობაში ხარი ცალკე მოვლის ობიექტი იყო. იგი წარსულში ერთ-ერთ ძირითად გამწევ სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა და, ამასთან, დიდი იყო მისი როლი ხვნა-თესვის პროცესში. ტაო-კლარჯეთში ყიშლა-იაილებზე – „თა'ზე" მსხვილფეხა პირუტყვიდან ხარები, რადგან „ფურები" იყვნენ, ნაკლებად აჰყავდათ. როგორც ტაოელი მესაქონლეები მოგვითხრობდნენ „ხარები მთაში ერთპირად წავიდოდნენ, ფურებიც – ერთპირად". ფური დილით გაჰყავდათ სახლიდან და საღამოთი სახლში აბრუნებდნენ, ხარი კი – იაილაში მუდმივად მთის საბალახოებზე იყო. ზოგჯერ იაილებზე მხოლოდ ხარები მიჰყავდათ, ძროხები კი მოსახლეობის ძირითად საცხოვრებელ სოფლებში რჩებოდნენ. რადგან საქონელი გამუდმებულ მეთვალყურეობასა და მოვლას საჭიროებდა, ამიტომ არ უნდა გამოპარვოდათ მისი ავადმყოფობაც. როცა ფური ავად გახდებოდა აუცილებლად „ფენზეერს" – სამკურნალო საშუალებას პატარა ფინჯანში მოლესავდნენ და პირუტყვს შეასმევდნენ. მსხვილფეხა საქონლიდან განსაკუთრებულ მოვლას *ძროხა* – მდედრობითი სქესის საქონელი და *ხარი* – მამრობითი სქესის საქონელი ექვემდებარებოდა, კამეჩის – „ჯამუში'ს" მოშენებას კი, მაგალითად, ტაოს ყველა ხეობაში არ მისდევდნენ. კლარჯებში ხარების სახელებიდან ყველაზე უფრო მიღებული იყო *წიქახად*, *ქიბახად*, *ღეჩვიშად* და სხვა მისთანანი. ტაოელები ხარს, ხშირად– მამაკაცის სახელებს არქმევდნენ. მათთან ხარის სახელები იყო: *ყახამანი*, *შავეღად*, *პიხხატი*, *ეხთუღიუღი*. მამრობითი სქესი განსაზღვრავდა იმასაც ხარი, ე. წ. *საჭედო ხარი* სახლეულში სპორტული მიზნითაც რომ იზრდებოდა. იგი განსაკუთრებულ სანახაობრივ დღესასწაულზე სხვა ხართან საბრძოლველად გაჰყავდათ, რასაც *ხარი ჭედობა*, ასევე, ზოგადად *ჭედობა* ერქვა. ამიტომ ამა თუ იმ დასახლებაში საგანგებოდ იყო გამოყოფილი ადგილები, სადაც *ჯახების ჭედვა* (*ქჯახების ჭედვა*) ხდებოდა. მაგალითად, ასეთი საჭედი ტაოში ბალხიბარის დასახლების ბოლოს მდებარეობდა. კორიდას დღესასწაულის დაწყებამდე ანუ როგორც მას ადგილობრივები ეძახიან – „ფესტივალამდე", რომელსაც წოროხის აუზის ზოგიერთ კუთხეში *კავკასოხი* ენოდებოდა, სახლეულში „საჭედაო ხარის

მოპატიება“, გასუქება და მოღონიერება ხდებოდა. საჭიდაოდ გათვალისწინებული ხარი – ბუღა, არ უნდა დაკოდილიყო, უნდა „დაყვერილიყო“, რადგან დაკოდვის შემთხვევაში არენაზე იგი აღარ იასპარეზებდა. ინფორმატორთა მონათხრობით,

> ქარჩილზე მთაში, რომ წავლენ, მაშინ ხარებს მინდორზე აჭედებდნენ [...] კავკასორი ფესტივალი იყო, რომლისათვისაც ბუღებს სპეციალურად ამზადებდნენ. იქ ფული ტრიალებდა, რომელი ბუღაც მოიგებდა, იმას ფულს მისცემდნენ (ტაო 2020: 297).

ტაო-კლარჯეთში ძროხა სახლეულისათვის არა მხოლოდ რძის მიმწოდებელი, არამედ ხორცეული პროდუქციის მარაგის გარანტიც იყო. შესაძლოა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო იყო როცა ძროხა საგანგებოდ საოჯახო სიმბოლოთი ინიშნებოდა. მას ხშირად ყურს შეაჭრიდნენ. ამას *ნიშანი* ერქვა. ძროხები კლარჯეთში სხვადასხვა საგნით იყო შემკული, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდათ. ზოგი მათ ავი თვალისაგან იცავდა, ხოლო ზოგი კი – პრაქტიკული დანიშნულებისა იყო, მაგალითად, *ზიღი*, იგივე, ზარი, რომლის წკარუნით პატრონს პირუტყვის ადგილმდებარეობის დადგენა შეეძლო. სხვათა შორის, ასეთი ზარები საცხოვრებლის კარებს შიგნიდანაც უკეთდებოდა, გაღებისას ხმა, რომ გამოეცა – დაეწკარუნებინა.

ტაოელ მესაქონლეთა ყოფა-ცხოვრებაში რადგან ძროხა განსაკუთრებულ მოვლას ექვემდებარებოდა, ამიტომაც თითოეულ მათგანს საკუთარი სახელი ჰქონდა შერჩეული. ტაოელები ძროხას უმეტესად ქალის სახელებს შეურჩევდნენ ხოლმე. ძროხას ძირითადად არქმევდნენ: *აკიში* – წარმოსდგება ცეცხლის საჩხრეკი რკინის სახელწოდებისგან, *მომპხენი*, *კუთედი ქაღი* და სხვა მისთანანი. ფური, თუ იგი პირ-თეთრი იყო და შუბლიც თეთრი ჰქონდა, საგანგებო სახელით მოიხსენიებოდა. მას „პირხატს“ ეძახდნენ. ძროხას საკუთარი სახელებით კლარჯებიც მოიხსენიებდნენ: *ყიჰმიზაღ*, *ყაჰაყუქაღ*, *ზვითუანაღ*, *ეღმესაღ*. ძროხის მემკვიდრეობით უნარს და შთამომავლობის მოცემის შესაძლებლობებსაც დიდი ყურადღება ექცეოდა. ძროხას, რომელიც შთამომავლობას ვერ იძლეოდა ტაოში *ბეჩწი* ეწოდებოდა. *ყისიხი* ისეთი ძროხა იყო, რომელიც „ერთ წელიწად ხბოს რომ გააგდებდა, მაგრამ მეორე წელიწადს არ გააგდებდა“. ხბოს გაჩენა – *ხბოს გაგდება* და მისი მოვლა-პატრონობა ადამიანების, ძროხის პატრონების მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. სამშობიარო ძროხას „მაკე'ს“ ეძახდნენ: „ახალი თუ დეიჭირა, მაშინ ძროხა მაკეა“. ძროხის დედალი შვილი *ხობო* იყო, ხოლო მამალი – *მოზვეხი*. *ღეკეული* კი – ხბო წლის ასაკში ერქვა, რომელიც ჯერ კიდევ ფურად არ იყო ქცეული. ძროხებსა და ხარებს მთის იაილებზე განსხვავებულად უვლიდნენ. მართალია, ტაო-კლარჯეთის იაილებზე ცხვართან ერთად ტრადიციულად თხებსა და ცხენებსაც მიერეკებოდნენ, მაგრამ იქ ფრინველებიც საჭირო იყო. ფრინველებიდან იაილებზე ქათმებიც გადაყავდათ. იაილებზე მოიალაღეები ქათმებზეც იტყოდნენ – ოჯახი „ქათმებს აძოვავსო“ (კლარჯეთი 2016: 360).

ტაო-კლარჯეთში რძის პროდუქტების, ხორცისა და მატყლის მომცემი საქონლის გვერდით განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას ცხენები და ვირები ექვემდებარებოდნენ. *ცხენი* და *ვირი*, ისე როგორც *ჯოხი*, ტაოელთა საოჯახო მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამიტომ მათ მომრავლებასაც საგანგებო ყურადღება ექცეოდა. ცხენის შვილს – *ცხენის წიწილი*, თურქულად კი – *თაია* ეწოდება. ოჯახისათვის აუცილებელი შეშა ადგილობრივ მოსახლეობას ტყიდან ცხენების, ვირებისა და ჯორების დახმარებითაც გამოჰქონდათ. შეშა საწვავად გამოიყენებოდა და მისი საზამთროდ მომარაგება სახლეულის სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. მიწათმოქმედებით დაკავებული მეურნეები საყანე ჭალებიდან და საყანე ნაკვეთებიდან თივას, ცერცვს, ქერს და სხვადასხვა სახის მარცვლეულს, მათ შორის, ხორბალს, უპირატესად, ცხენებით ეზიდებოდნენ.

ტაო-კლარჯეთში საგანგებო მოვლა-პატრონობას ექვემდებარებოდა წვრილფეხა საქონელი – *პიჩუტყი*. ძირითადად სახეზე გვყავდა *ცხვარი* და *თხა*, ე. ი. ტაო-კლარჯული სახლეულისათვის განსაკუთრებით საარსებო მნიშვნელობის როგორც თხის, ისე ცხვრის მოშენება იყო. მართალია უფრო მეტად ცხვარი ფასობდა, მაგრამ წარსულში არც თხა იყო ნაკლებად შემოსავლიანი და მას საკუთარი უპირატესობებიც გააჩნდა. თხები ადრე ინიშნებოდა და კლარჯეთში მათ ე. წ. *ტამღა* – დამღა ედებოდა. ეს იმიტომ კეთდებოდა, რომ სხვის თხებში შერეული – „გადარეული თხა“ გამოგერჩია და

საკუთარ პირუტყვებთან დაგებრუნებინა. ასე რომ, თხებზე დასმული დამღები საკუთრების უფლების მაჩვენებელი იყო. თითოეულ სახლეულს სხვებისაგან გამორჩეული დამოუკიდებელი დამღა გააჩნდა და ეს დამღები პატრონის – ოჯახის უფროსის სახელის მიხედვით მზადდებოდა. მაგალითად, კლარჯეთში არსებობდა დამღა, ვთქვათ, ა, რომელიც „ასანა'ს" ნიშნავდა. ამიტომ თხაც ა'თი იდამღებოდა. დამღა მოკაუჭებული – *მოკაკვული* რკინა იყო. მას ცეცხლზე ახურებდნენ და პირუტყვს ტუჩზე ადებდნენ. შემდეგ რომ დაამებულიყო პირუტყვს ტუჩზე მაწონს უსვამდნენ. ტაოში *ვაცი* (ვაცა) მამალი, წვერიანი *თხა* იყო. ვაცის ახალდაბადებულ შვილს წლამდე „თიკანს" ეძახდნენ. ერთი წლის შემდეგ *თიკანი* თხა ხდებოდა. ერთი წლის მამალს *ქოჩი* ერქვა, ხოლო დედალს – *თხასაღია*. *ვეჩძი* – მამალი იყო, დედალი კი – *ცხვაჩი*. ცხვრის ახალდაბადებულ – „ახალგაგდებულ" შვილს *კჩაი* (*კჩავი*) ეწოდებოდა. ერთ წლამდე მამრობითი სქესის ცხვარი *ეჩკემეღი* იყო, ხოლო მდედრობითი სქესისა – *ოჩოჯაღ*. ერთი წლის შემდეგ მამალი – *ვეჩძი*, ხოლო დედალი *ცხვაჩი* – ხდებოდა.

ტაოელთა სამესაქონლეო კულტურის ამ სფეროში საქონელთა აღმნიშვნელად აშკარად ძველი ქართული ტერმინოლოგიაა შემონახული, რომელთა დიდი ნაწილი გვიანი შუა საუკუნეების ქართული ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიცაა განმარტებული:

> „*ვაცი* – მამალი თხა"; „*თხა* – თხათა მამალსა ვაცი ეწოდების და დედალსა ნეზვი და შვილთა მათთა თიკანი [...] ჩჩჳლსა თიკანსა ბატკი და წლამდის თიკანსა წალი, რომელსა სომეხნი ჩეფიჩს უწოდებენ [...] გამოუყუჩრავსა ბოტი და საბოტე წალსა ვაციკი, ვიეთნი ქოშსა უწოდებენ; წინა მოარულსა თხასა ელქაჯი [...] აგრევე შველთა და ქურციკთა ნიამორთა და არჩუთა ვაცსა, ნეზვსა და წალსა უწოდებენ, არამედ თიკანთა მათთა ნუკრსა"; „*თიკანი* – თხის შვილი"; *ქოჩი*, რომელსაც საფუძვლად სიტყვა *ქოჩი* უდევს – „ქორი სახლზედ სახლი აგებული. ქორედ ქორედი ოთხი, ხუთი სახლი სახლზედ შენებული"; *ცხოვაჩი*: „ცხოვარსა მამალსა ეწოდების ვერძი და დედალსა – ნერბი"; „*კჩავი* – ცხოვართ შვილი"; „*ეჩკემაღი* – მნერბავი ცხოვარი"; „*ვეჩძი* – მამალი ცხოვარი" ... „პირველი ზოდია ცისა" (იორდანაშვილი 1949: 110, 113, 119, 141, 173, 374, 435).

ტაო-კლარჯეთში ცხვარი და თხა უსწორმასწორო – „ფინთ ადგილებშიც" ძოვდა და ცოხნიდა, მაშინ როცა მსხვილფეხა საქონელი ჩვეულებისამებრ ვაკე – „დუზ ადგილებში" ბალახობდა. თხა ერთი კვირის მანძილზე ბალახს მოძოვდა, ხოლო შემდეგ აუცილებლად „კაპნებში წავიდოდა". აქედან გამომდინარე მისთვის თვალყურის მიდევნება არც თუ ისე იოლი საქმე იყო. ამისთვის საგანგებო პირები იყვნენ გამოყოფილნი. ტაოში წვრილფეხა საქონლის მოვლა-პატრონობა და მათზე მეთვალყურეობა მთაში – იაილებზე საგანგებო პირს, ე. წ. „მეცხორე'ს" („მეცხვერე'ს"), იგივე, „ჩობანს" ევალებოდა. საზაფხულო საძოვრებზე წვრილფეხა ფარას, რომელსაც მწყემსი – *მეცხოჩე* (*მეცხვეჩე*), იგივე, *ჩობანი* უვლიდა, ძირითადად თხა-ცხვარს მეთვალყურეობდა. კლარჯეთშიც მწყემსი *ჩობანი* პირუტყვს – თხას, ცხვარს – „კოტოჯ'ს" აძოვებდა, რომელსაც შავშები „ბოტო'ს" ეძახიან, თუმცა ამასთან ერთად იგი ძროხას, ხარსა და ხბოსაც – „ხობო'საც" უვლიდა. ასე რომ, ამ მხრივ აქაც ჩობანი არ განირჩეოდა: იგი ძროხასაც და ხარსაც მეთვალყურეობდა, წვრილი საქონლიდან კი „კოტო'საც" – მამალ ცხვარსა და თხას, ასევე, დედალ ცხვარსა და თხას თუ სხვა სახის საქონელს მეურვეობდა. რაც შეეხება „მეცხორე'ს" („მეცხვერე'ს"), იგი „ჩობანი'ს" მსგავსად ზოგადად მწყემსის აღმნიშვნელი სიტყვა იყო.

მართალია, ტაოში ეს სიტყვა ცხვართან იყო დაკავშირებული, მაგრამ მასში არამარტო ცხვრის მწყემსი – *პიხუტყვი მეცხორე* (*პიხუტყვი მეცხვეჩე*), არამედ ძროხების მწყემსიც – „*ფუხი-მეცხორე* (*ფუხი მეცხვეჩე*) იგულისხმებოდა. ხარებს თავიანთი მომვლელი – *ხაჩი მეცხორე* (*ხაჩი მეცხვეჩე*) ცალკე ჰყავდა. *ხაჩი-მეცხორე* ხარებს საძოვრებზე სამი თვის მანძილზე აბალახებდა – „აძოვებდა", ხოლო *პიხუტყვი-მეცხორე* – ექვს თვეს. ჩობანი იაილაზე შეიძლება ერთ-ორი მამაკაცი ყოფილიყო. მეზობელი სახლეულები შეთანხმდებოდნენ: მაგალითად, სახლეულს თუ ათი *კოტოჯ* ჰყავდა და მეზობელსაც ამდენივე, მაშინ მათ სიტყვიერად გაანაწილებდნენ. დედლებს ერთი მხარე აძოვებდა, მამლებს კი – მეორე. ამგვარად, ორი მეზობელი შეამხანაგდებოდა. ისე, დედალი და მამალი პირუტყვის ძოვება შერეული სახითაც ხდებოდა, მაგრამ იშვიათად. ორი ჩობნის გამოყოფა ძირითადად მაინც იმით იყო განპირობებული, რომ დედალი და მამალი საქონელი დაეშორიშორებინათ, თუმცა ჩობნები „დაყვერი კოტოებს" ერთმანეთისაგან არ არჩევდნენ. თავდაპირველად ისინი არეული ყავდათ,

წამოზრდის შემდეგ კი – ერთმანეთს დააცილებდნენ. თხასა და ცხვარს მამაკაცები წველიდნენ – „კაცებმა მოვწველიდით“, ხოლო ძროხებს – ქალები. ერთ დასახლებას – ერთ მაალეს ერთი მეცხვარე ემსახურებოდა. მას გაწეული სამსახურისათვის სოფლის მოსახლეობა ფულის ანდა ნატურის სახით გასამრჯელოსაც აძლევდა, მაგალითად, ქერს, დიკას და მისთანებს. წარსულში წელიწადში ერთი ცხვრის მოვლა „ერთი კოლოფი“ ქერი, ე. ი. ათი კილოგრამი ქერი ჯდებოდა. მას არ შეეძლო ცხვარი თავისი ნებასურვილით დაეკლა და ეჭამა, მაგრამ სასიკვდილოდ გამზადებული – „წაცეული ცხვრის“ დაკვლის უფლება კი ჰქონდა. ტაოს იაილებზე ერთი მეცხვარე ფულადი ანაზღაურებით დაახლოებით სამოც კომლს – „ხანეს“ ემსახურებოდა. კლარჯეთში ჩობანი მოზარდიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ბუნებრივია, თუ მას ამის გამოცდილება გააჩნდა. ტრადიციულად ჩობანი დაქირავებული – *დაჭიხული* იყო. კლარჯეთში ჩობნები თხასა და ცხვარს უვლიდნენ, ძროხებსა და ხარებს კი უმთავრესად არტაანიის – „არდაჰანი’ს“ მხარეს „სარიჩაიზე’ც“ მიერეკებოდნენ. ჩობანს – მწყემსს ამბარებლები ფულს უხდიდნენ. საძოვრებზე პირუტყვს ისინი დაახლოებით სამი-ოთხი თვე აბინავებდნენ.

ტაო-კლარჯეთში ჩობანს გვერდით დამხმარე, ე. წ. *ჩანჩაღაკი* მუდმივად ჰყავდა. იგი მეცხვარეს არამარტო ცხვრებზე თვალყურის დევნაში ეხმარებოდა, არამედ საჭმელსა და წყალსაც უზიდავდა. გასამრჯელოდ მას ათ კილოგრამ ქერს სწორედ ამაში უხდიდნენ. თუ ცხვრებს აყვანილი მეცხვარე – ჩობანი უვლიდა, ძროხებსა და ხარებზე პასუხისმგებელი, ხშირად, თავად მათი პატრონი იყო, ე. ი. იაილებზე მსხვილფეხა საქონელს სახლეულში გამოყოფილი წევრი მეთვალყურეობდა. მწყემსი – მეცხვარე მისი საქმიანობის შესაბამისად იყო ჩაცმული და აღჭურვილი, ჰქონდა გუდა – *ტავაჰჯული*, რომელიც ჩვეულებრივი სამგზავრო გუდისაგან განსხვავდებოდა. მეცხვარე ცხვრის ფარას ყოველდღიურად თვალყურს ადევნებდა, თუმცა იგი ამ საქმიანობით ყოველთვის მარტო არ იყო დაკავებული. თუ ცხვრის ფარა რიცხობრივად დიდი იყო, მაშინ ფარას რამდენიმე მეცხვარე უნდა ჰყოლოდა და ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. მეცხვარე მუდამ ფხიზლად უნდა ყოფილიყო, რადგან ცხვრის მოვლა საკმაოდ რთულ და შრომატევად საქმეს წარმოადგენდა. მეცხვარეები იაილებში პატარა ზომის სადგომებში ცხოვრობდნენ, რომელთაც *ხუღა* ეწოდებოდა. *ხუხუღაჲ* უფრო დიდი ზომის სადგომი იყო, *ხუღა* კი – მეცხვარის იმდენად პატარა გადახურული ფარდული იყო, რომ მასში ერთი ადამიანი თუ გაიმართებოდა, თუმცა იქ ტახტი მაინც იყო მოთავსებული, რომელსაც მატყლით სავსე საგები ეფარა. მეცხვარე ტახტს „იეთაღს“ გადააგებდა. ქსოვილის შიგნით მატყლი იყო ჩაწყობილი. ამ ტიპის სადგომები ყავრით იხურებოდა. ზოგან, იაილებზე ხულას გარდა პატარა სადგომი – *ფაცხა* იყო გამართული, რათა დაღლილ მწყემსს ცხვრებისათვის იქედან ეთვალთვალა და ღამეც იქ გაეთია. ფაცხა მეცხვარისათვის უამინდობის დროსაც საიმედო თავშესაფარი იყო. წლის თვეებს მეცხვარისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით მაისს, ივნისს, ივლისს, აგვისტოსა და ოქტომბერს („თველს“), რადგან ამ თვეებში მეცხვარე მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციით, ანდა იაილებზე ცხვრების გადარეკვით იყო დაკავებული. მათი თქმით, მეცხვარეები „ცხვარს ქარჩილზე წაიყვანდნენ და თველზე ჩამოიყვანდნენ“. მეცხვარის საიმედო მეგობარი მთაში ძაღლი იყო, განსაკუთრებით, *ღანღაღი ძაღღი*. იგი ზომით დიდი იყო და, როგორც ტაოელი მეცხვარეები იტყოდნენ – „ცხვარ-პირუტყვებს კარგად უმზერდა“. ძაღლი თხა-ცხვარს არამარტო საძოვრებზე, არამედ მათ სადგომებშიც დარაჯობდა.

ტაო-კლარჯეთში წვრილფეხა საქონელი – თხა და ცხვარი სპეციალურად მათთვის შემოღობილ ღია ცის ქვეშ მდებარე სადგომში – „აღილში“ ბინადრობდა. ტაოსა და კლარჯეთში *აღიღი* ერქვა კარ-მიდამოში მდებარე ცხვრისა და თხის სადგომსაც, მაგრამ, მაგალითად კლარჯეთში, თუ იგი მხოლოდ ცხვრებისათვის იყო განკუთვნილი, მაშინ მას *კუზიხანა* ეწოდებოდა. სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებში მას ბოსელს, ბაგას, თავლას უწოდებენ, თუმცა რქოსანი პირუტყვის სადგომის გარდა მას ცხენების სადგომადაც მიიჩნევდნენ. ამდენად, კლარჯეთში სამესაქონლეო კულტურასთან დაკავშირებული ნაგებობებიდან ახორის გვერდით ყურადღებას *აღიღი* იმსახურებს, რომელიც თხისა და ცხვრის შემოკავებული სადგომი იყო და როგორც ბარში, ძირითადი საცხოვრებლის ფარგლებში, ისე მთაში – იაილებზეც იყო გამართული. ასე რომ, თუ აქ მსხვილფეხა საქონლის ბოსელს *ახოხი* ერქვა, თხისა და ცხვრის სადგომს *აღიღი* ეწოდებოდა, სადაც ძირითადად ცხვრები იყო დამწყვდეული. სადაც

საქონელი წვებოდა, იქ მწყემსები მუდმივად ცეცხლს ანთებდნენ. ღამით ცეცხლი აუცილებლად უნდა დანთებულიყო და იგი შესაძლოა აღილთან ახლოს ყოფილიყო. ზოგან, მაგალითად, ტაოში, *საყოღო* – ცხვრების სადგომი დახურულ ბოსელში გადატიხრულ ტერიტორიაზე იყო მოქცეული, რომელსაც *ქომი* (*გომი*) ეწოდებოდა, სადაც ხშირად ფუტი დგებოდა და ნეხვიც იყრიდა თავს. იგი პერიოდულად იწმინდებოდა – „წყალში ერეოდა“. არა მარტო საძოვრებზე, არამედ ყველგან, სადაც მწყემსთა სადგომები იყო, წვრილფეხა საქონლისათვის *აღიღი* ანდა *ქომი* მეცხვარეთა თავშესაფრის მახლობლად ანდა თავშესაფარზე მიდგმით ცალკე იყო შემოღობილი. ეს იყო ტაოს მეზობელ კუთხეებში კარგად ცნობილი „ბერა'სა“ და „ქართა'ს“ მსგავსი ცხვრისა და თხისათვის ღია, გადაუხურავი, მაგრამ შემოღობილი სადგომები, ე. ი. *აღიღი* (*აღიღა*) იგივე დანიშნულებისა იყო, როგორიც ჭოროხის აუზის სხვა ქართულ მოსახლეობაში *ქახთა* და *ბეჰა* იყო (მგელაძე 2013). ტაოელ მესაქონლეთა აზრით, აღილში თხა-ცხვარი ერთად იმიტომ უნდა იყოს გამომწყვდეული, რომ „თხა ცხვარს წინ სწევდეს. თხა წინ წავა, ცხვრები იმას შეხედვენ და წინ წევლენ“. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ აგარა – წარმომავლობითი მნიშვნელობით მესაქონლეთა საზაფხულო სადგომი, ისეთივე დატვირთვისა უნდა ყოფილიყო, როგორებიც იყო *ქახთღა* (*კახტღა*), საიდანაც წარმომდგარი ჩანს *ქახთღი*, *ქახთვეღი* და *ბეჰა*, რაც საფუძვლად უნდა დადებოდა ძველი საქართველოსა და ქართველების ისეთ სახელწოდებებს, როგორებიც იყო *იბეჰია* და *იბეჰი*. ქართლა (კარტლა) და ბერა საქართველოში, მათ შორის, მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზების ქართველურ მოსახლეობაში წვრილფეხა საქონლის ღია სადგომი იყო. იგი გეოგრაფიულ სახელებშიცაა წარმოდგენილი, მაგალითად, კლარჯეთში დასტურდება სოფელი კარტლა (მგელაძე 2013); (კლარჯეთი 2016: 278-279, 282-283); (ტაო 2020: 289-290).

ტაო-კლარჯეთში *აღიღი* განსაკუთრებულად იდგმებოდა. კლარჯეთში ეს იყო *კაღიბი*, სადაც მთხრობელთა განმარტებით „ქეჩე დადგმენ“, უფრო ზუსტად, ადრე, *ქეჩე* იდგმებოდა. ზოგადად *ქეჩე* იყო დაბეგვილი მატყლი, რომლითაც მწყემსების ქოხი იხურებოდა. კლარჯეთში „ქეჩე'თი“, დაბეგვილი მატყლით გადახურულ ქოხში, რომელიც თხილის ტოტებით იყო მოწნული, მწყემსი დაახლოებით ხუთი-ექვსი დღე ჩერდებოდა, ეს იმ დროს თუ ადგილი, ე. წ. *იეჰი პატარა – პაწია* იყო, ხოლო შემდეგ სხვა ადგილას გადადიოდა. ამდენად, საძოვრებზე პირუტყვის მონანილეობა ტერიტორიულად მცოცავ ხასიათს ატარებდა. სხვა ადგილზე გადასვლისას მწყემსები ქოხს ქეჩს გადახდიდნენ, რადგან იგი ახალ გარემოში გამოეყენებინათ. ისე, მსგავსი შრომატევადი სამუშაოები, ზოგჯერ, ბიძაშვილთა წრეში ერთობლივი ძალისხმევითაც ხორციელდებოდა – „სახლიც ძოვებისათვის მიდიოდა. იერი უნდა გასუქებულიყო, საქონელი რომ დაწოლილიყო. თუ აძოვებდნენ იერსიბის ფარა უნდა მიცემოდა“ (კლარჯეთი 2016: 336-337, 360). ჩვეულებრივ *კაღიბი* თხილიდან – „იაბანი'დან“, თხილის „ფილისები'დან“ კეთდებოდა – თხილის ტოტებით „მეიწრეხებოდა“ ანუ იწვნებოდა, მაგრამ მაინც კლარჯები ამბობენ, რომ მათი წინაპრები მთებში მოწნულ სახლებს ნაკლებად აკეთებდნენ. მათი აზრით, ასეთი სადგომები უფრო არტაანის – „არდაგანი'ს“ მხარეში იყო გავრცელებული. ისე ასეთი სახლები მოსახლების მეხსიერებაში კვლავ „ფაცხის“ სახელითაა შემონახული, მაგრან რეალურად საზაფხულო საძოვრებზე ფაცხა უკვე ხის ტოტებისაგან ნაქსოვი ქოხი კი აღარაა, არამედ ფიცრულად ნაგებ პატარა ზომის, დაახლოებით 20 კვადრატული მეტრი ფართის ნაგებობას წარმოადგენს. იგი მომრგვალებური ფორმით ქეჩით იყო გადახურული. „ქეჩე'თი“, რომელიც დაბეგვილი მატყლი იყო, სამეურნეო ნაგებობები იხურებოდა, მაგრამ უფრო ადრე, ცხოველთა მოშინაურების შემდეგ, კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე კი ადამიანის საცხოვრებლებსაც წარმოადგენდა. კლარჯეთში „ქეჩე'თი“ ნაგებობის გადახურვა ბოლო ხანებში პირუტყვთა საძოვრებზე იყო შემონახული. სწორედ ასეთ ქოხებზე იყო მიბმული „აღილები“, თხებისა და ცხვრების შემოღობილი სამყოფები.

პატარა ზომის სახლები, რომლებსაც ფაცხა ერქვა, ტაოშიც იყო ცნობილი. ტაოში, იაილების მიმართულებით ადრე ასეთ ფაცხებს ანდა სოფლების მოპირდაპირე მხარეს მინდვრებსა ჭალებში ღია გადახურულ ფარდულებსაც, რომლებიც ადამიანთა დროებით თავშესაფრად და წვრილფეხა საქონლის სადგომად – „აღილადაც“ გამოიყენებოდა, ხშირად შეხვდებოდით, საიდანაც ადამიანები როგორც სამეურნეო ნაკვეთებს, ისე პირუტყვსაც ადევნებდნენ თვალს. ეხლა ასეთი ფაცხები თუ

ღია თავშესაფრები უფუნქციოა ანდა იაილებზე ისინი თითქმის აღარ დგას, რადგან საზაფხულო საძოვრებს თავდაპირველი მნიშვნელობა თითქმის დაკარგული აქვთ. დასახლებებში ზამთარ-ზაფხულ ცხოვრების მონაცვლეობით ციკლს მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. მაგალითად, მიაჩნდათ, რომ საზაფხულო სოფლებში მათ ზამთარში საქმე აღარ ჰქონდათ. ზაფხულში ასეთ ზონებში კი ბინადარნი პირუტყვს უვლიდნენ, სამიწათმოქმედო საქმესაც უძღვებოდნენ და ბაღჩა-ბოსტნებსაც მეთვალყურეობდნენ

ტაო-კლარჯეთში ცხვარი მაისის დამდეგს იპარსებოდა, რასაც, მაგალითად, კლარჯეთში *ცხვრის გაკწაჭვა* ერქვა. ცხვარი რკინის მაკრატლით იკრიჭებოდა. გარდა ცხვრის მატყლის მოპოვებისა და ფეიქრობისათვის საჭირო ნედლეული მასალის დამუშავებისა, აუცილებელი იყო პირუტყვის საკვებზეც ზრუნვა და საზამთროდ თადარიგის დაკავება, შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ბარში საქონლისათვის აუცილებელი საკვების – თივის დამზადებისათვის საჭირო ადგილების გამოძებნა. ტაო-კლარჯეთში ცხვრების საკვებიც ტიპური იყო. წვრილფეხას თივას, ნეკერს, ქერს, „იელაღს“ აჭმევდნენ. ტაოს ზოგიერთ ხეობაში დიდმარცვლიანი ქერი მოჰყავდათ. ქერის ფქვილისაგან შემზადებული საჭმელი საქონლისათვის შედარებით ყუათიანი იყო. ჩვეულებრივ, სათიბები იაილასა და კარ-მიდამოს შორის იყო მოქცეული, მაგრამ ასევე სათიბთა ძირითადი ნაწილი სოფლის ფარგლებში იყო წარმოდგენილი, საცხოვრებლიდან დაახლოებით ორი კილომეტრის დაცილებით. საქონლისათვის *მოღი*, რომელსაც ასევე *მოსაჭეხი მოღი*, იგივე *ჩაიღუღი* ეწოდებოდა, ყანის ნაპირებში, ე. წ. *ნაპის-პირებში* ითიბებოდა (კლარჯეთი 2016: 360). ისე, ამა თუ იმ სოფელს სათიბი ცალკეც ჰქონდა მოწყობილი. მაგალითად, კლარჯეთში ქვემო ქლასქურელთა სახლეულის სათიბი „ჩაილუღი ღელე'ში“ მდებარეობდა. ამდენად, ქლასქურის ხევის – თემის სოფელ ქვემო ქლასქურის ოჯახებს სათიბი ტერიტორიები დაყოფილი, ცალ-ცალკე ჰქონდათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ დასახლებისათვის სათიბი საერთო – სათემო იყო, ხოლო შემდეგ კომლებს შორის დაყოფილ-დანაწილებული. აქვე შეიძლება ითქვას, რომ სათიბების გვერდით ტყეები, სახნავ-სათესი მიწები, ისე როგორც იაილები, სოფლის დასახლებულ უბნებს – „მაალებს“ შორის იყო გადანაწილებული, ხოლო შემდეგ გვარებსა და მეკომურეებზე დაყოფილი. საერთო მიწაზე სახნავ-სათესი მიწებისა და სათიბების გარკვეული ნაწილი სახლეულების კუთვნილება იყო, ხოლო ტყეები სოფლის უბნებსა და გვარებს ეკუთვნოდათ, შესაბამისად, მათში მცხოვრებ ოჯახებს.

იმ ადგილებს, სადაც საქონელს – ძროხებს აბალახებდნენ „მერა'ს“ ეძახდნენ. მთხრობელთა აზრით, *მეჩა* იმ ადგილს – მიწას ნიშნავდა, სადაც პირუტყვი ბალახობდა. საერთოდ, ჭოროხის აუზის მოსახლეობაში ხშირად გვხვდებოდა ტოპონიმი *მეჩე*, რომელიც, ძირითადად, მდინარისპირა დაბლობ ადგილს აღნიშნავდა. სხვათა შორის, კლარჯეთში – მარადიდშიც იმ ადგილებს, სადაც ძროხებს აძოვებდნენ, „მერე'ს“ ეძახდნენ. ამასთან, მარადიდელებში არსებობდა დასახლების სახელწოდებების ახსნის ვერსიები. მათი აზრით, *მახადიდი* ეს „დიდი მერა“ – პირუტყვის დიდი საბალახო ადგილი იყო. ბუნებრივია, ეს ადგილის სახელწოდების ახსნის ხალხურ გაგებას წარმოადგენს, მაგრამ კონტექსტში ესეც ძალიან საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ ტაო-კლარჯეთის ტერიტორიული სივრცის გარკვეული ნაწილი საძოვართათვის უვარგისი კლდოვანი ქანითა და ხრიოკი ადგილებით ხასიათდებოდა, მაინც ვერტიკალურ განზომილებაში ამა თუ იმ ადგილას განლაგებული იყო საქონლის კვებისათვის განკუთვნილი ნოყიერი მდელოები, რომელთა გამოყენება მეურნეობის ოპტიმალურ ორგანიზაციაზე იყო დაფუძნებული. ჩვეულებრივ საძოვრები საერთო-სათემო საკუთრებას წარმოადგენდა და მისი ცალკეული მონაკვეთი თემში გაერთიანებულ სოფლებზე იყო გადანაწილებული. სოფლის საძოვრებით დასახლებაში გაერთიანებული გენეალოგიური ჯგუფები – „სულალე'ები“ თანაბრად სარგებლობდნენ. ასე იყო ტაოშიც – ხევაის თემშიც, სადაც, მაგალითად, საკუთრივ ხევაის, რომელიც თემის ზოგადი სახელწოდება და ცალკე აღებული დასახლების სახელიც იყო, საძოვრები ცალკე ჰქონდა, ხოლო ბასლეკარსა და სხვა მონათესავე დასახლებებს – ცალკე, ე. ი. ამ პრინციპით საერთო-სათემო საძოვრები ხევაის შემადგენელ იმ დასახლებულ პუნქტებზე ნაწილდებოდა, რომლებიც ადრე მის უბნებად – „მეჰელე'ებად“ ითვლებოდნენ, რომელთაგან ზოგი, დროთა განმავლობაში, სოფლადაც კი განვითარდა.

ტაო-კლარჯეთში საზამთროდ თივის მომარაგებაზე ზრუნვა გაზაფხულიდანვე იწყებოდა, ტაო-კლარჯელი მესაქონლეები სათიბების – ჭალების მოვლა-პატრონობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ბალახის პირველი გათიბვა საქონლის ძირითადი საკვების დამზადების მიზნით წარმოებდა, მაგრამ როცა ჭალაში ანდა თიბვისათვის შერჩეულ ნაკვეთებზე ბალახი წამოიზრდებოდა, იგი კვლავ უნდა მოცელილიყო, რასაც *მეხედი* ერქვა. ამ ბალახს ძირითადად მეწველ ძროხებს – „მეწველე ფურებს“ აჭმევდნენ. მოთიბული და გამშრალი ბალახით ძროხას დღის განმავლობაში ბოსელში სამჯერ ანაყრებდნენ: დილით თივით კვებავდნენ, შუადღისას და საღამოთი – „საღამოსპირს ნარცხი უდუღებდნენ“, ცოტაოდენ თივასაც უყრიდნენ, ქერისაგან დამზადებულ ცომსაც აჭმევდნენ, ზამთარში ნეკერსაც აძლევდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახს თივა მოაკლდებოდა, თუმცა ზაფხულში ნეკერის საქონლისათვის მიცემას ერიდებოდნენ. აუცილებელი ყოფილა მარილის გამოყენებაც. მარილს ნარცხში ურევდნენ და საქონელს ისე აწვდიდნენ, რადგან „მარილის პირდაპირ ალოკვა მისთვის არ შეიძლებოდა – „ფურს გახრაკავდა“. ზამთარში ამ ტიპის საკვები საქონელს ასუქებდა – „აჭქჭიანებდა“.

ტაო-კლარჯეთის მესაქონლეთა ძირითადი ამოცანა არამარტო საქონლის მოვლა-პატრონობა იყო, არამედ საქონლისაგან მიღებული რძის პროდუქციის მიღება, დამუშავება და დამზადება. საქონლისაგან მიღებული უმთავრესი ნაწარმი *ყვეღი* იყო. რადგან ტაოელები და კლარჯები მემინდვრეობასა და მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობასაც მისდევდნენ შესაბამისად, რძის პროდუქციის მიღებასა და მომზადებაშიც დაოსტატებული იყვნენ. სხვა მეზობელი და მონათესავე თანატომელების მსგავსად ისინი ყველის ამოღებისა და ამისათვის საჭირო განსაზღვრული კონსტრუქციის მოწყობილობებს ძველთაგანვე იცნობდნენ. მათგან მნიშვნელოვანი საოჯახო-საყოფაცხოვრებო ინვენტარი იყო *ყვეღის საწუხაჲ*, იგივე *ყვეღის ხანიჩი*, რომელიც დიასახლისების მიერ, როგორც თავად ხელსაწყოს ხალხური სახელწოდებაც მიანიშნებს, ყველის დასაწურად გამოიყენებოდა. როცა დიასახლისი „ხანიჩი’თ“ ჭურჭლიდან ყველს ამოიღებდა, შემდეგ ამგვარი ხის მოწყობილობით ყველს დაწურავდა. მასში არა მარტო ყველი, არამედ ბეზიც იდებოდა და შემდეგ მისგან კოთხოსა თუ კასრში იწურებოდა. როგორც *ხანიჩი*, ისე *ყვეღის საწუხი* კაკლის ხისაგან მზადდებოდა. ყურადღებას იქცევს ყველის მოსარეკი ჭურჭელი, ე. წ. *ვახია*. ვარიაში, როგორც ტაოელი მეურნეები გვიამბობდნენ – „ერბოს იჯებოდნენ“. ვარია ვერტიკალურად – „ზომოდან ეკიდა“ და *ანაჲ* – დედა ანდა დიდედა არწევდა და ერბოს აკეთებდა. ჯერ-ჯერობით კლარჯეთის იმ ხევებსა და სოფლებში, სადაც საველე-ეთნოგრაფიული დაკვირვება მიმდინარეობდა, სარძეო მეურნეობისათვის ტერმინი *გვახჲა* ვერ დავადგინეთ. თავად რესპონდენტი ქალები ასე აღგვიწერენ რძისგან ყველისა თუ სხვა პროდუქტის დამზადების ტექნოლოგიებს:

> მაქინამდე გათბობისათვის დაასხმევდნენ რძეს. იგი ზეიდან ქერეჭს – იაღს მეიგდებდა, გუდუუწურებდნენ, კაიმაღს მორევდნენ, რძეს კი იხმარდნენ, კაიმაღს გამოიღებდნენ, ერთ ყაფში მოყრიდნენ და სადღობელით ტალახისაგან გაკეთებულ დერგში მორეკდნენ (კლარჯეთი 2016: 360).

ჩვეულებრივ, *სადღობელი* და *სახეკელი* თანაბარი მნიშვნელობის ტერმინები იყო. რძის პროდუქტები, მაგალითად, *იაღი* ხის კასრში ინახებოდა. *კასხი* საკმაოდ დიდი და მოგრძო იყო, რძის ჩასასხმელად კი – *თასი* იყო გამოყენებული.

ტაო-კლარჯეთიდან, მაგალითად, ტაოში გამორჩეული იყო ყველი ერბოს გარეშე, რომელსაც *სადღვეღი ყვეღი* ეწოდებოდა. „სადღველი’ს“ შესატყვისად ტაოში ტერმინი „მინჯია’ც“ გვხვდება. სადღველი ისეთი ყველი იყო „შრატი რომ დარჩებოდა და ყველი შეიქნებოდა“. სადღველის გვერდით რძის პროდუქციის აღმნიშვნელად ტაოში ასევე დამოწმებულია სიტყვები *ნაწვეღი*, *მაწონი*, *ეხბო*, მაგალითად, *ჭენჭი ეხბო* – ზეთიანი, ცხიმიანი, იაღიანი ერბო. კლარჯეთში კი – „ყველი’ს“, „ლორი’სა“ თუ „კურუფეინირი’ს“ (//„ყურუფეინირი’ს“), საუზმისათვის „მინჯი’ს“ – გაწურული მაწონის, „იაღი’ს“ – კარაქის გარდა „დო’საც“ აწარმოებდნენ, რომელიც, რძისგან „იაღი’ს“ – კარაქის მიღების შედეგად დარჩენილი პროდუქტი იყო, ძალიან მცირე რაოდენობის ცხიმს შეიცავდა, სამაგიეროდ იგი მინერალებით მდიდარი იყო. რძის პროდუქტების ნაწარმიდან კლარჯი მესაქონლეები „ერბო’ს“ დამზადების ტექნოლოგიასაც სანიმუშოდ ფლობდნენ, რომელსაც ჭოროხის სხვა ხეობებში,

მაგალითად, აჭარის მთიანეთში „იაღს“ ეძახდნენ. რძეს „მოყრიდნენ“ – „მორეკავდნენ“ და „აირანს“, ე. წ. „დო’ს“ ამზადებდნენ. მთხრობელებს მიაჩნიათ, რომ ამ ნაწარმის თურქული სახელწოდება „აირანი’ა“, ხოლო ქართული – *დო*. როცა პატარა ბავშვები – „ღარჭები“ მახვილგონივრულად არ იქცეოდნენ, უფროსები ეტყოდნენ – „შე დო-ყლაპიაო“.

ტაო-კლარჯეთის მესაქონლეები საუკეთესო ყველს ამზადებდნენ. ქლასქურისა და მაჭახლის მხარეს ცნობილი იყო ე. წ. *ღოხი ყველი*, *ჩოქეღეღი*, რომელსაც „მაჭახლურად’ც“ ერქვა. ეს იყო ე. წ. „გატენილი ყველი“. ჩვეულებრივ, ყველს ამჟავებდნენ და წნავდნენ. ასეთი ყველი „ჩლეჩილს“ გავდა. კლარჯეთში ამჟავებულ ყველს *ძმუხი* ერქვა, ხოლო აჭარის მთიანეთში ასეთ ამჟავებას წუწუქად ეწოდებოდა. რძის შრატი დიასახლისებისათვის დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო. როდესაც რძეს ვადუღებთ, ანდა ვამჟავებთ შეგვიძლია ზედაპირზე მწვანე სითხე დავინახოთ. ეს არის შრატი. რძის შრატის სასარგებლო თვისებები უფრო მეტია, ვიდრე რძის სხვა პროდუქტების. რძის შრატის 94% წყალია, ხოლო დანარჩენი მცირე რაოდენობით ცილა, ლაქტოზა, რძის ცხიმი და რძის შაქარია. ყველამ ვიცით, რომ ლაქტოზა ორგანიზმში ქმნის კოლენჰიდრატებს, რომლებიც ცხიმის დაწვაში დიდ როლს ასრულებს.

ბარში ანდა მთაში – საზაფხულო საძოვრებზე, როცა ძროხები მოიწველობოდნენ, დიასახლისები – „მეშორდეები“ სპეციალურ დანადგარში, რომელსაც „მაქინა’ს“ ეძახდნენ, რძის სითხეს გაატარებდნენ, შემდეგ ერთ-ორ საათს დაელოდებოდნენ და ბოლოს „რძეს ურევდნენ და გამოურევდნენ, გუდუწურავდნენ და გადაწურავდნენ. ასე ლამაზად გააკეთებდნენ ყველს“. რძე „დემირი’ს“ – რკინის ტარით ტრიალებდა. „მაქინა’ს“ ამ ნაწილში *ჩიფთი ბოხი* ჰქონდა დატანილი: ერთიდან ყაიმაღი მოდიოდა, მეორედან – რძე გადმოდიოდა. ამგვარად დამზადებულ ყველს *ხაჭო ყველი* ერქვა. როგორც ინფორმატორები მოგვითხრობდნენ ნაწარმს „დაჩლიჩავ, დაჭრავ – ხაჭო ყველი გამოვა“, თუმცა „ჩლელი ყველი’ს“ დამზადებას განსხვავებული პროცედურაც ახლდა. „ჩლელი’ს დამზადებისას *შხატი* მოდუღდებოდა. *ჩღეჩიღი* დაწნული ყველი იყო. იგი დამზადების შემდეგ მარილწყალში იდებოდა, ხოლო შემდეგ შრებოდა. „მეშორდე’ები“ რძიდან არა მარტო ყველს, არამედ კარაქს, „მინჯი’სა“ თუ „სუზმე’ს“ – მაწონს, გაწურულ მაწონსაც აკეთებდნენ. კლარჯებში, ნიგალის ხეობაში – ცნობილი იყო „დაფშვნილი ყველი’ს“ დამზადების კულტურაც. ასეთ ყველს მომხარებლების თანახმად – „მოვხრაკევდით და მერე შევჭამდით. ისე დამზადებისას ძე წახდებოდა და დაფშნილი ყველი ამევდოდა“ (კლარჯეთი 2016: 317). კლარჯებმა „ყურუთი’ს“ დამზადებაც იცოდნენ, რომელსაც „ჭიჭიკვერი’ც“ ერქვა. მთხრობელთა ახსნა-განმარტებით „შრატ მოვადუღავთ, ყურუთ გავაკეთავთ“, რის შედეგადაც გამოვიდოდა *ჭიჭიკვერი. ყუჩუთი* ჭოროხის სხვა კუთხის მოსახლეობის სამესაქონლეო სამზარეულოსათვის, მაგალითად, მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაშიც კარგადაა ცნობილი, საინტერესოა მისი დამზადების ტექნოლოგიები.

მსოფლიოს ძველ კულტურებში მეურნეობის ტრადიციულ ფორმათა შორის მესაქონლეობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ასე იყო ტაო-კლარჯეთშიც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კავკასიისა და ანატოლიის ხალხებში მესაქონლეობა და მიწათმოქმედება მეურნეობის ძირითადი დარგები იყო, შესაბამისად, ორივემ უაღრესად დიდი როლი შეასრულა ამ უზარმაზარი ეთნოკულტურული სივრცის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ბუნებრივ პირობებთან და გეოგრაფიულ გარემოსთან შესატყვისობაში ჭოროხის აუზის, როგორც ერთიანი კულტურული გარემოს დამახასიათებელი ნიშან-თვისებები მკაფიოდ აისახება დასახლების ფორმებში დალექილ სოციალურ ცხოვრებასა და მატერიალურ კულტურაში, განსაკუთრებით სამეურნეო ყოფაში. ამ დიდ გეოგრაფიულ და ისტორიულ სივრცეში კულტურის მეტ-ნაკლები ერთგვაროვნება და კულტურის ელემენტთა მსგავსება ჭოროხის აუზის მხარეების – ტაოს, კლარჯეთის, შავშეთისა და აჭარის საერთო ისტორიულმა და პოლიტიკურმა პროცესებმა, საერთო ფესვებმა – წარმომავლობამ და საერთო ისტორიულმა ბედ-იღბალმაც განსაზღვრა. ტაო-კლარჯეთში დადასტურებული ტრადიციული მატერიალური კულტურის ელემენტთა დიდი ნაწილი, რომელიც ჭოროხის აუზის ამა თუ იმ კუთხის ქართულ მოსახლეობაში თითქმის მსგავსი სახით გვხვდება, მრავლისმეტყველი დასკვნების გაკეთების საფუძველი შეიძლება გახდეს და კიდევ ერთხელ დაგვიდასტუროს ჭოროხის აუზის

ერთიან კულტურულ-ისტორიული სივრცეში ქართული მოსახლეობის ძველთაგანვე ბინადრობის ფაქტი, იმ სივრცეში ბინადრობის ფაქტი, სადაც სხვადასხვა ისტორიულ-პოლიტიკურ გარემოსა და მსგავს ბუნებრივ პირობებში საუკუნეების მანძილზე ლოკალური – სახეობო თავისებურებებით ღირებულებათა საერთო, ზოგადქართული კულტურული მემკვიდრეობა ჩამოყალიბდა.

შენიშვნები

[1] „ბაგა'ს", რომელსაც სალექსიკონო გამოცემებში ახორი'ს შესატყვისად მიაჩნიათ, კლარჯეთში კონკრეტული მნიშვნელობა ჰქონდა და ახორში იმ ადგილს აღნიშნავდა, სადაც პირუტყვის მისასმბმელი ანდა შემოტიხრული სადგომი იყო (კლარჯეთი 2016: 314, 318, 325, 336); (ტაო 2020: 297, 324). ბაგაში პირუტყვი იკვებებოდა. ასეთივე შინაარსით უნდა გავიაზროთ ძველქართულ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ლიტერატურაში მოხსენიებული სიტყვა ბაგა: „პირუტყვთა საზრდელთა დასადებელი ადგილი" (1, 3 - ესაია), ისე როგორც „ბაგა ეწოდების პირუტყვთ საჭმელთ ჩასაყრელს, სარკმელთა ნადები იყოს თუ ძველთაგანი", თუმცა ბაგას სხვა მნიშვნელობებიც ჰქონდა: „ბაგა ეწოდების სახლთა შინა მოდაბლო სარკმელთა, რაგინდ-რათა შესადებელთა" („ბაგა ეწოდების სახლთა შინა მოდაბლოდ სარკმელსა რაგინდრაჲს შესადებლად") თუ „ბაგა ითქმის ახალი ვენაჯი" („ბაგა ეწოდების ახალს ნაშენს ვენაჯსა") ... (იორდანაშვილი 1949).

[2] ტაღი მაგარი ჯიშის შედგენილობის ქვა, კაჟი, რომლის კვესზე ჩამორტყმის შემდეგ აბედი აინთება. ტალ-კვესის შეთანწყობა აისახა ხალხური მეტყველების ხატოვან თქმაში – ერთიანობის, შეთანხმებულობის მნიშვნელობით (ქართული მატერიალური 2011: 403).

დამოწმებანი

გუმანიძე 2014: მთხრობელი: შაბან გუმანიძე, 4 ივლისი (აგვისტო), ქლასქურის ხევი, სოფელი ზემო ქლასქური, მაალე წკირმუნეთი, კლარჯეთი, თურქეთის რესპუბლიკა), 2014. – ნ. მგელაძე. საველე-კომპლექსური ექსპედიციის დღიურები, ნიგალის ხეობა, კლარჯეთი, თურქეთის რესპუბლიკა, 2014: ბსუ-ს ქართველოლოგიის კვლევის ცენტრის არქივი.

თაბანი 2013: მთხრობელი: ალთუნ თაბანი („ალთუნ ნენე"), მამისეული წარმომავლობით ჯაფერ შამლი: შამილოღლი, 3 აგვისტო, კლარჯეთი, ნიგალის ხეობა, ქლასქურის ხევი, სოფელი ქვემო ქლასქური – წინწკალაშვილები, თურქეთის რესპუბლიკა, 2013. – ნ. მგელაძე. საველე-კომპლექსური ექსპედიციის დღიურები, კლარჯეთი, თურქეთის რესპუბლიკა, 2013: ბსუ-ს ქართველოლოგიის კვლევის ცენტრის არქივი.

იორდანაშვილი 1949: სიტყვის კონა, ს. იორდანაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, სახელგამი.

კვარაცხელია 2003: ნ. კვარაცხელია. მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოს ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). – საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი.

კლარჯეთი 2016: კოლექტიური მონოგრაფია, ავტორები: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, თბილისი, სამშობლო.

კობერიძე 2011: მ. კობერიძე. ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი.

მგელაძე 1966: ვლ. მგელაძე. მასალები ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკონისათვის. ავტორის პირადი საოჯახო არქივი, ბათუმი.

მგელაძე 1967: ვლ. მგელაძე. შრომის ორგანიზაცია და მმართველობა აჭარელთა ოჯახში ძველად. აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბილისი.

მგელაძე 1973: ვლ. მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, საბჭოთა აჭარა.

მგელაძე 2012: ვლ. მგელაძე. მესაქონლეობა ზემო აჭარაში. *მუზეუმის მაცნე*, V, ბათუმი.

მგელაძე 2013: ნ. მგელაძე. კლარჯული *კახტღა*'ს (*//ქახთღა*'ს) მნიშვნელობისათვის. XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გორი.

მგელაძე 2018ა: ნ. მგელაძე. ტერმინ „აგარის" ძველქართული მნიშვნელობისათვის ტაოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში III", ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მგელაძე 2018ბ: ნ. მგელაძე. დასახლების ფორმათა თავისებურებანი ტაოში – პარხლის ხეობა. *კრებული*, XI, თბილისი, სამშობლო.

ნიჟარაძე 1971: მ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, საბჭოთა აჭარა.

ტაო 2020: ტაო, კოლექტიური მონოგრაფია, ავტორები: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, მ. ხალვაში, ჯ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე, თბილისი, მერიდიანი.

სარ'ი 2018: მთხრობელი: სავაშ სარ'ი (ხოლოლ'ი), სოფელი ბოსტანჯი, ჯამეს მაალე, ნ. მგელაძე. საველე-

-კომპლექსური ექსპედიციის დღიურები, 31 ივლისი, ტაო, თურქეთის რესპუბლიკა, 2018: ბსუ-ს ქართველოლოგიის კვლევის ცენტრის არქივი.

ფუტკარაძე 1993: შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი.

ქართული ეთნოლოგიური 2009: ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი (ავტორთა ჯგუფი), თბილისი.

ქართული მატერიალური 2011: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ელდარ ნადირაძე, ავტორ-შემდგენლები: გვანცა არჩვაძე, ლამარა ბედუკიძე, ციალა ბეზარაშვილი, მარინა ბოკუჩავა, გურამ გასიტაშვილი, ნელი გელაშვილი, თამარ გელაძე, ანზორ გოგიაშვილი, მაყვალა ზანდუკელი, ცისანა კაკაბაძე, გულიკო კვანტიძე, ლეილა მოლოდინი, ელდარ ნადირაძე, თებრო ნადირაძე, მამუკა ქაფიანიძე, მანან შილაკაძე, ხათუნა ცინცაძე, მანანა ხიზანიშვილი, ნანული ჯიქია, თბილისი, მერიდიანი.

ქართველი ხალხის 2018: ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი – აჭარა, კოლექტიური მონოგრაფია, პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნუგზარ მგელაძე, ავტორები: ნუგზარ მგელაძე, თემურ ტუნაძე, ლია მელიქიშვილი, თამილა ცაგარეიშვილი, თამილა ლომთათიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ელდარ ნადირაძე, ნოდარ შოშიტაშვილი, ჯემალ მიქელაძე, მზია ჯღარკავა, ნანა სტამბოლიშვილი, ბათუმი, სამშობლო.

ქართველი ხალხის 2019: ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი – აჭარა, კოლექტიური მონოგრაფია, პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნუგზარ მგელაძე, ავტორები: ნუგზარ მგელაძე, თემურ ტუნაძე, ლია მელიქიშვილი, თამილა ცაგარეიშვილი, თამილა ლომთათიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ელდარ ნადირაძე, ნოდარ შოშიტაშვილი, ჯემალ მიქელაძე, მზია ჯღარკავა, ნანა სტამბოლიშვილი, ზაურ ახვლედიანი, ლაშა ასლანიშვილი, მეორე შევსებული გამოცემა, ბათუმი, სამშობლო.

შამილაძე 1964: ვ. შამილაძე. მსხვილფეხა მესაქონლეობა ზემო აჭარაში. *საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები* (ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა ნაშრომები), თბილისი, მეცნიერება.

შამილაძე 1968: ვ. შამილაძე. მთური მესაქონლეობის საკითხისათვის საქართველოში. *მაცნე, ისტორიის სერია*, თბილისი, მეცნიერება.

შამილაძე 1969: ვ. შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში, აჭარის მესაქონლეობის ეთნოგრაფიული შესწავლა, თბილისი, მეცნიერება.

შამილაძე 1979: В. М. Шамиладзе. Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тбилиси, Мецниереба.

ჩიტაია 1947ა: გ. ჩიტაია. იმერეთის ექსპედიცია (ბაღდათის რაიონი). *ენიმკის „მოამბე"*, II, ტფილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჩიტაია 1947ბ: გ. ჩიტაია. ხევსურული სახლი „სენე". *ანაღები*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „შრომები", I, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ცაგარეიშვილი 1974: თ. ცაგარეიშვილი. მესაქონლეობის ძირითადი ფორმები ქვემო ქართლში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). *მაცნე, ისტორიის სერია*, №3, თბილისი, მეცნიერება.

ჭიჭინაძე 1913: ზ. ჭიჭინაძე. მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი.

FOR THE HISTORY OF AGRICULTURAL LIFE-STYLE IN TAO-KLARJETI: HERDING AND TRADITIONAL CULTURE OF HERDERS

Nugzar Mgeladze
Batumi Shota Rustaveli State University
nugzar.mgeladze@bsu.edu.ge

The traditional forms of historical Georgian provinces of Tao and Klarjeti located in the basin of Chorokhi river in Turkey, was being developed along with other Georgian traditional communities and was determined by geographical environment, along with other cultural traditional features, one can attest rather developed forms of cattle breeding in the early period of tribe life. Many basic elements of agriculture were preserved in an ethnographic environment thanks to the long-term maintenance of closed ravines, patriarchal lifestyle,

self-sufficient natural farming and traditional domestic industries. Early archeological artefacts in the territory of Caucasus and Asia Minor – Anatoly, as well as paleontological and osteological materials of domesticated animals, and other historic-ethnographic sources of the later period, directly indicate the highly developed level of cattle breeding here since ancient times.

While studying the economic culture of the people of Tao and KLarjeti, it should be paid attention to the traditional forms of farming, that represents the usage of food bank, breeding the animals in conditions of nomadic herding, especially cattle, dairy products and its methods of storing, folk treatment of cattle diseases and sanitary prohibitions, those details led to the variety of beliefs and ideas related to cattle breeding. Ethnology is interested in the division of animals according to the gender and age, studying the forms of labour organizations related to agriculture and cattle-breeding, the sociocultural and linguistic analysis of the terminology denoting dairy products, describing the agricultural and socio-economic problems of cattle breeding, in particular, trading of animals, selling and buying forms, especially, because of the relations between agricultural traditions, economic environment and trading system.

რეიმონ დიუგე – საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბოლო დღეების მემატიანე და მის მიერ გამოყენებული პირველწყაროები

ლადო მირიანაშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი
lado_miriani@yahoo.com

1917 წელს, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულმა ბოლშევიკურმა ქვეყანამ პროგრესულ კაცობრიობას ბევრი პრობლემა შეუქმნა. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკები იმპერიის ბატონობისგან გათავისუფლებული ხალხების სამხედრო გზით დამორჩილებას შეუდგნენ, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთისადმი გაიზარდა. ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად გამძაფრდა მას შემდეგ, რაც 1920-იანი წლებიდან მოყოლებული 1930-იანი წლების დასაწყისამდე ევროპასა და აშშ-ში გამოქვეყნდა რამდენიმე ათეული მოგონება იმ პირებისა, რომლებმაც მოახერხეს გაქცევა სოლოვკის არქიპელაგზე მდებარე საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკიდან (გულაგიდან), ან თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის დამაკავშირებელი არხის (Беломорканал) მშენებლობიდან, რომელიც ძირითადად იძულებითი შრომის ხარჯზე ხორციელდებოდა: პატიმრები მუშების საერთო რაოდენობის 90%-ს შეადგენდნენ. რეჟიმის ყოფილი მსხვერპლები აღწერდნენ რუსეთში ადამიანის უფლებების მასობრივ, მანამდე გაუგონარ დარღვევებს.

1926 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოიცა წიგნი "An Island Hell: A Soviet Prison in the Far North" / „დაწყევლილი კუნძული: საბჭოთა ციხე შორეულ ჩრდილოეთში". წიგნის ავტორი იყო თეთრგვარდიელი ოფიცერი სოზერკო მალსაგოვი (Sozerko Malsagoff), რომელმაც 1925 წელს, სამ პატიმართან ერთად, სოლოვკის არქიპელაგზე მოქმედი საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცევა შესძლო. ეს წიგნი იყო საბჭოთა კავშირში პოლიტპატიმრებისა და სხვაგვარად მოაზროვნეთა საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის პირველი დოკუმენტური მტკიცებულება.

ს. მალსაგოვის წიგნმა იმდენად დიდი რეზონანსი გამოიწვია, რომ 1927 წლის მიწურულს ფრანგმა ავტორმა რეიმონ დიუგემ ამავე თემაზე პარიზში გამოსცა წიგნი "Un Bagne en Russie rouge: Solovki, l'Île de la faim" / „ციხე წითელ რუსეთში: სოლოვკი, შიმშილის კუნძული". ეს იყო პირველი ფრანგულენოვანი დოკუმენტური მოთხრობა, რომელშიც ავტორმა აღწერა საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში ჯალათი მცველების მიერ პატიმრების საწამებლად გამოყენებული მეთოდები და ზოგადად ის არაადამიანური სისასტიკე, რასაც მათ მიმართ იჩენდნენ.[1] გულაგისადმი მიძღვნილი წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავდა, რომ მას საბჭოთა კავშირში ფეხი არასდროს დაედგა და წიგნში მოხმობილი ცნობები, ძირითადად, გულაგიდან გაქცეული ფრანგი პატიმრის მონათხრობს ეყრდნობოდა (დიუგე 1927ა).

მანამდე, 1927 წლის იანვარში, რეიმონ დიუგეს ფრანგულ ენაზე უკვე გამოცემული ჰქონდა „Moscou et la Géorgie martyre" / „მოსკოვი და წამებული საქართველო", რომელსაც ქართველი მკითხველი 1994 წელს, მზია და აკაკი ბაქრაძეების მიერ შესრულებული თარგმანის მეშვეობით გაეცნო (ცხადია, რომ ეს წიგნი ქართველი ემიგრანტებისა და დისიდენტებისთვის მანამდეც იყო ცნობილი). წიგნში აღწერილია საქართველოში 1920 წლის მაისში და 1921 წლის თებერვალსა და მარტში განვითარებული მოვლენები. რ. დიუგეს ეს წიგნი, იმთავითვე, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ისტორიის სანდო წყაროდ იქნა მიჩნეული.

მიუხედავად იმისა, რომ რ. დიუგეს მიერ საბჭოეთის შესახებ დაწერილმა წიგნებმა დასავლეთ ევროპის საზოგადოების განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია, ხოლო მათ ავტორს პოპულარობა მოუტანა, სრული ბიოგრაფიული ცნობები ამ პიროვნების შესახებ არ გამოქვეყნებულა.

რ. დიუგეს წარმომავლობისა და გამოცდილების შესახებ ერთადერთი სტანდარტული ფრაზა იძებნება, რომელიც გაზეთიდან გაზეთში და ერთი გამოცემიდან მეორეში გადადიოდა: განათლებით იურისტი, დიდი ომის, ანუ პირველი მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის არმიის ოფიცერი, კომერსანტი და მწერალი.

რ. დიუგეს პიროვნებით მისი წიგნის ქართულენოვანი თარგმანის წაკითხვის შემდეგ დავინტერესდი. ეს ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ რ. დიუგესა და გენერალ გიორგი კვინიტაძის წიგნების შედარებითი ანალიზიც კი ვცადე, რამაც ამ ორი ავტორის ხედვებისა და პოზიციების გასაოცარი თანხვედრა დამანახა. საიდან უნდა სცოდნოდა რ. დიუგეს ასე კარგად რუსეთ-საქართველოს ომის დეტალები?

1995 წელს, სტუდენტ-ისტორიკოსთა ჯგუფის „არტანუჯის“ მონაწილეობით ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული დისკუსიის დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ რ. დიუგე იყო ფრანგი ჟურნალისტი, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმის დროს, სავარაუდოდ, საქართველოში იმყოფებოდა და, შესაბამისად, იმ დროს განვითარებული მოვლენების თვითმხილველი იყო. შემდგომში, ეს მოსაზრება რამდენიმე ავტორმა გაიმეორა. დროთა განმავლობაში ვარაუდი ფაქტად იქცა: 2020 წელს გამოცემული წიგნის ავტორი ამტკიცებს, რომ რ. დიუგე საქართველოში ცხოვრობდა და მისი აქ ყოფნის კონკრეტულ წლებსაც კი (1919-1924 წწ.) ასახელებს (აბზიანიძე 2020: 225). ავტორს არ მოჰყავს რაიმე წყარო ამ მტკიცების შესამაგრებლად, რადგან ასეთი წყარო უბრალოდ არ არსებობს. როგორც წლების წინ გავარკვიე, რ. დიუგე საქართველოში საერთოდ არ იყო ნამყოფი. ჩემთვის ისიც იყო ცნობილი, თუ კონკრეტულად რომელი ძირითადი წყაროთი ისარგებლა მან თავის წიგნზე მუშაობისას (ამაზე ოდნავ ქვემოთ). წინამდებარე სტატიის ინიცირება ზ. აბზიანიძის წიგნში რ. დიუგესთან დაკავშირებული მცდარი ინფორმაციის ამოკითხვამ მოახდინა.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერესი რ. დიუგეს პიროვნებისა და მის მიერ საქართველოს შესახებ დაწერილი წიგნისადმი დღემდე არ განელებულა, მისი ბიოგრაფიის დეტალები უცნობია, რის გამოც ავტორისა და წიგნის შესახებ, ძირითადად, გადაუმოწმებელი ინფორმაცია ვრცელდება. ნათელი გახდა, რომ საკმარისი არ იყო ფრანგი ავტორის შესახებ ჩემ მიერ თავის დროზე მოპოვებული ცნობების მხოლოდ მასმედიის საშუალებით გაჟღერება. აუცილებელი იყო დამატებითი მასალის მოპოვება, ანალიზი და მიღებული შედეგების სამეცნიერო სტატიის მეშვეობით აკადემიური საზოგადოებისთვის გაცნობა.

როგორც უკვე აღვნიშნე, რ. დიუგეს შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია იძებნება. რ. დიუგეს ცხოვრების სურათის აღსადგენად, მომიწია სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული ცნობების მისხალ-მისხალ შეგროვება და შეკოწიწება. წყაროებად გამოვიყენე საფრანგეთსა და ლუქსემბურგში დაცული სამოქალაქო აქტების ჩანაწერები და გენეალოგიური ცნობარები, XX საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთში, აშშ-სა და ლუქსემბურგში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე გენერალ გიორგი კვინიტაძის უმცროსი შვილის, ნანო დაბო-კვინიტაძისგან 1996 წლის 17 ივლისს ჩემ მიერ აღებული ვიდეო-ინტერვიუ.[2]

სამოქალაქო აქტებისა და გენეალოგიური ცნობარების მეშვეობით გავარკვიე, რომ რეიმონ დიუგე დაიბადა პარიზში 1881 წლის 22 აპრილს. გარდაიცვალა 1967 წელს ეხტერნახში (ლუქსემბურგი – გრევენმახერის რაიონის ეხტერნახის კანტონი / Echternach, Canton d'Echternach, Grevenmacher, Luxembourg). მისი მამა იყო ნიკოლას ჟან ბაპტისტ დიუგე (Nicolas Jean-Baptiste Duguet), რომელიც დაიბადა შამპან-არდენეში (საფრანგეთი) 1837 წლის 12 მაისს და გარდაიცვალა პარიზში 1914 წლის 4 ივლისს. რეიმონის დედა, ლუიზა-პოლინ ჰენრი დიტ ბერტინი (Louise Pauline Henry dit Bertin) დაიბადა პარიზში 1851 წლის 11 მარტს და გარდაიცვალა პარიზშივე 1912 ან 1913 წელს. წყვილმა 1875 წლის 21 ნოემბერს პარიზში იქორწინა. თანაცხოვრების მანძილზე წყვილს ხუთი შვილი – სამი ვაჟი და ორი ქალი შეეძინა. პირველი შვილი, ჟან ბაპტისტ ჰენრი დაიბადა 1876 წელს, რეიმონ ჟორჟ ჰენრი – 1878 წელს, მესამე შვილი – რეიმონი, საქართველოზე დაწერილი წიგნის ავტორი – 1881 წელს, მარი ლუიზა – 1883 წელს და ჟანა – 1889 წელს.

რეიმონ დიუგეს პაპა მამის მხრიდან – ჟან ბაპტისტ დიუგე (Jean Baptist Duguet) დაიბადა 1808 წლის 21 ოქტომბერს შამპან-არდენეში, გარდაიცვალა 1866 წლის 28 აგვისტოს შამპან-არდენეში. იგი მეღვინე ყოფილა. მისი მეუღლე იყო მარი ჟანა მობილიონი (Marie Jeanne Mobillion). მარი ჟანა დაიბადა 1812 წლის 28 ივნისს შამპან-არდენეში; გარდაიცვალა 1866 წლის 7 სექტემბერს პარიზში. წყვილს ჰყავდა ერთადერთი შვილი – ჟან ბაპტისტ დიუგე, რეიმონის მამა.

ნიკოლას ჟან ბაპტისტ დიუგემ, საფუძვლიანი სამედიცინო განათლების მიღების წყალობით, წარმატებული კარიერა გაიკეთა. რ. დიუგესა და მისი ახლო ნათესავების გენეალოგიური ისტორიის კვალზე სწორედ მამამისის დამსახურებების წყალობით გავედი: ჩემ მიერ მიკვლეულ ერთ-ერთ ფრანგულ გამოცემაში დაბეჭდილ მიმოხილვაში, რომელიც რეიმონის მიერ გულაგის შესახებ დაწერილ წიგნს ეძღვნებოდა, მამამისის მიერ საფრანგეთის სამედიცინო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების ფაქტი იყო ნახსენები (ბიბლიოგრაფია 1928: 26). დროის საძიებო შუალედში დიუგეს გვარის მქონე, სამედიცინო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი არ დადასტურდა, თუმცა გავარკვიე, რომ იმ დროს პარიზის ანატომიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი დიუგეს გვარს ატარებდა. გენეალოგიური ცნობარების შესწავლამ დაადასტურა, რომ იგი რეიმონ დიუგეს მამა იყო.

რეიმონის მამას, ნიკოლას ჟან ბაპტისტ დიუგეს საკმაოდ შთამბეჭდავი ცხოვრებისეული გზა ჰქონდა გავლილი. 1863-1872 წლებში იგი იყო პარიზის ანატომიური საზოგადოების წევრი, ხოლო 1868 და 1869 წლებში იკავებდა ამავე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის პოსტს. 1892-1914 წლებში იგი იყო საფრანგეთის ეროვნული სამედიცინო აკადემიის წევრი. რეიმონი სწორედ ამ წარმატებული ინტელექტუალის ოჯახში აღიზარდა.

რ. დიუგეს ცხოვრების პირველი 26 წლის შესახებ ცნობები არ იძებნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მან ერთ-ერთი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებში არსებული ინფორმაცია რეიმონის იურისტობის შესახებ. რ. დიუგეს უმაღლესი განათლების მიღება შეეძლო როგორც საფრანგეთში, ისე აშშ-ში. აშშ-ში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას იმის საფუძველზე ვუშვებ, რომ დაუდგენელ წელს რეიმონი აშშ-ში გაემგზავრა და იქ 27 წლის ასაკში ოჯახი შექმნა: რ. დიუგემ 1908 წლის 15 იანვარს, ნიუ-იორკის ამაღლების კათოლიკურ ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ჟანა ბერტე ენჯელ სპიელმანზე (Jeanne Berthe Angèle Spielmann). ჟ. სპიელმანი დაიბადა 1888 წლის 28 ივლისს ლონგ ბრანჩში (ნიუ ჯერსი, აშშ); გარდაიცვალა 1972 წელს ეხტერნახში (ლუქსემბურგი – გრევენმახერის რაიონის ეხტერნახის კანტონი). განცხადება ჯვრისწერის შესახებ გაზეთშია გამოქვეყნებული (ტაიმსი 1908: 9). ამ განცხადებას საინტერესო დაბოლოება აქვს: „პარიზსა და ბერლინში გამომავალ გაზეთებს ვთხოვთ, რომ [ეს ცნობა] გააზიარონ.“ პარიზის გაზეთები რეიმონის ფრანგ ნათესავებსა და ახლობლებზე იყო გათვლილი, ბერლინის გაზეთები კი – ჟანას გერმანელ ნათესავებსა და ახლობლებზე, რადგან იგი წარმოშობით გერმანელი იყო. გენეალოგიური ცნობარის მიხედვით, რეიმონ დიუგესა და ჟანა ბერტე ენჯელ სპიელმანს ერთადერთი, ხოლო ა. დაბო-კვინიტაძის ცნობით – არანაკლებ ოთხი შვილი ჰყავდათ. ეს ბოლო ცნობა სანდოა. ინფორმაცია რ. დიუგეს შვილების ბედის შესახებ არ იძებნება.

ქორწინებიდან სამი წლისა და რვა თვის განმავლობაში წყვილი აშშ-ში რჩებოდა, რის შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრა. ამას ადასტურებს გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა, რომლიდანაც ირკვევა, რომ ცოლ-ქმარ დიუგეების გვარი შეტანილი იყო 1911 წლის 28 სექტემბერს გემი „ფროვენსით“ აშშ-დან გასამგზავრებელ მგზავრთა სიაში (ტაიმსი 1911: 9).

პირველი მსოფლიო ომის დროს, რეიმონ დიუგე საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ოფიცერი – პოლკოვნიკი იყო. ა. დაბო-კვინიტაძის მიერ მოწოდებული დაუდასტურებელი ცნობით, რ. დიუგე საფრანგეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეორე ბიუროში (Deuxième Bureau de l'État-major général) მსახურობდა. მეორე ბიურო შედიოდა სამხედრო დაზვერვის სააგენტოში (ფუნქციონირებდა 1871-1940 წლებში) და მის მთავარ ამოცანას დაშიფრული საიდუმლო გზავნილების კრიპტოგრაფიული ანალიზი წარმოადგენდა.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, რეიმონი თადარიგში გავიდა და ორგანიზაცია Croix de Feu-ში („ცეცხლოვანი ჯვარი“) განევრიანდა. იმავდროულად, იგი იყო გაზეთ La France

héroïque-ის („გმირული საფრანგეთი“) მთავარი რედაქტორი. რ. დიუგეს ამ საქმიანობის შესახებ გაზეთ „ფიგაროს“ 1929 წლის თებერვლის თვის ორი სხვადასხვა ნომრიდან შევიტყვე:

> ბატონმა რეიმონ დიუგემ, “Croix de Feu”-ს („ცეცხლოვანი ჯვრის“) წევრმა და “La France Héroïque”-ის („გმირული საფრანგეთის“) მთავარმა რედაქტორმა, მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე წაიკითხა ლექცია „საბჭოელთა სისასტიკე რუსეთში“... ბატონი რეიმონ დიუგე არის არა მხოლოდ კარგი მომხსენებელი, არამედ, აგრეთვე, კეთილსინდისიერი და დოკუმენტებით მშვენივრად ზურგგამაგრებული ავტორი, რაზეც მისი გაბედული კალმით დაწერილი შრომები მეტყველებენ (ფიგარო 1929ა: 3).

> როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბ-ნმა რეიმონ დიუგემ, Croix de Feu-ს წევრმა და La France héroïque-ის მდივანმა[3], გუშინ საღამოს, ალმას რაიონში[4], პარიზის ანტიმარქსისტულ ინსტიტუტში, ბრენიე დე სენტ კრისტოს თავმჯდომარეობით გამართულ შეხვედრაზე განაგრძო დოკუმენტური მასალის ჩვენება, რომელიც ამხელს ბოლშევიზმის სამარცხვინო ქმედებებს... ტერორის ამსახველი ტრილოგიის ბოლო ნაწილი წარმოდგენილი იქნება პარასკევს, 1 მარტს, ამავე დარბაზში და ამავე დროს (ფიგარო 1929ბ: 2).

ზემორე განცხადებებიდან ნათელი ხდება, რომ თადარიგში გასვლის შემდეგ, რ. დიუგე საზოგადოებრივი საქმიანობით იყო დაკავებული, რა დროსაც საჯარო ლექციებსაც კითხულობდა. მისი საზოგადოებრივი თუ ჟურნალისტური საქმიანობის მთავარი ამოცანა ანტიბოლშევიკური და ანტისაბჭოთა აგიტაციის წარმოება იყო. ამის აუცილებლობას საფრანგეთში კომუნისტური და სოციალისტური პარტიების აქტიურობა განაპირობებდა. საკმარისია გავიხსენოთ 1921 წლის შემოდგომაზე პარიზის კინოთეატრებში ანტიბოლშევიკური დოკუმენტური ფილმის ჩვენების დროს მემარცხენე პარტიების მიერ გამოხატული აქტიური პროტესტი და ამასთან დაკავშირებული არეულობები. ექსცესების თავიდან ასაცილებლად, კინოთეატრებთან და კინოდარბაზებში პოლიციელების მორიგეობის დაწესებაც კი გახდა საჭირო (ფი 2014: 248-250). რ. დიუგეს პოლიტიკური მრწამსი და „ცეცხლოვანი ჯვრის“ ამოცანები ერთმანეთთან თავსებადი იყო. ეს იყო ფრანგული პოლიტიკური მოძრაობა, რომელშიც პირველი მსოფლიო ომის ვეტერანები იყვნენ გაერთიანებული. მოძრაობა 1927 წელს დაფუძნდა, ხოლო 1936 წელს, რადიკალური შეხედულებების გამო, ხელისუფლებამ მის არსებობას წერტილი დაუსვა. „ცეცხლოვანი ჯვრის“ წევრებს ულტრანაციონალისტური ხედვები ჰქონდათ, მსუბუქად გამოხატული ფაშისტური ელფერით. 1930-იან წლებში, მათი ფაშისტური ხედვები კიდევ უფრო მეტად შესამჩნევი გახდა. 1934 წლის 6 თებერვალს, „ცეცხლოვანი ჯვრის“ წევრებმა პარიზის ქუჩებში ხელჩართული ბრძოლაც კი გამართეს, ხოლო 11 მარტს, პარიზში მოაწყეს მსვლელობა, რომელზეც კომუნიზმთან ბრძოლის ლოზუნგის გამოტანასთან ერთად, საფრანგეთის ეკონომიკის უმეტესი ნაწილის მთავრობის კონტროლქვეშ მოქცევა მოითხოვეს (ტაიმსი 1934: 1). გაზეთის კორესპონდენტმა ასეთ რიტორიკას მკაცრი შეფასება მისცა: „ფრანგი ვეტერანები ფაშიზმისკენ გადაიხარნენ“ (ტაიმსი 1934: 1).

გაზეთი La France héroïque იყო მემარჯვენე ორგანიზაციის – „სახელმწიფო ჯილდოების ასოციაციის“ (Association des decores) ბეჭდვითი ორგანო. რეიმონ დიუგე ამ უკანასკნელის მთავარი რედაქტორი (ან რედკოლეგიის მდივანი) იყო.

1930 წლის დასაწყისში, რ. დიუგე პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების წევრად აირჩიეს. მისთვის რეკომენდაციის გამწევი ორი პირიდან ერთ-ერთი იყო ცნობილი ფრანგი გეოგრაფი, ეთნოლოგი და ზოოლოგი, პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების გენერალური მდივანი გიომ გრენდიდიერი (Guillaume Grandidier) (ჯეოგრაფი 1930: 71). საზოგადოების ბიულეტენში გამოქვეყნებულ განცხადებაში რეიმონის პროფესიად მითითებულია „ლიტერატორი“.

რ. დიუგემ თავისი სიცოცხლის მანძილზე სულ სამი წიგნი გამოსცა. პირველი ნაშრომი “Les Mormons: la polygamie aux etats unis” / „პოლიგამურობა აშშ-ში: მორმონები“ 1921 წელს გამოაქვეყნა (დიუგე 1921). ამ წიგნს არ გამოუწვევია არც მედიისა და არც საზოგადოების ინტერესი. დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ნახსენები წიგნი მოყვარული ისტორიკოსის, თანაც მიკერძოებული ავტორის მიერაა დაწერილი, რომლის ძირითადი ამოცანა არა მოვლენის შინაარსში გარკვევა, არამედ ფრანგ თანამოქალაქეთა მორმონიზმის წინააღმდეგ დარაზმვა იყო (დექიუ 1974: 8).

პირველი წიგნის გამოცემიდან ექვსი წლის შემდეგ, კერძოდ 1927 წელს, რ. დიუგემ კიდევ ორი წიგნი გამოსცა: ჯერ „მოსკოვი და წამებული საქართველო“, შემდეგ კი „ციხე წითელ რუსეთში: სოლოვკი, შიმშილის კუნძული“. ორივე წიგნი ისტორიულ-დოკუმენტური შინაარსისაა და ბოლშევიკური რუსეთის ბნელ მხარეებს ამხელს. ამ ორი წიგნის გამოცემით, რ. დიუგემ რუსეთის ისედაც შებღალული იმიჯი კიდევ უფრო მეტად შებღალა. ორივე წიგნი წარმატებული აღმოჩნდა და იმდროინდელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა.

ცხადია, რომ ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანი წიგნი „მოსკოვი და წამებული საქართველოა“. წინასიტყვაობის ავტორია პოლკოვნიკი კლოდ სტოქსი – დიდი ბრიტანეთის ყოფილი უმაღლესი კომისარი სამხრეთ კავკასიაში. ამ წიგნში რ. დიუგეს აღწერილი აქვს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ დაწყებული ომის დეტალები. შესავალ ნაწილში ავტორი აღნიშნავს, რომ წიგნის წერისას „უამრავ სარწმუნო და სერიოზულ საბუთს“ ეყრდნობოდა (დიუგე 1927ბ: 27). მათ შორის, ავტორი იმოწმებს საქართველოში მოღვაწე ფრანგი კომერსანტის, ეტიენ პატრიზის (Etienne Patrizi) მიერ შედგენილ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს გვარდიის უარყოფითი შეფასებაა მოცემული (დიუგე 1927ბ: 20-21), ამონარიდებს ორი წიგნიდან – ემანუელ კუნას „თავისუფალი საქართველო“ (კუნა 1920) და ზურაბ ავალიშვილის „საქართველოს დამოუკიდებლობა და საერთაშორისო პოლიტიკა 1918-1921 წლებში“ (რუსულად, გვ. 21-25), კავკასიაში საფრანგეთის სამხედრო მისიის ატაშეს მოხსენებითი ბარათის დასკვნით ნაწილს (გვ. 100-109), ბრიანის წერილს საქართველოს დე იურე აღიარების თაობაზე (გვ. 127), საქართველოს მთავრობის ოფიციალურ განცხადებას, ორ მემორანდუმსა და ერთა ლიგისადმი მიმართვას, ამონარიდს ერთა ლიგის VI კომისიის ხმოსნის, ე. მ. მაკდონალდის (კანადა) მიერ პლენარულ სხდომაზე გაკეთებული მოხსენებიდან საქართველოში არსებული ვითარების შესახებ (გვ. 150-159),[5] აგრეთვე რუსი ბოლშევიკი გენერლის, ა. ჰეკერის საიდუმლო მოხსენებას (გვ. 155-159). სამწუხაროდ, რ. დიუგე არ ასახელებს იმ წყაროს, რომლითაც 1920 წელს სამხედრო სკოლაზე ბოლშევიკების თავდასხმისა და 1921 წელს საომარი მოქმედებების დეტალური აღწერისთვის ისარგებლა. წიგნის შესავლის იმ მონაკვეთის წაკითხვისას, რომელშიც ავტორი ქართველი ემიგრანტების დუხჭირ მდგომარეობასა და ორი მათგანის თვითმკვლელობაზე საუბრობს, მკითხველს უჩნდება განცდა, რომ რ. დიუგეს ეს ინფორმაცია უშუალოდ ქართველი ემიგრანტებისგან უნდა მიეღო. აი რას წერს იგი:

> ემიგრანტებს არავითარი სახსარი არ აქვთ იცხოვრონ და არჩინონ ოჯახი (თუკი მოახერხეს [საქართველოდან] თან წამოყვანა). მათ ხშირად უხდებათ შეუფერებელ სამსახურზე დათანხმება. ემიგრანტებს შორის „თვითმკვლელობის ორი ტრაგიკული ამბავი ვიცი – ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა (იგულისხმება საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე – ლ.მ.) და მეორე – კეთილშობილი ახალგაზრდა მშვენიერი ქალისა“ (დიუგე 1994: 13).

რაც შეეხება ავტორის მიერ გამოყენებულ, სამხედრო მოქმედებების აღმწერ წყაროს, მის შესახებ ნანო დაბო-კვინიტაძისგან აღებული ინტერვიუდან შევიტყვე. რესპოდენტის თქმით, საქართველოდან ემიგრირებული კვინიტაძეების ოჯახი, ისევე როგორც რეიმონ დიუგეს ოჯახი, შატუში, პარიზის გარეუბანში ცხოვრობდა. იმის გამო, რომ შატუ კომპაქტური, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებით იყო განაშენიანებული და, შესაბამისად, მოსახლეობაც მცირერიცხოვანი იყო, ერთმანეთს ყველა იცნობდა. ასეთ უბანში მცხოვრებ ორ ყოფილ სამხედროს – გენერალ გ. კვინიტაძესა და პოლკოვნიკ რ. დიუგეს დამეგობრება არ გასჭირვებიათ. ა. დაბო-კვინიტაძის თქმით, რეიმონი გ. კვინიტაძის ოჯახს ხშირად სტუმრობდა, რა დროსაც სტუმარი და მასპინძელი ბევრს საუბრობდნენ რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა გენერალმა ფრანგული ენა სრულყოფილად არ იცოდა, საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის შეჭრასთან დაკავშირებული ისტორიის დეტალების სტუმრისთვის გაცნობას იგი სხვების დაუხმარებლად ახერხებდა. ნანო დაბო-კვინიტაძეს თქმით, რ. დიუგე საქართველოში საერთოდ არ იყო ნამყოფი და მის წიგნში შეტანილი, რუსეთ-საქართველოს ომის დროს განვითარებული სამხედრო მოქმედებების აღწერა, ძირითადად, გენერალ გ. კვინიტაძის მონაყოლს ეფუძნება. იმ ფაქტზე, რომ რ. დიუგემ წყაროდ გ. კვინიტაძის ნაამბობი და ნააზრევი გამოიყენა, ირიბად მიანიშნებს რ. დიუგესა და

გ. კვინიტაძის წიგნებში ერთიდაიგივე მოვლენის თითქმის მსგავსი აღწერა და საქართველოს მთავრობის სოციალისტური მისწრაფებების უარყოფითი შეფასება. რეიმონი, აცნობიერებდა რა, რომ ლევილში მყოფ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებთანაც მას გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა, კრიტიკა არ მოეწონებოდათ, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ უარყოფითი შეფასებები მათ შესარისხად არ გაუკეთებია:

> თუ მე დაჟინებით ვუსვამ ხაზს, რომ საქართველო იყო მსხვერპლი სოციალისტური გამოცდილებისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მინდა ქვა ვესროლო მის მთავრობას, მის თავმჯდომარეს, რომელიც ამჟამად პარიზშია გადმოხვეწილი. არა, ეს აზრადაც არ მომსვლია (დიუგე 1994: 25).

ნ. დაბო-კვინიტაძისგან აღებულ ინტერვიუში გაჟღერებული ცნობა, რომ რ. დიუგე საქართველოში ნამყოფი არ იყო და ინფორმაცია მის წიგნში აღწერილი სამხედრო მოქმედებების შესახებ გენერალ გ. კვინიტაძისგან ჰქონდა მიღებული, 1997 წელს ისტორიკოს გოჩა საითიძეს მივაწოდე, რათა მის საავტორო სატელევიზიო გადაცემაში გაეჟღერებინა. 1997-1999 წლებში გ. საითიძეს ტელეკომპანია „იბერიაში“ საისტორიო გადაცემა „სახეები“ მიჰყავდა. ერთ-ერთი გადაცემა მან საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიას მიუძღვნა და ზემორე ცნობები იქ ახსენა. ტელეგადაცემაში რ. დიუგეს შესახებ გაჟღერებული ახალი ფაქტები, როგორც ჩანს, სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა, რის გამოც ფრანგი ავტორის თბილისში ცხოვრების მცდარი ვერსია დღემდე პოპულარულია.

რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ მასალის შეგროვების პროცესში, რ. დიუგეს, გენერალ გ. კვინიტაძის გარდა, სხვა ქართველი რესპოდენტიც უნდა ჰყოლოდა. სავარაუდოდ, ეს პიროვნება ქაქუცა ჩოლოყაშვილი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიგვანიშნებს ფოტო, რომელზეც რეიმონი ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მარი ყანჩელ-ციციშვილთან ერთად ლევილის მამულშია გადაღებული. ეს ფოტო ირენ ციციშვილის პირად არქივშია დაცული,[6] მისი ციფრული ასლი კი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება (ფოტო 1).

ფაქტია, რომ რ. დიუგეს წიგნმა „მოსკოვი და წამებული საქართველო“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ამბისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მებრძოლთა თავდადებული ბრძოლის დეტალების ევროპის საზოგადოებისთვის გასაცნობად. 1985 წელს გენერალ გ. კვინიტაძის მოგონებათა წიგნის გამოცემამდე, რ. დიუგეს წიგნი რჩებოდა ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის საბედისწერო მოვლენების იშვიათ დოკუმენტურ წყაროდ.

რ. დიუგეს მომდევნო, რიგით მესამე წიგნი იყო „ციხე წითელ რუსეთში: სოლოვკი, შიმშილის კუნძული“, რომელიც მან 1927 წლის მიწურულს გამოსცა (დიუგე 1927ა). ამ წიგნის დასაწერად ავტორმა იგივე ხერხი გამოიყენა, რაც წინმსწრები წიგნის შემთხვევაში: თვითმხილველის მონაყოლის პერიფრაზირების გზით, ავტორი აღწერს საკონცენტრაციო ბანაკში განვითარებულ მოვლენებს და მისთვის ზეპირად გაზიარებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გვიყვება კონკრეტული ჯალათების კონკრეტულ ქმედებებზე. ამ წიგნის წერისას რ. დიუგეს მთავარი რესპოდენტი საფრანგეთის მოქალაქე იყო, რომელმაც სოლოვკის საკონცენტრაციო ბანაკში გამეფებული სისასტიკე საკუთარ ტყავზე გამოსცადა და იმ ჯოჯოხეთიდან გაქცევის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება მოახერხა.

რ. დიუგეს ბოლო ორმა წიგნმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მათ საკმაოდ ბევრი საგაზეთო პუბლიკაცია და რეცენზია მიეძღვნათ. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვეთა გამოხმაურებები რეიმონის წიგნზე „მოსკოვი და წამებული საქართველო.“ ერთ-ერთი ვრცელი რეცენზია ჩარლზ ბუსონმა გაზეთში La Croix დაბეჭდა (ლა კრუ 1927: 3-4). გაზეთებში გამოქვეყნებულ რეცენზიებში წიგნში აღწერილი მოვლენების გაშუქებასთან ერთად, მიმოხილული იყო საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაც, რამაც დადებითი როლი ითამაშა საქართველოს ცნობადობის ამაღლებაში.

რაც შეეხება რ. დიუგეს ცხოვრების ბოლო 28-30 წლის ისტორიას, მის შესახებ ჩვენ ცოტა რამ თუ ვიცით. კერძოდ, ა. დაბო-კვინიტაძის ცნობით, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე, რ. დიუგე ოჯახთან ერთად ლუქსემბურგში გადასახლდა. როგორც გავარკვიე, რეიმონი ქალაქ

ეხტერნახში დამკვიდრებულა. ეხტერნახი აღმოსავლეთ ლუქსემბურგში, გერმანიის საზღვართან ახლოს მდებარე პატარა ქალაქია.

პუბლიცისტური წერილების (ესეების) წერა რ. დიუგემ ლუქსემბურგშიც განაგრძო. მაგალითად, ჟურნალში La Grive მან გამოაქვეყნა „La procession dansante d'Echternach" / „საცეკვაო მსვლელობა ეხტერნახში" (ლა გრივ 1955). ეს წერილი ერთ საინტერესო, დღემდე არსებულ ტრადიციას ეძღვნება, რა დროსაც ეხტერნახის ქუჩებში მასობრივი საცეკვაო მსვლელობა ეწყობა. ისტორიკოსების აზრით, ეხტერნახში საცეკვაო მსვლელობის დამკვიდრება უკავშირდება 1348 და 1378 წლებში გავრცელებული ეპიდემიების დროს ქალაქში დიდი რაოდენობის მომლოცველთა ჩასვლასა და ბაზილიკური ეკლესიისკენ ცეკვა-ცეკვით (უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვათ „როკვა-როკვით") მსვლელობას. ადრინდელი ტრადიციით, მსვლელობის მონაწილენი მსვლელობისას წინ სამ ნაბიჯს დგამდნენ, რის შემდეგ ორი ნაბიჯით უკან იხევდნენ. დღეისათვის, მსვლელობაში მონაწილეობის მსურველთა დიდი რაოდენობის გამო, მომლოცველები მხოლოდ წინსვლით მოძრაობენ, რა დროსაც როკავენ – თითოეული ნაბიჯის გადადგმისას, ტანს ხან მარცხნივ, ხანაც მარჯვნივ გადახრიან. ეს ყველაფერი მარტივი მუსიკის თანხლებით ხდება. მომლოცველთა საბოლოო გაჩერების პუნქტი ადგილობრივი ბაზილიკაა, რომელიც შემაღლებაზე დგას. რ. დიუგეს ეს წერილი გარკვეულწილად ეხმიანება მისი პირველი წიგნის ზოგად თემატიკას – წეს-ჩვეულებათა განხილვასა და შეფასებას.

რ. დიუგეს ლუქსემბურგში ცხოვრების პერიოდიდან დანამდვილებით ვიცი, რომ მას გენერალ გ. კვინიტაძესთან, და სავარაუდოდ სხვა ქართველ ემიგრანტებთანაც, მიმოწერა არ ჰქონია. ცნობები ლუქსემბურგში რეიმონის საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ არ იძებნება.

გარდაცვალების სამოქალაქო აქტის ჩანაწერით, რეიმონ დიუგე 1967 წელს ლუქსემბურგის ქალაქ ეხტერნახში გარდაიცვალა. იგი, მეუღლესთან ერთად, ეხტერნახის ადგილობრივ სასაფლაოზეა დაკრძალული. რეიმონისა და მისი მეუღლის საფლავის ქვაზე სტანდარტული ტექსტია წაწერილი: „რეიმონ დიუგე (1881-1967), მეუღლე ჟანა სპიელმანისა (1888-1972)" (ფოტო 2).

შენიშვნები

[1] ნიშანდობლივია, რომ რ. დიუგეს ეს წიგნი 2004 წელს ხელმეორედ გამოიცა (დიუგე 2004).

[2] ნანო დაბო-კვინიტაძისგან აღებული ინტერვიუ ვიდეოკამერით რეზო შალიბაშვილმა გადაიღო. ვიდეოჩანაწერი ჩემ პირად არქივში ინახება.

[3] ამ განცხადებაში რეიმონ დიუგე გაზეთის მთავარი რედაქტორის ნაცვლად, რატომღაც, სარედაქციო კოლეგიის მდივნად იხსენიება.

[4] ალმა არის პარიზის უბანი, რომელიც მდინარე სენაზე გადებული, ამავე სახელის მქონე ხიდის მახლობლად მდებარეობს. ხიდს ალმა იმ გამარჯვების აღსანიშნავად დაერქვა, რომელიც ყირიმის ომის დროს ოსმალთა, ფრანგთა და ბრიტანელთა ალიანსმა რუსეთის წინააღმდეგ, 1854 წლის 20 სექტემბერს ალმასთან გამართული ბრძოლის დროს მოიპოვა.

[5] ე. მ. მაკდონალდის სიტყვის სრული ვერსია, ისევე როგორც ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეაზე გამომსვლელთა სიტყვები სრულად, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმი ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესახებ და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მემორანდუმი ერთა ლიგის ასამბლეისადმი, სხვა ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად, კ. კანდელაკის წიგნშია შეტანილი (კანდელაკი 2019: 178-181).

[6] ნახსენები ფოტოს ნახვის შემდეგ, ქალბატონ ირენ ციციშვილს (Irène Tzitzichvili) შეტყობინება გავუგზავნე კითხვით, ხომ არ ჰქონდა რ. დიუგესთან დაკავშირებული სხვა მასალაც (ფოტოები ან წერილები), თუმცა მისგან პასუხი არ მიმიღია. იგივე კითხვა გავუგზავნე ქალბატონ ქრისტინე ფაღავა-ბულეზსაც (Christine Pagava Boulez). აღმოჩნდა, რომ ქ. ფაღავა-ბულეზს რ. დიუგესა და ქართველი ემიგრანტების ურთიერთობის შესახებ ცნობები არ ჰქონდა. მისთვის არც ფრანგი ავტორის ბიოგრაფიის დეტალები იყო ცნობილი (გარდა იმ მოკლე ინფორმაციისა, რომ რ. დიუგე იყო იურისტი, დიდი ომის დროს საფრანგეთის არმიის ოფიცერი, კომერსანტი და მწერალი). ქალბატონი ქრისტინე შეეცადა ჩემთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ცნობები და მასალა მოეძიებინა და მოეწოდებინა, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ცნობებში ახალი არაფერი აღმოჩნდა. მსურს ქალბატონ ქ. ფაღავა-ბულეზს გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის უღრმესი მადლობა გადავუხადო.

დამოწმებანი

აბზიანიძე 2020: ზ. აბზიანიძე. ქართველი მწერლები ეპოქათა ჭრილში, თბილისი.

ბიბლიოგრაფია 1928: Bibliographie. *Bulletin Officiel du Comite France-Orient*, V-e serie, N 61, Janvier-Fevrier.

დექიუ 1974: W. Decoo. The Image of Mormonism in French Literature: Part I, *BYU Studies Quarterly*: Vol. 14, N2.

დიუგე 1921: R. Duguet. Les Mormons: la polygamie aux etats unis. Paris, Nouveau Mercure.

დიუგე 1927ა: R. Duguet. Un Bagne en Russie Rouge: L'Ile de la Faim, des Supplices, de la Mort. Préface de M. Jules Claine, Paris, Editions Jules Tallandier.

დიუგე 1927ბ: R. Duguet. Moscou et la Géorgie Martyre. Préface du Colonel C.-B. Stokes. Paris, Editions Jules Tallandier.

დიუგე 1994: რ. დიუგე. მოსკოვი და წამებული საქართველო. ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა. თბილისი, გამომცემლობა GCI.

დიუგე 2004: R. Duguet. Un Bagne en Russie Rouge. Préface de Nicolas Werth, Paris, Balland.

კანდელაკი 2019: კ. კანდელაკი. ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე (დადგენილებები, დოკუმენტები, სამხილები). ინგლისურიდან ქართულად თარგმნა ლადო მირიანაშვილმა, თბილისი.

კუნა 1920: E. Kuhne. La Géorgie libre: son passé – son present – son avenir, Geneve (მეორედ 2018 წელს გამოიცა).

ლა გრივ 1955: Duguet Raymond, La procession dansante d'Echternach. La Grive N87, Juillet.

ლა კრუ 1927: Charles Baussan, Moscou et Géorgie martyre par Raymond Duguet, La Croix, Dimanche 19, lundi 20 juin.

მალსაგოვი: S. Malsagov. Nikolaï Kisselev- Gromov, Aux origines de Goulag. Récits des îls Solovski, traduit du russe par Galia Ackerman et Natalia Rutkevitch, préface de Nicolas Werth, François Bourin, Paris (მეორე გამოცემა).

ტაიმსი 1908: *The New York Times*, 16 January.

ტაიმსი 1911: *The New York Times*, 28 September.

ტაიმსი 1934: *The New York Times*, 12 March.

ფიგარო 1929ა: *Le Figaro*, "Les crimes bolchevistes", N33, 2 février.


ფიგარო 1929ბ: *Le Figaro*, "En Russie Sovietique", N47, 16 février.

ფი 2014: Fee Annie, Gaumont Offers "La Russie Rouge" and all Paris Takes Sides: Working Class Activism in Paris Cinemas, 1921-1922. Early Popular Visual Culture, v. 12, N2, pp. 238-259.

ჯეოგრაფი 1930: *La Geographie*, Revue Mensuelle, tome LIII, NN1-2, Janvier- Février.



სურ. 1 (მარცხნიდან მარჯვნივ) ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მარი ყანჩელი-ციციშვილი და რეიმონ დიუგე ლევილის მამულში



სურ. 2 ეხტერნახის სასაფლაოზე (ლუსემბურგი) რ. დიუგეს საფლავის ქვის ეპიტაფია

RAYMOND DUGUET – CHRONICLER OF THE LAST DAYS OF THE FIRST GEORGIAN REPUBLIC AND PRIMARY SOURCES USED BY HIM

Lado Mirianashvili
Independent researcher
lado_miriani@yahoo.com

Raymond Duguet as a journalist and writer became known to the Georgian reader only in 1994, when his book "Moscou et la Géorgie Martyre" was published in Georgian translation (Originally it was printed in 1927 in French). Even after 64 years of political ban (Georgia regained independence in 1991), Duguet's book remained a valuable source on the invasion of Russian Bolsheviks into Georgia. Of special interest are military actions described in detail. Speculations began about the author's possible presence in Georgia in 1921. Lately, certain authors even suggested exact time of his stay in the country. In general, most of the details of R. Duguet's biography are not known to European readers.

I attempted to reconstruct R. Duguet's biography from the scattered sources. I have collected accounts about his occupation and activities from newspaper and journal articles published in France, USA and Lux-

emburg, as well as from an interview with Nano d'Abo, daughter of a legendary Georgian General Giorgi Kvinitadze, Commander in Chief of the Georgian army during the war with Russia in 1921, taped by me on 17 July 1996 in Tbilisi.

It turned out that R. Duguet had never set foot in Georgia. His book about the country was inspired by his meeting with representatives of Georgian immigration in France. Details about military actions were obtained primarily from conversations with General G. Kvinitadze. As it turned out, both R. Duguet and G. Kvinitadze lived in a commune Chatou, suburb of Paris, and used to visit each other to discuss the events of 1921.

Identification and analysis of scattered sources made it possible to reconstruct a more or less complete biographical history of Raymond Duguet, who was one of the first authors to show the face of fanatic and brutal Russian Bolsheviks, and to reveal atrocities committed by them against own and neighbouring people, including the Georgians.

ბაზალეთის ბრძოლის შეფასების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში

მალხაზ მურუსიძე
გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია
malxazmurusidze@gmail.com

XVII საუკუნის I ნახევარში ქართველი ხალხის ბრძოლას ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ მეთაურობდა კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი. მის მოღვაწეობას დიდ შეფასებას აძლევდნენ როგორც თანამედროვე, ასევე მომდევნო საუკუნის ადამიანები. სამწუხაროდ მეოცე საუკუნეში, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ვერ შეძლო სათანადოდ დაეფასებინა გმირი მეფის დამსახურება სამშობლოს წინაშე. უფრო მეტიც, გარკვეული იდეოლოგიური კლიშეების გამო მის მიმართ არაერთი უსაფუძვლო კრიტიკული მოსაზრებაც გამოითქვა. ასეთმა დამოკიდებულებამ ზენიტს ბაზალეთის ბრძოლის შეფასების დროს მიაღწია. როგორც აღვნიშნეთ ეს ყველაფერი ეფუძნებოდა არა ისტორიული წყაროების ანალიზს ან ისტორიკოსთა კვლევა ძიების შედეგებს, არამედ დირექტირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ. იმისათვის რომ ჩვენი ნათქვამი უფრო ნათელი გახდეს, საჭიროდ მიგვაჩნია გარკვეულ დეტალებში ჩაღრმავება. საქმე ის გახლავთ, რომ XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის ბელადი იოსებ სტალინი გამორჩეულად დაინტერესდა გიორგი სააკაძის პიროვნებით. მისი დაკვეთით, გიორგი სააკაძის შესახებ დაიწერა ორი კინო სცენარი. ერთის ავტორი გიორგი ლეონიძე გახლდათ, მეორისა კი – ანა ანტონოვსკაია. ამ უკანასკნელის სცენარის მიხედვით, 1943 წელს გადაიღეს ორსერიანი ფილმი. თუ როგორ უნდა ყოფილიყო შეფასებული გიორგი სააკაძის პიროვნება, ამის ნიმუში თავად სტალინმა გასცა საბჭოთა კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის ივან ბოლშაკოვისადმი 1940 წლის 11 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში. მოგვყავს ამ წერილიდან ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი:

> სინამდვილეში როგორც ისტორია მოგვითხრობს, სააკაძის პოლიტიკამ, თუმცა პროგრესულმა საქართველოს მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით, მარცხი განიცადა (ხოლო თვითონ სააკაძე დაიღუპა), რადგანაც სააკაძის დროინდელი საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ასეთი პოლიტიკისათვის, ე.ი. მისი გაერთიანებისათვის ერთ სახელმწიფოდ სამეფო აბსოლუტიზმის განმტკიცებისა და თავადთა ხელისუფლების ლიკვიდაციის გზით. მიზეზი ნათელია: თავადები და ფეოდალები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ხოლო მეფე და აზნაურები უფრო სუსტნი, ვიდრე სააკაძე ფიქრობდა. სააკაძე გრძნობდა ამ შინაგან სისუსტეს და შეეცადა დაეძლია იგი საქმეში გარეშე (უცხო) ძალის გადაფარვით. მაგრამ საგარეო ფაქტორის ძალას არ შეეძლო ქვეყნის შინაგანი სისუსტის კომპენსირება. როგორც ცნობილია ეს ასეც მოხდა. ამ გადაუჭრელ წინააღმდეგობათა ვითარებაში სააკაძის პოლიტიკას უნდა განეცადა და კიდევაც განიცადა დამარცხება (ჩხეიძე 2012: 173-174); (ყორანაშვილი 2017: 15-16)

გიორგი სააკაძის პიროვნებით „ხალხთა დიდი ბელადის“ დაინტერესებამ თუ რა მავნე გავლენა იქონია საქართველოს ისტორიის შესაბამისი მონაკვეთის გაყალბების თვალსაზრისით, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი ისტორია: როგორც ცნობილია 1940 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ ხელნაწერის უფლებით, საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებულ იქნა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მაკეტი უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. ჩვენთვის საინტერესო ეპოქის (XVII ს.) ავტორი გახლდათ დიდი ქართველი ისტორიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი. ამ დროისათვის გიორგი სააკაძის შეფასების სტალინისეული დოგმები ჯერ კიდევ არ იყო თავსმოხვეული ქართველი მეცნიერებისათვის, ამიტომ აღნიშნულ მაკეტში მეცნიერი როგორც სააკაძის პიროვნებას, ასევე შესაბამის ეპოქასაც ობიექტურად, საკუთარი სინდისის კარნახით აფასებს. 1943 წელს ზემოდასახელებული მაკეტი უკვე გადამუშავებული სახით გამოქვეყნდა, როგორც სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის. ცხადია, აქაც სათანადო მონაკვეთის (XVII ს.) ავტორი ნიკოლოზ ბერძენიშვილი გახლდათ. ახლა თუ 1940 წელს გამოქვეყნებულ მაკეტსა და

1943 წელს დაბეჭდილ სახელმძღვანელოს ჩვენთვის საინტერესო ეპოქის პარალელურ მონაკვეთებს ერთმანეთს შევუდარებთ, ჩვენს თვალწინ გადაიშლება ისტორიის გაყალბების საბჭოური ნიმუში. ასე მაგალითად: 1940 წლის მაკეტში ვკითხულობთ: „გაბოროტებულმა ფეოდალებმა (იგულისხმება შაჰ აბასის კარზე გაქცეული ნუგზარ არაგვის ერისთავი და მისი სიძე გიორგი სააკაძე, – მ. მ.) პოლიტიკური მაბეზღარობა იკადრეს, ისინი ეცადნენ დაერწმუნებინათ შაჰი, რომ ლუარსაბ-თეიმურაზის თანხმობა ერანის წინააღმდეგ არის მიმართული“ (ჯანაშია და *სხვები* 1940: 320).

1943 წლის სახელმძღვანელოში ეს წინადადება საგულდაგულოდ არის წაშლილი (ჯანაშია 1943: 298). 1940 წლის მაკეტში წერია, რომ შაჰის კარზე ჩასული სააკაძე „ჩქარა გამაჰმადიანდა“, 1943 წ. სახელმძღვანელოში ეს ფრაზაც ამოშლილია. 1940 წლის მაკეტში ვკითხულობთ, რომ 1614 წელს შაჰ აბასის ლაშქრობის დროს გიორგი სააკაძე: „მისი უახლოესი მრჩეველი იყო“ (ჯანაშია და *სხვები* 1940: 320), 1943 წლის სახელმძღვანელოში ცხადია არც ეს წინადადება იქნა შეტანილი (ჯანაშია 1943: 298). მაკეტში ვკითხულობთ: „მოურავი გიორგი სააკაძე ლუარსაბის მოსისხარი იყო და მის დასაღუპავად ცდას არ აკლებდა. შაჰი დარწმუნებული იყო მოურავის ერთგულებაში, დიდად აფასებდა მის დამსახურებას და მის რჩევას უსმენდა“ (ჯანაშია და *სხვები* 1940: 323).

სახელმძღვანელოში მსგავსი არაფერი წერია. მაკეტში მარტყოფის აჯანყების წინ შაჰის საიდუმლო ბარათის ხელში ჩაგდების შემდეგ, სადაც ირანის მბრძანებელი მოურავის მოჭრილ თავს ითხოვდა აღნიშნულია: „ყველაფერი გარკვეული იყო, ერთადერთი გზა მოურავის წინაშე-ეს აჯანყება იყო“ (ჯანაშია და *სხვები* 1940: 325), სახელმძღვანელოში ეს წინადადება უკვე აღარ გვხვდება. ბაზალეთის ბრძოლის მიზეზები მაკეტში ასეა ახსნილი: „გიორგი სააკაძე ქართლის მმართველობას იჩემებდა და თეიმურაზის მეფობას ვერ ითმენდა“ (ჯანაშია და *სხვები* 1940: 329). რა თქმა უნდა, 1943 წელს დაბეჭდილ სახელმძღვანელოში ეს ფრაზაც ამოშლილია. სამაგიეროდ ამ უკანასკნელში, როგორც გურამ ყორანაშვილი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, „სტალინის ნასიბრძნის მიხედვით“ გაჩნდა და ქართულ ისტორიოგრაფიაში ლამის დოგმატური ხასიათი შეიძინა შემდეგმა კონცეფციამ:

> სააკაძის იდეალი მეფის ხელისუფლების გაძლიერება იყო. ეს კი თავადების უფლებების შეზღუდვის გარეშე ვერ მოხდებოდა. ასევე მიუღებელი იყო თავადებისათვის საქართველოს გაერთიანების აზნაურული იდეა. თავადებს საქართველოს გაერთიანება მეფე-მთავრების კავშირის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი. აზნაურ სააკაძის გეგმა-კი საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას გულისხმობდა ძლიერი მეფის ხელქვეშ (ჯანაშია 1943: 298).

ასევე ბაზალეთის ბრძოლაში გიორგი სააკაძის დამარცხება შემდეგნაირადაა შეფასებული: „ჩაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც სააკაძემ უზარმაზარი ენერგია შეალია და ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო“ (ჯანაშია 1943: 311). ამ მოსაზრების შესახებ (თითქოს სააკაძე საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა) ჩვენ ქვემოთ სათანადო მსჯელობა გვექნება, ამჯერად კი მის ევოლუციას გვინდა თვალი გავადევნოთ: ეს მოსაზრება პირველად გამოთქვა გიორგი სააკაძის პანეგირისტმა ხალხოსანმა მწერალმა ანტონ ფურცელაძემ, შემდეგ, როგორც ვნახეთ, ის გაიზიარა სტალინმა, „ხალხთა დიდი ბელადის“ ზეგავლენით კი დიდი ქართველი ისტორიკოსი იძულებული გახდა 1943 წელს დაბეჭდილ სახელმძღვანელოში შეეტანა. ეს მოსაზრება 60-იან წლებში კიდევ უფრო გააღმავა ისტორიკოსმა გივი ჯამბურიამ, ხოლო შემდეგ კი მასიურად გავრცელდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

რატომ მოვიხმეთ ამ ორი სახელმძღვანელოს პარალელური მონაკვეთების ასეთი ვრცელი შედარება? დღესავით ნათელია, რომ სამ წელიწადში ნიკოლოზ ბერძენიშვილის სააკაძისეული შეფასებების ასეთი მეტამორფოზა დიდი ისტორიკოსის პირად შეხედულებებს არ ეფუძნებოდა, არამედ იმდროინდელი პოლიტიკური კონიუნქტურის შედეგი იყო. სტალინის ფაქტორი რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო ამას პირდაპირ ადასტურებს ისტორიკოსი აბელ სურგულაძე:

> სტალინის ასეთმა დამოკიდებულებამ სხვათა შორის დიდი როლი შეასრულა გიორგი სააკაძის მიმართ ქართველ ისტორიკოსთა კონცეფციის ჩამოყალიბებაში. 1940 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს მაკეტში დიდი მოურავი წარმოდგენილი იყო როგორც რეტროგრადი ფეოდალი მოღვაწე, რომელიც მოქმედებდა არა „პატრიოტული მოტივებით, არამედ

პირადი მიზნით". 1943 წელს დაბეჭდილ სახელმძღვანელოში კი ალბათ ბოლშაკოვისადმი სტალინის წერილის გათვალისწინებით, ძველი შეხედულებიდან „თითქმის არაფერი დარჩენილა", მოგვიანებით, 1945 წლის ოქტომბერში სოჭში სტალინთან შეხვედრამ და „აზრთა გაცვლა-გამოცვლამ დიდად იმოქმედა... ნიკო ბერძენიშვილზე (მოურავის შესახებ კონცეფციის ავტორი, – ა. ს.) და საბოლოოდ „განკურნა" სკეპტიციზმისაგან გიორგი სააკაძის მიმართ" (სურგულაძე 1996: 53-54).

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთით შეიქმნა გიორგი სააკაძის მითიური სახე, რომელშიც სააკაძე ცალსახად მხოლოდ გმირად, პროგრესულ მოღვაწედ და საქართველოს გაერთიანებისათვის თავდადებულ მებრძოლად იქნა გამოყვანილი, ხოლო შავი ლაქები კი საგულდაგულოდ ამოაშლევინეს მისი ბიოგრაფიიდან ქართველ ისტორიკოსებს.[1] ამ შემთხვევაში პრობლემა არა მარტო ის გახლდათ, რომ გიორგი სააკაძის ნამდვილი სახე დაიკარგა, არამედ ისიც (ჩვენი თემიდან გამომდინარე ჩვენთვის ამ შემთხვევაში ყველაზე საინტერესო ეს გახლავთ), რომ ასეთმა დამოკიდებულებამ დღის წესრიგში დააყენა სააკაძის მოწინააღმდეგეების მარგინალიზირების აუცილებლობა:[2] თუ სააკაძე საქართველოს გაერთიანებისათვის თავდადებული მოღვაწე იყო, ცხადია, მისი მოწინააღმდეგე ამ ერთიანობის მტრად უნდა მიჩნეულიყო; თუ სააკაძე პროგრესულ ძალას წარმოადგენდა, ლოგიკურია, რომ მის წინააღმდეგ მებრძოლნი რეგრესულ ძალად მოვნათლოთ. ასე გაჩნდა ქართულ ისტორიოგრაფიაში თეიმურაზ I-ის მიმართ გამოთქმული არაერთი კრიტიკული მოსაზრება, ვინაიდან ბაზალეთის ბრძოლაში იგი გიორგი სააკაძის მთავარი მოწინააღმდეგე იყო. ჩვენი სტატიის მიზანს სწორედ ამ მოსაზრებების განხილვა და სათანადო პასუხის გაცემა წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, მარტყოფის ბრძოლის შემდეგ თეიმურაზ პირველი გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე გახდა. დონ მიქელე მოსკოს მიხედვით მოსახლეობის ერთ ნაწილს გიორგი სააკაძის გამოცხადება უნდოდა მეფედ, მაგრამ თავად სააკაძემ ეს იდეა უარყო და თეიმურაზ პირველი მოაწვევინა ტახტზე (ტაბაღუა 1986: 248-249). მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა რომ, სააკაძის მხრიდან ეს იძულებით გადადგმული დროებითი და მოჩვენებითი ნაბიჯი იყო და ამ თვალსაზრისით მისი სამომავლო მიზნები ტიპური ფეოდალის შეხედულებებისგან არაფრით განსხვავდებოდა: მეფეს მხოლოდ სახელი ჰქონოდა მეფობისა, რეალური ძალაუფლება კი მას აეღო ხელში. ისტორიული წყაროები ცალსახად მიუთითებენ, რომ მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების შემდეგ უზომოდ განდიდებულმა გიორგი სააკაძემ ქართლში საკუთარი ერთპიროვნული მმართველობა დაამყარა და თეიმურაზ მეფე ქართლიდან გააძევა. მოვუსმინოთ ამ წყაროებს: ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით:

> ბატონმან თეიმურაზ ქართლი დაიჭირა და გორს იდგა. იქიდამენ ბატონმან თეიმურაზ თავისი ქალი დარეჯან ზურაბ ერისთავს მისცა მაგრამე ხორეშან დედოფალს მიცემა არ უნდოდა, ამისთვის რომ თავის შამშობლოს ამოგდებას იმათგან იყო, მაგრამე ღონე არ იყო, ამისთვის რომ მოვრავი ქართლს ეცილებოდა. თუ ზურაბ ერისთვისათვის თავისი ქალი არ მიეცა, მოვრავს მიუდგებოდა და ქართლს იმას დააჭირვინებდა (კაკაბაძე 1924: 236).

იგივეს გვამცნობს ბერი ეგნატაშვილიც:

> და იყო მაშინ თავი და უფროსი კაცი მოურავი და ყოველნივე ქართველნი მას მორჩილებდნენ, რამეთუ თვით ზურაბ ერისთავი და ვინცავინ დიდი კაცნი იყვნენ ქართლისანი მოურავს ქეშიკში უწვებოდნენ და ყმურად მონებდენ მას (ყაუხჩიშვილი 1959: 407).
> ხოლო განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა უდებდა მოურავსა თავსა და სიძეცა იყო ბატონის თეიმურაზისა, ამისთჳნცა დიდობდა. იწყინა მოურავმან მისი თავს დაუდებლობა და ამანაც აღარა აჴსენა, და ამაში შეექმნათ შური დიდი და მტერობა. ზურაბ ბატონს თეიმურაზს მიუდგა, და მოურავი ქაიხოსროს გამგებელსა ქართლისასა და ქართლი სულად შემოუყარა ქაიხოსროს მოურავმან. და არა მორჩილ ექმნეს ესე ორნი ერისთავნი ზურაბ და ამილახორი იოთამ, და იყო განდგომილება ურთიერთას შორის, ხოლო წარგზავნა მოურავმან კაცი და ითხოვა შეწევნა იმერეთის მპყრობელის გიორგისაგან. შემწე ექმნა და წარმოსცა გიორგი სპანი თჳსნი. ...საფარ ფაშას სთხოვა მოურავმან ჯარი და ათხოვა (ყაუხჩიშვილი 1959: 411).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვითაც:

> ამისა შემდგომად უმეტესად განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა ერჩდა მოურავსა. ესე შეუძნდა

> მოურავსა, უფროსად მიუდგა ქაიხოსროს და არღარა ჩამოუშვა ზურაბ ქართლსა შინა. მაშინ ზურაბ მოიყვანა ბატონი თეიმურაზ და ინება მისთჳს ქართლისა მეფობა. [...] ხოლო მოურავმან შეიკრიბნა სპანი ქართლისანი, ითხოვა ნიჯადი იმერთა მეფის გიორგისაგან და საფარ ფაშის სამცხელისაგან, და მათ მოსცეს, და შეკრებული ყოვლითა ამით მიუჴდა დუშეთს (ყაუხჩიშვილი 1973: 435).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილი წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ გიორგი სააკაძის მთავარი მიზანი ქართლიდან თეიმურაზის გაძევებაა. ფარსადან გორგიჯანიძე პირდაპირ წერს, რომ მოურავი მას ქართლს ეცილებოდა. ყურადღება მივაქციოთ ვახუშტის შემდეგ სიტყვებს: ზურაბ ერისთავმა თეიმურაზისათვის ქართლის მეფობა ინებაო. თუ თეიმურაზი ქართლის მეფეა, მაშინ როგორღა ინება მისთვის არაგვის ერისთავმა მეფობა? საქმეც ის არის, რომ ამ დროისთვის ის სრულად არის გიორგი სააკაძისგან ქართლიდან გაძევებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვახუშტის შემდეგი სიტყვებიც: „მოურავმა ქართლის სპა შემოიკრიბაო", აქედანაც ჩანს რომ ქართლს და მის ჯარს მთლიანად სააკაძე აკონტროლებს და არა თეიმურაზი.

სააკაძე რომ ქართლში ერთპიროვნული ძალაუფლებისაკენ მიილტვოდა და თეიმურაზის მეფობას ვერ ეგუებოდა, ამას თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმაც ადასტურებს: „მოურავმა დამოუკიდებლობისა და საქართველოს შაჰობის პრეტენზია გამოაცხადა. მან ფული მოაჭრევინა თავის სახელზე ასეთი წარწერით: მონა სიწმინდის მეფისა მოურავ შაჰი" (შენგელია 1960: 263).

სააკაძის ამბიციურობაზე საუბრობს სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნშიც:

> მოურავს [...] უნდოდა ქართლში მმართველი და მბრძანებელი ყოფილიყო. ერთი ჯგუფი დიდებულებისა და თავადებისა მასზე უფრო მაღალი გვარისა იყო, მათ სძაგდათ მოურავის ბატონობა და უფროსობა. თეიმურაზ ხანი, რომელიც სამეფო გვარის იყო და ვალი (მეფე) იყო კახეთისა, იმის გამო, რომ მისი ველაიეთი დანგრეული იყო, [აგრეთვე რადგანაც] ქართლის წინანდელი ვალის სიმონ ხანის შთამომავალთაგან არავინ იყო დარჩენილი მამრობითი სქესისა, ხოლო მისი (თეიმურაზის) ვაჟები სიმონ-ხანის შვილთა შვილიშვილები იყვნენ დედის მხრით, და ქართველებმაც წინანდელი სიმონ-ხანის (სიმონ I) ძმისშვილის, ბაგრატ ხანის შვილს სიმონ ხანს (სიმონ II) უმტრეს, [ამიტომ თეიმურაზს] უნდოდა, რომ ქართლის დიდებულები მის ვაჟებს მიმხრობოდნენ და ერთი თავისი ვაჟიშვილი, დედის მხრივ მემკვიდრეობით უფლების ძალით, ქართლის ბატონად გაეხადა და თვითონაც იმ ქვეყანაში (ე.ი. ქართლში) მბრძანებელი და ბატონი ყოფილიყო. ზოგიერთი ქართველი ეთანხმებოდა მას ამაში და მოურავისაგან შორს ყოფნა ერჩივნა. ამის გამო მოურავსა და თეიმურაზს შორის ერთმანეთისადმი შიში გაჩნდა, ბოლოს აიშალნენ და ერთმანეთს დაშორდნენ. თეიმურაზი მას უფრთხილდებოდა. მოურავმა შეადგინა ჯარი თავის მომხრეთაგან და მოულოდნელად გაემართა მის წინააღმდეგ. თეიმურაზის მომხრეებმა ეს ამბავი [მეფეს] აცნობეს. იმ დროს მას [თეიმურაზს] ძალა არ შესწევდა წინააღმდეგობის გაწევისა და ბრძოლისა, თავის სადგომიდან დაიძრა და სხვა მხარეს გაეჩქარა. ხელსაყრელი დრო შეარჩია და იმ მცირერიცხოვანი ლაშქრით, რომელიც შეეგროვებინა მოურავზე გაილაშქრა. ამ ორ ჯარს შორის ძლიერი ომი მოხდა. თეიმურაზმა გაიმარჯვა, მოურავი დამარცხდა (ფუთურიძე 1969: 139).

მიუხედავად წყაროთა ასეთი ნათელი ჩვენებისა, ისტორიკოსმა გივი ჯამბურიამ ბაბალეთის ბრძოლის ისტორიის განხილვისას ცალსახად თეიმურაზ I გააკრიტიკა. მისი აზრით:

> სააკაძის საქმიანობა და მისი ასეთი განდიდება არ მოსწონდა პატივმოყვარე თეიმურაზს. დიდ უბედურებასა და მრავალ გაჭირვებაში გამოვლილი მეფე (კახეთის აოხრება, უცხოობაში წანწალი, დედისა და შვილების დახოცვა და სხვა მრავალი) უაღრესად უნდო და ეჭვიანი გამხდარიყო. ასეთ ვითარებაში სააკაძის მოწინააღმდეგე თავადებმა შეძლეს თეიმურაზ მეფესა და დიდ მოურავს შორის განხეთქილების ჩამოგდება და მალე საბოლოოდაც გაწყდა ურთიერთობა (დუმბაძე 1973: 289; ჯამბურია 2011: 247).

გაუგებარია, რატომ უნდა მოსწონებოდა თეიმურაზ მეფეს განკერძოების და ურჩობის გზაზე დამდგარი ქვეშევრდომის განდიდება? მითუმეტეს თავად გივი ჯამბურიაც აღიარებს, რომ სააკაძე: „ქვეყნის ფაქტიური მმართველი გახდა ...ოსმალეთის სულთანი კი მას „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანს" უწოდებდა და ელჩებსაც მას უგზავნიდა" (დუმბაძე 1973: 289). როგორც ნოდარ ნაკაშიძე სამართლიანად შენიშნავს:

> ამ ვითარებას ვერ შეეგუა თეიმურაზი, რომელიც „ბაგრატიონობით" კახეთისა და ქართლის კანონიერ

მეფედ თვლიდა თავს და, ალბათ, სამართლიანადაც. ამ მიზეზით იყო გამოწვეული თეიმურაზ-სააკაძის კონფლიქტი (და არა იმიტომ, როგორც „ნარკვევები" გვარწმუნებენ, რომ თეიმურაზი „უაღრესად უნდო და ეჭვიანი გამხდარიყო") (ნაკაშიძე 1977: 95).

მართლაც, რა შუაშია აქ „პატივმოყვარეობა"? ნუთუ ღვთივკურთხეულ, ბაგრატიონ მეფეს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა, არ ჰქონდა ყოველნაირი მორალური და იურიდიული უფლება, უფრო მეტიც, –პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რომ ურჩი ფეოდალის ასეთი საქციელი აღეკვეთა? ან რა შუაშია ეჭვიანობა, ან სააკაძის მოწინააღმდეგე ფეოდალების დაბეზღება რაღა საჭირო იყო, როცა ყველაფერი ისედაც დღესავით ნათელი გახლდათ (მეფე სააკაძის მიერ ქართლიდან არის გაძევებული, ქართლის ჯარს სააკაძე აკონტროლებს, საკუთარ სახელზე ფულს ჭრის და ოსმალეთის სულთანთან დამოუკიდებლად ამყარებს დიპლომატიურ კონტაქტებს). სამწუხაროდ, პატივცემული მკვლევარი მარტო ამ კრიტიკით არ დაკმაყოფილებულა. მისი აზრით:

მას შემდეგ, რაც სააკაძე დარწმუნდა, რომ თეიმურაზი არ იყო ის კაცი, რომლის საშუალებითაც იგი მთელი საქართველოს გაერთიანებას შეძლებდა, საბოლოოდ გული აიყარა მასზე და ორიენტაცია იმერეთის მეფის მემკვიდრე ალექსანდრეზე აიღო. გადამწყვეტი მომენტი დადგა: სააკაძე სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა საქართველოს გაერთიანების იდეას, რომელიც მთელი მისი ცხოვრების მიზანი იყო, ან კიდევ ძმათა შორის სისხლი უნდა დაეღვარა და საქართველო ამ გზით გაეერთიანებინა (დუმბაძე 1973: 289-290).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დაუსაბუთებელი მოსაზრება, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში გიორგი სააკაძესთან დაკავშირებით გამოითქვა, არის ის, რომ თითქოს ეს უკანასკნელი საქართველოს გაერთიანების იდეით იყო შეპყრობილი და მისი განხორციელებისათვის იბრძოდა. როგორც ისტორიკოსი ნოდარ ნაკაშიძე ხაზგასმით აღნიშნავს, ჩვენ: „არც ერთი საბუთი არ გაგვაჩნია დასამტკიცებლად იმისა, რომ გ. სააკაძე აზნაურობაზე დაყრდნობით საქართველოს გაერთიანებისაკენ მიისწრაფვოდა" (ნაკაშიძე 1977: 95-96). ასევე, თამაზ ნატროშვილის სამართლიანი შენიშვნით:

ამტკიცებენ ხოლმე, დიდ მოურავს საქართველოს გაერთიანება ეწადაო. ეს დებულება სტალინის მიერ არის ნაკარნახევი (სიჭაბუკეში წაკითხული ანტონ ფურცელაძის აპოლოგეტური თხზულების გავლენით), მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ისევ და ისევ იმეორებენ, ამ დებულებას წყალი არ გაუვაო (ნატროშვილი 2013: 44).

გივი ჯამბურიას აზრით, თუ სააკაძე ბაზალეთის ბრძოლაში:

თეიმურაზზე გაიმარჯვებდა, მაშინ ალექსანდრე ქართლ-კახეთის მეფე და იმერეთის ტახტის მემკვიდრე იქნებოდა. გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ კი (იქნებ მანამდეც) იმერეთიც ქართლ-კახეთს შეუერთდებოდა. ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული სამი სამეფო კი გამდგარ სამთავროებსაც ადვილად შეიერთებდა და საქართველო აღდგებოდა (დუმბაძე 1973: 290).

გარდა იმისა, რომ ამასიის ზავიდან გამომდინარე (რომლის მიხედვითაც ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანს, დასავლეთ საქართველო კი ოსმალეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა), ირანი არ შეეგუებოდა ოსმალეთის გავლენის გავრცელებას აღმოსავლეთ საქართველოზე, ხომ ფაქტია, რომ იმერელ ბაგრატიონს არც ქართლელი და არც კახელი დიდებულები არ მიიღებდნენ. ქართლს რომ თავი დავანებოთ, კახეთში ხომ თეიმურაზი თუნდაც ბაზალეთის ბრძოლაში დამარცხებულიყო, მეფობაზე ხელს მაინც არ აიღებდა და ბრძოლას გააგრძელებდა. გასაკვირია, როგორ უნდა მივიჩნიოთ გიორგი სააკაძე საქართველოს გაერთიანებისთვის მებრძოლად, როდესაც მარტყოფის ბრძოლის შემდეგ სწორედ მისი ინიციატივით დაიშალა გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო: ჯერ იყო და თეიმურაზი გააძევა ქართლიდან, შემდეგ იმისათვის რომ თეიმურაზს ქართლის ტახტზე ხელი აეღო, მუხრანბატონი (როგორც ქართლელი ბაგრატიონების უმცროსი შტოს წარმომადგენელი) წამოსწია წინ და მეფეს დაუპირისპირა. როგორც თამაზ ნატროშვილი აღნიშნავს:

საქართველოს გაერთიანება ეწადაო ...და ამ იდეის განხორციელება იმით დაიწყო, რომ ბაზალეთში ერთმანეთს შეატაკა ქართლისა და კახეთის მკვიდრნი. უფრო მეტიც, ერთი ქართლი მეორეს

დაუპირისპირა ანუ მუხრან-ბატონისა და ქართლის სხვა ფეოდალთა ჯარი – თეიმურაზ მეფის მხარეზე მყოფი ზურაბ ერისთავისა და იოთამ ამილახორის ჯარს (ნატროშვილი 2013: 44).

მას შემდეგ, რაც ქართლის მეფე ლუარსაბ II უძეოდ გადაეგო, ყველაზე დიდი ლეგიტიაცია ქართლის ტახტზე სწორედ თეიმურაზ პირველს ჰქონდა. ცხადია საქართველოს გაერთიანების მომხრე ფეოდალი ასეთ კანდიდატს ბრძოლას კი არ დაუწყებდა და ქართლიდან კი არ გააძევებდა, არამედ გვერდით დაუდგებოდა ქართლში პოზიციების გამყარების საკითხში (კახეთში ისედაც მყარი იყო მისი პოზიციები). ვერ გავიზიარებთ გივი ჯამბურიას მოსაზრებას თითქოს თეიმურაზი არ იყო შესაფერისი კანდიდატურა ერთიანი საქართველოსთვის და სააკაძემ ამიტომ აიყარა გული მასზე. თეიმურაზ პირველი არაფერს ისე არ ესწრაფოდა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებას. სწორედაც რომ თეიმურაზი მიაჩნდათ აღმოსავლეთ საქართველოს პროგრესულ ძალებს ქართლ-კახეთის ერთ-ერთ გამაერთიანებელ ძალად, ამას შემდეგი გარემოებაც მეტყველებს: როგორც ცნობილია, თეიმურაზს ცოლად ჰყავდა ქართლის მეფის ლუარსაბ მეორის და ხორეშანი. ვინაიდან ისინი ახლო ნათესავები იყვნენ, მათ შორის ქორწინება არა შეიძლებოდა, მაგრამ ფარსადან გორგიჯანიძის თქმით: „კრება უქნიათ ამაზედ, რომ დაძმათ შვილისშვილები ერთმანერთს ვით შერთონ. ასრე არჩივეს საქრისტიანოს გაერთებისა და გაძლიერებისათვის, მერჯულეთ ნება დართვეს“ (კაკაბაძე 1925: 228). უფრო მეტიც, თუ ყურადღებით დავაკვირდებით იმ პერიოდის მოვლენებს, დავინახავთ, რომ სააკაძის მხრიდან ბაზალეთის ბრძოლის გამართვის ერთ-ერთი მოტივი, თეიმურაზის მიერ ქართლ-კახეთის ხელახალი გაერთიანების და აღმოსავლეთ საქართველოში ერთიანი, ძლიერი სამეფო ხელისუფლების ჩამოყალიბების შიში იყო. როგორც ცნობილია, 1626 წელს შაჰ-აბასსა და თეიმურაზ პირველს შორის საზავო მოლაპარაკება გაიმართა. ზავის ინიციატორი ირანის მრისხანე დამპყრობელი იყო. მან ალავერდი ხან უნდილაძის უმცროსი ვაჟი დაუდ ხანი გამოგზავნა მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკების შედეგი იყო ე. წ. კომპრომისი ირანსა და თეიმურაზს შორის. თეიმურაზ პირველმა გარეგნულად და ფორმალურად აღიარა ირანის შაჰის ვასალობა ანუ ისქანდერ მუნშის სიტყვებით: „თურქული სამოსელი გამოიცვალა და ყიზილბაშური ჩაიცვა“. სამაგიეროდ, შაჰ-აბასი ოფიციალურად აღიარებდა თეიმურაზ პირველს ქრისტიანული წესით ქართლ-კახეთის მეფედ. ცხადია, ეს თეიმურაზ მეფის და ზოგადად ქართველი ერის დიდი გამარჯვება იყო. ირანის მრისხანე ლომი, რომლის მიზანიც ქართლ-კახეთის სამეფოების ყიზილბაშურ სახანოდ გადაქცევა, მოსახლეობის გამაჰმადიანება ან აყრა გადასახლება იყო, ხელს იღებდა თავის გეგმებზე. თამაზ ნატროშვილს მოჰყავს ირანში მყოფი ინგლისელი აგენტის ცნობა, რომელსაც იგი ოსტ-ინდოეთის კომპანიას უგზავნის: „საქართველოში მღელვარება არაა მოსალოდნელი, ვინაიდან შირაზის ხანის ძმამ ისინი დააშოშმინაო“. აღნიშნული ცნობა 1626 წლის 19 მაისით არის დათარიღებული და როგორც პატივცემული მკვლევარი შენიშნავს: „მიგვითითებს, რომ თეიმურაზ პირველის მორიგება სეფიანთა ხელისუფლებასთან წინ უსწრებდა ბაზალეთის ომს, რომელიც იმავე წლის შემოდგომაზე მოხდა“ (ნატროშვილი 2013: 42). რა თქმა უნდა, გიორგი სააკაძისათვის რთული მისახვედრი არ იქნებოდა, რომ თეიმურაზი, რომლის პოზიციებიც ამ აღიარების შემდეგ ქართლში საგრძნობლად გამყარდა, მის პარტიკულარისტულ გამოხდომებს ვეღარ მოითმენდა და მთელი ძალებით შეეცდებოდა დარღვეული ქართლ-კახეთის ერთიანობის აღდგენას. ამიტომ იყო რომ, დიდი მოურავი დატრიალდა და თუ ოსმალეთიდან და თუ დასავლეთ საქართველოდან მოყვანილი ჯარით გადამწყვეტი იერიში მიიტანა ქართლ-კახეთის კანონიერი მეფის წინააღმდეგ. ასე რომ, თუ გვსურს სიმართლე ვიცოდეთ ბაზალეთის ბრძოლის შესახებ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო ბრძოლა ქართლ-კახეთის კანონიერ გვირგვინოსანსა და მის წინააღმდეგ ამხედრებულ ფეოდალს შორის. ეს ისეთივე ტიპის მოვლენაა, როგორიც იყო ბრძოლა ბაგრატ მეოთხესა და მის ურჩ ყმას ლიპარიტ IV-ს შორის, დავით აღმაშენებელსა და ლიპარიტ V-ს შორის ან თუნდაც იგივე თეიმურაზსა და ზურაბ არაგვის ერისთავს შორის. ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვის მხარესაა ასეთი სახის ბრძოლებში სახელმწიფოებრივი, იურიდიული თუ მორალური თვალსაზრისით სიმართლე.

ვინაიდან სააკაძის მომხრე ისტორიკოსები ყველაზე მეტ ნდობას არჩილ მეფესა და იოსებ

თბილელს უცხადებენ, გვინდა სპეციალურად მათ ცნობებზე შევჩერდეთ. არჩილის (ისევე როგორც ბერი ეგნატაშვილის) აზრით, ბაზალეთის ბრძოლას წინ უძღოდა ქართლში სააკაძის დიქტატურის დამყარება. ჩვენ ბერი ეგნატაშვილის ცნობიდან დავინახეთ, რომ ქართლის დიდი ფეოდალები და თვით მისი ცოლის ძმა ზურაბ არაგვის ერისთავიც ყმურად მონებდნენ და „ქეშიკში უწვებოდნენ" სააკაძეს. იგივეს ადასტურებს მეფე პოეტი არჩილიც:

მოურავი უფროსობდა მასზედა და ქართველთაზე,
თუ ეტყოდა, დასხდებოდნენ, თვარ იდგნიან სულ ყველა ზე.
ქეშიკშიგაც უწვებოდეს თავითაც და სხვა შუაზე.
ვინც შესცოდის, ყველამ უთხრის: დაჰკარგეო გალალა ზე (ბარამიძე 1989: 461).

არჩილის აზრით, ასეთმა დამოკიდებულებამ დიდი თავადების უკურეაქცია და საბოლოო ჯამში ქართლში ფეოდალური ანარქია გამოიწვია:

ზურაბ და შიოშის-შვილი იყვნეს სიძე-ცოლის ძმანი,
გაეზარდა მოურავსა, ყოფილიყვნეს ვით მამანი.
აწ დაქიშპდეს უსაზომოდ, შუა დასვეს მათ სამანი,
დაემტერნეს ერთმანეთსა, აღარ მისცეს წამსა მანი (ბარამიძე 1989: 460).

არჩილიც ადასტურებს, რომ სააკაძემ თეიმურაზ პირველი ფაქტობრივად ქართლიდან გააძევა, რასაც მეფე ძალიან განიცდიდა. ასევე, არჩილი ხაზს უსვამს გიორგი სააკაძის საკმაოდ მედიდურ მიმართვებს მეფის მიმართ, რაც შუა საუკუნეების ქართული მორალისათვის მიუღებელი იყო და აშკარაა, რომ არც მეფე-პოეტს მოსწონს, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არჩილი (აშკარად იოსებ თბილელის გავლენით) აქვე გიორგი სააკაძის პოზიციასაც ახმიანებს:

რას უშველა, გარდიკიდნენ, მე ზურაბსა მიმიყენა,
სულ ქართველნი შემომძარცვა, ერთიც აღარ მომიყენა;
ზურაბს უთხრა: „შინ წაბძანდი, ამ სიტყვასა ნუ მიწყენა".
პირველ იგი გაისტუმრა და მეც უკან წამიყენა.
მე ეს მითხრა: „ღმერთმან იცის, ქართლი მოგეც, ჩემი თავიც,
მაგრა რა ვჰქნა, არ განდომეს ჩემი თავი, მით ვარ ავიც;
მაგით თავსა ვერ მოვიკლავ, ან გულს დანა როგორ დავიც?
თქვენც წაბძანდი ზურაბთანა, იქიც მოვალ, მითქვამს დავიც".
აღარ იყო გაცლის მეტი ღონე, სხვა რა მომეღონა?
გავეცალე ჯავრით სავსე, მისმა საქმემ დამაღონა.
მიველ დუშეთს ზურაბისას, იმანც თავი მომაწონა,
მითხრა; „ნახავ, ხელმწიფეო, მათ ყველაზე არ მოწონა?" (ბარამიძე 1989: 461).

სააკაძის მომხრე ისტორიკოსები თეიმურაზ პირველს საყვედურობენ, რომ თითქოს მას სააკაძის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ არჩილის მიხედვით, ეს ყველაფერი პირიქით მოხდა, სააკაძემ გაიმეტა მეფე მოსაკლავად: „მოვიდა დუშეთს მოგვიხდა ქართველთ და სხვას ამ ჯარითა,/ საკვდავად გამოგვიმეტა გულითა", საომარითა". ბაზალეთის ბრძოლაში არჩილი მორალური თვალსაზრისით ცალსახად მეფის მხარესაა: „უთხარ ზურაბს და ჩემს კახთა: „ერთს ომად თქვენცა ჰკმარითა,/მე ჩემი ქრისტე შემწედ მყავს, არ ვიბრძვი მე ომარითა" (ბარამიძე 1989: 460-462).

გიორგი სააკაძის მომხრეების ყველაზე დიდი ნდობით იოსებ სააკაძის (თბილელის) პოემა „დიდმოურავიანი" სარგებლობს და ეს გასაგებიცაა: იოსები გიორგი სააკაძის ძმის შვილიშვილი გახლდათ, ავტორმა თავი ვერ დააღწია ნათესაურ გავლენას და მიუკერძოებელი ნაშრომის ნაცვლად მისი წინაპრის პანეგირიკი შემოგვთავაზა.[3] პოემის სიუჟეტი მოკლედ ასეთია: გიორგი სააკაძესთან მოდის სამი პიროვნება და საიდუმლოდ მოახსენებს, რომ მას მეფე მოკვლას უპირებს. განცვიფრებული სააკაძე მროველ ეპისკოპოსს დომენტი ავალიშვილს მიუგზავნის თეიმურაზს იმის გასარკვევად თუ რა დანაშაულის გამო უწყრება მას მეფე. ეპისკოპოსი მოურავს დამაიმედებელ პასუხს მოუტანს: „მეფემ ბრძანა „ეგე საქმე არ გავლია ჩემსა გულსა,/ ვინ მოგკლევდა, რასა ჰქვიან, მომდგომსა და ჩემს ერდგულსა" (ბარამიძე 1989: 595). გაკვირვებული მეფე სააკაძეს თხოვს იმ პირების დასახელებას, ვინც ეს ინფორმაცია მიუტანა, მაგრამ მოურავი იმ მიზეზით რომ ფიცი აქვს მიცემული,

მეფეს ამაზე უარს ეუბნება. მოენეები მაინც არ ისვენებენ და სააკაძეს აფრთხილებენ, რომ მეფე მას უეჭველად მოკვლას უპირებს და მიზეზსაც უსახელებენ: ლუარსაბის სიკვდილში მონაწილეობას გაბრალებსო. მოურავი ისევ გზავნის მეფესთან დომენტი ავალიშვილს, თურმე ლუარსაბის სიხლს მედავებითო. თეიმურაზ პირველი მას ასეთ პასუხს აძლევს: მართალია: „ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია“, მაგრამ „მე მის სისხლს არ ვეძებ, შენ იყავ შენთვის მჯდომარე“. მიუხედავად ასეთი პასუხისა, სააკაძე დაასკვნის, რომ მეფე მასზე გამწყრალია[4] და იწყებს ქართლ-კახეთის წინაშე მისი დამსახურებების ჩამოთვლას, რასაც პოემის უდიდესი ნაწილი უჭირავს. მეფე ყველაფერში ეთანხმება სააკაძეს:

> მეფემ შესთვალა: რაც გითქვამს, სრულ მართალია ყოველი,
> მაშინვე გითხარ ფიცითა, როს მოგეგზავნა მროველი,
> არც არას სისხლსა გადევებ, არც რას ავს შენგან მოველი,
> თავდებათ მოგცე, არ მოგკლა, უცილოდ ძელიცხოველი (ბარამიძე 1989: 642).

მიუხედავად ამისა, ამ სტრიქონებს ასეთი მოულოდნელი სტროფი მოსდევს:

> აღარად მოჰხდა, არ იქნა შეწება, ცუდად რიგება,
> გაყრა შეექმნათ, ვეღარ ქნეს ერთად სიტყვისა მიგება,
> რა მოიშალა, ვინ იცის, რა წყობა რა გარიგება?
> ვინ მოაშორვა, მის გულსა ლახვარიმც ადრე იგება (ბარამიძე 1989: 642).

როგორც ვხედავთ, მკითხველი გაურკვეველ მდგომარეობაში რჩება. თითქოს ის რაც სააკაძეს აწუხებს (რომ მას მოკვლას უპირებენ) მოგვარებულია, მეფე ყველაზე დიდ ქრისტიანულ სიწმინდეს „ძელიცხოველს“ ასახელებს თავდებად, რომ მოურავს არაფერს დაუშავებს. აბა რატომ ვერ მორიგდნენ? რატომ „შეექმნათ გაყრა“? ამ შეკითხვაზე პოემაში პირდაპირ პასუხს ვერ ნახავთ. თუმცა თუ დავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ავტორი განგებ აბუნდოვანებს სიუჟეტს იმისთვის, რათა საქმის ნამდვილი ვითარება დამალოს. როგორც ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილი არაერთი წყარო ცალსახად ამბობს: ბაზალეთის კონფლიქტის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ სააკაძე თეიმურაზ პირველს ქართლს ეცილებოდა. ქრისტიანმა ეპისკოპოსმა კარგად იცის, რომ ფეოდალურ ეპოქაში მირონცხებული გვირგვინოსანი მეფის წინააღმდეგ ბრძოლა დიდ დანაშაულად და ერის ღალატად ითვლებოდა. ამიტომ ის ყოველნაირად ცდილობს სულ სხვა საბურვლით შემოსოს კონფლიქტის მთავარი არსი.[5] მიუხედავად ამისა, იოსებ თბილელის კალამს დრო და დრო მაინც დასცდება სიმართლე ბაზალეთის ბრძოლის მიზეზებზე. მაგალითად, როდესაც სააკაძე ენის მიმტან პირებს ეკითხება თუ რას ედავება მას თეიმურაზი, ისინი გარდა ლუარსაბის სისხლისა შემდეგ გარემოებას ასახელებენ: „კვლავ მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორს ველად,/ თავს არ გვიდებს საპატრონყმოდ, წყალობისა არ მადლმხდელად“ (ბარამიძე 1989: 594). ასევე იოსებ თბილელი გიორგი სააკაძეს ათქმევინებს:

> გიორგი ქავთარიშვილი სიტყვა-პასუხის მთქმელია,
> ხვანთქართან ამად გავგზავნე: თქვენ იყავ ჩვენი მშველია.
> [...]მეფემან პირად არ ბრძანა, გულშიგან შექმნა წყენანი:
> „როდესაც არის, იქნების ამის სისხლისა დენანი,
> მე – მეფე, ამას – სახელი, ხვანთქართან თავის ჩენანი,
> ქართველთა ასრე დახვევა, ზოგთ ზავთით შესაშენანი (ბარამიძე 1989:634).

ვერ გავიზიარებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ბაზალეთის ბრძოლა ირანული და ოსმალური ორიენტაციებით იყო განპირობებული და ირან-ოსმალეთის დაპირისპირების ანარეკლს წარმოადგენდა. მიხეილ სვანიძის აზრით:

> შაჰ-აბასმა, თეიმურაზ მეფესთან შერიგების შედეგად, ფაქტიურად თეიმურაზი გიორგი სააკაძეს დაუპირისპირა, ამას კი მოჰყვა საბოლოო განხეთქილება თეიმურაზსა და სააკაძეს შორის. ქართულ ისტორიოგრაფიაში თეიმურაზ მეფისა და გიორგი სააკაძის კონფლიქტს უმთავრესად ქართველი ფეოდალების ინტრიგებს მიაწერენ, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ სააკაძის ესოდენ განდიდებას. ჩვენი აზრით, სინამდვილეში ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შაჰ-აბასს მიუძღვის, რომელმაც მოხერხებულად გამოიყენა ქართველ მეფე-მთავრებს შორის არსებული ქიშპი (სვანიძე 1971: 287).

ვალერიან გაბაშვილს მიაჩნია, რომ:

> შაჰი ახლაც ქართული ფეოდალური ძალების დაქსაქსვის ნაცად გზას დაადგა. ოსმალეთის იზოლაციის განზრახვა (თეიმურაზ-სააკაძის ბრძოლაში) შაჰს უკარნახებდა კომპრომისის გზას დასდგომოდა და „გურჯისტანის საკითხში“ ის დაეთმო, რასაც იგი 1614-1624 წწ. არას გზით არ სთმობდა (გაბაშვილი 1958: 361).

თამაზ ნატროშვილის აზრითაც: „ბაზალეთის ომი არ ყოფილა სამოქალაქო ომი ანუ იდეათა შეჯახების ასპარეზი. ჩვენდა სავალალოდ, ეს იყო ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომების მეორეხარისხოვანი ეპიზოდი, სცენის კულისებში რომ გათამაშდა“ (ნატროშვილი 2013: 44).

ცხადია, ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიც თეიმურაზ პირველისა და გიორგი სააკაძის დაპირისპირება იყო, ყურადღებით აკვირდებოდა როგორც ირანი, ასევე ოსმალეთი და, რა თქმა უნდა, ორივე მხარე ეცდებოდა თავის სასარგებლო მიმართულება მიეცა ამ პროცესისათვის, ისევე როგორც სააკაძე ან თეიმურაზი ეცდებოდა ირანული და ოსმალური ფაქტორები თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ, მაგრამ ეს ყოველივე სულაც არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ბაზალეთის ბრძოლა თეიმურაზის ირანული, ან სააკაძის ოსმალური ორიენტაციით იყო გამოწვეული. ჩვენ ზემოთ მრავალრიცხოვან წყაროებზე დაყრდნობით შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ეს დაპირისპირება ქართლში შექმნილი ანომალიური მდგომარეობით იყო გამოწვეული: ერთ მხარეზე იყო სააკაძე, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ქართლში რეალური ძალაუფლების შენარჩუნება. ამისათვის მას ქართლის ტახტზე ესაჭიროებოდა მარიონეტი მმართველი, რომელიც მის ჭკუაზე ივლიდა. ცხადია, თეიმურაზი ასეთ კანდიდატად ვერ გამოდგებოდა. როსტომ ჩხეიძის მართებული შენიშვნით: „თეიმურაზ I შაჰ-აბასს არ დამორჩილებია და სააკაძეს როგორ დაუდგებოდა ყმად“ (ჩხეიძე 2012: 20). ამიტომ სააკაძემ იგი ქართლიდან გააძევა. მეორე მხრივ, იყო თეიმურაზ I, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ქართლზე თავისი კანონიერი სამეფო ძალაუფლების აღდგენას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას მისგან ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა. აი, ამ ინტერესთა კონფლიქტით იყო განპირობებული უმთავრესად ბაზალეთის ბრძოლა და ირანი და ოსმალეთი საერთოდ რომ არ არსებულიყო, ასეთი მოცემულობის შემთხვევაში ბაზალეთის ბრძოლა მაინც მოხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის ორტომეულში, ასევე 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის ოთხტომეულში, გივი ჯამბურიამ, რომელიც ამ მონოგრაფიების ერთ-ერთი თანაავტორი და ჩვენთვის საინტერესო ისტორიული პერიოდის ავტორი გახლდათ, მკვეთრად შეამცირა თეიმურაზ პირველის მიმართ თავისი ადრინდელი კრიტიკული გამონათქვამები. მაგალითად, ბაზალეთის ბრძოლის გამომწვევი მიზეზები აქ ასეა ახსნილი: „სააკაძის საქმიანობა და მისი განდიდება არ მოსწონდათ ქართლის დიდ თავადებს. მათ შეძლეს თეიმურაზ მეფესა და დიდ მოურავს შორის განხეთქილების ჩამოგდება, რასაც ბაზალეთის შინაომი მოჰყვა (ასათიანი, ჯამბურია 2008: 188); (მუსხელიშვილი და *სხვები* 2012: 161). როგორც ვხედავთ, აქ აღარ არის საუბარი თეიმურაზის პატივმოყვარეობასა და ეჭვიანობაზე. მიუხედავად ამისა, მკვლევრის მიერ საქართველოს ისტორიის ნარკვევებში გამოთქმული კრიტიკული შეფასებები გმირი მეფის მისამართით დღემდე ვრცელდება საქართველოს ისტორიის შემაჯამებელ მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებსა თუ ცალკეულ ნაშრომებში. ხშირად მათ სიტყვა-სიტყვით გადაიწერენ ხოლმე. მაგალითად, პირდაპირ ციტატები აქვს გადატანილი მიხეილ რეხვიაშვილს 2000 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში (რეხვიაშვილი, რეხვიაშვილი 2000: 542-544). ასეთივე მდგომარეობაა 2011 წელს, კახა შენგელიას ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში (შენგელია 2011: 170), იგივე გაიმეორა თენგიზ წოწკოლაურმა 2017 წელს გამოცემულ ნაშრომში (წოწკოლაური 2017: 478-480). ანალოგიურ მდგომარეობას ვხედავთ დევი კაჭარავასთან (კაჭარავა 1996: 180-181). ასევე ცისანა აბულაძის მიერ მომზადებულ ინტერნეტსტატიაში (აბულაძე). ასეთი ნაშრომების დასახელება კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ალბათ მაგალითისათვის საკმარისია.

განსაკუთრებით სამწუხაროა, როდესაც სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის უსაფუძვლო კრიტიკა საბავშვო ლიტერატურაშიც გვხვდება. 2016 წელს დაბეჭდილ საქართველოს

ილუსტრირებული ისტორიის ერთ-ერთ სერიაში, ვკითხულობთ:

> გიორგი სააკაძისა და მისი მომხრეების თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ქართლ-კახეთი გაერთიანდა და მის ტახტზე თეიმურაზ მეფე ავიდა. სააკაძის ავტორიტეტი და გავლენა ძალიან გაიზარდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, გიორგის ასეთი განდიდება არ მოსწონდა პატივმოყვარე და ეჭვიან თეიმურაზს. გიორგის საქმიანობით უკმაყოფილონი იყვნენ ქართველი დიდებულებიც. ასეთ ვითარებაში სააკაძის მოწინააღმდეგე თავადებმა შეძლეს თეიმურაზ მეფესა და დიდ მოურავს შორის განხეთქილების ჩამოგდება. ამ საქმეში შაჰ აბასის ხელიც ერია [...] სააკაძის წარმატებით უკმაყოფილო შეშფოთებული შაჰი თავისი კაცების საშუალებით მეფე თეიმურაზ I-ს გიორგი სააკაძის წინააღმდეგ აქეზებდა. კიდევ ერთხელ მოეწყო სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულება. თეიმურაზ მეფემ სააკაძის მოკვლა გადაწყვიტა [...] სააკაძე დამარცხდა, საქართველოს გაერთიანების საქმე ჩაიშალა. [...] ბაზალეთის ომი ქართველი ხალხის ტრაგედია იყო არა მარტო იმიტომ, რომ აქ ძმებმა ერთმანეთის სისხლი დაღვარეს, არამედ იმიტომაც, რომ ამ ომმა საქართველოს გაერთიანების საქმე სამუდამოდ დაასამარა (ბაინდურაშვილი 2016: 42-43).

როგორც ვხედავთ, მკვლევარმა გივი ჯამბურიას მიერ თეიმურაზ პირველისადმი გამოთქმული ბრალდებები თითქმის სიტყვა-სიტყვით შეიტანა საყმანვილო-ისტორიულ ლიტერატურაში.

სამწუხაროდ, ასეთმა ტენდენციურმა დამოკიდებულებამ გმირი მეფის მიმართ გამოიწვია ის, რომ დღეს ჩვენ სათანადოდ არა გვაქვს შესწავლილი და წარმოჩენილი ის ფასდაუდებელი ღვაწლი, რაც თეიმურაზ პირველს მიუძღვის XVII საუკუნეში ირანის სამხედრო და იდეოლოგიური აგრესიისგან აღმოსავლეთ საქართველოს გადარჩენის თვალსაზრისით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ სამშობლო ვალშია მისი ღირსეული შვილის მიმართ, ამ ხარვეზის გამოსწორება კი, ვფიქრობთ, საშური და გადაუდებელი საქმეა.

შენიშვნები

[1] ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ: (ჩხეიძე 2012);(ყორანაშვილი 2017)

[2] მაგალითად მ. რეხვიაშვილი პირდაპირ აღნიშნავს, რომ: „ბაზალეთის ომში რეაქციულმა ძალებმა გაიმარჯვეს, დამარცხდა პროგრესულად მოაზროვნე ქართველობა“ (რეხვიაშვილი, რეხვიაშვილი 2000: 544). ასევე ლ. სანიკიძეც აცხადებს, რომ ბაზალეთში თურმე თეიმურაზ მეფემ „საქართველო დაამარცხა“ (სანიკიძე 1988: 218) სამწუხაროდ, ამ ნაშრომებში თეიმურაზ მეფის მიმართ ასეთი დაუსაბუთებელი კრიტიკა მრავლად გვხვდება.

[3] ცხადია, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ პოემას დიდი მნიშვნელობა არა აქვს საქართველოს ისტორიის შესაბამისი პერიოდის კვლევისათვის. იოსებ თბილელი თანამედროვეა აღწერილი მოვლენებისა და ბევრ საინტერესო ინფორმაციასაც გვაწვდის, მაგრამ სააკაძის ავკარგიანობის შეფასებისას, ვფიქრობთ, ზემოდასახელებული ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია.

[4] სააკაძის პანეგირისტი ისტორიკოსები გაცილებით შორს მიდიან და სწორედ პოემის ამ ადგილზე დაყრდნობით გამოაქვთ „უეჭველი დასკვნა“, რომ თურმე თეიმურაზ პირველს სააკაძის მოკვლა გადაწყვეტილი ჰქონდა.

[5] მაგალითად ზურაბ არაგვის ერისთავსა და გიორგი სააკაძის კონფლიქტს იოსებ თბილელი ასე ხსნის: „ზურაბს ეთქვა; მოყვარეც ხარ, მერმე კარგი ამხანაგი,/ ჩვენსა შუა არ ყოფილა წყენა რამე, ერთი დანგი,/ მაგრამ ბატონს მოვდგომივარ, რაც რომ ძალმიც, მე ვარ მარგი,/ მზის მამას რომ არ უშველო, მე რას მეტყვის პირი მანგი“ (ბარამიძე 1989: 645). ამრიგად, როგორც ვხედავთ, იოსებ თბილელი ზურაბის სააკაძესთან დაპირისპირებას ამ უკანასკნელის თეიმურაზ მეფის სიძობით ხსნის, მაშინ როცა ყველა დანარჩენი წყარო ხაზს უსვამს, რომ ზურაბ არაგვის ერისთავმა და სააკაძემ ქართლში ძალაუფლება ვერ გაიყვეს და ამიტომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

დამოწმებანი

აბულაძე: ც. აბულაძე. *გიორგი სააკაძე*, ვებგვერდი: https://qim.ge/giorgi%20saakadze.html , (ნანახია 18/12/2021).

ასათიანი, ჯამბურია 2008: *საქართველოს ისტორია*, ტ. II, (XIII-XVIII სს), ნ. ასათიანის და გ. ჯამბურიას რედაქციით, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბაინდურაშვილი 2016: ხ. ბაინდურაშვილი. *გიორგი სააკაძე*, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 18, თბილისი, პალიტრა L.

ბარამიძე 1989: *ქართული მწერლობა*, ტ. 6, თბილისი, ნაკადული.

გაბაშვილი 1958: ვ. გაბაშვილი. *ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს.* თბილისი, 1958.

დუმბაძე 1973: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, რედაქტორი მ. დუმბაძე, ტ. 4, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

კაკაბაძე 1925: ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, *საისტორიო მოამბე*, წ. II, ტფილისი.

კაჭარავა 1996: დ. კაჭარავა. გიორგი სააკაძის დიპლომატიური მოღვაწეობიდან, *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მუსხელიშვილი და სხვები: *საქართველოს ისტორია*, ტ. III, ლაშა-გიორგის მეფობიდან საქართველოს ანექსიამდე, თბილისი, პალიტრა L.

ნაკაშიძე 1977: ნ. ნაკაშიძე. *წიწამურიდან ბახტრიონამდე*, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

ნატროშვილი 2013: თ. ნატროშვილი. მამაცი და უბედური მეფე, *ჩვენი მწერლობა*, 2013, №18, თბილისი, ომეგა თეგი.

რეხვიაშვილი, რეხვიაშვილი 2000: მ. რეხვიაშვილი. ნ. რეხვიაშვილი. *საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან-XX ს-ის 30-იან წლებამდე)*, ქუთაისი, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი.

სანიკიძე 1988: ლ. სანიკიძე. *გიორგი სააკაძე*, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სვანიძე 1971: მ. სვანიძე. *საქართველო-ოსმაღეთის უთითეთობების ისტორიიდან, XVI-XVII სს.* თბილისი, მეცნიერება.

სურგულაძე 1996 : ა. სურგულაძე. *დიახ სტალინს ახსოვდა საქართველო*, ბათუმი, ბათუმის №1 სტამბა.

ტაბაღუა 1986: ი. ტაბაღუა. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*, II, თბილისი, მეცნიერება.

ფუთურიძე 1969: *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბილისი, მეცნიერება.

ყაუხჩიშვილი 1959: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბილისი, სახელგამი.

ყაუხჩიშვილი 1973: ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამოფოისა საქართველოისა, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი IV, თბილისი, სახელგამი.

ყორანაშვილი 2017: გ. ყორანაშვილი. *ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა*, თბილისი, არტანუჯი.

შენგელია 1960: ნ. შენგელია. თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ, *მსკი*, ნაკვ. 33.

შენგელია 2011: კ. შენგელია. *საქართველოს ისტორია უძველესი ქრონიდან თანამედროვეობის ჩათვლით*, თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩხეიძე 2012: რ. ჩხეიძე. *სიმართლე გიორგი სააკაძეზე*, თბილისი.

ნოწკოლაური 2017: თ. ნოწკოლაური. *საქართველოს ისტორია (უძველესი ქრონიდან ახალი წელთაღრიცხვით XIX საუკუნემდე)*, თბილისი.

ჯამბურია 2011: გ. ჯამბურია. *საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის პირველ ნახევარში*, თბილისი, უნივერსალი.

ჯამბურია 1964: გ. ჯამბურია. *გიორგი სააკაძე*, თბილისი, ნაკადული.

ჯანაშია და სხვები 1940: ს. ჯანაშია, ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ხაჭაპურიძე. *საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს ქრონამდე (ხელნაწერის უფლებით)*, თბილისი, სახელგამი.

ჯანაშია1943: *საქართველოს ისტორია (უძველესი ქრონიდან XIX საუკუნის დამდეგამდე*, აკად.ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი, სახელგამი.

THE ISSUE OF BAZALETI BATTLE IN GEORGIAN HISTORIOGRAPHY

Malkhaz Murusidze
Gelati Theological Academy and Seminary
malxazmurusidze@gmail.com

The article covers the issue of some critical analysis existing in historiography in connection with Teimuraz I, King of Kakheti and Bazaleti battle. Unfortunately, critical analysis is not based on objective research, it was imposed by Soviet ideology. In the early 1930s Stalin was especially interested in the life of the famous historical figure of the 17th century Giorgi Saakadze. Stalin ordered to shoot a two-series film about Saakadze. Stalin's intention was to create a mythical icon of Saakadze, where he would be admired as a hero, progressive, and warrior fighting for the unity of Georgia, some unwanted past events were carefully wiped out of his biography. The main issue is not a distorted icon of Saakadze, the problem goes further, such attitude promoted marginalization of the opposite power of Saakadze: thus, if Saakadze was fighting for the unity of Georgia his opposing powers had to be acknowledged as true enemies of Georgia. Such attitude led many historians to express critical opinions about King Teimuraz I, as he was in opposition of Saakadze during Bazaleti Battle.

Based on many historical sources (Georgian, Persian, Ottoman) we can conclude that Bazaleti Battle was not the cause of King Teimuraz's unstable, arrogant, envious character, but the battle was Saakadze's attempt to make the lawful heir to the throne leave kingdom of Kartli.

The opinion that Saakadze wanted to unite Georgia is critically discussed in the article, historical sources indicate the opposite. The unity of Kartl-Kakheti was destroyed when Saakadze forced Teimuraz I to leave Kartli. Bazaleti Battle was preceded with negotiations, where the shah acknowledged king Teimuraz as a true Christian king of Kartl-Kakheti. This acknowledgment was the reason which clarified that Teimurad would not stand Saakadze's separatiscit attacks on the kingdom and Saakadze attacked Teimuraz with the united powers from Ottomans and from the west.

1944 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გადასახლებულთა რეპატრიაციის საკითხი XX საუკუნის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1989–1990)

ნიკოლოზ სარაჯიშვილი
უახლესი ისტორიის ცენტრი
nikasarajishvili99@gmail.com

მსოფლიო ისტორიას მრავალი გადასახლებული ერი და ეთნიკური ჯგუფი ახსოვს. მათი საცხოვრისიდან აყრა და გადასახლება, ზოგიერთ შემთხვევაში, იმ პოლიტიკური მიზნებითა და დემოგრაფიული პოლიტიკით იყო განპირობებული, რომელსაც დამპყრობელი, დომინანტი ქვეყანა აწარმოებდა. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად გვევლინება ე. წ. „თურქი მესხების" (შემდეგში – თურქი მესხები) გადასახლება, რომელიც საბჭოთა კავშირში, იოსებ სტალინის მმართველობის დროს განხორციელდა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ტერმინი „თურქი მესხები" პირობითია და ჩვენ მიერ მისი გამოყენება გამოწვეულია მისი გავრცელების მასშტაბით.ცხადია, ეს ტერმინი ზუსტად ვერ ასახავს დეპორტირებულთა ეთნიკურ შემადგენლობას, ვინაიდან „ეს ტერმინი შედგება ორი ნაწილისგან, რომელიც ერთმანეთს გამორიცხავს" (ჯანიაშვილი 2013: 68).

1944 წლის ნოემბერში, ისტორიული სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიიდან შუა აზიაში დაახლოებით 100 000 ადამიანი გადაასახლეს (ვაჭარაძე 2020). შესაბამის ბრძანებებში ეს მოსახლეობა მოხსენიებულია როგორც „თურქული ეროვნების პირები" (ალავერდაშვილი 2008: 125). შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ ეს, მართლაც, ასე იყო. ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შეინიშნებოდა მოსაზღვრე თურქეთის გავლენა. ხშირი გახლდათ საზღვრის დარღვევის ფაქტები, ყოფილა შემთხვევა, როდესაც მთლიანი სოფელი გადასახლებულა თურქეთის ტერიტორიაზე (ჩარკვიანი 2013: 44).

გადასახლების მოვლენებს საქართველოს სსრ კპ ცკ-ის მაშინდელი პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი იხსენებდა: „...განწყობა გენერალიტეტის ერთ ნაწილში ისეთი იყო, რომ კავკასიის ხალხები მხოლოდ ღალატზე და გერმანელებთან გადასვლაზე ფიქრობდნენ" (ჩარკვიანი 2013: 43). ამასთან, დასძენს, მათ ჰქონდათ ცნობები, რომ თურქებმა საზღვრიდან გაასახლეს ქართველები საზღვრის გაწმენდის მიზნით, რომ მსგავსი მოქმედების ჩატარება საკავშირო მთავრობას აუცილებლად მიაჩნდა.

> თურქ მესხებს არ ჰქონდათ საშუალება, გამოევლინათ თავიანთი მოღალატური ზრახვები, თუმცა ჩვენ ისინი ძალიან სერიოზულ სიძნელეებსა და პრობლემებს გვიქმნიდნენ... ვინც საზღვარგარეთ მიდიოდა, გასვლა მათი საშუალებით ხდებოდა. ყველა გზა იცოდნენ კავშირი ჰქონდათ თურქეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთან და გადაჰყავდათ გაქცეული, ანტისაბჭოთა განწყობის ადამიანები (ჩარკვიანი 2013: 44).

გადასახლების ამ საფუძველს ზოგიერთი ავტორი ეკონომიკურ ფაქტორსაც უმატებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ ქმედებით საბჭოთა კავშირს სურდა შუა აზიის ჩამორჩენილი ტერიტორიების ასაყვავებლად ამ მშრომელი ხალხის გამოყენება (მოდებაძე 2010: 17).

ცენტრალურ აზიამდე გზა დაახლოებით ერთ თვეს გაგრძელდა და მას სამი ათასამდე ადამიანი შეეწირა. ამასთან, ახალ კლიმატურ პირობებსა და საცხოვრებელ ადგილთან ადაპტაციას ბევრმა დეპორტირებულმა ვერ გაუძლო. ამ შემთხვევაშიც სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა რიცხვს ასახელებს. მაგალითად, კლარა ბარათაშვილის ცნობით დაიღუპა დეპორტირებულთა ერთი მესამედი, ხოლო უმაროვ-გოზლიშვილის მონაცემებით დაღუპულთა რაოდენობა 15 ათას ადამიანს შეადგენდა (უმაროვ-გოზალიშვილი 2005: 83).

შუა აზიის ზემოთ ნახსენებ სამ ქვეყანაში მათთვის შექმნეს სპეციალური ზონები, რომლის

დატოვებაც შესაბამისი ბრძანების გარეშე აკრძალული ჰქონდათ.

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მისი მემკვიდრე, ნიკიტა ხრუშჩოვი, გმობს წინამორბედს და 1944 წელს ზოგიერთ დეპორტირებულ ჯგუფს (მათ შორის არ იყვნენ თურქი მესხები) აძლევს სამშობლოში დაბრუნების უფლებას. ადმინისტრაციული ზედამხედველობისაგან განთავისუფლდნენ – ყირიმელი თათრები, ბალყარელები, თურქები – საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, ქურთები, ჰემშინები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც ჩაასახლეს მეორე მსოფლიო ომის დროს. ჩამოთვლილ ეროვნებებზე შეზღუდვების მოხსნა არ გულისხმობდა მათთვის კონფისკებული ქონების დაბრუნებას, მათ არ ჰქონდათ უფლება დაბრუნებულიყვნენ იმ ადგილებში, საიდანაც ისინიგადაასახლეს (მოდებაძე 2010: 80-81). აღნიშნული არცაა გასაკვირი, ვინაიდან ცივი ომის პერიოდში სამცხე-ჯავახეთი საბჭოთა კავშირისა და ნატოს სასაზღვრო ზონის არეალში მდებარეობდა, შესაბამისად პროთურქული ორიენტაციის მოსახლეობის ჩასახლება რეგიონში, ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო დაცვის ინტერესებს (სვერდლოუ 2006: 1836).

1989 წლამდე თურქი მესხების საქართველოში ჩამოსახლების პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა და დასახელებული წლისთვის აქ დაახლოებით 300-მდე ოჯახი ცხოვრობდა (ბლუაშვილი 2006: 5). ჩამოსახლების პროცესის დღის წესრიგში აქტიურად დაყენება განაპირობა 1989 წლის მაის-ივნისში, უზბეკეთში მომხდარმა მოვლენებმა, რაც ფერღანას ტრაგედიის სახელითაა ცნობილი, თუმცაღა მას ზოგჯერ „მარწყვის კონფლიქტის“ სახელითაც იხსენიებენ. რაფიკ ნიშანოვმა, უზბეკეთის სსრ ცკ კომპარტიის მაშინდელმა პირველმა მდივანმა განაცხადა, რომ ყველაფერი მარწყვის გამო დაიწყო (კონფლიქტი ფერღანაში 2018). ამ ვერსიით, მყიდველმა – თურქმა მესხმა, გალანძღა გამყიდველი – უზბეკი, მარწყვის ჩვეულებრივზე ძვირად მიყიდვის გამო (იბრაგიმოვა 2019).

პირველი შეტაკებების შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ 24 მაისს, თურქმა მესხებმა უზბეკი ბავშვები დახოცეს (მეტი დამაჯერებლობისთვის შეიქმნა ფოტომონტაჟიც). ამას დაემატა სხვადასხვა ჭორებიც, მაგალითად, ერთ-ერთი ჭორის მიხედვით, თურქმა მესხმა უზბეკი გოგონა გააუპატიურა და შემდეგ მოკლა (კონფლიქტი ფერღანაში 2018). კიდევ ერთი ვერსიით კი უზბეკები უბრალოდ გაცხარებული იყვნენ იმ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, რომლის მოხვეჭაც თურქმა მესხებმა შეძლეს და უბრალო საბაბს ეძებდნენ მათ დასარბევად.

თითქმის ყველა თვითმხილველი აღნიშნავს, რომ ავტობუსებით ჩამოჰყავდათ სხვა ქალაქებში მცხოვრები შეიარაღებული ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგში მონაწილეობდნენ ამ „ბრძოლაში“ (იბრაგიმოვა 2019).

დარბევების შედეგად დაიღუპა 103 ადამიანი, აქედან 52 თურქი მესხი. შინაგანმა ჯარებმა 16 ათასი თურქი მესხის ევაკუაცია მოახდინეს (ჩვენ ძმებივით ვიყავით 2019). ამ ყველაფერმა აიძულა თურქი მესხები, რომ თავშესაფარი ეძებნათ.

სხვადასხვა საზოგადოებებში მაშინვე გავრცელდა სხვადასხვა ვერსია და მოსაზრებაი, თუ ვის ან რას უნდა გამოეწვია ეს დაპირისპირება. „სამთავრობო შეთქმულების“ ვერსიის თანახმად, საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ამბები წინასწარ დაგეგმა, რასაც რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

1. მუშახელით უზრუნველეყო ცენტრალური რუსეთის რეგიონები;

2. უზბეკი ნაციონალისტების ყურადღება სლავური მოსახლეობიდან დეპორტირებულ მესხ ხალხზე გადაეტანა.

3. გამოეწვია ქაოსი კავკასიის ეროვნულ მოძრაობებში (მოდებაძე 2010: 84).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ სწორედ ფერღანას ამბების შემდეგ თურქი მესხები უკვე აქტიურად ფიქრობენ და ლაპარაკობენ საქართველოში დაბრუნებაზე, ქმნიან საინიციატივო ჯგუფებს და აწარმოებენ მოლაპარაკებებს, ეს უკანასკნელი ვერსია, მართლაც, შეიძლება სიმართლეს შეესაბამებოდეს. ალექსანდრე მოსიაშვილი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ: „იმჟამინდელი რეჟიმი ამ თემის გააქტიურებითაც ცდილობდა კიდევ უფრო მეტი თავსატეხი გაეჩინა დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ქვეყნისთვის...“ და მიაჩნია, რომ ეს იყო ერთგვარი საპასუხო ქმედება 4-9 აპრილის აქციებზე (მოსიაშვილი 2016: 84).

ზოგადად, საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ ეთნიკურად პრობლემურ კერებს, ეროვნულ

მოძრაობაში მათ წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღიქვამდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გია ჭანტურია წერდა:

> არა მარტო აფხაზეთის, არამედ მარნეულ-ბოლნისის მოვლენები ინსპირირებულია ანტიდემოკრატიულ ძალთა მიერ. ასეთივე მოვლენები მოსალოდნელია ოსეთშიც... იმ ძალებს, რომლებიც ამ კონფლიქტებს იწვევენ, აწყობთ ეროვნული მოძრაობის ჩაძირვა ერთაშორის შუღლის ჭაობში (საუბარი საქართველოს... 1989: 2).

მათ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ თურქი მესხების საკითხიც. ეროვნულ მოძრაობაში ფერღანას მოვლენები, მართლაც, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად მონათლეს: „ფერგანის ტრაგედია ინსპირირებულია საქართველოს უბოროტესი მტრების მიერ, რათა გამწვავდეს საქართველოს ისედაც მწვავე დემოგრაფიული სიტუაცია...“ (მიმართვა ქართველი ხალხისადმი... 1990: 1).

ივანე თვალავაძე თავის წიგნში „ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ“ წერს, რომ ფერღანას მოვლენები პროვოცირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ და მიზნად ისახავდა ქართული ეროვნული მოძრაობის შეფერხებას (თვალავაძე 2019: 216).

გადასახლებიდან დაბრუნებული და ხაშურში მცხოვრები მესხები 1989 წლის ივნისში აცხადებდნენ:

> რატომ მოხდა, რომ 9 აპრილს ასე სწრაფად, უსამართლოდ და სასტიკად გაუსწორდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს ჯარის საშუალებით? რატომ ფერგანაში არ იყო დროულად აცილებული მასიური სისხლისღვრა, რატომ არ იქნა და არც დღეს არის მიღებული გადამჭრელი ზომები მთავრობის მხრიდან? ხომ არ ეძებენ „მეორე“ როდიონოვს, რათა კიდევ ერთხელ დაადანაშაულონ და გააშავონ ქართველი ხალხი...? (მიმართვა მიხეილ გორბაჩოვს 1989: 1).

ამ ყველაფრის ფონზე, ეროვნულ მოძრაობაში, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ფაქტობრივი წარმმართველი იყო (1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული ეს პროცესი აღმავალი ხასიათით გამოირჩეოდა), დაიწყო საკითხის განხილვა – ვინ არიან თურქი მესხები? უნდა მიეცეთ თუ არა მათ საქართველოში დაბრუნების უფლება? როგორ შეიძლება გაირჩეს გადმოსახლების 300 ათას მსურველს შორის ნამდვილი და ყალბი ქართველი?

ფერღანას მოვლენებიდან მალევე, ივნისის თვეში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გაიმართა შეხვედრა, სადაც თურქი მესხების საკითხის საჯარო განხილვა მოეწყო. კრებაში მონაწილეობდნენ კათალიკოს-პატრიარქი ილია II, რეზო თაბუკაშვილი, გურამ გეგეშიძე, ლევან სანიკიძე, მერაბ მამარდაშვილი, შოთა ლომსაძე, რეზო ჯაფარიძე, აკაკი დვალიშვილი, ბუბა ხოტივარი, ნოდარ მანაგაძე, იური როსტი, გიგა ლორთქიფანიძე, ლანა ღოღობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ესაძე, ელდარ შენგელაია, მიშა ჭიაურელი, მანანა ანთაძე, ნიკო ჭავჭავაძე. აჩვენეს ვიდეომასალები, რომლებიც ლაშა შონიამ, ნუგზარ ყიფიანმა და გოგა ხაინდრავამ უზბეკეთში გადაიღეს. ჩამოთვლილი პიროვნებების სიტყვებიდან ჩანს, რომ ისინი შესაძლებლად მიიჩნევდნენ თურქი მესხების საქართველოში ჩამოსახლებას. ამასთან, საჭიროდ მიაჩნდათ სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების შექმნა საკითხის გადასაჭრელად, აუცილებლად თვლიდნენ საკითხზე კონსესუსის მიღწევას. ფიქრობდნენ, თითო ქართულ სოფელში 4-5 დეპორტირებულის ოჯახი ჩაესახლებინათ, მათი მოვლა კი სოფელს დაკისრებოდა. გამონაკლისის სახით შეგვიძლია დავასახელოთ გიგა ლორთქიფანიძე, რომელიც გადასახლებულებს „სარწმუნოება და გულგამოცვლილ ხალხს“ უწოდებს (პრობლემა... პოზიციები... 1989: 3-4).

მსგავსი შეხვედრა გაიმართა აგვისტოშიც, რომელსაც აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, რეზო თაბუკაშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჟორდანია, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, ივანე თვალავაძე და დათო ბახტაძე, აგრეთვე გადასახლებულთა ორი წარმომადგენელი და სსრკ უმაღლესი საბჭოს რუსი დეპუტატი ესწრებოდა (თვალავაძე 2019: 218). კრებამ გადაწყვიტა, რომ გადასახლებულთა ჩამოსახლება შეუძლებელი იყო (მათ ჩამოსახლებას მხოლოდ ელდარ შენგელაია და ლანა ღოღობერიძე ემხრობოდნენ). დასახელდა უარის რამდენიმე მიზეზი:

1. აჭარასა და რაჭაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ ათასობით ოჯახს

ესაჭიროებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სასწრაფო განსახლება, ასეთ პირობებში კი თურქ მესხთა ჩამოსახლებაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო.

2. შეუძლებლად მიიჩნიეს მათი მესხეთში ჩასახლება, ვინაიდან ეს გამოიწვევდა იქ მცხოვრები ქართველებისა და სომხების დაპირისპირებას თურქული ორიენტაციის მქონე ჩასახლებულებთან.

3. შესასწავლი იყო, თუ ვინ და რა რაოდენობით გაასახლეს საქართველოდან და თუ ახლა ვინ ითხოვს უკან დაბრუნებას (თვალავაძე 2019: 220).

ამასთან კრებამ არგუმენტად მოიყვანა ადიგენის მცხოვრებთა მიმართვა ქართული საზოგადოებისადმი:

> ადიგენის რაიონის აბსოლუტურად ყველა მცხოვრები კატეგორიულად მოითხოვს:
> ა) სასწრაფოდ შეწყდეს თურქების ჩამოსახლება საქართველოში, ხალხისა, რომლის ისტორიული ადგილი არასოდეს ყოფილა საქართველოს მიწა და თავისი რჯულით, გვარით, ენით და ცხოვრების წესით უცხოა ქართველი ერისთვის;
> ბ) შეიცვალოს „თურქი მესხების“ საკითხის შემსწავლელი კომისიის შემადგენლობა;
> გ) შეწყდეს დეზინფორმაცია პრესისა და ტელევიზიის მხრიდან, საიდანაც ვაიქართველი მეცნიერები საოცარი დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, 1944 წელს გასახლებული თურქების ქართველობას.
> დ) გასახლებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიიდან უკვე დასახლებული თურქები;
> ე) უმოკლეს ხანში მოეწყოს რაიონის მოსახლეობასთან მეცნიერების, ტელევიზიისა და პრესის წარმომადგენლების შეხვედრა. ჩანაწერი შეხვედრისა გადაიცეს საქართველოს ტელევიზიით (თვალავაძე 2019: 222).

საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებების მყარად გავრცელებას ხელს უწყობდა განსხვავებული მონაცემები თავად თურქ მესხთა მსოფლმხედველობის შესახებ. მაგალითად, „ქართულ ფილმში“ გამართულ შეხვედრაზე ისტორიკოსი შოთა ლომსაძე აცხადებდა, რომ 1944 წელს გადასახლებული მოსახლეობის შთამომავლების (თავადვე დასძენს, რომ 400 ათასი ადამიანის) 90% სუფთა სისხლის მესხია, თურქები მხოლოდ 7%-ს შეადგენენო (პრობლემა... პოზიციები... 1989: 3); იმავეს იმეორებს ნაირა გელაშვილი (იხ. გაზ. ქართული ფილმი, 1989, №43 (144), გვ. 2). განსხვავებულ სიტუაციას გვიჩვენებს გოგა ხაინდრავა, რომელიც თავად იყო უზბეკეთში, ადგილზე გაეცნო გადასახლებულებს (ძირითადად მათ შთამომავლებს) და გადაიღო სხვადასხვა ვიდეო მასალები:

> უმრავლესობა იქ ნამდვილი თურქია. ისინი ამას არ მალავენ. თან კატეგორიულად მოითხოვენ მესხეთში დაბრუნებას. გვემუქრებიან – „ჩვენ მესხეთში ვცხოვრობდით და მესხეთში ვიცხოვრებთო.“ თუ ისინი ჩამოვიდნენ, ცუდი დღე დაგვადგება ქართველებს, რადგან არიან ჩვენი პოტენციური მტრები და არც არასოდეს არ მიიღებენ არაფერს ქართულს. ისინი თურქები არიან და ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ თურქეთში დაბრუნდნენ („თურქი მესხების“ შესახებ 1989: 2).

ერთსულოვნება არ ჩანდა ქართველ ისტორიკოსებს შორისაც. ნოდარ ლომოური მოუწოდებდა მოსახლეობას, რომ ემოციებს არ ემძლავრა და რაციონალურად ჩამოეყალიბებინათ თავიანთი პოზიცია:

> თუ ერისკაცი ხარ, უნდა დაიოკო გრძნობები, ჩაიკლა განცდები..., ნუთუ განცდამ დღესაც უნდა იმძლავროს გონებაზე?!... ძნელია, მაგრამ ერის მომავლის პრობლემა წყდება და ვისა აქვს უფლება ემოციებით იმოქმედოს? ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება, რაც ჩვენში მოხდა, არ შეიძლება ემოციებზე, განცდებზე დავიყვანოთ! (ლომოური 1989: 3).

დაახლოებით მსგავსი მოტივებით ხელმძღვანელობდა შოთა ბადრიძე, რომელიც აღნიშნავდა, რომ ფერღანას მოვლენების ამსახველი (და მომდევნო პერიოდის) კადრების ნახვის შემდეგ მხოლოდ „ქვისგან გამოთლილი“ ადამიანი თუ დარჩებოდა გულგრილი,

> და მაინც, ცივი გონება სვამდა კითხვას...: რა მოჰყვება იმას, რომ მაჰმადიან მესხთა ის ნაწილი, საქართველოში მოსვლას რომ თხოულობს, ერთბაშად მესხეთს დაუბრუნდეს? გავა სულ რამდენიმე წელი და საქართველოში გაიზრდება ჩვენი მასშტაბებით უზარმაზარი უზბეკურ-თურქული მასა, რომლის გაქართველება ფსიქოლოგიურად და ენობრივად ძნელი ჩანს (ბადრიძე 1989: 3).

ჩამოსახლების მოწინააღმდეგეთა რიგებში იყო მარიამ ლორთქიფანიძე, რომელსაც ამ ეტაპზე თურქ მესხთა ჩამოსახლება მიზანშეუწონლად მიაჩნდა (ლორთქიფანიძე 1989: 3).

შედარებით განსხვავებული პოზიცია ჰქონდა შოთა ლომსაძეს, რომელიც ნაწილობრივ ემხრობოდა ჩამოსახლებას, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიიჩნევდა, რომ გადასახლებულთა უმეტესობას ქართული ორიენტაციის მქონენი წარმოადგენდნენ. ჩამოსახლებულთა დასახლებას ის იმერეთისა და ქართლის სოფლებში ფიქრობდა, თუმცა დასძენდა, რომ: „ამჯერად, საქართველოში შექმნილი მძიმე პირობების გამო, ეს საქმე მცირე ხნით უნდა გადაიდოს და მერე, თუ შესაძლებელი იქნა, შერჩევით ქართლ-იმერეთის სოფლებში ცალკეულ კომლებად დასახლდნენ“ (ლომსაძე 1989: 3).

პოზიციების განსხვავებულობას აგრეთვე განაპირობებდა ის გათიშულობა, რაც ეროვნული მოძრაობის შიგნით არსებობდა. 1989 წლის იანვარში მოეწყო ე. წ. „ღირსების სასამართლო“ (ღირსების სასამართლო 1989), რის შემდეგაც ეროვნული მოძრაობა პირველად გაიყო ორ დაპირისპირებულ ბანაკად, მათი შერიგება მთელი შემდეგი ისტორიის მანძილზე ვეღარ მოხერხდა. პირველ ჯგუფში ე. წ. რადიკალები – ზვიად გამსახურდია, გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და ა.შ. აღმოჩნდნენ, ხოლო მეორე ჯგუფში – ზურაბ ჭავჭავაძე და თამარ ჩხეიძე. დაპირისპირება გაამწვავა იმ ფაქტმაც, რომ იმავე წლის ოქტომბრის თვეში ილია ჭავჭავაძის საზოგადოება არ მიიღეს „ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში“ (ილია ჭავჭავაძის... 1989: 1). ამ ორ ფრთას შორის კონფრონტაცია თურქი მესხების საკითხმაც გააღრმავა.

ზვიად გამსახურდიამ 3 ნოემბერს გამართულ მიტინგზე გამოსვლისას თქვა, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული ნახევარი მილიონი თურქის ჩამოსახლება (ბ-ნ ზ. გამსახურდიას... 1989: 1). თუმცა, ჯერ კიდევ 3 ივლისის გაზ. „ივერიის“ ნომერში ვკითხულობთ საზოგადოების ერთ-ერთი ლიდერის, ზურა ჭავჭავაძის მიმართვას:

> გადასახლებულთა შორის არიან ქართველები, რომელთაც შეინარჩუნეს თავიანთი ქართველობა და სამშობლოს სიყვარული. სწორედ, აი, ამ ნაწილის სამშობლოში დაბრუნება გვსურს ჩვენ, თანაც ეს დაბრუნება უნდა მოხდეს არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, საქართველოში არსებული მძიმე ვითარების გათვალისწინებით (პოზიცია თურქი მესხების... 1989: 1).

იქვე იყო აღნიშნული, რომ ისინი არა სამცხე-ჯავახეთში, არამედ სხვა ქართულ სოფლებში უნდა ჩაესახლებინათ.

ავტორთა ერთი ნაწილი (განსაკუთრებით კი უცხოელების) საკითხის გარშემო შეხედულებების მთავარ პარადიგმად ნაციონალისტურ გამოღვიძებას მიიჩნევს.

> 1980-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სულ უფრო ხშირად გაისმოდა ნაციონალისტური მოწოდებები, რამაც საფრთხე შეუქმნა ქვეყნის მრავალეროვან შემადგენლობას. უზბეკეთიდან გამოქცეული მესხების დიდი ნაკადიდან რამდენიმე ათასმა მაინც გაიკვლია გზა საქართველოსკენ, მიუხედავად იმისა, რომ, ნაციონალისტი ლიდერების აზრით, მათი დაბრუნება საფრთხეს უქმნიდა საქართველოს მომავალ სტაბილურობას. ზემოაღნიშნული ლიდერები ფიქრობდნენ, რომ ეს იყო საბჭოთა მთავრობის მზაკვრული ჩანაფიქრი და მცდელობა, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან სხვა პრობლემაზე გადაეტანა ყურადღება (ტრიერი და *სხვები* 2011: 35).
>
> საქართველოში თანდათან ძლიერდებოდა ანტაგონისტური განწყობა უზბეკეთიდან გამოქცეული ათასობით ადამიანის დაბრუნების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლით ადრე ქართველი ინტელიგენციის დახმარებით აქ დაიწყო რეპატრიანტების მიღება. მესხების დაბრუნების მიმართ კეთილგანწყობილ დისიდენტებს შორის იყო ზვიად გამსახურდია, რომელმაც ხელისუფლების სათავეში მოსვლის წინ შეიცვალა პოზიცია, რომელიც უფრო ადრე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს ჰქონდა. ახლა უკვე მესხების რეპატრიაციის წინააღმდეგი იყო პოპულარული ქართველი ფილოლოგი აკაკი ბაქრაძე. თუმცა, სხვა დისიდენტები და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე და მწერალი ნაირა გელაშვილი, ქვეყნის მასშტაბით არსებული უარყოფითი განწყობის მიუხედავად, კვლავ მხარს უჭერდნენ მესხების რეპატრიაციას (ტრიერი და *სხვები* 2011: 34-35).

ტომ ტრიერსა და ავტორთა ჯგუფს უნდა დავეთანხმოთ იმ ფაქტში, რომ ფერღანის მოვლენების შემდეგ სხვადასხვა ტერიტორიაზე გადასახლებულმა თურქმა მესხებმა (უკრაინის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის, რუსეთის ცენტრალური ნაწილების) საქართველოში დაბრუნებისთვის აქტიურად დაიწყეს ბრძოლა, ეროვნულ მოძრაობაში ის პიროვნებები, ვინც აქამდე მათ ჩამოსახლებას

ემხრობოდნენ (70-იან წლებში), ახლა ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ისტორიკოსი უჩა ბლუაშვილი წერს:

> ფერღანას ტრაგედიის შემდეგ საქართველოშიც გაჩაღდა კამპანია მაჰმადიან მესხთა წინააღმდეგ. ზვიად გამსახურდია, აკაკი ბაქრაძე, ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები, ამჯერად, მესხთა დაბრუნების მოწინააღმდეგეთა პირველ რიგებში აღმოჩნდნენ, რამაც ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში მაჰმადიანი მესხების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი (ბლუაშვილი 2006: 5).

ამ უკანასკნელში ავტორს უნდა დავეთანხმოთ, ეროვნული მოძრაობის ლიდერების მოსაზრებები მოსახლეობის უმეტეს ნაწილზე მარტივად ტოვებდა კვალს. მეორე რიგში კი უნდა აღვნიშნოთ, რომ უცხოელ ავტორთა უმრავლესობა საკითხს მხოლოდ აღმავალი ნაციონალისტური მოძრაობის გადმოსახედიდან აფასებს, ისტორიკოსი უჩა ბლუაშვილი კი გამოირჩევა ზვიად გამსახურდიასადმი გადამეტებული კრიტიკით, ამიტომ, საჭიროდ ვთვლით, რომ ამ საკითხებს უფრო ღრმად შევეხოთ.

დასახელებული ავტორების მიერ ნახსენები აკაკი ბაქრაძე და ზვიად გამსახურდია, თავადვე შენიშნავენ, რომ ისინი ცდებოდნენ, როდესაც თურქი მესხების ჩამოსახლებას ემხრობოდნენ. აკაკი ბაქრაძე იგონებდა:

> ...70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში მეც იმათ შორის ვიყავი, ვინც გასახლებულთა დაბრუნებას ითხოვდა. ვიყავი იმიტომ, რომ მჯეროდა იმ ისტორიკოსების, რომელნიც გვარწმუნებდნენ, რომ სამხრეთ საქართველოდან გასახლებული თურქების ძირითადი ნაწილი ქართველები არიან, ოღონდ გამაჰმადიანებულნიო... მერე პრობლემა თავად შევისწავლე და სრულიად სხვა სურათი აღმოვაჩინე. ჯერ ერთი, გასახლებულთა დიდი უმრავლესობა ეროვნებითაც და სარწმუნოებითაც თურქია და, მეორეც, ის მცირე ნაწილიც, რომელიც წარმომავლობით შეიძლება ქართველი იყოს, სარწმუნოებითა და ეროვნული ცნობიერებით თურქია (ბაქრაძე 1989: 18).

ამ უკანასკნელ დასკვნაში შეიძლება არ დავეთანხმოთ აკაკი ბაქრაძეს, თუმცა ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი „ბრალდების" გასაქარწყლებლად, ეს მონაკვეთიც საკმარისია.

აკაკი ბაქრაძის მსგავსად, თავდაპირველად, ზვიად გამსახურდიაც თურქი მესხების ჩამოსახლების მომხრე იყო:

> მე და ჩემი თანამოაზრეები მოვითხოვდით მათ საქართველოში ჩამოსახლებას. გეთანხმები იმაში (მიმართავს ივანე თვალავაძეს – ნ.ს.), რომ ესხდებოდა მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლად და გამოყენებული გვქონდა კომუნისტურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებისათვის. შემდეგ, მათთან შეხვედრებმა და საქმეში ღრმად ჩახედვამ აჩვენა, რომ გასახლებულთა უმრავლესობა თურქული ორიენტაციისანი იყვნენ და არიან დღესაც (თვალავაძე 2019: 218).

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოღვაწეები თავადაც აღნიშნავდნენ, რომ მათ, მართლაც, შეიცვალეს თავიანთი მოსაზრება, თუმცა დამოკიდებულების შეცვლის მიზეზებსაც ნათლად ხსნიან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროს, როდესაც ზვიად გამსახურდია უკვე ეწინააღმდეგებოდა თურქი მესხების ჩამოსახლებას საქართველოში, არ შეიძლება ვუწოდოთ – *ხელისუფლების სათავეში მოსვლის წინა პერიოდი*, ვინაიდან ზვიად გამსახურდიამ საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილება 1990 წლის აპრილში გააჟღერა, ხოლო თავისი პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა თურქ მესხთა ჩამოსახლებას, გაცილებით ადრე, 1989 წლის პირველ ნახევარში დაასახელა.

იყო მოსაზრებებიც, რომ თურქ მესხებს შორის უნდა გაერჩიათ ქართველები და თურქები. გოგა ხაინდრავა წერდა:

> ...უნდა შეიქმნას საგანგებო ჯგუფი მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლისათვის (რომელშიც, რასაკვირველია, ჩამოსახლება-არჩამოსახლების წინააღმდეგ რადიკალურად განწყობილი ადამიანები არ შევლენ). ამ ჯგუფმა ხანგრძლივად უნდა იმუშაოს, გაითვალისწინოს საზოგადოების აზრი, მათ ადგილზევე გაუხსნას ქართული სკოლები, გადახედოს საქმეს და როგორც მდგომარეობა უკარნახებს, ისე მოიქცეს („თურქი მესხების" შესახებ 1989: 2).

და ეს იმ მდგომარეობაში, როდესაც ჩამოსახლების პოტენციურ რაოდენობას 400 ათასი კაცით საზღვრავდნენ.

ამ მოსაზრებას იზიარებდა *იღია ჭავჭავაძის* საზოგადოებაც, სადაც მიაჩნდათ, რომ ჩამოსახლების კანდიდატები ადგილობრივ მესხებს უნდა შეერჩიათ:

> რაც შეეხება ჩამოსახლებულთა შერჩევას, ამაში უნდა გამოვიყენოთ სამშობლოში ადრე დაბრუნებული პატრიოტი მესხები, რომლებიც კარგად იცნობენ იქაურებს და შერჩევაში პრაქტიკულად არ შეცდებიან. ხოლო თუ შერჩევის უფლებას ვერ მოვიპოვებთ (მოსკოვისგან – ნ.ს.), სწორედ მაშინ უნდა ვთქვათ უარი ყოველგვარ ჩამოსახლებაზე (პოზიცია თურქი მესხების... 1989: 1).

საზოგადოების წრიდან თურქ მესხთა საკითხზე აქტიურობით გამოირჩეოდა ნაირა გელაშვილი. გაზეთ „ქართულ ფილმში" მის მოსაზრებებს სამ ნომერში ვრცელი საგაზეთო ადგილი დაეთმო (იხ. გაზ. „ქართული ფილმი", 1989 წელი, №43 (144); №44 (145); №45 (146). ვინაიდან მისი მოსაზრებები კიდევ ერთი დაპირისპირების საგნად იქცა, აუცილებლად უნდა შევეხოთ მასაც. ნაირა გელაშვილის პოზიცია შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ისიც, ისევე როგორც ნაწილი მოღვაწეებისა, მიიჩნევდა, რომ დეპორტირებულებს შორის უნდა გამოერჩიათ ქართული ორიენტაციის მქონენი, რაც მარტივ ამოცანად ესახებოდა. საქართველოს უნდა მიეღო იმდენი რეპატრიანტი, რამდენსაც გასწვდებოდა ქვეყნის ეკონომიკა და დემოგრაფიული სიტუაცია. ამასთან, არანაირ უცხო ძალას არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო გადასახლების პროცესის წარმართვაში, ეს მხოლოდ საქართველოს საქმე იყო. აღნიშნული პროცესი უნდა დაწყებულიყო დაუყოვნებლივ, ვინაიდან ყოველი დღის გასვლის პროპორციულად ისინი კარგავდნენ კავშირს ქართველობასთან. აგრეთვე სტატიაში ის აკრიტიკებდა ნოდარ ლომოურს და მის პოზიციას „აზრთა სხვადასხვაობის აკრძალვად" მიიჩნევდა (საუბარი მეორე 1989: 2). ამასთან, ის ქართულ პრესას ბრალს სდებდა ჭორების ტირაჟირებაში: „ჩვენს პრესაში გამოთქმული მოსაზრებები ძირითადად წარმოადგენს ჭორებისა და მითქმა-მოთქმის საფუძველზე გამოტანილ უპასუხისმგებლო დასკვნებს და ბრალდებებს მაჰმადიან მესხთა მიმართ." ხოლო ჩამოსახლების მოწინააღმდეგე პირებს „მტრის ხატის" შექმნასა და ბოლშევიკური მეთოდების გამეორებაში, ბოლშევიკური მორალით მოქმედებაში ადანაშაულებდა. აღნიშნავდა, რომ დღესდღეობით საზოგადოება უარყოფდა ისტორიკოსების მოსაზრებებს და რომ „ლელო იმას გააქვს, ვისაც მეტი ყვირილი, აგრესია და „რადიკალიზმი" შეუძლია" (საუბარი მესამე 1989: 2-3).

ნაირა გელაშვილის მოსაზრებებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა. თვით გაზეთის რედაქცია შენიშნავდა ამას – „სარედაქციო ფოსტისა და სატელეფონო ინფორმაციების მიხედვით მკითხველებში არის უარყოფითი დამოკიდებულებაც, აღშფოთებაც, უცენზურო და თავშეუკავებელი მრისხანებაც რედაქციისა და წერილის ავტორის მიმართ" (რედაქციისაგან 1990: 2). ნაირა გელაშვილის მოსაზრებებს ზვიად გამსახურდიაც გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ ავტორი სრულიად ვერ ერკვევა და არ იცნობს თურქი მესხების საკითხს, ამასთან, მისი და *იღია ჭავჭავაძის საზოგადოების* მოსაზრებები, მავნებლურია ქვეყნისთვის, რომ ყველა პუბლიკაცია უნდა შეუთანხმდეს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მიმართავს მათ: „მხილებულ იქნებით როგორც საერთო საქმის მოღალატენი" (ღია წერილი 1989ბ: 1).

ნაირა გელაშვილს კრიტიკულად გამოეხმაურა ოზურგეთის სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე კოტე ბერიძე,

> „თურქ მესხთა" პრობლემების გაანალიზების დროს თავად საერთოდ უარს ამბობთ სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური მხარეების განხილვაზე. თქვენი შემდგომი მოსაზრებები ძირითადად მხოლოდ ემოციებზეა დამყარებული. თქვენ არცერთ წერილში არ ცდილობთ ეს პრობლემა საქართველოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურად აფეთქებასაშიშ სიტუაციასა და ცენტრიდან ინსპირირებულ ეთნოკრიზისს დაუკავშიროთ... თქვენ თვითონ ამბობთ, რომ „თურქ მესხთა" პრობლემას ღრმა ფესვები აქვს, მაგრამ აქედან არავითარ დასკვნებს არ აკეთებთ (ღია წერილი... 1989ა: 4).

1989 წლის ნოემბრის ბოლოდან თურქ მესხთა, და არა მხოლოდ, ჩამოსახლების პროცესს ხელის შემშლელ ფაქტორად მოევლინა საქართველოს სსრ კანონი იმიგრაციის შესახებ, რომელიც აფერხებდა სხვა რესპუბლიკებიდან მოსახლეობის ჩამოსახლებას და დამკვიდრებას. ამ კანონთან დაკავშირებით გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს

სსრ-ში მცირემიწიანობა და მწარმოებლური ძალების განვითარების თანამედროვე მდგომარეობა მკვეთრად ამცირებს ტერიტორიის ტევადობას, რაც მოითხოვს რესპუბლიკაში მოსახლეობის გარედან შემოსვლის შეზღუდვას. ვინაიდან, როგორც წესი, მიგრაცია იწვევს ადგილობრივი შრომითი რესურსების დესტაბილიზაციას...“ (საქართველოს საბჭოთა... 1989: 1).

1990 წელი ახალი დაპირისპირებებით აღინიშნა საქართველოში: „პარტიულ-პოლიტიკური კონკურენცია და ბრძოლა ჩვეულებრივი მოვლენაა... საქართველოში მიმდინარე პარტიულმა ბრძოლებმა იმთავითვე შეურიგებელი დაპირისპირების სახე მიიღო...“ (შველიძე 2021: 85).

1990 წლის მარტში, მაშინ როდესაც ეროვნული მოძრაობის პარტიათა უმეტესი ნაწილი (ისინი ვინც შედიოდნენ ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში) შეთანხმდა ერთ საბრძოლო გეგმაზე, თურქ მესხთა საკითხი ხელახლა დადგა დღის წესრიგში. „დღე ისე არ გავა, რომ ეგრეთწოდებული თურქი-მესხების თაობაზე პრესამ, რადიომ თუ ტელევიზიამ ახალი ამბავი არ მოიტანოს და საქართველოს ისედაც რთული ვითარება არ გაამწვავოს...“ (საუბარი ე.წ. თურქი-მესხების შესახებ 1990: 2). თუ ერთი წლის წინ, ეს ყოველივე ფერღანაში მომხდარმა ამბებმა განაპირობა, ამჯერად ამის საბაბი ტაშკენტის ოლქში მიმდინარე მოვლენები გახდა. „ვათანის“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იური სარვაროვი, 25 თებერვალს დეპეშით იტყობინებოდა: „ერის გაქრობისგან გადასარჩენად ერთადერთ გამოსავლად მიგვაჩნია მათი ისტორიულ სამშობლოში ჩასახლება. ფერღანის ტრაგედიის პერიოდში ქართველი ხალხი მიუთითებდა რა საკუთარ რესპუბლიკაში ერთაშორის კონფლიქტზე, არ დაიცვა განწირული თურქი მესხები მათი უბედურებისგან და არ გაუხსნა გზა მათ მშობლიურ მიწაზე დაბრუნებას [...]“. შემდეგ კი დასძენს, რომ „ეს ქართველი ხალხისთვის მეორე შანსი იყო, რათა გამოეჩინათ ჰუმანურობა, კეთილშობილება და მიეცათ საშუალება თურქი მესხებისთვის, დაბრუნებოდნენ იმ ადგილს, საიდანაც ისინი 1944 წელს გადაასახლეს“ (დეპეშა... 1990: 2).

ამ დეპეშასთან ერთად გამოქვეყნებულია კიდევ რამდენიმე ტელეგრამა რუსულ ენაზე. მათ ბოლოს კი გაზეთის რედაქცია დასძენს: „...აქ კომენტარი მართლაც ზედმეტია, მაგრამ... ავტორები აშკარად დარწმუნებულები არიან, რომ მესხეთი, რომელზეც მათ დღეს პრეტენზია აქვთ – თურქეთის ყოფილი ტერიტორიაა, ისინი თურქები არიან და მესხეთში კომპაქტური ჩასახლება მისცემს მათ საშუალებას სამშობლოსთან შეერთებისა“. ამის შემდეგ დართულია ინტერვიუ ასპინძის რაიონის სოფელ აწყვიტას მკვიდრ ორ მოსახლესთან, რომელთა ნაამბობშიც საკმაოდ უარყოფითი კონტექსტით არიან წარმოჩენილინი „თათრები“ (რედაქციისაგან 1990: 2).

1990 წლის გაზაფხულიდან ქვეყანაში განსხვავებული პოლიტიკური სიტუაცია წარმოიშვა. ეროვნული ფორუმის გეგმა, რომელიც შემდეგში ეროვნულ კონგრესს მოიწვევდა, ნაწილობრივ ჩაიშალა, ვინაიდან მას რამდენიმე პოლიტიკური პარტია გამოეყო და 1990 წლის ოქტომბერში ჩანიშნულ უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვებისათვის დაიწყო ბრძოლა. ეროვნულ მოძრაობაში ამით კიდევ ერთი დაპირისპირების კერა გაჩნდა. „კონგრესისტებისა“ და უზენაესი საბჭოს არჩევნების მომხრე პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის კონფრონტაცია შეუქცევად პროცესად იქცა და თურქი მესხების ჩამოსახლების საკითხმა მეორე პლანზე გადაინაცვლა.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ შემდეგი: პირველ რიგში, სპეციალურად შეირჩა დრო, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეროვნული მოძრაობა 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ქმნიდა ქართულ კოლექტიურ მეხსიერებას, მეორე მხრივ კი, „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (1990 წლის 28 ოქტომბერი) არსებული საკითხი, ოფიციალურ დონეზე განიხილებოდა და პრობლემის მოგვარება უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პრეროგატივად იქცა.

საქართველოში არსებული ეთნიკური კონფლიქტების განხილვისას, ძირითადად ყურადღება ექცევა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის საკითხს, ხოლო სხვა, შედარებით მცირე, თუმცა ნაკლები მნიშვნელობის არმქონე საკითხები რატომღაც ჩრდილშია. ჩვენი სტატიით სწორედ ამ ვაკუუმის შევსება ვცადეთ, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე ლიტერატურა ფაქტობრივად არ არსებობს. უახლესი ისტორიის შესწავლა კი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს მყარი სახელმწიფოს შექმნის გზაზე.

ამასთან, ნაშრომში ვეცადეთ „გვეპასუხა“ უცხოელი მეცნიერებისა თუ მკვლევრებისათვის, რომლებიც 80-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის მხრიდან საკითხის გადაჭრისას, მხოლოდ ნაციონალისტურ თუ შოვინისტურ მოტივებს ხედავენ.

ცხადია, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეს სტატია საკითხს ამოწურავს. სამომავლოდ განზრახული გვაქვს აღნიშნული საკითხის, რომელიც საკმაოდ მრავალწახნაგოვანია, უფრო ვრცლად დამუშავება და შესაბამისი მსვლელობის მიცემა.

დამოწმებანი

ალავერდაშვილი 2008: დ. ალავერდაშვილი. ვინ არიან ე.წ. „თურქი მესხები“? *საახქივო მოამბე*, №3.

ბადრიძე 1989: შ. ბადრიძე. ბუმერანგი? *კომუნისტი*, 27 ივნისი, № 147 (26 488).

ბაქრაძე 1989: ა. ბაქრაძე. *ჩწმენა*, თბილისი, „მერანი“.

ბლუაშვილი 2006: უ. ბლუაშვილი. *სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობა და ჩაოდენობა*, თბილისი, გამომცემლობა ინტელექტი.

დეპეშა... 1990: დეპეშა... *ქართველის დედა*, № 9.

ვაჭარაძე 2020: ა. ვაჭარაძე. 1944 წლის ოფიციალური დოკუმენტები საქართველოში მცხოვრები უმცირესობების გადასახლების თაობაზე, https://idfi.ge/ge/official_documents_of_1944_on_the_deportation_of_minorities_living_in_southern_georgia (ნანახია: 27.01.2022).

თვალავაძე 2019: ი. თვალავაძე. *ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ*, გამომცემლობა „ინტელექტი“.

„თურქი მესხების“ შესახებ 1989: „თურქი მესხების“ შესახებ, *ქართული ფიქრი*, №32 (133), 16 აგვისტო.

ილია ჭავჭავაძის... 1989: ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის განცხადება „ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის“ შესახებ, *ივერია*, №16, 3 ნოემბერი.

იბრაგიმოვა 2019: Г. Ибрагимова. Ферганская резня, Почему произошла трагедия, всколыхнувшая Советский Союз, https://ria.ru/20190603/1555121171.html (ნანახია: 10.01.2022).

კონფლიქტი ფერღანაში 2018: Конфликт в фергане, https://womandiamond.ru/konflikt-v-fergane-uzbekistan/#ftoc-heading-3 (ნანახია: 12.01.2022).

ლომოური 1989: ნ. ლომოური. ალტერნატივა არ არსებობს, *კომუნისტი*, 27 ივნისი, № 147 (26 488).

ლომსაძე 1989: შ. ლომსაძე. ვინ არის „მესხი“ და ვინ „თურქი მესხი“, *კომუნისტი*, 27 ივნისი, № 147 (26 488).

ლორთქიფანიძე 1989: მ. ლორთქიფანიძე. ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტკივილიანი ფურცელი, *კომუნისტი*, 27 ივნისი, № 147 (26 488).

მიმართვა მიხეილ გორბაჩოვს 1989: მიმართვა მიხეილ გორბაჩოვს, *ივერია*, 12 სექტემბერი, № 13.

მიმართვა ქართველი ხალხისადმი 1990: მიმართვა ქართველი ხალხისადმი, (საქართველოს ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია), *ახალგაზრდა კომუნისტი*, № 26.

მოდებაძე 2011: ვ. მოდებაძე. *მესხური პრობლემის ანალიზი, მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის ჰეპატრიაციისა და ჰეინტეგრაციის პრობლემები*, თბილისი, გამომცემლობა „კალმოსანი“.

მოსიაშვილი 2016: ა. მოსიაშვილი. დამოკიდებულება ე.წ. „თურქი მესხების“ საკითხისადმი საქართველოში XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები № 2 (19), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

პოზიცია თურქი მესხების... 1989: *პოზიცია თურქი მესხების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით* (ხაზი ჩემია – ნ.ს.), *ივერია*, № 10, 3 ივლისი.

პრობლემა... პოზიციები... 1989: პრობლემა... პოზიციები... *ქართული ფიქრი*, № 25 (126), გვ. 3- 4;

რედაქციისაგან: რედაქციისაგან, *ქართველის დედა*, № 9.

საუბარი ე.წ. თურქი-მესხების შესახებ 1990: საუბარი ე. წ. თურქი-მესხების შესახებ, *ახალგაზრდა ივერიელი*, № 46.

საუბარი მეორე 1989: პოზიცია, საუბარი მეორე, *ქართული ფიქრი*, № 43(144), 1-ლი ნოემბერი.

საუბარი მესამე 1989: პოზიცია, საუბარი მესამე, *ქართული ფიქრი*, № 44 (145), 8 ნოემბერი.

საუბარი საქართველოს... 1989: საუბარი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გია ჭანტურიასთან, *ქართული ფიქრი*, 26 ივლისი, № 29 (130).

საქართველოს საბჭოთა 1989: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი იმიგრაციის შესახებ, *კომუნისტი*, 26 ნოემბერი, № 272.

სვერდლოუ 2006: S. Swerdlow. Understanding Post-Soviet Ethnic Discrimination and the Effective Use of U.S. Refugee Resettlement: The Case of the Meskhetian Turks of Krasnodar Krai, California Law Review, Vol. 94, № 6.

ტრიერი და სხვები 2011: ტ. ტრიერი, გ. თარხან-მოურავი, ფ. კილიმნიკი. მესხები: *გზა შინისაკენ*... უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრი – კავკასია (ECMI).

უმაროვ-გოზალიშვილი 2005: ხ. უმაროვ-გოზალიშვილი. *მესხთა ტრაგედია*, თბილისი, კავკასიური სახლი;

ღია წერილი.... 1989ა: ღია წერილი გაზეთ „ქართული ფილმის" რედაქციას, ქალბატონ ნაირა გელაშვილს, ბატონ რეზო ჩხეიძეს, *ქართველის დედა*, 30 ნოემბერი, № 7.

ღია წერილი 1989ბ: ღია წერილი გაზეთ „ქართული ფილმის" რედაქციისადმი, *ქართული ფილმი*, № 45 (146), 15 ნოემბერი.

ღირსების სასამართლო 1989: ღირსების სასამართლო, https://www.youtube.com/watch?v=A7v6zHKQ3bc , (ნანახია: 19.01.2022).

შველიძე 2021: დ. შველიძე. *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში 1987-1992*, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი.

ჩარკვიანი 2013: გ. ჩარკვიანი. *ინტერვიუ მამასთან*, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი.

ჩვენ ძმებივით ვიყავით 2019: "Мы были как братья": 30 лет кровавым погромам в Фергане, https://www.gazeta.ru/science/2019/06/05_a_12395305.shtml?updated (ნანახია: 10.01.2022).

ჯანიაშვილი 2013: ლ. ჯანიაშვილი. საქართველოში თურქთა ინფილტრაციის ისტორია და მესხეთიდან დეპორტირებულთა იდენტობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში, კრებულში: *დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელობა*, თბილისი.

THE ISSUE OF REPATRIATION OF DEPORTEES FROM SOUTHWESTERN GEORGIA IN 1944 IN THE NATIONAL LIBERATION MOVEMENT OF THE 20th CENTURY (1989-1990)

Nikoloz Sarajishvili
The Center for Contemporary History
nikasarajishvili99@gmail.com

In this paper we have discussed one of the most important pages in the recent history of Georgia, which deals with the population deported from Samtskhe-Javakheti in 1944. The focus of the paper, which we have presented, has not been the subject of wide discussion in the Georgian scientific space yet. The paper does not claim to exhaust the issue, however, we intend to continue researching the issue and studying it from a broader perspective. The issue of repatriation of deportees to the Georgian reality in 1944 has been on the agenda many times since the restoration of Georgia's independence and has always been accompanied by public debate and a number of controversies. In this article, we discuss the beginning of this long process – the late 1980s and early 1990s – and show the attitudes of different groups towards the issue. This chronological framework was specially chosen because, on the one hand, the National Movement was creating a Georgian collective historical memory in the late 1980s, and on the other hand, after the Round Table came to power (October 28, 1990), the issue took a different, formal form and was resolved. It has already become the "prerogative" of independent Georgia. In the article, we tried to answer to foreign scientists who, when considering the issue by the national movement in 1980, saw only nationalist or chauvinist motives.

ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ პირველის რეპრეზენტაცია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში: შანრის კანონი და მეტაისტორიოგრაფიული კონტექსტი[1]

მარიამ ჩხარტიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
mariam.chkhartishvili@tsu.ge

შესავალი

ამ გამოკვლევაში მე ისტორიოგრაფიული კუთხით გავაანალიზებ ძველი ქართული მწერლობის ორ ძეგლს: ესენია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ (აბულაძე 1963); (ყაუხჩიშვილი 1955).

გარკვეულ მონაკვეთში ეს თხზულებები ფარავენ ერთიდაიმავე ქრონოლოგიურ პერიოდს. შესაბამისად, ეხებიან ერთიდაიმავე მოვლენებსა და პიროვნებებს. პრობლემა ისაა, რომ არცთუ იშვიათად მათ მიერ მოწვდილი ინფორმაცია განსხვავებულია, ზოგჯერ დიამეტრალურად საპირისპიროც კი. ყოველ შემთხვევაში არცთუ იშვიათად ამგვარი მონაცემები ჩანს, როგორც დიამეტრალურად საპირისპირო.

ნათქვამის საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითი შეგვიძლია, რომ მივიყვანოთ: ცნობები ქართლის სამეფოს დაფუძნების ისტორიის შესახებ (ჩხარტიშვილი 2015/2016: 262-269), მეფე ფარსმან ქველის შესახებ (ჩხარტიშვილი 2009ა), მეფე მირიანის წარმომავლობის შესახებ (ჩხარტიშვილის 2009ბ) და ა.შ.

როცა მკვლევრები ამ ძეგლებს იყენებენ როგორც წყაროებს, ყოველთვის მწვავედ ისმის საკითხი თუ რომელი წყაროს მონაცემებია სწორი. ამის გარკვევა ძალიან რთული ხდება ამ ძეგლების ავტორთა ისტორიოგრაფიულ პრინციპების ზედმიწევნითი ცოდნის, ასევე მათი მეტაისტორიოგრაფიული მოტივაციების გათვალისწინების გარეშე. ქართული ისტორიული აზრის კვლევისათვის ასეთი ფაქტების დადგენა მნიშვნელოვანია. ერთ-ერთია ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ პირველთან დაკავშირებული შემთხვევა, რომლის ანალიზსაც ეძღვნება ეს გამოკვლევა.

დასახული მიზნის განსახორციელებლად თავიდან მე ზოგადად დავახასიათებ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „ქართლის ცხოვრებას“, მერე შევეცდები მათში დაფიქსირებული სტეფანოზ პირველის პორტრეტების რეპრეზენტირებას. ბოლოს კი წარმოვადგენ მოპოვებული მასალის ანალიზს.

მაგრამ მანამდე მოკლე განმარტება ორ საკითხთან დაკავშირებით:

ა) სტეფანოზ პირველი, რომელსაც ეძღვნება ეს გამოკვლევა, როგორც ცნობილია, იყო ქართლის რიგით მეორე ერისმთავარი. მან ტახტი დაიკავა მისი მამის გუარამის შემდეგ. ის ზეობდა VII საუკუნის 20–იან 30–იან წლებში. ეს დათარიღება რამდენადმე განსხვავდება დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული დათარიღებისაგან. მაგრამ ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად[2] მე სრულიად დარწმუნებული ვარ მის სისწორეში.

ბ) ქართლის სამეფოს დაფუძნების დროიდან ანუ ძვ.წ. IV საუკუნიდან ერისთავები იყვნენ ქართველ მეფეთა მოხელეები – რეგიონალური მმართველები. მათ თავიანთი სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდათ მიწები ანუ ეს მიწები არ იყო სამუდამო მფლობელობაში. VI საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის ცენტრალური ხელისუფლება გაუქმდა მეფე ბაკურის დროს.[3] ცოტა მოგვიანებით ცენტრალური ხელისუფლება აღდგა, მაგრამ არა მეფობის, არამედ ერისმთავრობის სახით. ერისმთავრები მეფეებთან შედარებით ნაკლები ძალის მქონენი იყვნენ. საშინაო საქმეებში

ნაკლები ძალმოსილება ჩანს თუნდაც იმ ფაქტში, რომ მათ არ შეეძლოთ შეეცვალათ ერისთავები თავიანთი სურვილისამებრ. ერისმთავრებს ბიზანტიელები აჯილდოვებდნენ ბიზანტიური ტიტულებით. ზოგჯერ საიმპერატორო კარის ტიტულებს უწყალობებდნენ ერისმთავართა ოჯახის წევრებსაც. ეს ფაქტიც მიუთითებს, რომ ერისმთავართა ძალაუფლება უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე თვითმპყრობელი მეფეებისა. საერთაშორისო არენაზე ფაქტობრივ ისინი მოქმედებდნენ როგორც ნახევრად დამოუკიდებელი მმართველები.

ამ მოკლე განმარტების შემდეგ დავუბრუნდეთ აღნიშნულ ძეგლებს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული ძეგლებია, პირველი არსებითად ერთიანი თხზულებაა, თუმც განირჩევა მისი შემადგენელი ნაწილები, მეორე კი არის ისტორიოგრაფიულ თხზულებათა კრებული. დროის პერიოდი, რომლსაც მოიცავს „ქართლის ცხოვრება“ უფრო ფართოა, ვიდრე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. პერიოდი, რომელსაც ორივე შეეხება არის ძვ. წ. IV - ახ.წ. IX სს. რა თქმა უნდა, მოლოდინი ისეთია, რომ ამ მონაკვეთში მათ ექნებათ საკმაოდ მსგავსი ინფორმაცია.

მართლაც, ეს მოლოდინი გარკვეულად მართლდება, თუმც ზოგ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნე, ცნობები განსხვავებულია. და, ესეც ითქვა, ცნობები ურთიერთგამორიცხავია. ამიტომ ისტორიული რეპრეზენტაციისას მკვლევრები იძულებულნი არიან ორივე წყაროს ცნობებით კი არ ისარგებლონ, არამედ არჩევანი გააკეთონ მათ მონაცემთა შორის. ამგვარი არჩევანი იძულებითია. ის გამოკვლევის დოკუმენტურ ბაზას ამცირებს, შესაბამისად, არგუმენტებსაც მნიშვნელოვნად უკარგავს ძალას.

უნდა შევნიშნო, რომ ჩემი დაკვირვებით, უმეტესობა მკვლევრებისა თავიანთ ძიებებს „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებზე აფუძნებს.

მონაცემები, რომელსაც მე მინდა შევეხო ამ გამოკვლევაში ამგვარად „პრობლემატური“ (ანუ დიამეტრალურად საპირისპირო ინფორმაციის შემცველი) ცნობების რიცხვს განეკუთვნება. მხედველობაში მაქვს სტეფანოზ პირველის ორი სიტყვიერი პორტრეტი, რომელიც წარმოდგენილია დასახელებულ ისტორიოგრაფიულ ძეგლებში:

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით სტეფანოზი იყო დიდი მოღვაწე, მორწმუნე, ქვეყნის მთავარი ტაძრის – ჯვრის ეკლესიის – მაშენებელი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი სტეფანოზი იყო ურწმუნო, მისი ინიციატივით არცერთი ეკლესია არ აშენებულა, არც უკვე აშენებულებისათვის მიუმატებია ამ ხელისუფალს რამე. ბიზანტიელთა და სპარსელთა 602–628 წლების ომში მას არაქრისტიანი სპარსელების მხარე ეკავა და დაიღუპა ამ ომის მიმდინარეობისას ერთ–ერთ ბრძოლაში.

აღნიშნულმა ომმა დასაწყისიდანვე დიდი გავლენა მოახდინა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მაგრამ ბიზანტიისა და სპარსეთის დაპირისპირების კულმინაციურ მომენტში ეს გავლენა ნამდვილად დრამატული აღმოჩნდა. დაპირისპირების ამ ეტაპზე, ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ, სპარსელებთან გენერალური ბრძოლის გამართვამდე გადაწყვიტა, მტრისთვის თავდაპირველად სამხრეთ კავკასიიდან შეეტია. ამდენად, საომარი მოქმედებები წარიმართა ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.[4] იმპერატორმა თავის მოკავშირე ხაზარებთან ერთად პირადი მონაწილეობით შემოარტყა ალყა თბილისს, რომელსაც იცავდა სპარსელთა გარნიზონი. ამ უკანასკნელ ფაქტს ადგილი ჰქონდა 626–628 წლებს შორის პერიოდში, სავარაუდოდ, 627 წელს. როგორც მე უკვე აღვნიშნე, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით სტეფანოზი იმყოფებოდა ალყაშემორტყმულ ქალაქში და თავისი წვლილი შეჰქონდა ქალაქის დაცვის ოპერაციაში. 627 წელს ერთ-ერთი ასეთი სამხედრო ოპერაციის დროს ის მოკლულ იქნა. შესაბამისი ქრონოლოგია, ისევე როგორც ინფორმაცია სტეფანოზის მკვლელობის შესახებ ძალიან განსხვავებულია იმისაგან, რასაც გვამცნობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ეს წყარო ხაზგასმით მიუთითებს, რომ სტეფანოზ პირველი კვლავ ტახტზე იჯდა, მაშინაც კი, როცა ჰერაკლე მეორედ შემოვიდა საქართველოში ანუ VII საუკუნის 30–იანი წლების შუა ხანებში.[5]

სრულიად აშკარაა, რომ ერთდროულად ორივე წყაროს ამგვარად განსხვავებული მონაცემები (ინტერპრეტაციები და, რაც მთავარია, ფაქტები) არ შეიძლება სინამდვილეს შეესაბამებოდეს.[6]

მაგრამ როგორ გავარკვიოთ, რომელი წყაროა სანდო? ამის ცოდნა, ცხადია, მნიშვნელოვანია ისტორიული რეპრეზენტაციისათვის, მაგრამ ამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რატომ არის ამ წყაროებში წარმოდგენილი სტეფანოზ ერისმთავრის ცხოვრების უმთავრესი ფაქტები ასე განსხვავებულად.

ქვემოთ მე წყაროთა მონაცემებს დეტალურად გავაანალიზებ, რათა ვუპასუხო ზემოთ დასმულ და, აგრეთვე, ზოგ სხვა კითხვას.

ამ პერიოდის ქართლის სამეფოს ისტორიისადმი ინტერესი გამიჩნდა მრავალი წლის წინ. არსებულ განსხვავებათა კვლევა ამ ორ ძეგლში სხვადასხვა საკითხის გარშემო ასევე იყო ჩემი მუდმივი ინტერესის საგანი (ჩხარტიშვილი 2015/2016: 162-169); (ჩხარტიშვილი 2009ა: 17-51). ამგვარად, ამ გამოკვლევაში წარმოდგენილი ზოგი დასკვნა მომდინარეობს ჩემი ადრე გაკეთებული დაკვირვებებისაგან. ამიტომ მათი ერთი ნაწილი არ არის თვისებრივად ახალი, თუმც აქ წარმოდგენილი დისკურსი შევსებულია სრულიად ახალი აქცენტებით, ხოლო შედეგები გამდიდრებულია ახლად დადგენილი ფაქტებით.

მთავარი წყაროები და სტეფანოზ პირველის პორტრეტების ავტორები

გამოკვლევის ამ მონაკვეთში მე წარმოვადგენ ძირითადი წყაროების ზოგად დახასიათებას. როგორც უკვე ვთქვი, ესენია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“. სპეციალური გამოკვლევების რაოდენობა, რომლებიც მათ ეძღვნება ძალიან დიდია. მაგრამ მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებაა შედეგების მიხედვით. არაერთგვაროვნად წარმოუდგენიათ მკვლევრებს ამ თხზულებათა აგებულება, შემადგენლობა, ავტორები, შექმნის თარიღი და ისტორია. არცერთ ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული ერთი თვალსაზრისი.

„ქართლის ცხოვრების“ დახასიათებისას მკვლევრები ხშირად მიმართავენ მეცნიერული ქართველოლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებლის – ივანე ჯავახიშვილის – ნაშრომებს. ფაქტობრივად, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ყველა არსებული პუბლიკაცია თუ თარგმანი ჯავახიშვილისეული სქემის გათვალისწინებით არის გაკეთებული. თუმც ყველა მკვლევარი, გამომცემელი თუ მთარგმნელი კარგად აცნობერებს, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს შეხედულებები მოძველდა. მიუხედავად ამისა, ი. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებულ სქემას კვლავ იყენებენ და ამას აკეთებენ არა იმიტომ, რომ ის კარგად არის დასაბუთებული, არამედ იმიტომ რომ ის მაინც ყველაზე მეტად შეთანხმებულია, უფრო ზუსტად, პირობითად მიღებულია.

ვიღებ რა მხედველობაში პრობლემის კვლევის ამ თავისებურებას, აღნიშნული ძეგლების დახასიათებისათვის მე წარმოვადგენ ჩემს თვალსაზრისებს სათანადო დასაბუთებებით და დამოწმებებით ჩემს სპეციალურ გამოკვლევებზე. ამ საკითხებზე სხვა მკვლევრების თვალსაზრისთა კრიტიკული განხილვის გარეშე. საქმე ისაა, როგორც ითქვა, თვალსაზრისები ძალიან ბევრია, ამასთან არცერთი არ ცდება ჰიპოთეზის ფარგლებს, არსებითად ვარაუდებია მხოლოდ; და ამ მიზეზით ისინი ნაკლებად ანგარიშგასაწევნი არიან, ყოველ შემთხვევაში, ჩემს შეხედულებებზე მეტად ანგარიშგასაწევი ნამდვილად არა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

ეს ძეგლი შემოგვრჩა ოთხი ხელნაწერით. მე დავახასიათებ წარმოსახვით პროტოგრაფს ამ შემორჩენილ ტექსტებზე დაყრდნობით.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ აქვს სპეციფიკური კომპოზიცია. ის შედგება ისტორიული ქრონიკისა და ქართველთა განმანათლებელი ქალის – წმიდა ნინოს – „ცხოვრების“ ორი რედაქციისაგან. მოკლე რედაქცია ჩართულია ქრონიკაში ქრონოლოგიურად შესაბამის ადგილას ანუ მეფე მირიანის ზეობის კონტექსტში. მეორე ანუ ვრცელი რედაქცია, რომელიც მოკლეზე ბევრად დიდია და რომელსაც აქვს ქართველთა განმანათლებლის უახლოეს თანამღვაწეთა მოგონებების კრებულის ფორმა (ეტყობა, ეს არაა ლიტერატურული ხერხი, არამედ რეალურად თვითმხილველთა მოგონებებია), ქრონიკას ერთვის ბოლოში. სწორედ ეს არის „ცხოვრების“ არქეტიპული ვარიანტი, რომელიც შეიქმნა ქართლის

მოქცევის შემდგომ უახლოეს პერიოდში, IV საუკუნის შუა ხანებში. ეს რედაქცია დამოუკიდებლად არ შემოგვრჩა. ახლა ის არსებობს მხოლოდ, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შემადგენელი ნაწილი.

რაც შეეხება ქრონიკას: ის წარმოგვიდგენს ქართლის ისტორიის ძვ.წ. IV ს. – ახ.წ. IX ს. პერიოდს. ბევრ შემთხვევაში მის ინფორმაციებს საერო და სასულიერო უმაღლესი იერარქების, კერპების აღმართვის, ეკლესიათა მშენებლობის, არხების გაყვანის შესახებ მოკლე შენიშვნების სახე აქვს, თუმც ზოგჯერ ინფორმაცია გაცილებით ვრცელია. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ქრონიკა და წმ. ნინოს „ცხოვრების“ მცირე რედაქცია, რომელიც, როგორც ითქვა, ქრონიკაშია ჩართული, შემოკლებულია უფრო ვრცელი დედნიდან.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სამივე შემადგენელი ნაწილი ერთი და იმავე ავტორს არ განეკუთვნება. ისინი მათი შექმნის შემდეგ ერთი რედაქტორის (რედაქციის ავტორის) მიერ ჩანს დაკავშირებული ერთ თხზულებაში. ამ გაერთიანებისას, ტექსტების შემოკლებას ჰქონდა თავისი მნიშვნელობა: რედაქტორს (რედაქციის ავტორს) სურდა, რომ ქართველთა ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებული ფაქტი ანუ ქრისტიანობაზე მოქცევა წარმოედგინა სხვა ფაქტების კონტექსტში: ამას ემსახურებოდა ქრონიკა მასში ჩართული წმ. ნინოს „ცხოვრების“ მოკლე რედაქციით. სხვადასხვა მოვლენის ერთმანეთთან კავშირში წარმოდგენა, ჩანს, რომ ერთგვარი ისტორიოგრაფიული მოთხოვნაც იყო.[7] ამავე დროს რედაქტორის მიზანი ყოფილა წარმოედგინა ამ მოვლენის დეტალური აღწერაც. ინფორმაციის სრულად მიწოდებაც ისტორიოგრაფიული მოთხოვნის დაკმაყოფლება ჩანს.

დრო, როცა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ანონიმი რედაქტორ–შემდგენელი ცხოვრობდა, არის V საუკუნის მეორე ნახევარი. ამ ძეგლის შექმნა, ჩანს, იყო დიდი ქართველი მეფის ვახტანგ გორგასალის ინიციატივა, რომლის ფუნდამენტურ რეფორმებს საეკლესიო სფეროში უნდა გაეჩინა მოთხოვნილება ისეთ თხზულებისზე, რომელიც ეძღვნებოდა ქართული ეკლესიის საწყისების ისტორიას. ასეთია ლოგიკური არგუმენტი. მაგრამ ამ ლოგიკური მოცემულობის გარდა არსებობს აგრეთვე ზოგი კონკრეტული ცნობა და, აგრეთვე, დადგენილი ისტორიული ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არქეტიპული რედაქცია უნდა შექმნილიყო სწორედ მითითებულ პერიოდში. მოგვიანებით ძეგლმა განიცადა ცვლილებები. სულ მცირე ორი შემდგომი რედაქტირების კვალი თვალსაჩინოა: ტექსტი, ჩანს, ივსებოდა რედაქტორების ცხოვრების პერიოდის კვალობაზე; პირველი გავრცობისას თხრობა მოიყვანეს VII საუკუნის შუა ხანებამდე, მომდევნო გავრცობისას – IX საუკუნემდე. VII საუკუნეში განხორციელებული რედაქტირება ჩანს, რომ იყო უფრო ყოვლისმომცველი. ის გაკეთებულა ქრონიკის სტილის გათვალისწინებით. აქ იგულისხმება შემდეგი: ვახტანგ გორგასლის შემდგომდროინდელი ქრონიკის ტექსტი მისდევს ქრონიკის დასაწყისი ნაწილის შედგენის პრინციპს, ანუ მოკლე შენიშვნების სახით წარმოადგენს ინფორმაციას ქართლის უზენაეს საერო და სასულიერო იერარქებზე. აი, VII საუკუნის ორმოციანი წლებიდან IX საუკუნის ჩათვლით პერიოდის აღმწერ მონაკვეთში კი უკვე ფაქტობრივ თხრობა აღარაა, არამედ იერარქების სიაა უბრალოდ მოცემული. ისიც საერო იერარქთა ცალკე და სასულიერო იერარქთა ცალკე. ანუ მკითხველზეა მინდობილი იმის გარკვევა თუ რომელი საერო მმართველის დროს რომელი სასულერო იერარქი ზეობდა. თავად IX საუკუნის რედაქტორმა, ჩანს, ეს შესატყვისობანი უკვე აღარ იცოდა.[8]

ამ ზოგადი დახასიათების შემდგომ უნდა მივმართოთ ქრონიკის ტექსტის ჩვენი გამოკვლევისათვის საინტერესო მონაკვეთს. ესაა მონაკვეთი ვახტანგ გორგასლიდან ვიდრე სტეფანოზ მეორემდე, რომელიც მიმატებულია VII საუკუნის შუა ხანებში. ანუ გამოდის, რომ ტექსტის რედაქტირება უკავშირდება ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ მეორის ზეობის ხანას. სტეფანოზ მეორის ეპოქაში მიმატებულ ქრონიკის ტექსტში არის ინფორმაცია ამჯერად ჩვენთვის საინტერესო პიროვნებაზე ანუ ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ პირველზე. ამგვარად სტეფანოზ პირველის განსახილველი პორტრეტის შექმნის დროა სტეფანოზ მეორის ზეობის ხანა – VII საუკუნის შუა ხანები.

მაგრამ ვიდრე ვიტყოდეთ იმის შესახებ თუ როგორ არის ტექსტში წარმოდგენილი სტეფანოზ პირველი, ვთქვათ სტეფანოზ მეორის შესახებ. ამით გარკვეულად მაინც დავახასიათებთ იმ ეპოქას და იმ დამოკიდებულებებს, რომელიც არსებობდა სტეფანოზ პირველის შესახებ იმ კონკრეტულ დროს ანუ VII საუკუნის მეორე ნახევარში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაწვდის მოკლე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას სტეფანოზ მეორის შესახებ: „და მისა შემდგომად ერის-თვობდა სტეფანოზ, ძჱ მისი და ამან განიშორა ჯუარისა ეკლესიაჲ და დადვა კრებაჲ ჯუარს ჯუარობასა ერთ თთუე. და ტფილისს დაჯდა სტეფანოზ, და კათალიკოზი იყო სამოველ. და მისა ზე-ვე -- ევნონ “(აბულაძე 1963: 97).

„ქართლის ცხოვრებაც“ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სტეფანოზ მეორის შესახებ:

> მოკუდა ადარნასე და დადგა მის წილ ძე მისი სტეფანოზ. ესე სტეფანოზ იყო უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნე, განმწმედელი სჯულისაჲ და მაშენებელი ეკლესიათაჲ. და მან მოადგნა ზღუდენი ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა და აღაშენნა დარბაზნი და დაუწესა ყოველთა პარასკევთა კრებაჲ. და მუნ შეკრბიან ყოველნი ეპისკოპოსნი და მღდელნი მის არისანი კათალიკოზსა თანა, წინაშე პა|ტიოსნისა ჯუარისა ადიდიან პარასკევი, ვითარცა დიდი პარასკევი, ხოლო საკათალიკოზოსა არიან ყოველთა ხუთშაბათთა და ადიდიან წმიდაჲ სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა საიდუმლოსა თანა ჴორცითა და სისხლითა ქრისტესითა. ხოლო მცხეთას საებისკოპოსოსა არნ კრებაჲ ყოველთა სამშაბათთა და ჴსენებაჲ პირველმოწამისა სტეფანესი და ყოველთა მოწამეთაჲ, და დიდისა მისგან ძლიერებისა სპარსთაჲსა რომელ წამებულ იყვნეს, აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაჲ, რომელმან მოაქცი|ნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლითნი, ხოლო პატიოსანი გუამი მისი დადვეს მცხეთას, საეპისკოპოსოსა, სამარხავსა ეპისკოპოსთასა. და დღესასწაულსა უფროჲს ყოველთა დღესასწაულთასა შეკრბიან და ადიდებდიან ღმერთსა (მეტრეველი 2008: 232).

როგორც მკითხველი შენიშნავდა, სტეფანოზ მეორემ განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი საეკლესიო ღონისძიება.[9] აქედან გამომდინარე, სულაც არაა მოულოდნელი, რომ მის ინიციატივას უკავშირდებოდეს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკის შევსებაც ანუ ამ თხზულების რედაქტირება, რომელიც თხრობის მის დრომდე მოყვანას გულისხმობს.

ანუ იმის თქმა მინდა, რომ გარკვეული პირობითობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიულ ქრონიკაში წარმოდგენილი სტეფანოზ პირველის პორტრეტის ავტორი არის სტეფანოზ მეორე. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება, რომ სტეფანოზ მეორე თავად წერდა სტეფანოზ პირველის შესახებ ტექსტის მონაკვეთს. აქ იგულისხმება ის, რომ სტეფანოზ პირველის პორტრეტი ვერ შეიქმნებოდა სტეფანოზ მეორის დასტურის გარეშე.

ამგვარად, ჩვენ ვიცით, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილი სტეფანოზ პირველის პორტრეტის შექმნის დრო და პირობითად მისი ავტორიც (დამკვეთი, შეიძლება ასეც ვთქვათ): ესაა VII საუკუნის შუა ხანები მოღვაწე ერისმთავარი სტეფანოზ მეორე. ამ უკანასკნელმა საკუთარი მამა ანუ–ადარნერსე ერისმთავარი შეცვალა ტახტზე. სტეფანოზ პირველი კი ზეობდა ადარნერსეზე უწინარეს VII საუკუნის 20–30–იან წლებში. [10]

ამგვარად, სტეფანოზ პირველის ზემოთ წარმოდგენილი პორტრეტი, შეიძლება ითქვას, რომ მისი თანამედროვის შექმნილია. დროითი მანძილი ფაქტსა და რეპრეზენტაციას შორის თითქმის არ არსებობს.

„ქართლის ცხოვრება“

ახლა ძალიან მოკლედ, მხოლოდ ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ფაქტებზე აქცენტით დავახასიათოთ ჩვენი გამოკვლევის მეორე მთავარი წყარო ანუ „ქართლის ცხოვრება“.

როგორც უკვე ითქვა, ესაა საისტორიო მწერლობის ნიმუშების კრებული. სხვადასხვა ხელნაწერში ამ კრებულის შემადგენელი ნაშრომები ერთიდაიგივე არაა. როგორც ჩანს, შეიქმნის შემდგომ ეს კრებული, მერე თანდათანობით ივსებოდა. ზოგი მკვლევარი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ამ კრებულის პროტორედაქცია შეიქმნა XII საუკუნეში. მისი შექმნა დიდი ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის (1089-1125) ინიციატივა იყო (კიკნაძე 1980). პროტორედაქცია სწორედ დავითისადმი მიძღვნილი თხზულებით მთავრდებოდა.

ახლა შევეცდები აღვწერო ეს ძეგლიც, მაგრამ ხაზი უნდა გავუსვა კიდევ ერთხელ: მე ჩემს თვალსაზრისებს წარმოვადგენ სხვა თვალსაზრისების კრიტიკის გარეშე. მე რომ მივყვე ჩემგან განსხვავებული შეხედულებების კრიტიკას, ეს სათქმელს ძალიან დაგვაშორებს, ამავე დროს

მათზე შეჩერება არ ღირს იმიტომაც, რომ ეს შეხედულებები მხოლოდ ვარაუდებია და არა მყარად დასაბუთებული დასკვნები. ანუ მათ ჩემს შეხედულებასთან შედარებით რაიმე უპირატესობა არ აქვთ. ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილი „ქართლის ცხოვრების“ აღწერა, ეს ჩემი ხედვაა.

„ქართლის ცხოვრება“ XI საუკუნის ავტორის – ლეონტი მროველის – სამი თხზულებით იხსნება. ესენია: ქართველ მეფეთა „ცხოვრება“, „წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ ანუ წმ. ნინოს „ცხოვრების“ ლეონტისეული რედაქცია და „წმ. არჩილის წამება“. ლეონტის ავტორობის შესახებ ვიტყობთ შენიშვნიდან, რომელიც მოცემულია მანამდე, ვიდრე დაიწყებოდეს წმ. არჩილის „ცხოვრება“: „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 244).[11]

წმ. ნინოს „ცხოვრება“ არსებობდა ლეონტი მროველის მოღვაწეობის დრომდე. ამის შესახებ ჩვენ ვიცით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ საშუალებით, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს წმ. ნინოს „ცხოვრების“ ორ რედაქციას. ლეონტი მროველმა ეს ორი რედაქცია გააერთიანა ერთ ტექსტში და მიიღო ახალი რედაქცია.[12] ამგვარად, ლეონტის წვლილი წმ. ნინოს „ცხოვრების“ ციკლთან დაკავშირებით უნდა შეფასდეს არა როგორც ავტორობა (ახალი ნაწარმოების შექმნა), არამედ რედაქტორობა (არსებული რედაქციების შერწყმით ახალი ვარიანტის მიღება). სიტყვა „აღწერა“, რომელიც ზემოთ მოყვანილ მინაწერში არის მოცემული, ორი მნიშვნელობით გამოიყენებოდა: პირველად დაწერის, აგრეთვე მეორედ დაწერის ანუ თავდაპირველი რედაქციის რედაქტირების აზრით.

წმ. არჩილის „წამებასთან“ ლეონტის დამოკიდებულების შესახებ ჩვენ გვამცნობს სხვა შენიშვნა, რომელიც მოცემულია უკვე ამ ტექსტის დამთავრების შემდეგ. როგორც ითქვა, პირველი შენიშვნა გაკეთებულია წმ. არჩილის „წამების“ დაწყებამდე, მეორე შენიშვნა არსებითად პირველი შენიშვნის გაგრძელებას წარმოადგენს[13] და გვამცნობს ლეონტი მროველის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებების შექმნის ისტორიას. ფაქტობრივად ესაა განმარტება თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ უნდა გვესმოდეს ლეონტის დამსახურება მის მიერ მითითებულ ამა თუ იმ თხზულებასთან მიმართებაში: „წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელი ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღეწერა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 248).[14]

ორივე ეს შენიშვნა ავტორისული ჩანს. იმდენად შინაარსობრივ დახასიათებას ეხება საქმე, რომ შეუძლებელია უბრალოდ გადამწერისეული იყოს. ეს შენიშვნა გვამცნობს, რომ წმ. არჩილის „წამება“ არსებობდა ლეონტი მროველამდე. როგორი იყო ეს თავდაპირველი ტექსტი? მინაწერში ამ კითხვაზე ცალსახა პასუხია გაცემული: ძალიან მოკლე ყოფილა და ამის გამო შენიშვნის ავტორი მას არასათანადოდ აღწერილად მიიჩნევდა. წმ. არჩილის ღვაწლისადმი მიძღვნილი ასეთი შეუსაბამო ტექსტის არსებობის მიზეზად ლეონტიმდე არსებული მძიმე პოლიტიკური („ჟამთა შლილობა“) ვითარებაა დასახელებული. ეს მოკლე და არასათანადოდ აღწერილი „წამება“ გადაუმუშავებია ლეონტი მროველს. ანუ ამ შემთხვევაშიც ლეონტი წარმოგვიდგება როგორც რედაქტორი. წმ. არჩილის „წამების“ თავდაპირველი ტექსტისაგან მან შექმნა ახალი (უფრო ვრცელი და სათანადო ანუ წმ. არჩილის საკადრისი) თხზულება ანუ წმ. არჩილის „წამების“ ახალი რედაქცია. ჰაგიოგრაფიული სტერეოტიპებით აუცილებელი პასაჟები ტექსტში ლეონტის შეტანილი ჩანს. ანუ მშრალი ცნობების შემცველი მოთხრობა, სავარაუდოდ მან აქცია ჰაგიოგრაფიულ ტექსტად.

იგივე შენიშვნა გვამცნობს ლეონტი მროველის მესამე (და ყველაზე მთავარი) თხზულების ანუ ქართველ მეფეთა „ცხოვრების“ შესახებაც. შენიშვნის ამ მონაკვეთით მოგვეწოდება ინფორმაცია ლეონტი მროველის წყაროებზე და, შესაბამისად, წინამოდერნული ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შესახებაც. ირკვევა, რომ ქართველთა ეთნოგენეზის პერიოდიდან ვახტანგ გორგასლამდე პერიოდის აღმწერი ერთიანი თხზულება არ არსებობდა. ამიტომ ლეონტი მროველი დაყრდნობია სხვადასხვა დროს შედგენილ თხზულებებს როგორც წყაროებს. ამის მერე ანუ ვახტანგიდან ვიდრე არჩილამდე (ეს უკანასკნელი ზეობდა VII საუკუნის მეორე ნახევრიდან VIII საუკუნის პირველ ათწლეულებამდე)[15] ლეონტი უკვე ეყრდნობა ერთადერთ ავტორს. ეს ავტორი ჯუანშერ ჯუანშერიანია. როგორც პირველი მონაკვეთი შეუვსია ლეონტი მროველს ჰაგიოგრაფიული თხზულებით (წმ. ნინოს „ცხოვრებით“), ეს მომდევნო მონაკვეთიც გაუმდიდრებია ჰაგიოგრაფიული

თხზულებით. ეს თხზულება ზემოთ უკვე ნახსენები წმ. არჩილის „წამებაა“.

> წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელი ჟამთა შლილობითა ჯერისაებღ ვერვის აღეწერა. ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგანვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისმნან, მირიანის ძისამან. `მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრძნობილსა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 248).[16]

ჯუანშერ ჯუანშერიანი ყოფილა წმ. არჩილის – არჩილ მეფის თანამედროვე და მისი ერთ-ერთი ერისთავთაგანი. ლეონტი ციტირებს ჯუანშერის თხზულების ბოლო ფრაზას, რომელიც ფაქტობრივად მოწოდებას წარმოადგენს მომავალი ისტორიკოსებისათვის, რომ მისი შრომა მათ გააგრძელონ, აღწერონ ისე, როგორც ამას მათ მათივე ეპოქა დაანახვებს. მისმა ნაწერმა კი ამ მომავალ ისტორიკოსებს, მათ, რომელთა გონება ღვთის მიერ იქნება ინსპირირებული, შეუქმნის შესაბამის საფუძველს. ლეონტის მოჰყავს ამონარიდი ჯუანშერის თხზულებიდან, ამ თხზულების შემაჯამებელი ფრაზა, უფრო სწორად ანდერძი, აშკარად იმიტომ, რომ ჯუანშერის მიერ მოხსენიებულ მომავლის ისტორიკოსად ანუ ჯუანშერ ჯუანშერიანის ანდერძის ადრესატად საკუთარი თავი მიუჩნევია. ამას ლეონტი მროველი თავის მკითხველსაც განუმარტავს. ეს კი აშკარად იმისათვის სჭირდება, რომ გვაჩვენოს თუ საიდან იწყება ის ეპოქა, რომლის პირველაღმწერი თვითონაა. ეს ფაქტობრივად ის ტექსტია, რომელიც (პირობითად) იწოდება „მატიანე ქართლისად“. ზემოთ მოყვანილი მეორე მინაწერიდან ამ ბოლო ფრაზას ამგვარად ჩემს გარდა არცერთი მკვლევარი არ განმარტავს. უბრალოდ ეს მომენტი მკვლევართათვის შეუმჩნეველია. არადა, სავსებით გასაგები და იოლად განსამარტავი ადგილია. მომავალი ისტორიკოსებისადმი მიმართვას ხშირად ვხდებით სხვა ძველ ისტორიკოსებთანაც“.[17] აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა კი ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის უგულებელყოფას იწვევს.

აღნიშნული მინაწერების ანალიზით ირკვევა, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი თხზულების ავტორი კი არ ყოფილა, როგორც აქამდე ეგონათ, არამედ ლეონტის მიერ გამოყენებული ერთ-ერთი წყაროს ავტორი, ხოლო ე. წ. „მატიანე ქართლისაში“ წარმოდგენილი ეპოქის პირველაღმწერი მემატიანე ლეონტია. აშკარაა, რომ ისტორიკოსი ამ შემთხვევაში ყველაზე კრეატიული არის. დიდი უნდა ყოფილიყო მისი კრეატიულობა ქართველ მეფეთა „ცხოვრების“ დასაწყისი (ვიდრე ვახტანგისადმდე) ნაწილის შექმნაშიც. საქმე ისაა, რომ როგორც ითქვა, აქ იგი სხვადასხვა წყაროს იყენებდა და მათ მონაცემებს პირველი აერთიანებდა.

რაც შეეხება წმ. ნინოს „ცხოვრებას“, წმ. არჩილის „წამებას“ და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებას“, აქ ლეონტი აშკარად ნაკლებ კრეატიული უნდა ყოფილიყო, უფრო სწორად „ნაკლებად ავტორი“, და უფრო რედაქტორი. ჩამოთვლილი სამ მონაკვეთს შორის მაინც ყველაზე „ნაკლებად ავტორი“ უნდა იყოს ლეონტი მროველი ვახტანგიდან არჩილამდე მონაკვეთის აღწერისას. რადგან ამ შემთხვევაში ის ერთადერთ წყაროს, ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებას მიჰყვებოდა. ანუ სხვადასხვა წყაროდან კი არ კრებდა და თავად კი არ აკავშირებდა, არამედ ერთადერთ წყაროს იყენებდა, მას მისდევდა. ამიტომ ყველაზე ნაკლებად უნდა იგრძნობოდეს ამ მონაკვეთში ლეონტის, როგორც რედაქტორის, ჩარევაც. შესაბამისად შეგვიძლია ამ მონაკვეთს ვუწოდოთ პირობითად მაინც ჯუანშერ ჯუანშერიანისეული ტექსტი, რადგან ლეონტისეული შრე ტექსტში სავარაუდოდ, არაარსებითი ხასიათის უნდა ყოფილიყო.[18]

ამ შრის უგულებელყოფით (მისი არაარსებითობის გათვალისწინებით) ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი სტეფანოზ პირველის პორტრეტის ავტორია VIII საუკუნეში მცხოვრები ისტორიკოსი ჯუანშერ ჯუანშერიანი, რომელიც იყო არჩილ მეფის ერთ-ერთი ერისთავი და რომელიც, როგორც ვნახეთ, მეფე მირიანთან ნათესობითაც იწონებდა თავს.

ამგვარად, სტეფანოზ პირველის უარყოფითი პორტრეტი ეკუთვნის VIII საუკუნეში მცხოვრებ პირს, ადამიანს, რომელიც სტეფანოზს პირადად არ იცნობდა (მათ თითქმის ერთი საუკუნე აშორებთ ერთმანეთთან).

წყაროთა დახასიათება ჩვენ საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ამ ორი განსხვავებული პორტრეტის ავტორთა იდენტიფიცირება: ერთი პორტრეტი უკავშირდება ქართლის უზენაეს საერო სახელისუფლო წრეებს და, როგორც ვთქვი, შექმნილია VII საუკუნის შუა ხანებში. მეორე პორტრეტი სხვა სოციალური გარემოდან წარმომავლობს. მისი ავტორი არჩილ მეფის ერთ-ერთი ერისთავთაგანი (ის იყო არჩილ მეფის ძმის მირის ქალიშვილოის ქმარი). ანუ ეს პორტრეტი ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წიაღშია შექმნილი, თითქმის საუკუნის შემდეგ.

დამატებითი ცნობები სტეფანოზ პირველის პორტრეტების ავტორთა შესახებ

მე მკითხველს უკვე მივაწოდე ზოგი ცნობა სტეფანოზ მეორის შესახებ: მისი მოღვაწეობა საეკლესიო სფეროში, მისი აბსოლუტურად პოზიტიური დახასიათება როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, ისე „ქართლის ცხოვრების“ მიერ. მოყვანილი ამონარიდიდან ისიც ცხადი გახდა, რომ სტეფანოზ მეორე იყო ადარნერსე ერისმთავრის მემკვიდრე და ვაჟიშვილი.

მაგრამ ვინ იყო სტეფანოზ მეორის პაპა? „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არ გვაწვდის რაიმე პირდაპირ ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ. ის უბრალოდ მიუთითებს შემდეგს: „ხოლო ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა. და ერისთვობდა იგივე დიდი სტეფანოზ, და კათალიკოზი იყო ბართლომე მეორედ. და შემდგომად ერისთვობდა ადრნესე, და მისა ზე სამნი კათალიკოზნი იცვალნეს: იოვანე, ბაბილა, თაბორ“ (აბულაძე 1963: 96).

„ქართლის ცხოვრება“ წარმოგვიდგენს განსხვავებულ სურათს: თბილისის ალყის დროს სტეფანოზ პირველის მკვლელობის შემდეგ, ადარნერსე, მეფე ბაკურის ძე (ეს მეფე ამ წყაროების მიხედვით იყო ის ხელისუფალი, რომლის დროსაც მეფობა გაუქმდა ქართლში და ეს ბაკური იყო ირანის შაჰის ჰორმიზდ მეოთხის თანამედროვე ანუ VI საუკუნის მეორე ნახევარის მოღვაწე) დააყენა ერისმთავრად ჰერაკლე კეისარმა. ამავე წყაროს ცნობით, მამის გარდაცვალების დროისათვის ადარნესე იყო მცირეწლოვანი და ამ მიზეზით მან თავის დროზე ვერ დაიკავა ტახტი. ეს არის განმარტება, რომელსაც გვაწვდის ჯუანშერ ჯუანშერიანი. იგივე წყაროს მიხედვით ქართლის პირველი ერისმთავარი გუარამი ასევე ბიზანტიელთა დახმარებით განმტკიცდა ტახტზე, ისიც მიეკუთვნებოდა ხოსროვანთა სამეფო ოჯახს,[19] ოღონდაც იყო ნაკლებად ლეგიტიმური შტოს წარმომადგენელი, ვიდრე მეფე ბაკური, რადგან ქალის ხაზით უკავშირდებოდა სამეფო დინასტიას. ლეგიტიმაციის იგივე ხარისხი გავრცელდებოდა, ცხადია, მის შთამომავლობაზეც. გუარამი პირველი ერისმთავარი იყო, მეორე ერისმთავარი გახლდათ სტეფანოზ პირველი. ამგვარად, ჯუამშერ ჯუანშერიანი ფაქტობრივად იმას გვეუბნება, რომ, როცა სტეფანოზ პირველი მოკლეს, ამ ფაქტის შედეგად სამეფო სახლის ნაკლები ლეგიტიმაციის მქონე შტოს ზეობა შეწყდა. ჯუანშერ ჯუანშერიანის მიხედვით გამოდის, რომ სტეფანოზ პირველი და ადარნერსე პირველი ფაქტობრივად იყვნენ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი: ადარნერსე ბაკურის ძეს ეკუთვნოდა ტახტი, მაგრამ თავის დროზე მან გამეფება ვერ მოახერხა და ამის გამო ზეობდნენ გუარამი და სტეფანოზ პირველი. მაგრამ სტეფანოზ პირველის დაღუპვით ვითარება შეიცვალა და ადარნერსემ დაიკავა ტახტი. ეს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობებია.

მაგრამ მოდით დავუბრუნდეთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და მის ცნობებს. როგორც უკვე ვთქვი, აქ არ არის პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ სტეფანოზ პირველი და ადარნერსე იყვნენ მამა და შვილი. მაგრამ ლოგიკურია ასე ვიფიქროთ, რადგან ადარნერსე პირველის ძესაც სტეფანოზი ერქვა. ცხადია, სტეფანოზ მეორეს ვგულისხმობ. ამ უკანასკნელის ადარნერსეს შვილობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ანუ ადარნერსეს როგორც წინამორბედი, ასევე მისი მემკვიდრე იყვნენ სეხნიები. ორივეს სახელი იყო სტეფანოზი. შვილიშვილისათვის პაპის სახელის დარქმევა არის ტრადიცია, რომელიც ახლაც არსებობს, მაგრამ ის ძველ დროში იღებს სათავეს. ამგვარად, სავარაუდოა, რომ ეს სეხნია ერისმთავრები იყვნენ ბაბუა და შვილიშვილი. აღნიშნულის გათვალისწინებით ვთვლი, რომ ადარნერსე, არის სტეფანოზ პირველის ძე.

ეს დასკვნა ეფუძნება ლოგიკურ არგუმენტს. მაგრამ მისი დოკუმენტირება შესაძლებელია პორდაპირი მონაცემითაც, რომელსაც გვაწვდის XI საუკუნის ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე. მისი თხზულება ეძღვნება ბაგრატიონთა სამეფო სახლის ისტორიას. ეს ისტორიკოსი ყოველგვარი

ორაზროვნების გარეშე მიუთითებს, რომ ადარნერსე იყო სტეფანოზ გუარამის ძის ძე ანუ სტეფანოზ პირველის შვილი (არახამია 1990: 43). ჩვენ არ ვიცით ამ ისტორიკოსს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გარდა სხვა წყარო ჰქონდა თუ არა, რომლიდანაც პირდაპირ აიღო ეს ცნობა, თუ მანაც ჩემსავით ლოგიკური გზით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მონაცემის საფუძველზე დაასკვნა, რომ სტეფანოზი და ადარნერსე მამა-შვილია. ორივე შემთხვევაში სუმბატ დავითის ძის ცნობა შეიძლება გამოვიყენოთ როგორც არგუმენტი.

ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ აგრეთვე სხვა მონაცემებზეც, რომლის მიხედვით, ასევე ცხადი ხდება, რომ ადარნერსე სტეფანოზის ძეა. [20]

გვაქვს აგრეთვე სხვა წყაროებიც, რომლებიც ირიბად მიუთითებენ, რომ სტეფანოზ პირველი და ადარნერსე პირველი არიან მამა-შვილი. ვგულისხმობ წარწერას, რომელიც მოთავსებულია იმ ჯვრის კვარცხლბეკზე, რომელიც იწოდებოდა პატიოსან ჯვრად და, რომელიც ახლა დაკარგულია. ეს არის წმიდა ნინოს დროს აღმართული ჯვრის კვარცხლბეკი, რომელსაც შემდგომ „კუბაჲ“ შეუქმნა რევ მირიანის ძემ. ერთხანს, ტაძრის აგებამდე, ჯვარი ველად იყო მხოლოდ ამ საბურველის ამარა, საბოლოოდ ანუ მცხეთის ჯვრის ეკლესიის აშენების შემდგომ, ჯვარი მოათავსეს რელიკვარიუმში და ტაძრის შიგნით მოქცეულ კვარცხლბეკზე აღმართეს.

წარწერა წარმოადგენს მიმართვას პატიოსანი ჯვრისადმი. სტეფანოზი, დემეტრე და ადარნერსე ევედრებიან ჯვარს შეეწიოს მათ სულებსა და სხეულებს. რამდენადაც ყველანი ჯვარს შესთხოვენ დაცვას, არა მარტო სულთათვის, არამედ სხეულთათვისაც, სრულიად აშკარაა, რომ სამივე აქ დასახელებული პირი ამ წარწერის გაკეთების დროისათვის ცოცხალია. ყოველ მათგანს აქვს ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული. სტეფანოზი არის პატრიკოსი დემეტრე და ადარნერსე – ვიპატოსები: „ესე ჯუარი ქრისტჱსი აღხემართა სტეფანოზ პატრიკიოზისა, დემეტრე ჳპატოსისა, ადრნერსე ჳპატოსისა. სულთა და ჴორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა სახლისა მცველად“ (შოშიაშვილი 1980: 95-97).[21]

დასახელებული პირები აშკარად არიან დონორები. ეტყობა, რომ მათ გაიღეს ხარჯი კვარცხლბეკისა და რელიკვარიუმისათვის. ერთ ლოცვაში არიან ეს პირები მოხსენიებულნი. ძალიან ახლობელნი უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთისათვის, რომ ერთად მოეხსენიებინათ. ამგვარად, სტეფანოზი და ადარნერსე შეუძლებელია პოლიტიკურ მოქიშპეებად დავსახოთ.

ვინაა ამ წარწერაში დემეტრე? იქნებ მისმა პიროვნებამ შეიტანოს მეტი სინათლე დასმული საკითხის გარკვევაში?

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით დემეტრე სტეფანოზ პირველის ძმა გახლდათ. ის ერისმთავარი არ ყოფილა, თუმც ქვეყანაში მისი განსაკუთრებულად საპატიო მდგომარეობა ეჭვს არ იწვევს. ამგვარად, დემეტრეს საშუალებით ვარაუდი იმის შესახებ, რომ წარწერაში უახლოესი პირები უნდა იყვნენ წარმოდგენილნი, მართლდება. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადარნერსესაც განსაკუთრებულად ახლო ნათესაური კავშირი უნდა ჰქონოდა სტეფანოზთან და დემეტრესთან. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ჯვრის კვარცხლბეკზე განთავსებული წარწერაც მხარს უჭერს სხვა წყაროთა მონაცემს იმის შესახებ, რომ სტეფანოზი და ადარნერსე მამა-შვილია. როგორც ითქვა, წარწერის მიხედვით ყველა დასახელებული პირი წარწერის გაკეთების დროისათვის ცოცხალია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტეფანოზია ტახტზე, ადარნერსე კი ტახტის მემკვიდრეა.

იგივე სამი პიროვნება ერთმანეთის გვერდიგვერდ არის წარმოდგენილი რელიეფურ ტრიპტიხზე ჯვრის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე. ეს ტაძარი ძირითადად აშენდა ადარნერსეს დროს, მისმა ძემ სტეფანოზ მეორემ ტაძრის გარშემო შენობების აგებაში შეიტანა წვლილი. როცა ჯვრის ეკლესია დასრულდა, სტეფანოზ პირველი ცოცხალი აღარ იყო. მიუხედავად ამისა, სტეფანოზ პირველს უკავია ცენტრალური ადგილი ამ ტრიპტიხზე. მარჯვნივ არის დემეტრე, მარცხნივ ადარნერსე. გამოსახულებებს ახლავს შესაბამისი წარწერები: „ჯუარო მაცხოვრისაო სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე“; „წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრეს ჳპატოსსა მეოხ ხეყავ“; „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადრნერსეს ჳპატოსსა მეოხ ეყავ“ (შოშიაშვილი 1980: 95-97).

სტეფანოზი უფლის წინაშეა დაჩოქილი. უფალის ხელი მის თავზეა დასვენებული. ამ ჟესტით

ცხადი ხდება, რომ სტეფანოზ პირველი უკვე შეწყალებულია ანუ იგი გარდაცვლილია და მიუხედავად ამისა, ის ტრიპტიხის ცენტრალურ სურათზეა გამოსახული. ადარნერსე რომ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეე ყოფილიყო, ის, ცხადია, არ მისცემდა იმის ნებას ტრიპტიხის შემქნელს, რომ სტეფანოზ პირველი ყველაზე საპატიო ადგილას მოეთავსებინათ, რეალურად როგორი ღვაწლიც არ უნდა ჰქონოდა სტეფანოზს ჯვრის მშენებლობაში. ასე ის შეიძლება მოქცეულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სტეფანოზ პირველი მისი მამა იყო, მამას, ბუნებრივია, რომ გარდაცვალების შემდეგაც არ დაუკარგა დამსახურება. ადარნერსემ ხელოვანს ოჯახის წევრებს შორის ასაკობრივი სუბორდინაცია დააცვევინა და უფროს-უმცროსობის მიხედვით განალაგებინა პორტრეტები: თავისი თავი მამისა და ბიძის შემდგომ გამოასახვინა. წესი აქაც აშკარად დაცულია, თავისი მნიშვნელობით ყველაზე აღმატებული პოლიტიკური მოღვაწის ფიგურა შუაში იყო. მნიშვნელობით მომდევნო პოლიტიკური მოღვაწის ფიგურა უნდა მოთავსებულიყო მარჯვნივ, მარცხნივ წარმოდგენილი ფიგურა კი ცენტრში და მარჯვნივ წარმოდგენილ ფიგურებზე ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. ჯვრის პოსტამენტის წარწერაშიც დაცულია იგივე სუბორდინაცია: ჯერ სტეფანოზია დასახელებული, მერე დემეტრე, მერე ადარნერსე.

ვფიქრობ, არ შეიძლება რაიმე ეჭვი იყოს იმასთან დაკავშირებით, რომ ადარნერსე იყო სტეფანოზ პირველის ძე. ამით კი ირკვევა ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო გარემოება: სტეფანოზ მეორე, რომლის სახელსაც უკავშირდება სტეფანოზ პირველის დადებითი პორტრეტის შექმნა, არის ამ უკანასკნელის შვილიშვილი. ბუნებრივად ჩანს, რომ მას მისი წინაპარი ასე დიდებულად წარმოუჩენია.

ამ მსჯელობის შემდგომ მე მოვიყვან შესაბამისს ამონარიდს „მოქცევაჲ ქართლისაჲდან". მაგრამ ვიდრე ამას გავაკეთებდე, კიდევ მსურს წარმოგიდგინოთ რამდენიმე განმარტება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რამდენად ლაკონიურია ისტორიულ ქრონიკაში ცალკეული მმართველის შესახებ ინფორმაცია, უნდა ვთქვათ, რომ სტეფანოზ პირველის ეპოქისადმი მიძღვნილი მონაკვეთი საკმაოდ ვრცელია. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ საკუთრივ ერისმთავარზე არცთუ ბევრია თქმული. მხოლოდ დასაწყისში და ბოლოში. თავიდან ნათქვამია, რომ მამის ანუ გუარამ ერისმთავრის შემდგომ სტეფანოზმა დაიკავა ტახტი, რომ ის იყო ძმა დემეტრესი, რომ აშენებდა ჯვრის ეკლესიას. ამ ცნობებს მოსდევს ბიზანტიის კეისრის ჰერაკლეს ქართლში შემოჭრის აღწერა, რომელიც სრულდება კვლავ მოკლე შენიშვნით სტეფანოზზე, კონკრეტულად, ხაზგასმულია, რომ კვლავ სტეფანოზი ზეობდა და რომ ამ დროს კათალიკოსი იყო ბართლომე. საინტერესოა სტეფანოზის მიმართ გამოყენებული ეპითეტიც „დიდი". თავისთავად ამ ეპითეტის დადებითი შინაარსი გასაგებია და იმის მტკიცება ზედმეტია, რომ ამ თხზულების მიხედვით სტეფანოზ პირველის შეფასება უაღრესად აღმატებულია. მაგრამ ზედმეტი არ იქნება ამ ფაქტის უკეთ აღსაქმელად კონტექსტის მოშველიებაც. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ისტორიულ ქრონიკაში კიდევ მხოლოდ ერთი პირი მოიხსენიება ამ ეპითეტით და ეს პირია ვახტანგ გორგასალი. ამით გასაგები ხდება რა რანგის მოღვაწედ სურს წარმოგვიჩინოს შესაბამისი ტექსტის ავტორმა სტეფანოზ პირველი. ფაქტები „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ისტორიულ ქრონიკაში სტეფანოზ პირველის შესახებ, როგორც ითქვა, არაა ბევრი, მაგრამ საკმაოდ ნიშანდობლივია.

> და მისა შემდგომად კათალიკოზი იყო სამოველ, და მერმე -- სიმონ-პეტრე. და მის ბაკურის ზე-ვე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ.მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა.სპარსნი უფლებდეს ქართლს და სომხითს და სივნიეთს და გუასპურაგანს; და კათალიკოზი იყო სამოველ და ნელად-რე შეკრბა ქართლი. და განაჩინეს ერის-თავად გუარამ და მერმე -- კურაპალატად-ცა. ამან დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისაჲ და ამას ზე-ვე იყო კათალიკოზი სამოელ-ვე სხუაჲ. და ტფილისისა მკჳდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს: ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერის-თავნი; და კათალიკოზი იყო ბართლომე. და მისა შემდგომად ერისთვობდა სტეფანოზ, ძჱ მისი, ძმაჲ დემეტრესი, და იქმოდა ეკლესიასა ჯუარისასა. მაშინ ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან. და უჭმო ციხის-თავმან კალაჲთ ტფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაც-ბოტობით. ხოლო მან ფერჴი დააპყრა და დანიელი მოიღო და მოიძია (სიტყუაჲ) ესე: „მოვიდეს ვაცი იგი მზის დასავალისაჲ და შემუსრნეს რქანი ვერძისა მის მზის აღმოსავალისანი". და მეფემან ჰრქუა: (უკუეთუ ჩემთჳს) ესრეთ იყოს სიტყუაჲ, მე მიგაგო მისაგებელი შენი". და დაუტევა ჯიბღო ერის-თავი ბრძოლად. და თჳთ წარვიდა ბაღდადს ბრძოლად ხუასრო მეფისა. ხოლო ამან ჯიბღო მცირეთა დღეთა შემდგომად კალაჲ გამოიღო და ციხის-თავი იგი შეიპყრა და პირი

დრაჰკნითა აღუვსო. და მერმე მრთელსა ტყავი გაჰჭადა და მეფესა უკუანა მისწია გარდებანს ვარაზ გრიგოლისსა შინა. წარვიდა ჰერაკლე და შემუსრა ბაღდადი და შეიპყრა ხუასრო მეფჱ და მოღებად სცა ძელი ცხორებისაჲ. და იწყო ბრძანებით შჱნებად იერუსალჱმსა და მოდისტოს დასუა პატრეაქად. და წარმოვიდა აქაჲთ-ვე მეშჯდესა წელსა. და ვიდრე მოსლვადმდე მისა ტფილისს სიონი განეშორა მკჳდრთა, ხოლო ჯუარისა ეკლესიასა აკლდა-ღა. ამან ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტეანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლის-ღებაჲ არა ინებეს, ზაკუვით თანა-აღერინეს ქრისტეანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახჳლი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს. ხოლო ჰერაკლე განწმიდა მჯული ქრისტესი და წარვიდა. და ერის-თჳობდა იგი-ვე დიდი სტეფანოზ, და კათალიკოზი იყო ბართლომე მეორედ. და შემდგომად ერის-თჳობდა ადრნესე, და მისა ზე სამნი კათალიკოზნი იცვალნეს: იოვანე, ბაბილა, თაბორ (აბულაძე 1963: 95-96). [22]

მაგრამ მოდით, დავუბრუნდეთ ჩემ მიერ ჩატარებული ძიებების მთავარ შედეგებს: კვლევამ აჩვენა, რომ ორი სეხნია ერისმთავარი (სტეფანოზ პირველი და სტეფანოზ მეორე) არიან ბაბუა და შვილიშვილი. ეს ცხადყოფს პოზიტიური პორტრეტის შექმნის მოტივაციას: წინაპრის ღირსეულად წარმოჩენის სურვილს.

ცხადია, შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ შვილიშვილის ზეობის დროს შექმნილი პორტრეტი ადექვატურად ასახავს სინამდვილეს, მაგრამ ჯუანშერ ჯუანშერიანი მაინც აშკარად უფრო არაადექვატური აღმწერელია: მისი უზუსტობანი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს, როგორც ირკვევა. და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ამ უზუსტო ფაქტობრივი მონაცემების დიდი ნაწილი უკავშირდება ისტორიკოსის განზრახვას დაარწმუნოს მკითხველები იმაში, რომ სტეფანოზ პირველის მის მიერ წარმოდგენილი უარყოფითი პორტრეტი არის სანდო. ქვემოთ მე დავაფიქსირებ ამ ცდომილებებს. მაგრამ ვიდრე ამას გავაკეთებდე, შევეცდები გავარკვიო რა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანს ასე ნეგატიურად შეეფასებინა სტეფანოზ პირველი. როგორც თავად ისტორიკოსი გვამცნობს, ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი, არის სტეფანოზის ურწმუნოება. მომყავს შესაბამისი ნაწყვეტი წყაროდან, რათა მკითხველმა თავად დაინახოს თუ რასთან გვაქვს საქმე.

და მოკუდა გუარამ კურაპალატი. და დაჯდა ძე მისი სტეფანოზ, | მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს. და მოკუდა სამოელ კათალიკოზი და ამან სტეფანოზ დასუა ბართლომე კათალიკოზად. და ესე სტეფანოზ იყო ურწმუნოჲ და უშიში ღმრთისაჲ, არა ჰმსახურა ღმერთსა, არცა ჰმატა სჯულსა და ეკლესიათა. და ამის ზე იქმნა შფოთი დიდი საბერძნეთს, რამეთუ მავრიკ კეისარსა განუდგა ფოკ|ას მჴედარი და მოკლა მა|ვრიკ კეისარი და შვილნი მისნი და დაიპყრა საბერძნეთი ფოკას მჴედარმან. მაშინ სიძემან კეისრისამან, სპარსთა მეფემან ქასრე, იწყო ძებნად სისხლსა ცოლისძმათა და სიმამრისა მისისათა, შესლვად და ტყუენვად საბერძნეთს, განძლიერდა ბერძენთა ზედა და ვერ წინააღუდგა ფოკას კეისარი. ხოლო სტეფანოზ, მთავარი ქართლისაჲ, შეუშინდა მეფესა სპარსთასა, განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა. მას ჟამსა მანვე მეფემან ქასრე წარმოტყუენა იერუსალჱმი და წარიყვანა „ძელიცხოვრებისაჲ. და შემდგომად ამისა აღიღო ღმერთმან ჴელი წყალობისაჲ ქასრესგან, და შეიპყრა ძემან მისმან და შესუა იგი საპყრობილესა, და მოკუდა სენითა ბოროტითა. ამის სტეფანოზის ზე მცხეთას მოაკლდებოდა და აღშენდებოდა ტფილისი და განძლიერდებოდა, და არმაზი აღთხელდებოდა და კალაჲ აღეშენებოდა. ძმაჲ სტეფანოზისი, სახელით დემეტრე, აღაშენებდა ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა, რამეთუ სენიცა იყო მის თანა ბოროტი და ვე|რ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა. და სტეფანოზ მთავრობდა ყოველ|სა ქართლსა, და დაჯდა იგი ტფილისს და ჰმორჩილებდა იგი სპარსთა ხოლო შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა გამოჩნდა კაცი ერთი საბერძნეთს, თჳსი მავრიკ კეისრისაჲ, სახელით ჰერაკლე. ამან მოკლა ფოკას კეისარი და დაიპყრა საბერძნეთი. განძლიერდა იგი, და მიიყვანნა დასავლეთით თურქნი, და შეკრიბნა სპანი ურიცხუნი და წარმოემართა სპარსეთად ძებნად ძელისა ცხოველისა და მოვიდა პირველადქართლს. და ამან სტეფანოზ არა ინება განდგომაჲ სპარსთაგან და განამაგრნა ციხენი, და დადგა ტფილისსა შინა. მოვიდა [ჰ]ერაკლე მეფე და მოადგა ტფილისსა. ხოლო სტეფანოზ იყო ქველი მჴედარი და შემმართებელი და დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა ქალაქისათა და ებრძოდის ბერძენთა. მაშინ უკუე მას წყობასა შინა ჩამოაგდეს სტეფანოზ და მოკლეს. და დაიპყრა კეისარმან ტფილისი. ხოლო ციხესა კალისასა დარჩეს კაცნი და არა მოერთნეს მეფესა, და ციხით გამო აგინა ციხისთავმან მეფესა და ჰრქუა: „ვაცისა წუერნი გასხენ და ვაც-ბოტისა კისერი გათქს.~ მაშინ ბრძანა მეფემან: „დაღაცათუ კაცმან მან ბას|რობით მრქუა მე ვაცბოტობა, არა არს სიტყუაჲ მისი ცუდ.~ და მოიღო წიგნი დანიელისი და პოვა მას შინა წერილი

ესრეთ: „გამოვიდეს ვაცი დასავალით და შემუსრნეს რქანი ვერძისა აღმოსავლისანი. მაშინ განიხარა მეფემან და დაიდასტურა, რამეთუ ყოველივე განემარჯუებოდა. მაშინ კეისარმან მოუწოდა ძესა ბაკურისსა, ნათესავსა მეფისა ქართველთაჲსა დაჩის, ვახტანგის ძისაჲსა, რომელი ერისთავობდა კახეთს, რომელსა ერქუა ადარნასე, და მისცა მას ტფილისი და მთავრობაჲ ქართლისაჲ, და დაუტევა მის თანა ერისთავი, რომელსა ერქუა ჯიბღა, და უბრძანა ბრძოლაჲ კალას, და თჳთ წარემართა მეფე. ხოლო მცირედთა დღეთა წარიღეს კალაჲ | და შეიპყრეს ციხისთავი იგი. ამან ერისთავმან პირველად პირი დრაჭკნითა აღუვსო, რომელ კეისარმან სიტყჳთა მისითა განიხარა, და შემდგომად ამისა ტყავი გაჰჭადა და კეისარსა უკუანა მისნია გარდაბანს. კადრებისათჳს მეფისა უყო ესე. და ესევითარითა სიკუდილითა წარეგნეს სტეფანოზ და მისნი მსახურნი. ამისთჳს უყო ესე ღმერთმან მთავარსა მას სტეფანოზს, რამეთუ არა მინდობითა ღმრთისაჲთა ცხოვნდებოდა, მორწმუნეთა ემტერებოდა და ურწმუნოთა ჰმოყურობდა (ყაუხჩიშვილი 1955: 222-226).

ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ სტეფანოზის ურწმუნოებაში მისი მონოფიზიტობა იგულისხმება. და ჯუანშერ ჯანშერიანისათვის, რომელიც, მათი აზრით, უნდა ყოფილიყო დიოფიზიტი, ეს სხვა არაფერი იყო თუ არა ურწმუნობა. ფაქტობრივად, ეს მკვლევრები არიან შუა საუკუნეების ისტორიკოსის გავლენის ქვეშ, რადგან ისინიც, მის მსგავსად, ფიქრობენ, რომ ჯუანშერის დამოკიდებულების მიზეზი, სარწმუნებრივი საკითხი იყო.[23]

მართლაც, განსხვავებას დოგმაში შეეძლო დაპირისპირებისა და მტრობის გამოწვევა. წინამოდერნის ეპოქაში რელიგიური იდენტობა გადამწყვეტი იყო ინდივიდთა შეფასების და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებისათვის. ასე რომ, გამორიცხული როდია, რომ ეს ვარაუდი მართებული იყოს. მაგრამ არის ფაქტი, რომელიც მიბიძგებს, რომ ზემოთ მითითებული დაშვება არ გავიზიარო და განვაგრძო ძიება ჯუანშერ ჯუანშერიანის ნამდვილი მოტივაციის გასაგებად. ეს ფაქტია ჯუანშერ ჯუანშერიანის დამოკიდებულება ჰერაკლე კეისრის მიმართ. აღნიშნული პოლიტიკური მოღვაწე ცნობილია თავისი კონფესიური ექსპერიმენტით, რომელიც დასრულდა ახალი ქრისტოლოგიური დოქტრინის – მონოთელიტიზმის – შექმნით. ეს დოქტრინა მიზნად ისახავდა მოერიგებინა მონოფიზიტები და დიოფიზიტები, მაგრამ ძალიან მალე გამოვლინდა, რომ აღნიშნული დოქტრინა ამგვარი მიზნისათვის გამოუსადეგარი იყო და კრიტიკის ობიექტი გახდა ორივე დაპირისპირებული მხარის მხრიდან. ჯუანშერ ჯუანშერიანი ცხოვრობდა ეპოქაში, როცა ამ დოქტრინის მარცხი ყველასათვის თვალსაჩინო გახდა. ის მიუღებელი აღმოჩნდა როგორც დიოფიზიტების, ისე მონოფიზიტებისათვისაც. მიუხედავად ამისა, ჯუანშერ ჯუანშერიანის დამოკიდებულება ჰერაკლესადმი არ არის ნეგატიური. ეს მაფიქრებინებს, რომ ჯუანშერ ჯუანსერიანისათვის მოვლენებისა თუ პიროვნებების შეფასებისას რელიგიური ფაქტორი არ იყო გადამწყვეტი.

მაგრამ რელიგია თუ არა, მაშ რა?

როგორც მკითხველს ახსოვს, ჯუანშერ ჯუანშერიანი იყო მეფე არჩილ მეორის ერთ–ერთი ერისთავთაგანი. არჩილი იყო სტეფანოზ მეორეს ძე. მან ტახტი დაიკავა გვიან VII საუკუნეში და იყო ხელისუფლებაში ადრეულ VIII საუკუნემდე. როგორც აგრეთვე მივუთითე, ერისთავები ანუ რეგიონების მმართველები მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდნენ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ სტრუქტურაში. ისინი მეფის სამსახურის პირობით ფლობდნენ მიწას. მაგრამ ჯუანშერ ჯუანშერიანი არ ჰგავდა ამ ტრადიციულ რეგიონალურ მმართველებს, რომლებიც მიწას ფლობდნენ მეფის სამსახურის პირობით.

იმისათვის რომ ცხადი გახდეს განსხვავება ჯუანშერ ჯუანშერიანსა და ამ ტრადიციულ ერისთავებს შორის მოდით განვიხილოთ ჯუანშერ ჯუანშერიანის ნაშრომის ერთი პასაჟი, კონკრეტულად კი გამოვიკვლიოთ ის ინციატივა, რომელიც ეკუთვნის მეფე არჩილს, და რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში ხანდახან მეფე არჩილის „რეფორმასაც“ კი უწოდებენ (მამულია 1976: 117-124).

ჯუანშერ ჯუანშერიანი მოგვითხრობს შემდეგ ამბავს: არჩილ მეფის მამის სტეფანოზ მეორის გარდაცვალების შემდგომ ტახტი დაიკავა არჩილის უფროსმა ძმამ მირმა, რომელსაც არ ჰყავდა მამრობითი სქესის მემკვიდრეები, არამედ მხოლოდ ასულები. მირი უდროოდ გარდაიცვალა. ამიტომ ანდერძის წარმოთქმა მოუწია სასიკვდილო სარეცელზე. ჯუანშერის მიხედვით მან სთხოვა თავის ძმა არჩილს[24] რომ მისი შვიდი ასული მიეთხოვებინა ქვეყნის შვიდი ერისთავისათვის. ამასთან ის

საგანგებოდ უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ეს გადაწყვეტილებაც სიტუაციიდან გამომდინარე იყო, რადგან ქართველი მეფეები, როგორც წესი, თავიანთ ქალიშვილებს არ აძლევდნენ ცოლად ვასალებს. მაგრამ მას არ ჰყავდა ვაჟი და ამის გამო, ეს აუცილებელი გახდა. მირის ანდერძი იყო აგრეთვე ის, რომ სამეფო მიწები ამ სიძე–ერისთავებს გადასცემოდათ როგორც მზითევი და ეს სრულიად გასაგებია რატომაც: ამ დროიდან ერისთავები იყვნენ უკვე არა უბრალოდ მეფის მოხელეები, არამედ ისინი ხდებოდნენ მმართველი დინასტიის ოჯახის წევრებიც. ერთ–ერთი ამ ერისთავთაგანი გახლდათ თავად ჯუანშერ ჯუანშერიანი, რომელმაც (და ეს ხაზგასმულია) მიიღო სხვებისათვის შესაშური საუკეთესო ნაწილი: „და ვითარ იხილეს, რამეთუ ჯუანშერს უკეთესი ნაწილი მისცა, დაუმძიმდა მცირედ რაჲმე სხუათ|ა მათ“ (მეტრეველი 2008: 113).

აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ შვიდივე ეს ერისთავი, და, პირველ რიგში, კი ჯუანშერ ჯუანშერიანი სრულად უნდა ყოფილიყვნენ დაკმაყოფილებულნი ამ „რეფორმით“, რომლის წყალობითაც ისინი გახდნენ მმართველი დინასტიის ოჯახის წევრები (ანუ გაიზარდა მათი პრესტიჟი) და (და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი) მიაღწიეს თავიანთ მიზანს, ჰქონოდათ მიწა არა სახელმწიფო სამსახურის სანაცვლოდ ანუ პირობით მფლობელობაში, არამედ მკვიდრობით ანუ სამუდამოდ: მზითევი, როგორც ცნობილია, მიწის საკუთრების სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებოდა (ბერძენიშვილი 1990: 165).

მოდით ახლა არჩილის ეს „რეფორმა“ „გადამოვთარგმნოთ“ თანამედროვე სოციალური ისტორიის ენაზე. ეს სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა ცენტრიდანული ფეოდალური ოპოზიციის გამარჯვებას სამეფო ხელისუფლებაზე. აშკარაა, რომ მეფე მირი არ გახლდათ თავისუფალი თავის გადაწყვეტილებაში. ის იძულებული იყო ისეთი ნაბიჯი გადაედგა, რაც ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებას ნიშნავდა რეალურად. ეს „რეფორმა“ ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური ხდომილების ინდიკატორია: ერისთავებმა გამოიყენეს სამეფო დინასტიის კრიზისი, რაც გამოწვეული იყო მეფე მირის უდროო გარდაცვალებით (მაგრამ არა მარტო ეს) და გაიტანეს „რეფორმა“, რომელიც არსებითად ცვლიდა მათ სოციალურ სტატუსს.

ჯუანშერ ჯუანშერიანი ამ წარმატებული და გამარჯვებული ოპოზიციური ფენის წარმომადგენელი გახლდათ და მეფე არჩილი – მისი სუსტი სუვერენი. სრულიად გასაგებია, რომ ამ ტიპის მეფე ყველანაირად მისაღები იყო პრივილეგირებული სოციალური ფენისათვის, ის ამართლებდა ამ ფენის წარმომადგენელთა მოლოდინებს, შეესაბამებოდა მათ პოლიტიკურ გემოვნებას და მოთხოვნებს. მეფის დასტურით მათ მოახდინეს თავიანთი უფლებების ლეგიტიმაცია. ქართლის პირველი ერისმთავარ გუარამის დროიდან ერისმთავრები ფაქტობრივად იყენებდნენ ამ უფლებებს სპარსელებისა და ბიზანტიელების მხარდაჭერით, რომელთაც სურდათ ქართლის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება. ახლა, ამის დამატებით, ერისთავებმა აღნიშნული ვითარების ლეგიტიმაცია შეძლეს. აი, ეს იყო არჩილის „რეფორმის“ არსი.

მაგრამ რა შეგვიძლია ვთქვათ სტეფანოზ პირველის შესახებ, რატომ არის მისდამი ნეგატიურად განწყობილი ჯუანშერ ჯუანშერიანი? არ იყო იგი არჩილ მეფის მსგავსი?

დიახ, სტეფანოზ პირველი ნამდვილად არ იყო არჩილ მეორის მსგავსი ხელისუფალი. შემდეგი ფრაზა ზემოთ უკვე მოყვანილი ამონარიდიდან არის ძალიან ნიშანდობლივი: „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს“. ამგვარად, ჯუანშერ ჯუანშერიანი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ სტეფანოზ პირველს რეალურად სურდა მისთვის „მეფე“ ეწოდებინათ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანი ერთადერთი არ იყო, რომელიც ნეგატიური კუთხით განიხილავდა სტეფანოზ პირველს.

იმისათვის, რომ ჩემი ამ მტკიცებულების ილუსტრირება მოვახდინო, დეტალურად უნდა განვიხილო ერთი ჰაგიოგრაფიული ნოველა, რომელიც ამჯერად ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს. ეს ნოველა VI საუკუნის ასკეტის წმინდა შიო მღვიმელის გარდაცვალების შემდგომდროინდელი სასწაულების კრებულის ერთ-ერთ თავს წარმოადგენს. ამ წყაროს ზუსტი თარიღი ჩვენ არ ვიცით, თუმც აშკარაა, რომ ის დანერილია

სტეფანოზის გარდაცვალებიდან მრავალი საუკუნის შემდეგ, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ის უფრო ადრინდელი, რეალური მოვლენების გამოძახილს წარმოადგენს.

ამ ნოველის სიუჟეტი ასეთია: წმინდა შიოს მონასტერს სტუმრობს ერისმთავარი სტეფანოზ პირველი. მონასტერში მის ვიზიტს დროში დაემთხვა კათოლიკოს ბართლომეს ვიზიტი. ბერები უფრო მეტი პატივით მიიღებენ ბართლომეს. ეს ფაქტი გაანაწყენებს სტეფანოზს და მონასტერს წაართმევს ყველა იმ მიწას, რომელიც ადრე ქართლის უზანაესი ხელისულების მიერ იყო მონასტრისათვის შეწირული. წმიდა შიო დასჯის სტეფანოზს იმით, რომ დააბრმავებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტეფანოზი ამ მიწებს უკან დაუბრუნებს მონასტერს და ამის დამატებით ახალ მიწებსაც შესწირავს მას, მიეცემა სტეფანოზს მხედველობა.

ამ ნოველის მიხედვით სტეფანოზი არ იყო მორწმუნე და მხოლოდ წმინდა შიოს შიშით დაიწყო მცხეთის ჯვრის მშენებლობა. ეს წყარო აფიქსირებს იმ ფრაზასაც, რომელიც თითქოსდა უთქვამს მონასტრის ბერებისათვის „მეფეთა საყდარსა ვზი" (აბულაძე 1955: 203-205), ანუ ამ წყაროს მიხედვით მას ჰქონდა პრეტენზია, რომ ის ფაქტობრივ მეფე იყო და მოითხოვდა, რომ ამ რანგის შესაბამისად ეცათ მისთვის პატივი.

ცხადია, აქ მხოლოდ ტიტულში არ იყო საქმე: აშკარაა, რომ მისი ამბიციური განაცხადი არაფერს ნიშნავდა სხვას თუ არა იმას, რომ სტეფანოზი თავს არ განიხილავდა უბრალოდ *primus inter pares* (ანუ მმართველად, რომელიც სხვა მისი ტოლების მიერ არის არჩეული, როგორც ეს არის წარმოდგენილი „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიერ[25] ან ბიზანტიის იმპერატორის მიერ დანიშნული, როგორც ეს არის „ქართლის ცხოვრებაში",[26] არამედ თავს განიხილავდა თვითმპყრობელად. ცხადია, ეს ფაქტი სრულიადაც არ იქნებოდა მიმზიდველი ჯუანშერ ჯუანშერიანისა და მთელი იმ სოციალური კლასისათვის, რომელსაც ეს ისტორიკოსი განეკუთვნებოდა ანუ ერისთავების კლასისათვის და იმგვარად დომინანტური ფეოდალური ინსტიტუციისათვის, როგორიც იყო მონასტერი. მათი თვალთახედვით ერისმთავარი მეფობის ამბიციით ცალსახად უარყოფითი პიროვნება უნდა ყოფილიყო.

ვახტანგ გორგასლის შემთხვევაც კარგად გვიჩვენებს თუ რამდენად არ მოსწონდა ჯუანშერ ჯუანშერიანს თვითმპყრობელი ხელისუფალი. ის აკრიტიკებდა ვახტანგ გორგასალსაც, მართალია არა იმგვარად ღიად, როგორც სტეფანოზ პირველის შემთხვევაში, მაგრამ იგავის საშუალებით (ჩხარტიშვილი 1993: 55-67). კრიტიკის შეფარული ფორმის გამოყენება მას მოუხდა იმიტომ, რომ ვახტანგ გორგასლის პიროვნება მისი დროისათვის ანუ VIII საუკუნისათვის უკვე ძალიან განდიდებული იყო და მისთვის ძნელი იქნებოდა საპირისპირო აზრის ღიად წარმოთქმა, ამის მიუხედავად ჯუანშერ ჯუანშერიანი მაინც საკმაოდ კრიტიკულად განიხილავს ქართლის ამ დიდ მეფეს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში" მხოლოდ ორი პიროვნება – ვახტანგ გორგასალი და სტეფანოზ პირველი – მოიხსენება ეპითეტით „დიდი". და ზუსტად ეს ორი პიროვნება იმსახურებს ჯუანშერ ჯუანშერიანის კრიტიკას ანუ აშკარად მას არ აქვს სიმპათია ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისადმი.

ზემოთ აღნიშნული ფაქტების საფუძველზე მე ვაკეთებ შემდეგ დასკვნებს: ჯუანშერ ჯუანშერიანი სტეფანოზ პირველისადმი ნეგატიურად იყო განწყობილი მისი სოციალური პოზიციიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი თხზულების პერსონაჟთან აშორებდა საკმაოდ დიდი ხანი და რაიმე პირადული წყენა ამ შემთხვევაში გამორიცხულია, მისი დამოკიდებულება არ გახდა ნეიტრალური ამის გამო. ჯუანშერი ჯუანშერიანი აფასებს სტეფანოზ პირველს საკუთარი სოციალური პოზიციებიდან. ამ ფენამ, მას შემდეგ რაც აწმყოში ცენტრალურ ხელისუფლებაზეც მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება, შეეცადა გააკონტროლებინა წარსულიც.[27] ჯუანშერ ჯუანშერიანი სტეფანოზ პირველს მუქ ფერებში წარმოგვიდგენს არა იმიტომ, რომ მან მისი ურწმუნობის მაჩვენებელი ფაქტები დაადგინა, არამედ იმიტომ, რომ მას არ აქვს სიმპათია იმგვარი მმართველების მიმართ, როგორიც სტეფანოზ პირველია და თავიდანვე „იცის", რომ ამგვარი მმართველი „არის" („უნდა იყოს") ურწმუნო.

ისტორიოგრაფიული პრინციპები და პრაქტიკა

წარსულისადმი დამოკიდებულება იყო (და დღემდე არის) საზოგადოებრივი ცხოვრების ძალიან მგრძნობიარე თემა. ისტრიკოსთა გაცხადებული ვალდებულებაა „სიმართლის თქმა“. შუა საუკუნეების ქართველი ავტორები, ისინი, რომლებიც წარსულის რეპრეზენტირებით იყვნენ დაკავებულნი, ამ კუთხით გამონაკლისნი არ არიან. ვალდებულება, რომ წარსული ასახულიყო ადექვატურად განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩენილია XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჟამთააღმწერელის მიერ: „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თუალახმა ვისთვისმე“ (კიკნაძე 1987: 82).

ეს ფრაზა უნდა განხილულ იქნეს არა როგორც რომელიმე კონკრეტული ავტორის აზრი, არამედ ყველა იმ ავტორისა, ვინც დაკავებული იყო წარსულის რეპრეზენტირებით. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მოვლენები და პიროვნებები უნდა აესახათ ადექვატურად. წინა პერიოდის ქართველი ავტორებიც ასევე იქცევიან. ისინი ირწმუნებიან, რომ ინფორმაცია მიიღეს თვითმხილველებისაგან და სხვა სანდო წყაროებისაგან და რომ უცდომელად აღწერეს რეალობა. წყაროების სანდოობა და სიმართლე განიხილებოდა როგორც აუცილებელი პირობა ისტორიული რეპრეზენტაციისათვის. იოანე საბანისძემ, რომელიც ცხოვრობდა VIII საუკუნის მეორე ნახევარში და დაწერა წმ. აბო თბილელის „წამება“, თავისი თხზულების შესავალ ნაწილში მიუთითებს: „და აღვწერე უღირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტჳლობაჲ, ჭეშმარიტი და უტყუველი“ (აბულაძე 1963: 48).

წმ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“, რომელიც VII საუკუნით თარიღდება[28] არის შემდეგი ფრაზა: „რამეთუ იტყოდა ღმერთშემოსილი იგი უტყუველითა მით პირითა“ (აბულაძე 1963: 335).

როგორი ვითარებაა ჯუანშერ ჯუანშერიანის შემთხვევაში, მისი ცდომილებანი (არასწორი ინტერპრეტაციები) ნიშნავს იმას, რომ „ისტორიკოსის ხელობასთან“[29] დაკავშირებით ის რაიმე სხვა თვალსაზრისს იზიარებდა?

ვიდრე ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, მოდი დავუკვირდეთ კიდევ ერთხელ ჯუანშერ ჯუანშერიანის წერის პრაქტიკას, რათა წარმოვიდგინოთ ის ინტელექტუალური გზა, რომელსაც ისტორიკოსი გადიოდა ვიდრე დააფიქსირებდა ამა თუ იმ ფაქტს თუ ინტერპრეტაციას.

როცა ჯუანშერ ჯუანშერიანი განიხილავს სტეფანოზ პირველის ურწმუნოების თემას, ცხადია, რომ მას ამ შემთხვევაში უნდა ჰქონოდა რამდენიმე წყარო: ერთი იქნებოდა მსგავსი ზემოთ აღწერილი ნოველისა, სადაც სტეფანოზი ცალსახად ურწმუნოდაა გამოყვანილი, რომელშიც სტეფანოზის მიერ მცხეთის ჯვრის მშენებლობა, მართალია, უარყოფილი არაა, მაგრამ მითითებულია, რომ მან ეს რწმენის გამო სულაც არ გააკეთა. აქვე ნაჩვენებია მისი უარყოფითი დამოკიდებულება ეკლესიის მსახურთა მიმართ; მეორე ჯგუფი წყაროებისა უნდა ყოფილიყო მცხეთის ჯვრის ფასადისა და ჯვრის პოსტამენტის წარწერების მსგავსი ინფორმაციის შემცველი ტექსტები, რომლებშიც დასტურდებოდა სტეფანოზის წვლილი მცხეთის ჯვრის მშენებლობაში. და, რა თქმა უნდა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელშიც დასტურდება სტეფანოზის სიდიადე, აგრეთვე, ამ ერისმთავრის დროს ჯვრის მშენებლობა; თუმც ამ მშენებლობის გარკვეული ინიციატივა დემეტრესაც რომ ჰქონდა, ესეც ჩანს.

რა გააკეთა ამ მოცემულობის მქონე ჯუანშერ ჯაუმშერიანმა? მან სრულად გამოიყენა ნეგატიური ინფორმაციის შემცველი ტექსტი, სრულიად უგულებელყო ის წყაროები, რომლებიც აშკარად ამის საწინააღმდეგოს აჩვენებდნენ. ხოლო ორაზროვანი ინფორმაცია განმარტა თავისებურად, საკუთარი კონცეფციის შესატყვისად. ორაზროვნების ქვეშ მე ვგულისხმობ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შემდეგ ცნობას: „და მისა შემდგომად ერისთვობდა სტეფანოზ, ძჱ მისი, ძმაჲ დემეტრესი, და იქმოდა ეკლესიასა“. როგორც ვხედავთ, აქ სტეფანოზი წარმოდგენილია მისი ძმის დემეტრეს მეშვეობით, რაც უცნაურია. და ბუნებრივად იბადება კითხვა იმასთან დაკავშირებით, რატომ იყო დემეტრე ასე გავლენიანი? მე ვფიქრობ, რომ სპარსეთის მხრიდან შემოტევის პირობებში ძმები გარკვეულად როლებს ინაწილებდნენ და საეკლესიო საქმიანობით უფრო ქვეყნის მმართველის ძმა იყო დაკავებული და არა თავად ქვეყნის მმართველი. თუმც ეს არ ნიშნავდა იმას, რომ სტეფანოზი მას ხელს უშლიდა. მაგრამ ახლა ამ საკითხის გარკვევას რომ უფრო ღრმად შევუდგეთ, ამისი ადგილი არ არის. ამჟამად ჩვენთვის მთავარია, რომ სტეფანოზ პირველი მკითხველს წარედგინებოდა საკმაოდ

უცნაურად. სწორედ ამან, ჩანს, ჯუანშერ ჯუანშერიანს თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალება მისცა: დემეტრე აშენებდა ჯვარს, ხოლო სტეფანოზი ამ ფაქტთან არ იყო დაკავშირებული.

განვიხილოთ სხვა შემთხვევაც, მაგალითად, ინფორმაცია უმაღლესი ხელისფლების რეზიდენციის მცხეთიდან თბილისში გადმოტანის შესახებ

თბილისი დააფუძნა ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში, თავდაპირველად ის იყო მხოლოდ ციხე–სიმაგრე და მერე თანდათან საქალაქო დასახლებად გადაიქცა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ურბანიზაციის პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა უმეფობის პერიოდში ანუ ერისმთავრების ზეობის დროს. კვლავ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით პირველი ერისმთავარი, რომელმაც თავისი რეზიდენცია გადმოიტანა მცხეთიდან თბილისში, იყო სტეფანოზ მეორე. მაშინ როცა ჯუანშერ ჯუანშერიანის მიხედვით სტეფანოზ პირველმა გადმოიტანა ერისმთავრის რეზიდენცია მცხეთიდან თბილისში.

როგორ უნდა გავაკეთოთ არჩევანი ამ ორ ცნობას შორის? რომელია სწორი? მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც არასწორ ინფორმაციას გვაწვდის ჯუანშერ ჯუანშერიანი. როგორც უკვე ითქვა, ის არწმუნებს თავის მკითხველს, რომ სტეფანოზ პირველი დაიღუპა თბილისის ალყის დროს. თუ ამ დროისთვის საერისმთავრო რეზიდენცია თბილისში ჯერ არ იყო გადმოტანილი, მაშინ მტკიცება იმის შესახებ, რომ სტაფანოზი თბილისის ალყის დროს დაიღუპა, საეჭვო ხდება. და, პირიქით, თუ რეზიდენცია უკვე თბილისში იყო, მეტ დამაჯერებლობას იძენს. ასე რომ, ეს ფაქტი ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ სტეფანოზ პირველის შეფასებისაგან ცალკე არ დგას. თუ მივიჩნევთ, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანი გარკვეულად მოტივირებულია, როცა ქმნის სტეფანოზის ნეგატიურ პორტრეტს, ცნობა ერისმთავრის რეზიდენციის თბილისში გადმოტანის დროის შესახებ უკვე ამ პირველთან არის ლოგიკურ ბმაში.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც ისმის კითხვა: იგონებს თბილისის ალყის დროს სტეფანოზ პირველის გარდაცვალების შესახებ ფაქტს ისტორიკოსი ყოველგვარი დამხმარე წყაროს გარეშე თუ მას აქვს რაიმე საყრდენი ამ შემთხევაში? ეს კითხვა ისმის იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, პრინციპი ისტორიის წერის იყო „ქეშმარიტის მეტყუელება“. აქ ისმის კითხვა რამდენად შეიძლებოდა ჟანრის პრინციპი და ისტორიკოსის კონკრეტული პრაქტიკა ერთმანეთს ასცდენოდა. პასუხი კვლავ უარყოფითია. X საუკუნის ისტორიკოსი მოვსეს დასხურანცი გვაუწყებს, რომ ხაზარებმა თბილისის ციხის – კალას – დაცემის შემდგომ სიკვდილით დასაჯეს ციხისთავი და ვიღაც ქართველი მთავარი (სომხურ ორგინალშია „იშხანი“).[30] ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ისტორიკოსის ეპოქაში კიდევ არსებობდა წყაროები, რომლებიდანაც შეიძლებოდა ამგვარი ინფორმაციის მიღება. გამორიცხული რატომაა, რომ ეს წყაროები ხელთ ჰქონოდა ჯუანშერ ჯუანშერიანსაც? „იშხანი“ ქართულად შეიძლება ითარგმნოს მთავრად და არაა აუცილებელი, რომ ითარგმნოს „ერისმთავრად“. მიუხედავად ამისა, ჯუანშერ ჯუანშერიანი აშკარად სწორედ ამ ანონიმურად მოხსენიებულ ქართველ მთავართან აიგივებს სტეფანოზ პირველს. რატომ? ახსნა იგივეა, რაც ზემოთ: მან აპრიორი, ყოველგვარი ცნობების გარეშეც „იცის“, რომ ერისმთავარი, რომელსაც სურვილი ჰქონდა იმისა, რომ მეფესავით ემართა ქვეყანა, იყო ცუდი ადამიანი, ე. ი. ურწმუნო, ე. ი. სპარსელების მხარდამჭერი, ე. ი. ცოდვილი და ამის გამო მასზე უფლის მყისიერი სასჯელი გარდაუვალი იყო. ამგვარად, ისტორიკოსი კვლავ წარმოგვიდგენს ისტორიულ სურათს, რომლის აღსადგენად ის ეფუძნება წყაროებს, მაგრამ კითხულობს მათ წინასწარ აკვიატებული შეხედულებით და ამიტომ მისი რეპრეზენტაცია არ არის სინამდვილის ადექვატური.

სხვა შემთხვევების ანალიზიც აგრეთვე წარმოგვიდგეს იგივე ვითარებას: ისტორიკოსი წყაროს ინფორმაციას ცვლის ხანდახან სრულად ამოუცნობ ფორმამდე. თუმც, ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ დაფიქსირებული ფაქტები არაა წმინდა წყლის გამონაგონი, ისინი დიახაც ეფუძნება წყაროებს, თუმც მეთოდები, რომლითაც ეს ფაქტები მოიპოვება ჩვენს შეხედულებებს ობიექტური რეპრეზენტაციის შესახებ არ შეესაბამება.[31]

ახლა ვთქვათ ისტორიის კეთების კონკრეტულად ჯუანშერ ჯუანშერიანის პრინციპების შესახებ. ზემოთ ციტირებული ტექსტი მისი ნაშრომიდან კარგად წარმოაჩენს ისტორიკოსის შეხედულებას, ისტორიის წერისას მის მთავარ პრინციპს: „მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა

აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრძნობილსა“.

„აღწერონ, ვითარცა იხილონ“ – ეს არის ჯუანშერ ჯუანშერიანის პრინციპი. აღსანიშნავია, რომ ეს პრინციპი არ ეწინააღმდეგება სიმართლის თქმის პრინციპს: რასაც იხილავენ, ის უნდა აღწერონ. ეს არის და ეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ სწორედ ეს ფორმულირება ტოვებს სივრცეს სუბიექტური ინტერპრეტაციებისათვის. აქ არის საუბარი არა სიმართლის შესახებ საზოგადოდ, არამედ სიმართლისა, კონკრეტული დამკვირვებლის პოზიციებიდან. როგორც ვნახეთ, ეს ზუსტად ისაა, რასაც აკეთებდა ჯუანშერ ჯუანშერიანი. ასე რომ, შეიძლება დავუშვათ: ამ ისტორიკოსისათვის ნაპრალი სიმართლის თქმის ზოგად პრინციპსა და მის კონკრეტულ პრაქტიკას შორის (რომელიც ბევრ შემთხვევაში აშკარად მეტაისტორიოგრაფიული მოტივაციებით ჩანს გაჩენილი) არ წარმოშობდა ეთიკური ხასიათის პრობლემებს.

დასკვნითი შენიშვნები

მედიევალური ქართული ისტორიოგრაფიის ორი მთავარი ძეგლი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ გვაწვდის ინფორმაციას ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ პირველის შესახებ, რომელიც ზეობდა VII საუკუნის 20–იან–30–იან წლებში. ეს ინფორმაციები ურთიერთგამომრიცხავია: პირველის მიხედვით, სტეფანოზ პირველი იყო დიდი მმართველი, მორწმუნე, ქვეყნის მთავარი ტაძრის – ჯვრის ეკლესიის – მაშენებელი; მეორეს მიხედვით, ის იყო ურწმუნო, არათუ ახალი ეკლესიები არ აუშენებია, უკვე აშენებულებსაც არაფერი შემატა. სხვა დეტალებიც ამ წყაროებში არის არაიდენტური, მაგალითად, სტეფანოზის ზეობის ქრონოლოგია.

აქედან გამომდინარე ამ გამოკვლევის მთავარი კითხვა ფაქტობრივად იყო იმის შესახებ თუ რომელი წყაროს მიერ წარმოდგენილი პორტრეტი არის სინამდვილის უფრო ადექვატურად ამსახველი.

როგორც ირკვევა, პოზიტიური პორტრეტი დაიწერა ერისმთავართა მმართველი სახლის დაკვეთით. ეს მოხდა VII საუკუნის შუა ხანებში სტეფანოზ მეორის ზეობაში, რომელიც იყო სტეფანოზ პირველის სეხნია და მისი შვილიშვილი, მისი ძის ადარნერსეს ძე. მეორე პორტრეტის შექმნის სოციალური წიაღი იყო ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ფეოდალური არისტოკრატია. ჯუანშერ ჯუანშერიანი გახლდათ ერთ-ერთი პრივილეგირებული ერისთავი, რომელიც მოღვაწეობდა VIII საუკუნის მეორე ნახევარში.

ამ ფაქტების გარკვევამ წამოჭრა სხვა კითხვა: რატომ წარმოსახავდა ჯუანშერ ჯუანშერიანი სტეფანოზ პირველს უარყოფითად? მისი უმთავრესი წყარო ხომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იყო, ამას გარდა მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთ ფასადზე სტეფანოზის საპატიო ადგილი არ შეიძლება მისთვის უცნობი ყოფილიყო.

ირკვევა, რომ ისტორიკოსი სტეფანოზ პირველის ბიოგრაფიის რეპრეზენტაციისას იცნობდა როგორც დადებითი, ისე არადადებითი ინფორმაციის შემცველ ტექსტებს. უარყოფით ინფორმაციას ის იყენებდა, დადებით ცნობებს კი უგულებელყოფდა. ამგვარი არჩევანის მიზეზი იყო მისი როგორც ცენტრიდანული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლის მიერ სტეფანოზის მსგავსი მმართველის მიუღებლობა, მმართველისა, რომელსაც ჰქონდა ამბიცია ყოფილიყო თავისი ქვეშევრდომების აბსოლუტური სიუზერენი, მათ შორის ისეთი პრივილეგირებულებისაც, როგორც გახლდათ ჯუანშერ ჯუანშერიანი. ეს მიუღებელი იყო შესაბამისი სოციალური ფენისათვის, რომელსაც უკვე მოესწრო გემო გაეგო „თავისუფლებისათვის“. კლასიზმის გამო ჯუანშერ ჯუანშერიანმა აპრიორი „იცოდა“ რომ სტეფანოზ პირველის მსგავსი ერისმთავარი იყო ცუდი პიროვნება და ცუდი მმართველი.

როგორც დღეს, ასევე წინამოდერნულ ეპოქაში ისტორიის წერა მჭიდროდ უკავშირდებოდა ვალდებულებას „სიმართლის თქმისა“. გამონაგონის რეპრეზენტაცია და არასწორი ინტერპრეტაცია ჟანრის იდენტობასთან შეუთავსებელი იყო. მსოფლიო ისტორიოგრაფია ბევრ მაგალითს გვაძლევს იმისა თუ როგორ ცდილობდნენ ისტორიკოსები ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში დაეცვათ ჟანრის ეს უმთავრესი პრინციპი. შუა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების მიერ ამ პრინციპის

გაგება იყო ისეთივე როგორც ყველგან. რაც შეეხება კონკრეტულად ჯუანშერ ჯუანშერიანს, მისი პრინციპი იყო თხრობა ისე, როგორც ამას ისტორიკოსი დაინახავდა. მაგრამ ეს პრინციპი ტოვებდა ადგილს მონაცემების სუბიექტური ინტერპრეტაციისათვის, რადგან იგი გულისხმობდა არა საზოგადო სიმართლეს, არამედ სიმართლეს დანახულს კონკრეტული დამკვირვებლის პოზიციიდან. ეს სწორედ ის იყო, რაც ფაქტობრივად გააკეთა ჯუანშერ ჯუანშერიანმა სტეფანოზ პირველის ბიოგრაფიის რეპრეზენტაციის შემთხვევაში. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჟანრობრივი პრინციპიდან პრაქტიკული საქმიანობის დაცილება მისთვის არ წარმოადგენდა ჟანრის მოთხოვნასთან შეუსაბამობას.

ზემოთ წარმოდგენილი შემთხვევა არის ძალიან სპეციფიკური და არ იქნება მართებული რომ განვაზოგადოთ ქართული სინამდვილისთვისაც კი. მითუმეტეს, შეუძლებელია მისი საშუალებით ვიმსჯელოთ წინა მოდერნის პერიოდში ისტორიგრაფიული კანონის რაობაზე მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ამგვარი ფაქტების ცოდნა მაინც გამოსადეგია, რამდენადაც ისინი გვეხმარება უფრო ღრმად გავიაზროთ ისტორიკოსთა მეტაისტოროგრაფიული მოტივაციები და ისტორიის წერის პრაქტიკასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემები.

შენიშვნები

[1] ამ გამოკვლევის თავდაპირველი ვერსია ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 2018 წელს ბულგარეთში. იხ.: (ჩხარტიშვილი 2018ბ: 37-68).

[2] აღნიშნულ საკითხზე ჩემი თვალსაზრისი გამოთქმული მაქვს არაერთხელ. იხ.: (ჩხარტიშვილი 1994: 37-41); (ჩხარტიშვილი 1996: 180-181); (ჩხარტიშვილი 2005); (ჩხარტიშვილი 2008: 192-202);. სხვა მკვლევრების თვალსაზრისისათვის იხ. (რაფი 2004); კონკრეტულად იხ. თავი მეშვიდე, რომელიც სწორედ აღნიშნულ პერიოდს ეხება, გვ. 331–351; (სანაძე 2016: 412).

[3] სპეციალურ ლიტერატურაში შევხდებით ქართლში მეფობის გაუქმების სხვა თარიღს (ლორთქიფანიძე 2015: 79-80), ზოგი საუბრობს VI საუკუნის პირველ ათწლეულებში ან VI საუკუნეების შუა ხანებში გაუქმებაზე. ჩემ მიერ შემოთავაზებულ თარიღი ეფუძნება წყაროთა პირდაპირ ჩვენებებს (ჩხარტიშვილი 1994: 28–41).

[4] კავკასიაში ჰერაკლეს ლაშქრობის შესახებ მოკლე ინფორმაციისათვის იხ. (გრეითრექსი 2012); ჰერაკლე კეისრის ტაქტიკური მანევრირების შესახებ იხ. (ეკეტუსი 2009).

[5] რამდენიმე წყარო გვაწვდის ინფორმაციას თბილისის ალყის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში სურათი მსგავსია, ბევრი დეტალი განსხვავებულია, მაგალითად, განსხვავებანი ფიქსირდება ქართულ და სომხურ წყაროებს შორის. მაგრამ ეს ფაქტი არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ჰიპერკრიტიკულად მოვეკიდოთ ქართულ წყაროებს და უარვყოთ მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობა, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი მკვლევარი. იხ. მაგალითად (შაპირა 2015: 56-57).

[6] თუ, ცხადია, პოსტ-მოდერნული სულისკვეთების შესატყვისად არ ვფიქრობთ, რომ შეიძლება არსებობდეს ერთზე მეტი სიმართლე ან თუ კითხვის ქვეშ არ ვაყენებთ თავად იმის შესაძლებლობას, რომ სიმართლის დადგენაზე გვქონდეს პრეტენზია. ისტორიის პოსტმოდერნული თეორიების მეტად საჭირო მიმოხილვისათვის იხ. (ტოლფსენი 1999: 203-222).

[7] X საუკუნის ავტორი არსენი კათალიკოსი თავისი თხზულების „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამების“ შესავალ ნაწილში განმარტავს თუ რატომ საუბრობს ყველა წმ. ასურელ მამაზე. მას სურს მისმა მსმენელებმა წმინდა მამების ღვაწლი დაინახონ მოვლენათა ერთიან ჯაჭვში: „არამედ მინდა, რაჲთა გაუწყო თქუენ, ძმანო, ვითარმედ ესევითარნი ქუეყანისა ანგელოზნი... ერთსა ჟამსა შინ იყვნენ ვითარცა ჯაჭჳ ოქროჲსაჲ მოდებული ერთიერთსა“. იხ. (აბულაძე 1963: 246-247).

[8] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ როგორც საისტორიო ლიტერატურის ძეგლის დახასიათებისათვის იხ. (ჩხარტიშვილი 1987); (ჩხარტიშვილი 1989: 11-19); „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შესახებ კომპაქტურად გადმოცემული ჩემი თვალსაზრისისათვის იხ.: (ჩხარტიშვილი 2018ა: 15-20).

[9] ს. რაფი შეცდომით მიაწერს ამ მოღვაწეობას ადარნერსეს. იხ. (რაფი 2014: 347).

[10] ეს დათარიღებაც ჩემია და მისი დასაბუთება წარმოდგენილი მაქვს ზემოთ დამოწმებულ ნაშრომებში, მაგალითად. იხ.: (ჩხარტიშვილი 1994: 39-41 და სხვა გვერდები).

[11] თეიმურაზისეულში ამას დამატებული აქვს: „და ახლა ი˘ე დეკანოზმან აღწერა“. იხ. იქვე, შენიშვნაში. ეს მინაწერი შემორჩენილია რამდენიმე ხელნაწერში. აზრი ფორმულირებულია რამდენადმე განსხვავებულად. ანასეულში, მაგალითად, არის შემდეგნაირად: „ესე არჩილის წამება, ნინოს ქართლის მოქცევა, ლეონტი მრუველმან აღწერა“. მარიამისეულში: „არჩილის წამება და მეფეთა ცხორება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველამან. დედასა ასე ეწერა“. კლიმიაშვილისეულში: „ესე არჩილის წამებაჱ და მეფეთა ცხრ˘ჱ და ნინოს ქ˘რთლის მოქცევა ლეონტი მროელმან დაწერაჱ“. მაჩაბლისეულში: „არჩილის წამება და მეფეთ

ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცეუა ლეონტი მროველმან. დედასა ასეთნი ეწერა". ხელნაწერებში დაცული ტექსტებისათვის იხ. (მეტრეველი 2008: 244).

[12] ნმინდა ნინოს „ცხოვრების" ლეონტისეული რედაქციის შესახებ იხ. (ჩხარტიშვილი 1980: 114-121); (ჩხარტიშვილი 1977).

[13] მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ორი შენიშვნა უნდა ერთად იქნეს განხილული. პირველ მათგანში ჩამოთვლია ის ნაშრომები, რომლებიც ეკუთვნოდა ლეონტი მროველს (როგორც ავტორს და როგორც რედაქტორს), მეორეში კი იდენტიფიცირებულია მისის წყაროები. ასე რომ, ეს მეორე შენიშვნა, სავარაუდოდ, ლეონტი მროველის მიერ არის გაკეთებული. სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ამ საკითხს ეძღვნება, ძალზე მრავალია. ყველაზე ყოვლისმომცველი მიმოხილვა ეკუთვნის გ.არახამიას. იხ. მისი (არახამია 2002: 3-74); იხ. აგრეთვე (ხოშტარია-ბროსე 1996). რაც შეეხება ჩემს თვალსაზრისებს, მე მათ გამოვხატავ სხვადასხვა ნაშრომში მუდმივად. იხ. მაგალითად (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 117). იხ. აგრეთვე (ჩხარტიშვილი 2018ა: 20-27).

[14] იხ. აგრეთვე (მეტრეველი 2008: 250).

[15] ვახუშტი ბაგრატიონი არჩილის ცხოვრების პერიოდს განსაზღვრავდა 668-718 წლებით. მე სწორედ ამ წლებს ვიზიარებ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მკვლევარი არჩილის ცხოვრების წლებს უკავშირებს VIII საუკუნის მეორე ნახევარს. მე ვფიქრობ, რომ ეს არის შეცდომა, რომელიც წყაროთა არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე წარმოიშვა. ამის შესახებ იხ. (ჩხარტიშვილი 1994: 127); იხ. აგრეთვე (ჩხარტიშვილი 2019: 295-296).

[16] იხ. აგრეთვე (მეტრეველი 2008: 250).

[17] იხ. მაგალითად, როგორ ამთავრებს თავის ნაწარმოებს რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინი.: "Let better men in the flower of their age, and of eminent accomplishments, relate the subsequent events" (იანი 1894: 623).

[18] ზოგი მკვლევარი ჯუანშერ ჯუანშერიანს მოიხსენიებს ფსევდო ჯუანშერად. იხ. (წულაია 1986), თუმც გაუგებარია, რატომ, მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერის ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია ლეონტი მროველის რედაქტირების გავლით. სხვა შემთხვევებში ლეონტი მუშაობდა თითქმის როგორც ავტორი. ჯუანშერთან მიმართებით კი, ეს უნდა ყოფილიყო ზედაპირული რედაქტირება.

[19] „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქართლის ერისმთავრები იყვნენ ხოსროვანები. მეფე არჩილის მეორის შემდეგ შეწყდა ხოსროვანთა დინასტია. თუმც კვლევა აჩვენებს, რომ ხოსროვანები რეალურად ტახტს აღარ იკავებენ არჩილ პირველის შემდგომ. უკანასკნელი ხოსროვანი დედის ხაზით იყო მურვანოსი (ცნობილი ქართველი ასკეტი პეტრე იბერი), რომელიც მოღვაწეობდა პალესტინაში და რომელიც სამშობლოში აღარ დაბრუნდა, მას შემდეგ, რაც ბავშვობაში, როგორც ქართლის ტახტის მემკვიდრე საპატიო მძევლად, წაიყვანეს ბიზანტიაში. უშვილო არჩილ პირველმა იშვილა პეტრეს ნახევარ-ძმა მირდატი და ასე გაგრძელდა ხოსროვანთა დინასტია. ამ მირდატის მომდევნო მეფეები, ვახტანგ გორგასლის ჩათვლით, იყვნენ „ხელოვნური" ხოსროვანები. ანუ ისინი ამ სამეფო დინასტიას უკავშირდებოდნენ ხელოვნური დანათესავების გზით. ვრცლად იხ. (ჩხარტიშვილი 2018ა).

[20] ეს არის ხელნაწერის შენიშვნა, რომელიც X საუკუნით თარიღდება. სავარაუდოდ ეს შეიშვნა ასლია ეპიტაფიისა. მისი შინაარსი შემდეგია: „როცა გარდაიცვალა დიდი მეუფე ადარნერსე, რომელიც იყო ძე სტეფანოზისა და გუარამის ძის დემეტრეს ძმიშვილი". ეს ცნობა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ზ. ალექსიძემ. ამ ცნობასთან დაკავშირებული დისკუსიისათვის იხ. (ჩხარტიშვილი 2005: 58, 118-119).

[21] ამ წარწერის განსხვავებული წაკითხვების შესახებ დისკუსიის თაობაზე იხ. (ჩხარტიშვილი 1994: 84-99).

[22] ზემოთ მითითებული წლები სტეფანოზის ზეობისა განსაზღვრულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მონაცემებზე დაყრდნობით. ამ წყაროს მიხედვით სტეფანოზმა ტახტი დაიკავა ჰერაკლეს ქართლში მოსვლამდე (ანუ 627 წლამდე), პილიტიკური ვითარებიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მან VII საუკუნის ოციანი წლების შუა ხანებში დაიკავა ტახტი. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით იმპერატორი, რომელსაც ქართველმა ერისთავებმა მიმართეს, მათთვის მეფე მოეცა, იყო მავრიკი. მავრიკი მოკლულ იქნა 602. ანუ ქართლში უზენაესი საერო ხელისუფლების აღდგენა უნდა ვივარაუდოთ ამ თარიღზე ადრე. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით ჰერაკლეს მეორე ლაშქრობის დროისათვისაც კი ანუ თბილისის ალყის შემდგომ შვიდი წლის გასვლის მერე ანუ 634 წელს ზეობდა ისევ ის „დიდი სტეფანოზი", მაშინ როცა „ქართლს ცხოვრების" მიხედვით სტეფანოზი მოკლეს თბილისის ალყის დროს ანუ 627 წელს.

[23] ვ. გოილაძე პრობლემას შემდეგნაირად ხედავს: ცხადია, რომ ისტორიკოსი რაღაცით არის შეურაცხყოფილი. რატომ წარმოსახავს სტეფანოზს როგორც ურწმუნოს? როგორც ირკვევა, იმიტომ, რომ ის მონოფიზიტია. თუ ძველი ავტორი ურწმუნების ქვეშ გულისხმობს მონოფიზიტობას, მაშინ საეკლესიო წრეების გაღიზიანება სტეფანოზით გასაგები ხდება (გოილაძე 1997: 96-97). ბევრი მკვლევარი ეხება ქრისტოლოგიურ დებატებს და მათ გავლენებს ქართველთა საგარეო პოლიტიკაზე. იხ. (ალექსიძე 1968: 214) და (სტეფნაძე 2001: 61-67).

[24] ჯუანშერის მიხედვით მირი და არჩილი მეფეები იყვნენ.

[25] „და ნელადრე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ" (აბულაძე 1963: 95).

[26] -მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი ...და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რაჲთა უჩინოს მეფე ჩათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რაჲთა იყვნეს ერისთავნი იგი თჳსთჳსსა საერისთოსა შეუცვალებლად. მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვაჲ მათი და მოსცა მეფედ...გუარამ...

ამას გუარამს მისცა კეისარმა ჯურაპალატობაი და წარმოგზავნა მცხეთას“ (მეტრეველი 2008: 226).

[27] ამ შემთხვევაში ძალიან რელევანტურად ჩანს ჯორჯ ორუელის ცნობილი გამოთქმა: „ვინც აკონტროლებს ანმყოს, ის აკონტროლებს წარსულს“.

[28] ამ თხზულების დათარიღებასთან დაკავშირებით მკვლევართა თვალსაზრისები სხვაობს. ამ დებატების შესახებ და წარმოდგენილი დათარიღების მამტკიცებელი არგუმენტების შესახებ იხ. (ჩხარტიშვილი 1994).

[29] ˙The Historian's Craft“ – ეს არის მარკ ბლოკის ცნობილი ნაშრომის Apologie pour l'histoire ou Métier d'historien ინგლისური თარგმანის სათაური.

[30] იხ. შესაბამისი პასაჟი წყაროდან: "They brought the two princes, one the Persian governor and the other a native Georgian, as captives before the king, who commanded that their eyes be put out as retribution for having insultingly represented his image as blind; and with dire tortures he strangled them to death, then flayed the skin from their bodies, stretched it, stood it up, filled it with straw and suspended it from the top of the wall. Then they laid their hands on the chests full of treasure, and the whole army, each man heavily laden, carried it before their ruler and placed it in great heaps and piles. So much was brought before him that his eyes grew weary of gazing upon the immense number of gold and silver talents".

მათ ორი უფლისწული, ერთი სპარსეთის გამგებელი და მეორე ქართველი, მიიყვანეს მეფის წინაშე ტყვედ, რომელმაც ბრძანა, რომ მათთვის თვალები დაეთხრათ, როგორც შურისძიება იმის გამო, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს მის სახეს, როგორც ბრმას; და სასტიკი წამებით დაახრჩო ისინი, შემდეგ კი მათ სხეულებს კანი გააძრო, გაჭიმა ის, ფეხზე წამოაყენა, ჩალით აავსო და კედლის თავიდან გადმოკიდა. მაშინ დაადეს ხელები საგანძურით სავსე სკივრებზე და მთელმა ლაშქარმა, თითოეულმა მძიმედ დატვირთულმა კაცმა, მიიტანა იგი თავიანთი მმართველის წინაშე და დაალაგეს დიდ გორებად და გროვებად. იმდენი რამ მიიტანეს მის წინაშე, რომ გაფართოებული თვალები დაეღალა ოქროსა და ვერცხლის ტალანტიების უზარმაზარი რაოდენობის ყურებისაგან (დაუსეთი 1961: 95).

[31] პრემოდერნულ ისტორიულ აზროვნებაში არ არსებობდა კონსესუსი ისტორიკოსთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით: "Whereas Lucian encourages the historian to be as impartial as possible – in affect *apolis* – Agathias emphasizes his patriotism and praises his own native town".

„მაშინ როცა ლუკიანე მოუწოდებს ისტორიკოსს იყოს მაქსიმალურად მიუკერძოებელი – *აპოლისის* შემთხვევაში – აგათიასი ხაზს უსვამს თავის პატრიოტიზმს და ადიდებს საკუთარ მშობლიურ ქალაქს“ (ქალდელისი 1997: 305).

[32] შდრ. იხ.: (მეტრეველი 2020: 225). „ქართლის ცხოვრების ცნობით, ეს ბაკური იყო შაჰ ურმიზდის ანუ ჰორმიზდ მეოთხის (579-590) თანამედროვე.

დამოწმებანი

აბულაძე 1955: *ასუხედ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი ხედაქციები*. ტექსტები გამოკვლევითა ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი.

აბულაძე 1963: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტომი 1. გამოსაცემად მომზადა ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება .

ალექსიძე 1968: *ეპისტოლეთა წიგნი*. ტექსტი ქართული თარგმანით გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბილისი, მეცნიერება.

არახამია 1990: *სუმბატ დავითის ძე. ცხოვრებაი და უწყებაი ბაგრატონიანთა*. ტექსტი გამოსაცემად მომზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ, თბილისი.

არახამია 2002: გ. არახამია. *„ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე*, თბილისი.

ბერძენიშვილი 1990: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის*, თბილისი.

გოილაძე 1997: ვ. გოილაძე. *აბჰეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო*, თბილისი.

გრეითრექსი 2012: G. Greatrex. Persia and Byzantium.*The Encyclopedia of Ancient History,* First Edition. Ed. Roger S. Bagnall, Kai Brodersen, Craige B. Champion, Andrew Erskine, and Sabine R. Huebner. Blackwell.

დაუსეთი 1961: *The history of the Caucasian Albanians by Movses Dasxuranci, book two,* trans. C. J. f. Dowsett, London, New York, Toronto,

ეკებუსი 2009: B. Ekkebus. Heraclius and the Evolution of Byzantine Strategy, *Constructing the Past, vol.* 10, iss 1. (ნანახია 24.11.2022: http://digitalcommons.iwu.edu/constructing/vol10/iss1/11)

იანი 1894: *The Roman history of Ammianus Marcellinus during the emperors Constantinus, Julian, Jovianus, Vaentinian, and Valens*. Transl. C. D.Yonge, B.A. with a general index, London and New-York.

კიკნაძე 1980: Р.К. Кикнадзе. *Очерки по источниковедению истории Грузии: Парсадан Горгиджанидзе и "Картлис цховреба".*

კიკნაძე 1987: *ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბილისი.

ლორთქიფანიძე 2015: *საქართველოს ისტორია ოთხ ტომად.* მთავარი რედაქტორი მ. ლორთქიფანიძე, თბილისი.

მამულია 1976: გ. მამულია. არჩილ „მეფის" რეფორმების ლეგენდის ანალიზი და მისი პოლიტიკური ტენდენცია. *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან.* ნ. ბერძენიშვილის 80 წლისთვისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი.

მეტრეველი 2008: *ქართლის ცხოვრება.* მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, მერიდიანი, არტანუჯი.

რაფი 2014: S. Rapp. *The Sasanian World through Georgian Eyes. Caucasian and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature.*

სანაძე 2016: მ. სანაძე. *ქართველთა ცხოვრება.* წიგნი მესამე. ქართლის მეფეებისა და პატრიკოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე), თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სტეფნაძე 2001: ჯ. სტეფნაძე. *ხეღიგიის ხოღი საქაჰთვეღოს საგაჰეო ოჩიენტაციაში*, თბილისი

ტოლფსენი 1999: T.R. Tholfsen. Postmodern theory of history: A Critique. *Memoria y civilización* 2.

ქალდელისი 1997: A. Kaldellis. Agathias on History and Poetry, *Greek, Roman, and Byzantine Studies* 38.

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი.

შაპირა 2015: D. Shapira. On the relative value of Armenian sources for the Khazars. *Studies on Iran and The Caucasus. In Honour of Garnik Asatrian,* ed. Uwe Bläsing, Victoria Arakelova, Matthias Weinreich, London/Boston, Brill.

შოშიაშვილი 1980: *ღაპიდაჩუღი წაჩწეჩები. აღმოსავლეთ და სამხეთ საქაჰთვეღო* (მეხუთე–მეათე საუკუნეები). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1977: მ. *ჩხახტიშვიღი. „წმინდა ნინოს. ცხოვრების" ხეღაქციები*, სადიპლომო ნაშრომი, შრომის წითელი ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჩხარტიშვილი 1980: მ. ჩხარტიშვილი. მეტაფრასი "წმ. ნინოს ცხოვრების" "ქართლის ცხოვრებისეული" რედაქციის შესახებ. *სმა მაცნე, სეჩია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია*, #4.

ჩხარტიშვილი 1987: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები („ცხოვრებაი წმიდისა ნინოისი").* თბილისი: მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1989: *Обращение Грузии*. Перевод с древнегрузинского Е.С Такайшвили. Редакционная обработка, исследование и комментарии М. С. Чхартишвили, Тбилиси, Мецниереба.

ჩხარტიშვილი 1993: მ. ჩხარტიშვილი. „არაკი სინდთა მეფისა". *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ. VIII, თბილისი: მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1994: მ. ჩხარტიშვილი. *„მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი". „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა სეჩაპიონ ზაჩზმელისაი". წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა.* თბილისი, მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1996: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი. V-VII სს ისტორიის ამსახველი ძეგლები.* დისერტაცია წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

ჩხრტიშვილი 2005: მ. ჩხარტიშვილი. *„წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" და VI-VII სს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. პოლემიკური ნარკვევები*, თბილისი.

ჩხარტიშვილი 2009ა: მ. ჩხარტიშვილი. *სახეები საქართველოს წარსულიდან*, თბილისი, უნივერსალი.

ჩხარტიშვილი 2015/2016: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ისტორიული აზრის განვითარება შუა საუკუნეებში: ქართლის სამეფოს დაარსების შესახებ ცნობების შედარებითი ანალიზი, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ. XVII-XVIII, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი.

ჩხარტიშვილი 2018ა: მ. ჩხარტიშვილი. *საქართველო III-V საუკუნეებში. ხოსხოვანთა სამეფო სახლის ისტორია*, თბილისი, ნეკერი.

ჩხარტიშვილი 2018ბ: M. Chkhartishvili. Discussing Some Features of Georgian Medieval Historiography. Two Verbal Portraitsof Duke Stephanos I. Laudator Temporis Acti. Studia in Memoriam Ioannis A. Božilov,vol. II. IUS, IMPERIUM, POTESTAS LITTERAE, ARS ET ARCHAEOLOGIA. curavit I. A. Biliarsky. Институт за Исторически. Изследвания Българска Академия на Науките. Издателска къща „Гутенберг".

ჩხარტიშვილი 2019: მ. ჩხარტიშვილი. კომენტარი მურვან ყრუს იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით გამოთქმულ ახალ თვალსაზრისზე. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, #21, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი.

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო*,თბილისი, უნივერსალი.

წულაია 1986: *Джуаншер Джуаншериани. Жизнь Вахтанга Горгасала*, Пер., введ. и примеч. Г.В. Цулая. – Тбилиси: Мецниереба.

ხოშტარია-ბროსე 1996: ე. ხოშტარია-ბროსე. *ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება"*, თბილისი, მეცნიერება.

REPRESENTATION OF PRESIDING PRINCE OF KARTLI STEPHANOZ I IN GEORGIAN MEDIEVAL HISTORIOGRAPHY: THE GENRE CANON AND METAHISTORICAL CONTEXT

Mariam Chkhartishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ivane Javakhishvili institute of History and Ethnology
mariam.chkhartishvili@tsu.ge

Two principle monuments of Georgian medieval historiography – "The Conversion of Kartli" and "The Life of Kartli" (this last one is a collection of historical writings) are providing mutually exclusive information on presiding prince Stephanoz I (620s–630s): according to former Stephanoz was a great ruler, believer, builder of the main church of the country – Church of the Cross, while according to the latter he was infidel and did not contribute to the constructing of Church of the Cross and even more: did not add anything to already existed churches. Many other details also including the chronology are represented differently.

Which one from these sources is reliable?

As it was turned out the positive portrait was written with approval of presiding prince Stephanoz II (was in power in the middle years of theseventh century) – the grandson and namesake of presiding prince Stephanoz I. The author of the negative portraits is Juansher Juansheriani who was duke of the king Archil (second half of seventh century – first two decades of eighth century).

These results caused another question: why did Juansher Juansheriani depicts Stephanos I so negatively? For answering this question there were considered two pre-suppositions: Juanhser Juansheriani had borrowed his information from incorrect sources or he had intentionally misinterpreted the sources because of certain motivations. The research has revealed facts making obvious that the historian based his representation on both – incorrect as well as correct sources. Incorrect information he used; correct evidences were ignored or misinterpreted by him. The reason of misinterpretations was prejudice emerged on the social soil. Juansher Juansheriani belonged to the centrifugal feudal opposition which felt deep dispathy to the rulers like Stephanos I– who had an ambition to be full right suzerain of his subjects, including the highest stratum of feudal aristocracy like Juansher Juansheriani. Because of his classism Juansherian Juansheriani "knew" a priori that this presiding prince was "bad" person and "bad" ruler.

As today in pre-modernity too making history was firmly associated with obligation of "telling truth". Fictional representations or misinterpretations were considered incompatible with genre identity. The world historiography provides many facts confirming how for historians of all epochs and nationalities was vital to hold firmly the genre's principles.

Medieval Georgian historians' understanding of the purpose of history as writing of truth was similar to those being accepted worldwide. As for Juansher Juansheriani "to relate events as one would see" was declared principle.

However, this formulation of the principle of telling truth left space for subjective interpretations: it was not about revealing general truth, but truth seen from the point of particular observer. This actually was what Juansher Juansheriani had done and because of this for him the divergence between the principle and practice was not problem.

The displayed case was very specific and it would not be correct to generalize it even to Georgian medieval historiography, not to mention the history of the pre-modern period as a whole, but knowing the cases like this might be useful in general as they help to deeper understanding of the history writing practices in pre-modernity (maybe not only in it!) and spectrum of possible problems of source analysis emerged because of prejudicing historians.

ქართველი ბერი – იერუსალიმის მეფის ნაცვალი

მამუკა წურწუმია
დამოუკიდებელი მკვლევარი
mamuka@mkhedari.ge

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულ კვლევას თავისი წინაისტორია აქვს, რომელზეც მოკლედ შევჩერდები. 2018 წლის განმავლობაში რამდენიმე საუბარი მქონდა თემო ჯოჯუასთან, რომელიც სანივაჯისძეთა გვარის ისტორიას იკვლევდა და ერთ ჩემს ნაშრომში დამოწმებული ცნობა აინტერესებდა, რამდენადაც ის ეხებოდა ამ გვარის წარმომადგენელთა კონტაქტს ჰოსპიტალიერთა ორდენთან (წურწუმია 2010: 88); (წურწუმია 2012ბ: 331). ამ საუბრებმა საბოლოო ჯამში მიბიძგა კიდეც აღნიშნული ცნობის გაღრმავებული კვლევისაკენ, რასაც მე და თ. ჯოჯუა პარალელურად ვახორციელებდით და ერთმანეთს დაკვირვებებსაც ვუზიარებდით. კვლევის დასრულების შემდეგ, 2018 წლის 24 დეკემბერს კონფერენციაზე წარსადგენი მოხსენებების სათაურებიც გავუგზავნე თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტს („თემო ჯოჯუა. სანივაჯისძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მოღვაწეობა საქართველოსა და წმინდა მიწაზე (X-XII სს.)“ და „მამუკა წურწუმია. ქართველი ბერი – იერუსალიმის მეფის ნაცვალი“). ეს უნდა ყოფილიყო ერთობლივი, წყვილედი მოხსენება, რომელიც ერთ თემას ეხებოდა და ერთი მეორეს გაგრძელებას წარმოადგენდა. გარკვეული მიზეზების გამო მოხსენებების ჩართვა კონფერენციის პროგრამაში ვერ მოხერხდა და ეს საქმე და შესაბამისად, ნაშრომების გამოქვეყნებაც, უკეთესი მომავლისათვის გადავდეთ. ამასობაში, 2019 წელს დაიბეჭდა იოანე კაზარიანის სტატია, რომელიც ამავე თემას ეხება და სადაც სწორედ ზემოთ აღნიშნული ჯვაროსნული საბუთია გამოქვეყნებული (კაზარიანი 2019: 172-189). თვალსაჩინოებისათვის მომყავს მისეული თარგმანი:

> უთარიღო [დაახლ. 1160]. – კაზალის ჩუქება, საბა ქართველის ვაჟების – ძმების იოსებისა და იოანეს მიერ, რომელსაც არაბულ ენაზე „Hara“ ეწოდება; რომელიც [„Hara“] წმ. მოსეს მთის ძირში, ვაკეზეა განლაგებული, რომელსაც [ადგილს] არაბულად „Jeham“-ს უწოდებენ, რომელიც [ანუ კაზალი] მათ მამას ბოდუენმა აჩუქა, მეორემ სახელით – იერუსალიმის მეფემ, ფინიკების გარეშე (კაზარიანი 2019: 175).

ამას მოსდევს რამდენიმე გვერდზე გაშლილი კომენტარი, სადაც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქართველი ძმები იერუსალიმის სამეფოს რაინდები იყვნენ, რომელთაც ბალდუინ II-მ ნებოს მთის მიდამოებში სამფლობელო უბოძა და რომ ისინი იცავდნენ სამეფოს საზღვრებს სელჩუკებისაგან (კაზარიანი 2019: 175-183).

სამწუხაროდ, ი. კაზარიანის ეს ცდა დოკუმენტის არასათანადო გამოქვეყნებისა და მცდარი კომენტირების ნიმუშად თუ გამოდგება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ავტორი არ იცნობს საქმის ვითარებას, ჯვაროსნული აღმოსავლეთის ისტორიას, გამოსაქვეყნებელი საბუთის ირგვლივ არსებულ მასალასა თუ უკვე ჩატარებულ კვლევებს და საბუთის მხოლოდ ერთი, XIX საუკუნეში გამოქვეყნებული მოკლე ვარიანტით ხელმძღვანელობს. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი მხრიდან მისი კრიტიკა პირველი არ არის. ეს საქმე არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებს, ამიტომ შევეცდები მაქსიმალურად მშრალად, ყოველგვარი განვრცობისა და ზედმეტი კომენტარის გარეშე, მხოლოდ აღვნიშნო ი. კაზარიანის შეცდომები, რომელიც იცნობს საბუთის მხოლოდ მოკლე ფრანგულ ვერსიას და არ სმენია უფრო სრული ვარიანტის შესახებ; *ჯეჰამი* ჰგონია სოფლის (*ჰაჰას*) სახელი; ვერ აკავშირებს *შეჰანს* და *ჯეჰამს*; შეჰანის უდაბნოს კომპლექსს აცალკევებს და შიჰანის მთაზე არსებული მონასტერი და მის ძირში მდებარე დასახლება სხვადასხვაგან, ერთმანეთისაგან ათეულობით კილომეტრით

დაშორებულ ლოკაციებში აქვს წარმოდგენილი; ქართველი ბერი საბა-სანინვაჯი იერუსალიმის მეფის რაინდი (თუ სამხედრო მოხელე) ჰგონია. შეცდომათა ამ კასკადს აგვირგვინებს მცდარი თარგმანის შედეგად არსაიდან გაჩენილი „ფინიკის ველები"! ქვემოთ, თანმიმდევრობით დალაგებული, ამ და სხვა შეცდომათა გრძელი სიაა მოცემული:

გვ. 172-73, 181: ი. კაზარიანი ორჯერ უთითებს, რომ შეჰანის მთა მკვდარი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს; სინამდვილეში, შეჰანის მთა მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობს და არა სამხრეთ-აღმოსავლეთით.

გვ. 175, შენ. 6: დელავილ ლე რუს პუბლიკაციაში დოკუმენტი 53-ე გვერდზეა გამოქვეყნებული და არა მე-18-ზე.

გვ. 175-76: როგორც ქვემოთ დავინახავთ, არასწორია დოკუმენტის „კაზალში" დავინახოთ ფეოდი, როგორც ამას ი. კაზარიანი აკეთებს. ჩვენ შემთხვევაში კაზალი მხოლოდ სასოფლო დასახლებაა, რომელიც ქართველთა მონასტერთან იყო დაკავშირებული.

გვ. 176, 178, 180: ავტორი სამ ადგილას იმეორებს, რომ ქართველთა დასახლება ტრანსიორდანიაში „სელჩუკების სახელმწიფოს საზღვართან" მდებარეობდა, რაც მორიგი შეცდომაა, ტრანსიორდანიას ჩრდილოეთიდან დამასკოს საამირო ესაზღვრებოდა, რომლის მფლობელები – ჯერ ბურიდები (1104-1154), შემდეგ ზენგიანები (1154-1174) – სელჩუკები არ იყვნენ; ვერც სამხრეთელი მეზობლის, ეგვიპტის მმართველებს – ფატიმიანებს (1171 წლამდე), შემდგომ კი აიუბიანებს – მივაკუთვნებთ სელჩუკებს.

გვ. 176: უსაფუძვლოა მსჯელობა კაზალის სახელისა და მდებარეობის შესახებ, სადაც სულ მცირე ხუთი შეცდომა მაინც მოიძებნება: მცდარად გაგებული ტექსტის გამო ავტორი შეცდომით აერთიანებს კაზალის (ანუ სოფლის) სახელს (*ჰაჰა*) მთის (სადაც მონასტერი იყო) სახელთან (*ჯებჰამი*); ეს დასახლება არ მდებარეობდა ნებოს მთის რაიონში; სახელწოდება *ჯებჰამი* (*Jeham*) არ მომდინარეობს *ჯებაღიდან* (*Jabal*); არც ებრაული Har-Nevo (ნებოს მთა) არის სოფლის არაბული სახელწოდების (ჰარა) ძირი; არც „არაბულენოვანი მოსახლეობა უწოდებდა საბა ქართველის „კაზალს" ებრაულად, მაგრამ არაბული გამოთქმით – Hara", და, შესაბამისად, არც ქართველთა მამულს ერქვა „მთის ციხე-სიმაგრე".

გვ. 177, შენ. 8: იქიდან გამომდინარე, რომ კაზალი ნებოს მთასთან მოათავსა, ი. კაზარიანმა ლოკალიზაცია „დაუწუნა" დ. პრინგლს; ის ვერ გაერკვა პრინგლის ნაწერში, რომელიც ჰ. მაიერის კვლევას მისდევს და, მიუხედავად იმისა, რომ პრინგლი მოსეს ეკლესიას ახსენებს, ამ დამატებითმა ინფორმაციამაც არაფერი მისცა და ის „უზუსტო ინტერპრეტაციად" ჩაუთვალა.

გვ. 178: ავტორის აზრით, ადგილობრივი ქართველები სტრატეგიულ როლს თამაშობდნენ იერუსალიმის სამეფოს ისტორიაში და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს იცავდნენ: „შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ თავად პალესტინელი ქართველები იერუსალიმის სამეფოს ცხოვრებაში, კონკრეტულად კი მის ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონში, სელჩუკების საზღვართან ახლოს მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ", და იქვე: „ეს ხალხი მეფისთვის ტრანსიორდანიის ამ ნაწილში გარკვეულ სტრატეგიულ როლს თამაშობდნენ". ეს დებულება მცდარია და ნებოს მთასთან არ არსებობდა ქართველთა სამფლობელო, მით უმეტეს, სტრატეგიული ფუნქციის მქონე.

გვ. 178: სტრატეგიული დებულების წამოყენების შემდეგ ი. კაზარიანი ინტერესდება, თუ რატომ აჩუქა ბალდუინმა ქართველებს მიწები და ასეთ კითხვას სვამს: „ხომ შეიძლებოდა ეს მიწები ადგილობრივი ჯვაროსნების მმართველობაში გადაცემულიყო?" ჯერ ერთი, საბას მამული კი არ აჩუქეს, არამედ არსებული დაუმტკიცეს და მეორეც, ბალდუინს საბას კუთვნილება სხვისთვის რომ გადაეცა, ეს არსებულის წართმევა იქნებოდა და განხეთქილების საბაბი ქართველებთან, რასაც განსაკუთრებული მიზეზის გარეშე არავინ გააკეთებდა.

გვ. 179, შენ. 10: ანსელუსის წერილის ადრესატი არ არის პარიზელი ეპისკოპოსი გალონი, არამედ გერბერტი (იხ. წურწუმია 2012ა: 175-176).

გვ. 179: მრავალ შეცდომას უშვებს ი. კაზარიანი იერუსალიმის სამეფოს ფეოდალური სამფლობელოების ჩამოთვლისას. მისი თქმით, ერთი ასეთი დიდი სამფლობელო იყო „საიდას, კესარიისა და ბეისანის სენიორია"; ამ პატარა მონაკვეთში სამი შეცდომაა: უნდა იყოს *სიდონის* და არა საიდას, რაც მთავარია, სიდონი და კესარია 1120-იანი წლების შემდეგ ცალ-ცალკე სენიორიებს

წარმოადგენდნენ (იხ. მაიერი 1990ა: 870-877), და არც *ბეისანი* (*ბესანი*) შედიოდა სიდონის შემადგენლობაში (იხ. ედბური 1997: 135-36, 166).

გვ. 179: „სამხრეთით იყო კრაკ დე მონრეალისა და სენ-აბრაჰამის სენიორია"; აქ ავტორი კერაკისა და მონრეალის სენიორიას უწოდებს კრაკ დე მონრეალს, რაც სინამდვილეში მხოლოდ მონრეალის სახელია. რაც შეეხება სენ-აბრაჰამს ანუ ჰებრონს, ის არ შედიოდა კერაკისა და მონრეალის სენიორიაში 1177 წლამდე ანუ საბუთში აღწერილ მოვლენებამდე. ტრანსიორდანიის პირველი ლორდი, რომელიც ჰებრონსაც ფლობდა, რენო დე შატილიონი იყო (იხ. მაიერი 1985: 64-81).

გვ. 179: „იაფოსა და ასკალონის გრაფის ვასალი რამპის სენიორი იყო"; იაფასა და ასკალონის გრაფი *ჰამღას* და არა *ჰამპის* სენიორი იყო.

გვ. 179-180: ი. კაზარიანი არ იცნობს სანივაჯისძეთა ოჯახს, სამაგიეროდ, ვრცლად მსჯელობს საბა ქართველის სტატუსის შესახებ და ის ჰგონია იერუსალიმის მეფის სამხედრო მოხელე და, შესაძლოა, რაინდიც; ცხადია, რომ ბერად შემდგარი საბა-სანივაჯი ვერც ერთი ვერ იქნებოდა.

გვ. 180: ავტორის აზრით, საბას „კეთილშობილ წარმოშობაზე მისთვის სამკვიდროს ჩუქება მოწმობს"; აქ მარჩიელობა ზედმეტია, საბას მაღალ სოციალურ სტატუსს პირდაპირ აჩვენებს ქართული წყაროები (იხ. ჯოჯუა 2016-17: 197-200).

გვ. 180-181: ავტორის ფანტაზია ფრთებს შლის ე.წ. „ფინიკის ველებზე" მსჯელობის დროს, რომელსაც დიდ ყურადღებას უთმობს. ი. კაზარიანის აზრით, ძმებმა ჰოსპიტალიერებს მამული ფინიკის ველების გარეშე გადასცეს, რომელიც, სავარაუდოდ, ჯვრის მონასტრისათვის უნდა შეეწირათ, რის გამოც დაიმსახურეს მონასტრის ჩანაწერებში მოხვედრა. მოვუსმინოთ მას:

> ამ „ჩუქების" თანახმად იოსებმა და იოანემ „კაზალი" ჰოსპიტალის ორდენს გადასცეს, თუმცა ფინიკების გარეშე (ფრ. sans datte). ანუ, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ქართველებმა ჰოსპიტალიერებს მამული და მიწის მხოლოდ ნაწილი გადასცეს [...], ფინიკის ველები კი დაიტოვეს... „კაზალისაგან" განსხვავებით მათ ფინიკის ველები შესაძლოა საკუთრებაში ჯვრის მონასტერს გადასცეს. მათი სახელები Geo. 28 ხელნაწერის მოსახსენებელ ჩანაწერებში ტყუილად როდი იყო მოხსენებული – ისინი ამ სავანის კეთილისმყოფელნი იყვნენ.... ფინიკის ველებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ წმინდა ჯვრის მონასტრისთვის ძმების მიერ ამ მიწების გადაცემის შესახებ ჩვენი ვარაუდი თუ სწორია, მაშინ ამ მიწების კონტროლი შეჰანის მონასტრიდან (ასევე როგორც ჯვრის მონასტრიდან) შეიძლებოდა განხორციელებულიყო, სადაც ძმები დრო და დრო იმყოფებოდნენ.

საქმე ისაა, რომ არავითარი „ფინიკის ველები" დოკუმენტში არ გვხვდება და, ბუნებრივია, არც ქართველი ძმების საკუთრებაში არ იმყოფებოდა. ეს კურიოზული შეცდომა თანმდევი „ანალიზითურთ" ფრანგულიდან არასწორი თარგმანის შედეგია, როდესაც საბუთის ბოლოში მინაწერი „თარიღის გარეშე" (ერთგან sans datte, მეორეგან sans date) (იხ. მაიერი 2010: 286) იქცა „ფინიკების გარეშედ" და საბოლოოდ „ფინიკის ველებად" ტრანსფორმირდა!

გვ. 181: ი. კაზარიანი აცხადებს, რომ „ჩუქების" წყალობით წმინდა მიწაზე ქართველთა და ლათინელთა ურთიერთობის ისტორიაში ახალი ფაქტი წარმოჩნდება... გავლენიანი ქართველი ფეოდალისა და ჰოსპიტალიერთა ორდენის ძმებს შორის არსებული პირდაპირი კონტაქტების შესახებ არაფერი იყო ცნობილი". ეს „ახალი ფაქტი" ჯერ კიდევ 2010 წელს გავაცანი სამეცნიერო საზოგადოებას და მას უკვე იყენებენ ქართულ ისტორიოგრაფიაში: ამ ცნობაზე დაყრდნობით თ. ჯოჯუამ ერთმანეთთან დააკავშირა ქართული წყაროების სანივაჯისძეთა ოჯახი ლათინური საბუთის საბა ქართველთან და მის შვილებთან (ჯოჯუა 2016-17: 201-202).

გვ. 182-183: რადგანაც თვლის, რომ ნებოს მთა ქართველებს ჯვაროსნებმა გადასცეს, ი. კაზარიანი მსჯელობს ამ ფაქტის მნიშვნელობაზე და აკეთებს შორსმიმავალ დასკვნებს: „ნებოს მთა პალესტინელი ქრისტიანებისთვის დიდ სიწმინდეს წარმოადგენდა. ეს ის მთაა, რომელზეც ღვთის დიდი წინასწარმეტყველი მოსე ავიდა და იქ ღმერთის სიტყვის თანახმად გარდაიცვალა... ამიტომ, ბოდუენის მიერ ამ ბიბლიური ადგილების, სადაც ჩვენთვის ცნობილი „კაზალი" მდებარეობდა, საბა ქართველისა და მისი ოჯახისთვის გადაცემა არა მხოლოდ პოლიტიკურ და სტრატეგიულ, არამედ საეკლესიო ავტორიტეტის ჭრილშიც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო". ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ მთელი ეს მსჯელობა და დასკვნები ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

გვ. 183: თავის სტატიას ი. კაზარიანი ასე ასრულებს: „მოცემულ სტატიაში ვეცადეთ, გაბრიელ შეჰანელის ოჯახის, მისი ვაჟის – საბა ქართველისა – და შვილიშვილების, კვალი მაქსიმალურად ზუსტად და ზედმიწევნით შეგვესწავლა, გვეჩვენებინა მათი კონტაქტები ჯვაროსანთა ადგილობრივ ადმინისტრაციასა და ჰოსპიტალის ორდენთან. უფრო მეტის თქმა საბასა და მისი ვაჟების საქმიანობის შესახებ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ისტორიული მასალის სიმწირის გამო“. ზემოთ უკვე ჩანს, რომ მოცემული სტატია ვერ გამოდგება „მაქსიმალურად ზუსტად და ზედმიწევნით შესწავლის“ ნიმუშად, ქვემოთ კი შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ „უფრო მეტის თქმა შეუძლებელი“ სულაც არ არის „ისტორიული მასალის სიმწირის“ გამო.

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს და განვიხილოთ თავად საბუთი და უშუალოდ მისი შესწავლის ისტორიაც.

საბუთის კვლევის ისტორია

განსახილველი დოკუმენტის შინაარსი ცნობილია სამი ნუსხიდან, რომელთაგან ორი – XVI და ერთი კი XVIII საუკუნეებშია შედგენილი (მაიერი 1990ბ: 98). ნუსხებში დოკუმენტიდან მხოლოდ ამონაწერებია შესული და ის სრული სახით უცნობია. XVIII საუკუნის ნუსხა ეკუთვნის ჟან რიბოს, მალტის (იგივე ჰოსპიტალიერთა) ორდენის არქივარიუსს.[1] საქმე ისაა, რომ წმინდა მიწაზე ჰოსპიტალიერთა ორდენის მიმართ გაცემული საბუთები ინახებოდა საფრანგეთში, სენტ-ჟილის პრიორატში. ჟან რიბოს, ამ პრიორატის არქივარიუსის მიერ 1741 წელს შედგენილი ნუსხა 1107-1287 წლებში დაწერილ 378 საბუთს მოიცავს (ლე რუ 1894: XVIII, 36, შენ. 2). ეს საბუთები, ორ ტომარაში მოქცეული, მალტიდან შემთხვევით მოხვდა საფრანგეთში და 1742 წელს ორდენის დიდი მაგისტრის მანუელ (ემანუელ) პინტო დე ფონსეკას მოთხოვნით უკან, მალტაზე, დააბრუნეს (ლე რუ 1895: 37-43). ზოგიერთი მათგანი დღეისთვის დაკარგულია და ჩვენამდე მხოლოდ რიბოს ნუსხით მოაღწია (ლე რუ 1894: 36, შენ. 2). მის მიერ 1741 წელს შედგენილი საბუთების რეესტრი სათაურით *Inventaire des chartes de Syrie* ინახება მარსელში ბუშ-დე-რონას დეპარტამენტის არქივში (ლე რუ 1894: XVIII).

საბუთი პირველად გამოსცა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟოზეფ დელავილ ლე რუმ, რომელიც ჰოსპიტალიერთა ორდენის ისტორიას იკვლევდა და საარქივო დოკუმენტებს სწავლობდა. ორდენის კარტულარიების პირველ ტომში მას მოჰყავს საბუთის ფრანგული ტექსტი:

> Donation faite par Joseph et Jean, frères, enfants de Saba, Géorgien, d'un casal appelé en langue arabe “Hara”, situé dans la plaine sous la montagne de S. Moyse, dite en arabe “Jeham”, qui avoit été donnée à leur père par Baudouin, IIe du nom, roy de Hierusalem, sans datte (ლე რუ 1894: 210, no. 284).
>
> შესაბამისი ქართული თარგმანი: შეწირულობა იოსებისა და იოანეს, ძმების, საბა ქართველის შვილების მიერ, სოფლისა, რომელსაც არაბულად ჰქვია ჰარა და მდებარეობს ვაკეზე წმ. მოსეს მთის ძირში, არაბულად ჯეჰამი, და რომელიც მათ მამას ბალდუინ II-მ, იერუსალიმის მეფემ უბოძა. თარიღის გარეშე.

ერთის წლის შემდეგ, 1895 წ. მან ხელმეორედ, პრაქტიკულად ცვლილებების გარეშე, დაბეჭდა იგივე ტექსტი:

> Donation faite par Joseph et Jean, frères, enfants de Saba Géorgien, d'un casal apellé en langue arabe “Hara”, situé dans la plaine sous la montagne de Saint-Moyse, dite en arabe “Jeham”, qui avoit été donné à leur père par Baudouin, IIe du nom, roy de Hierusalem, sans datte (ლე რუ 1895: 53, no. 62).

დელავილ ლე რუ საბუთს 1160 წლით ათარიღებდა, რამდენადაც, ყოველგვარი ქრონოლოგიური მონაცემის არარსებობის პირობებში, ის ეყრდნობოდა ჟან რიბოს, რომელიც საბუთს 1159 და 1160 წლის დოკუმენტებს შორის ათავსებდა (ლე რუ 1894: 209).

რ. რორიხტმა გაიზიარა ლე რუს დათარიღება და იერუსალიმის სამეფოს დოკუმენტების კრებულში აღნიშნული საბუთი ლათინურ ენაზე გამოაქვეყნა:

> Josephus et Johannes, filii Sabae Georgiani, Hospitali casale arabice Hara dictum, quod in planitie sub monte S. Mosis arabice Jeham dicto situm est et patri ipsorum a Balduino II rege donatum fuerat, concedunt (რორიხტი 1904: 21, no. 365^b^).

ქართული თარგმანი: იოსები და იოანე, საბა ქართველის შვილები, აძლევენ ჰოსპიტალს სოფელს, რომელსაც არაბულად ჰქვია ჰარა და მდებარეობს ვაკეზე წმ. მოსეს მთის ძირში, რომელსაც არაბულად ჯეჰამი ეწოდება და რომელიც მათ მამას მეფე ბალდუინ II-მ უბოძა.

აღსანიშნავია, რომ ორივე პუბლიკატორი, დელავილ ლე რუც და რორიხტიც, თავის გამოცემებში იყენებდა XVIII საუკუნის რიბოსეულ ნუსხას (მაიერი 1990ბ: 98).

XX საუკუნის მიწურულს ჯვაროსნული აღმოსავლეთის ცნობილმა მკვლევარმა ჰანს ებერჰარდ მაიერმა საფუძვლიანად შეისწავლა აღნიშნული საბუთი (მაიერი 1990ბ: 98-99), ხოლო XXI საუკუნის დამდეგს, გამოაქვეყნა მისი ყველა ნუსხა სათანადო კომენტარით (მაიერი 2010: 286-287).

ამ ნუსხების ნუმერაცია მაიერისეული კლასიფიკაციით ასეთია: მარსელში, ბუშ-დე-რონას დეპარტამენტის არქივში დაცული ქ. მანოსქის სახაზინო არქივის 1531-35 წლების ნუსხა (56 H 68), ფოლიო 414r და 636r – შესაბამისად M^1 და M^2; ჟან რიბოს მიერ 1741 წელს შედგენილი ნუსხა (56 H 77), ფოლიო 8v – R^1; რიბოს ნუსხის არაფრით გამორჩეული ვარიანტი (56 H 77), გვ. 556 – R^2; რიბოს ნუსხის ასლი, ექს-ონ-პროვანსის ბიბლიოთეკაში (Ms. 339), გვ. 448 – R^3 (მაიერი 2010: 286). ქვემოთ ვაქვეყნებთ დოკუმენტის თარგმანს ჰ. მაიერის აკადემიური გამოცემის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია ამ საბუთის დღემდე მოღწეული ყველა ნუსხა (M^1, M^2, R^1, R^2, R^3):

სისხლისმიერი[2] ძმები იოსები[3] და იოანე,[4] საბა ქართველის[5] შვილები, საბუთით აძლევენ იერუსალიმის წმინდა ჰოსპიტალს[6] სოფელს, არაბულად ბარა,[7] მდებარე მდინარის გაღმა წმინდა მოსეს[8] გორის[9] ძირში დაბლობზე, წმინდა მოსეს[10] ეკლესიასთან ერთად, რომელსაც არაბულად ჯეჰამი ეწოდება,[11] [რომლებსაც ფლობდნენ] პრივილეგიით, რომელიც ბალდუინ მეორემ იერუსალიმის ფრანკთა მეფემ[12] მისცა და დაუმტკიცა ბეჭდით საბას,[13] მათ ზემოხსენებულ მამას სოფელი არა და ეკლესია ზემოხსენებულ ჯეჰამში,[14] და მთელი მათი საკუთრება მდინარის გაღმა და გამოღმა.

როგორც ვხედავთ, სრული სახით გამოქვეყნებული საბუთი საგრძნობლად განსხვავდება დელავილ ლე რუს და რორიხტის გამოცემებისაგან და შეიცავს მნიშვნელოვან დამატებით ინფორმაციას. ჯერ კიდევ ჰ. მაიერმა მიუთითა, რომ გადაწერისას მექანიკური შეცდომის გამო მოსეს ეკლესია გამოტოვებულია ყველა ბეჭდურ გამოცემაში (მაიერი 2010: 286). საბუთში ნახსენებია დასახლება, რომელიც მდინარის გაღმა (*ultra flumen*) მდებარეობდა და რომლის სახელი სხვადასხვა ნუსხაში სხვადასხვანაირადაა მოცემული: არაბული *ბაha*, *აha*, *ჰaha* (*Bara*, *Ara*, *Hara*). ის გაშენებული იყო დაბლობზე წმ. მოსეს გორის ძირში (*sub colle*), ხოლო გორას არაბულად ჯეჰამი (*Jeham*, *Leham*, *Seham*) ერქვა (მაიერი 1990ბ: 98).

მაინც, დასახლებისა და ეკლესიის მდებარეობა კვლავაც გაურკვეველი რჩებოდა. რ. რორიხტი აღნიშნავდა, რომ *ჯეჰამის* შესახებ არაფერი იყო ცნობილი (რორიხტი 1904: 21). ჰ. მაიერი *ჯეჰამში* ხედავს არაბულ სიტყვას ğamī', რაც მეჩეთს ნიშნავს (მაიერი 2010: 286-287). ძიებისას დასავლელ მკვლევართათვის ამოსავალ წერტილად იქცა დოკუმენტში ნახსენები მოსეს მთა. რორიხტი ფიქრობდა, რომ ეს არ იყო სინას მთა, არამედ ნები მუსა (იერიქონის სამხრეთით, იორდანეს გადმოღმა), რომელიც მოსეს განსასვენებლადაა მიჩნეული ან ნებოს მთა (იორდანეს გაღმა) – ადგილი, სადაც მოსე აღესრულა (რორიხტი 1904: 21). თავის მხრივ, ჰ. მაიერი უარყოფს ნებოს მთას, რადგან ამ ტრადიციულ მოსეს სალოცავთან ლოკალიზაციის საწინააღმდეგოდ ბევრი რამ მეტყველებს: შუა საუკუნეებში ნებოს არ უწოდებდნენ მოსეს მთას; ეს არის მაღალი მთა ორი მწვერვალით, რომელიც მთაა (*mons*) და არა გორა (*collis*); ამას გარდა ნებო ეკუთვნოდა ტრანსიორდანიის სენიორიას, რის გამოც საბუთის გამცემი მისი მფლობელი უნდა ყოფილიყო და არა მეფე. მკვლევრის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ვადი მუსას არემარე (პეტრას მახლობლად), თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ეს გეოგრაფიულად მთლად ზუსტი არ არის, რადგან ვადი მუსა არ მდებარეობს მდინარის გაღმა, არამედ მკვდარი ზღვის სამხრეთით (მაიერი 1990ბ: 99; მაიერი 2010: 287). თავისი ჰიპოთეზის მიუხედავად, ჰ. მაიერი აღიარებს, რომ ამ დასახლების ლოკალიზაციის საკითხი ღიად რჩება.

გარკვეული სიფრთხილით, აღნიშნავს რა არსებული ნუსხების არასრულყოფილებას, ასეთ ლოკალიზაციას იზიარებს დ. პრინგლიც (პრინგლი 1998: 377). ამ დასახლებას, რომლის იდენტიფიკაცია ჯერაც ვერ ხერხდება, მიქაელა სინიბალდიც ვადი მუსას მეზობლად ათავსებს და ფიქრობს, რომ

ერთ-ერთი კანდიდატი შეიძლება იყოს სოფელი ხირბათ ან-ნავაფლა ვადი მუსას არეში, რომელიც არქეოლოგიურად დადასტურებულია, რომ მჭიდროდ იყო დასახლებული XII საუკუნეში და სადაც მოსეს წყარო მდებარეობდა (სინიბალდი 2014: 150, 152, 159); (სინიბალდი 2016: 88). ამავე დროს, ისიც აღიარებს, რომ ტოპონიმები *ჰაჰა* (*ბაჰა*, *აჰა*) და *სეჰანი* (*სეჰამი*, *ჯეჰამი*) უცნობია და შეუძლებელია მათი ზუსტი დაკავშირება ვადი მუსას რაიონთან (სინიბალდი 2014: 159).

ქართული წყაროები

საბუთი, რომელიც რეალურად თავისთავში ორ დოკუმენტს მოიცავს, იმდენ გაუგებრობას ბადებს, რომ ჰ. მაიერის თქმით, ის ყველაფერია ღვთის საჩუქრის გარდა, რადგანაც იმდენივე კითხვას აღძრავს, რამდენსაც პასუხობსო (მაიერი 1990ბ: 98). საბედნიეროდ, წმინდა მიწაზე შექმნილი ქართული ხელნაწერები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ჰოსპიტალიერთა საბუთში მოხსენიებულ პირთა ვინაობა და ეკლესიის, უფრო სწორად კი, მონასტრის ადგილსამყოფელი.

1975 წელს ელენე მეტრეველმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც შეისწავლა წმინდა მიწაზე ქართული სამონასტრო ცენტრი შეჰანის უდაბნო და მისი მაშენებლის ვინაობა (მეტრეველი 1975: 22-44). მკვლევარმა გამოიკვლია წმინდა მიწის ქართული ხელნაწერები, – იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოში დაცული Jer. 42, Jer. 50 და პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული Géorgien 28, – სადაც მოცემულია ცნობები შეჰანის მონასტრის მაშენებლის გაბრიელ ტფილელისა (თბილისის ეპისკოპოსის) და მისი ჩამომავლების შესახებ. მანუსკრიპტი Jer. 42 გადაწერილია იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში გიორგი-პროხორეს მამობის წლებში, ანუ 1061 წლამდე. ხელნაწერზე დართულია მოსახსენებელი: „ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე მამაჲ გ(აბრიე)ლ შეჰანელი" (164r). გაბრიელი უკვე შეჰანის მამად იწოდება, რაც ნიშნავს, რომ მას უკვე დაფუძნებული აქვს შეჰანის მონასტერი და მისი წინამძღვარია (მეტრეველი 1975: 24-25). ჯვრის მონასტერში გადაწერილ ხელნაწერებში არსებული გაბრიელ შეჰანელის მოსახსენებლების საფუძველზე ე. მეტრეველი მიიჩნევს, რომ გაბრიელი ჯვრის მონასტრის ძმობის წევრი უნდა ყოფილიყო, რომელიც შეჰანის დაარსების შემდეგაც ინარჩუნებდა კავშირს ჯვრის მონასტერთან (მეტრეველი 1975: 23, 26). 1065 წლის ახლო ხანებში შეჰანში გადაწერილი ხელნაწერიდან (Jer. 50) ვიგებთ, რომ აქ არსებობდა სკრიპტორიუმი, სადაც ქართველი მწიგნობრები შრომობდნენ. ხელნაწერს ერთვის ანდერძი: „დაიწერა წმიდასა უდაბნოსა შეჰანს მამობასა გაბრიელ ტფილელისსა, რომელმან აღაშენა უდაბნოჲ შეჰანი" (67r) (მეტრეველი 1975: 26-32). ჯვრის მონასტრის XII საუკუნის ხელნაწერში (Géorgien 28) კი გვხვდება ძმების იოსებ და იოანესათვის გაბნეწესებული მოსახსენებელი, საიდანაც ირკვევა, რომ ისინი არიან გაბრიელ შეჰანელის შვილიშვილები, რომლებიც ბაბუის აშენებულ მონასტერში მოღვაწეობენ: „ქ. უფალო ღმერთო, დაიცვენ და შეიწყალენ ძმანი ჩუენნი იოსებ და იოანე, გაბრიელ შეჰანის მაშენებელისა შვილის შვილნი, და ღირს ყვენ ჩუენ ჯუარელთა ძმობასა და შეჰანისასჲ" (246v) (მეტრეველი 1975: 23). ძმები აგრძელებენ გაბრიელ შეჰანელის დამკვიდრებულ ტრადიციას და მჭიდროდ არიან დაკავშირებული ჯვრის მონასტრის საძმოსთან (მეტრეველი 1975: 24).

ე. მეტრეველს მიაჩნდა, რომ შეჰანის უდაბნო შიჰანის მთაზე, მდინარე არნონის მახლობლად იყო გაშენებული (მეტრეველი 1975: 33-43) (სურ. 1), რაშიც მას, ტოპონიმების დამთხვევის გარდა, ის გარემოებაც არწმუნებდა, რომ ჯვრის მონასტრის მაშენებელმა გიორგი-პროხორემაც სიცოცხლის ბოლოს არნონის უდაბნოს მიაშურა, როგორც ჩანს, თავის მეგობარ გაბრიელს შეჰანის მონასტერში (მეტრეველი 1975: 42-43): „მოუძლურდა... და ამისა შემდგომად წარვიდა იგი უდაბნოსა არნონს" (გაბიძაშვილი 1968: 346).

შიჰანის მთაზე ე. მეტრეველს პირველად, XX საუკუნის 70-იან წლებში მიუთითა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელმა ანზორ მაისურაძემ, რომელიც პროფესიით ისტორიკოსი გახლდათ და იმხანად იორდანიაში მუშაობდა (მეტრეველი 2016-17: 138-139). შიჰანის მთა, *ჯებელ შიჰანი* ცნობილია სხვა სახელწოდებებითაც, როგორიცაა *ყახა შიჰანი* (*Kara Shihan*), *ყახ'ათ შიჰანი* (*Qar`at Shihan*), *შეჰანი* (Shehan), და სხვ. შიჰანის მთა გადმოყურებს არნონის ხეობასა და მკვდარ ზღვას. მის თხემზე მრავალი ნანგრევი და მღვიმეა (ზაიადინი 1999: 229). მთის თავზე მდებარეობს დიდი

სამონასტრო კომპლექსის ნაშთი, გარშემოვლებული მართკუთხა 60X40 მ კედლით, რომლის სიგანეა 1.3 მ. გალავნის შიგნით ეკლესიის ნანგრევებია, აღმოსავლეთით მიმართული ნახევარწრიული აფსიდით. საპირისპირო დასავლეთის მხარეზე მართკუთხა ფორმის ნაგებობაა, რომელიც აკლდამა უნდა იყოს. მთის სამხრეთი ბოლოსკენ ბაზალტის ქვების ღობე გამოყოფს ტერიტორიას მუსლიმური სასაფლაოსგან (სურ. 2). კომპლექსის კოორდინატებია 31o 22’ 46.99” N; 35o 44’ 13.06” E (ვებერ-კარიოტაკისი, ხამაში 2020: 423).[15]

ახლახან, XII საუკუნეში იერუსალიმში გადაწერილი კიდევ ერთი ქართული ხელნაწერისათვის (H-886) დართული აღაპების საფუძველზე თემო ჯოჯუამ[16] შეისწავლა სანივაჯისძეთა ქართული ფეოდალური სახლის ისტორია, რომლის წარმომადგენელი საბა-სანივაჯი (საბას სახელით ბერად შემდგარი სანივაჯი) ცხოვრების ბოლოს წმინდა მიწაზე იმყოფებოდა. იერუსალიმში ყოფნისას საბამ აღაშენა ჯერ დაუდგენელი ქართული მონასტერი, რომლის ძმობამ მისივე სეხნიის – წმ. საბა განწმედილის ხსენების დღეს (5 დეკემბერს) დაუწესა მას აღაპი (56v-57r) (ჯოჯუა 2016-17: 198-200). H-886 სვინაქსარიც გადაწერილია მონასტერში, რომლის ქტიტორიც საბა-სანივაჯი იყო (ჯოჯუა 2016-17: 180). ამავე მონასტერში მოღვაწეობდა საბა-სანივაჯის ვაჟიც (იოსები), რომლის სახელზეც კიდევ ერთი აღაპი იყო განწესებული (73v) (ჯოჯუა 2016-17: 200-202).

ქართულ-ჯვაროსნული წყაროების შეჯერება

აქ მოყვანილი ქართული მასალის შეჯერება ზემოთ წარმოდგენილ ჰოსპიტალიერთა საბუთის ვრცელ ვერსიასთან პასუხს გასცემს იმ კითხვებს, რომლებიც დასავლელ მკვლევრებს ამდენი ხანი აწუხებდათ და ახალი მონაცემებით გაამდიდრებს ქართულ პალესტინოლოგიას.

ქართული წყაროებიდან ირკვევა, რომ გაბრიელ ტფილელმა, რომელიც წმინდა მიწაზე გამგზავრებამდე თბილისის ეპისკოპოსი, XI საუკუნის შუა ხანებში კი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ძმობის წევრი იყო, იორდანეს გადაღმა, არნონის (ვადი ალ-მუჯიბი) მახლობლად დააფუძნა ქართული სავანე – შეჰანის უდაბნო. 1061 წლისათვის შეჰანის მონასტერი უკვე ფუნქციონირებს და გაბრიელი მისი წინამძღვარია. მონასტერში არსებობდა სკრიპტორიუმი, ხოლო XII საუკუნის I ნახევარში აქ მოღვაწეობენ გაბრიელ ტფილელის შვილიშვილები – იოსები და იოანე (ე. მეტრეველი). გაბრიელ ტფილელ-შეჰანელის შვილია საბა-სანივაჯი, რომელიც იერუსალიმში კიდევ ერთი ქართული მონასტრის ქტიტორი იყო (თ. ჯოჯუა).

ლათინური საბუთიდან ვიგებთ, რომ ზემოხსენებულ საბა-სანივაჯს (საბა ქართველს) იერუსალიმის მეფე ბალდუინ II-მ დაუმტკიცა მისი სამფლობელოები ჯეჰამში, რომელსაც შეადგენდა: 1) მდინარის გაღმა, წმინდა მოსეს გორაკის ძირში დაბლობზე მდებარე დასახლებული პუნქტი არა (ჰარა), 2) წმ. მოსეს ეკლესია ჯეჰამში, და 3) მდინარის გაღმა და გამოღმა არსებული კიდევ სხვა ქონება. გარკვეული დროის შემდეგ, იოსებმა და იოანემ, გაბრიელ ტფილელის შვილიშვილებმა და საბა-სანივაჯის ვაჟებმა, ჰოსპიტალიერთა ორდენს გადასცეს დასახლებული პუნქტი არა (ჰარა) და მოსეს ეკლესია ჯეჰამში.

უეჭველია, რომ საბა ქართველის ანუ საბა-სანივაჯის შვილების, ძმების იოსებისა და იოანეს მიერ გაჩუქებული ჯეჰამი ანუ მოსეს ეკლესია, არის შეჰანის ქართველთა მონასტერი. საგულისხმოა, რომ დოკუმენტის უცხო აღმოსავლური სახელების გადამწერს ერთგან მაინც აქვს შემონახული სინამდვილესთან მიახლოებული სახელი: ჰ. მაიერი აღნიშნავს, რომ M¹ ნუსხის *ჯეჰამის* დასახელების ვარიანტები (*Lehan*, *seam*) მომდინარეობს სიტყვიდან *Sehan* ან *Seham* (მაიერი 1990ბ: 98). ამავე საბუთიდან ირკვევა, რომ შეჰანის ქართველთა მონასტერი მოსეს სახელობის იყო და რომ საბას და მისი შვილების სამფლობელოები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ დასახლებით (ჰარა) და მონასტრით (ჯეჰამი); მათ კიდევ გააჩნდათ სხვა საკუთრებაც მდინარე არნონის ორივე ნაპირზე, რაზეც გარკვევით მიუთითებს საბუთი: „სოფელი არა და ეკლესია ზემოხსენებულ ჯეჰამში, და *მთელი მათი საკუთრება მდინარის გაღმა და გამოღმა*“. ასევე, ცხადი ხდება, რომ ქართველებმა ჰოსპიტალიერთა ორდენს არა მხოლოდ დასახლება (ჰარა) გადასცეს, არამედ შეჰანის მონასტერიც (ჯეჰამი).

როგორც ვხედავთ, საბუთში მოხსენიებული პუნქტები ვადი მუსასთან არ ლოკალიზდება. მიუხედავად ამისა, ვადი მუსასთან დაკავშირებით, ერთი საკითხია გასარკვევი. ამ ადგილთანაა დაკავშირებული ერთი საინტერესო ეპიზოდი, რომელიც ჯვაროსნებსა და აღმოსავლელ ქრისტიანთა ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს. ალბერტ აახენელი მოგვითხრობს:

> დიდმარხვის დაწყებიდან მეორე დღეს [1107 წლის 28 თებერვალს] ის [ბალდუინ I], ვინმე სირიელი თევდორეს რჩევის შემდეგ, რომელმაც მას აუწყა დაახლ. 3 ათასი თურქის დამასკოდან მოსეს ძველ ხეობაში (*antiqua ualle Moysi*) მისვლა ციხე-სიმაგრის ასაგებად, ხუთასი კაცით გაემართა ამ ციხის დასანგრევად, რომლითაც თურქებმა, არაბთა[17] მოთხოვნით, ყველა ქრისტიანს ჩაუკეტეს გზა. რვა დღის განმავლობაში მან გადალახა სოდომისა და გომორას მდინარეები, უდაბნო ადგილები და ციცაბო მთები და სასტიკად დაქანცულმა მან და მისმა თანამებრძოლებმა მიაღწიეს სირიელ ქრისტიანთა საცხოვრებელს, სადაც ის მიიღეს როგორც სტუმარი და ყველანი ღირსეულად მოასვენეს. როდესაც შეიტყო, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, [ბალდუინ I-მა] იხმო მათი მღვდელი, გამოკითხა ახალი სიმაგრისა და თურქების შესახებ და ყველაფრის შესახებ რჩევა ჰკითხა. მღვდელი განთიადზე ადგა, და სამი დღის განმავლობაში რწმენითა და სიმართლით უძღვებოდა მეფეს, გახდა რა მისი მეგზური იმ მხარეში, სანამ არ მიიყვანა უსაფრთხო ადგილას სიმაგრისა და თურქების მახლობლად. გამთენიისას, იგივე მღვდელი და ჩვენი თანამგზავრი ადგა, თურქთა ბანაკში მივიდა და უთხრა მათ: „მეფე ბალდუინი ურიცხვი ლაშქრით მოვიდა იერუსალიმიდან და გაანადგურა ჩვენი საწყალი საცხოვრისი; ჩვენ დავიფანტეთ და მხოლოდ მე შევძელი გამოქცევა და თქვენთან მოსვლა, რომ გამეფრთხილებინეთ. მისი ძალები ერთი მილის მანძილზე არიან თქვენგან“. ამ გაფრთხილების მოსმენის შემდეგ, ღვთის წყალობით, ისეთმა დიდმა შიშმა დაისადგურა მათ გულებში, რომ ყველამ დატოვა კარვები და გაიქცა. ის იყო ბინდი გაიფანტა და დილა დადგა, რომ მეფე ბალდუინი ბუკის ძახილითა და იარაღის ჟღარუნით შემოიჭრა ხეობაში, მაგრამ ერთი თურქიც კი ვერ ჰპოვა დარჩენილი, ვერავინ მოკლა და დაატყვევა, რადგან მათ ეჩქარათ ღამით გაქცევა. ადგილობრივი არაბები, რომელთა რჩევითაც მოვიდნენ თურქები დამასკოდან, შეშინებულნი დაიმალნენ მღვიმეებში, თავიანთ ნახირთან და სხვა ქონებასთან ერთად, რომელიც მოგროვებული ჰქონდათ ციხის მშენებლობისათვის... ცეცხლითა და კვამლით ბალდუინმა აიძულა არაბები გამოსულიყვნენ თავშესაფრიდან, ზოგი დახოცა და ზოგიც ტყვედ აიყვანა (ეჯინგტონი 2007: X.28-30, 744-47).

ითვლება, რომ 1107 წელს აღმოსავლელი ქრისტიანები და მათი მღვდელი, რომლებმაც უმასპინძლეს და დაეხმარნენ ბალდუინ I-ს, ვადი მუსაში ბინადრობდნენ და აიგივებენ მას ჯეჰამთან (პრინგლი 1998: 376-77). თუ აახენელის მონათხრობს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს ქრისტიანები ვადი მუსადან, სადაც მუსლიმთა სიმაგრე მდებარეობდა, სამი დღის სავალზე იმყოფებოდნენ, რაც გამორიცხავს მათ მოსეს ხეობაში ყოფნას. ქრისტიანთა ადგილსამყოფელი აქედან საკმაოდ შორს, 3 დღის სავალზე უნდა ვეძებოთ. ალბერტ აახენელს დისტანცია რომც ეშლებოდეს, მონათხრობიდან ცხადია, რომ ქრისტიანთა დასახლება მაინც საკმაო მანძილით იყო ვადი მუსადან დაშორებული. რადგან გაირკვა, რომ ჯეჰამი ვადი მუსას ნაცვლად შიჰანში მდებარეობდა, ბუნებრივია, ისმის კითხვა, ხომ არ იყო ეს მღვდელი შიჰანიდან და ბალდუინ II-ის სიგელი საბას წარსულ დამსახურებაზე ხომ არ მეტყველებს? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ, რადგან შიჰანის მდებარეობა არ ემთხვევა ფრანკთა ექსპედიციის მარშრუტს: ვადი მუსაში მისასვლელად ბალდუინ I მკვდარ ზღვას სამხრეთიდან მოუვლის, იერუსალიმში კი ჩრდილოეთის გზით და იორდანეს გადალახვით ბრუნდება. აახენელის „სოდომისა და გომორას მდინარეები“ ზღვის სამხრეთით უნდა ვეძებოთ, რადგან ჯვაროსნებს მიაჩნდათ, რომ სოდომი და გომორა მკვდარი ზღვის სამხრეთით მდებარეობდა (კონდერი 1878: 13); (კლეპი 1936: 323). ასე რომ, აღმოსავლელ ქრისტიანთა ამ დასახლების ადგილსამყოფელი ჯერაც გაურკვეველი რჩება.

ამავე დროს, შესაძლოა, ეს ეპიზოდი გარკვეულწილად მაინც იყოს დაკავშირებული შეჰანის უდაბნოსთან. აახენელი წერს, რომ ექსპედიციის ბოლოს ბალდუინმა „რეგიონის ყველა ადგილიდან შეკრიბა სირიელი ძმები და მოძმე ქრისტიანები და სამოცი მათგანი თან წაიყვანა, რადგანაც მათ არაბების ეშინოდათ“ (ეჯინგტონი 2007: X.31, 746-47). ქრისტიანების შეკრება მთელი რეგიონიდან ნიშნავს, რომ მათ შორის შეიძლება შეჰანის უდაბნოს ქართველი ძმებიც მოხვედრილიყვნენ, მით უმეტეს, რომ ფრანკები უკანა გზაზე შიჰანთან ახლოს ჩაივლიდნენ. მ. სინიბალდის დაკვირვებით, ამ მონაკვეთში ალბერტ აახენელი განასხვავებს ქრისტიანთა ორ ჯგუფს, სირიელებსა და „მოძმე

ქრისტიანებს“, რომლებიც, მისი აზრით, შესაძლოა, უფრო დაახლოებულნი იყვნენ ფრანკებთან (სინიბალდი 2014: 191). არ არის გამორიცხული, ამ „მოძმე ქრისტიანების“ კატეგორიაში ქართველი ბერები მოხვედრილიყვნენ.

ტრანსიორდანიის მნიშვნელობა

შეჰანის მონასტერი უმნიშვნელოვანესი საქარავნო გზის შორიახლოს მდებარეობდა.[18] ტრანსიორდანიაში გადიოდა „სამეფო გზა“ (*darb al-malik*, იგივე *darb al-sultan*), რომელიც ეგვიპტესა და ჰიჯაზს (არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილს) სირიასთან აკავშირებდა და რომელსაც ინტენსიურად იყენებდნენ ვაჭრები და მუსლიმი პილიგრიმები (სურ. 3). ყოველწლიური ჰაჯის ქარავნების მიმოსვლა მხოლოდ რეგიონში მიმდინარე არეულობისა და ომის დროს წყდებოდა (შიკი 1997: 76-78); (მილრაითი 2008: 10-11).

ტრანსიორდანიის ათვისების პოლიტიკას იერუსალიმის მეფეები (ბალდუინ I, ბალდუინ II, ფულკ ანჟუელი) თანმიმდევრულად ახორციელებდნენ. იორდანეს გაღმა ტერიტორიების დაზვერვა ფრანკებმა ადრევე დაიწყეს (შიკი 1997: 78-81); (ვოლმზლი 2001: 517-520). 1100 წელს ბალდუინ I-მა 150 რაინდითა და 500 ქვეითით დალაშქრა მკვდარი ზღვის მიდამოები და ვადი მუსა (რაიანი, ფინკი 1973: 143-147); (ეჯინგტონი 2007: VII.38-42, 542-551), სადაც მას წინააღმდეგობა არ შეხვედრია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროს, იორდანეს აღმოსავლეთით, მუსლიმებს გარნიზონი არ ეყენათ (შიკი 1997: 79); (ალ-ნასარათი, ალ-მაანი 2013: 223-224). ამ შეცდომის გამოსწორება დამასკოს ათაბაგმა თუღ-თეგინმა გადაწყვიტა და 1107 წელს მოსეს ხეობაში დასამკვიდრებლად გაგზავნა თურქმენი ამირა ისფაჰბადი მისი რაზმითურთ:

> ამ წელს [ჰ. 500 წ., 1106 წ. 2 სექტემბერი –1107 წ. 21 აგვისტო] დამასკოში თავისი ქვეყნიდან ჩავიდა თურქმენი ამირა ალ-ისფაჰბადი. ზაჰირ ად-დინმა ის პატივით მიიღო, უმასპინძლა და სამართავად დაუმტკიცა ვადი მუსა, მოაბი, ალ-შარათი, ალ-ჯიბალი და ბალქა, და ის წავიდა ამ მხარეებში თავისი ასკარით. ფრანკებს უკვე მიეღწიათ იქამდე და ვისაც კი ხელი მიანვდინეს, დახოცეს, დაატყვევეს და გაძარცვეს. ადგილზე მისულ ისფაჰბადს ფრანკებისაგან შეშინებული და გაუბედურებული მოსახლეობა დახვდა. ის იქ მოეწყო, მაგრამ ამის გაგებისთანავე, ფრანკები გაემართნენ მის წინააღმდეგ უდაბნოს გავლით და მის პირისპირ დაბანაკდნენ. პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში, მოულოდნელად დაესხნენ თავს და ის გაიქცა თავისი ასკარის უმეტეს ნაწილთან ერთად. დანარჩენები დაიღუპნენ და ფრანკები დაეუფლნენ მის აღალს (გიბი 1932: 81-82).

ადგილობრივი ქრისტიანი მღვდლის დახმარებით ბალდუინმა თურქები დაამარცხა და გააძევა რეგიონიდან (ეჯინგტონი 2007: X.28-30, 744-47). 1112 წელს ბალდუინი 200 ცხენოსნითა და 1000 ქვეითით რეიდს აწყობს მოსეს ხეობაში და ხელთ იგდებს მდიდარ ქარავანს (გიბი 1932: 130-131); (ეჯინგტონი 2007: XII.8, 834-37). პირველი ციხე ტრანსიორდანიაში, რომელზე დაყრდნობითაც ფრანკებმა რეგიონის კონტროლი დაიწყეს, იყო მონრეალი, რომელიც იმავე ბალდუინ I-მა 1115 წელს ააგო შობეკში და გარნიზონი ჩააყენა (რაიანი, ფინკი 1973: 215); (ბაბქოქი, კრეი 1943ა: 506-507).

1127 წელს უკვე ბალდუინ II აოხრებს ვადი მუსას და ახშობს ადგილობრივ მუსლიმთა გამოსვლას. იბნ ალ-კალანისი მოგვითხრობს, რომ „ამა წლის [ჰ. 521] შაბანის თვეში (12 აგვისტო – 9 სექტემბერი 1127 წ.) ბალდუინი, ფრანკთა მეფე, იერუსალიმის მფლობელი, თავისი არმიით გაემართა ვადი მუსასკენ და დაარბია, დაატყვევა და დაფანტა მისი ბინადარნი“ (გიბი 1932: 182). როგორც ჩანს, ამ ხანებში (1127-31 წლებში) ფრანკებმა აქ ააგეს *Castellum Vallis Moysis*, შემდგომში ალ-ვუ'აირას ციხე, ალბათ, მუსლიმთა იმ ციხის ადგილზე, რომელსაც 1107 წელს დაეუფლა ბალდუინ I (პრინგლი 1997: 105). გიიომ ტვიროსელი წერს, რომ 1144 წელს, ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყების შემდეგ, თურქებმა ხელთ იგდეს ეს ციხე. ფრანკების რეაქცია მეყსეული იყო, ბალდუინ III-ის სარდლობით მათ უკან დაიბრუნეს სიმაგრე (ბაბქოქი, კრეი 1943ბ: 144-145). ფულკ ანჟუელის (1131-43) მეფობის ხანაში, 1142 წელს, ტრანსიორდანიის მფლობელმა მსახურთუხუცესმა პაიენმა (პაგანუსმა) ააგო კერაკის ცნობილი ციხე (ბაბქოქი, კრეი 1943ბ: 127, 499), რომელიც საუკუნეების განმავლობაში რეგიონის ცენტრსა და მთავარ სიმაგრეს წარმოადგენდა (მილრაითი 2008: 29-52).

საბუთთა დათარიღება

გასარკვევი გვაქვს ორი დოკუმენტის თარიღი: ერთია ბალდუინ II-ის სიგელი საბას მიმართ, მეორე კი იოსებისა და იოანეს შეწირულობა ჰოსპიტლისადმი. დავიწყოთ ამ უკანასკნელით. როგორც უკვე ითქვა, საბუთი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, მხოლოდ პირობითად არის 1160 წლით დათარიღებული. ეს კი, ქართული ოჯახის სამი თაობის წარმომადგენელთა სიცოცხლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, საშუალებას იძლევა გადავხედოთ ამ თარიღს: ოჯახის პატრიარქი, გაბრიელი 1061 წელს უკვე შეჰანის წინამძღვარია, მანამდე ჰყავდა შვილი (საბა) და იყო თბილისის ეპისკოპოსი, რაც ნიშნავს, რომ ის XI საუკუნის 10-იან წლებში მაინც უნდა იყოს დაბადებული, მისი შვილი კი (ყველაზე გვიან) 40-იანებში, რადგან გაბრიელს 1061 წლამდე უნდა მოესწრო შვილის გაჩენა, თბილისის ეპისკოპოსობა, წმინდა მიწაზე წასვლა, ჯვრის მონასტერში ყოფნა და შეჰანის უდაბნოს დაფუძნება. გასათვალისწინებელია, რომ, როგორც წესი, მაღალი საეკლესიო თუ საერო პირები წმინდა მიწაზე საკმაოდ ხანდაზმულები მიემგზავრებოდნენ, რათა მონაზვნად აღკვეცილებს, იქ სამუდამო განსასვენებელი ეპოვათ. ბალდუინ II-ს საბასთვის მფლობელობას დამტკიცება, ყველაზე ადრე, 1118 წელს შეეძლო, მანამდე საბას უნდა მოესწრო ორი შვილის გაჩენა (სავარაუდოდ 70-იანებში), იერუსალიმში ჩასვლა და ქართული მონასტრის ქტიტორობა, შემდეგ შეჰანის მეურვეობა; ჩუქების საბუთი რომ 1160 წელს იყოს დაწერილი, იოსები და იოანე 90 წელს იქნებოდნენ მიტანებული, რაც ნაკლებ სავარაუდოა. საფიქრებელია, რომ ჰოსპიტლისადმი ჩუქების აქტს 50-იან ან, სულაც, 40-იან წლებში ჰქონდა ადგილი.[19]

რაც შეეხება ბალდუინ II-ის მიერ გაცემულ საბუთს, ვადი მუსასთან ლოკალიზაციის გამო, ჰ. მაიერი მას ბალდუინის მეფობის ბოლო წლებით (1127-31) ათარიღებდა: იბნ ალ-კალანისის ცნობით პეტრას მიდამოები მუსლიმთა ხელში იყო ჰიჯრით 521 შაბანის თვეში (1127 წ. 12 აგვისტო – 9 სექტემბერი), რაც ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს იძლეოდა, ზედას კი მეფის გარდაცვალება (მაიერი 1990ბ: 99); (მაიერი 2010: 287). ბალდუინ II-ის მეფობა პირობითად სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ: I მოიცავს 1118-23 წლებს, II პერიოდია ტყვეობა 1123 წ. 18 აპრილიდან 1124 წ. 29 აგვისტომდე, და III პერიოდი – 1124-31 წლები. ახალი გარემოებების გათვალისწინებით, საბუთი უფრო ადრე უნდა იყოს გაცემული, ბალდუინის მეფობის პირველ წლებში, რადგან, საბას ასაკიდან გამომდინარე, ამ ფაქტს ვერ გადავდებთ ბოლო წლებისკენ. ყველაზე სავარაუდოა, რომ ეს მოხდა გამეფებისთანავე, 1118 წლის 14 აპრილს, როდესაც ბალდუინ II-მ „სამეფოს ყვეცა დიდებული შეკრიბა სოლომონის სასახლეში, დაუმტკიცა თითოეულს თავისი ბენეფიციუმი, მიიღო მათგან ერთგულებისა და მორჩილების ფიცი და ყოველი მათგანი პატივისცემით გაისტუმრა უკან“ (ეჯინგტონი 2007: XII.30, 872-73). სწორედ ამ დროს უნდა მიეღო საბა ქართველს სამეფო ბეჭდით დამტკიცებული მოწმობა მის სამფლობელოზე.

შეჰანის მონასტრის ქრონოლოგია

XII საუკუნის შემდგომ შეჰანის უდაბნოს ხსენება იერუსალიმურ ხელნაწერებში აღარ გვხვდება. შეჰანში გადაწერილი ხელნაწერი Jer. 50 XIII საუკუნის დამლევს უკვე ჯვრის მონასტერშია, ხოლო XV საუკუნეში შეჰანის უდაბნოს სახელი იმდენად არ ახსოვთ ჯვრის მონასტერში, რომ მას შეცდომით წერენ (*შჰნისა* ნაცვლად *შეჰანისა*). სწორედ ამიტომ, ე. მეტრეველი ფიქრობდა, რომ შეჰანის უდაბნომ XIII საუკუნეში შეწყვიტა არსებობა და არნონში ქართველთა საძმოს მოღვაწეობის პერიოდად XI-XIII საუკუნეებს ასახელებდა (მეტრეველი 1975: 30). აქედან გამომდინარე, ი. გაგოშიძე ვარაუდობს, რომ შეჰანის მონასტერი მონღოლთა ლაშქრობების შედეგად იქნა მიტოვებული (გაგოშიძე 2003: 12).[20] ამჟამად, ჰოსპიტალიერთა მიმართ ბოძების სიგელის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეჰანის უდაბნოს არსებობა უკვე XII საუკუნის შუა ხანებში შეწყდა, მას შემდეგ რაც ქართველმა ძმებმა მონასტერი ორდენს გადასცეს.

სამრევლო ეკლესია?

ჰ. მაიერი და დ. პრინგლი ფიქრობენ, რომ სოფელ ჰარაში არსებული წმ. მოსეს ეკლესია სამრევლო ეკლესიის მოვალეობას ასრულებდა (მაიერი 1990ბ: 98); (პრინგლი 1998: 377). თავის

კომენტარებში მაიერი აღნიშნავს, რომ მოსეს ეკლესია არის ჯვაროსნული პერიოდის ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი სამრევლო ეკლესია იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე (მაიერი 1990ბ: 98). მკაცრად რომ ვთქვათ, მოსეს ეკლესია სოფელ ჰარაში არ იხსენიება, არამედ მის თავზე, მოსეს მთაზე, იგივე ჯებალში ანუ შიჰანში. ამასთან, შეჰანის უდაბნო სინამდვილეში მონასტერი იყო და თუ გავითვალისწინებთ მართლმადიდებლური მონასტრებისათვის დამახასიათებელ მკაცრ ტიპიკონებს, რომლებიც მაქსიმალურად ზღუდავდნენ უცხოთა შეღწევას მონასტრის ტერიტორიაზე, საეჭვოა, რომ ქართველთა მონასტერს სამრევლო ეკლესიის ფუნქციაც ეტვირთა.

casale – სოფელი თუ სახლი?

რა ტიპის დასახლებას წარმოადგენს დოკუმენტის *casale*? ა. ბლეიზის შუა საუკუნეების ლათინურის ლექსიკონში *casale* განიმარტება როგორც 1) პატარა სახლი, 2) სასოფლო მფლობელობა ანუ სახლი მიწით (გლეხური მეურნეობა), ან 3) სოფელი (ბლეიზი 1975: 153). დასავლელი მკვლევრები თვლიან, რომ საქმე ერთმნიშვნელოვნად სოფელთან გვაქვს (მაიერი 1990ბ: 98); (პრინგლი 1998: 377), თუმცა ამ მოსაზრების საფუძველია კაზალში მოსეს ეკლესიის არსებობა, რაც სოფლის ტიპის დასახლებას მიანიშნებდა. ეს არგუმენტი ძალას კარგავს მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ საქმე გვაქვს არა სოფლის ეკლესიასთან, არამედ მის გარეთ არსებულ მონასტერთან. ასე რომ, ეს კაზალი შეიძლება იყოს როგორც სოფელი, ისე დიდი სახლი მიმდებარე ნაგებობებით. მაინც, უფრო სოფლისკენ ვიხრები, რადგან დოკუმენტში კაზალის სახელი გარკვევით არის აღნიშნული, ეს კი ეულ სახლზე უფრო დიდ და მნიშვნელოვან დასახლებაზე უნდა მიუთითებდეს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ წმინდა მიწაზე ქართული მონასტრები ფლობდნენ სოფლებს, რომლებიც მათი შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა (ჯაფარიძე 2018: 128-129). ამ შემთხვევაშიც ასეთ სოფელთან უნდა გვქონდეს საქმე.

დ. პრინგლი იზიარებს ჰ. მაიერის მოსაზრებას, რომ სოფელი, რომელიც მდინარის გაღმა მდებარეობდა, აღმოსავლელი ქრისტიანებით იყო დასახლებული და მათ მართავდა საბა, რომელიც იერუსალიმის მეფის ნაცვლის მოვალეობას ასრულებდა (მაიერი 1990ბ: 99); (პრინგლი 1998: 377). ბალდუინ II-ის მიერ საბას მეფის ნაცვლად დამტკიცება ნიშნავს, რომ ჯვაროსანთა მფლობელობა არნონის ხეობასა და მოაბის მხარეში მათი მმართველობის დასაწყისშივე ვრცელდებოდა და ეს მიწები სამეფო დომენს ეკუთვნოდა.[21] ქართული წყაროებიდან საბოლოოდ ირკვევა, რომ ბალდუინ II-ის ხელდასხმით შიჰანში აღმოსავლელ ქრისტიანთა დასახლების გამგებელად დამტკიცებული *Saba Georgii* ნამდვილად *საბა ქართველია*. საბა-სანინაჯი ძლიერი ფეოდალური ოჯახის წარმომადგენელი ჩანს: მისი მამა თბილისის ეპისკოპოსია, თავად კი იერუსალიმში უცნობი ქართული მონასტრის ქტიტორია. როდესაც ბალდუინ II მას უმტკიცებს შეჰანს, ის უკვე დასახლებათა მთელი კომპლექსია, მთაზე მონასტრით, მის ძირში სოფლით, და მდინარე არნონის ორივე ნაპირზე გაშლილი სამფლობელოებით. ეს ქონება ნაწილობრივ მაინც მამისეულია ანუ გაბრიელ შეჰანელის მიერაა შეძენილი. იერუსალიმში საბას ქტიტორული საქმიანობიდან გამომდინარე, ადვილია წარმოვიდგინოთ, რომ წმინდა მიწაზე ჩასვლის შემდეგ, მამის მიერ აგებულ მონასტერს, ისიც შემატებდა გარეშემო მიწებს.

ტოპონიმიკა

ე. მეტრეველი სინანულით აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რა სახელი იმალება ამ მთის არაბული სახელის – *შიჰანის* ქვეშ. ამ სახელწოდების ეტიმოლოგიაც არაფერს იძლევა“ (მეტრეველი 1975: 36). დღეს შეგვიძლია პასუხი გავცეთ ამ კითხვას: ტოპონიმის სახელი დაკავშირებული უნდა იყოს ბიბლიურ ჰეშბონის მეფე სიჰონთან. *სიჰონის* არაბული შესატყვისი არის *შიჰან* (სმითი 1918: 40, შენ. 26). ჯერ კიდევ ჰენრი ბეიკერ ტრისტრამი, მეცნიერი და მღვდელი, აკავშირებდა ამორეველთა მეფე სიჰონს შიჰანის მთასთან (ტრისტრამი 1873: 122).

ლათინური საბუთიდან ვიგებთ, რომ შეჰანის მონასტერი მოსეს სახელობის მთაზე მდებარეობდა. რატომ უწოდებდნენ შიჰანს მოსეს მთას? XIII საუკუნეში არაბი გეოგრაფი იაკუთი წერდა, რომ გადმოცემით, მოაბის ოლქში, სოფელ სეიჰანთან, მთაზე მოსეს საფლავიაო (მედნიკოვი 1897: 1051);

(ზაიადინი 1999: 229-230). ე. მეტრეველი ფიქრობდა, რომ იაკუთი შეცდომას უშვებდა და ნებოს მთასა და მოსეს საფლავთან დაკავშირებულ ლეგენდებს მიაწერდა შიჰანის მთას (მეტრეველი 1975: 41). მაგრამ საბუთში დადასტურებული მთის სახელწოდება გვიჩვენებს, რომ შუა საუკუნეებში მართლაც არსებობდა გადმოცემა, რომელიც მოსეს საფლავს შიჰანის მთას უკავშირებდა და იაკუთიც მას ეყრდნობოდა. ამ გადმოცემაზე მოგვითხრობს სპარსელი მოგზაური ალ-ჰარავიც (-1215), რომელიც მოაბის აღწერისას წერს, რომ „ამ მხარეში არის სოფელი შიჰანი, რომელიც ცნობილია საფლავის გამო, რომელზეც ნათელი ეშვება და ამას ხალხი ხედავს. ის მთაზეა და ხალხი თვლის, რომ ეს მოსეს საფლავია“. ამ გადმოცემას ადასტურებს ალ-უმარიც (1301-49) (ზაიადინი 1999: 229-230).[22]

უფრო პრობლემურია შიჰანის მთის ძირში მდებარე დასახლების სახელწოდება – *აჰა* (*ჰაჰა*). ევსები კესარიელის ონომასტიკონი მოაბის მხარეში ასახელებს ადგილს *აიე* (*Aiē*), არნონში *კი – აჰ* (*Ar*) (ვოლფი 1971: 4). პირველი უნდა იყოს რომაული პროვინცია არაბეთის *აჰეოპოლისი*, რომელსაც უკავშირებენ *აჰ მოაბს* (*Ar Moab*), დღევანდელ რაბას (ძველ მოაბს). VI საუკუნის მადაბას ბიზანტიურ მოზაიკურ რუკაზე დასახლება ამ რაიონში აღნიშნულია როგორც *Aia* (ვოლფი 1971: 81-82) (სურ. 4). მამლუქთა ხანის სწავლული და გეოგრაფი აბუ ლ-ფიდა ერთმანეთის გვერდზე მოიხსენიებს რაბასა და შიჰანის მთას („არ-რაბას მახლობლად არის ძალიან მაღალი გორა, რომელიც შორიდან ჩანს და შეიჰანი ქვია“ (მედნიკოვი 1897: 1149), მაგრამ რაბა შიჰანის მთის ძირში არ იმყოფება და მისგან ოციოდე კმ-ის მოშორებითაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველმა რომაულ-ბიზანტიური ქალაქის სახელწოდებამ არაბულად ტრანსფორმირებული სახელები მისცა რეგიონის მახლობელ დასახლებულ პუნქტებს, რომელთაგან ერთი შიჰანთან მდებარე არა-ჰარაა.

იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიაროს ბიბლიოთეკაში ინახება მამლუქ სულთანთა ბრძანებულებები, რომლებიც წმინდა მიწაზე ქართულ სამონასტრო თემს ეხება. კანსუჰ ალ-აშრაფის 1498 წლის 9 სექტემბერის და ტუმან-ბაის 1500 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებები უკრძალავს ყველას ჯვრის მონასტრისა და მისი ბერების შევიწროებას. ამავე ბრძანებულებებიდან ვიგებთ, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა სხვადასხვა სოფლები, რომელთა შორის იყო დაირ მუსა (ჯაფარიძე 2018: 128-129, 259). დაირ მუსას იდენტიფიკაცია დღემდე ვერ ხერხდება. ტოპონიმების მსგავსების საფუძველზე, ბ. ხურცილავა ფიქრობს, რომ დაირ მუსა შეიძლება იყოს ნასოფლარი *ხიჰბათ დაირ მუსა*, რომელიც ბეთლემის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს (ხურცილავა 2019: 42-43). გარკვეული სიფრთხილით შეიძლება ვივარაუდოთ, ხომ არ იყო ეს დაირ მუსა ანუ დასახლება, სადაც მოსეს მონასტერი იდგა, სოფელი შეჰანის მონასტერთან, რომელიც, როგორც ვიცით, მოსეს სახელობის იყო? ხომ არ გადაეცა ეს სოფელი ჯვრის მონასტერს მუსლიმთა მმართველობის პერიოდში როგორც ყოფილი ქართული საკუთრება, რომელიც იმხანად უპატრონოდ იყო დარჩენილი? ამ იდენტიფიკაციას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ XV საუკუნეში ჯვრის მონასტერში შეჰანის სახელი სრულად იყო დავიწყებული და უდაბნოს სახელწოდებას არასწორად წერენ (მეტრეველი 1975: 30), რაც თითქოსდა საეჭვოა სოფლის ფლობის ასეთი ტრადიციის და დაირ მუსაზე პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში; მაგრამ, თუ სოფელს ფრანკთა მფლობელობის შემდეგ, მუსლიმთა ხელში დაირ მუსა დაერქვა, ეს ვარაუდი ძალაში რჩება.

ჰოსპიტალიერებისათვის შეჰანის გადაცემის გარემოებანი

ჰოსპიტალიერებისათვის შეჰანის ბოძება სხვადასხვა მიზეზებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. საკმაო მნიშვნელობა ექნებოდა იმ გარემოებას, რომ მონასტრის მფლობელი ძმები ამ დროს უკვე საკმაოდ ხანდაზმულები იყვნენ და აქტიური მოღვაწეობის წლები უკან ჰქონდათ მორჩენილი. იქნებ, საქმის ღირსეული გამგრძელებელიც არ ჰყავდათ გვერდზე, მონასტრის საძმოდან თუ საკუთარი საგვარეულოდან. ამავე დროს, მათ იერუსალიმში კიდევ ერთი, მამის აშენებული მონასტერი ეგულებოდათ, რომელიც ასევე მოითხოვდა ყურადღებას. ჩანს, ძმებმა არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთეს. საბას ქტიტორობით აშენებულ იერუსალიმის ქართულ მონასტერში „უძლური იოსების“ აღაპის[23] გამოჩენა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ შეჰანიდან ძმებმა აქ გადმოინაცვლეს და იოსებმა აქვე დაასრულა სიცოცხლე.

შესაძლოა, თავისი როლი ითამაშა გაუარესებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობაც. XII საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული, ჯვაროსანთა საერთო სტრატეგიული მდგომარეობა თანდათანობით მძიმდებოდა. 1144 წელს მოსულის ათაბეგმა იმად ად-დინ ზენგიმ ედესა აიღო. მისი მემკვიდრე ნურ ადდინი (1146-1174) კიდევ უფრო აქტიურად უტევს ჯვაროსნებს. 1149 წელს მან დაამარცხა და მოკლა ანტიოქიის მთავარი რაიმონდ პუატიე, 1154 წელს კი დამასკოს დაეუფლა. 1161 წელს ნურ ად-დინი ატყვევებს ანტიოქიის კიდევ ერთი მთავარს, რენო დე შატილიონს. 1163 წელს ნურ ად-დინი მარცხდება ტრიპოლის შორიახლოს, თუმცა, მომდევნო წელს, ჰარიმთან ამარცხებს ფრანკულ, ბიზანტიურ და სომხურ კოალიციას (ბარბერი 2003: 72). ასეთ დაძაბულ ვითარებაში საზღვრისა თუ შიდა ტერიტორიების დაცვა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, ციხეების მზადყოფნაში მოყვანა და შემდგომი შენახვა კი საგრძნობ მატერიალურ სახსრებსა და მომქანცველ საგარნიზონო სამსახურს საჭიროებდა. ამის გამო ჯვაროსანი მმართველები ხალისით აძლევდნენ სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებს სამხედრო ორდენებს, რომლებსაც მათი მოვლა, რეფორტიფიკაცია და გარნიზონით უზრუნველყოფა შეეძლოთ. სამხედრო-სასულიერო ორდენები დიდ როლს თამაშობდნენ ჯვაროსნული სახელმწიფოების საზღვრის დაცვაში. 1136 წელს მეფე ფულკმა ბეთგიბელინის ციხე გადასცა ჰოსპიტალიერებს, რომ მათ ასკალონიდან მომავალი მუსლიმთა შემოსევები შეეკავებინათ. 1142-1144 წლებში ტრიპოლის გრაფმა რაიმონდ II-მ ჰოსპიტალიერებსვე გადასცა სასაზღვრო სიმაგრეთა მთელი წყება, კრაკ დე შევალიეს ჩათვლით. 1150-1160-იან წლებში ტამპლიერებსაც გადაეცათ მრავალი სიმაგრე (ტორტოსა, არიმა, ჩასელ ბლანი, საფეტი, სხვ.) (ბოასი 2006: 103). იორდანეს გადაღმა მცხოვრები ქრისტიანებისათვის საფრთხე განსაკუთრებით საგრძნობი გახდებოდა დამასკოს აღების შემდეგ, როდესაც ნურ ად-დინის სამფლობელო ტრანსიორდანიას დაუმეზობლდა. რეგიონს უტევდნენ სამხრეთიდანაც. 1158 წელს ეგვიპტური არმია მხარეში შეიჭრა და ალ-ვუ'აირა გარემოიცვა, თუმცა უშედეგოდ. რვა დღის შემდეგ მათ ალყა მოხსნეს და შობეკის მიდამოები მოაოხრეს. ტრანსიორდანიაზე შეტევები კიდევ უფრო გახშირდა 1169 წლიდან, როდესაც ლამის ყოველ წელს, ხან ნურ ად-დინი სირიიდან და ხან კი სალაჰ ად-დინი ეგვიპტიდან, აოხრებდნენ მხარეს და ცდილობდნენ კერაკისა და მონრეალის აღებას (სინიბალდი 2014: 25-30). შემთხვევითი არ არის, რომ XII საუკუნის 50-იან წლებში ტრანსიორდანიაში უკვე დასტურდება სამხედრო ორდენებისადმი შეწირულობები. 1152 წელს ტრანსიორდანიის მფლობელი მორისი, კერაკის დაცვაში დახმარების პირობით, ჰოსპიტალიერებს გადასცემს კერაკის ციხის ქვედა ნაწილს, სახლს შობეკში, ორ სოფელს და მკვდარ ზღვაზე ნავით მიმოსვლის უფლებას (მილრაითი 2008: 58-59). ამ ტენდენციის გამოვლინება უნდა იყოს ჰოსპიტალიერებისათვის შეჰანის ბოძებაც, როდესაც უკვე ხანში შესულმა ქართველმა ძმებმა ორდენს თავიანთი სამფლობელოები და მონასტერი გადასცეს.

რა მიზეზებსაც არ უნდა გამოეწვია ჰოსპიტალიერებისათვის შეჰანის უდაბნოს გადაცემა, ძნელია გადააფასო თავად ამ ფაქტის, – ქართველი ბერების მიერ აღმოსავლური მონასტრის დასავლური ორდენისათვის ჩუქება, – მნიშვნელობა წმინდა მიწაზე სხვადასხვა რელიგიების ურთიერთქმედების კონტექსტში.

დასკვნა

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ქართველი ისტორიკოსისათვის, ისე ჯვაროსნული აღმოსავლეთის მკვლევრისათვის. გაირკვა, რომ

1. *Saba Georgii* ნამდვილად *საბა ქართველია* და არა *საბა გიორგის ძე*, და რომ XI საუკუნის შუა წლებიდან XII საუკუნის შუა ხანებამდე წმინდა მიწაზე მოღვაწეობდა ერთი ქართული ფეოდალური ოჯახის სამი (!) თაობა, რომლებიც აქ საკმაო ქონებას ფლობდნენ, მიწებს იძენდნენ და ამ ხანებში ორი მონასტერი მაინც აქვთ აშენებული;

2. შეჰანის უდაბნოს შემადგენლობაში შედიოდა წმ. მოსეს მონასტერი, დასახლება არა (ჰარა) და სანივაჯისძეთა სხვა სამფლობელოები არნონის ორივე ნაპირზე.

3. სოფელ ჰარას ადგილსამყოფელი, რომელიც შიჰანის მთის ქვემოთ, არნონისპირა ვაკეზე მდებარეობდა;

4. ჯეჰამში არ იყო სამრევლო დანიშნულების ეკლესია, არამედ მოსეს სახელობის ქართველთა მონასტერი;

5. ბალდუინ II თავის ნაცვლად და აღმოსავლეთ ქრისტიანთა დასახლების გამგებელად ნიშნავს ქართველ საბას და ეს, შესაძლოა, 1118 წელს მოხდა, როდესაც შეჰანის უდაბნოზე თავისი უფლების დასამტკიცებლად საბა-სანივაჯი მეფეს იერუსალიმში უნდა ხლებოდა;

6. ეს კი ნიშნავს, რომ ჯვაროსანთა მფლობელობა ტრანსიორდანიაში, კერაკის მიწებსა და არნონის ხეობაში მათი მმართველობის პირველივე წლებში ვრცელდებოდა;

7. არნონის სანაპირო მიწები, კერაკის ჩრდილოეთით ეკუთვნოდა მეფეს და ტრანსიორდანიის სენიორიაში არ შედიოდა;

8. ჰოსპიტალიერებისადმი ჩუქების საბუთი XII საუკუნის 40 ან 50-იანი წლებით უნდა დათარიღდეს;

9. ქართველმა ბერებმა ჰოსპიტალიერთა ორდენს არა მხოლოდ სოფელი გადასცეს, არამედ შეჰანის მონასტერიც.

რ. ელენბლუმი წერს, რომ ჯვაროსანთა სამეფოს დასახლებებს მართავდნენ ფრანკები და ადგილობრივი ქრისტიანები (სომხები, ბერძნები და, იშვიათად, სირიელები), რომელთაც სამეფოს არისტოკრატიას უწოდებს (ელენბლუმი 1998: 37). შეჰანის მაგალითზე, იერუსალიმის სამეფოს მმართველ კლასს ქართველი ფეოდალი, სანივაჯისძეთა გვარის წარმომადგენელი, ბერად შემდგარი საბა-სანივაჯი უნდა დავუმატოთ; ჰოსპიტალიერებისათვის შეჰანის გადაცემის აქტი კი გვიჩვენებს, თუ რა ადვილად შეიძლება შეეთვისებინა დასავლური და ჯვაროსნული ფასეულობები ქართველს.[24]

ჰ. მაიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბუთის შინაარსს იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე ფრანკთა ადრეული ექსპანსიის შესწავლის საქმეში, ისევე როგორც იმ ფაქტს, რომ ეს მხარე სამეფო დომენმა მიიერთა და არა ტრანსიორდანიის სენიორიამ (მაიერი 1990ბ: 99); (მაიერი 2010: 287). ახლად დადგენილი გარემოებები კიდევ უფრო ფართო პერსპექტივას გვიშლის, წარმოგვიდგენს რა იერუსალიმის ჯვაროსანი მეფეების მიერ ადგილობრივ ქრისტიანებთან ურთიერთობის დამყარების პროცესს და იძლევა აღმოსავლელი ქრისტიანების შთამბეჭდავი ინტეგრაციის სურათს არა მარტო ლათინთა ხელისუფლებასთან, არამედ სამხედრო-სასულიერო ორდენებთანაც. მართლმადიდებლური მონასტრის ნებაყოფლობითი გადაცემა კათოლიკური ორდენისათვის ამ ორი კონფესიის წარმომადგენლებს შორის (ყოველ შემთხვევაში, ჯვაროსნებსა და ქართველებს შორის მაინც) იმაზე ახლო ურთიერთობაზე მეტყველებს, ვიდრე ეს აქამდე წარმოგვედგინა. თუკი გავითვალისწინებთ კიდევ ერთი ქართული მონასტრის, ჯვრის საძმოს მჭიდრო კონტაქტებს ამავე ორდენებსა თუ სხვა ჯვაროსნებთან (წურწუმია 2010: 69-95); (წურწუმია 2012ბ: 318-334), დავინახავთ რომ ეს ურთიერთობა ღრმა და ორმხრივი იყო.

შენიშვნები

1 XVII-XVIII საუკუნეებში რიბოების ოჯახის შვიდი წარმომადგენელი მსახურობდა მდივნად ან არქივარიუსად მალტის ორდენის სენტ-ჟილის პრიორატში (ლე რუ 1895: 37).

2 ეს დაზუსტება გვხვდება M[1,2] ნუსხებში.

3 M[1] ნუსხაში მოიხსენიება როგორც *Josephum* და *Josep* – M[2]-ში.

4 როგორც *Johannem* M[1]-ში და *Johannes* – M[2]-ში.

5 *Sabe Georgii* M[1]-ში და *Saba Georgii* – R[1]-ში. ჰ. მაიერი უშვებს შესაძლებლობას, რომ საბა ქართველი იყო, მაგრამ იხრება იმ აზრისაკენ, რომ ის მართლმადიდებელი სირიელი ქრისტიანი იყო (მაიერი 1990ბ: 98). ის მიიჩნევს, რომ საბა ქართველი *Saba Georgii*-ს მცდარი ინტერპრეტაციაა და უნდა იყოს *საბა გიორგის შვილი*, არაბულად *საბა იბნ ჯირჯის* (მაიერი 2010: 286). მაიერის კვალდაკვალ, დ. პრინგლი, საბას, ქართველის ნაცვლად, გიორგის შვილად (Saba, son of George) იხსენიებს (პრინგლი 1998: 377).

6 *წმინდა იოანე იერუსალიმელის ჰოსპიტალი* M[2] ნუსხაში.

7 *ჰაჰა* M[2] ნუსხაში.

8 *მოღეს* M[1] ნუსხაში.

9 რიბოს ფრანგულ ნუსხებში ნათარგმნია როგორც მთა.

10 *მოღეს* M[1] ნუსხაში.

[11] *ლეჰამი* (*Leham*) M¹ ნუსხაში.

[12] ჰ. მაიერი თვლის, რომ ბალდუინის ტიტული ფრანკთა მეფე (*Francorum rex*) M¹ ნუსხიდან შეცდომაა, რადგან ასეთ ტიტული არ გამოიყენებოდა და უნდა იყოს *Latinorum* ანუ *ლათინთა მეფე* (მაიერი 2010: 286). თუმცა, ეს არ უნდა იყოს შეცდომა, რადგან სულ მცირე, ერთგან მაინც ასეთი ტიტული გვხვდება: გიიომ ტვიროსელის მიერ მოყვანილ 1110 წლის საბუთში ბალდუინ I მოიხსენიება, როგორც ფრანკთა მეფე – *primus rex Francorum* (ჰაიგენსი 1986: 11.12, 513).

[13] *ღაბას* M¹ ნუსხაში.

[14] *სეამი* (*seam*) M¹ ნუსხაში.

[15] საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, იორდანიის სამეფოსთან შეთანხმებით და ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით, გეგმავს ექსპედიციას შიჰანის მთის არქეოლოგიურად შესასწავლად და მონასტრის მოსაძიებლად.

[16] მანვე პირველად დააკავშირა საბა-სანივაჯი და მისი ვაჟები ლათინური საბუთის საბა ქართველთან და იოსებსა და იოანესთან, ისევე როგორც გაბრიელ შეჰანელთან, რის თაობაზეც ვრცელი მსჯელობა მომავალ ნაშრომში დაგეგმა (ჯოჯუა 2016-17: 201-202).

[17] იგულისხმება ადგილობრივ არაბ ბედუინთა ტომები.

[18] მონასტერი მდებარეობდა კერაკის ჩრდილოეთით 22 კმ-ზე და 1 კმ „სამეფო გზის" დასავლეთით.

[19] სანივაჯისძეთა ოჯახის ქრონოლოგია იხ. თემო ჯოჯუას მომავალ ნაშრომში: „სანივაჯისძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მოღვაწეობა საქართველოსა და წმინდა მიწაზე (X-XII სს.)".

[20] შესაბამისად, მკვლევრის აზრით, მონასტერი ისე იქნა მიტოვებული, რომ „იქ ქართველებს უცხოტომელი „შემკვიდრეები" (ბერძნები, სომხები...) არ ჩანაცვლებიან. ამდენად მოსალოდნელია, რომ შეჰანის ნამონასტრალის არქეოლოგიური გათხრებით იქ მრავალრიცხოვანი ქართული სიძველეების, მათ შორის, ეპიგრაფიკული ძეგლების მიკვლევა მოხერხდება" (გაგოშიძე 2003: 12). ახლად გამოვლენილი გარემოებების ფონზე, მომავალი არქეოლოგიური კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეჰანს რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჰოსპიტალიერებიც ფლობდნენ, სანამ, კერაკისა (1188) და მონრეალის (1189) დაცემის შემდეგ, ტრანსიორდანია საბოლოოდ გადავიდოდა მუსლიმთა ხელში.

[21] 1109 და 1111 წლებში ბალდუინ I-სა და თუღ-თეგინს შორის დადებული შეთანხმებების მიხედვით იორდანია გაიყო: ჩრდილოეთის 1/3 თურქებს დარჩათ, დანარჩენი კი ჯვაროსნებს ერგოთ (გიბი 1932: 92, 113). ალან ვოლმზლი აღნიშნავს, რომ უკვე 1111 წლისათვის ბალდუინი ღრმად და საფუძვლიანად იყო შეჭრილი იორდანიაში და ვარაუდობს, რომ ეს ადგილობრივი ქრისტიანების დახმარებით მოხდა (ვოლმზლი 2001: 519).

[22] თავის სტატიაში ფ. ზაიადინი გადმოგვცემს უაღრესად საინტერესო ფაქტს, რომ „გასულ საუკუნეში მოგზაურები იხსენიებენ მონასტერს ჯებელ შიჰანზე, სადაც რუსი/ქართველი ბერები იმყოფებოდნენ" (ზაიადინი 1999: 230). ეს კი ნიშნავს, რომ XIX საუკუნეში შიჰანის მთაზე კვლავაც არსებობდა მოქმედი მონასტერი. 1872 წელს ჰ. ბ. ტრისტრამის ექსპედიციას მთაზე მხოლოდ ნანგრევები დახვდა (ტრისტრამი 1873: 122-123).

[23] „ამასვე დღესა [24 დეკემბერს] სალოცავი და აღაპი უძღურისა იოსებისი" (73v) (ჯოჯუა 2016-17: 171-172).

[24] საინტერესოა, რომ მკვლევრები 1129 წელს აკრის ჩრდილოეთით მომხდარ მსგავს შემთხვევას ანუ ადგილობრივი ფეოდალის მიერ ჰოსპიტალიერებისათვის სოფლის გადაცემას რაინდული „კულტურული ღირებულებების გადმოღებად" მიიჩნევენ (გურინოვი, ნეჩიტაილოვი 2017: 87).

დამოწმებანი

ალ-ნასარათი, ალ-მაანი 2013: Mohammed Al-Nasarat, and Abd alrzaq Al-Maani, Petra During the Crusader Period from the Evidence of al-Wuayra Castle: A Review, *Mediterranean Archaeology and Archaeometry*, vol. 14/1.

ბაბქოქი, კრეი 1943ა: William of Tyre, *A History of Deeds Done Beyond the Sea*, translated and annotated by Emily Atwater Babcock and A. C. Krey, vol. 1. New York.

ბაბქოქი, კრეი 1943ბ: William of Tyre, *A History of Deeds Done Beyond the Sea*, translated and annotated by Emily Atwater Babcock and A. C. Krey, vol. 2. New York.

ბარბერი 2003: M. Barber. The Career of Philip of Nablus in the Kingdom of Jerusalem, *The Experience of Crusading: Defining the Crusader Kingdom*, eds. Peter Edbury and Jonathan Phillips, vol. 2, Cambridge.

ბლეიზი 1975: A. Blaise. *Lexicon latinitatis medii aevi: praesertim ad res ecclesiasticas investigandas pertinens*, Turnhout.

ბოასი 2006: A. J. Boas. *Archaeology of the Military Orders: A Survey of the Urban Centres, Rural Settlement and Castles of the Military Orders in the Latin East (c. 1120-1291)*, Abingdon.

გაბიძაშვილი 1968: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, წ. IV, თბილისი.

გაგოშიძე 2003: ი. გაგოშიძე. წმინდა მიწაზე ქართული სიძველეების არქეოლოგიური გათხრების პერსპექტივები, *Academia*, 5 (A), თბილისი.

გიბი 1932: *The Damascus Chronicle of the Crusades, extracted and translated from the Chronicle of Ibn Al-Qalānisī* by H. A. R. Gibb, London.

გურინოვი, ნეჩიტაილოვი 2017: Е.А. Гуринов, М.В. Нечитайлов. *Войска и войны Латинского Востока: графство Эдесское*, Москва.

ედბური 1997: P. W. Edbury. *John of Ibelin and the Kingdom of Jerusalem*, Woodbridge.

ელენბლუმი 1998: R. Ellenblum. *Frankish Rural Settlement in the Latin Kingdom of Jerusalem*, Cambridge.

ეჯინგტონი 2007: Albert of Aachen, *Historia Ierosolimitana: History of the Journey to Jerusalem*, ed. and trans. by Susan B. Edgington, Oxford.

ვებერ-კარიოტაკისი, ხამაში 2020: T. M. Weber-Karyotakis, A. Khammash. *Islamic Heritage Sites in Jordan*, Amman.

ვოლმზლი 2001: A. Walmsley. Fatimid, Ayyubid and Mamluk Jordan and the Crusader Interlude, *The Archaeology of Jordan*, eds. Burton MacDonald, Russell Adams and Piotr Bienkowski, Sheffield.

ვოლფი 1971: *The Onomasticon of Eusebius Pamphili: Compared with the Version of Jerome and Annotated*, trans. by Carl Umhau Wolf, Washington, DC.

ზაიადინი 1999: F. Zayadine. The Karak District in the Madaba Map, *The Madaba Map Centenary, 1897-1997*, eds. M. Piccirillo and E. Alliata, Jerusalem.

კაზარიანი 2019: ი. კაზარიანი. გაბრიელ შეჰანელის უახლოესი შთამომავლების კონტაქტები იერუსალიმის სამეფოსთან და ჰოსპიტალიერების ორდენის წევრებთან XII საუკუნეში, *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, XV, თბილისი.

კლეპი 1936: F. G. Clapp. The Site of Sodom and Gomorrah: Diversity of Views, *American Journal of Archaeology*, 40/3.

კონდერი 1878: C. R. Conder. *Tent Work in Palestine: A Record of Discovery and Adventure*, vol. 2, London.

ლე რუ 1894: *Cartulaire général de l'Ordre des Hospitaliers de S. Jean de Jérusalem (1100-1310)*, par J. Delaville Le Roulx, t. I, Paris.

ლე რუ 1895: Delaville Le Roulx, Inventaire de pièces de Terre Sainte de l'Ordre de l'Hopital, *Revue de l'Orient Latin*, 3.

მაიერი 1985: H. E. Mayer. Die Herrschaftsbildung in Hebron, *Zeitschrift Des Deutschen Palästina-Vereins*, vol. 101/1.

მაიერი 1990ა: H. E. Mayer. The Wheel of Fortune: Seignorial Vicissitudes under Kings Fulk and Baldwin III of Jerusalem, *Speculum*, vol. 65/4.

მაიერი 1990ბ: H. E. Mayer. *Die Kreuzfahrerherrschaft Montréal (Šōbak): Jordanien im 12. Jahrhundert*, Wiesbaden.

მაიერი 2010: *Die Urkunden der lateinischen Könige von Jerusalem*, Bearbeitet von Hans Eberhard Mayer, t. I, Hannover.

მედნიკოვი 1897: Н.А. Медников. Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов по арабским источникам, *Православный Палестинский сборник*, т. XVII/2 (3), вып. 50.

მეტრეველი 1975: ე. მეტრეველი. შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, *მნათობი*, V, თბილისი.

მეტრეველი 2016-17: რ. მეტრეველი. ის ქვეყნის ისტორიაზეც ფიქრობდა, *ჯიმინოროგი*, 1, თბილისი.

მილრაითი 2008: M. Milwright. *The Fortress of the Raven: Karak in the Middle Islamic Period (1100–1650)*, Leiden.

პრინგლი 1997: D. Pringle. *Secular Buildings in the Crusader Kingdom of Jerusalem: An Archaeological Gazetteer*, Cambridge.

პრინგლი 1998: D. Pringle. *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem*, A Corpus, vol. II, Cambridge.

რაიანი, ფინკი 1973: Fulcher of Chartres, *A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127*, trans. by Frances Rita Ryan, ed. with an introduction by Harold S. Fink. New York.

რორიხტი 1904: *Regesta regni Hierosolymitani. Additamentum*, ed. Reinhold Rohricht, Innsbruck.

სინიბალდი 2014: M. Sinibaldi. *Settlement in Crusader Transjordan (1100–1189): A Historical and Archaeological Study*, PhD Thesis, Cardiff University.

სინიბალდი 2016: M. Sinibaldi. Settlement in the Petra Region During the Crusader Period: A Summary of the Historical and Archaeological Evidence, *Crusader Landscapes in the Medieval Levant. The Archaeology and History of the Latin East*, eds. M. Sinibaldi, K. Lewis, B. Major and J. Thompson, Cardiff.

სმითი, ბართოლომეუ 1915: *Atlas of the Historical Geography of the Holy Land*, by George Adam Smith and J. G. Bartholomew, London.

სმითი 1918: *Cambridge Bible for Schools and Colleges: The Book of Deuteronomy*, revised with introduction and notes by George Adam Smith, Cambridge.

ტრისტრამი 1873: H. B. Tristram. *The Land of Moab: Travels and Discoveries on the East Side of the Dead Sea and the Jordan*, London.

შიკი 1997: R. Schick. Southern Jordan in the Fatimid and Seljuq Periods, *Bulletin of the American Schools of Oriental Research*, 305.

წურწუმია 2010: მ. წურწუმია ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში, *ქართველოლოგია*, 6, თბილისი.

წურწუმია 2012ა: მ. წურწუმია ყივჩაღთა საკითხისათვის XII საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში, *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, VI, თბილისი.


წურწუმია 2012ბ: M. Tsurtsumia. Commemorations of Crusaders in the Manuscripts of the Monastery of the Holy Cross in Jerusalem, *Journal of Medieval History*, vol. 38/3.

ხურცილავა 2019: ბ. ხურცილავა. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გამქრალი სოფლების კვალდაკვალ, *ისტორიანი*, 4, თბილისი.


ჯაფარიძე 2018: გ. ჯაფარიძე. *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (ახაბული ნახატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით)*, თბილისი.

ჯოჯუა 2016-17: თ. ჯოჯუა. წაღვლელი ბასილ მჯობაისძისა და ეფთვიმეს მიერ მარიამ მოგელის დაკვეთით იერუსალიმში გადაწერილი XII საუკუნის სვინაქსრის (H-886) უცნობი ანდერძები, აღაპები და მინაწერები (ტექსტების პუბლიკაცია; კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XIV-XV, თბილისი.


ჰაიგენსი 1986: Willelmi Tyrensis Archiepiscopi, *Chronicon*, ed. R. B. C. Huygens, vol. 1, Turnhout.



სურ. 1 შიჰანი წმინდა მიწის ისტორიული გეოგრაფიის ატლასში.
ჯ. სმითისა და ჯ. ბართოლომეუს მიხედვით.



სურ. 2 შეჰანის სამონასტრო კომპლექსის გეგმა. მართკუთხედი კედელი (A), ეკლესია (B), აკლდამა (C), წყლის ავზი (D), ბაზალტის ღობე (E). თ. ვებერ-კარიოტაკისის და ა. ხამაშის მიხედვით.



სურ. 3 X-XI სს. იორდანიის საგზაო რუკა. ა. ვოლმზლის მიხედვით.



სურ. 4 მოაბი და ედომი (იდუმეა) მადაბას რუკაზე.

A GEORGIAN MONK – STEWARD OF A CRUSADER KING

Mamuka Tsurtsumia
Independent researcher
mamuka@mkhedari.ge

The archives of the Hospitaller Order preserve a twelfth-century document which illuminates a chapter in the relationship between the Eastern Christians and the Hospital. The document has long been known to scholars and has been thoroughly studied, but still raises as many questions as it answers. The present study discusses evidence from Georgian manuscripts produced in the Holy Land, which shed new light on the identities of the persons and locations mentioned. The evidence from these Georgian manuscripts shows that from the mid-eleventh to the mid-twelfth century, three generations of one Georgian feudal family worked and lived in the Holy Land. It shows that the Shehan monastic complex in Transjordan included the St. Moses Monastery, the settlement named Ara (Hara), and other estates on both banks of the Arnon River. Also, contrary to a previous assumption, it is suggested that there was no parish church in Jeham, but rather a Georgian monastery named after Moses. According to the evidence discussed here, King Baldwin II appointed Saba the Georgian as his steward of the Eastern Christian settlement, indicating that royal possessions in Transjordan were established early on in the history of the Latin Kingdom, and that the lands of Arnon belonged to the crown and were not included in the lordship of Transjordan. Furthermore, it can be established that the transfer of the Georgian monastery to the Hospital must be dated to the 1140s or the 1150s and that the Georgian monks handed over to the Hospital not only the village, but also the monastery of Shehan.

The newly established circumstances allow a broad perspective, presenting the process by which the Kings of Jerusalem established relations with the local Christians and illuminates the impressive integration of the

Eastern Christians not only with the royal power but also with the military orders. The voluntary transfer of the Orthodox monastery to the Catholic Order indicates a closer relationship between the representatives of these two confessions (at least, between the Franks and the Georgians) than has been assumed before. Considering the close contacts between the Georgian monastery of the Cross, the Franks and the Military Orders, we see that this relationship was both deep and bilateral.

ახშნის გორიჯვრის წმ. გიორგის მონასტრის XVI საუკუნის ახლადმიკვლეული წარწერა გურზი ლიპარიტიანის მიერ სატრაპეზოსა და გალავნის აღშენების შესახებ (ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის, ახშნის გორიჯვრის მონასტრისა და გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი)

თემო ჯოჯუა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
teimuraz.jojua@iliauni.edu.ge

ახშნის გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსი მდებარეობს კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდინარე ალაზნის მარჯვენა შენაკადის, მდინარე ღურულას ნაპირზე გაშენებული ისტორიული სოფელ ახშნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 700-ოდე მეტრის დაშორებით, გომბორის ქედიდან ალაზნის ვაკისაკენ დაშვებული მთის განტოტებაზე, ტყით დაფარულ ადგილას (დვალი 2008: 63-64).

ახშნის გორიჯვარი თითქმის სწორკუთხა მოყვანილობის გალავნით შემოზღუდულ ვრცელ არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენს. კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმართულია სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც რამდენიმეგზის არის გადაკეთებული. ამ გადაკეთებების შედეგად, ეკლესიის თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. ბაზილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რამდენიმე მეტრის დაშორებით, მდებარეობს ორსართულიანი ნაგებობა, რომლის ზედა სართულზეც სამრეკლო იყო მოწყობილი. კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესა და სამხრეთ პერიმეტრზე სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები განირჩევა (ჩუბინაშვილი 1959: 86-90, 496); (დვალი 2008: 64-66).

დღეისათვის ახშნის გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსი მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია: ბაზილიკა ძლიერ არის დაზიანებული და ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, ხოლო გალავნიდან და მისი მიმდებარე ნაგებობებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ბოლო დრომდე აგრეთვე მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში იყო გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში შემავალი სამრეკლო, რომელსაც ვინმე „მეთვალყურის“ მიერ 1885 წლის 12 მაისს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი კორესპოდენციის ცნობით, ადგილობრივები მცირე ეკლესიად მიიჩნევდნენ და ნათლისმცემლის სახელით მოიხსენიებდნენ. იმავე კორესპოდენციის ცნობით, სამრეკლოს ფასადზე, კარის ზემოთ, „ხუცური“ წარწერა განირჩეოდა:

> აპრილის 23 ს დავესწარი დღეობაში აქაურ უძველესს წმ. გიორგის ტაძარში... ტაძარს უდგას აღმოსავლეთით ერთი პატარა ეკლესია „ნათლის მცემლისა“, რომელსაც კარების თავზედ გარედგან ნამდვილად ეტყობა ქვაზედ ამოჭრილი ხუცური ასოებით წარწერა (მეთვალყურე 1885: 3).

2021 წელს სამრეკლოზე არქიტექტორ-რესტავრატორ ნინო ბაკურაძის ხელმძღვანელობითა და არქეოლოგ გიორგი ლაღიაშვილის მეთვალყურეობით, სარეაბილიტაციო ხასიათის სამუშაოები ჩატარდა (ბაკურაძე 2021). სამუშაოების ჩატარებისას სამრეკლოს სამხრეთ ფასადთან, ნაგებობაში შესასვლელის მიმდებარედ, დაახლოებით, 1-1,5 მეტრის სისქის ნაყარი ქვა-ღორღის ფენაში ქართული ლაპიდარული წარწერა აღმოჩნდა (ლაღიაშვილი 2021). როგორც ჩანს, ეს სწორედ ის „ხუცური“ წარწერაა, რომელიც 1885 წლის კორესპოდენციის ცნობით, XIX საუკუნის მიწურულს ჯერ კიდევ სამრეკლოს კარის ზემოთ იყო ჩადგმული.

წინამდებარე ნაშრომი გორიჯვრის ახლადგამოვლენილი წარწერის აკადემიური სახით გამოცემასა და მისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შესწავლას ისახავს მიზნად.[1]

1. ახლადმიკვლეული წარწერის აკადემიური გამოცემა, მისი შინაარსი და მიახლოებითი ქრონოლოგია

ა) წარწერის აკადემიური გამოცემა.

თავდაპირველად წარმოვადგენ ახლადმიკვლეული წარწერის პუბლიკაციას. კერძოდ, მოვიტან წარწერის ტექნიკურ აღწერილობას, მისი ტექსტის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტის ჩემეულ წაკითხვას, აგრეთვე, წარწერის ფოტოსა და პალეოგრაფიულ პირს.


წარწერა თეთრი ფერის ქვის ფილის მართკუთხა მოყვანილობის მქონე საფასადე წახნაგზეა ამოკვეთილი. წარწერიანი წახნაგის მომიჯნავე ზედა წახნაგზე გამოქანდაკებულია საკმაოდ მაღალი ორნამენტი, რომელიც ქვის ფილის კედელში ჩადგმის შემთხვევაში, მთლიანად კედლის წყობით დაიფარებოდა. როგორც ჩანს, ქვის ფილას თავდაპირველად სხვა დანიშნულება ჰქონდა და ის კედელსა თუ რაიმე სხვა კონსტრუქციაში იმგვარად იყო ჩადგმული, რომ მნახველი ქვის ფილის ორნამენტირებულ წახნაგს თვალნათლივ ხედავდა. მოგვიანებით ქვის ფილას დანიშნულება შეუცვალეს, მისი ორნამენტირებული წახნაგის მომიჯნავე ქვედა წახნაგზე წარწერა ამოკვეთეს და ქვის ფილა იმგვარად ჩადგეს კედელში, რომ მნახველი მხოლოდ წარწერიან წახნაგს ხედავდა, ორნამენტირებული წახნაგი კი მთლიანად კედლის წყობით იყო დაფარული. ამ მოსაზრების მართებულობას მთლიანად ადასტურებს თავად ორნამენტში ჩარჩენილი გაქვავებული ბათქაშის ფრაგმენტები, რომლებიც იმ დროს მიეკუთვნება, როდესაც ქვის ფილა ჯერ კიდევ კედელში იყო ჩაყოლებული, მის ორნამენტირებულ წახნაგს კი კედლის წყობა ფარავდა. აქვე, აღვნიშნავ იმასაც, რომ თავდაპირველად წარწერის ამოკვეთა ქვის ფილის ზურგზე დაიწყეს, თუმცა ქანწილი და მისი თანმხლები განკვეთილობის ნიშანი ზედა მარცხენა კუთხის ნაცვლად, შეცდომით, ზედა მარჯვენა კუთხეში, თანაც არასწორი მიმდევრობით (ჯერ – განკვეთილობის ნიშანი, შემდეგ – ქანწილი) შეასრულეს და როდესაც დაშვებული შეცდომა შენიშნეს, ტექსტის ამოკვეთა შეწყვიტეს, ქვის ფილა გადმოაბრუნეს და წარწერის შესრულება თავიდან დაიწყეს. წარწერიანი წახნაგის ზომებია: 44,5 X 14,3 სმ. წარწერა ნუსხურნარევი მხედრული დამწერლობით არის შესრულებული და ხუთ სტრიქონს შეიცავს. ტექსტის დასაწყისში დასმულია მხედრული ⴰ, რომელსაც ქანწილის მნიშვნელობა აქვს. წარწერის ყველაზე მაღალი და დაბალი გრაფემებია: I სტრიქონის მეხუთე სიტყვის (ⴰⴰⴰⴰⴰⴰⴰⴰⴰ) მეშვიდე გრაფემა ⴰ – 2,6 სმ. და III სტრიქონის პირველი სიტყვის (ⴰⴰⴰⴰⴰⴰⴰⴰⴰ) მესამე გრაფემა ⴰ – 0,4 სმ. ტექსტში განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ დასმული სამი პატარა რგოლი. წარწერაში რამდენიმე ადგილას გვხვდება ანმეტობის შემთხვევები. ტექსტის I და IV სტრიქონის რამდენიმე გრაფემა, ქვის ზედაპირის დაზიანების გამო, სრულად ან ფრაგმენტულად არის დაკარგული. ნაკლული და დაზიანებული გრაფემები მათი შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კონტექსტის მიხედვით მაქვს აღდგენილი.




სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

1. ქ. ღამერათო. და წმიდო. გიო^რგი. გარჯრისო^ს.
2. წაყლო^ყოთა. თაშნათა. ავაშენ. ტარაპეზანი. და. გ
3. ალავანი. ესი. მე. გურ^ზი ლიპარიტიანმა.
4. მა საფელასა. დალაგაძლო^ყოთა. მა საშნოსა. ც[ა^ხო]
5. ყოთა. შემწეო. ამინა.

ქ. ღ<ა>მერთო და წმიდ[ა]ო გიო]რ<ა>გი გ<ა>[ო]რ[ი]ჯ[ვ]რის[ა]ო], | წ<ა>ყ[ა]ლობითა თ<აუ>ქ[უე] ნითა, ავაშენე ტ<ა>რაპეზ<ა>ნი და გ|ალავანი ეს[ე]ნი მე, გურ<ა>ზი ლიპარიტიანმ{ა}ნ<ა>. ა|მა ს<ა>[ო]ფელ<ა>სა - დ<ა>ღ<ა>[ე]გ<ა>[რ]ძ[ე]ლო[ბ]ითა, მა[ს] საუკ[უ]ნოსა - <ც]<ა><ხ>[ო]<ვ>[ნე]|ბითა, შემეწ[ი]ე, ამინ<ა>.

ბ) წარწერის შინაარსი და მიახლოებითი ქრონოლოგია.

ახლადმიკვლეული წარწერის შესწავლა აჩვენებს, რომ მისი ტექსტი გურზი ლიპარიტიანის სახელით არის შედგენილი. ამ გარემოების გათვალისწინებით, წარწერას ქვემოთ, ყველგან, გურზი ლიპარიტიანის წარწერის სახელით მოვიხსენიებ.

გურზი ლიპარიტიანის წარწერა სააღმშენებლო ხასიათის ტექსტს შეიცავს. წარწერაში, შინაარსის თვალსაზრისით, ორი ნაწილი გამოიყოფა.

წარწერის პირველ ნაწილში გურზი ლიპარიტიანი ღმერთსა და „გორიჯვრის წმიდა გიორგის“ მიმართავს და მოახსენებს, რომ მათი წყალობით „ტრაპეზნი“ ანუ სატრაპეზო და „გალავანი“ ანუ თავდაცვითი ზღუდე აღაშენა: „ქ. ღმერთო და წმიდაო გიორგი გორიჯვრისაო, წყალობითა თქუენითა, ავაშენე ტრაპეზნი და გალავანი ესენი მე, გურზი ლიპარიტიანმან“.

წარწერის მეორე ნაწილში გურზი ლიპარიტიანი ღმერთსა და „გორიჯვრის წმიდა გიორგის“ „ამა სოფელში დღეგრძელობას“ ანუ სააქაო ცხოვრებაში ხანგრძლივ სიცოცხლეს, ხოლო „საუკუნო [სოფელში] ცხოვნებას“ ანუ საიქიო ცხოვრებაში მარადიულ ყოფას შესთხოვს: „ამა სოფელსა – დღეგრძელობითა, მას საუკუნოსა – ცხოვნებითა, შემეწიე, ამინ“.

გურზი ლიპარიტიანის წარწერას თარიღი არ უზის. ამ მიზეზის გამო მისი ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა შეუძლებელია. რაც შეეხება წარწერის მიახლოებით თარიღს, მის განსაზღვრაში ტექსტის პალეოგრაფიული მონაცემები გვეხმარება. აღნიშნული მონაცემების შესწავლა აჩვენებს, რომ წარწერა XVI საუკუნეს მიეკუთვნება.

2. ახლადმიკვლეულ წარწერაში მოხსენებული გურზი ლიპარიტიანი და ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის ისტორიის საკითხები

ა) გურზი ლიპარიტიანის ვინაობა, მისი კახეთში ყოფნის სავარაუდო მიზეზი და დრო.

გურზი ლიპარიტიანის წარწერაში, პირველ ყოვლისა, თავად გურზის ვინაობასთან დაკავშირებული საკითხები იპყრობს ყურადღებას.

დავიწყოთ გურზი ლიპარიტიანის სახელით. სახელი გურზი შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში ძალზედ იშვიათად გხვდება. ამ იშვიათ შემთხვევათაგან შემიძლია დავასახელო სამთავნელ ეპისკოპოს გრიგოლის მიერ მამქანისა და მისი ვაჟებისათვის მიცემული 1459 წლის

ახლოხანების სააღაპე წიგნი და ატენის სიონის ტაძრის კრიპტოგრამული ასომთავრული წარწერა, რომლებშიც ერთი და იგივე პირი – ვინმე გურზი იხსენიება: 1. გრიგოლ სამთავნელის სააღაპე წიგნი: „ესე წიგნი მოგეცით ჩუენ, სამთავნელ ეფისკოპოზმან გრიგოლ, თქუენ, ბატონს მამქანს და თქუენთა შვილთა: გურზის და რამადანს“ (სურგულაძე 2014: 110);[2] და 2. ატენის სიონის ეკლესიის კრიპტოგრამული წარწერა (გაშიფრული ტექსტი): „ოფალო, შ<ა>ეიწყ<მ>[ა]ლ<ა>ე | ვირშელი და გორზი“ (შდრ.: ბარნაველი 1957: 59).

ამგვარად, დგინდება, რომ გურზი ლიპარიტიანის წარწერა შუა საუკუნეების ქართული ანთროპონიმიკის შესახებ საინტერესო ცნობას შეიცავს და საქართველოში სახელ გურზის გავრცელების თაობაზე ახალ ინფორმაციას გვაწვდის.

საკვლევ წარწერაში, სახელ გურზის გარდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ გურზი ტექსტში ლიპარიტიანის გვარითა თუ სამოხელეო ტიტულით არის მოხსენიებული.

ლიპარიტიანის გვარსა თუ სამოხელეო ტიტულთან დაკავშირებული საკითხები საფუძვლიანად შეისწავლა თამაზ ბერაძემ, რომელმაც ამ საკითხებს საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა (ბერაძე 1964). მკვლევარმა ხსენებულ ნაშრომში შემდეგი ძირითადი მოსაზრებები გამოთქვა: თავდაპირველად ლიპარიტიანი, იგივე ლიპარტიანი, წარმოადგენდა არისტოკრატულ გვარს, რომელიც, თავის მხრივ, ამ გვარის ფუძემდებლის – ვინმე ლიპარიტის სახელიდან იყო წარმომდგარი. ლიპარტიანთა ფეოდალური სახლი ფლობდა ორი ისტორიული პროვინციის – ოდიშისა და იმერეთის სასაზღვარო რაიონში, მდინარე ტეხურის შუა და ზემო წელზე მდებარე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც სალიპარტიანოს სახელით იყო ცნობილი. ლიპარტიანთა ფეოდალური სახლი წერილობით წყაროებში უკანასკნელად XVI საუკუნის II ნახევარში იხსენიება. მალე ლიპარტიანთა კუთვნილი სალიპარტიანოს ტერიტორია დადიანებმა ჩაიგდეს ხელში. მათ XVII საუკუნის დასაწყისში შემოიღეს ლიპარტიანის სამოხელეო ტიტული, რომლის პირველი მფლობელიც ოდიშის მცირეწლოვანი მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) ბიძა და სამთავროს დროებითი მმართველი – გიორგი ლიპარტიანი გახდა. აქედან მოყოლებული ლიპარტიანი ოდიშის სამთავროს უმაღლეს სამოხელეო ტიტულს წარმოადგენდა და სახელმწიფო მმართველობის სისტემაში მთავრის შემდეგ მეორე საფეხურზე მდგომ პირს გადაეცემოდა (ბერაძე 1964: 115-121, 126-130).[3]

თამაზ ბერაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გადაწყვეტისათვის, თუ რას აღნიშნავს გურზის ლიპარიტიანობა – მის საგვარეულო კუთვნილებას თუ სამოხელეო ტიტულს.

თამაზ ბერაძის მოსაზრების თანახმად, ლიპარიტიანის სამოხელეო ტიტული XVII საუკუნის დასაწყისში იქნა შემოღებული და მას პირველად გიორგი ლიპარიტიანი ფლობდა. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, გურზის ლიპარიტიანის ტიტულის მიღება მხოლოდ გიორგი ლიპარიტიანის გარდაცვალების შემდეგ შეეძლო. უკანასკნელ პერიოდში XI საუკუნეში გადაწერილი ალავერდის ოთხთავის (A-484) 01r-02v-ზე შესრულებული გვიანდელი მინაწერის შესწავლის საფუძველზე, გავარკვიე, რომ გიორგი ლიპარტიანი 1632 წლის შემდგომ ახლოხანებში გარდაიცვალა (სურგულაძე 2019: 354). შესაბამისად, თუკი დავუშვებთ, რომ გურზის ლიპარიტიანობა მის სამოხელეო ტიტულს აღნიშნავს, მაშინ გამოვა, მან ეს ტიტული, ყველაზე ადრე, 1630-იან წლებში მიიღო. ამგვარ დაშვებასთან წინააღმდეგობაში მოდის გურზის ახლადმიკვლეული წარწერა, რომლის ქრონოლოგიის გათვალისწინებითაც ირკვევა, რომ გურზი XVI საუკუნის მოღვაწე იყო და ლიპარტიანის ტიტულის მიღების შესაძლო დროსთან ანუ 1630-იან წლებთან შედარებით, სულ მცირე, მესამედი საუკუნით უფრო ადრე ცხოვრობდა.

სამაგიეროდ, ყოველგვარი წინააღმდეგობა მოიხსნება, თუკი დავუშვებთ, რომ გურზის ლიპარიტიანობა მის საგვარეულო კუთვნილებას აღნიშნავს. ამგვარი დაშვების შემთხვევაში, გამოვა, რომ გურზი გვარად ლიპარიტიანი იყო და XVI საუკუნეში მოღვაწე ყველა სხვა ლიპარიტიანის მსგავსად, ლიპარიტიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. ჩემი დაკვირვებით, ეს დაშვება განსახილველი საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი შესაძლო ვარიანტია და ამიტომ გურზის ლიპარიტიანობა არა მისი სამოხელეო ტიტულის, არამედ საგვარეულო კუთვნილების მნიშვნელობით უნდა იქნეს გააზრებული.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ ახმეტის გორიჯვრის წარწერაში მოხსენიებული გურზი ოდიშში მოსახლე ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის წევრი იყო.

გურზი ლიპარიტიანის ვინაობის გარკვევის შემდეგ ლოგიკურად დაისმის კითხვა: როგორ მოხვდა ახმეტის გორიჯვრის წარწერაში მოხსენიებული ოდიშელი ფეოდალი კახეთის სამეფოში?

სამწუხაროდ, დასმულ კითხვაზე საბოლოო პასუხის გაცემა, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შემიძლია. კვლევის ამ ეტაპზე, შემიძლია მხოლოდ გამოვთქვა ფრთხილი ვარაუდი.

ილია ანთელავას მიერ გარკვეულია, რომ 1597 წელს ოდიშის მთავრის მანუჩარ I დადიანის (1590-1611 წწ.) თანამეცხედრემ, კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605 წწ.) ასულმა, დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა ვაჟი – ოდიშის მომავალი მთავარი ლევან II დადიანი გააჩინა, თუმცა მშობიარობა ვერ გადაიტანა და გარდაიცვალა. დამწუხრებულმა ალექსანდრე II-ემ სიძეს შვილიშვილის მასთან გაგზავნა სთხოვა. მანუჩარ I-მა სიმამრს თხოვნა შეუსრულა და ვაჟი კახეთის სამეფოში გაამგზავრა. ლევან II პაპასთან რამდენიმე წელს დარჩა. 1601 წელს კახეთის სამეფო კარზე გადატრიალება მოხდა, ალექსანდრე II გადააყენეს, სამეფო ტახტი კი მისმა ვაჟმა, მეფე დავით I-მა (1601 წ.) დაიკავა. შექმნილ ვითარებაში მანუჩარ I-მა ვაჟის კახეთში დატოვება მიზანშეუწონლად მიიჩნია და ლევან II უკან, ოდიშის სამთავროში დააბრუნა (ანთელავა 1990: 33-39).

ჩემი ვარაუდით, გურზი ლიპარიტიანის კახეთის სამეფოში მოხვედრა მცირეწლოვანი ლევან II დადიანის მეფე ალექსანდრე II-ის კარზე ყოფნასთან უნდა იყოს დაკავშირებული. როგორც ჩანს, გურზი ლევან II-ის ამალაში შედიოდა და ოდიშის სამთავროდან კახეთში მანუჩარ I დადიანის ბრძანებით, ყრმა უფლისწულის თანმხლები პირის სტატუსით იყო გაგზავნილი.

თუ ჩემ მიერ გამოთქმული ვარაუდი სწორია, მაშინ ირკვევა არამხოლოდ ის, თუ როგორ მოხვდა გურზი ლიპარიტიანი კახეთის სამეფოში, არამედ ისიც, თუ რა პერიოდში იმყოფებოდა იგი კახეთში. ილია ანთელავას მიერ უფლისწულ ლევან II დადიანის მეფე ალექსანდრე II-ის კარზე ყოფნის ქრონოლოგია 1597 წლიდან 1601 წლამდე პერიოდით არის განსაზღვრული. შესაბამისად, დგინდება ისიც, რომ, გურზი ლიპარიტიანი კახეთის სამეფოში, სავარაუდოდ, 1597-1601 წლებში იმყოფებოდა.

ბ) გურზი ლიპარიტიანი და ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლი XV-XVII საუკუნეებში.

გურზი ლიპარიტიანის წარწერის გამოვლენას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის ისტორიის შესწავლისათვის.

დღეისათვის ცნობილ წერილობით წყაროებში ლიპარიტიანთა საგვარეულოს შესახებ საკმაოდ მწირი ცნობებია შემონახული. ამ ცნობებს ქვემოთ ქრონოლოგიური მიმდევრობით წარმოვადგენ და თითოეულ ამ ცნობას შესაბამისი სისრულით განვიხილავ.

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული წერილობითი წყარო, რომელშიც ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლი იხსენიება, XV საუკუნეს მიეკუთვნება. ეს არის იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1484-1510 წწ.) მიერ თოფურიძეებისათვის მიცემული სასისხლო სიგელი, რომელიც ბოლო კვლევების თანახმად, 1484-1488 წლებით თარიღდება.[4] დოკუმენტს ბოლოში დართული აქვს მოწმეთა ვრცელი ჩამონათვალი, რომელშიც, მაღალი რანგის სახელმწიფოს მოხელეებისა და წარჩინებული ფეოდალების გვერდით, შამადავლა ლიპარიტიანიც არის დასახელებული:

> ამისნი მოწამენი არიან: თავად ღმერთი და კაცთაგან: ასპალარი ივანე ათაბაგი, ერისთავთა ერისთავი მანდატურთაუხუცესი დადიანი, სვანთა ერისთავი გურიელი, ფარიჯანიანი ელაშერ, ელაშერი ქილაძე, ამერიჯიბი ავჯაშერ, ციციშვილი დავით. სხვანი ჩუენი კარის ვაზირნი: შიოშ ფალავანდისშვილი, ფარნაოზ ფალავანდისშვილი, ბაგრატ ბარათაშვილი, თაიმურაზ ლაშ[ხ]ისშვილი, მამისმამა კუჭეიძე, ყელგრძელი ჩხეტიძე, გიორგი ერისთავი, კახაბერი ლომინაძე, როსტომ ჩივჭავაძე, ხაფილანდრო ღოღაბე[რიძე], ლომინი მიქელაძე, ფანუელ ლაფიცხუძე, საყან მაჭუტაძე, დემეტრე ბერიძე, ლომინი მახაძე, ჯოღერდი ჩლაჩაძე, მოსაით ჯარადაი ქორთოძე, შამადავლა ლიპარიტიანი,[5] ელბადურ გოშოძე, ულაშარ ამუნასკირი, არღუნაი შარვაშიძე, ალთუმიშარ ამჩაბაძე, თუმელდი ყუდუსაძე (ხაზი, აქაც და ქვემოთაც, ჩემია – თ. ჯ.) (სურგულაძე 2014: 263).

თოფურიძეთა სასისხლო სიგელში მოხსენიებული შამადავლა ლიპარიტიანის ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. ამათგან, პირველი

მოსაზრება ექვთიმე თაყაიშვილს, ხოლო მეორე მოსაზრება თამაზ ბერაძეს ეკუთვნის.

ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, თოფურიძეთა სასისხლო სიგელში დასახელებული შამადავლა ლიპარტიანი და XV საუკუნის II ნახევრის ცნობილი ისტორიული მოღვაწე შამადავლა დადიანი ერთი და იგივე პირი იყო. მკვლევრის დაკვირვებით, შამადავლას მამამ, აგრეთვე, ცნობილმა ისტორიულმა მოღვაწემ, ლიპარიტ I დადიანმა, ვაჟს სამართავად სალიპარტიანო გადასცა, რის გამოც შამადავლა ლიპარტიანად იწოდებოდა (თაყაიშვილი 1891: 3).

თამაზ ბერაძის მოსაზრებით, თოფურიძეთა სასისხლო სიგელი, შუა საუკუნეების სხვა სასისხლო სიგელების მსგავსად, სანდო წერილობითი წყარო არ არის და ამიტომ მასზე დაყრდნობით, შეუძლებელია ითქვას, დოკუმენტში მოხსენებული შამადავლა ლიპარტიანი რეალური ისტორიული პირი იყო თუ არა (ბერაძე 1964: 116).[6]

ექვთიმე თაყაიშვილისა და თამაზ ბერაძის მიერ გამოთქმული მოსაზრებები არაერთ საინტერესო თეზასა თუ დაკვირვებას შეიცავს, თუმცა ამ მოსაზრებებს ვერ გავიზიარებ.

დავიწყებ ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით. მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ უკანასკნელი კვლევებით, თოფურიძეთა სასისხლო სიგელი 1484-1488 წლებით არის დათარიღებული. იმავდროულად, გონელი არახამიას მიერ არგუმენტირებულად არის გარკვეული, რომ შამადავლა დადიან-გურიელი 1475 წლის ივლისში გარდაიცვალა (არახამია 2003: 49). შესაბამისად, სრულებით ცხადია, რომ 1475 წელს გარდაცვლილი შამადავლა დადიან-გურიელი 1484-1488 წლებში შედგენილ დოკუმენტში მოწმედ ვერანაირად ვერ იქნება დასახელებული.

რაც შეეხება თამაზ ბერაძის მოსაზრებას. დღეისათვის დადგენილია, რომ ჩვენამდე მოღწეული სასისხლო სიგელების ერთი ნაწილი ნატყუარი არ არის და მათი ნამდვილობა რაიმე ეჭვს არ იწვევს. გარდა ამისა, დღეისათვის გარკვეულია ისიც, რომ სასისხლო სიგელების მეორე ნაწილი, რომელთა ნამდვილობა, დადასტურებული არ არის და ნატყუარ დოკუმენტებად მიიჩნევა, ისტორიული რეალიების შესახებ ღირებულ ცნობებს გვაწვდის და საყურადღებო წერილობით წყაროებს წარმოადგენს (არახამია 2017: 8-20). შესაბამისად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ შამადავლა ლიპარიტიანი თოფურიძეთა სასისხლო სიგელშია მოხსენიებული, საკმარისი საფუძველი არ არის იმისათვის, რომ შამადავლა არარეალურ თუ გამოგონილ ისტორიულ პირად მივიჩნიოთ.

მაშასადამე, საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ თოფურიძეთა სასისხლო სიგელში მოხსენებული შამადავლა ლიპარიტიანი ლიპარიტიანთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა და დოკუმენტის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, XV საუკუნის II ნახევარსა და XVI საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა.

ლიპარიტიანთა საგვარეულოს შესახებ შემდგომი პერიოდის ცნობებს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1742-1745 წლებში შედგენილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გვაწვდის. თხზულება მოგვითხრობს, რომ 1568 წელს დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტის მაძიებელი იმერელი უფლისწული ხოსრო ვახტანგის ძე, ოდიშის მთავარ ლევან I დადიანსა (1533-1572 წწ.) და დიდ ლიხთიმერელ ფეოდალ ვარაზა ჭილაძესთან ერთად, იმერეთის მეფე გიორგი II-ეს (1565-1583 წწ.) თავს დაესხა და სოფელ იანეთთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ამ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობა მიიღო ვინმე ანონიმმა ლიპარიტიანმაც, რომელიც ლევან I-ისა და ვარაზა ჭილაძის მსგავსად, უფლისწულ ხოსროს მომხრე იყო:

> ამისთჳს მოიმწო ვახტანგის ძის ძემ ხოსრომ დადიანი და ამან იშუელა ჭილაძე ვარაზა ლიპარტიანით ოდიშრით. ესენი ყოველნი ღალატად დაესხნენ გიორგი მეფესა იანეთს და იქმნა ბრძოლა ძლიერი. ვერა რაი ავნეს გიორგი მეფესა. არამედ ივლტოდნენ იგინივე ქ(ორონიკონ)სა ჩჶჱ (1568 წ.), ქარ(თულსა) სნვ (256+1312=1568 წ.) და მოისროდნენ მახჳლითა (ქარაგმის გახსნა ჩემია – თ. ჯ.) (ყაუხჩიშვილი 1973: 815-816).

ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის შესახებ მომდევნო პერიოდის ინფორმაცია 1608 წელს გადაწერილი ხელნაწერის – ცაიშის II გულანის ექვს მინაწერშია შემონახული.[7] ამ მინაწერებში მოხსენიებულია ლიპარიტიანის ასული მანა, იგივე მანია, რომელიც ცაიშის II გულანის გადაწერის ერთ-ერთი ინიციატორი იყო და რომელიც, ხელნაწერის გადაწერის დასრულებამდე ანუ იმავე 1608 წელს გარდაიცვალა.

1. ცაიშის II გულანის ერთ-ერთი გადამწერის – გაბრიელ ნინიძის მიერ ხელნაწერის 87v-ზე შესრულებული მინაწერი:

ქ. სრულ იქმნა წმიდა ესე თვენი ჴელითა ფრიად ცოდვილისა გაბრიელ ნინიძისითა სახლსა სისკირიასსა, აღიწერა საყდარს ყულისკარს, ბატონის ჩემის ლიპარტიანის ქალის მანიას საფლავზედა. საუკუნომდა არს სახსენებელი და სუფევა მისი. ვინცა მისთჳს შენდობა ბრძანო(თ), თქუჱნცა შეგინდოს ღმერთმან. ამინ (არახამია 2009ბ: 177).

2. იმავე გაბრიელ ნინიძის მიერ ცაიშის II გულანის 1117r-ზე შესრულებული მინაწერი:

ღმერთო, მოიჴსენე ლიპარტიანის ქალი მანია სასუფეველსა შენსა. ძმანო და მამანო, საყუარელნო უფლისა ჩუჱნისანო, ამის უცბად ჩხრეკისათჳს ნუ ვინ დაგუწყევთ, ახლათ ვისწავლეთ და ცაიშის ღვთისმშობლის გულანისათჳს არ იკადრებოდა, მაგრამ ჩემის ცოდვილის სულის სახსრათ და საოჯად გავბ[ედ]ეთ. ვინცა შეემთხვიოთ, შენდობასა ჰყოფდეთ ჩუჱნთჳს, ღვთისმოყვარენო. ვინცა შენდობა ბრძანოთ ჩუჱნთჳს, თქუჱნცა ღმრთისაგან შენდობილ ხართ (არახამია 2009ბ: 177).

3. ცაიშის II გულანის ერთ-ერთი გადამწერის (?) მინაწერი: „ღ(მერთ)ო, მოიხსენე სასუფეველსა შენსა ლიპარტიანის ქალი მანაჲ, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა, ა(მი)ნ“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაციის ნაწილი ჩემია – თ. ჯ.) (თაყაიშვილი 1914: 189).

4. ცაიშის II გულანის ერთ-ერთი გადამწერის (?) მინაწერი: „ღ(მერთ)ო, მოიჴსენე ახლად მიცვალებული ლიპარტიანის ქალი მანა სასუფეველსა შენსა“ (ქარაგმის გახსნა ჩემია – თ. ჯ.) (თაყაიშვილი 1914: 189).

5. ცაიშის II გულანის ერთ-ერთი გადამწერის მინაწერი: „ღ(მერთ)ო მოიჴსენე ლიპარტიანის ქალი მანაჲ“ (ქარაგმის გახსნა ჩემია – თ. ჯ.) (თაყაიშვილი 1914: 189).

6. ცაიშის II გულანის ერთ-ერთი გადამწერის მინაწერი:

აღიწერა წ(მიდა)ჲ ესე გულანი ს(ა)ხლსა სისკირია პაატისასა ბრძანებითა ღ(მრთ)ის(ა)თა, გულსმოდგინებითა და ჴელის წყობითა ლიპარტიანის ქალის მანიასითაჲ და ამას წელსა მიიცვალა და ვინც მისთჳს შენდობა ჰყოთ, თქვენცა შეგინდოს ღ(მერთმა)ნ. საუკუნომდა სახსენებელი და სუფევა მისი, ა(მი)ნ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაციის ნაწილი ჩემია – თ. ჯ.) (თაყაიშვილი 1914: 189).

ლიპარიტიანის ასული მანა, ცაიშის II გულანის მინაწერების გარდა, კიდევ ერთი ხელნაწერის – ჟამნის (A-761) ძირითადი ტექსტის ხელით შესრულებულ ორ სავედრებელ მინაწერშიც არის მოხსენიებული (შდრ.: ჟორდანია 1897: 356); (ჟორდანია 1902: 214); (ქაფიაშვილი 1994: 78). მინაწერები გვაუწყებს, რომ ჟამნი საკუთრივ მანას მიერ არის გადანუსხული:

1. „ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ამის უცბჲდ მწერალი, ლ[იპა]რტიანი[ს] ქ(ა)ლი მანია. ვინცა შენდობაჲ $_{104v}$||$_{105r}$ ბრძანო(თ), თქ(უე)ნცა შეგინდოს ღ[მერთმა]ნ, ა(მი)ნ“ (ხელნაწერი A-761: 104v-105r).

2. „ღ(მერთ)ო, [მ]ოიჴს(ე)ნე [ა]მის უცბჲ[დ] | მწერალი, ლი[პარტ]იან[ი]ს ქა|ლი მანიაჲ ს(ა)ს(უ)ფ[ე] ვ(ე)ლსა შ(ე)ნ|სა, ა(მი)ნ“ (ხელნაწერი A-761: 127v).

ზემოთ ციტირებულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული პირების, ერთი მხრივ, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ დასახელებული ანონიმი ლიპარიტიანის, ხოლო, მეორე მხრივ, ცაიშის II გულანისა და ჟამნის მინაწერებში ნახსენები მანა ლიპარიტიანის, ნათესაური ურთიერთმიმართების საკითხით საგანგებოდ დაინტერესდა თამაზ ბერაძე. მკვლევარმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იანეთის ბრძოლის მონაწილე ანონიმი ლიპარტიანი და მანა ლიპარტიანის მამა, რომლის სახელიც მანასთან დაკავშირებულ წერილობით წყაროებში მითითებული არ არის, დაახლოებით, ერთსა და იმავე პერიოდში ცხოვრობდნენ და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ორი ანონიმი ლიპარტიანი, ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო (ბერაძე 1964: 116).

თამაზ ბერაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება ლოგიკური და დამაჯერებელია. შესაბამისად, დგინდება, რომ ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ დასახელებული ანონიმი ლიპარიტიანი ცაიშის II გულანისა და ჟამნის მინაწერებში მოხსენიებული მანა ლიპარიტიანის მამა იყო. გარდა ამისა, დგინდება ისიც, რომ მანას მამა, ერთი მხრივ, იანეთის ბრძოლის (1568 წ.), ხოლო, მეორე მხრივ, მანას გარდაცვალების (1608 წ.), დროის გათვალისწინებით, XVI საუკუნის შუახანებსა და II ნახევარში მოღვაწეობდა. რაც შეეხება თავად მანას, იგი XVI საუკუნის II ნახევრისა და XVII საუკუნის დასაწყისის მოღვაწე იყო.

ლიპარიტიანთა საგვარეულოს შესახებ შემდგომი პერიოდის ცნობებს სამი წერილობითი წყარო გვაწვდის. ესენია: 1. 1054 წელს გადაწერილი ალავერდის ოთხთავის (A-484) 03r-ზე შესრულებული გვიანდელი მინაწერი, რომელიც უცნობი პირის მიერ 1632 წლის ახლოხანებშია დაწერილი; 2. ანონიმი ქართველი ისტორიკოსის მიერ 1730-იან წლებში შედგენილი „ცხოვრებაჲ საქართველოჲსა“, იგივე „პარიზის ქრონიკა“; და 3. ქართლის კათოლიკოს ანტონ I ბაგრატიონის (1744-1756, 1763-1788 წწ.) მიერ 1768-1769 წლებში შედგენილი ჰაგიოგრაფიული თხზულება „შესხმა და მოთხრობა ღუანლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ლუარსაბ მეორისა, მეფისა საქართუელოჲსა“. მოვიტან ამ წერილობითი წყაროების შესაბამის ფრაგმენტებს.

1. ალავერდის ოთხთავის გვიანდელი მინაწერი: „ტყუჱობ<ჲ>{ა}სა შ(ინ)ა აღსრ(უ)ლ(ე)ბ(უ)ლსა დედოფ(ა)ლსა, ლიპარიტიანის ას(უ)ლსა თამარს ღ(მერთმა)ნ შ(ეუნდვ)ნ(ე)ს“ (სურგულაძე 2019: 354).

2. ანონიმი ისტორიკოსის „ცხოვრებაჲ საქართველოჲსა“:

იმავე ქორონიკონსა sJg (293+1312=1605 წ.) მეფე გიორგი ქართლისა მეჯვრისხევს იდგა; და თაფლი მიართვეს და შიგ ფუთკარი ჩაჰყოლოდა. გიორგი მეფემ რომ ჩაიდვა ლუკმა პირში, უცებად ფუთკარი შეჰყვა თაფლსა, უცა ენაზედ, და გაუსივდა ენა და მოკვდა გიორგობისთვის z (7), დღესა პარასკევსა; წამოიღეს და დამარხეს მცხეთას საპატრიარქოსა საყდარს სვეტს ცხოველში. იტირეს და იგლოვეს ქართველთა და ცოლმან მისმან გიორგი ლიპარტიანის ასულმან დედოფალმან თამარ და ძემან მ[ა] თმან ლუარსაბ (ალასანიამ 1980: 63).

და მეფენი ქართლისა და კახეთისანი, მეფე თეიმურაზ (კახეთის მეფე თეიმურაზ I (1606-1648 წწ.) – თ. ჯ.) და მეფე ლუარსაბ წარვიდენ ლიხთ-იმერითს და დედამან მეფის ლუარსაბისამ თამარ დედოფალმან თქვა: „ბევრი სიკეთის მეტი არავისზე დამიშავებია რაო. ჩემი შვილი არას მიჯერებდაო, დედაკაცი ვარო. არც ყაენს მართებს ჩემზე ავიო – ნამსახური ვარო, – არც ქართველთაო“. წასვლა არ დააპირა და დგომა რომ მოინდომა, ზოგიერთი ქართველი ურიგოდ დარჩნივ, ბევრი რამ გამოართვეს. ვეღარ დადგა, წავიდა დიდის მორჭმით. დაედევნენ ზემო ქართლის დარბაისელ აზნაურნი თუ ვინცა-ვინ, ჭერათხევში დაეწივნენ და საქონელი წაართვეს. მრავალი დაეკარგა, და უპატიურათ მიეპყრნენ. და ვინცა-ვინ ახლდა, ვინ უნდოდა, ქართველთ წაატანეს, ვინც არა და დააბრუნეს. და მეფემან გიორგიმ (იმერეთის მეფე გიორგი III-ემ (1604-1639 წწ.) – თ. ჯ.) შეიწყნარა მეფე ლუარსაბ და ბატონი თეიმურაზ სიხარულით. და დედოფალი თამარ თავის სამშობლოს სალიპარტიანოს მივიდა და პატივი სცეს და დააყენეს (ალასანია 1980: 80).

და ვითაც სარუ-ხოჯისაგან (ირანის შაჰ აბას I-ის (1587-1629 წწ.) მიერ გამოგზავნლი მოხელისაგან – თ. ჯ.) მოტყუებულ შეიქნა მეფე ლუარსაბ ყმაწვილკაცობით, წამოვიდა ყაენთან (შაჰ აბას I-თან – თ. ჯ.). უშალა დედამა, მაგრა აღარ დაიშალა: გარდმოვიდა ზემო ქართლს. ბატონი თეიმურაზ იქივ იმერეთს დადგა. და მეფის ლუარსაბის დედა, დედოფალი თამარი იქივ სალიპარტიანოს დადგა. და მეფე ლუარსაბ ზემო ქართლს მოვიდა (ალასანია 1980: 83).

3. კათოლიკოს ანტონ I-ის მეფე ლუარსაბ II-ის „წამება“:

გიორგი მეათემან, კეთილმსახურმან მეფემან ქართუელთამან, დავითიან-ბაგრატოვანმან, ძემან სიმეონ დიდისამან, შობილმან დედოფლისაგან, ასულისა კახთა მეფისა – ლეონ დიდისა, იქორწინა ჩინებულისა მთავრისა ლიპარიტიანის ასულისა თანა, ზედწოდებით თამარის, წესითა ქრისტიანეთათა კეთილმსახურებითა... (გაბიძაშვილი, ქავთარია 1980: 45).

როგორც ვხედავთ, ციტირებულ წერილობით წყაროებში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ცნობილი ისტორიული პირი, ქართლის მეფე გიორგი X-ის (1600-1606 წწ.) მეუღლე და ქართლის მეფე ლუარსაბ II-ის (1606-1615 წწ.) დედა – დედოფალი თამარი წარჩინებული ლიხთიმერელი ფეოდალის – გიორგი ლიპარიტიანის ასული იყო.

დედოფალ თამარის საგვარეულო კუთვნილებისა და მისი მამის ვინაობის შესახებ დღეისათვის ორი განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. ამათგან, პირველი მოსაზრება კონსტანტინე გრიგოლიას, ხოლო მეორე მოსაზრება გონელი არახამიას ეკუთვნის.

კონსტანტინე გრიგოლიას მოსაზრებით, დედოფალი თამარი საგვარეულო წარმომავლობით დადიანთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა და ოდიშის მთავრის მამია IV დადიანის (1573-1578, 1582-1590 წწ.) უმცროსი ვაჟის, ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები ისტორიული პირის – გიორგი ლიპარტიანის

ასული იყო (გრიგოლია 1953: 51-56).[8]

გონელი არახამიას მოსაზრებით, შეუძლებელია, რომ გიორგი მამიას ძე ლიპარტიანი და დედოფალი თამარი მამა-შვილი ყოფილიყვნენ, რადგან ისინი, დაახლოებით, ერთი ასაკისანი იყვნენ: გიორგი, ყველაზე ადრე, 1575 წელს, ხოლო თამარი, ყველაზე გვიან, 1578-1579 წლებში იყო დაბადებული. მკვლევრის აზრით, თამარი დადიანების საგვარეულოს ეკუთვნოდა, ოღონდ იგი არა გიორგი მამიას ძე ლიპარტიანის, არამედ ამ უკანასკნელის ბიძის (მამის ძმის), ოდიშის მთავარ გიორგი III დადიანის (1572-1573, 1578-1582 წწ.) ასული იყო. გონელი არახამიას დაკვირვებით, გიორგი III მისი ცხოვრება-მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე სალიპარტიანოს სახელით ცნობილ მამულს ფლობდა, რის გამოც თავად გიორგი III ლიპარტიანად, ხოლო თამარი ლიპარტიანის ასულად იწოდებოდა. დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ მკვლევრის აზრით, თამარი და ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები მანა ლიპარატიანი, მათი ცხოვრების დროის გათვალისწინებით, დები იყვნენ (არახამია 2009ა: 27-29); (არახამია 2014: 462).

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების დეტალური ანალიზი, პირველ ყოვლისა, აჩვენებს, რომ გონელი არახამიას მიერ კონსტანტინე გრიგოლიას მოსაზრების საპირისპიროდ მოტანილი არგუმენტი სწორია და შეუძლებელია, დედოფალი თამარი, დაახლოებით, მისივე თანამოსაკის – გიორგი მამიას ძე ლიპარიტიანის ასული ყოფილიყო.

რაც შეეხება თავად გონელი არახამიას მოსაზრებას, რომ დედოფალი თამარი გიორგი III დადიანის ასული იყო. ამ საკითხის თაობაზე მკვლევრისაგან განსხვავებული მოსაზრება მაქვს და ვფიქრობ, რომ თამარი გიორგი III-ის ასული არ იყო. ამგვარი დასკვნისაკენ ორი ძირითადი გარემოება მიბიძგებს:

1. გონელი არახამიას დაკვირვებით, გიორგი III მისი ბიოგრაფიის გარკვეულ ეტაპზე სალიპარტიანოს მამულს ფლობდა და ლიპარტიანის წოდებას ატარებდა. მკვლევრის ეს დაკვირვება წერილობითი წყაროების ჩვენებით შემაგრებული არ არის, რადგან დღეისათვის უცნობია რაიმე წერილობითი წყარო, რომელიც გიორგი III-ის მიერ სალიპარტიანოსა და ლიპარიტიანის წოდების ფლობის ფაქტს პირდაპირ ან ირიბად დაადასტურებს. შესაბამისად, თამარის გიორგი III-ის ასულად მიჩნევამდე, ჯერ იმის დასაბუთებაა საჭირო, რომ გიორგი III ლიპარიტიანის წოდებას ნამდვილად ფლობდა.

2. რომც დავუშვათ კიდეც, რომ გიორგი III სალიპარტიანოს მამულსა და ლიპარიტიანის წოდებას მართლაც ფლობდა, მას თამარის მამად მაინც ვერ მივიჩნევთ. დღეისათვის დადგენილია, რომ გიორგი III-ეს 1578 წლიდან მის გარდაცვალებამდე ანუ 1582 წლამდე ოდიშის მთავრის თანამდებობა ეკავა და დადიანად იწოდებოდა. შესაბამისად, თუკი თამარი მართლაც გიორგი III-ის ასული იყო, მაშინ იგი 1578-1582 წლების შემდგომი პერიოდის ტექსტებში, მათ შორის, ზემოთ ციტირებულ სამ წერილობით წყაროში, არა ლიპარიტიანის, არამედ აუცილებლად დადიანის ასულად უნდა ყოფილიყო მოხსენიებული.

3. იმ ფაქტს, რომ თამარ ლიპარიტიანი დადიანების ფეოდალურ სახლს არ ეკუთვნოდა და ოდიშის იმჟამინდელ მთავარ – მანუჩარ I დადიანს ბიძაშვილად (მამის ძმის შვილად) არ ერგებოდა, დამატებით, ადასტურებს ანონიმი ისტორიკოსის „ცხოვრებაჲ საქართველოჲსას“ ერთი ფრაგმენტი, სადაც, 1609 წლის შემდგომი ახლოხანების მოვლენების გადმოცემისას, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თამარს სურდა „დადიანს დამოყვრებოდა“ ანუ თავისი ვაჟი – მეფე ლუარსაბ II მანუჩარ I დადიანის ასულზე, შემდგომში ქართლის დედოფალ მარიამ დადიანზე დაექორწინებინა:

> და მოურავი (გიორგი სააკაძე – თ. ჯ.) მას უკან კიდევ მეფის დედას (დედოფალ თამარს – თ. ჯ.) შეეხვეწა: „თქვენი შვილი არ მეშვებაო, დას მთხოვსო და მე ჩემის ნებით არ ვაძლევო, არ ღირსვარ იმის მოყვრობასო, და თქვენ დაუშალეთო კარგის საქმითაო, და ჩემი თავი და ძმა და შვილი გვიმსახურეთ, გვერდს გვიახლენითო“. უბრძანა დედოფალმან: „მე არას მიჯერებს ჩემი შვილიო, თორემ დადიანის ვემოყვრებოდიო. და შენ ხომ ერთგული ხარ ჩვენი, და მაგან იცის, რომელიც უჯობდეს, მე ცუდათ ნუ გამრჯიო (ალასანია 1980: 72).

ამგვარად, კონსტანტინე გრიგოლიასა და გონელი არახამიას მიერ გამოთქმული მოსაზრებების განხილვა აჩვენებს, რომ დედოფალი თამარი არც გიორგი მამიას ძე ლიპარიტიანის ასული იყო და

არც გიორგი III დადიანისა.

დედოფალ თამარის საგვარეულო კუთვნილებისა და მისი მამის ვინაობის დადგენის, აგრეთვე, თამარის, იანეთის ბრძოლის მონაწილე ანონიმი ლიპარიტიანისა და მანა ლიპარიტიანის ნათესაური ურთიერთმიმართების საკითხების გარკვევისათვის გასათვალისწინებელია ორი ძირითადი გარემოება:

1. თამარი, ყველაზე გვიან, 1578-1579 წლებში დაიბადა და 1629 წლის წინარე ახლოხანებში, ირანის შაჰის აბას I-ის (1587-1629 წწ.) ტყვეობაში გარდაიცვალა.[9]

2. თამაზ ბერაძის მიერ გარკვეულია, რომ ლიპარიტიანი XVII საუკუნის დასაწყისამდე გვარს, ხოლო XVII საუკუნის დასაწყისიდან სამოხელეო წოდებას აღნიშნავდა.

ამ ორი გარემოების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

ა) დედოფალი თამარი და მისი მამა – გიორგი ლიპარიტიანი არა დადიანთა ფეოდალურ სახლს, არამედ ლიპარიტიანთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდნენ.

ბ) თამარი, მისი დაბადებისა (1578-1579 წწ-მდე) და გარდაცვალების (1625 წ-მდე) დროის გათვალისწინებით, XVI საუკუნის დასასრულსა და XVII საუკუნის I მესამედში მოღვაწეობდა.

გ) გიორგი ლიპარიტიანი, თამარის ცხოვრების დროის გათვალისწინებით, XVI საუკუნის შუახანებსა და II ნახევარში მოღვაწეობდა.

დ) თამარის მამა გიორგი ლიპარიტიანი და იანეთის ბრძოლის (1586 წ.) მონაწილე ანონიმი ლიპარიტიანი, მათი ცხოვრების დროის გათვალისწინებით, ერთი და იგივე პირი იყო.

ე) მანა ლიპარიტიანი, მისი გარდაცვალების დროის (1608 წ.) გათვალისწინებით, გიორგი ლიპარიტიანის ასული და თამარის უფროსი და იყო.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ აქამდე ცნობილ წერილობით წყაროებში მოხსენიებულია ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის ოთხი წევრი, რომლებიც XV-XVII საუკუნეებში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ესენი არიან:

1. შამადავლა ლიპარიტიანი (XV ს-ის II ნახ. – XVI ს-ის დასაწ.).

2. გიორგი ლიპარიტიანი, მამა მანა და თამარ ლიპარიტიანებისა (XVI ს-ის შუახან. და II ნახ.).

3. მანა ლიპარიტიანი, უფროსი ასული გიორგი ლიპარიტიანისა (XVI ს-ის II ნახ. – 1608 წ.).

4. თამარ ლიპარიტიანი, უმცროსი ასული გიორგი ლიპარიტიანისა (1578 წ-ის წინარე ახლოხან. – 1629 წ-ის წინარე ახლოხან.).

გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე ახალი წარწერის გამოვლენის შემდეგ ჩვენთვის ცნობილი ხდება ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის კიდევ ერთი, აქამდე უცნობი წევრი – გურზი ლიპარიტიანი, რომელმაც კომპლექსში საკმაოდ ფართომასშტაბიანი სააღმშენებლო სამუშაოები ჩაატარა (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

გურზი ლიპარიტიანისა და ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის სხვა, დღეისათვის ცნობილი წევრების ნათესაური ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევისათვის გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

ა) გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე მიკვლეულ წარწერაში გურზი ლიპარიტიანის გვარით არის მოხსენიებული. ეს გარემოება ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ გურზი, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე, ლიპარიტიანთა საგვარეულოს უფროსი იყო. სხვა შემთხვევაში, იგი ლიპარიტიანის გვარს ვერ მიიღებდა, რადგან შუა საუკუნეების საქართველოში მიღებული ფეოდალური ეტიკეტის თანახმად, გვარის ტარების უფლება მხოლოდ და მხოლოდ ფეოდალური სახლის პირველი პირის პრეროგატივა იყო.

ბ) მე უკვე გავარკვიე ზემოთ, რომ გურზი ლიპარიტიანი XVI საუკუნის მოღვაწე იყო. გარდა ამისა, ზემოთ ვივარაუდე ისიც, რომ გურზი მანუჩარ I დადიანის მიერ სიმამართან, ალექსანდრე II-სთან აღსაზრდელად გაგზავნილი ყრმა უფლისწულის – ლევან მანუჩარის ძის ამალაში შედიოდა და კახეთის სამეფოში 1597-1601 წლებში იმყოფებოდა. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ გამოდის, რომ გურზი არა, ზოგადად, XVI საუკუნეში, არამედ XVI საუკუნის II ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა.

გ) თამაზ ბერაძის ზემოთ მოხმობილი მოსაზრების თანახმად, XVII საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც დადიანები სალიპარტიანოს დაუფლნენ, შემოღებულ იქნა ლიპარტიანის სამოხელეო ტიტული, რომლის პირველი მფლობელიც მანუჩარ I დადიანის უმცროსი ძმა – გიორგი მამიას ძე გახდა. დღეისათვის უცნობია, თუ ზუსტად რატომ და როგორ აღმოჩნდა ლიპარიტიანთა საგვარეულოს კუთვნილი ტერიტორია დადიანების ხელში, თუმცა სრულებით ნათელია, რომ ლიპარიტიანის ტიტულის შემოღების დროს ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლი უკვე ამოვარდნილი იყო. შესაბამისად, ირკვევა, რომ გურზი ლიპარიტიანი XVII საუკუნის დასაწყისზე უფრო მოგვიანო პერიოდის მოღვაწე ვერ იქნებოდა.

ჩემი დაკვირვებით, აქ მოხმობილი გარემოებებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ორი ძირითადი დასკვნა:

1. გურზი ლიპარიტიანი, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის სავარაუდო დროის (XVI ს-ის II ნახ. – XVII ს-ის დასაწ.) გათვალისწინებით, გიორგი ლიპარიტიანის ვაჟი და მანა და თამარ ლიპარიტიანების ძმა იყო.

2. გურზი ლიპარიტიანი, სავარაუდოდ, თავისი ფეოდალური სახლის ბოლო უფროსი იყო და მისი გარდაცვალების შემდეგ ლიპარიტიანთა საგვარეულომ საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

3. გურზი ლიპარიტიანის წარწერა და გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსის ისტორიის საკითხები

ა) გურზი ლიპარიტანის მიერ გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში სატრაპეზოსა და გალავნის აღშენება.

გურზი ლიპარიტიანი წარწერაში მოგვითხრობს, რომ გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში ორი ნაგებობა – „ტრაპეზნი“ ანუ სატრაპეზო და გალავანი ანუ თავდაცვითი ზღუდე აღაშენა: „...ავაშენე ტრაპეზნი და გალავანი... მე, გურზი ლიპარიტიანმან“.

გურზი ლიპარიტიანის მიერ აღშენებული ორი ნაგებობიდან ერთ-ერთი – გალავანი გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში დღემდე იხილვება. მართალია, გალავანი თითქმის მთლიანად დანგრეულია, მაგრამ მისი შემორჩენილი ფრაგმენტები საშუალებას გვაძლევს, პრაქტიკულად, სრული სახით აღვადგინოთ ამ თავდაცვითი ზღუდის მოხაზულობა და თავდაპირველი იერსახე.

გალავანი, რიყისა და ნატეხი ქვით, დუღაბზეა ნაგები. მას ოთხკუთხა, თითქმის კვადრატის მოხაზულობა აქვს და დაახლოებით, 0,3-0,5 ჰექტარ ფართობს შემოფარგლავს. გალავნის კედლების სისქე, მისი შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, მინიმუმ, 85 სმ-ს შეადგენდა. გალავანში შესასვლელი კარიბჭე, სავარაუდოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იყო მოწყობილი. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მიწურულისათვის გალავანი ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული და ის გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ 1885 წლის კორესპოდენციაში „ციხე-გალავნის“ სახელით არის მოხსენიებული: „ტაძარი ტყით არის შემობურვილი და გარშემო ციხე გალავანი არტყია“ (მეთვალყურე 1885: 3).

გურზი ლიპარიტიანის მიერ აღშენებული მეორე ნაგებობის – სატრაპეზოს ზუსტი ლოკალიზაცია, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. მართალია, გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში რამდენიმე დანგრეული ნაგებობაა გამოვლენილი, თუმცა ამ ნაგებობების საფუძვლიან არქეოლოგიურ შესწავლამდე რომელიმე მათგანის გურზის მიერ აღშენებულ სატრაპეზოსთან გაიგივება შეუძლებელია.

გურზი ლიპარიტიანის წარწერაში გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში ჩატარებული სააღმშენებლო სამუშაოების აღსანიშნავად გამოყენებულია სიტყვა „აშენება“. ამასთან, წარწერაში დაზუსტებული არ არის, თუ რას გულისხმობს ეს სიტყვა – ახალი შენობის აგებას თუ ძველი ნაგებობის განახლებას.

სიტყვა „აშენების“ შინაარსის სწორად გააზრებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გადაწყვეტისათვის, თუ, სახელდობრ, რა სახის სააღმშენებლო სამუშაოები ჩაატარა გურზი ლიპარიტიანმა გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში. მართლაც, თუ სიტყვა „აშენება“ ახალი შენობის აგებას

გულისხმობს, მაშინ გამოდის, რომ ძველად კომპლექსში სატრაპეზო და გალავანი არ არსებობდა და ეს ნაგებობები გურზიმ აღაშენა, ხოლო თუ ეს სიტყვა ძველი შენობის განახლებას გულისხმობს, მაშინ გამოდის, რომ კომპლექსში სატრაპეზო და გალავანი ადრეც არსებობდა, თუმცა ეს ნაგებობები დაძველებული თუ დაზიანებული იყო და ისინი გურზიმ საფუძვლიანად განაახლა.

სამწუხაროდ, ჩემს ხელთ არსებული მასალა ამ საინტერესო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის საშუალებას არ მაძლევს. მიუხედავად ამისა, ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ გურზი ლიპარიტიანის წარწერა მეორადი გამოყენების ქვის ფილაზეა ამოკვეთილი და გამოვთქვამ ვარაუდს, რომ წარწერაში დადასტურებული სიტყვა „აშენება“ გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში ადრევე არსებული, ოღონდ დაძველებული თუ დაზიანებული სატრაპეზოსა და გალავნის საფუძვლიან განახლებას უნდა გულისხმობდეს.

ცალკე მსჯელობის საგანია გურზი ლიპარიტიანის მიერ გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში ჩატარებული სააღმშენებლო სამუშაოების მასშტაბები. აღნიშნული საკითხის გარკვევაში დახმარებას გვიწევს გალავანი, რომელიც გურზის მიერ არის აგებული თუ განახლებული. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ გალავანი საკმაოდ მძლავრ და შთამბეჭდავ თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენს. შესაბამისად, დგინდება ისიც, რომ გურზიმ კომპლექსში საკმაოდ ფართომასშტაბიანი სააღმშენებლო სამუშაოები ჩაატარა.

გურზი ლიპარიტიანის მიერ გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში სატრაპეზოსა და გალავნის აღშენებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ბოლოს აუცილებლად უნდა შევეხო ამ ნაგებობათა დათარიღების საკითხს.

მე უკვე გავარკვიე ზემოთ, რომ გურზი ლიპარიტიანის წარწერა XVI საუკუნეს მიეკუთვნება. შესაბამისად, დგინდება ისიც, რომ გურზის მიერ გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში აგებული თუ განახლებული სატრაპეზო და გალავანი იმავე XVI საუკუნით თარიღდება.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გურზი ლიპარიტიანმა XVI საუკუნეში, სავარაუდოდ, 1597-1601 წლებში, გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში საკმაოდ მასშტაბური სააღმშენებლო სამუშაოები ჩაატარა. კერძოდ, გურზიმ აქ ააგო თუ განაახლა ორი ნაგებობა: 1. სატრაპეზო, რომლის ადგილმდებარეობაც, ჯერჯერობით, დაუდგენელია; და 2. გალავანი, რომელმაც ჩვენამდე ფრაგმენტული სახით მოაღწია.

ბ) გურზი ლიპარიტიანის წარწერის თავდაპირველი ადგილმდებარეობა.

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ გურზი ლიპარიტიანის წარწერა XIX საუკუნის მიწურულს სამრეკლოს შესასვლელის ზემოთ იყო ჩადგმული, 2021 წელს გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მონაწილეებმა კი მას სამრეკლოს სამხრეთ ფასადთან, შესასვლელის მიმდებარედ მიაკვლიეს.

გურზი ლიპარიტიანის წარწერის მიკვლევის ადგილის გათვალისწინებით, თითქოს უნდა ვიფიქროთ, რომ წარწერა იმთავითვე სამრეკლოს ეკუთვნოდა, თუმცა, ამგვარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობას თავად წარწერა გამორიცხავს.

გურზი ლიპარიტიანი წარწერაში, ერთი მხრივ, მოგვითხრობს, რომ გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში სატრაპეზო და გალავანი აღაშენა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნაგებობებს მრავლობით რიცხვში გადმოცემული ნაცვალსახელ „ესენი“-თ აღნიშნავს: „...ავაშენე ტრაპეზნი და გალავანი ესენი მე, გურზი ლიპარიტიანმან“.

ის გარემოება, რომ გურზი ლიპარიტიანი წარწერაში მის მიერ აგებულ სატრაპეზოსა და გალავანს ნაცვალსახელ „ესენი“-თ მოიხსენიებს, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ წარწერა თავდაპირველად გურზის მიერ აღშენებულ ერთ-ერთ ნაგებობას – სატრაპეზოსა თუ გალავანს ან კიდევ, მათ დამაკავშირებულ რაიმე არქიტექტურულ სტრუქტურას ეკუთვნოდა.

ბევრად უფრო რთულად გადასაწყვეტია ის საკითხი, თუ გურზი ლიპარიტიანის მიერ აღშენებული ნაგებობის კონკრეტულად რომელ ნაწილში იყო წარმოდგენილი გურზის წარწერა.

სამწუხაროდ, გურზი ლიპარიტიანის მიერ აღშენებული ორი ნაგებობიდან ერთ-ერთმა ნაგებობამ – გალავანმა ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევების სახით მოაღწია, ხოლო მეორე ნაგებობა – სატრაპეზო საერთოდ არ არის ლოკალიზებული. აღნიშნული მიზეზების გამო, გურზის წარწერის თავდაპირველი

ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ წარწერა, უფრო ზუსტად კი, წარწერის შემცველი მეორადი გამოყენების ქვის ფილა, შესაბამისი ნაგებობის საფასადო კედლის წყობაში იყო ჩაშენებული.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გურზი ლიპარიტიანის წარწერა თავდაპირველად გურზის მიერ აღშენებულ ერთ-ერთ ნაგებობას – სატრაპეზოს, გალავანს ან მათ დამაკავშირებულ არქიტექტურულ სტრუქტურას ეკუთვნოდა და, სავარაუდოდ, ამ ნაგებობის საფსადო კედლის წყობაში იყო ჩადგმული. გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ გარკვეული დროის შემდეგ წარწერას ადგილი უცვალეს და არაუგვიანეს XIX საუკუნის მიწურულისა, სამრეკლოს შესასვლელის თავზე ჩადგეს.

გ) გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსის რაობა.

გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსის რაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე რაიმე მოსაზრება გამოთქმული არ ყოფილა.

გურზი ლიპარიტიანის წარწერა საშუალებას გვაძლევს, არგუმენტირებულად გავარკვიოთ ეს საკითხი. წარწერიდან ვიგებთ, რომ გურზიმ გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში ორი ნაგებობა – სატრაპეზო და გალავანი აღაშენა: „...ავაშენე ტრაპეზნი და გალავანი ესენი მე, გურზი ლიპარიტიანმან“.

ის გარემოება, რომ გურზი ლიპარიტიანმა გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში სატრაპეზო ანუ შუა საუკუნეების სამონასტრო კრებულების პურობისათვის განკუთვნილი სპეციალური შენობა ააგო და შემდეგ მთელი მიმდებარე ტერიტორია შუა საუკუნეებისავე მონასტრებისათვის აუცილებელი არქიტექტურული სტრუქტურით – გალავნით შემოზღუდა, ლოგიკურად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კომპლექსი ტიპურ მონასტერს წარმოადგენდა.

აღნიშნული დასკვნის მართებულობას მთლიანად ადასტურებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში, გურზი ლიპარიტიანის მიერ აგებული სატრაპეზოსა და გალავნის გარდა, შუა საუკუნეების მონასტრისათვის აუცილებელი სხვა ნაგებობებიც შედიოდა. ესენია: 1. სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც, როგორც ჩანს, მონასტრის მთავარ ტაძარს, იგივე კათოლიკონს წარმოადგენდა; და 2. ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც, როგორც უკანასკნელი კვლევებით დგინდება, სამრეკლო-საძვალე იყო.[10]

მაშასადამე, ირკვევა, რომ გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსი შუა საუკუნეების მონასტერს წარმოადგენს.

დ) გორიჯვრის მონასტრის ძველი სახელწოდება.

გორიჯვრის მონასტერი აქამდე ცნობილ წერილობით წყაროებში მოხსენიებული არ არის. ამ მიზეზის გამო გაურკვეველია, „გორიჯვარი“ ახშნის მონასტრის ძველ, ისტორიულ სახელწოდებას წარმოადგენს თუ ეს სახელი მას მოგვიანებით, XIX-XX საუკუნეებში ეწოდა.

გურზი ლიპარიტიანის წარწერა საშუალებას გვაძლევს, დასაბუთებულად გადავწყვიტოთ აღნიშნული საკითხი. გურზი წარწერაში მოგვითხრობს, რომ გორიჯვრის მონასტერში სატრაპეზო და გალავანი ააგო და იქვე, დამატებით, აზუსტებს იმასაც, რომ ეს სააღმშენებლო სამუშაოები ღმერთისა და „გორიჯვრის წმიდა გიორგის წყალობით“ შეასრულა: „ქ. ღმერთო და წმიდაო გიორგი გორიჯვრისაო, წყალობითა თქუენითა, ავაშენე ტრაპეზნი და გალავანი ესენი მე, გურზი ლიპარიტიანმან“.

ვფიქრობ, ეჭვგარეშეა, რომ გურზი ლიპარიტიანის წარწერაში მოხსენიებული „გორიჯვარი“ ახშნის მონასტერს გულისხმობს. ხოლო თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გურზის წარწერა XVI საუკუნით თარიღდება, მაშინ გამოდის, რომ ახშნის მონასტერი აღნიშნულ პერიოდში უკვე გორიჯვრის სახელით იყო ცნობილი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ „გორიჯვარი“ ახშნის მონასტრის ძველ, ისტორიულ სახელწოდებას წარმოადგენს.

ე) გორიჯვრის მონასტრისა და მისი მთავარი ტაძრის სახელობა, გორიჯვრის წმ. გიორგის ხატი.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსი მონასტერს წარმოადგენს, ლოგიკურად დაისმის კითხვა: რომელი წმიდანისა თუ სიწმიდის სახელობისა იყო ეს მონასტერი?

დასმულ კითხვაზე პირდაპირ პასუხს გვაძლევს გურზი ლიპარიტიანის წარწერა, რომელშიც გორიჯვრის მონასტრის ზეციურ პატრონად წმ. გიორგია დასახელებული: „...წმიდაო გიორგი გორიჯვრისაო...“.

ამგვარად, გურზი ლიპარიტიანის წარწერის დახმარებით, დგინდება, რომ გორიჯვრის მონასტერი წმ. გიორგის სახელობისა იყო.

გორიჯვრის მონასტრის სახელობის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გარკვევისათვის, თუ რომელი წმიდანისა თუ სიწმიდის სახელობისა იყო მონასტრის მთავარი ტაძარი – ზემოთ უკვე ნახსენები სამნავიანი ბაზილიკა.

შუა საუკუნეების სამონასტრო ცხოვრების შესწავლა აჩვენებს, რომ საქართველოში და არამხოლოდ საქართველოში, მონასტრებსა და მათ მთავარ ტაძრებს, ტრადიციულად, ერთი და იგივე ზეციური პატრონი ჰყავდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, არ შევცდები, თუკი ვიტყვი, რომ გორიჯვრის მონასტრის მთავარი ტაძარი, ისევე როგორც თავად მონასტერი, წმ. გიორგის სახელობისა იყო.

გურზი ლიპარიტიანის წარწერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ აქ გორიჯვრის მონასტრისა და მისი მთავარი ტაძრის ზეციური პატრონი არა, ზოგადად, „წმიდა გიორგის“ სახელით, არამედ, კონკრეტულად, „გორიჯვრის წმიდა გიორგის“ ფორმით არის მოხსენიებული.

შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ წმიდანის სახელი რომელიმე ეკლესიისა თუ მონასტრის სახელწოდებასთან კავშირშია მოხსენიებული. ასე, მაგალითად: „ხახულის ღმრთისმშობელი“, „ალავერდის წმიდა გიორგი“, „ვარძიის ღმრთისმშობელი“, „ილორის წმიდა გიორგი“ და სხვ. საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ რომ ყველა მსგავს შემთხვევაში, წერილობითი წყარო გულისხმობს არა, ზოგადად, წმიდანს, მაგალითად, ღმრთისმშობელსა თუ წმ. გიორგის, არამედ წმიდანის კონკრეტულ ხატს, რომელიც შესაბამის ეკლესიასა თუ მონასტერშია დაბრძანებული. ასე, მაგალითად: „ხახულის ღმრთისმშობელი“ გულისხმობს ღმრთისმშობლის ხატს, რომელიც ჯერ ხახულის, ხოლო მოგვიანებით, გელათის მონასტერში იყო დასვენებული; „ალავერდის წმიდა გიორგი“ გულისხმობს წმ. გიორგის ხატს, რომელიც ალავერდის ტაძარში იყო დაბრძანებული; „ვარძიის ღმრთისმშობელი“ გულისხმობს ღმრთისმშობლის ხატს, რომელიც ჯერ ზემო ვარძიის, ხოლო მოგვიანებით ქვემო ვარძიის მონასტერში იყო დასვენებული; „ილორის წმიდა გიორგი“ გულისხმობს წმ. გიორგის ხატს, რომელიც ილორის მონასტერშია დაბრძანებული; და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, არ შევცდები, თუკი ვიტყვი, რომ გურზი ლიპარიტიანის წარწერაში დასახელებული „გორიჯვრის წმიდა გიორგი“ არა, ზოგადად, წმ. გიორგის, არამედ, კონკრეტულად, გორიჯვრის მონასტერში დაბრძანებულ წმ. გიორგის ხატს გულისხმობს.

სამწუხაროდ, გორიჯვრის წმ. გიორგის ხატის შესახებ რაიმე ცნობებს, ჯერჯერობით, ვერ მივაკვლიე. შესაბამისად, საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე, ამ ხატის თაობაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ გურზი ლიპარიტიანის წარწერის შესრულების დროს ანუ XVI საუკუნეში ხატი ჯერ კიდევ არსებობდა და ის გორიჯვრის მონასტერში იყო დასვენებული.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გორიჯვრის მონასტერი და მისი მთავარი ტაძარი წმ. გიორგის სახელობისა იყო. გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ XVI საუკუნეში, სავარაუდოდ, 1597-1601 წლებში, გორიჯვრის მონასტერში დაბრძანებული იყო სავანის ზეციური პატრონის – წმ. გიორგის ხატი, რომელსაც „გორიჯვრის წმიდა გიორგის“ სახელით იცნობდნენ.

ვ) გურზი ლიპარიტიანის წარწერა და გორიჯვრის წმ. გიორგის მონასტერში ჩატარებული საეკლესიო აღმშენებლობის ისტორია.

გორიჯვრის მონასტერში შემორჩენილი ორი ნაგებობა – სამნავიანი ბაზილიკა და ორსართულიანი სამრეკლო-საძვალე შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების მრავალმხრივ საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს. ამ ნაგებობათა არქიტექტურა გიორგი ჩუბინაშვილის მიერ საფუძვლიანად არის შესწავლილი. მეცნიერმა ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად, გორიჯვრის მონასტრის საეკლესიო აღმშენებლობის ისტორიაში ოთხი ძირითადი ეტაპი გამოჰყო:

1. VI საუკუნის II ნახევარი – ააგეს სამნავიანი ბაზილიკა.[11]

2. VI საუკუნის II ნახევარი ან შემდგომი ახლო პერიოდი – ბაზილიკას სამი მხრიდან მიაშენეს გარშემოსავლელი.

3. XI-XIII საუკუნეები – ბაზილიკისა და გარშემოსავლელის ფასადები გაამშვენეს შირიმის ქვაში გამოყვანილი დეკორატიული ელემენტებით.

4. დაახლოებით, XV-XVI საუკუნეები – შეაკეთეს და გადააკეთეს ბაზილიკისა და გარშემოსავლელის ცალკეული ადგილები; მოხატეს ბაზილიკის ინტერიერი და გარშემოსავლელის დასავლეთი ნაწილი (ბაზილიკაში შესასვლელის მიმდებარე მონაკვეთი); ააგეს ორსართულიანი სამრეკლო (ჩუბინაშვილი 1959: 86-90).

როგორც ვხედავთ, გორიჯვრის მონასტრის საეკლესიო აღმშენებლობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ პერიოდს XV-XVI საუკუნეები წარმოადგენს. ამ პერიოდში შეაკეთეს, გადააკეთეს და მოხატეს სამნავიანი ბაზილიკა, აგრეთვე, ააგეს ორსართულიანი სამრეკლო-საძვალე.

XV-XVI საუკუნეებში გორიჯვრის მონასტერში საეკლესიო აღმშენებლობის გააქტიურებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XVI საუკუნით დათარიღებული გურზი ლიპარიტიანის წარწერა, რომელიც მოგვითხრობს, რომ გურზიმ მონასტერში სატრაპეზო და გალავანი აღაშენა.

ის გარემოება, რომ გორიჯვრის მონასტერში საეკლესიო აღმშენებლობის გააქტიურება და გურზი ლიპარიტიანის მიერ სააღმშენებლო სამუშაოების ჩატარება, დაახლოებით, ერთსა და იმავე პერიოდს მიეკუთვნება, შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. პირიქით, ეს ქრონოლოგიური თანხვედრა ლოგიკურად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ გურზის მიერ სატრაპეზოსა და გალავნის აგება თუ განახლება XV-XVI საუკუნეებში გორიჯვარში მიმდინარე საეკლესიო აღმშენებლობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

გორიჯვრის მონასტერში საეკლესიო აღმშენებლობის გააქტიურების პროცესისა და გურზი ლიპარიტიანის მიერ იმავე მონასტერში სააღმშენებლო სამუშაოების ჩატარების ფაქტის ერთმანეთთან დაკავშირება საშუალებას გვაძლევს, მნიშვნელოვნად დავაზუსტოთ გიორგი ჩუბინაშვილის მიერ მონასტრის საეკლესიო აღმშენებლობის ისტორიაში გამოყოფილი ბოლო, მეოთხე ეტაპის ქრონოლოგია.

აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ გორიჯვრის მონასტრის საეკლესიო აღმშენებლობის მეოთხე ეტაპი XV-XVI საუკუნეებს მოიცავდა. გურზი ლიპარიტიანის წარწერიდან ირკვევა, რომ საეკლესიო აღმშენებლობის ამ ეტაპს წარწერის შესრულების პერიოდში ანუ XVI საუკუნეში ჰქონდა ადგილი. ხოლო თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გურზის წარწერა, სავარაუდოდ, 1597-1601 წლებით თარიღდება, მაშინ გამოდის, რომ საეკლესიო აღმშენებლობის განსახილველი ეტაპი, სავარაუდოდ, კახეთში მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605 წწ.) მმართველობის პერიოდს ანუ, დაახლოებით, XVI საუკუნის ბოლო მეოთხედს უნდა მიეკუთვნებოდეს.

გიორგი ჩუბინაშვილის მიერ გორიჯვრის მონასტრის საეკლესიო აღმშენებლობის ისტორიაში გამოყოფილი ბოლო, მეოთხე ეტაპის მეფე ალექსანდრე II-ის მმართველობის დროით დათარიღებას შესაბამისი ისტორიული რეალიებიც უჭერს მხარს. როგორც ცნობილია, ალექსანდრე II ქტიტორული საქმიანობით გამორჩეული მმართველი იყო და საქართველოსა თუ უცხოეთის სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში მასშტაბურ სააღმშენებლო სამუშაოებს ახორციელებდა. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ გორიჯვრის მონასტერში საეკლესიო აღმშენებლობის პროცესი მაინცადამაინც ალექსანდრე II-ის მეფობის პერიოდში გააქტიურდა, მოულოდნელი არ არის და პირიქით, ისტორიული რეალების გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკურია.

გორიჯვრის მონასტერში საეკლესიო აღმშენებლობის გააქტიურების პროცესისა და გურზი ლიპარიტიანის მიერ იმავე მონასტერში სააღმშენებლო სამუშაოების ჩატარების ფაქტის ერთმანეთთან დაკავშირება მონასტერთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხის დაზუსტებაში გვიწევს დახმარებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, გიორგი ჩუბინაშვილის

მიერ გორიჯვრის მონასტრის საეკლესიო აღმშენებლობის ისტორიაში გამოყოფილ მეოთხე ეტაპზე შეასრულეს ორი ძირითადი სამუშაო: 1. შეაკეთეს, გადააკეთეს და მოხატეს სამნავიანი ბაზილიკა; და 2. ააგეს ორსართულიანი სამრეკლო. გურზი ლიპარიტიანის წარწერიდან ვიგებთ, რომ საეკლესიო აღმშენებლობის ამ ეტაპზე, დამატებით, შეასრულეს კიდევ ორი სამუშაო: 1. ააგეს ან განაახლეს სატრაპეზო; და 2. ააგეს ან განაახლეს გალავანი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ გურზი ლიპარიტიანის მიერ გორიჯვრის მონასტერში შესრულებული სააღმშენებლო სამუშაოები იმავე მონასტერში მიმდინარე დიდი საეკლესიო აღმშენებლობის შემადგენელი ნაწილი იყო. გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ დასახელებულ საეკლესიო აღმშენებლობას XVI საუკუნეში, სავარაუდოდ, მეფე ალექსანდრე II-ის მმართველობის პერიოდში ჰქონდა ადგილი და ოთხ ძირითად სამუშაოს მოიცავდა. ესენია: 1. სამნავიანი ბაზილიკის შეკეთება, გადაკეთება და მოხატვა; 2. ორსართულიანი სამრეკლო-საძვალის აგება; 3. სატრაპეზოს აგება ან განახლება; და 4. გალავნის აგება ან განახლება.

4. გურზი ლიპარიტიანის წარწერა და გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის ისტორიის საკითხები

წინამდებარე ნაშრომის ბოლოს აუცილებლად უნდა შევეხო გვიანი შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის სახელით არის ცნობილი.

ვიდრე გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის აღწერაზე გადავიდოდე, საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ჯვრის ქუდში, ჩაბრძანებული იყო წმ. გიორგის თავის ქალა თუ თავის ქალის ფრაგმენტი, რომელიც უდიდეს სიწმიდეს წარმოადგენდა და რომელსაც, ქრისტიანები გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ.

ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ ცნობას იმის შესახებ, რომ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის ქუდში წმ. გიორგის თავის ქალა ინახებოდა, პრასკოვია უვაროვას მიერ 1894 წელს დაბეჭდილ ნაშრომში "Христианские Памятники" ვაწყდებით. მკვლევარი ჯვრის ერთ-ერთი გვიანდელი მფლობელის – კოტე ამილახვრის მონათხრობზე დაყრდნობთ, გვაუწყებს, რომ ჯვრის ქუდში ჩაბრძანებული იყო წმ. გიორგის თავის ქალა, რომელიც საქართველოს ერთ-ერთმა მეფემ ამილახვართა ფეოდალური სახლის ერთ-ერთ წევრს მისთვის გაწეული ერთგული სამსახურის, უფრო ზუსტად კი, მეფის სიცოცხლის გადარჩენის გამო უბოძა. გარდა ამისა, პრასკოვია უვაროვა გვამცნობს იმასაც, რომ ძველად წმ. გიორგის თავის ქალა ციხე-ქალაქ გორის მახლობლად, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ გორაკზე აგებულ გორიჯვრის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახებოდა, თუმცა მოგვიანებით ამილახვართა ოჯახის წევრებმა, რომლებიც წმიდანის თავის ქალას თავიანთ საგვარეულო კუთვნილებად მიიჩნევდნენ, თავის ქალა, მის შემცველ ჯვართან ერთად, ტაძრიდან გაიტანეს და გორის მიდამოებში მდებარე სოფელ ოთარშენში, ამილახვართა რეზიდენციაში დაასვენეს. დასასრულს, მკვლევარი დასძენს იმასაც, რომ მისი გორის სანახებში მოგზაურობის დროს წმ. გიორგის თავის ქალა კვლავ ოთარშენში, ზემოთ უკვე ნახსენები კოტე ამილახვრის ოჯახში ინახებოდა:

> Церковь Гори-Джвари... В древней церкви хранился в былое время череп св. Георгия, но он увезен семейством кн. Амилахвари и сохраняется теперь на противоположном берегу р. Куры, в 3-х верстах от Гори, в ущелье р. Льяхвы, в селение Оторшени, у князя Коте Амилахвари, взявщаго его на том основании, что он в старину был подарен его семье грузинским царем, обязанному жизнью одному из членов семьи Амилахвари. Череп, по словам князя, вделан в шапку, составляющую... верх огромнаго выносного креста...

გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი წარმოადგენს ვერცხლით მოჭედილ დიდი ზომის (188 X 84 სმ.) ხის ჯვარს, რომლის ზედა მკლავიც შუა საუკუნეების ქართული საკურთხევლისწინა ჯვრებისათვის დამახასიათებელი ქუდით, ხოლო ქვედა მკლავი ე.წ. „ფეხით" ბოლოვდება.

გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის წინაპირზე ჯვარცმის 1 და წმ. გიორგის ცხოვრების 14 კომპოზიციაა წარმოდგენილი. ჯვარზე კომპოზიციები შემდეგი სახით არის განაწილებული: ჯვრის

ცენტრში, მკლავების გადაკვეთაზე – ჯვარცმის კომპოზიცია („ი(ეს)ჳ ქ(რისტ)ე, მ(ეუ)ფე ჰ(ურია)თა“); ჯვრის მარცხენა მკლავზე (მარცხნიდან მარჯვნივ) – წმ. გიორგის დაცერვა („წ(მიდი)ს გი{ორ}გ{ი}ს დ{ა} ც{ე}რვა“), შოლტით ცემა („წ(მიდი)ს გი{ორ}გ{ი}ს შოლტით ცემა“) და კირში ჩასმა („წ(მიდი)ს გ(იორ)გ(ი)ს კ{ი}რშიდ ჩასმა“); მარჯვენა მკლავზე (მარცხნიდან მარჯვნივ) – წმ. გიორგის მიერ მკვდრის აღდგინება, წმიდანისათვის საპყრობილეში ქვის დადება და წმ. გიორგი დიოკლეტიანეს წინაშე; ზედა მკლავზე (ზემოდან ქვემოთ) – წმ. გიორგის ურმის თვლით დაჭრა და ანგელოზის მიერ მისი აღდგინება („წ(მიდი)ს გ(იორგ)ის ურმ{ი}ს თვლით დ{ა}ჭრა და ანგელოზ{ი}ს{ა}გ{ა}ნ აღდგინება“), წმიდანის ურმის თვალზე დაკვრა („წ(მიდი)ს გ(იორ)გ(ი)ს ურმ{ი}ს თვ{ა}ლზ{ე}დ დ{ა}კრვა“) და წმ. გიორგის მიერ კერპების შემუსვრა („წ(მიდი)ს გიორგის{ა}გ{ა}ნ კ{ე}რ{პ}თ შემუსვრა“); ქვედა მკლავზე (ზემოდან ქვემოთ) – საყდარზე მჯდომი წმ. გიორგი, იესო ქრისტე სიზმარში ეცხადება წმიდანს, წმ. გიორგის მიერ გლიკერის ხატის გაცოცხლება, წმიდანის თავისკვეთა („წ(მიდი)ს გ(იორგ)ის წამება“) და ცხენოსანი წმ. გიორგი და გველეშაპისაგან გამოხსნილი მეფის ასული (თაყაიშვილი 1948: 383-384, ტაბ. ##2-7); (საყვარელიძე 1987: 131-135).

გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარს ორი ჭედური წარწერა ახლავს. ამათგან, პირველი, თექვსმეტსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ქტიტორული წარწერა ჯვრის მოჭედვის თანადროულია და მის ქვედა მკლავზე, წმ. გიორგის ცხოვრების ბოლო კომპოზიციის (ცხენოსანი წმ. გიორგი და გველეშაპისაგან გამოხსნილი მეფის ასული) ქვემოთ, არის შესრულებული.

გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის ვრცელი ქტიტორული წარწერის ტექსტი, წარწერის დედანზე ან ფოტოზე დაყრდნობით, ოთხჯერ არის გამოქვეყნებული: პირველად – 1894 წელს, პრასკოვია უვაროვას მიერ (ტექსტი, სავარაუდოდ, ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ არის წაკითხული) (უვაროვა 1894: დამატება, 161-162), მეორედ – 1948 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (თაყაიშვილი 1948: ტაბ. #8), მესამედ - 1976 წელს, ვლადიმერ თუთბერიძის მიერ (თუთბერიძე 1976: 61), ხოლო მეოთხედ - 2014 წელს, ნინო ხარშილაძის მიერ (ხარშილაძე 2014: 130-131).

მოვიყვან გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის ქტიტორული წარწერის ჩემეულ წაკითხვას, რომელიც წარწერის ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ შავ-თეთრ ფოტოზეა დამყარებული:

> ნ. მოწ(ა)მ(ე)თა შ(ორი)ს დ(ა)ოვ(ა)ლო ვ(ა)რსკ(უ)ლ(ა)ო, | კერპთ შ(ე)მმ(უ)სრველო დ(ა) მოწ(ა)მ(ე)ო დიდო, | ლმობა ტ(ა)ნისა დ(ა) ძვ(ა)ლთა ჩ(ე)მთა ბრძვილნი | გ(ა)ნმიკორნე მე, მ(ე)ფ(ე)სა ალექს(ა)ნდრეს, | რომ(ე)ლთა ვ(ი)ნებ(ე)თ ხ(ა)ტთა თქვ(ე)ნთა მოჭედა. |
> ნ. ჩ(ვე)ნ, ღ(მრ)თივგვირგვინოს(ა)ნმ(ა)ნ მ(ე)ფ(ე)თმ(ე)ფ(ე)მ(ა)ნ, პ(ა)ტრო|ნმ(ა)ნ ალ(ე)ქს(ა)ნდრე, ვიგოლ(ე)თ, თ(ან)აშეწ(ე)ვნით|ა შ(ე)ნ, ძლიერისა დ(ა) ახოვ(ა)ნისა დ(ა) ღ(ვა)წლმრ(ა)|ვ(ა)ლისა, წ(მიდ)ისა, დიდისა მოწ(ა)მისა გ(იორგ)ისათა დ(ა) | მოვ(ა)ჭედინ(ე)თ ხ(ა)ტი მსგ(ა)ვსებისა თქ(ვე)ნისა, | თ(ა)ყვ(ა)ნისსაცემ(ე)ლ(ა)დ შ(ე)ნდა დ(ა) ს(ა)დიდებ|ელ(ა)დ დ(ა) დ(ა)გისვ(ე)ნ(ე)თ გორისჯვ(ა)რს, ტ(ა)ძ(ა)რსა შ(ინ)ა | შ(ე)ნსა, რ(ა)თა გ(ა)ნმიკორნო ჩემ შორ(ი)სისა ა|მის ჴორციელისა სალმობისა დ(ა) მიო|ხო მოსლვ(ა)სა მ(ა)ს მისსა დიდებით, რომლი|ს(ა)თვის ნ(ა)მა ახოვ(ა)ნებ(ა)მ(ა)ნ შენმ(ა)ნ (თაყაიშვილი 1948: ტაბ. #8).[12]

გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის მეორე, მოგვიანო, თექვსმეტსტრიქონიანი მხედრული ქტიტორული წარწერა ჯვრის ფეხზეა შესრულებული და შემდეგი სახით იკითხება:

> ქ. ეჰა, მეუფისა მის მაღლისა მჴნეო მჴედარო, ძლი|ერო და უძლეველო, სასწაულთა სიმრავლითა, ვითარ|ცა ზღვისა ქვიშითა, აურაცხელო, ღვაწლმრავლი|თა ქუეყანასა ზედა გამოჩინებულო, ვითარ გადიდო ან|უ ვითარ შეგამკო, დიდო მოწამეთა მთავარ|ო გიორგი, შეიწირე მცირე ესე მოსართმი | ფერჴთა ქუეშე თქუენთა და მოვაჭედინეთ | ფეჴი, დასადგმელი თქუენი, იქით და აქათ, | ჩვენ, გივის, ამილახორის, ძემ გიორგი, | რ(ა)თ[ა] და[გ]ვიფარო საფარველით[ა] შენითა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ამინ. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტჟე (395+1312=1707 წ.), სეკდენბერსა (პუნქტუაცია ჩემია – თ. ჯ.) (თაყაიშვილი 1948: 385).

გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი და მისი წარწერები ექვთიმე თაყაიშვილმა, გიორგი ჩუბინაშვილმა და თეიმურაზ საყვარელიძემ შეისწავლეს. მკვლევრებმა ჯვარი, მისი მხატვრული ანალიზის საფუძველზე, XVI საუკუნის კახური ჭედური ხელოვნების ნიმუშების ჯგუფს მიაკუთვნეს, ჯვრის თანადროულ ქტიტორულ წარწერაში მოხსენიებული მეფე ალექსანდრე კახეთის მეფე ალექსანდრე II-სთან გააიგივეს და საბოლოოდ, ჯვარი, მისი ქუდისა და ფეხის გამოკლებით,

ალექსანდრე II-ის მმართველობის დროით – 1574-1605 წლებით დაათარიღეს. რაც შეეხება ჯვრის ქუდსა და ჯვარს, ექვთიმე თაყაიშვილმა, გიორგი ჩუბინაშვილმა და თეიმურაზ საყვარელიძემ გაარკვიეს, რომ ქუდი, რომელიც თავდაპირველად რაიმე სხვა ჭედური ნიმუშის ნაწილი უნდა ყოფილიყო, ჯვართან შედარებით, ორ-სამი საუკუნით უფრო ადრეულ პერიოდშია შექმნილი, ხოლო ფეხი, მასზე შესრულებული თარიღიანი ქტიტორული წარწერის მიხედვით, 1707 წელს, ქართლელი ფეოდალის გივი იოთამის ძე ამილახვრის ვაჟის – გიორგის დაკვეთით არის დამზადებული (თაყაიშვილი 1948: 385); (ჩუბინაშვილი 1959: 368, 372, 470, 474, 526, 633); (საყვარელიძე 1987: 131-138). შდრ.: (უვაროვა 1894: დამატება, 162-163); (ჯავახიშვილი 1982: 393-394); (თუთბერიძე 1976: 62-64).

გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის დათარიღების საკითხს სულ ბოლოს ნინო ხარშილაძე შეეხო. თავდაპირველად მკვლევარმა მართებულად მიიჩნია ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილისა და თეიმურაზ საყვარელიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ჯვრის წარწერაში კახეთის მეფე ალექსანდრე II-ეს მოხსენიებული და ამ მოსაზრების შესამაგრებლად ორი ახალი არგუმენტი მოიტანა: 1. წარწერაში ჯვრის მომჭედი მეფე ალექსანდრე წმ. გიორგის ავადმყოფობისაგან განკურნებას ევედრება, რუსეთ-კახეთის დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველ დოკუმენტებში კი არაერთგზის არის ნათქვამი, რომ ალექსანდრე II-ეს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა; და 2. წარწერაში გვხვდება „დეტალები" ანუ კონკრეტული ტექნიკური და სტრუქტურული თავისებურებები, რომლებიც ალექსანდრე II-ს სახელთან დაკავშირებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს ახასიათებს.[13] საკითხის შესწავლის მომდევნო ეტაპზე, ნინო ხარშილაძემ სცადა, შეძლებისდაგვარად დაეზუსტებინა ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილისა და თეიმურაზ საყვარელიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ჯვარი ალექსანდრე II-ის მმართველობის პერიოდით ანუ 1574-1605 წლებით თარიღდება. ამ მიმართულებით მუშაობისას მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ალექსანდრე II მისი დაკვეთით მოჭედილი ყველა ხატის წარწერაში მეუღლესთან – დედოფალ თინათინ ამილახვართან ერთად არის დასახელებული, გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის წარწერაში ალექსანდრე II მეუღლის გარეშეა მოხსნიებული და ჯვრის მოჭედვის ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა თინათინის გარდაცვალების დროით ანუ 1594 წლით განსაზღვრა. ამის შემდეგ მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ალექსანდრე II-ეს ჯვარი 1601 წლამდე ანუ მის მიერ სამეფო გვირგვინზე უარის თქმამდე უნდა მოეჭედა, ჯვრის დამზადების ზედა ქრონოლოგიური მიჯნა 1601 წლით განსაზღვრა და საბოლოოდ, ჯვარი 1574-1601 წლებით დაათარიღა (ხარშილაძე 2014: 131-132).

ნინო ხარშილაძის მიერ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის დათარიღების შესახებ გამოთქმული მოსაზრების პირველი ნაწილი სწორია და ჯვრის მოჭედვის ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა ნამდვილად 1594 წლით უნდა განისაზღვროს. საპირისპირო სურათი გვაქვს მკვლევრის მოსაზრების მეორე ნაწილთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ჯვრის მოჭედვის ზედა ქრონოლოგიური მიჯნა 1601 წელზე უნდა დაიდოს. სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ 1601 წელს სამეფო ტახტიდან გადამდგარი თუ გადაყენებული ალექსანდრე II მომდევნო, 1602 წელს ისევ ტახტზე დაბრუნდა და სიკვდილამდე ანუ 1605 წლამდე კახეთის სამეფოს ერთპიროვნულ მმართველად დარჩა (ბახტაძე 2007: 214-217). აღნიშნულის გათვალისწინებით, სრულებით ცხადია, რომ ალექსანდრე II-ს ჯვრის მოჭედვა თანაბარი წარმატებით შეეძლო როგორც 1601 წლის წინარე ხანებში, ისე 1601 წლიდან 1605 წლამდე პერიოდში. შესაბამისად, სავსებით ნათელია ისიც, რომ ჯვრის მოჭედვის ზედა ქრონოლოგიური მიჯნა არა ნინო ხარშილაძის მიერ შემოთავაზებული 1601 წლით, არამედ ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილისა და თეიმურაზ საყვარელიძის მიერ განსაზღვრული 1605 წლით უნდა განისაზღვროს.

მაშასადამე, წინამორბედ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების კრიტიკული ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ირკვევა, რომ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის დაკვეთით 1594-1605 წლებში იყო მოჭედილი.

გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის ქტიტორის ვინაობისა და მოჭედვის დროის გარკვევის შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჯვრის წარწერის ის ფრაგმენტი, რომელშიც ნათქვამია,

რომ მეფე ალექსანდრე II-ემ ჯვარი მისი მოჭედვისთანავე „გორიჯვრის“ სავანეს შესწირა და წმ. გიორგის სახელობის „ტაძარში“ დააბრძანა: „ჩვენ... მეფეთმეფემან... ალექსანდრე... თანაშეწევნითა შენ... წმიდისა, დიდისა მოწამისა გიორგისათა და მოვაჭედინეთ ხატი მსგავსებისა თქვენისა... და დაგისვენეთ გორისჯვარს, ტაძარსა შინა შენსა...“.

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის წარწერის ციტირებული ფრაგმენტის თაობაზე ერთადერთი მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევრები ფიქრობენ, რომ წარწერაში ქართლის პროვინციაში, ციხე-ქალაქ გორის სანახებში მდებარე, გორიჯვრის ძველი, 1920 წლის მიწისძვრის დროს დანგრეული ეკლესიაა მოხსენიებული და მეფე ალექსანდრე II-მაც მისი დაკვეთით მოჭედილი ჯვარი სწორედ ამ ტაძარს შესწირა (თაყაიშვილი 1948: 383-386); (ჩუბინაშვილი 1959: 526, 633); (საყვარელიძე 1987: 131-138); (ხარშილაძე 2014: 128-132).

თავად აღნიშნული მოსაზრება სამ ძირითად არგუმენტზეა დამყარებული:

1. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, „რევოლუციამდე“ ანუ 1917 წლამდე გორიჯვრის საწინამძღვრო ჯვარი გორის გორიჯვრის ეკლესიაში იყო დაბრძანებული. „რევოლუციის“ დროს გორელმა თავადმა გიორგი ამილახვარმა ჯვარი ტაძრიდან წაიღო და პირად საკუთრებად გამოაცხადა. აქედან მოყოლებული, რამდენიმე წლის განმავლობაში, ჯვარი გიორგი ამილახვრის სასახლეში ინახებოდა. 1920 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ჯვარი გიორგი ამილახვრისაგან შეიძინა და თავის მუზეუმში გადაიტანა:

> უწინ ამ ეკლესიაში ინახებოდა კანკლის წინ დასადგმელი ჯვარი, რომელიც რევოლუციის დროს გორელ მემამულეს, გიორგი ამილახვარს, გადაეტანა თავის სასახლეში და მიესაკუთრებინა. ამ უკანასკნელისაგან იქნა შეძენილი ჯვარი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის 1920 წელს (თაყაიშვილი 1948: 383).

ექვთიმე თაყაიშვილის ამ ცნობიდან ავტომატურად გამომდნარეობს დასკვნა, რომ 1917 წლისათვის ჯვარი ნამდვილად გორის გორისჯვრის ეკლესიაში ინახებოდა.

2. გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის ფეხზე შესრულებული, ზემოთ მოტანილი ქედური წარწერა მოგვითხრობს, რომ 1707 წელს ჯვრის ფეხი ქართლელი ფეოდალის გივი იოთამის ძე ამილახვრის ვაჟმა – გიორგიმ მოაჭედინა. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, გორის გორიჯვრის ეკლესია, თავის მამულებიანად, ამილახვართა ფეოდალური სახლის საკუთრებას წარმოდგენდა. შესაბამისად, ის გარემოება, რომ 1707 წელს ჯვრის ფეხი სწორედ ამ საგვარეულოს წარმომადგენელმა მოაჭედინა, ლოგიკურად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ 1707 წლისათვის ჯვარი უკვე გორის გორიჯვარში ინახებოდა და მის შემკობაზეც ამ ტაძრის პატრონები ზრუნავდნენ.

3. წერილობითი წყაროებიდან კარგად არის ცნობილი, რომ მეფე ალექსანდრე II-ის მეუღლე – დედოფალი თინათინი ქართლელი ფეოდალის ბარძიმ ამილახვრის ასული იყო. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ მეფე ალექსანდრე II-ემ მისი დაკვეთით მოჭედილი ჯვარი საგანგებოდ შესწირა გორის გორიჯვრის ეკლესიას, რომელიც მისი მეუღლის ოჯახის – ამილახვართა ფეოდალური სახლის საკუთრება იყო.

ვიდრე აქ მოტანილი არგუმენტების კრიტიკული ანალიზის შედეგებს წარმოვადგენდე, აღვნიშნავ, რომ პირველ არგუმენტთან დაკავშირებული ერთი დეტალი გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. მხედველობაში მაქვს ექვთიმე თაყაიშვილის ცნობა, რომ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი თავდაპირველად გორის გორიჯვრის ეკლესიაში იყო დაცული და ის ტაძრიდან გიორგი ამილახვარმა „რევოლუციის დროს“ ანუ 1917 წელს გაიტანა.

მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძის მიერ 1849 და 1875 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან – “Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l’Arménie, Exécute en 1847-1848” და “Кавказ в древних памятниках христианства” ნათლად ჩანს, რომ 1840-1870-იან წლებში გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი გორის გორიჯვრის ეკლესიაში აღარ ინახებოდა (ბროსე 1849: 26-28; ბაქრაძე 1875: 53-54),[14] ხოლო პრასკოვია უვაროვას მიერ 1894 წლებში დაბეჭდილი ნაშრომიდან “Христианские Памятники”, დამატებით, ვიგებთ იმასაც, რომ 1894 წლისათვის ჯვარი სოფელ ოთარშენში, კოტე ამილახვრის რეზიდენციაში იყო დასვენებული (უვაროვა 1894: დამატება, 162).

თუ ექვთიმე თაყაიშვილის ზემოთ მოტანილი ცნობა სწორია და გიორგი ამილახვარმა გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი გორის გორიჯვრის ეკლესიიდან მართლაც „რევოლუციის" დროს გაიტანა, მაშინ გამოდის, რომ ამილახვრების მიერ ტაძრიდან ერთხელ უკვე წაღებული და სოფელ ოთარშენში, კოტე ამილახვრის რეზიდენციაში დასვენებული ჯვარი 1894 წლის შემდგომ ახლოხანებში უკან, გორის გორიჯვარში დააბრუნეს და გიორგი ამილახვარმაც ჯვარი 1917 წელს უკვე მეორედ გაიტანა ეკლესიიდან.

დავუბრუნდეთ ზემოთ მოტანილ სამ არგუმენტს, რომელზე დაყრდნობითაც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ მეფე ალექსანდრე II-მ მისი დაკვეთით მოჭედილი ჯვარი გორის გორიჯვრის ეკლესიას შესწირა. აღნიშნული არგუმენტების კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ მათზე დაყრდნობით, კატეგორიული სახით მხოლოდ იმ მოსაზრების გამოთქმა შეგვიძლია, რომ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის სოფელ ოთარშენში გადატანამდე და კოტე ამილახვრის რეზიდენციაში დასვენებამდე ანუ XIX საუკუნის შუახანებამდე ჯვარი ნამდვილად გორის გორიჯვრის ეკლესიაში ინახებოდა. გარდა ამისა, მოხმობილი არგუმენტების კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ ამ არგუმენტების გათვალისწინებით, შეგვიძლია, გამოვთქვათ ის მოსაზრებაც, რომ გიორგი ამილახვრის მიერ ჯვრის ფეხის მოჭედვის დროს ანუ 1707 წელს ჯვარი უკვე გორის გორიჯვრის ტაძარში იყო დაცული. რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ მეფე ალექსანდრე II-ემ მისი დაკვეთით მოჭედილი ჯვარი გორის გორიჯვრის ეკლესიას შესწირა და შესაბამისად, ჯვარი 1594-1605 წლებიდან მოყოლებული ამ ტაძარში ინახებოდა, ამგვარი მოსაზრების გამოთქმის უფლებას ზემოთ მოტანილი არგუმენტები არ იძლევა და ჯვრის ისტორიის მაინცადამაინც ასეთი სახით რეკონსტრუირებისათვის დამატებითი არგუმენტების მოხმობაა საჭირო.

მაშასადამე, წინამორბედ მკვლევართა მიერ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის ისტორიის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ირკვევა, რომ ჯვრის ისტორიის პირველი პერიოდის შესახებ, რეალურად, არაფერია ცნობილი და შესაბამისად, ის საკითხი, თუ რა თავგადასავალი გადახდა ჯვარს, დაახლოებით, 1594/1605-1707 წლების მომცველ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, ჯერჯერობით, ღიად რჩება.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის 1594/1605-1707 წლების ისტორიის შესახებ არაფერი ვიცით, ლოგიკურად დაისმის კითხვა: რომელი სავანე იგულისხმება ჯვრის ქტიტორულ წარწერაში დასახელებულ გორიჯვარში – ახშნის გორიჯვრის მონასტერი თუ გორის გორიჯვრის ეკლესია და რომელ გორიჯვარს შესწირა მეფე ალექსანდრე II მისი დაკვეთით მოჭედილი ჯვარი – კახეთის გორიჯვარს თუ ქართლის გორიჯვარს?

სამწუხაროდ, ჩემს ხელთ არსებული მასალა არ მაძლევს საშუალებას, საბოლოო, მყარად დასაბუთებული პასუხი გავცე დასმულ კითხვას. თუმცა კი, საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე, უფრო იმ ვარაუდისაკენ ვიხრები, რომ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის ქტიტორულ წარწერაში დასახელებულ გორიჯვარში ახშნის გორიჯვრის მონასტერი იგულისხმება და მეფე ალექსანდრე II-მაც მისი დაკვეთით მოჭედილი ჯვარი სწორედ ამ მონასტერს შესწირა.

აღნიშნული ვარაუდის გამოთქმისას, ძირითადად, ორ გარემოებას ვემყარები:

1. ახშნის გორიჯვრის მონასტერი უშუალოდ მეფე ალექსანდრე II-ის საგამგებლო ქვეყნის – კახეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობდა და მასზე საკუთრივ ალექსანდრე II-ის იურისდიქცია ვრცელდებოდა, გორის გორიჯვრის ეკლესია კი მეზობელი სახელმწიფოს – ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და სხვა სუზერენის, სავარაუდოდ, ამილახვართა საგვარეულოს კუთვნილებას წარმოადგენდა.

2. ალექსანდრე II-ის მმართველობის დროს ახშნის გორიჯვრის მონასტერში ჩატარდა მასშტაბური სააღმშენებლო სამუშაოები, რომლებიც XVI საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XVII საუკუნის დასაწყისის კახეთში წარმოებული მრავალრიცხოვანი საეკლესიო აღმშენებლობების მსგავსად, უშუალოდ სამეფო კარის ინიციატივითა თუ მონაწილეობით უნდა ყოფილიყო განხორციელებული, გორის გორიჯვრის ეკლესიის ისტორიაში კი, ჯერჯერობით, საერთოდ არ დასტურდება ისეთი ფაქტი, რომელიც ამ ტაძარსა და ალექსანდრე II-ეს შორის არსებული რაიმე სახის ურთიერთობების შესახებ

მეტნაკლებად დასაბუთებული მოსაზრების გამოთქმის უფლებას მოგვცემს.

ჩემი დაკვირვებით, ამ ორი გარემოების გათვალისწინებით, უფრო ლოგიკური იქნება, ვიფიქროთ, რომ მეფე ალექსანდრე II-ემ მისი დაკვეთით მოჭედილი გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი არა გორის გორიჯვრის ეკლესიას, არამედ თავისი საგამგებლო ქვეყნის – კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე და მისი მმართველობის დროს, სავარაუდოდ, მისივე ინიციატივითა თუ მონაწილეობით განახლებულ ახშნის გორიჯვრის უძველეს მონასტერს შესწირა.

თუ ჩემი ვარაუდი სწორია და მეფე ალექსანდრე II-ემ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი ნამდვილად ახშნის გორიჯვრის მონასტერს შესწირა, მაშინ უნდა გავარკვიოთ, თუ როდის და რატომ აღმოჩნდა 1594-1605 წლებში კახეთის სამეფოს ერთ-ერთ მონასტერში დაბრძანებული ჯვარი 1707 წლებისათვის ქართლის სამეფოს ერთ-ერთ ეკლესიაში.

აღნიშნული საკითხის გარკვევა მაინცადამაინც რთული ამოცანა არ უნდა იყოს. სავარაუდებელია, რომ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი ახშნის გორიჯვრის მონასტრიდან ირანის შაჰის აბას I-ის (1587-1629 წწ.) მიერ 1614-1617 წლებში კახეთის სამეფოს წინააღმდეგ მოწყობილი გამანადგურებელი ლაშქრობების დროს გაიტანეს ან გაიტაცეს, რის შემდეგაც ჯვარი ქართლის სამეფოში აღმოჩნდა.

ის ფაქტი, რომ შაჰ აბას I-ის ლაშქრობების დროს კახეთის სამეფოდან გატანილი თუ გატაცებული სიძველეების ერთი ნაწილი გარკვეული პერიოდის შემდეგ მეზობელ ქართლის სამეფოში აღმოჩნდა, რაიმე ეჭვს არ იწვევს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტან ერთ კონკრეტულ მაგალითს.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი წიგნების A ფონდში 49-ე და 507-ე ნომრებით დაცულია ორ ნაწილად გაყოფილი გულანი (A-49/A-507), რომელსაც მისი გადამწერების ხელით შესრულებული ცხრა ანდერძ-მინაწერი აქვს დართული:

1. „ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ც(ო)დვილი ს(უ)ლითა ზებედე, ა[მი]ნ და კ(ირიელეი)ს(ო)ნ“ (ხელნაწერი A-49: 14r).
2. „ქ(რისტ)ე, ღ(მერთ)ო, შეიწყ(ა)ლე ს(უ)ლით და ჴ(ო)რცით ყ(ოვლ)ისა აფ|ხაზეთისა კ(ათალიკო)ზი ევდემონ ჩხეტისძე, ა(მი)ნ“ (ხელნაწერი A-507: 35v).
3. „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლით და ჴ(ო)რცით აფხ(ა)ზეთისა კ(ათალიკო)ზი ევდემონ ჩხეტისძე, ა(მი)ნ“ (ხელნაწერი A-507: 57v).
4. „ქ(რისტ)ე, ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლითა და ჴ(ო)რცითა ყ(ოვლ)ისა აფხაზეთისა | კ(ათალიკო)ზ-პატრიაქი ევდემონ ჩხეტისძე, ამინ“ (ხელნაწერი A-507: 77r).
5. „და მ(ა)დ[ლო] ამ(ა)თ ყ(ოველ)თა | წ(მიდა)თაო, ადიდენ აქა და ს(აუ)კ(უ)ნესა ყ(ოვლ)ისა აფხ(ა)ზეთისა კ(ათალიკო)ზ-პ(ა)ტრიაქი, პ|ატრონი ევდემონ ჩხეტი<ა>ძე, ა(მი)ნ და მე, გლ(ა)ხ(ა)კსა და საწყალობელ|სა, მისი მ(ა)დლი შემაწიე, თუ ღირს ვიყო და შემიწყ(ა)ლე მე, ი(ოან)ე, ც(ო)დვ|ილი ს(უ)ლითა, ღ(მერთ)ო, ა(მი)ნ“ (ხელნაწერი A-507: 84v).
6. „ქ(რისტ)ე, ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლით და ჴ(ო)რცით ყ(ოვლ)ისა აფხაზეთისა კ(ათალიკო)ზ-პატ|რიაქი ევდემონ ჩხეტისძე, ა(მი)ნ“ (ხელნაწერი A-507: 92r).
7. „ღ(მერთ)ო და ამათ ყ(ოველ)თ წ(მიდა)თ მადლო, შ(ემიწყალ)ე და ნუ წარმწყმედ ამა წიგნ|ისა მჩხრეკელსა, ფ(რია)დ ც(ო)დვილსა ი(ოან)ეს, ქობინაშვილსა, ამინ“ (ხელნაწერი A-507: 106r).
8. „ქ(რისტ)ე, ღ(მერთ)ო, შეიწყ(ა)ლე ს(უ)ლითა და ჴ(ო)რცითა ყ(ოვლ)ისა აფხაზეთისა კ(ათალიკო)ზ-პ(ა)ტრიაქი ევდემონ ჩხეტი|სძე, ა(მი)ნ“ (ხელნაწერი A-507: 121v).
9. „დ(ი)დ(ე)ბ(ა)ჲ ღ(მერთს)ა, გათავდა ივლისისა თუჱ სრულიად. | ადიდენ, ღ(მერ)თო და ადღეგრძელე ყ(ოვლ)ისა აფხ(ა)ზეთი|სა კ(ათალიკო)ზ-პატრიაქი, პატრონი ევდემონ, ამინ“ (ხელნაწერი A-507: 144v).

ციტირებული ანდერძ-მინაწერებიდან ირკვევა, რომ გულანი XVI საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ცნობილი კალიგრაფების – ზებედესა და იოანე ქობინაშვილის მიერ, სახელოვანი ბიბლიოფილის – აფხაზეთის კათოლიკოს ევდემონ I ჩხეტისძის (1557-1578 წწ.) დაკვეთით იყო გადაწერილი. ციტირებულ ანდერძ-მინაწერებში გულანის გადაწერის დრო და ადგილი მითითებული არ არის, თუმცა ხელნაწერის მომგებლის კათოლიკოსობის ქრონოლოგიისა და მისი გადამწერების მოღვაწეობის გეოგრაფიის გათვალისწინებით, ირკვევა, რომ ხელნაწერი 1557-1578 წლებში, დასავლეთ საქართველოში იყო გადანუსხული.

გულანის ფურცლებზე შესრულებულია მოგვიანო ხანის არაერთი მინაწერი, რომელთა შორისაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელნაწერის I ნაწილის (A-49) 16r-სა და 77r-ზე ერთი და იმავე

ხელით დაწერილი ორი მინაწერი, რომელთაგან მეორე მინაწერის ბოლო ფრაგმენტი, ფურცლის ქვედა არშიის ჩამოჭრის გამო, დაკარგულია:

1. ს(ა)ხ(ე)ლითა ს(ა)ხ(იე)რისა, არსებ[ა]<ჲ>დაუბად(ე)ბ(ე)ლისა, ღ(მრთის)ა მ[ა]მისა, | ძისა და ს(უ)ლისა წ(მიდ)ისა, მ(ეო)ხ(ე)ბითა ყ(ოვლა)დწ(მიდ)ისა დ(ედო)ფლისა, ღ(მრთ)ის|მშობ(ე)ლისა და მ(ა)რ(ა)დის ქ(ალ)წ(უ)ლისა მ(ა)რ(ია)მისითა, მ(ეო)ხ(ე)ბითა პ(ა)ტ(იო)სნ[ი]სა და ცხ(ო)ვ(ე)ლსმყოფ(ე)ლისა ჯ(უარ)ის(ი)თა.
ამათითა შეწევნ[ითა] | და მ(ეო)ხ(ე)ბითა, მე, ავალიშვ[ი]ლმა, მრ(ო)ვ(ე)ლ ეფისკოპოზ[მან] | დომენტი, წიგნი ესე ს(უ)ლთა გ(ა)ნმ(ა)ნ(ა)თლ(ე)ბ(ე)ლი და დასაბ[ამი] | ქრისტიანობისა, დატყვე[ვე]ბული, ოდეს მ(ა)ს ჟ(ამს)ა შაჰაბ[აზ] | ყაენმა კახეთი ააოჴრა და წ[ა]რმოსტყ[უ]ცნა, ვი[პ]ო[ვნე] | ხუარასანს, ქ(ა)ლ(ა)ქსა, რ(ომე)ლ არს სიდრანი და ვიყიდე ჩ(ე)მ[ი]|თა ალ(ა)ლით<ჲ>[ა] საფასითა, მა[ში]ნ შაჰაბაზ ყაენთან ვ[ი]|ყავ და შემოგწირე შ(ე)ნ, სუჱტსა ცხ(ო)ვ(ე)ლსა, კუარ[თსა] | საუფლოსა და მირონსა წმიდასა, რ(აჲთ)ა მ(ეო)ხ მექმო[დეთ] | დღესა მ(ა)ს დიდსა გ(ა)ნკითხვის(ა)სა და [საჴ]სრ(ა)დ ს(უ)ლი[სა] | ჩ(ე) მისა და ძმისა ჩ(ე)მისა ავალ[ი]სა.
და ვინცა და [რ(ომე)ლ(მან)ცა] | მონათესავ(ე)მ(ა)ნ კ(ა)ცმ(ა)ნ ამოგწიროს ესე ჩ(უე)ნი ნა[სყიდ]|ევი და ესე ჩ(უე)ნი ს(ა)ვედრ(ე)ბ(ე)ლი, [გ(ა)მ(ო)ხ(უე)ბ(უ)ლ იქმნ(ე)ს ს(ა)ს(უ)ფ(ე)ვ]|ლის(ა)გ(ა)ნ მ(ა)რთ(ა)ლთ(ა)სა, მამხსენ(ე)ბ(ე)ლნი ღ(მერთმა)ნ აკ(ურთ)ხნეს (ხელნაწერი A-49: 16r).

2. „ნებითა ღ(მრთ)ისათა, მე, ავ(ა)ლისშჳლმ(ა)ნ დომენტი სპარსეთს, ქ(ა)ლ(ა)ქსა, რ(ომე)ლსა სიდრანი ეწოდების, იქ ვიყიდე ეს წიგნი [----------] | [...]“ (ხელნაწერი A-49: 77r).

როგორცვხედავთ,გულანისციტირებულიორიმინაწერიმეტადსაინტერესოამბავსმოგვითხრობს. მინაწერებიდან ირკვევა, რომ 1557-1578 წლებში დასავლეთ საქართველოში გადაწერილი გულანი XVII საუკუნის დასაწყისისათვის უკვე კახეთის სამეფოში იყო გადატანილი და ჯერჯერობით, დაუდგენელ ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა. „შაჰაბაზ ყაენისაგან კახეთის აოჴრებისა და წარმოსტყუჱნის ჟამს“ ანუ ირანის შაჰ აბას I-ის (1587-1629 წწ.) მიერ კახეთის სამეფოს წინააღმდეგ მოწყობილი 1614-1617 წლების გამანადგურებელი ლაშქრობების დროს, გულანი „დაატყვევეს“ ანუ მისი დაცულობის ადგილიდან გაიტაცეს და ირანში წაიღეს. ამ ამბიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, დაახლოებით, 1614/1617-1629 წლებში, ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე – მროველი ეპისკოპოსი დომენტი ავალიშვილი ირანში, აბას I-ის კარზე, დიპლომატიური მისიით გაემგზავრა.[15] დომენტი ავალიშვილი აღნიშნულ ელჩობაში ყოფნის დროს ირანის სახელმწიფოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ხორასნის პროვინციაში მოხვდა და აქ, ქალაქ სიდრანში, კახეთიდან გატაცებულ გულანს წააწყდა. მროველმა ეპისკოპოსმა ხელნაწერი „ტყვეობიდან“ გამოიხსნა, უფრო ზუსტად კი, საკუთარი საფასით გამოისყიდა და საქართველოში ჩამოიტანა, ოღონდ მან გულანი მის ძველ მფლობელს – კახეთის რომელიღაც ეკლესიასა თუ მონასტერს კი არ დაუბრუნა, არამედ სულ სხვა საეკლესიო სენიორიას – ქართლის სამეფოში შემავალ მცხეთის სვეტიცხოვლის საკათოლიკოსო საყდარს შესწირა და ამით, ხელნაწერს ახალი მფლობელი გაუჩინა (შდრ.: ჯოჯუა 2016/2017: 713).

მაშასადამე, 1557-1578 წლების გულანის თავგადასავალზე დაკვირვება აჩვენებს, რომ შაჰ აბას I-ის ლაშქრობების დროს კახეთის სამეფოს ეკლესია-მონასტრებიდან გატაცებული სიძველეების ქართლის სამეფოში მოხვედრა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. შესაბამისად, სულაც არ არის საფუძველს მოკლებული, ვიფიქროთ, რომ მეფე ალექსანდრე II-ის დაკვეთით მოჭედილი გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი თავდაპირველად კახეთის გორიჯვრის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა და ის ქართლის გორიჯვრის ეკლესიაში მხოლოდ მოგვიანებით, აბას I-ის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ აღმოჩნდა.

ამით გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვართან დაკავშირებული საკითხების შესწავლას ვამთავრებ და დასკვნის სახით, წარმოვადგენ ჯვრის ისტორიის ჩემეულ რეკონსტრუქციას, რომლის ცალკეული ეპიზოდებიც შემდგომ კვლევასა და დაზუსტებას საჭიროებს: 1594-1605 წლებში კახეთის მეფე ალექსანდრე II-ემ ჯვარი ვინმე უცნობ ოქრომჭედელს მოაჭედინა და ის აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სავანის, VI საუკუნის II ნახევარში დაარსებული ახშნის გორიჯვრის მონასტრის ზეციურ პატრონს – გორიჯვრის წმ. გიორგის შესწირა. მეფემ ჯვრის ქვედა მკლავის ქვედა კიდესთან ქტიტორული წარწერა შეასრულებინა და მის ტექსტში გორიჯვრის წმ. გიორგის მტანჯველი

სენისაგან განკურნება შესთხოვა. ალექსანდრე II-ემ ახლადმოჭედილი ჯვარი მისი მმართველობის პერიოდში განახლებულ ახშნის გორიჯვრის მონასტერში წარგზავნა და სავანის მთავარ ეკლესიაში – წმ. გიორგის სამნავიან ბაზილიკაში დააბრძანა. 1594-1605 წლებიდან მოყოლებული, დაახლოებით, ორი ათეული წლის განმავლობაში, ჯვარი ახშნის გორიჯვრის მონასტერში იყო დასვენებული. 1614-1617 წლებში, ირანის შაჰის აბას I-ის მიერ კახეთის სამეფოს წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო ექსპედიციების დროს, ჯვარი ახშნის გორიჯვრის მონასტრიდან გაიტანეს თუ გაიტაცეს. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ჯვარი უკვე ქართლის სამეფოში ინახებოდა, გორის გორიჯვრის ძველ ეკლესიაში იყო დაბრძანებული და ამ ტაძართან ერთად, ამილახვართა ფეოდალური სახლის საკუთრებას წარმოადგენდა. იმავე XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ჯვარს დადგმული უნდა ჰქონოდა სხვა, უფრო ადრეული ჭედური ნიმუშიდან მოხსნილი ქუდი, რომელშიც ამილახვართა საგვარეულოს კუთვნილი უდიდესი სიწმიდე – წმ. გიორგის თავის ქალა თუ თავის ქალის ფრაგმენტი იყო ჩასვენებული. 1707 წელს გიორგი გივის ძე ამილახვარმა ჯვრის ფეხი მოაჭედინა და ამ ამბის მაუწყებელი ქტიტორული წარწერა იმავე ფეხზე შეასრულებინა. არაუგვიანეს 1848 წლისა ამილახვრებმა ჯვარი, დაუდგენელი მიზეზის გამო, გორის გორიჯვრის ეკლესიიდან გაიტანეს. 1894 წლისათვის ჯვარი სოფელ ოთარშენში, კოტე ამილახვრის რეზიდენციაში ინახებოდა. 1894 წლის შემდგომ ახლოხანებში ამილახვრებმა ჯვარი გორის გორიჯვრის ტაძარში დააბრუნეს. 1917 წელს გიორგი ამილახვარმა ჯვარი გორის გორიჯვრის ეკლესიიდან გაიტანა და თავის საკუთრებად გამოაცხადა. 1920 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ჯვარი გიორგი ამილახვრისაგან შეიძინა და ის საზოგადოების მუზეუმში დაასვენა.

შენიშვნები

[1] ვსარგებლობ შემთხვევით და გულითად მადლობას მოვახსენებ არქიტექტორ-რესტავრატორ ირინა დუდაურს, რომელმაც არამხოლოდ შემომთავაზა ახლადმიკვლეული წარწერის წაკითხვა, შესწავლა და გამოცემა, არამედ დიდი დახმარება გამიწია მასზე მუშაობის პროცესში. გარდა ამისა, მადლობას მოვახსენებ არქიტექტორ-რესტავრატორ ნინო ბაკურაძეს, რომელმაც საშუალება მომცა, გავცნობოდი მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. დასასრულს, მადლობას მოვახსენებ: ჩემს სტუდენტებს – მარიამ ბიკაშვილს, თამუნა ფერაძეს, ცოტნე ფუტკარაძესა და სოფიო ჯავახიშვილს – 2022 წლის 16 ივლისს, ახშნის გორიჯვრის არქიტექტურულ კომპლექსში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის დროს, ახლადმიკვლეული წარწერის პალეოგრაფიული პირის გადმოღებისა და ფოტოფიქსაციის საქმეში გაწეული დახმარებისათვის, აგრეთვე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდების დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტის დიგიტალიზიციის განყოფილების მთავარ სპეციალისტ დიმიტრი გურგენიძეს – იმავე წარწერის პალეოგრაფიული პირის გამოსაცემად მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის და ჩემს მეგობარს, ისტორიკოს ლადო მირიანაშვილს – წინამდებარე სტატიის რეზიუმეს ინგლისური თარგმანის შესრულებისათვის.

[2] გრიგოლ სამთავნელის სააღაპე წიგნის უკანასკნელ, 2014 წლის აკადემიურ გამოცემაში საბუთის თარიღად 1470 წელია მითითებული, რაც ტექნიკურ უზუსტობასა თუ კორექტურას წარმოადგენს (სურგულაძე 2014: 110).

[3] ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის არსებობისა და დადიანების მიერ სალიპარტიანოს ტერიტორიის დასაკუთრების თაობაზე თამაზ ბერაძისაგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა შალვა ჯღარკავამ. მკვლევრის აზრით, ლიპარტიანთა საგვარეულოს არსებობის ფაქტი წერილობითი წყაროებით დადასტურებული არ არის, ხოლო დადიანები სალიპარტიანოს ტერიტორიას ჯერ კიდევ XV საუკუნის დასაწყისში დაეუფლნენ (ჯღარკავა 1965: 276-277); (ჯღარკავა 1970: 75-78).

[4] თოფურიძეთა სასისხლო სიგელის 1484-1488 წლებით დათარიღების შესახებ იხ.: (ჯოჯუა 2002: 119-120); (არახამია 2017: 120-122); შდრ.: (სურგულაძე 2014: 261-262).

[5] თოფურიძეთა სასისხლო სიგელის ტექსტის 2014 წლის აკადემიურ გამოცემაში შამადავლას გვარი ლიპარტიანის ფორმით არის მოტანილი (სურგულაძე 2014: 263), თუმცა დოკუმენტის დედნის ფოტოზე დაკვირვება აჩვენებს, რომ შამადავლას გვარი დედნის ტექსტში არა ლიპარტიანის, არამედ ლიპარიტიანის ფორმით იკითხება (სურგულაძე 2014: 550). ეს უზუსტობა წინამდებარე ნაშრომში გავასწორე და შამადავლას გვარი ზემოთ მოხმობილ ციტატში, დოკუმენტის დედნის ჩვენების შესაბამისად, ლიპარიტიანის ფორმით მოვიტანე.

[6] თამაზ ბერაძის მიერ 1964 წელს გამოთქმული ეს მოსაზრება 1965 წელს, პრაქტიკულად, უცვლელი სახით გაიმეორა შალვა ჯღარკავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მას ამ აზრამდე მისვლაში კონსტანტინე გრიგოლია

დაეხმარა (ჯღარკავა 1965: 276-277); შდრ.: (ჯღარკავა 1970: 77, 80).

[7] ციხის II გულანი ამჟამად ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში ინახება. ხელნაწერის ტექნიკური პარამეტრების, შედგენილობის, დათარიღებისა და ისტორიის შესახებ იხ.: (არახამია 2009ბ).

[8] სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე გრიგოლია, რომელიც დედოფალ თამარის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებს ალავერდის ოთხთავის ზემოთ ციტირებული გვიანდელი მინაწერის განხილვისას შეეხო, მინაწერში მოხსენიებულ თამარის მამას – გიორგი ლიპარტიანს ლევან II დადიანის ბიძასთან – გიორგი მამიას ძე ლიპარტიანთან პირდაპირ არ აიგივებს. მიუხედავად ამისა, მკვლევრის მსჯელობიდან სწორედ ამგვარი აზრი გამომდინარეობს. მართლაც, კონსტანტინე გრიგოლია აღნიშნავს, რომ ლევან II დადიანსა და მინაწერში თამარის მამად დასახელებულ გიორგი ლიპარტიანს საერთო „საფლავი“ ანუ საგვარეულო საძვალე ჰქონდათ. აქედან, ლოგიკურად გამომდინარეობს აზრი, რომ მკვლევარი ლევან II-სა და გიორგი ლიპარტიანს ერთი ოჯახის წევრებად განიხილავდა. ხოლო თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კონსტანტინე გრიგოლიას აზრით, ლევან II და დედოფალი თამარი თანამედროვეები იყვნენ, მაშინ ლოგიკურად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მკვლევარი თამარს ლევან II-ის ბიძის – გიორგი მამიას ძე ლიპარტიანის ასულად მიიჩნევდა. სხვათა შორის, კონსტანტინე გრიგოლიას მოსაზრება ზუსტად ასე გაიგო შალვა ჯღარკავამ, რომელმაც სალიპარტიანოსადმი მიძღვნილ ნაშრომში, კონსტანტინე გრიგოლიას კვალდაკვალ, გამოთქვა მოსაზრება, რომ დედოფალი თამარი გიორგი მამიას ძე ლიპარტიანის ასული იყო (ჯღარკავა 1965: 280-281); (ჯღარკავა 1970: 81).

[9] დედოფალ თამარის დაბადების დროის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრე. რაც შეეხება თამარის გარდაცვალების დროს, ამის შესახებ იხ.: (სურგულაძე 2019: 354).

[10] 2021 წელს გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, სამრეკლოს ქვედა სართულზე გეგმაში ტოლმკლავა ჯვრის მოყვანილობის, ცილინდრული კამარით გადახურული საკმაოდ დიდი ზომის აკლდამა და მასში ჩასასვლელი თაღოვანი დრომოსი აღმოჩნდა (ბაკურაძე 2021); (ლაღიაშვილი 2021). აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, სამრეკლოს ქვემოთ სამრეკლო-საძვალის სახელითაც მოვიხსენიებ. თავად ტერმინი სამრეკლო-საძვალე, უფრო ზუსტად კი, „სამრეკელ-სამარხო“ დოკუმენტურად არის დადასტურებული ქობაირის მონასტრის ორსართულიანი სამრეკლოს წარწერაში, რომელიც 1279 წლით თარიღდება:

ქ(ორონი)კ(ო)ნსა | ჯჲთ (499+780=1279 წ.). | [მოწყალები]თა და კ(ა)ცთმ<ოყვარები>თა შ(ე)ნ ღ(მრთ)[ის]ა და მ(ა)ცხო|<ვრი>სა ჩ(უე)ნ(ი)სა უ(ფლ)ისა იესოის ქ[(რის)ტ(ესი)თ]ა და შ(ე)წ(ე)ვნითა ყ(ოვლა)დ | <წ(მიდ)ი>სა მშ(ო)ბლისა შ(ე)ნის(ა)ჲთა მე უღირ[სი] შ(ა)ჰნშა მ(ა)ნდ(ა)ტ(უ)რთ(უ)ხ(უ)ც(ე)ს|[სი]სა ძე მჭ(ა)რგრძ(ე)ლი და თ(ა)ნამ(ე)ცხ(ე)[დრე ჩ(ე)მი] ათ(ა)ბ(ა)ქისა და ამირ|<სპ(ა)ს(ა)ლ(ა)რ>ისა [სადუნ(ი)სა ას(უ)ლი ვ(ანე)]ნ ღ[ირ]ს ვიქმნ(ე)ნით აღშ[ენებ(ა)დ] | ს(ა)მრ(ე)კ(ე)ლ-სამ(ა)რხ(ო)სა ამ(ი)ს ჩ(უე)ნ(ი)სა იწრ(ო)ბ(ა)სა შ(ინ)ა დ(ი)დსა ჭ(ა)მთ(ა)ს|ა, ს(ა)დ(ი)დ(ე)ბლ(ა)დ ს(ა)ხ(ე)ლ(ი)სა შ(ე)ნი[ს]ა წ(მიდი)სა და ს(ა)ჴსრ(ა)დ და ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლი|სა ჩ(უე)ნისა. შ(ეი)წ(ი)რე, მ(ა)ცხ(ოვა)რო და უ(ფალ)ო, ვ(ითა)რ გ(უა)ქ ს(ა)ს(ოე)ბ(ა)ჲ, და ორკ(ე)რძ(ო)თ(ა)ვე ს(ა)[ტ](ა)ნჯ|ვ(ე)ლთ(ა)გან გ(ა)ნგ(უა)რნ(ე)ნ და ნუ <ქვ>ათა უდ(ე)ბ(ი)სა მ(ო)ხ(ე)დვით, ა(რამედ) ს(ა)ს(ოე)ბი[ს(ა)თ]ა | <გ(უ)ლ(ი)ს>მ(ო)დგ(ი)<ნ(ე)ბით>ა (მურადიანი 1977: 177).

[11] ახშნის სამნავიანი ბაზილიკის გიორგი ჩუბინაშვილის დათარიღება სრულად გაიზიარა ნათელა ჯაბუამ, რომელმაც საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების არქიტექტურას საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა (ჯაბუა 2009: 94, 96, 98, 100, 102, 104, 106, 108, 110, 112, 114, 116, 118, 120, 219). განსხვავებულ სურათს ვხედავთ თამაზ დვალის სტატიაში, რომელშიც ახშნის სამნავიანი ბაზილიკა IX საუკუნის II ნახევრით არის დათარიღებული (დვალი 2008: 64). ტაძრის ამ, ახლებური დათარიღების თაობაზე თამაზ დვალთან ზეპირი კონსულტაციები გავიარე, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ. მკვლევარმა პირად საუბარში აღნიშნა, რომ ახშნის სამნავიანი ბაზილიკის გიორგი ჩუბინაშვილის დათარიღებას სრულად იზიარებს, სტატიაში კი კორექტურაა გაპარული და იქ ტაძრის თარიღად IX საუკუნის II ნახევარი შეცდომით არის მითითებული.

[12] წარწერის ჩემეულ წაკითხვაში უკლებლივ ყველა დაქარაგმებული სიტყვის გამოტოვებული გრაფემები, მიუხედავად იმისა, ამ სიტყვებთან ქარაგმის ნიშნები მითითებულია თუ არა, ჩვეულებრივი ფრჩხილების დახმარებით აღვადგინე.

[13] ამ ორი არგუმენტის გარდა, ნინო ხარშილაძემ ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილისა და თეიმურაზ საყვარელიძის მოსაზრების სასარგებლოდ სხვა არგუმენტებიც მოიხმო, თუმცა ისინი გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვრის წარწერაში მოხსენიებული მეფე ალექსანდრეს კახეთის მეფე ალექსანდრე II-სთან გაიგივებისათვის არ გამოდგება და ამიტომ მათ აქ აღარ მოვიტან.

[14] მართალია, მარი ბროსე და დიმიტრი ბაქრაძე პირდაპირ არ აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ გორიჯვრის საკურთხევლისწინა ჯვარი გორიჯვრის ეკლესიიდან გატანილი იყო, მაგრამ ის გარემოება, რომ მკვლევრებს თავიანთ ნაშრომებში გორიჯვრის ეკლესიის სიძველეების მიმოხილვისას ჩვენთვის საინტერესო ჯვარი საერთოდ არ აქვთ ნახსენები (ბროსე 1849: 26-28); (ბაქრაძე 1875: 53-54), ლოგიკურად მიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ მათი ნაშრომების გამოქვეყნების დროისათვის ჯვარი ტაძარში აღარ ინახებოდა.

[15] სამწუხაროდ, მროველი ეპისკოპოსის დომენტი ავალიშვილის დიპლომატიური მისიის შესახებ ჩვენამდე

მოღწეული წერილობითი წყაროები რაიმე ცნობებს არ გვაწვდის. ამ მიზეზის გამო, ჯერჯერობით, დაუდგენელია, თუ რა მიზეზებმა განაპირობა მისიის მოწყობა, ვინ იყო ირანში ელჩობის გაგზავნის ინიციატორი, რა მიზნებს ისახავდა მისია, როგორ წარიმართა დიპლომატიური ვიზიტი და საბოლოოდ, რა შედეგები მოჰყვა მას. დღეისათვის, გულანის ზემოთ ციტირებული მინაწერების დახმარებით, მხოლოდ იმის დადგენა ხერხდება, რომ დომენტი ავალიშვილის დიპლომატიურ მისიას, ერთი მხრივ, შაჰი აბას I-ის მიერ კახეთის სამეფოს აოხრების (1614-1617 წწ.) შემდგომ პერიოდში, ხოლო, მეორე მხრივ, აბას I-ის გარდაცვალების (1629 წ.) წინარე ხანებში, ანუ 1614/1617-1629 წლებში ჰქონდა ადგილი.

დამოწმებანი

ალასანია 1980: *ცხოვრება საქართველოდსა (პაჰიზის ქრონიკა)*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი, მეცნიერება.

ანთელავა 1990: ი. ანთელავა. *ლევან II დადიანი*, თბილისი, მერანი.

არახამია 2003: გ. არახამია. *ოდიშის საეჩისთავოს ისტორიიდან (XI საუკუნე - XVI საუკუნის I ნახევარი)*, თბილისი, მემატიანე.

არახამია 2009ა: გ. არახამია. ქართლის დედოფლის, თამარ ლიპარტიანის წარმომავლობისათვის, *გ. ახახამია, საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები*, თბილისი, [გამომცემლობა მითითებული არ არის].

არახამია 2009ბ: გ. არახამია. ცაიშის გულანი და მისი მინაწერები, *გ. ახახამია, საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები*, თბილისი, [გამომცემლობა მითითებული არ არის].

არახამია 2014: გ. არახამია. თამარი, *საქართველო, ენციკლოპედია*, 3, ენდრონიკა-თეზამი, თბილისი, საქართველოს მაცნე.

არახამია 2017: გ. არახამია. *სასისხლო სიგელთა შესწავლისათვის*, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა.

ბაკურაძე 2021: ნ. ბაკურაძე. *ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახშანი, გოხიჯვრის „წმ. გიორგის“ სახელობის კომპლექსი, სამხედრო-სამღოცველო, შუაღელური სამუშაოების ანგარიში*, [ხელნაწერის უფლებით].

ბარნაველი 1957: თ. ბარნაველი. *ატენის სიონის წარწერები*, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ბაქრაძე 1875: Дм. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, *Записки Общества любителей кавказской археологии*, Книга I, Тифлис, Типография Главного Управления Наместника Кавказскаго.

ბახტაძე 2007: მ. ბახტაძე. კახეთის მეფეები, *საქართველოს მეფეები*, თბილისი, ნეკერი.

ბერაძე 1964: თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, II, თბილისი, მეცნიერება.

ბროსე 1849: M. Brosset. *Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, Exécute en 1847-1848*, Avec un Atlas de 45 planches lithographiées, Sixième Rapport, Sankt-Petersbourg, Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences.

გაბიძაშვილი, ქავთარია 1980: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი VI, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბილისი, მეცნიერება.

გრიგოლია 1953: კ. გრიგოლია. ზებედე მღვდელმონაზონი და მისი ანდერძი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XVII-ბ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

დვალი 2008: თ. დვალი. გორისჯვრის ეკლესია, *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 2, ახმეტის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის რაიონები, თბილისი, ინდივიდუალური საწარმო „ალექსანდრე ღლონტი“.

თაყაიშვილი 1914: ე. თაყაიშვილი. *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი*, წიგნი მეორე, თფილისი, ელექტრომბეჭდავი ს. ლოსაბერიძისა.

თაყაიშვილი 1948: ე. თაყაიშვილი. გორისჯვრის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი, *სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, XXXIVა-ბ, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თაყაიშვილი 1891: ე. თაყაიშვილი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, *ივერია*, 8 ოქტომბერი, #213, ტფილისი, სტამბა მაქსიმე შარაძისა.

თუთბერიძე 1976: ვ. თუთბერიძე. გვიანფეოდალური ხანის ქართული ჭედურობის ერთი ძეგლის შესახებ, *ძეგლის მეგობარი*, კრებული ორმოცდამეერთე, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

ლაღიაშვილი 2021: გ. ლაღიაშვილი. *ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი ახშანთან გოხიჯვრის ნამონასტრალზე*

წახმოებული სახეაბიღიტაციო სამუშაოების არქეოგრაფიული მეთვალყურეობის ანგარიში, [ხელნაწერის უფლებით].

მეთვალყურე 1885: მეთვალყურე. სოფ. ახშანი (თელავის მაზრა), აპრილის 24, *ჩოება*, #99, 12 მაისი, ტფილისი, მელიქიშვილის სტამბა.

მურადიანი 1977: Պ. Մուրադյան. *Հայաստանի վրացերեն արձանագրությունները*. Աղբյուրագիտական քննություն. Երեվան. Երեվանի համալսարանի հրատարակչություն.

ჟორდანია 1897: *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ*, წიგნი მეორე (1213 წლიდამ 1700 წლამდე), ტფილისი, სტამბა მაქსიმე შარაძისა და ამხანაგობისა.

ჟორდანია 1902: *Описание Рукописей Тифлисского Церковнаго Музея карталино-кахетинскаго духовенства, составленное Федором Жордания*, Книга II, Тифлис, Гутенбергъ.

საყვარელიძე 1987: თ. საყვარელიძე. *XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა*, ნაკვეთი პირველი, XIV-XVI საუკუნეები, თბილისი, მეცნიერება.

სურგულაძე 2014: *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, III, ქართული ისტორიული საბუთები, XV საუკუნის მეორე ნახევარი, შეადგინეს: თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მ სურგულაძემ, თბილისი, [გამომცემლობა მითითებული არ არის].

სურგულაძე 2019: *დოკუმენტური წყაროები (სიგელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერთა კოლოფონები) XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების (გიორგი X, ღუარსაბ II, ბაგრატ VII, სვიმონ II, თეიმურაზ I) შესახებ (წყაროების პუბლიკაცია და გამოკვლევა)*, I, ავტორები: თ. ქართველიშვილი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), ხ. ბაინდურაშვილი, ი. გელაშვილი, თ. გოგოლაძე, მ. შაორშაძე, თ. ჯოჯუა, რედაქტორი მ. სურგულაძე, თბილისი, ნათლისმცემელი.

უვაროვა 1894: П. Уварова. Христианские Памятники, *Материалы по Археологии Кавказа, собранные экспедициями Императорскаго Московскаго Археологическаго Общества, снаряженными на Высочайше дарованныя средства*, Выпуск IV, Москва, Товарищество типографии А. И. Мамонтова.

ქაფიაშვილი 1994: ი. ქაფიაშვილი. *ძველი ქართველი მწიგნობარი ქალები*, ლომისი, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

ჩუბინაშვილი 1959: Г. Чубинашвили. *Архитектура Кахетии, Исследование развития архитектуры в восточной провинции Грузии в IV-XVIII веках*, Текст, Тбилиси, Издательство Академии наук Грузинской ССР.

ხარშილაძე 2014: ნ. ხარშილაძე. *კახეთის მეფე აღექსანდრე II-ის წერილობითი მემკვიდრეობა (ისტორიული საბუთები და ეპიგრაფიკა)*, თბილისი, [გამომცემლობა მითითებული არ არის].

ხელნაწერი A-49: *კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*, ქართული ხელნაწერი წიგნების A ფონდი, ხელნაწერი #49.

ხელნაწერი A-507: *კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*, ქართული ხელნაწერი წიგნების A ფონდი, ხელნაწერი #507.

ხელნაწერი A-761: *კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*, ქართული ხელნაწერი წიგნების A ფონდი. ხელნაწერი #761.

ჯაბუა 2009: ნ. ჯაბუა. *სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში*, თბილისი, მწიგნობარი.

ჯავახიშვილი 1982: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, ნაწილი მეორე (XV საუკუნე), *ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტომი III, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯოჯუა 2002: თ. ჯოჯუა. XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.), *საქართველოს სიძველენი*, 1, თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი.

ჯოჯუა 2016/2017: თ. ჯოჯუა. ლარგვისის მონასტრის დიაკონის გრიგოლ ბანდაისძის მიერ ლომისის მონასტრის დეკანოზის შვილის ქსენეფორე ბურდულის დაკვეთით გადაწერილი 1410-იანი წლების კურთხევანის ფრაგმენტი (Frr.216) პროფესორ ვარლამ დონდუას პირადი კოლექციიდან, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XIV-XV, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობის სტამბა.

ჯღარკავა 1965: შ. ჯღარკავა, სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, 113, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, V, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯღარკავა 1970: შ. ჯღარკავა. სალიპარტიანოს ისტორიიდან, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 6 (57), თბილისი, მეცნიერება.

AN INSCRIPTION OF THE 16TH CENTURY, NEWLY REVEALED IN GORIJVARI MONASTERY OF ST. GEORGE, AKHSHNI, WITH INFORMATION ABOUT CONSTRUCTION OF A REFECTORY AND ENCLOSURE WALL BY GURZI LIPARITIANI (SEVERAL ISSUES FROM THE HISTORY OF THE FEUDAL HOUSE OF THE LIPARITIANIS, GORIJVARI MONASTERY OF AKHSHNI AND PRE-CHANCEL CROSS OF GORIJVARI)

Temo Jojua
Ilia State University
teimuraz.jojua@iliauni.edu.ge

In 2021, the rehabilitation work was carried out on the two-story bell tower with crypt which is a part of the architectural complex of Gorijvari located in the vicinity of the village of Akhshni, Akhmeta Municipality, Kakheti region. A five-line Georgian lapidary inscription executed in Mkhedruli script, combined with Nuskhuri graphemes, was found during the rehabilitation work in a layer of loose stone and gravel accumulated at the entrance to the bell tower. By the end of the 19th century, the slab with the above inscription was still embedded above the entrance of the bell tower. Text of the inscription is first time published in this paper since it has not been published before.

According to palaeographic criteria, the newly discovered inscription of Gorijvari dates to the 16th century, it was commissioned by certain Gurzi Liparitiani, and is related to the construction activity. From the point of view of the content, two parts can be distinguished in the inscription: 1. In the first part of the inscription, Gurzi appeals to God and "Saint George of Gorijvari" and reports that thanks to their assistance he built a refectory and an enclosure wall; and 2. In the second part of the inscription, Gurzi asks God and "St. George of Gorijvari" for a long lifespan on Earth, and an eternal afterlife.

Gurzi Liparitian, mentioned in the Gorijvari inscription, belonged to the feudal family of the Liparitians from Odishi. He carried out activities in the second half of the 16th century and beginning of the 17th century. Gurzi was the son of Giorgi Liparitiani, a well-known historical person. Gurzi had sisters: the prominent scribe Mana (Mania) Liparitiani and Queen Tamar Laparitiani, the spouse of King Giorgi X of Kartli. Gurzi was the last head of the Feudal House of Liparitiani. After his death, the Liparitiani lineage ceased to exist.

It is known from the scholarly literature that in the years 1597-1601, Levan – grandson of King Aleksandre II of Kakheti, an infant son of the dynastic Prince of Odishi Manuchar I Dadini and of Queen Nestan-Darejani (she died when giving birth to Levan), grew up at the court in Kakheti. Later, Levan became the dynastic Prince of Odishi under the name of Levan II Dadiani. It is possible that Gurzi Liparitiani, mentioned in the inscription of Gorijvari, was at the court in Kakheti during this period. It seems that he was included in the retinue of Levan II Dadiani and was sent from Odishi to Kakheti to accompany the young prince on the order of Manuchar I.

During his stay in Kakheti, Gurzi Liparitiani carried out large-scale construction work in the architectural complex of Gorijvari. He built or renovated two buildings there: 1. a refectory, the location of which is still unknown, and 2. an enclosure wall, which has come down to us just partially. In addition, on Gurzi's order an inscription was carved on a slab with the text reflecting his founding activities. The slab with the inscription was installed in the wall either of the refectory, or in the enclosure wall, or in the wall of an architectural structure linking them.

Results of the study of the newly revealed inscription of Gurzi Liparitiani by means of historical and source study methods are presented in the paper. The following issues have been analyzed in a new way: 1. Activities of the members of a Feudal House of the Liparitianis in 16th-17th centuries; 2. Issues of history of the Gorijvari monastery of Akhshni in the 16th century; 3. The history of the Gorijvari pre-chancel cross in 16th-18th centuries, etc.

ისტორიოგრაფია
HISTORIOGRAPHY

XX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთის ისტორიის ისტორიოგრაფია: მოკლე მიმოხილვა

გიორგი აფხაზავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
abkhazavagiorgi@gmail.com

საისტორიო წყაროებთან ერთად, საკვლევი საკითხის შესახებ მრავალი მასალა მოგვეპოვება როგორც ქართული და უცხოური პერიოდული გამოცემების, ასევე ანალიტიკური ხასიათის ინტერნეტ პუბლიკაციების სახით.

ცნობილი ქართველი მეცნიერის და ისტორიკოსის ზურაბ პაპასქირის მონოგრაფია „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან", II ნაკვეთში გადმოცემულია აფხაზეთის ისტორია 1917-1993 წლებში. პროფესორი ზურაბ პაპასქირი აფხაზეთის უახლესი ისტორიის ბევრი მოვლენისა და ფაქტის უშუალო თვითმხილველია, ამიტომაც მისი ნაშრომი განსაკუთრებით ღირებულებას იძენს. ზურაბ პაპასქირი ასევე კარგად იცნობს აფხაზურ-რუსული მხარის სამეცნიერო წრეებს და პოლიტიკურ ელიტას. სადოქტორო დისერტაციის კვლევის განხორციელების პროცესში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი თავები: თავი მეხუთე: მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალურობის მოშლის მცდელობის შესახებ, XX საუკუნის 30-წლების მიწურულსა და 40-წლებში, თავი მეექვსე: სეპარატისტული გამოსვლები აფხაზეთში გასული საუკუნის 50-70 წლებში, თავი მეშვიდე: პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში XX საუკუნის 80-წლებში, თავი მერვე: აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება 1990 წელს, თავი მეათე: საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში 1991 წელს და თავი მეთერთმეტე: პოლიტიკური დაძაბულობა აფხაზეთში 1992-წლის იანვარ-აგვისტოს დასაწყისში. მეხუთე თავში პროფესორი ზურაბ პაპასქირი ეხება აფხაზური დამწერლობის ქართულ ალფავიტზე გადაყვანის საკითხს და სწორად განმარტავს, რომ ეს არ იყო ქართული მხარის მიერ აფხაზური ეთნიკური იდენტობის მოშლის მცდელობა. სსრკ-ს ახალმა კონტიტუციამ დაადგინა, რომ სსრ რესპუბლიკაში არსებული ყველა სახელმწიფო თუ რეგიონალური ენის დამწერლობა სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ანბანზე უნდა გადასულიყო. ასე მოხდა საქართველოს სსრ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში აფხაზური და ოსური ენები გადავიდა ქართულ დამწერლობაზე. ავტორი იმოწმებს გრიგოლ ლეჟავას და მის წიგნს "Между Грузиеи и Росиеи", რომელშიც გადმოცემულია აფხაზეთის XIX და XX საუკუნის ისტორია საარქივო მასალებზე დაყრდნობით. ავტორი, სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს ყველაფერი პირველ რიგში საბჭოთა რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა, ავტონომიურ რესპუბლიკებში ადგილობრივი დამწერლობები სლავურ-რუსულ ანბანით „კირილიცით" ჩაენაცვლებინა. ზ. პაპასქირი ეხება აფხაზური სკოლების ქართულ ენაზე გადაყვანის საკითხს 1945 წელს და შესაბამისი არგუმენტებით ადასტურებს, რომ ეს იყო მხოლოდ ბრალდება აფხაზური ეროვნული სკოლების მოშლის შესახებ.

> ამასთან, ჩვენ კატეგორიულად ვერ მივიღებთ ბრალდებებს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მისამართით იმასთან დაკავშირებით, რომ ის თითქოს ახორციელებდა მკვეთრად გამოხატულ ასიმილატორულ პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანი იყო აფხაზური ეთნოსის გაქრობა. ვინმე თუ ატარებდა ასიმილატორულ პოლიტიკას აფხაზეთში, ეს პირველ რიგში, ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმი იყო, რომელიც მოსკოვის აქტიური ხელშეწყობით, წლების მანძილზე წარმატებით ახერხებდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის (ძირითადად მეგრელთა) გააფხაზებას (პაპასქირი 2007: 148).

ზურაბ პაპასქირის 2016 წელს გამოცემული წიგნში „საქართველო" პროფესორის მიერ ბოლო წლებში გამოქვეყნებული უახლესი ლიტერატურა ამომწურავადაა მიმოხილულია. აგრეთვე ავტორი

გადმოგვცემს აფხაზეთის ისტორიის იმ პერიპეტიებს, რომელთა უშუალო თვითმხილველი და თანამონაწილე იყო. ძალზედ საინტერესოა ავტორის რეცენზია ოლეგ ბჟანბას და სტანისლავ ლაკობას წიგნზე "История Абхазии", რომელშიც აფხაზეთის ისტორიის არაერთი გაყალბების მცდელობა აქვს გაკრიტიკებული. მეცნიერი იკვლევს თუ რატომ ამახვილებს ყურადღებას ოლეგ ბჟანგბა და სტანისლავ ლაკობა ქართველების მიგრაციაზე 1937-1953 წლებში და არაფრად აგდებს იმ ფაქტს, რომ რუსებისა და სომხების რაოდენობა XIX და XX საუკუნებში ადრინდელ რაოდენობასთან შედარებით უფრო გაიზარდა.

> რატომ აღელვებთ ჩვენს აფხაზ ოპონენტებს რამდენიმე ათეული ათასი ქართველის ჩასახლება აფხაზეთში და რატომ არ იმაღლებენ ხმას, მაგალითად, იმის გამო, რომ 1886 წლიდან 1989 წლამდე რუსების რაოდენობა აფხაზეთში გაიზარდა, არც მეტი არც ნაკლები, (?!) (დაახლოებით იმდენჯერვე გაიზარდა სომხური მოსახლეობაც) (პაპასქირი 2016: 361).

ზურაბ პაპასქირი სპეციალურ თავს უძღვნის აფხაზეთში განვითარებულ ეთნოდემოგრაფიულ პროცესებს უძველესი დროიდან დღემდე, ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საინტერესოა გასული საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთის დემოგრაფიული ვითარება. ავტორი პარაგრაფში „აფხაზეთის კონფლიქტი 20 წლის გადასახედიდან" აფხაზეთს ომთან ერთად იხსენებს „აფხაზეთის ძმათამკვლელი ომის" წინაპირობებს და აფასებს მას დღევანდელი გადმოსახედიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზურაბ პაპასქირი აღნიშნული ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების უშუალო თვითმხილველი და თანამონაწილეა.

დაზმირ ჯოჯუას სამეცნიერო-ანალიტიკურ წიგნი „აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესების ასპექტები", ეხება აფხაზეთის საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური ისტორიის მთელ რიგ საკითხებს. წიგნში მოცემულია კონცეპტუალური ანალიზი აფხაზეთის ისტორიისა. აშრომიდან აშკარად ჩანს, რომ ავტორი რეგიონალური ისტორიის ასპექტების განხილვისას იყენებს ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდოლოგიას. ნაშრომი ისტორიულ-პოლიტოლოგიური ჟანრისაა. ავტორი ფაქტებზე მეტად ყურადღებას უთმობს ანალიტიკას. ამიტომაც იგი ისტორიის მეცნიერების გარდა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პოლიტიკის მეცნიერებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში. ავტორი სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჩარჩოებს ადარებს ერთმანეთს და აკავშირებს თანამედროვე პოლიტიკურ რეალიებთან. წიგნი შესავლის, 7 თავისაგან და ინგლისურენოვანი რეზიუმესგან შედგება. პირველ თავში მოცემულია აფხაზეთის ასსრ 1938-1990 წლებში და „აფხაზეთის კრიზისი" მეორე თავში გადმოცემულია რეგიონალური პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში 1990-1992 წლებში. მესამე თავში „აფხაზეთის ომის საკითხები". ავტორი ბოლო თავში ეხება პოსტკონფლიქტური აფხაზეთის პოლიტიკური განვითარების ძირითად ტენდენციებს. მოცემული მონგრაფიიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარაგრაფები აფხაზეთის ასსრ 1938-1990 წლებში „აფხაზეთის კრიზისი" და რეგიონალური პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში 1990-1992 წლებში. ავტორი მოცემულ თავში აფხაზეთის ასსრ 1938-1990 წლებში ეხება აფხაზეთში განვითარებულ მეორე მსოფლიო ომის საომარი სცენების ფაქტებს და ამ დროისათვის მიმდინარე სტალინურ რეპრესიებს. „აფხაზეთი წარმოადგენდა მთელი ქვეყნის მასშტაბით შექმნილი ერთიანი სამხედრო ბანაკის ორგანულ ნაწილს, მისი მრეწველობა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა მოკლე დროში გარდაიქმნა სამხედრო ყაიდაზე. რეგიონში მოქმედებდა სოხუმისა და გაგრის თავდაცვის კომიტეტები, ხოლო 1941 წლის შემოდგომაზე შექმნილი ადგილობრივი გამანადგურებელი ბატალიონები აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიის დაცვის პროცესში". სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დაზმირ ჯოჯუა აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის მმართველობას უწოდებს ეთნოკრატიას და ამას სხვადასხვა არგუმენტებით ასაბუთებს. იგი წერს, რომ

> სეპარატისტულ „ეროვნულ" იდეას და კომუნისტური ვარიანტის ეთნონაციონალიზმს, ბუნებრივია, სჭირდებოდა გარკვეული ფენა, სეპარატიზმის მატარებელი სოციალური კასტა. სეპარატისტული სოციალური კორპორატივიზმის სპეციპიკურ გამოვლინებას წარმოადგენდა აფხაზური ეთნოკრატიის ჩამოყალიბება. სწორედ აფხაზური ეთნოკრატია გახდა საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფის

> იდეის მატარებელი, ხშირ შემთხვევაში-ანტიქართული აქციების ორგანიზატორი და წარმმართველი ფენა. ამ ფენომენის შინაგანი სტრუქტურა (განსაკუთრებით ეთნიკური შემადგენელი და გააფხაზებული ქართველების ხვედრითი წილი), მისი სოციოლოგიური ტიპოლოგია თუ პოლიტიკური ანთროპოლოგია ცალკე შესწავლის საგანია. ამჯერად შევეხებით მისი შექმნისა და ისტორიის იმ მომენტებს, რომლებიც საყურადღებოა XX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის და ანტიქართული მოძრაობის ძირითადი ეტაპების წარმოდგენის თვალსაზრისით (ჯოჯუა 2007:40).

დაზმირ ჯოჯუას წიგნში „სოხუმის დაცემა (სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის ცდა)" შედგება ოთხი თავისაგან. პირველ თავში მოცემულია აფხაზეთის ომის წინაპირობები და აფხაზეთის ომი სოჭის შეთანხმებამდე, მეორე თავში სოჭის შეთანხმება, მესამე თავში სოხუმის დაცემა, მეოთხე თავში სოხუმის დაცემის შედეგები და რეზიუმე ინგლისურ ენაზე. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პარაგრაფია „აფხაზეთის კრიზისის" ანატომია, სოციალ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში (მათ შორის აფხაზეთში) XXს. 80-90 წლების მიჯნაზე. ავტორი მისთვის დამახასიათებელი ღრმა ანალიზით გადმოგვცემს აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზებს. ავტორი აღნიშნულ თავში წერს საქართველოს ეროვნული მოძრაობის დამოკიდებულებაზე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ ეროვნულ მოძრაობას ზვიად გამსახურდიას მეთაურობით არასოდეს ეჭვქვეშ არ დაუყენებია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხი:

> ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობის არცერთ პოლიტიკურ ძალას 1988-1992 წ.წ. ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია აფხაზეთის ავტონომიის მიზანშეწონილობის საკითხი. ზოგიერთ მიტინგზე თუ მანიფესტაციაზე გაკეთებული გარკვეული განცხადებები გამოწვეული იყო კონკრეტული ვითარების ნაკარნახევი და ქუჩის აქციების ლოგიკასთან თავსებადი კონტექსტუალური გარემოებებით, რის გამოც ისინი ვერ ჩაითვლება (და არც უნდა ჩაითვალოს) ეროვნული მოძრაობის სტრატეგიის ნაწილად (ჯოჯუა 2014: 35).

გერონტი გასვიანის წიგნი „აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში" ჩვენი კვლევისათვის საინტერესო საკითხებს ეხება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონოგრაფიის შემდეგი თავები: თავი მეექვსე: „აფხაზეთი 1921-1940 წლებში, აფსუათა (ე. წ. აფხაზური) ენის საკითხი რუსულ პოლიტიკაში". თავი მერვე: „აფხაზეთის ავტონომია XX საუკუნის მეორე ნახევარში", რომელშიც განხილულია შემდეგი საკითხები: აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აფსუათა აგრესიული მისწრაფება, აფსუათა და ქართველთა ეთნოპოლიტიკური წინააღმდეგობის გაღრმავება, აფსუა სეპარატისტთა ახალ-ახალი პრეტენზიები, აფსუური აგრესიული სეპარატიზმის ჩამოყალიბება. აღნიშნული ავტორი დადებითად აფასებს 1955 წელს პავლე ინგოროყვას ნაშრომზე: „გიორგი მერჩულე X საუკუნის მწერალი",

> აღნიშნული დადგენილებით და, საერთოდ, რუსი ხელისუფლების ნაქეზებით ფრთებშესხმულმა აფხაზებმა (აფსუებმა) ახალი გამოსვლები დაიწყეს საქართველოს და ქართველების წინააღმდეგ და გაიხსენეს პ. ინგოროყვას მეცნიერული ნაშრომის „გიორგი მერჩულე X საუკუნის მწერალი", რომლის ძირითადი არსი ავტორმა მიუძღვნა იმას, რომ ძველი აფხაზები არიან ქართველთა ერთ-ერთი ტომი და ისინი ისტორიულად მუდამ შედიოდნენ ქართულ სამყაროში. პავლე ინგოროყვას ამ ნაშრომს, როგორც ლიტერატურულ-ისტორიულ გამოკვლევას, 1955 წ. ივლისში, როგორც უკვე მივუთითეთ თავისი რეცენზია უძღვნა გაზ. „ზარია ვოსტოკში" აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა მას და რომელმაც დაადასტურა, რომ აფხაზები (ლაპარაკია ძველ ანუ ისტორიულ აფხაზებზე-გ.გ.) ქართველთა მონათესავე ტომია. მანვე დაადასტურა პ. ინგოროყვას დებულება, რომ დასავლეთ საქართველოს სამეფო (ლაპარაკია „აფხაზთა სამეფოზე") დაარსეს არა უცხო ტომელებმა, არამედ სახელდობრ ქართველმა აფხაზებმა. გ. ახვლედიანის აზრით, პ. ინგოროყვას ამ თეზისის უარყოფის რაიმე საფუძველი არ არსებობს. ხსენებული მონოგრაფიის სისწორის ირიბი დადასტურებაც კი აფხაზი (უფრო ზუსტად აფსუა) ინტელიგენციის მკვეთრ პროტესტს იწვევდა. აფსუები ხელაღებით უარყოფდნენ აფხაზების რაიმე ნათესაობას ქართველებთან და, ამგვარად, აფხაზეთის საქართველოსადმი ნათესაურ კავშირსა და კუთვნილებას. ერთი მუჭა აფსუა სწავლულები არავითარ საისტორიო წყაროს არ უწევდნენ ანგარიშს და მხოლოდ ცარიელი ფრაზებით ამტკიცებდნენ ე.ნ. აფხაზეთის დამოუკიდებელ-თავისთავადობას. აქედან გამომდინარე, ინგოროყვას მონოგრაფიულ ნაშრომს მავნე და მცდარი უწოდეს, ასევე გ. ახვლედიანის დადებით გამოხმაურებას პ. ინგოროყვას

წიგნზე, აფსუებმა ხელაღებით მოსთხოვეს მისი აკრძალვა (გასვიანი 2005: 465).

ავტორს ვერ დავეთანხმები აღნიშნულ თვალსაზრისში. ჩემი აზრით, გიორგი ახვლედიანის და პავლე ინგოროყვას გამოსვლა, რომელიც მხარდაჭერილი უნდა ყოფილიყო საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ, აშკარად არადიპლომატიური იყო და მხოლოდ კონფლიქტის გამწვავება გამოიწვია ქართველ და აფხაზ ერებს შორის. აგრეთვე მიუღებლად მიმაჩნია ავტორის მიერ აფხაზების მოხსენიება ყველგან აფსუებად. მე არ დავიწყებ იმის მტკიცებას, დღევანდელი აფხაზები არიან თუ არა ავტოქტონები აფხაზეთის ტერიტორიაზე, მე არ ვარ არც ძველი საქართველოს ისტორიის სპეციალისტი და არც მედიევისტი, მაგრამ ქართული მხრიდან დადასტურებულად იბერიულ-კავკასიური მონათესავე მოდგმის ერისადმი ასეთი ნაბიჯი არ იყო სწორი და არ ითვალისწინებდა იმდროინდელი პოლიტიკური კონიუნქტურის გამოწვევებს.

ჯამბულ ანჩაბაძემ, რომელიც საარქივო მასალებზე დაყრდნობით იკვლევს აფხაზეთის გასული საუკუნის პოლიტიკური ისტორიის თემატიკას და გახლავთ მთავარი მკვლევარი XX საუკუნის 20-30 წლების ნესტორ ლაკობას საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მმართველობის, 2005 წელს გამოსცა მონოგრაფია თბილისში, თსუ სოხუმის ფილიალში სათაურით „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან“. აღნიშნულ წიგნში ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანი მასალებია წარმოდგენილი. ჯამბულ ანჩაბაძე განიხილავს აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის საფუძვლებს გასული საუკუნის 50-80 წლებში და აღნიშნავს, რომ

> XX საუკუნის 50-80 წლებში კრემლის უშუალო სცენარით, თითქმის ყოველ ათ წელიწადში თავს იჩენდა ე.წ. „აფხაზეთის საკითხი“, რომელსაც თან ახლდა აფხაზი მოსახლეობის ერთი ნაწილის გამოსვლები საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფის და რუსეთთან მიერთების მოთხოვნით“. (ანჩაბაძე 2005:78). ავტორი აგრეთვე ეხება ვლადისლავ არძინბასა და ზვიად გამსახურდიას მთავრობის ურთიერთობის საკითხს. „მოსკოვის დაკვეთით სეპარატისტებმა ახალი შეტევა წამოიწყეს საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის ხელდასმითაც, სამწუხაროდ, უზენაესი საბჭოს სათავეში მოექცა ქართველთმოძულე ვლ. არძინბა. მან ომი გამოუცხადა გამსახურდიას მთავრობის ყველა წამოწყებას. არძინბამ ბოიკოტი გამოუცხადა 1991 წლის 31 მარტის საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებულ რეფერენდუმს ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე (ანჩაბაძე 2005: 79).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯ. ანჩაბაძე ზ. პაპასქირის მსგავსად მის ნაშრომებში ყოველთვის გამოირჩევა აფხაზ ეთნიკურ ჯგუფთან ურთიერთობაში დიპლომატიური დამოკიდებულებით და ქართული მხარის პოლიტიკურ შეცდომებსაც მიუთითებს.

ჯამბულ ანჩაბაძის წიგნში „ნარკვევები აფხაზეთის უახლესი ისტორიიდან“ არის ნარკვევი მის მიერ გამოცემული სტატიებისა აფხაზეთის XX საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური ისტორიის თაობაზე. ჯამბულ ანჩაბაძე ხსნებულ ნაშრომში ნესტორ ლაკობას გასამართლების შემდეგ ეხება აგრეთვე მეორე მსოფლიო ომისდროინდელ რეპრესიებს და წერს:

> რეპრესიები გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც. ტრაგიკული აღმოჩნდა მათი ბედი, ვისაც სამშობლოს ბედ-იღბალზე ზრუნვა და კეთილშობილური მიზანი დანაშაულად ჩაუთვალეს, ათეულობით ახალგაზრდა დააპატიმრეს, როგორც სამხედრო ფაშისტური ორგანიზაციის წევრები. მათგან 17-ს დახვრეტა მიუსაჯეს. 22 წელი გაატარა გადასახლებაში შესანიშნავმა მწერალმა ლევან გოთუამ, 10 წელი - ჭაბუა ამირეჯიბმა, რეპრესიები შეეხო ცნობილ ქართველ მეცნიერებს: გ. ღოღობერიძეს, რ. მიქელაძეს, მ. აბულაძეს, კ. ბუაჩიძეს და სხვებს (ანჩაბაძე 2008: 130).

შოთა მალაშხიამ თბილისში 2011 წელს გამოსცა ანალიტიკური ნარკვევი „კონფლიქტების ანატომია“, რომელშიც მსოფლიოში მომხდარი ეთნო-კონფლიქტების შესახებ არსებული მდიდარი ისტორიული და ფაქტოლოგიური მასალა არის გაანალიზებული. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აფხაზეთის კონფლიქტის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს. ავტორი ეხება აფხაზეთის ასსრ-ში მიღებული კონსიტიტუციების საკითხს:

> 1936 - ამიერკავკასიის სფსრ გაუქმნდა და ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა მოკავშირე სსრ სტატუსით დარჩნენ 12 მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად, რომლებიც უშუალოდ გაერთიანდა საბჭოთა

კავშირში. აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა დაფიქსირებულ იქნა სსრ კავშირის 1936 წლის, საქართველოს სსრ- 1937 წლისა და აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციებში, (საბჭოთა წლებში, კრემლის მონდომების შედეგად, აფხაზურმა სეპარატიზმა თანდათან ორგანიზებული ხასიათი შეიძინა. რაც 1978 წლის კონსტიტუციის მიღებისას გამოვლინდა) (მალაშხია 2011:88).

2021 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე გამოიცა მონოგრაფია: „აფხაზეთი საქართველოა". ავტორთა კოლექტივს ხელმძღვანელობდა პროფესორი ზურაბ პაპასქირი. აღნიშნულ წიგნში ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანი მასალებია გამოქვეყნებული. ზურაბ პაპასქირი 1970-იან წლებში აფხაზურ სეპარატისტულ მოძრაობასთან დაკავშირებით წერს, რომ

> XX ს. 70-იანი წლები აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი დაძაბულობით აღინიშნა. სეპარატისტულმა ძალებმა მოიგეს რა მორიგი რაუნდი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში 1967-1968 წლებში, კიდევ უფრო განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები (პაპასქირი და სხვები 2021: 447)

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის აფხაზეთის პოლიტიკურ ისტორიას ხსენებულ სამეცნიერო წიგნში ზურაბ პაპასქირთან ერთად აგრეთვე ეხება პროექტის კოორდინატორი ზურაბ ხონელიძე, ავტორები ჯემალ გამახარია და კახაბერ ყალიჩავა.

თბილისში 2007 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპულიკის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის ჯემალ გამახარიას რედაქტორობით გამოიცა წიგნი „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი". აღნიშნულ წიგნში ჩვენთვის საინტერესო პრობლემატიკას ეხება შემდეგი თავები: აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში, აფხაზეთი საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში და აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირველ წლებში. ჯემალ გამახარია ეხება აფხაზეთის ასსრ 1937 წლის კონსტიტუციას, რომელიც საკმაოდ დიდი პერიოდი 1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციამდე განსაზღვრავდა მმართველობის პოლიტიკურ სისტემას საბჭოთა აფხაზეთში. ჯემალ გამახარია აღნიშნულ კონსტიტუციაზე წერს „1937 წ. მიღებული კონსტიტუციების შესაბამისად, საქართველოსა და აფხაზეთის ისედაც სუსტმა საბჭოურმა სახელმწიფოებრიობამ რეალური შინაარსი თითქმის დაკარგა" (გამახარია და სხვები 2007: 352)

საქართველოს ისტორიის ნარკვევების VIII ტომში, რომლის რედაქტორები არიან ნიკოლოზ სტურუა და მაყვალა ნათმელაძე, ბევრი საკითხი აფხაზეთის და მთლიანად საქართველოს ისტორიის შესახებ არის მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიით დაწერილი, განიცდის ცენზურას და ამიტომაც მკაცრ მეცნიერულ კრიტიკას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ისტორიის ნარკვევების, აღნიშნულ ტომში ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ მრავალი საინტერესო ისტორიული ფაქტი და მოვლენაა დაფიქსირებული. ხსენებულ ტომში მიმოხილულია საქართველოს სსრ ავტონომიების, მათ შორის, აფხაზეთის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ისტორიის შესახებ არსებული ლიტერატურა. ერთ-ერთია რუსულენოვანი ნაშრომი: „აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები" (Очерки истории Абхазкой АССР, ч. II.). მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არსებულ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიის საკითხები განხილულია აფხაზეთის ისტორიის ნარკვევების მეორე წიგნში. მასში ნაჩვენებია ქართველ ხალხთან ერთად აფხაზეთის მშრომელთა მიერ ეკონომიკის და კულტურის განვითარებაში მოპოვებული მიღწევები" (სტურუა და სხვები 1980: 45). ქართველი და აფხაზი ხალხების ცალ-ცალკე მოხსენიება მიზნად ისახავდა აფხაზებსა და ქართველებს შორის უფსკრულის გაღრმავებასა და აფხაზური სეპარატიზმის წახალისებას. ამგვარად ისინი საფუძველს უმზადებდნენ აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფასა და სეპარატიზმის გაძლიერებას.

2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა გელა ცაავამ თემაზე: „რუსული იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში (XIX საუკუნის 60 წლები-XX საუკუნის 80 წლები)." სადოქტორო დისერტაცია ჩვენთვის საინტერესო მომენტებსაც ეხება.

2015 წელს საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის სპეციალობაზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ლევან იზორიამ თემაზე „აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა (1945-1993 წწ.)“. ნაშრომში ცალკე თავში არის განხილული წყაროები და ისტორიოგრაფია. აღნიშნულ თავიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორმა დეტალურად შეისწავლა საკითხი. უმჯობესი იყო ავტორს მეტი დრო დაეთმო საისტორიო წყაროების ანალიზისათვის, მაგალითად საარქივო მასალების შესწავლისათვის.

ზურაბ პაპასქირმა მონოგრაფია: „Абхазия. история без фальсификации“ სპეციალურად გამოსცა რუსულ ენაზე, ვინაიდან პროფესორს სურდა გაუყალბებელი აფხაზეთის ისტორია სცოდნოდათ აფხაზებს და რუსულ მხარესაც. აღნიშნული წიგნის მეორე შევსებული გამოცემა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 2010 წელს გამოსცა. დასახელებულ წიგნში ზურაბ პაპასქირი ეხება რა აფხაზეთში გასული საუკუნის 70 წლების ბოლოს განვითარებულ მოვლენებს და აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბების პროცესს წერს,

> 1978 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში სიტუაცია კვლავ დაიძაბა. ამჯერად აფხაზური მოსახლეობის ნაციონალისტური გამოსვლის მიზეზი გახდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პოსტზე ქართველის ი, უბილავას დანიშვნა. საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ გაზაფხულზე სეპარატისტები დანამდვილებით მოითხოვდნენ, რომ სამივე უმაღლესი თანამდებობის პირი: საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის რეგიონალური კომიტეტის პირველი მდივნის, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარის უნდა დაეკავებინა აფხაზური ეროვნების წარმომადგენელს. ეს მოთხოვნა. არც მეტი არც ნაკლები იყო აფხაზეთის ქართული ძირძველი მოსახლეობის ნაციონალისტური ღირსების შელახვა, რომლებიც შეადგენდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 43% (აფხაზები შეადგენდნენ მხოლოდ 17%). უფრო დიდი განსხვავება იყო ქართველთა სასარგებლოდ პროცენტულად პარტიის წევრებში. მიუხედავად ამისა, ქართველები არასოდეს არ წასულან წინააღმდეგი რეგიონალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე (ე. ი. ავტონომიური რესპუბლიკის ფაქტობრივი მმართველის) „არჩეულიყო“ აფხაზი. აფხაზებიდან აირჩიეს ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური მმართველი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე. მხოლოდ ერთი თანამდებობა - მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე, - აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის დარჩა ქართველებს. სეპარატისტთა ნაწილისათვის ეს აღმოჩნდა ცოტა. მათ სურდათ ხელში ჩაეგდოთ ხელისუფლების სამივე შტო და შემდეგ დაეარსებინათ ეთნოდიქტატურა ავტონომიურ რესპუბლიკაში. უფრო მეტიც, მათ ჰყავდათ საკუთარი კანდიდატი მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პოსტზე – ვ. კობახია, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ 1975 წელს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტიდან გადააყენა საქართველოს ახალმა პარტიულმა ლიდერმა ედუარდ შევარდნაძემ (პაპასქირი 2010: 299).

1997 წელს მოსკოვში გამოიცა გრიგოლ ლეჟავას მონოგრაფია: „Между Грузией и Россией: исторические корни абхазо-грузинского конфликта“. გრიგოლ ლეჟავა აღნიშნულ ნაშრომში მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დედაქალაქში გამოვიდა, ბევრ სანდო ცნობას გვაწვდის აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის შესახებ XX საუკუნეში. გრიგოლ ლეჟავას აგრეთვე ვერავინ დააბრალებს ანტიაფხაზობას, ვინაიდან ის წლების განმავლობაში მუშაობდა დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზური ენისა, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტში, რომელიც აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ბუდედ ითვლებოდა აფხაზეთის ასსრ-ში. გრიგოლ ლეჟავა ეხება სამი აფხაზი მეცნიერის ბ. შინკუბას, კ. შაკრილის, გ. ძიძარიას საჩივარს სკკპ ცკ მიმართ აფხაზეთის სკოლებში აფხაზური ენის შეზღუდვის შესახებ. აღნიშნავს, რომ მათ უარყვეს წაყენებული ბრალდებები ქართული მხარისათვის და ერთ-ერთმა მათგანმა საერთოდ უარყო აღნიშნულ წერილობით საჩივარში მისი მონაწილეობა:

> მაშინ როგორ უნდა აიხსნას წერილის ავტორების განცხადება, გაუსაძლის პირობებში მყოფნი იძულებულნი იყვნენ დაეწერათ ასეთი განცხადება. პასუხი კითხვაზე არის მარტივი, რომ ორიგინალის გაცნობისას ერთ-ერთმა ავტორმა განაცხადა, რომ მას ხელი არ მოუწერია ამ დოკუმენტზე. გაგრის გაზეთში დაიბეჭდა მისი სტატია „მე ვაპროტესტებ“ (ლეჟავა 1997: 137).

აგრეთვე გ, ლეჟავა აფასებს იოსებ სტალინის პოლიტიკას აფხაზეთის ასსრ-ს მიმართ:

> კომუნისტების იდეური ოპონენტები თვლიდნენ, რომ სტალინი იყო იდეური რუსიფიკაციის გამტარებელი ყოფილ საბჭოთა კავშირში. ერთნი თვლიან, რომ სტალინი ატარებდა აფხაზეთში გაქართველების პოლიტიკას, რომელიც დიახ ეწინააღმდეგება ყოფილი რუსეთის იმპერიის პერიფერიების რუსიფიკაციის ზოგად კურსს, თუმცა, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სტალინის ასეთი პოზიცია სრულად შეესაბამებოდა მის თეორიულ იდეებს ეროვნულ საკითხზე. საარქივო მასალების შესწავლა გვაძლევს საშუალებას დოკუმენტურად დავასკვნათ, რომ აფხაზური მოსახლეობის გაქართველების პოლიტიკა ქართული ხელისუფლების მიერ გატარებულ იქნა მოსკოვთან კავშირში, ამასთან ასეთი აქციები გატარდა მთელ სსრკ ტერიტორიაზე, იმ განსხვავებით, რომ აქ სსკპ ცკ მითითების შესრულების ვადა (1938) გადამეტებულ იქნა თითქმის 10 წლით. გარდა ამისა, ამ ქმედებას შეხვდა წინააღმდეგობა და გამოიწვია ცვლილებები საქართველოს სსრ ეთნოპოლიტიკურ ვითარებაში. გაკვირვებას იწვევს, რომ სტალინის პოლიტიკის კრიტიკის პერიოდში გაქართველების პოლიტიკის განხორციელების მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა საქართველოს პარტიის ხელმძღვანელობას და არავის არ უხსნებებია ის რეზულუციები, რომელთა უკან იდგა სკკპ ცკ პოლიტბიუროს ყველა წევრი (ლეჟავა 1997:147-148).

მე ვერ დავეთანხმები ავტორს აღნიშნულ თვალსაზრისში. ჩემი აზრით, სტალინს ნამდვილად ვერ ჩავთვლით პროქართველ პოლიტიკოსად. სწორედ მისი ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში ჩამოყალიბდა აბსოლუტურად ხელოვნური ანკლავი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელსაც ონის, საჩხერის რაიონის სოფლების ნაწილი და ახალგორის რაიონიც მიუერთეს. სწორედ ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში დაიგმო სტალინის კულტი და თუკი აფხაზეთში გაქართველების პოლიტიკას სკკპ ცკ ხელმძღვანელობდა, ცხადია, არც ამ ნაწილში მოერიდებოდნენ ისინი სტალინის პოლიტიკური გუნდის კრიტიკას. მით უმეტეს, რომ მათ სტალინის პოლიტიკური ელიტის წევრი საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცკ და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი აკაკი მგელაძე დააპატიმრეს და პარტიიდანაც გარიცხეს.

ო. ბღაშბას და ს. ლაკობას წიგნი “История Абхазии с древнейших времен до наших дней. 10-11 классы” რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ სოხუმში 2015 წელს გამოიცა. აღნიშნული გამოცემა არის სკოლის სახელმძღვანელო, რომელიც მთლიანად სიყალბეზეა დაფუძნებული და ამ წიგნით ისწავლება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაღალ კლასებში აფხაზეთის ისტორია. აღნიშნულ წიგნში ასევე გაყალბებულია XX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის ფაქტები და მოვლენები. ავტორები ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს უწოდებენ აღორძინებას:

> სტალინის გარდაცვალებით და დასაფლავებით გამოწვეული შოკის შემდეგ, აგრეთვე კომუნისტური პარტიის 20 ყრილობის დადგენილების შემდგომ მთელმა ქვეყანამ ამოისუნთქა თავისუფლად. წვეთი, რომელიც გახლავთ დათბობის მაუწყებელი, ზარივით აწკრიალდა ზღურბლზე, მომასწავებელი იყო ახალი ცხოვრების. ამ პულსის ცემა იგრძნობოდა აფხაზეთშიც. 1953 წლის მეორე ნახევარში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ აფხაზეთის რეგიონალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს მთელი რიგი დადგენილებები აფხაზური და სომხური სკოლების აღდგენის და მათთვის მასწავლებელთა გადამზადების შესახებ. მოწესრიგდა მუშაობა სახელმძღვანელოების შესაქმნელად. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ეხლანდელი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შეიქმნა აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრა, ფილოლოგიური ფაკულტეტის აფხაზური სექტორი, პედაგოგიკის და მეთოდიკის ფაკულტეტი, უცხოური ენების განყოფილება აფხაზური სკოლებისათვის სპეციალისტების მოსამზადებლად. 1954 წელს აფხაზური ენა გადავიდა ქართულიდან რუსულ გრაფიკულ საფუძველზე (ბღაშბა, ლაკობა 2015: 374).

ხრუშჩოვის პოლიტიკას ნამდვილად ვერ დავარქმევთ აღორძინებას, მით უმეტეს აფხაზეთში. ნიკიტა ხრუშჩოვის დროს გაგრძელდა პოლიტიკური დაპირისპირებები და რეპრესიები, რომელიც მთელ საქართველოში და მათ შორის აფხაზეთშიც დიდ საპროტესტო მოძრაობაში გადაიზარდა. აგრეთვე არ იყო სწორი აფხაზეთში სომხური სკოლების გახსნა, ვინაიდან აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციების თანახმად ქართულთან და რუსულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსს მხოლოდ აფხაზური ენა ატარებდა. ეს ნიშნავდა აფხაზური ენის რეგიონალურ სტატუსს საქართველოს

სსრ-ში. მე ვფიქრობ, რომ სომხური სკოლების გახსნა ხელს უწყობდა სომხების პრორუსულად და ანტიქართულად განყობას, რომელიც კიდევაც აისახა აფხაზეთის ომში აფხაზების მხარეზე სომხების ეთნიკური უმცირესობის აქტიური მხარდაჭერით და ცნობილი ბატალიონის „ბაგრამიანის ჩამოყალიბებით“.

ოლეგ ბღაჟბამ და სტანისლავ ლაკობამ 2007 წელს ცალკე გამოსცეს წიგნი: *История Абхазии с древнейших времен до наших дней* ოკუპირებული აფხაზეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრში სოხუმში. აღნიშნულ წიგნი ასევე ეხება ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მომხდარ ისტორიულ ფაქტებს და მოვლენებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საინტერესოა შემდეგი თავი სახელწოდებით „აფხაზეთი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა დროს“. სტანისლავ ლაკობა და ოლეგ ბღაშბა ეხებიან აფხაზი ახალგაზრდობის უმაღლესი განათლების და სამეცნიერო ხარისხის მიღების საკითხსს გასული საუკუნის მეორე ნახევარში. „60-70 წლებში მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების ასპირანტურაში სწავლობდა 50-ზე მეტი სხვადასხვა სპეციალობის მქონე აფხაზი. მოგვიანებით ისინი გახდნენ აფხაზეთის მთავარი სამეცნიერო პოტენციალი“ (ბღაშბა, ლაკობა 2007: 163). მე ვერ დავეთანხმები ავტორების პოზიციას. ჩემი აზრით, აღნიშნული წიგნიც მათი ზემოხსენებული სკოლის სახელმძღვანელოს მსგავსად, თითქმის მთლიანად სიცრუეზე და ისტორიის გაყალბებაზეა აგებული. სეპარატისტი ავტორები არ აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ აფხაზური საზოგადოებრივი და პოლიტიკური ელიტის უდიდესმა ნაწილმა საქართველოში, კერძოდ, სოხუმში და თბილისში მიიღეს უმაღლესი განათლება. მათ შორის დიდმა ნაწილმა სამეცნიერო ხარისხები დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისევე როგორც ეს გააკეთა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყოფილმა თავჯდომარემ და სეპარატისტული ხელისუფლების პირველმა პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ. რომელსაც პრორუსი და სეპარატისტი აფხაზები აფხაზური სახელმწიფოებრივობის ფუძემდებლად და ერის მამად მიიჩნევენ. ვლადისლავ არძინბამ მოსკოვში ვერ დაიცვა დისერტაცია და თბილისში მისი ნამდვილი სამშობლოს დედაქალაქში მაქსიმალურად შეუწყვეს ხელი რომ მიეღო უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი. დღესაც კი უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხების და სამედიცინო დახმარების მისაღებად უამრავი ადამიანი ჩამოდის აფხაზეთიდან არა რუსეთის ქალაქებში, არამედ საქართველოს დედაქალაქ თბილისში.

თანამედროვე აფხაზმა სეპარატისტმა ისტორიკოსმა ასლან ავიძბამ სოხუმში 2012 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია “Абхазия и Грузия: завтра была война (О абхазо-грузинских отношениях в 1988–1992 годы)”. წიგნი გამოიცა ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის ეგიდით. მასში განხილულია 1988-1992 წლებში არსებული აფხაზურ-ქართული ურთიერთობები. ავტორი ეხება 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ განვითარებულ მოვლენებსაც:

> გარდა ამისა, ქართველებმა განაცხადეს, რომ სოხუმის ცენტრში დაღუპულთა მემორიალის აშენება სურთ. ამან აფხაზებისათვის უსიამოვნო სიურპრიზი გამოიწვია, რადგანაც ასეთი ძეგლი თბილისში მათი გარდაცვალების ადგილზეც არ გახსნილა. ხანგძლივი კამათის და დბატების შემდეგ ეს ძეგლი ააგეს სოხუმის შემოგარენში და იქ იდგა 1993 სექტემბერამდე აფხაზეთის დედაქალაქის ქართული საუკუპაციო ძალებისაგან განთავისუფლებამდე (ავიძბა 2012: 70).

ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზებისათვის მიუღებელი იყო 9 აპრილის მემორიალის გახსნა სოხუმში და დადებითად აფასებს მის დანგრევას სოხუმის დაცემის შემდგომ, მაშინ როდესაც 9 აპრილის მოვლენებში მონაწილეობდა აფხაზეთის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილიც. ამასთანავე, ასლან ავიძბა აღნიშნულ ნაშრომში ხაზს უსვამს იმ გარემოაბს, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში აფხაზებს არ სურდათ რუსეთთან გაერთიანება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის იბრძოდნენ.

თანამედროვე აფხაზმა ავტორმა ასლან ავიძბამ ოკუპირებული აფხაზეთის დედაქალაქში სოხუმში გამოსცა კიდევ ერთი წიგნი აფხაზეთის ომის შესახებ “Проблемы военно-политической истории Отечественной войны в Абхазии (1992-1993 гг.)”. აღნიშნულ ნაშრომში, ავტორი აფხაზეთის

ომთან ერთად განიხილავს აფხაზეთის კონფლიქტის წინაპირობებს გვიან საბჭოთა პერიოდში. ავტორი აფასებს 1988 წელს ქართველების რეაქციას, რომელიც მოჰყვა აფხაზური ინტელიგენციის მიერ კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენციისადმი საჩივრის წერილის გაგზავნას:

> მაგრამ ქართველების რეაქციამ არ დააყოვნა აფხაზური წერილის საპასუხოდ საქართველოში დაიწყო კამპანია აფხაზთა ეროვნული მოძრაობის და ზოგადად აფხაზი ხალხის დისკრიმინაციის მიზნით. აფხაზი ხალხი ელემენტარული უფლებების სრული უარყოფის ატმოსფერომ ისე დაიპყრო მთელი ქართული ინტელიგენციის და საზოგადოების ყურადღება, რომ ქართველებისადმი ძალიან კეთილგანწყობილმა ავტორმა ს. ჩერნოვანიამ აღიარა: „ქართულ პრესასა და ლიტერატურას არ აკლია აფხაზების მიმართ ზიზღის მაგალითები... ჩვეულებრივ საქმედ იქცა უცოდინარი, მეცნიერულად დაუსაბუთებელი, სრულიად ფანტასტიკური ვერსიების გამოქვეყნება, რომლის მიხედვითაც, აფხაზები (ან ზოგიერთი აფხაზი) საქართველოში ჩამოვიდნენ საიდანღაც ცენტრალური აზიიდან ან ჩრდილოეთ კავკასიიდან (ავიძბა 2013: 59).

ავტორი მიკერძოებულად აფასებს ქართული მხარის დამოკიდებულებას აფხაზების უფლებებისადმი. პირიქით, ქართველებმა ყველანაირი პირობები შეუქმნეს აფხაზებს თვითგამორკვევის და თვითმყოფადობის გამოსავლენად: საკუთარი ტელევიზია, პრესის უმრავლესობა აფხაზურ ენაზე გამოიცემოდა, პრივილეგირებულად ცხადდებოდა ის პირი, ვისაც ეროვნების გრაფაში აფხაზი ეწერა და ა.შ. უფრო მეტიც, ეროვნულმა მოძრაობამ, რომელზედაც არის საუბარი, და რომელიც შემდეგში მოდის ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ადგილების უმრავლესობა, ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით უმცირესობას – აფხაზებს დაუთმო. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტიც აფხაზური სეპარატიზმის ლიდერს ვლადისლავ არძინბას ერგო.

გაგრის მეორე მდივანმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ისტორიკოსმა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა თამაზ ნადარეიშვილმა არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა აფხაზეთში განვითარებულ სეპარატისტულ მოძრაობაზე და წარმოქმნილ კონფლიქტზე. მედიასაშუალება „კვირის პალიტრაში“ 1997 წელს დაიბეჭდა მისი ინტერვიუ, „აფხაზეთში ქართული პოლიტიკა ბერიას შემდეგ არ გატარებულა“, რომელიც დალი ებრალიძემ ჩაიწერა. აღნიშნულ სტატიაში იგი ეხება აფხაზეთში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ელიტას გასული საუკუნის მეორე ნახევარში:

> ქართული პოლიტიკა აფხაზეთში არც არასოდეს ყოფილა. კარგად მახსოვს ის დრო (ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე), როცა საპასუხისმგებლო პოსტზე აფხაზეთში თბილისიდან გამოგზავნილი პირები ინიშნებოდნენ. მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე მუდამ ქართველი იყო, ასევე საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, განყოფილების გამგეები და ა.შ. ყველანი ისინი გამოგზავნილები იყვნენ და არა ადგილობრივნი. ასეთმა კაცმა იცოდა, რომ რამდენიმე წელიწადში სხვა თანამდებობაზე გადავიდოდა, ამიტომ ამ წლებს იგი ტრამპლინად იყენებდა. ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა აფხაზებთან. ისეთებიც იყვნენ, საგანგებოდ რომ სწავლობდნენ აფხაზ პოეტთა ლექსებს და ლხინის დროს სიხარულით წარმოსთქვამდნენ, აქაოდა, თქვენთან თბილი, კარგი დამოკიდებულება გვაქვსო. მერე ჩამოდიოდა სხვა და იწყებოდა ყველაფერი თავიდან, – და ამ სნეულებას, რომელმაც 1956 წელს იჩინა თავი, გამუდმებით ჩქმალავდნენ. არავის უფიქრია იგი რომ ერთ მშვენიერ დღეს აფეთქდებოდა და საშინელ შედეგებს მოიტანდა. აფეთქდა კიდეც 1992 წელს, როცა საბჭოეთი დაიშალა, როცა ყველაფერი ქაოსმა მოიცვა. სეპარატისტებმა, პრაქტიკულად სწორედ მაშინ გამოიყენეს ის მეთოდები, რომელმაც ბოლოს აფხაზეთში დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა გამოიწვია. ვფიქრობ, ეს შეცდომა უნდა ვაღიაროთ და ვთქვათ, 1956 წ., 60-70 წლებშიც სწორედ ასეთი პოლიტიკა ტარდებოდა. ამიტომაც რაღაც განსაკუთრებული ქართული პოლიტიკა, ლავრენტი ბერიას შემდეგ, აღარ გატარებულა. უნდა ვთქვა, რომ მიუხედავად მისი უამრავი უარყოფითი თვისებისა, იგი, როგორც ქართველი და კაცი, რომელსაც სურდა ნამდვილად ძლიერი საქართველო ეხილა, ბევრ რამეს აკეთებდა. ვიმეორებ – მისი სიკვდილის შემდეგ ქართული პოლიტიკა აფხაზეთში აღარ გატარებულა. აფხაზებისა და ქართველების ურთიერთდამოკიდებულება აგებული იყო იმაზე, რომ იქ ქართველი მეორეხარისხოვანი ერი იყო. პირველი ხელმძღვანელი, აუცილებლად, აფხაზი უნდა ყოფილიყო, ქართველი კი – მისი მოადგილე. ქართველსა და აფხაზს რომ ეჩხუბათ, მილიცია მხოლოდ ქართველს იჭერდა... და ა.შ. აი, ასეთი პოლიტიკა იყო და შედეგიც მივიღეთ (ნადარეიშვილი 1997: 3).

ისტორიკოსმა უჩა ოქროპირიძემ კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცემულ კრებულში გამოაქვეყნა სტატია *აფხაზური პრობლემის თანამედროვე გააზრებისთვის*. აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ეხება აფხაზეთში არსებულ საბჭოთა პოლიტიკურ ნომენკლატურას და მის ურთიერთობას ეროვნულ მოძრაობასთან:

> სამწუხაროდ, მაშინ ორივე მხარისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა გონიერების ხმის გაგონება, რადგან ეროვნული ძალებიდან მომდინარე ამ ჭეშმარიტად გონივრულ სულისკვეთებას სასტიკად დაუპირისპირდა რუსულ და, უფრო მეტად, საბჭოთა ნიადაგზე ამოზრდილი ბოლშევიკურ-პარტიული საქმიანობისა და იდეოლოგიის პროდუქტი, საბჭოთა ჰომოსოვეტიკური სისტემის ერთგული მსახური და მისი ნების ყურმოჭრილი აღმსრულებელი, ქართველი და აფხაზი ხალხის უბოროტესი მტერი საბჭოური ნომენკლატურა! აღნიშნულმა ნომენკლატურამ ყველაფერი გააკეთა ჩვენი ხალხების ერთმანეთისაგან გასაუცხოებლად, ერთმანეთზე წაკიდებისა და მათ მიერ ერთმანეთისადმი უკიდურესი სიძულვილის დასათესად და გასაღვივებლად (ოქროპირიძე 2019: 126-138).

ცნობილი აფხაზი ჟურნალისტი ვიტალი შარია აქვეყნებს სტატიებს აფხაზეთის გვიანი საბჭოთა პერიოდის ისტორიის თაობაზე. ვიტალი შარია იყო აფხაზეთში საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რუსულენოვანი გაზეთის "Советская Абхазия" თანამშრომელი. მის მიერ გამოქვეყნეული ერთ-ერთ სტატია თემაზე Абзазия и "союз нерушимый", გამოქვეყნდა რუსულ ინტერნეტსივრცეში, კავკასიის საკითხებზე ორიენტირებულ ვებ-გვერდზე "Exo Кавказа":

> ჩვენთვის უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ სინამდვილეში ყველაფერი ისე არ მიდიოდა, როგორც მიღებული კანონების საფუძველზე იყო დადგენილი, რადგანაც ყველაზე ხშირად ცხოვრება უარყოფს თეორიულ კონსტრუქციებს. ხელისუფლებისათვის ბრძოლა ელცინსა და გორბაჩოვს შორის გახდა ერთმნიშვნელოვანი მიზეზი საბჭოთა კავშირის დაშლის, შემდეგ ავტონომიების საკითხი კი არავის ახსოვდა (შარია 2020).

მთელი გასული საუკუნის განმავლობაში და განსაკუთრებით კი საბჭოთა მმართველობის ბოლო პერიოდში საქართველოს სსრ აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში ფარულად ღვივდებოდა სეპარატიზმი. კონფლიქტის მიზეზები უნდა ვეძიოთ ჯერ კიდევ XX საუკუნის 50 წლებიდან საბჭოთა სპეცსამსახურების ფარულ ქმედებებში, რაც მიზნად ისახავდა სსრკ დაშლის შემთხვევაში აფხაზეთის საქართველოსაგან დაუყონებლივ გამოყოფას. ეს იყო ერთგვარი ნაღმი, რომელიც საჭირო დროს უნდა ამოქმედებულიყო და ამოქმედდა კიდეც სსრკ დაშლის შემდეგ. რუსეთის ხელისუფლება ამ გარემოებას წარმატებით იყენებდა საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და მისი მეთაურის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. თუკი საქართველო გახდებოდა დამოუკიდებელი, ის უნდა შეგუებოდა აფხაზეთის დაკარგვას.

დამოწმებანი

ავიძბა 2012: А. Авидзба. *Абхазия и Грузия: завтра была война*, Академия наук Абхазии, Абхазский институт гуманитарных исследований им. Д. И. Гулиа.

ავიძბა 2013: А. Авидзба. *Проблемы военно-политической истории Отечественной войны в Абхазии (1992-1993 гг.)*, Академия наук Абхазии Абхазский институт гуманитарных исследований им. Д. И. Гулиа.

ანჩაბაძე 2005: ჯ. ანჩაბაძე. *ქართულ-აფხაზური უთანხმოების ისტორიიდან*, თბილისი, ბარტონი.

ბღაშბა, ლაკობა 2007: О. Бгажба, С. Лакоба. *История Абхазии с древнейших времен до наших дней*, Академия наук Абхазии Абхазский институт гуманитарных исследований им. Д. И. Гулиа.

ბღაშბა, ლაკობა 2015: О. Бгажба. С. Лакоба. *История Абхазии с древнейших времен до наших дней. 10-11 классы*, Академия наук Абхазии Абхазский институт гуманитарных исследований им. Д. И. Гулиа.

გამახარია და სხვები 2007: ჯ, გამახარია, ლ. ახალაძე, მ. ბარამიძე. *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე*, თბილისი, ინტელექტი.

გასვიანი 2004: გ. გასვიანი. *აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში*, თბილისი, არტანუჯი.

იზორია 2015: ლ. იზორია. *აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა (1945–1993 წწ.)*, სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი.

ლეჟავა 1997: Г. Лежава. *Между Грузией и Россией: исторические корни абхазо-грузинского конфликта*, Российская Академия наук.

მალაშხია 2011: შ. მალაშხია. *კონფლიქტების ანატომია*, თბილისი, ფორმი.

ნადარეიშვილი 1997: ნ. ნადარეიშვილი. აფხაზეთში ქართული პოლიტიკა ბერიას შემდეგ არ გატარებულა: ინტერვიუ/ესაუბრა დალი ებრალიძე, *კვირის პალიტრა*, N35 (124), თბილისი.

ოქროპირიძე 2019: უ. ოქროპირიძე. აფხაზური პრობლემის თანამედროვე გააზრებისათვის, *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, N 33. თბილისი, ისრაელიც ცენტრი.

პაპასქირი 2007; ზ. პაპასქირი. *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. 2, 1917-1993*, თბილისი, მერიდიანი.

პაპასქირი 2016: ზ. პაპასქირი. *საქართველო: ისტორიული წარსული და თანამედროვეობა*, თბილისი, მერიდიანი.

პაპასქირი 2010: З. Папаскири *Абхазия история без фалсификации*, Издательство Сухумского Государственного Университета.

შარია 2020: В. Шария. *Абхазия и "союз нерушимый"*, იხ. ლინკი www.ekhokavkaza.com/a/30648877.html?fbclid=IwAR2N-pNPRBazpHHrkoy8eEkkXgmUkpD7RCv32ЛuBhjtRuep0XTC3_3kHP7k (ნანახია: 06/19/2022).

ცაავა 2015: გ. ცაავა. რუსული იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში (XIX საუკუნის 60 წლები-XX საუკუნის 80 წლები), სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

ჯოჯუა 2007: დ. ჯოჯუა. *აფხაზეთი 1938-2006 წლებში: ჰეგიონალური ისტორიული ჰოცესების ასპექტები, თბილისი, უნივესალი.*

ჯოჯუა 2014: დ. ჯოჯუა. *სოხუმის დაცემა: (სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის ცდა)*, თბილისი, ირიდა.

HISTORIOGRAPHY OF THE HISTORY OF ABKHAZIA IN THE SECOND HALF OF THE TWENTIETH CENTURY: A BRIEF OVERVIEW

Giorgi Aphkazava
Sokhumi State University
abkhazavagiorgi@gmail.com

The paper aims to represent historiography of Abkhazian history of the second half of twentieth century and provide critical analysis of the secondary literature on subject. The most of the available scholarly contributions were published already in Soviet era. They were written under the strict censorship and because of this reason their use without relevant criticism is unjustifiable. Many secondary sources in Georgian (among them are books, articles, doctoral dissertations) came out in the second half of twentieth century. In addition, the researches in European languages are available as well. The palpable part of them is in Russian and in their majority, they falsify history. These publications belong to Oleg Bghashba, Stanislav Lakoba, Aslan Avidzba, Vitaly Sharia, and others.The scientific researches on the history of Abkhazia by well-known modern Georgian academic Zurab Papaskiri reflect the historical reality and through them the readers can get to the heart of the matter.

საარქივო მასალების პუბლიკაცია

PUBLICATION OF ARCHIVAL MATERIALS

მიხეილ მაქარაშვილის წერილები და მოგონებები

გიორგი სოსიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
giorgisosiashvili@gmail.com

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის, გიორგი ჟურულის დის ნინო დურმიშხანის ასულ ჟურულსა და მის მეუღლეს გენერალ-ლეიტენანტს ილია მაქარაშვილს[1] ნიკოლოზის (ნიკუშა) გარდა კიდევ ორი ვაჟი ჰყავდათ. გიორგი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. მათი უმცროსი ვაჟი – მიხეილი 1903 წელს დაიბადა. ფრანგულად დაწერილს მოგონებაში, რომლის ნაწილი პ. ნაცვლიშვილმა გამოაქვეყნა, მიხეილი წერს:

> დავიბადე 1903 წლის 7 ოქტომბერს ძველი სტილით (ახალი სტილით 20 ოქტომბერს) ჯილალოღლიში – პატარა ქალაქში საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე. აქ იმყოფებოდნენ იმ დროს ჩემი მშობლები – მამა ქალაქის გარნიზონში მსახურობდა. მე მომწათლეს არბოში და იქვე ვცხოვრობდი ჩემს ბებიასა და ბაბუასთან ერთად (ნაცვლიშვილი 1992: 6. იხ. დანართი 2).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული მიხეილი, სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად სწავლის გასაგრძელებლად 1922 წელს, ევროპაში წავიდა. მიხეილ მაქარაშვილი იგონებს:

> მე დავტოვე ჩემი სამშობლო 1922 წელს, როგორც კი შემისრულდა 19 წელი, რათა ჩემი საინჟინრო განათლება უცხოეთში განმემტკიცებინა. რაკი გადაწყვეტილი მქონდა დაბრუნება, თან არ წამომიღია არც ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა ჩვენს ოჯახს. სიმართლე რომ ვთქვა, მე მაშინ ამაზე არც მიფიქრია. თუ ღმერთის წყალობით, ოდესმე მოგეცემათ საქართველოში ნასვლის შესაძლებლობა (მოგონების ავტორი შვილებს მიმართავს – გ.ს.) და თუ წახვალთ, ვეჭვობ, მათი დაბრუნება შეძლოთ, მით უმეტეს, რომ ჩემი ერთადერთი და – ირა აღარ არის ახალგაზრდა და თანაც ქაღალდები შეიძლება, უბრალოდ, დაიკარგა (ნაცვლიშვილი 1992: 6; დანართი #2) .

როგორც 1922 წლის 30 სექტემბრით დათარიღებულ წერილში აღნიშნავს, მიხეილ მაქარაშვილი ევროპაში ბათუმიდან გაემგზავრა. ბათუმში მისთვის სტუდენტობის დამდასტურებელი ცნობა ჩამოურთმევიათ, რაზეც ის ძალიან წუხდა (ფონდი 1ა). მიხეილი ბათუმიდან სტამბოლში (კონსტანტინოპოლში) ჩავიდა. აქედან კი ჰააგაში გაემგზავრა, სადაც იქ მყოფ ქართველებთან ვინმე ცქიტიშვილთან და დეკანოზოვებთან დაბინავდა (ფონდი 1ა). 1922 წლის 11 დეკემბრით დათარიღებულ წერილში, გერმანიაში მყოფი მიხეილ მაქარაშვილი ოჯახს ატყობინებდა, რომ სააღდგომოდ ბერლინში ბიძასთან – გიორგი ჟურულთან აპირებდა სტუმრობას. გარკვეული პერიოდი ის გერმანიის ქალაქ კარლსრუეში გაჩერებულა. როგორც ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, მიხეილს ორ ქართველთან – მ. ყაუხჩიშვილთან და ჯაშს[2] ერთად სუფრაზე მიუწვევიათ ვინმე არჩილი[3] და ელიავა, მაგრამ ისინი წვეულებაზე არ მისულან.

მიხეილ მაქარაშვილს ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთში მოღვაწე ქართველ იურისტთან მიხეილ მუსხელიშვილთან (მიშელ მუსხელი), რომელიც შემდგომში სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. სწორედ მას ეკუთვნოდა ევროგაერთიანების შექმნის იდეა (პორტალი 2020); (ბრაინ სიმფსონი 2001: 609); (ჰილტონი: 1979: 52-79); (ქართველები უცხოეთში თ.გ. ა); (შარაძე 1991: 477-482); (ჯაფარიძე 2019). ოჯახის სახელზე გამოგზავნილ, 1926 წლის 3 სექტემბრით დათარიღებულ წერილიდან ირკვევა, რომ მიხეილ მაქარაშვილმა მიხეილ მუსხელიშვილთან ერთად იმოგზაურა მონტე-კარლოსა და ნიცაში (ფონდი 1ა). მიხეილ მაქარაშვილის და მიხეილ მუსხელიშვილის ახლო ურთიერთობას ადასტურებს 1927 წლის 10 ივლისით დათარიღებული კიდევ ერთი წერილი. როგორც მიხეილ მაქარაშვილი აღნიშნავს, წერილის დაწერისას სტრასბურგის უნივერსიტეტის მომავალი ქართველი პროფესორი მასთან იმყოფებოდა და საქართველოში მყოფ მაქარაშვილების ოჯახს მოკითხვას უთვლიდა (ფონდი 1ა). მიხეილ მაქარაშვილი და მიხეილ მუსხელიშვილი ხშირად ხვდებოდნენ, თუმცა მუსხელიშვილის სამსახურებრივი მდგომარეობიდან

გამომდინარე გარკვეული პერიოდი მეგობრები ერთმანეთს დაშორდნენ. მიხეილ მაქარაშვილის მიერ საფრანგეთიდან გამოგზავნილ, 1938 წლით დათარიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ მიშა მუსხელიშვილი ეგვიპტიდან ახალი ჩამოსული იყო და იგი ისევ ქაიროში აპირებდა დაბრუნებას (ფონდი 1ა).

მიხეილ მაქარაშვილი თავისი მეგობრის წარმატებებს საქართველოში მცხოვრებ ოჯახის წევრებს და ახლობლებს ხშირად ატყობინებდა. 1946 წლით დათარიღებულ ერთ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ მიხეილ მუსხელიშვილი უკვე პროფესორი იყო (ფონდი 1ა). მიხეილ მაქარაშვილს ემიგრაციაში წასვლამდე ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. მათ შორის გამოჩენილ ქართველ მხატვართან ელენე ახვლედიანთან, რომელსაც მიხეილის პორტრეტიც დაუხატავს (ფონდი 1ა).

მიხეილ მაქარაშვილი ჯერ გერმანიაში სწავლობდა (ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში), ხოლო შემდეგ სწავლა გრენობლის (საფრანგეთი) უნივერსიტეტში გააგრძელა (1927-1928 წ.წ.). სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ფონტებლოსა და გრენობლში, ბოლოს კი პარიზში დამკვიდრდა. 1930 წლის 5 მაისს, საქართველოში გამოგზავნილ წერილში მიხეილ მაქარაშვილი იტყობინებოდა, რომ "Peugeot"-ს ქარხანაში მოეწყო სამუშაოდ და მისი ანაზღაურება 1500 ფრანკი იყო (ფონდი 1ა). 1931 წლის 1 სექტემბერს მიხეილ მაქარაშვილი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და დაზიანებები მიიღო (ფონდი 1ა). 1937 წელს მიხეილმა პარიზში მყოფი ბიძის – გიორგი ჟურულის ოჯახი მოინახულა. იმ დროისთვის გიორგი ჟურულის ერთ-ერთი ვაჟი კონსტანტინე (კოტიკო) უკვე მუშაობდა, ხოლო მეორე – დურმიშხანი (დუმა) ახალი გამოჯანმრთელებული იყო (იგი ხშირად ავადმყოფობდა) (ფონდი 1ა). როგორც მიხეილ მაქარაშვილი წერს – კოტე ჟურული მის მცირეწლოვან ვაჟს – გოგის მშობლიურ სოფელზე – არბოზე ბევრს ესაუბრებოდა და ბავშვს სამშობლო ძალიან შეაყვარა (ფონდი 1ა). ემიგრაციაში მყოფ მიხეილ მაქარაშვილს ძალზე ენატრებოდა თავისი სამშობლო, განსაკუთრებით კი სოფელი არბო (ოჯახის წევრებს იგი არბოს ფოტოსურათების გაგზავნას სთხოვდა). იგი იხსენებდა გერისთობის დღესასწაულს მშობლიურ სოფელში. ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა, თუმცა, ბევრი ხელისშემშლელი მიზეზი არსებობდა. მიხეილ მაქარაშვილი ბრიუსელში დასწრებია საბჭოთა გამოფენას, სადაც ქართული კერძები და ღვინო დაუგემოვნებია. მიხეილ მაქარაშვილს საქართველოდან ამანათებს ხშირად უგზავნიდნენ, რაზეც კმაყოფილებით წერდა. ევროპაში ჩასულ მიხეილ მაქარაშვილს თავდაპირველად ძალზე უჭირდა. როგორც ერთი წერილიდან ირკვევა, იგი საიმედო კაცის ხელით საქართველოში ზამთრის ქურქის გამოგზავნას და გაყიდვასაც კი აპირებდა, რომ ამით მცირეოდენი შემოსავალი მიეღო (ფონდი 1ა). დის – ირინა მაქარაშვილისადმი გამოგზავნილ ერთ წერილში იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ დედისთვის ყურსასმენი მილის ყიდვა უნდოდა, თუმცა, უსახსრობის გამო ვერ მოახერხა (ფონდი 1ა). 1948 წელს, მიხეილმა მძიმედ განიცადა დედის გარდაცვალება. წლისთავზე, მისი თხოვნით, ეკლესიაში (იგი ტაძარს არ იხსენიებს, თუმცა შესაძლოა, პარიზის წმინდა ნინოს სახელობის სალოცავზე იყოს საუბარი) ნინო ჟურულის სულის მოსახსენიებელი წირვა ჩაუტარებიათ (ფონდი 1ა).

დედის – ნინო ჟურულის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ მიხეილ მაქარაშვილის ბიძა – დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურულიც აღესრულა. მოხუცებულ დედის ძმას მიხეილი კვირაში ერთხელ სტუმრობდა. იგი საყვედურობდა ბიძაშვილს – კოტეს (გიორგი ჟურულის ვაჟს), რომელიც მშობლებისთვის ნაკლებად იცლიდა. საფრანგეთში მყოფი ძმის და მისი ოჯახის მონახულებას კარგა ხანი გეგმავდა მისი და ირინა. თუმცა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეს არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. საბოლოოდ, 1966 წელს ირინას მეუღლის, ცნობილი მეცნიერის – ანატოლი კიზირიას დიდი ძალისხმევით, კომუნისტური მთავრობისაგან ირინამ ევროპაში წასვლის ნებართვა მიიღო და ჩეხოსლოვაკიაში, კერძოდ, ქალაქ პრაღაში დიდი ხნის უნახავ ძმას შეხვდა.

მიხეილ მაქარაშვილი ემიგრაციაში დაოჯახდა. მან გრენობლის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში პოლონელ ქალბატონზე ელიზაბეტ გლასზე ჯვარი დაიწერა, რომელთანაც ორი შვილი გიორგი და ინესი შეეძინა. მიხეილის და ელიზაბეტ გლასის ორივე შვილი ფონტებლოში დაიბადა. გიორგი (გოგი) (დაბ. 1932 წ.) გარეგნულად მიხეილის უდროოდ დაღუპულ ძმას ნიკუშას ჰგავდა, ხოლო

ინესს (დაბ. 1935 წ.) მამა ენაწყლიანობით ირინა მაქარაშვილს ამსგავსებდა. მიხეილის ვაჟმა სამხედრო სავალდებულო სამსახური საფრანგეთის არმიაში მოიხადა. აქვე მიიღო უმაღლესი განათლება და პროფესიულ საქმიანობას შეუდგა. მცირე ხანში საბანკო სფეროში მყოფი გიორგი (გოგი) მაქარაშვილი სამსახურიდან სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე იქნა მივლინებული. პერუს დედაქალაქში – ლიმაში გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე კარმენი და აქვე დამკვიდრდა (ვრცლად იხ. ქვემოთ). საქართველოში გამოგზავნილ წერილებში მიხეილ მაქარაშვილი დიდი სიყვარულით იხსენიებდა გოგის შვილებს, განსაკუთრებით კი თავის სეხნია შვილიშვილს. 1962 წელს მიხეილი და თავისი მეუღლე ელიზაბეტ გლასი შვილს პერუში ესტუმრნენ. მგზავრობა საკმაოდ დამქანცველი იყო. ისინი გემით ჯერ ნიუიორკში ჩავიდნენ, ხოლო შემდეგ მაიამის გავლით ლიმაში ჩაფრინდნენ (ფონდი 1ა). მალე მიხეილ მაქარაშვილის ქალიშვილი – ინესიც დაოჯახდა. იგი საფრანგეთში ჟან-პიერ საილოზე გათხოვდა. მიხეილ მაქარაშვილმა ინესს ქორწილი გადაუხადა. საზეიმო მიღებაზე 150 ადამიანმა მოიყარა თავი, ხოლო ვახშამი 12 კაცზე გაუწყვიათ. მიხეილი სიამაყით წერდა, რომ ქორწილში ინესმა და მისმა ფრანგმა მეუღლემ ლეკური იცეკვეს (შვილებს კავკასიური ცეკვა მან ბავშვობაშივე ასწავლა), ხოლო თვითონ ცეკვა „კინტაური" შეასრულა (ფონდი 1ა). ქალიშვილის გაბედნიერებისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაზე მიხეილ მაქარაშვილის ოჯახს სტუმრობდნენ ემიგრაციაში მყოფი ქართველები, მათ შორის: ქეთუშა ვაჩნაძე, ნინა კვიტაშვილი, მიშა გოცირიძე, მამულაშვილები, გომართელი (მიხეილის წერილში ზოგიერთი მათგანი მხოლოდ გვარით არის მოხსენიებული) და სხვ. 1967 წელს, ირინა მაქარაშვილის მოწვევით მიხეილ მაქარაშვილის ქალიშვილი ინესი და მისი მეუღლე ჟან-პიერ საილო საქართველოში ჩამოვიდნენ (ფონდი 1ა).

მოწვევის წერილში აღნიშნულია, რომ მასპინძელი (ირინა მაქარაშვილი) უზრუნველყოფდა საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს საცხოვრებელი ბინით და სხვა დამატებითი ხარჯებით (ფონდი 1ა).

ემიგრაციაში მყოფი მიხეილ მაქარაშვილი ხშირად ხვდებოდა ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ჩასულ მოღვაწეებს. 1966 წელს იგი მეუღლესთან ერთად ქართული საბალეტო ჯგუფის „გორდას" წარმოდგენას დაესწრო, სადაც გაიცნო ქართული საბელეტო ხელოვნების უნიჭიერესი წარმომადგენელი ვერა წიგნაძე (ფონდი 1ა).

მიხეილ მაქარაშვილი 1967 წლის დეკემბერში, 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ლევილის ქართველთა სასაფლაოზე დაკრძალეს (პაპავა 1990: 96). ემიგრაციაში მყოფ მიხეილ მაქარაშვილს სამშობლოსთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა თავის ოჯახთან. საქართველოს ხელოვნების სასახლეში, მაქარაშვილების ფონდში დაცულია საფრანგეთიდან გამოგზავნილი მიხეილ მაქარაშვილის ათობით წერილი. მათი უმეტესობა რუსულ ენაზეა დაწერილი. წერილებში გენერალ ილია მაქარაშვილის ვაჟი სამშობლოში მყოფ ოჯახის წევრებს ემიგრანტულ ცხოვრებაზე მოუთხრობს. მიხეილ მაქარაშვილის ბარათებში ძალზე საინტერესო ცნობებია უცხოეთში მცხოვრებ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებზე. საფრანგეთში დამკვიდრებულმა მიხეილმა ფრანგულ ენაზე დაწერა მოგონებები თავის ოჯახზე, საქართველოში გატარებულ წლებზე. მოგონებებში ცოცხლდება მიხეილის პაპა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე – დურმიშხან ჟურული, მისი მეუღლე ქეთევან ნამორაძე, რომლის სახელსაც უკავშირდება ბათუმის თეატრის დაარსება, მიხეილის მამის – გენერალ-ლეიტენანტი ილია მაქარაშვილის სახლობა. მოგონებებში ძალზე საინტერესო ცნობებია მაქარაშვილების გვარის წარმომავლობაზე, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომზე, 1918 წლის სადგურ შამქორთან გამართულ შეტაკებაში დაღუპულ ნიკოლოზ მაქარაშვილზე, რომელიც მიხეილის უფროსი ძმა გახლდათ. მოგონებების დედანი, რომელიც ფრანგულ ენაზეა, ინახება პერუში, კერძოდ, ქალაქ ლიმაში, მიხეილ მაქარაშვილის ვაჟის გიორგი (გოგი) მაქარაშვილის ოჯახში. მიხეილ მაქარაშვილის ხელნაწერის ასლი ბატონმა გიორგიმ გამოგვიგზავნა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ. მოგონებების ქართული თარგმანის ნაწილი, გამოქვეყნებული აქვს ცნობილ ქართველ პოეტს, ჟურნალისტს და მეცნიერს პ. ნაცვლიშვილს, რომელიც პირველად შეხვდა პერუში მცხოვრებ გიორგი (გოგი) მაქარაშვილს. მიხეილ მაქარაშვილის მიერ დაწერილი ტექსტის სრული ვარიანტი ჩვენი თხოვნით ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა საფრანგეთის რესპუბლიკაში, გორის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, გოჩა ჯავახიშვილმა.

დანართი №1.

მიხეილ მაქარაშვილის საფრანგეთიდან გამოგზავნილი წერილები ოჯახის წევრებისადმი.

მიხეილ მაქარაშვილის წერილი დედას და ირას. 1922 წლის 30 (?)

მინიშნებულ თარიღში მხოლოდ 1922 წელი ფიგურირებს. თარიღი წერილს დასაწყისში აქვს მიწერილი. დღის აღმნიშვნელი რიცხვი 30 – მკაფიოდ იკითხება, ხოლო თვის აღმნიშვნელი ციფრი გაურკვეველია.

წერილს ასევე აქვს მინაწერი: „ბიძია გკოცნით ყველას, დეკანოზოვები მოკითხვას გითვლიან და გთხოვენ გადასცეთ ნინას, რომ ჩამოვიდეს" (ხელნაწერი, რუსულ ენაზე, დაწერილია ორგანიზაცია „ჩემო"-ს[4] ბლანკზე, იკითხება პრეზიდენტი გიორგი ჟურული, იქვე, ამ კომიტეტის მართკუთხა შტამპია და იკითხება – 22 ივნისი).

ძვირფასო დედა და ირა!

ჰააგიდან, სადაც გუშინწინ ჩავედი, დუნკერნამდე გემით „ჰეკტორი", ვიმგზავრე. ამსტერდამამდე უნდა მემგზავრა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გემი დუნკერნში კიდევ ათი დღე უნდა გაჩერებულიყო და მეც რკინიგზით წამოვედი. გზაში 10 საათი გავატარე, საფრანგეთი და ბელგია გამოვიარე. ვნახე: ანტვერპენი, ბრიუსელი და სხვ. ერთი სიტყვით, ჩემი მოგზაურობა კონსტანტინოპოლიდან ძალიან საინტერესო გამოდგა. ბევრი ქვეყანა მოვიარე, აფრიკაშიც კი ვიყავი – ალჟირში. გემზე თითქმის მთელი თვე გავატარე. მშვენიერი კაიუტა მერგო და კვებაც კარგი იყო, რაც სულ 18 ფუნტი სტერლინგი დაჯდა. არადა, ხმელეთით რომ მემგზავრა 40 ფუნტი სტერლინგი დაჭირდებოდა. მგზავრები და ეკიპაჟის წევრები კარგად მეპყრობოდნენ, ისე რომ კარგად გავერთე. კონსტანტინოპოლიდან სამი წერილი გამოვგზავნე, ერთი ჯაყელის,[5] მეორე ლანდიას,[6] ხოლო მესამე მარინას[7] მეშვეობით. ბათუმიდანაც ერთი წერილი გამოვგზავნე. აქ ჰააგაში „ჩემო"-ს ერთ-ერთ თანამშრომელთან, ცქიტიშვილთან,[8] ვცხოვრობ, ხოლო დეკანოზოვებთან[9] – ვიკვებები. ისინი გულითად მოკითხვას გითვლიან. ნინა სამსონის ასულ ელიაშვილს[10] თუ ნახავ გადაეცი, რომ ყველაფრის მიუხედავად, რაც შეიძლება მალე გამოემგზავროს. დედი! ბათუმში ყველა წერილთან ერთად უნივერსიტეტის მოწმობაც ჩამომართვეს, რომელიც ადასტურებდა, რომ საინჟინრო-მექანიკური ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. თუ ღმერთი გწამს, უნივერსიტეტში მიდი და აუხსენი, რომ ბათუმში ჩამომართვეს, რადგან ქართულ ენაზე იყო. მათ ახალის მოცემა თხოვე, რადგან ყოველივეს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აუცილებლად შეეცადე და პარმენს[11] გადაეცი, ის კი „ჩემო"-ს საბუთებთან ერთად გამომიგზავნის. როგორც ჩანს, ჰააგაში 10 დღე გავჩერდები, მერე კი კარლსრუეში გავემგავრები, სადაც ვისწავლი კიდეც.

ბიცოლა[12] და ბიძია[13] ბერლინში არიან და შესაძლოა მათი მონახულება ამჟამად ვერ მოვახერხო. დეკანოზოვები კარგად მექცევიან. არჩილს[14] გადაეცი, რომ გერმანული ენის შესწავლა დაიწყოს, რადგან გერმანიის გარდა წასვლა არსად არ ღირს. ინგლისსა და საფრანგეთში ისეთი სიძვირეა, რომ მას იქ საარსებო წყარო არ ეყოფა. პრაღაში გამგზავრებას არავის ურჩევენ, რადგან მეცადინეობა შეუძლებელია. იქ ბევრი ქართველი და რუსია თავმოყრილი და ერთმანეთს ხელს უშლიან. ბერლინიდან და სხვა ქალაქებიდანაც კი შეგნებული ნაწილი პროვინციაში გადაბარგდა. ვგონებ, კარლსრუეში ერთადერთი ქართველი ვიქნები, ისე რომ შეიძლება რამე გამომივიდეს. ბათუმში ყველა წერილი ჩამომართვეს, როგორც პარმენმა მითხრა ბიძიასადმი გადასაცემად წერილი ლანდიას ჩააბარა, ხოლო ეს წერილი ლანდიას ბათუმში ჩამოართვეს. კონსტანტინოპოლში ჩემი ცხოვრების შესახებ წერილებიდან და მარინასგან გეცოდინებათ. გერმანიაში რომ ჩავალ დაწვრილებით წერილთან ერთად მისამართსაც გამოგიგზავნით, მანამდე კი „ჩემო"-ს მეშვეობით მომწერეთ.

ყველას მაგრად გკოცნით – მაშურას,[15] მის მეუღლესა[16] და მშობლებს,[17] მალალოს,[18] თამარ გოცირიძეს[19] და თამარ ელიაშვილს[20] და სხვებს.

მინაწერი აშიებზე: - პარმენი და ეკატერინე კონსტანტინეს ასული[21] დამიკოცნეთ

– კიდევ ერთხელ გკოცნით ძვირფასო ნინა დურმიშხანის ასულო, მიშა ჩამოვიდა, კარგად გამოიყურება. თქვენ არ იდარდოთ, ყველაფერი კარგად იქნება. ვწუხვარ, რომ მასთან ერთად ნინა[22] არ წამოვიდა, აუცილებლად ჩამოვიდეს, გკოცნით და ჯანმრთელობას გისურვებთ, ედკანოზოვა.[23]

P.S. გიგზავნით ფოტო-ბარათს, რომელიც პასპორტისთვის ჰააგაში გადავიღე.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

მიხეილ მაქარაშვილის წერილი დედას.

წერილი უთარიღო და ფრაგმენტულია, წერილში ირინა მაქარაშვილის მეუღლეს ავტორი არ მოიხსენიებს. რაც გვაფიქრებინებს, რომ იმ დროისთვის ირა გათხოვილი არ იყო, სავარაუდოდ წერილი გამოგზავნილია 1925 წლამდე.

(ხელნაწერი, რუსულ ენაზე, ტექსტში რამდენიმე ქართული წინადადებაა).

...დამაგვიანდა, თავის თავს დააბრალონ და დაელოდნონ, რომ მეორე სემესტრი ჩააბარონ, როგორც აქ ამბობენ მომდევნო სემესტრიდან უცხოელ სტუდენტებს სამი წლის განმავლობაში აღარ მიიღებენ და ჩამოსული ხალხი...[24] განათლების გარეშე დარჩება, რადგან იმის სახსრები არ ექნებათ, რომ სხვა ქვეყნებში მიიღონ განათლება.

ჩემო ძვირფასო, შენ წერ, რომ ფულის გამოგზავნას აპირებ, მაგრამ არ იცი როგორ. თუ მართლა გაქვს ზედმეტი თანხა, იმდენი, რომ მე გამომიგზავნო, მხოლოდ ვინმეს მეშვეობით ....[25] რამეთუ სხვა გზა არ არსებობს. მაგრამ გიმეორებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ზედმეტი ფული იქნება, რადგან სურვილი არ მაქვს შენ წაგგლიჯო. მე აქ როგორმე მოვეწყობი და ფული თქვენ უფრო დაგჭირდებათ.

ირას ან მუსიკა მოუნდება, ან კიდევ სხვა რამე, ვინ იცის, კიდევ რა მოგველის და როგორ გაგიჭირდეთ თქვენ. მერე რას ფიქრობთ? მარტო იმ შემთხვევაში გამოატანე ვინმეს თუ თქვენ არ გჭირდებათ.

იმის თაობაზე, რომ თურმე მე წერილებს მწერენ, გპასუხობ – მხოლოდ ერთხელ მივიღე წერილი ნინა ელიაშვილისგან, ოლიასა და თამარ გოცირიძესგან,[26] არჩილისა[27] და გოგისგან,[28] 8 აგვისტოს. ყველა ერთ კონვერტში იყო ჩადებული. სხვისგან არაფერი არ მიმიღია. ქურქის გაყიდვას არ ვაპირებ და თუ თქვენსკენ მომავალი სანდო მგზავრი იქნება გადმოგიგზავნით, რადგან მე აქ არ გამომადგება.

ჩემი ბინის პატრონი ისეთი კარგი ადამიანია, რომ როდესაც ჩვენები[29] ჩამოვიდნენ, სიძვირის გამო, სასტუმროში რომ არ ეცხოვრად, კიდევ ორი ოთახი დაგვითმო: მე და ბავშვები ზევით, პატარა ოთახებში, დავბინავდით, ხოლო ბიძია და ბიცოლა იმ ოთახში, სადაც მე ვცხოვრობდი. შენ აგვისტოში მწერდი, რომ 15 აგვისტოსთვის თბილისში იქნებოდი და იმედი მაქვს, რომ ....[30] უფრო აკურატულად მომწერ. ყველას გადაეცი, რომ არავისგან არაფერი არ მიმიღია. მე კი თითოეულ მათგანს ორ-ორი, სამ-სამი წერილი გავუგზავნე.

ყველა დამიკოცნე, უთვალავჯერ გკოცნი შენ, ჩემო კარგო დედიკო და გთხოვ არ დაივიწყო შენი მოსიყვარულე მიშა.

P.S. ძიძა მაგრად დამიკოცნე, პარმენი მაგრად გამოლანძღე, დუმილისათვის. შემდეგ მიწერილია ქართულად: ჩვენები გკოცნიან თქვენ ყველას და გვპირდებიან მალე მოგწერონ ყველას. ბავშვებიც დამპირდნენ მივწერთო.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

მიხეილ მაქარაშვილის წერილი ირას (ირინა მაქარაშვილს),

წერილი დათარიღებილია 1927 წლის 3 სექტემბრით (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემო ძვირფასო დაიკო იროჩკა.

მთელი გულით და სულით გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ ბედნიერებას და სურვილების ასრულებას. მართალია შენ უკვე იმ ასაკს უახლოვდები (საუკუნის მეოთხედი) როდესაც „ნებისმიერი თავმოყვარე ქალი“ დაბადების დღეს აღარ აღნიშნავს, მაგრამ ალბათ, შენი მეგობრები ამ დღეს მაინც თავს მოიყრიან და დროს მხიარულად გაატარებთ. იმედი მაქვს, რომ ეს ის ბოლო დაბადების დღე იქნება, რომელსაც შენ ჩემს გარეშე აღნიშნავ, ხოლო მომავალ წელს უკვე ერთად ვიმხიარულებთ. შენი და ტოლიას[31] მხრიდან დიდი უნამუსობა იქნება, თუ ჩემი ჩამოსვლისთვის პატარა დისშვილს არ დამახვედრებთ. უნდა გამოგიტყდე, რომ არჩილისა მშურს, რადგან მას უკვე ყავს, მე კი ჯერ არა. მიშა მუსხელიშვილს[32] და გიგიშას[33] შენი მოკითხვა გადავეცი. მიშა თვითონ აპირებდა შენთვის მოწერას, ხოლო გიგიშამ თავისებურად უთხრა ...[34] ჩემგანაც გადაეცი რა ...[35] და ამით დაამთავრა.

მართას[36] წერილისთვის მადლობა გადაეცი და უთხარი, რომ ჩემი და არჩილის გარეშე არ გათხოვდეს, რადგან ჩვენ მისი მაყრები ვიქნებით. ვახტანგს[37] პარიზში ხშირად ვნახულობთ, ის ძველებურად ფილოსოფოსობს. ალბათ გაიგებდი, რომ თამარ ამირეჯიბი[38] გერმანელ პიანისტზე გათხოვდა. იმასაც გაიგებდი, რომ ნარიმ ამილახვრის[39] უფროს ძმამ[40] ცოლად ბება[41] დადიანი მოიყვანა. შენ და მართა რაღაც-რაღაც მინიშნებებს აკეთებთ ჩემი გატაცებების თაობაზე. გარწმუნებ, რომ ამჟამად მე ამაზე არ ვფიქრობ, ის კი არა – ქორწინებაზეც კი. ასე რომ ნუ შეწუხდებით, თუ მე დასაქორწინებელი ჩამოვალ.

ვგონებ სისულელეებზე საუბარი საკმარისია. აქ დროს არც თუ ისე ცუდად ვატარებ, ბევრს ვკითხულობ და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს და შემოგარენს ვათვალიერებ. სამშაბათს, მიშა მუსხელიშვილი და მე, მთელი დღით, ნიცაში და მონტე-კარლოში მივემგზავრებით.

აბა კარგად იყავი. თამარ ჭელიძეს თუ შეხვდები ჩემს მაგიერ აკოცე. მოკითხვა გადაეცი მართას, მალალოს[42] მიულოცე.

მაგრად გკოცნით შენ და ტოლიას. მომწერე.

შენი მიშა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

მიხეილ მაქარაშვილის წერილი ნინო ჟურულისადმი. წერილი დათარიღებულია 1927 წლის 10 ივლისით (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემო ძვირფასო დედიკო!

უკვე ორი კვირაა, რაც პარიზში ვიმყოფები და მუშაობას შევუდექი. ალბათ კიდევ ორი კვირა აქ დავრჩები, რადგან სამსახურს მხოლოდ 20-ში ვამთავრებ. გამოცდების შედეგები ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ ვფიქრობ რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ამჟამად პარიზში სამსახურის მონახვა მეტად რთულია. ასე რომ თუ სამსახურს ვერ ვნახავ, აქ დიდხანს ალბათ არ გავჩერდები. არჩილი ისევ აქ იმყოფება და უსახსრობის გამო მისი აქედან წამოსვლა ჭიანურდება, მაგრამ იმედი აქვს, რომ პირველი აგვისტოსთვის გამოემგზავრება. მუსხელოვებიც[43] აქ არიან. ამ კვირას ალბათ თამარ საბახტარაშვილის და გიგიშას ქორწილი იქნება. მე მას კარგად ვიცნობ ის არაჩვეულებრივი ადამიანია და ის[44] მაგრად უყვარს და ყველა იმაზე საუბრობს, რომ მათი ქორწინება ბედნიერი იქნება თუ გიგიშა თვითნებობას თავს დაანებებს. ბება დადიანიც მალე, ნარიმ ამილახვრის(?) უმცროს ძმაზე თხოვდება.

ეს იყო და ეს, რაც აქაურ ახალ ამბებს ეხება. მე აქ ისე ვარ დაკავებული, რომ ფაქტობრივად

არავინ მინახავს. ან როგორ უნდა მენახა, ან ვინმესთან როგორ მივსულიყავი, როცა სულ მუდმივად დაკავებული ვარ და მხოლოდ კვირა დღეს თუ ვიცლი, ამ დღეს კი ყველასთან მისვლას ვერ მოასწრებს კაცი.

საწყალი მამულაშვილების[45] მდგომარეობა სახარბიელო არ არის. დედაბუდიანად ყველა მუშაობს. საერთოდ კი, რაც დრო მიდის აქაურ ოჯახებს უფრო მეტად უჭირთ.

შემდეგ წერილამდე გემშვიდობებით. მაგრად, მაგრად გკოცნით შენ, ირას და ტოლიას. ხშირად მომწერეთ.

ვკოცნი ძიძას და მოკითხვა ყველას. თქვენი მიშა.

<u>მინაწერი:</u> მიშა მუსხელიშვილი თავზე მადგას და მოკითხვას გითვლის, აგრეთვე არჩილიც.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

მიხეილ მაქარაშვილის წერილი ირას (ირინა მაქარაშვილს).

წერილი დათარიღებულია 1930 წლის 5 მაისით (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემო ძვირფასო იროჩკა,

დღეს ახალი სტილით შენი ანგელოზის დღეა, მაგრამ ვიცი, რომ შენ ძველი სტილით აღნიშნავ და ვჩქარობ მალე მოგწერო. ჩემო ძვირფასო დაიკო, მთელი გულით და სულით გილოცავ ანგელოზის დღეს, გულწრფელად გისურვებ ბედნიერებას და ყველა სურვილის ასრულებას. ალბათ, ისევე როგორც ეს ადრეც ხდებოდა, შენთან შენი მეგობრები თავს მოიყრიან, იმხიარულებთ, კარგ დროს გაატარებთ და იქნებ მეც გამიხსენოთ. უკვე მეცხრე წელია რაც შენ ანგელოზის დღეს უჩემოდ აღნიშნავ. არადა, მახსოვს, თუ როგორ ვცეკვავდით, როგორ ვმხიარულობდით და დროს რა კარგად ვატარებდით. ღმერთმა ინებოს, მალე შევხვდროდეთ და ყველას ერთად კარგი დრო გაგვეტარებინოს. ალბათ 8-10 დღის შემდეგ, გრენობლში მიმავალი ელია და მისი დედა რამოდენიმე დღით აქ ჩამოვლენ. შემდგომ კი, 30-ში, მეც იქ გავემგზავრები. ყოველივეს თაობაზე უკვე მოგწერე, მაგრამ შეგახსენებ, რომ 2 თუ 3 ივნისს, ჩვენი ქორწილი იქნება, მაგრამ დღემდე შესაფერისი ბინა ვერ მოვნახე. ამ საკითხის მოგვარება ძალზე რთულია. დღეს გაზეთებშიც კი გამოვაცხადე და შედეგს ველოდები. ბინები ავეჯის გარეშე ბევრია, ავეჯის შეძენას კი აზრი არ აქვს და თან ძალიან ძვირი ჯდება. თუმცა, იმედი მაქვს, რომ 2-3 ოთახიან ბინას ავეჯით მაინც ვიშოვით. ქარხანაში ჩემი მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. დირექტორმა ამ 3 დღის წინ განმიცხადა, რომ პირველი მაისიდან ნაცვლად 1200 ისა, თვეში 1500 ფრანკს მივიღებ და დასძინა, რომ ჩემით მეტად კმაყოფილია და თუ ასე გავაგრძელებ 3-4 თვეში ანაზღაურებას კიდევ მომიმატებს. ისე კი, თუ კარგად ვიმუშავებ აქ წინსვლა სავსებით შესაძლებელი იქნება, რადგან, როგორც ჩანს, აქ კარგ თანამშრომლებს აფასებენ. ამიტომ იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში კარგად მოვეწყობი. ერთადერთი რაც მე მაღელვებს ბინა კი არა, ეს თქვენ ხართ და მთელი გულითა და სულით ვისურვებდი, რომ დედამ, მცირე ხნით მაინც, აქ ჩამოსვლა შეძლოს. ის აქ დაისვენებს, ძალებს მოიკრებს და შემდგომ, შესაძლოა, ჩვენი, ყველას ერთად, უკან დავბრუნება მოხერხდეს. სიმართლე გითხრა, გარკვეული დროით საფრანგეთში დარჩენას ვაპირებ,...(?).[46] მიღება მინდა, სხვა შემთხვევაში მის გარეშე გამგზავრება არ ღირს, მარტოდ-მარტო თეორიას ნაკლები სარგებელი მოაქვს.

დაახლოებით ერთი თვე და მე და ელია ერთად ვიქნებით. ყველაფერი კარგად გვექნება, შემეძლება ჯანმრთელობას უკეთ მივხედო და საერთოდ, სავსებით ნორმალური ცხოვრება გვექნება. კარგა ხანია თქვენგან არაფერი ისმის და ისიც არ ვიცი გამოგზავნეს თუ რამ ჩვენებმა. ერთი კი ცხადია, რომ ისინი არ მწერენ და თქვენც იშვიათად თუ მწერთ. ელია ყოველ წერილში შენთვის კოცნის გადმოემას მთხოვს. კარგად იყავით, ყველას მაგრად გკოცნით და ძიძასაც, მოკითხვა არჩილს და სხვ.

თქვენი მიშა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

მიხეილ მაქარაშვილის წერილი დედას, ირას და ტოლიას.

წერილი დათარიღებულია 1936 წლის 15 ივლისით (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემო ძვირფასო დედიკო, ირა და ტოლია

თქვენი 11 ივნისის წერილი კარგახანია მივიღე. პასუხის მოწერა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი, რადგან როგორც უკვე გწერდით, ელია ავადმყოფობდა. მას თირკმელები აწუხებდა. ის გამოჯანმრთელდა თუ არა, მე გავხდი ავად. დღეს წამოვდექი, თითქმის მთელი კვირა ვიწექი და პირველი დღეები 39 გრადუსზე მეტი სიცხე მქონდა. ამასთან ერთად კვლავ ღვიძლი მტკიოდა. ამჟამად გამოვკეთდი და კარგად ვარ, მაგრამ სისუსტეს ვგრძნობ და ამის გამო სამსახურში ჯერ არ დავდივარ. თქვენმა ბოლო წერილმა მე და ელია მეტად აგვაღელვა და მერწმუნეთ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ჩვენ იმ წამს, დაუყოვნებლივ გუდანაბადს ავიკრეფდით და გეზს თქვენსკენ ავიღებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ისე როდია, როგორც ჩვენ გვესახება. დარწმუნებული იყავით, რომ მე და ელია მხოლოდ სამშობლოში, საბოლოოდ და რაც შეიძლება მალე, დაბრუნებას ვნატრობთ. ვოცნებობთ შეგხვდეთ თქვენ და თქვენთან, ჩვენს ახლობლებთან და ნათესავებთან ერთად ვიცხოვროთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი „მაგრამ“ არსებობს, რომელიც ჩვენს ჩამოსვლას აჭიანურებს. რა თქმა უნდა, საუბარი უშუალოდ ჩვენს ჩამოსვლაზე კი არ არის, არამედ, თუ როგორ განხორციელდება ეს მალე. ყოველივე კი ჩემთვის დღემდე უცნობია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს სწრაფად მოხდება და ჩვენ ყველა ერთად ბედნიერად ვიცხოვრებთ. უახლოეს პერიოდში პარიზში ჩასვლას და იქ სრულუფლებიან წარმომადგენელთან შეხვედრას შევეცდები. ვაცნობებ მას ჩემი სამშობლოში დაბრუნების სურვილის თაობაზე, პირობებზე და გავარკვევ იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელნიც ჩემთვის შესაფერის სამუშაოს, (სურველია თბილისში), მონახვას უზრუნველყოფენ. ამ შეხვედრის შემდეგ მე თქვენ მოგწერთ და ჩვენი ჩამოსვლის თარიღსაც გაცნობებთ. ამ საქმეს ორი – სენტიმენტალური და მატერიალური მხარე აქვს. ჩემი სამშობლოში დაბრუნების და თქვენთან შეხვედრის სურვილის გარდა, საარსებოც ბევრ რამეს განაპირობებს. გეტყოდით, რომ სამსახურში სათანადო პატივს მცემენ, მაგრამ როგორც უცხოელს გაცილებით მეტი ძალისხმევა მჭირდება, რათა მე აქ უფრო მეტი პატივისცემა დავიმსახურო. ყოველივე ეს კი მღლის. როგორც ხედავთ, სამშობლოში ჩემი დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში დგას. ამით ვამთავრებ. კიდევ მოგწერთ. ელია, ბავშვები და მე თქვენ ყველას მაგრად, ძალიან მაგრად გკოცნით. ხშირად მოგვწერეთ. ძიძა დამიკოცნეთ.

თქვენი მიშა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

მიხეილ მაქარაშვილის წერილი დედას, ირას და ტოლიას.

წერილის დაწერის თარიღი: 1938 წლის 27 თებერვალი (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემო ძვირფასო დედიკო, ირა და ტოლია

თქვენგან მიღებული ღია ბარათების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ ყველა უკვე თბილისში იმყოფებით. იმედი მაქვს, რომ მიიღებდით ინესის და გოგის[47] ფოტოსურათებს, რომელიც ამ თვის დასაწყისში, ჩემს ბოლო წერილთან ერთად გამოგიგზავნეთ. გასულ კვირას ორი დღით პარიზში ვიმყოფებოდით. რადგან ყველაფერი ძალიან ძვირია და ბავშვებთან ერთად მოგზაურობა რთულია, ჩვენ მათი აქ დატოვება გადავწყვიტეთ. ბიცოლა[48] თითქმის გამოკეთდა, მაგრამ მკურნალობას მაინც

განაგრძობს. ბიძია[49] ბრწყინვალედ გამოიყურება, ასევე კოტეც[50] რომელიც სამსახურს განაგრძობს და იქ კარგი სახელით სარგებლობს. დუმასგან[51] მეტად დამაიდებელი წერილები მოდის, ის უკვე ფეხზე დგება და მალე ოჯახს დაუბრუნდება. პარიზში მე მიშა მუსხელოვთან[52] გავჩერდი, რომელიც ეგვიპტიდან რამდენიმე თვით ჩამოვიდა, გუშინ კი, უკან ქაიროში უნდა დაბრუნებულიყო. ჩვენმა შეხვედრამ დიდი სიამოვნება მოგვანიჭა და გულიანად გავიხსენეთ ბავშვობა და ყოველივე. მან თქვენთვის გულითადი მოკითხვა დამაბარა და ხელების დაკოცნა მთხოვა. ბიძიასთან გიორგი ფარანოვი[53] ვნახე, რომელიც საერთოდ არ გამოცვლილა, ისეთივე მოკრძალებული და მორცხვია, როგორიც ადრე იყო. შევხვდი აგრეთვე მამულაშვილებს, მათთან საღამო გავატარე. სხვათა შორის, მიშა გოცირიძეც[54] იქ იყო. საერთოდ, რა ჯობია ძველ მეგობრებთან შეხვედრას და საუბარს. აქ კი, ამ გადაკარგულში, მეგობრები თითქმის არ მყავს. დიდი სიამოვნებით გადავიდოდი პარიზში საცხოვრებლად, მაგრამ საკუთრივ ჩემთვის, ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან იქ სამსახურის მოძებნა მეტად რთულია.

დიდება უფალს, ჩვენები ყველა ჯანმრთელნი არიან, თუმცა კი გასულ კვირას ინესმა ცოტა შეგვაშინა – მთელი დღის განმავლობაში 40 გრადუსი სიცხე ქონდა, ახლა კი დარბის და ძველებურად ონავრობს. გოგი სკოლაში ნაშუადღევს დადის და კარგად სწავლობს, მაგრამ ხანდახან ზარმაცობს. ამასთან ერთად უნარიანია, ყველაფერი იოლად გამოსდის, ხატვაც კი, სადღაც მე წამაგავს.

ელია,[55] ბავშვები და მე მაგრად, მაგრად გკოცნით სამივეს და მოკითხვას ვუთვლით ყველა ნაცნობს.

ბიძიას წერილს დაგვიანებით გიგზავნით, რადგან მე, ჯერ მათი ნახვა, ხოლო შემდგომ თქვენთვის მოწერა მინდოდა.

კიდევ ერთხელ გკოცნით თქვენი მიშა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

მაქარაშვილის წერილი დედას, ირას და ტოლიას.

დათარიღებულია 1946 წლის 12 ნოემბრით (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემო ძვირფასო დედიკო, ირა და ტოლია,

ვერც კი წარმოიდგენთ, თუ რა სიხარულს განვიცდი არბოდან მიღებული თქვენი წერილის გამო, სადაც თქვენ ირინას, როგორც მეოჯახე-მეურნესა და დიასახლისს აღწერთ, და რაც მთავარია, თქვენს ამბებს გვამცნობთ. გიგზავნით ბიძიას წერილს, დედისთვის გადასაცემად. ის ძალიან მოხუცდა და მისი შვილები მას მაინცდამაინც არ ანებივრებენ და ნაკლებ დახმარებას უწევენ. ყოველივე კი, ბიცოლას და ბიძიას განწყობასა და ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს. კოტიკი[56] კი, იმ დონემდე გამოთაყვანდა, რომ მათთან თითქმის არც კი მიდის. მეც იშვიათად თუ ვახერხებ მის ნახვას. ელია და მე ვცდილობთ როგორმე მაინც შევამსუბუქოთ მათი ცხოვრება და მინიმუმ კვირაში ერთხელ, თუნდაც ნახევარი საათით, შევურბენთ ხოლმე. ბიცოლა ამჟამად უფრო კარგადაა. ბიძია განსაკუთრებით არაფერს უჩივის, მაგრამ ...[57]

ელია, ბავშვები და მე თავს ცუდად არ ვგრძნობათ. ინესი კი ცოტა ავადმყოფობს, ჯირკვლები შეუსივდა და ინექციების გაკეთება მოგვიხდა. გუშინ ფეხზე წამოდგა, მაგრამ ავადმყოფობამ დაასუსტა და ცოტა გახდა. ბავშვებმა სიმაღლეში მაგრად მოიმატეს. გოგი ჩემს ძველ პალტოსაც კი ხმარობს, ელიამ ცოტა შეამოკლა და გოგის კარგად მოერგო. მართალია მე უწინდელივით გამხდარი ვარ, მაგრამ ჯანმრთელობას არ ვუჩივი. ელია ბავშვების და სახლის პატრონობით ძალიან კი იღლება, მაგრამ მადლობა უფალს, თავი ყოჩაღად უჭირავს. მადლობას გიხდი საშა ფალავ.[58] ზე ახალი ამბების შესახებ. მისი და, ნინა, ქალიშვილებითურთ აგრეთვე მადლიერნი არიან. გოგი მაღ.-ზე[59] ცოტა რამ თუ მსმენია, მაგრამ შევიტყვე, რომ ის და მისი ოჯახი ისევ იქ იმყოფებიან და ცუდად არ არიან.

არჩილი როგორაა, მასზე არაფერი ვიცი. მიშიკო მუსხელიშვილი აქ არის, ის პროფესორია და ამჟამად აგრეგაციაზე გამოცდებს აბარებს. ჩემი სამსახურით ისე ვარ დაკავებული, სწავლის გაგრძელება რომ მინდოდეს კიდეც, დრო არ მყოფნის. მე ისევ იქ, იმ ფირმაში ვმუშაობ, კარგ თანამშრომლად ვითვლები და დიდება უფალს, მართალია ფუფუნებაში არ ვარ, მაგრამ იმდენს გამოვიმუშავებ, რომ ოჯახი ვარჩინო. ვნატრობ იმაზე, თუ როდის მოგვეცემა ერთმანეთთან შეხვედრის შესაძლებლობა და მშობლიურ არბოში დასვენება. შევეცდები, რომ შემდეგ წერილთან ერთად რამოდენიმე ფოტოსურათი (განსაკუთრებით ბავშვების), გამოგიგზავნოთ. თავზე ცოტა თმა შემომრჩა და რაც არის – ნახევარი ჭაღარაა, მაგრამ მე ეს არ მაღელვებს, მთავარი ჯანმრთელობაა, დანარჩენი კი – სისულელეა.

მოხარული ვიქნები, თუ თქვენგან არბოს ხედები ფოტოსურათებს მივიღებ. ბავშვები გამუდმებით მთხოვენ არბოში გატარებული დღეებზე და ჩვენს იქაურ ოინებზე მოვუყვე და ა.შ.

ამ წერილს თბილისში გიგზავნით და იმედი მაქვს, რომ დროულად მიიღებთ.

დამიკოცნეთ ყველა ვისაც კიდევ ვახსოვარ. ელია, ბავშვები და მე სამთავეს მაგრად გკოცნით.

თქვენი მიშა.

ჩემი მისამართია: პარიზი 16 პოლ დუპიეს ქუჩა #3.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

მიხეილ მაქარაშვილის წერილი ირას და ტოლიას.

წერილი დათარიღებულია 1958 წლის 12 აპრილით (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემო ძვირფასო იროჩკა და ტოლია,

ორივეს წმინდა აღდგომის დღეს გილოცავთ და მთელი გულით ღმერთს ვევედრები, რომ ჯანმრთელობა, სიცოცხლე და ბედნიერება გიბოძოთ. ინესის ქორწილის დღეს თქვენი ტელეგრამა მივიღეთ, რამაც ძალიან გაგვახარა და იმ დღეს თქვენი აქ ყოფნა გვაგრძნობინა, რომ მორალურად თქვენ ჩვენთან ერთად იყავით. ქორწილი ყოველმხრივ შესანიშნავი იყო. ჯვრისწერა ჟან-პიერის[60] ნათლიამ აღავლინა, რამაც საეკლესიო მსახურებას უფრო მეტი საზეიმო ელფერი შესძინა, ყოველივე ამას უამრავი ხალხი ესწრებოდა. ჯვრისწერის შემდეგ 12 კაცზე სუფრა გავაწყვეთ, რომელსაც მხოლოდ ოჯახის წევრები და მეჯვარეები დაესწრნენ, ხოლო 4 საათზე 150 კაციანი მიღება გაიმართა, რომელზეც მეგობრები დავპატიჟეთ. მიღებაც ძალიან კარგი გამოვიდა – საუკეთესო ბუფეტი და ზღვა შამპანური იყო. ქორწილი მხიარული განწყობით გამოირჩეოდა, „ლეკური“ ჯერ ჟან პიერმა და ინესმა იცეკვეს, ხოლო შემდგომ ჩვენ ყველამ, რიგრიგობით. მე „კინტაურიც“ კი ვიცეკვე, ერთი სიტყვით, მხიარული ქორწილი გამოვიდა. ახალგაზრდებმა უამრავი ყვავილი და საჩუქარი მიიღეს და საღამოს 8 საათზე, ორი კვირით სამხრეთისკენ გაემართნენ.

როგორც კი სურათები მზად იქნება, აუცილებლად გამოგიგზავნით და ყოველივე ამით წარმოდგენას შეგიქმნით ამ დღის შესახებ. ის, ვინც იმ დღეს პარიზში არ იმყოფებოდა – ტელეგრამები გამოგზავნა. მთელი დასტა მივიღეთ. კოლია პოლიანსკის (?)[61] ძმიშვილმა, ბელგრადიდან მისალოცი გამოგზავნა. სამწუხაროდ, დუმა[62] ქორწილს ვერ დაესწრო, რადგან საავადმყოფოდან ერთი კვირის წინ გამოეწერა. ამჟამად ის შედარებით უკეთაა და იმედი გვაქვს, რომ დროთა განმავლობაში მთლად გამოჯანმრთელდება. როგორც უკვე გწერდით, ინესი მეუღლითურთ თავდაპირველად ჩვენთან იცხოვრებს, მერე კი ვნახოთ. გოგი[63] ხვალ თავის გარნიზონში, ეპინელში მიემგზავრება, ის პარიზიდან 400 კილომეტრის მოშორებითაა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ დრო და დრო ჩამოგვაკითხავს. ზეგ, ორშაბათს, ელია და მე ერთი კვირით გრენობლში მივემგზავრებით. მე იქ საქმეები მაქვს, ელია კი

ცოტაოდენს დაისვენებს. კვირას დავბრუნდებით და ამ დროისთვის ახლად დაქორწინებულებიც ჩამოვლენ. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენთან დარეკვას შეძლებ (შაბათ-კვირის გარდა). ინესის ქორწილზე ჩვენი ძველი მეგობრებიდან იყვნენ: რიმა,[64] ქეთუშა ვაჩნაძე,[65] ნინა კვიტაშვილი,[66] მიშა გოცირიძე,[67] ეკა და რუსიკ დადიანები,[68] დები მამულაშვილები,[69] გომართელი[70] სხვა და სხვა. ყველა შენ გიხსენებდა. იგონებდნენ ასევე ჩვენს ბავშობას.

ელია, გოგი და მე ორივეს მაგრად გკოცნით, მოკითხვას ვუთვლით მეგობრებს მოგვწერეთ ხშირად.

თქვენი მიშა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

მიხეილ მაქარაშვილის წერილი ირას და ტოლიას.

წერილი დათარიღებულია 1959 წლის 15 აპრილით (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემო ძვირფასო იროჩკა და ტოლია,

ღამით, საქმიანი მივლინებიდან დაბრუნებულს, თქვენი ამანათი დამხვდა. დიდ მადლობას გიხდით ტკბილეულის და ყველის გამო, რომელთა დაგემოვნებამ უზარმაზარი სიამოვნება მოგვანიჭა. არაჩვეულებრივი ჩურჩხელა, ბრწყინვალე ასკილის მურაბა და სხვა რამეები არბოს მახსენებს. კაკლის მურაბის მხოლოდ წვენი ვიგემეთ და ძალიან არომატული გამოდგა. ყველი ცოტა გამომშრალა და მეტად მარილიანი აღმოჩნდა. წყალში ჩავალბეთ, რის შემდგომ იდეალური გემო ქონდა. ამ ყოველივემ ბავშვობაში დამაბრუნა და გერისთობა[71] გამახსენა. არ ვიცი, სამადლობელი როგორ გადაგიხადოთ. მეც მინდა გაგანებივროთ და მომწერეთ, თუ რა გამოგიგზავნოთ. რა თქმა უნდა, ამანათის ნაწილს ბიცოლას და დუმას ვარგუნებ. ვფიქრობ, მათაც ძალიან ესიამოვნებათ. გოგისგან წერილებს ხშირად ვიღებთ, ის თავს კარგად გრძნობს, ვნაობ, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი ტკბილეულის დაგემოვნებას ვერ შესძლებს, მაგრამ ჩურჩხელას გავუგზავნი. ინესი და ჟან პიერი გრენობლის მახლობლად დასასვენებლად მომავალ შაბათს მიემგზავრებიან. მე და ელია კი ჯერჯერობით პარიზში ვრჩებით. არ ვიცი, ზაფხულს სად გავატარებთ, შესაძლოა, ოკეანის სანაპიროზე. ამ წინებზე კოლიას[72] ძმიშვილისგან, თამარ პოლიანსკაიასგან (?) წერილი მივიღეთ, ის რამოდენიმე დღით პარიზში ჩამოსვლას აპირებს. შესაძლოა, თან თავისი 16 წლის გოგონა ჩამოიყვანოს და ფრანგულის შესასწავლად ჩვენთან ორი თვით დატოვოს. დუმუშკა თავს უკეთ გრძნობს, ის მანქანას უკვე თვითონ მართავს, რაც ნაადრევად მიმაჩნია. ბიცოლა სულ ნერვიულობს, მაგრამ ყოჩაღობს. რაც შეეხება ბაბის[73] ქალიშვილის ქორწილს, ის ნოემბერში იყო და ახლად დაქორწილებულები პარიზის მახლობლად ცხოვრობენ. ახლახანს ბაბისგან წერილი მივიღე, ის ერთი კვირის შემდეგ თავის ქალიშვილებთან ბრუნდება, მაგრამ, სამწუხაროდ, პარიზში არ გამოივლის და მის ნახვას ვერ შევძლებთ. შენი ბოლო წერილიდან შევიტყვე, რომ ღვიძლი ისევ გაწუხებს. სერიოზული ყურადღება მიაქციე, ეს (დაავადება) ბებიასგან მემკვიდრეობით გვერგო. ჩვენთან ნამდვილი გაზაფხულია და სააღდგომოდ შეიძლება საზაფხულო ამინდი დადგეს. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდი ჩვენი ამგვარი განებივრებისთვის, ინესი აღტაცებას ვერ მალავს.

ჩვენ მაგრად, მაგრად გკოცნით ორივეს. თქვენი მიშა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

მიხეილ მაქარაშვილის წერილი ირას და ტოლიას.

წერილი დათარიღებულია 1965 წლის 26 აპრილით (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ძვირფასო იროჩკა და ტოლია

ახლახანს თქვენი წერილი მივიღე და პასუხის გამოგზავნას ვჩქარობ. ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, შეიძლება ითქვას, რომ კარგიც. მაგრამ ძალღონე მთლად აღდგენილი არ მაქვს. ასე რომ სამსახურში მხოლოდ რამდენიმე საათით თუ მივდივარ. ჩვენთან საკმაოდ ცუდი ამინდებია და ვშიშობ, არ გავცივდე. მოხარული ვართ, რომ ფოტოსურათები მოგეწონათ. ჰალსტუხის გარდა შენთვის წყვილ ხელთათმანს ვაგზავნი და სამ პაკეტ (თითოში სამ), ნინდას. ყველა ერთი ფერისაა (ფირმა დიმ). დღეს გოგისგან წერილი მივიღე. მათთან ყველაფერი წესრიგშია. ბავშვები იზრდებიან. პაულის[74] ფოტოსურათები ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ წერილებიდან ჩანს, რომ ის მიშკასაც წააგავს და ჩიტუნისაც.[75] გასულ კვირას ინესი თავისი ოჯახით გვსტუმრობდა. იზაბელი[76] გაზრდილა, გამგონი გახდა და თანაც მეტად სენტიმენტალური. ორივე კარგად სწავლობენს, ასე რომ, ჩვენ ყველა მათით კმაყოფილნი ვართ. ნატალი[77] ძალზე ყაჩაღია და რომ დაგიჯეროს, საჭიროა დროდადრო გაუბრაზდე კიდეც. საერთოდ კი, ორივე ბრწყინვალი გოგონაა. გოგი და კარმენი[78] და ჩვენც მათი მეორე ვაჟით მეტად ვამაყობთ. კარგია რომ ჩვენი ოჯახი არ ნადგურდება. ბაბისგან წერილი მივიღე, ის თქვენ ყველას გკოცნით. გუშინ ბიცოლას შევხვდი. ის დურმიშხანთან მიემგზავრებოდა, რომელიც იტალიიდან დაბრუნდა. მე მას (დუმას) ტელეფონით ვესაუბრე. მათაც ყველაფერი წესრიგში აქვთ. მოხარული ვარ, რომ მოსკოვში გამგზავრება გადაწყვიტე და იმედი მაქვს, რომ მალე შენგან ჩვენთან ჩამოსვლის ამბავს შევიტყობ. ამჟამად ჩვენთან ელიას ბიძაშვილი გვსტუმრობს ვარშავიდან. ელია მას პარიზს ათვალიერებინებს. ვფიქრობდით, რომ ზაფხულში უნგრეთში მანქანით წავსულიყავით, მაგრამ ამ ქვეყანას არ ვიცნობ და ვშიშობ, რომ ეს მოგზაურობა დამღლელი იქნება, ამიტომ, დიდი ალბათობით, ზაფხულს, ივლისს, მთაში გავატარებთ, ოღონდ არა მაღალ მთაში. ელია და მე, აგრეთვე ინესი, გოგი, კარმენი და, რა თქმა უნდა, ჟან-პიერი მაგრად გკოცნით თქვენ ორივეს. იზაბელი და ნატალი გამუდმებით თქვენზე მოყოლას მთხოვენ. ბიცოლაც გკოცნით. ხშირად მოგვწერეთ.

თქვენი მიშა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 4276.

ელიზაბეტ გლასის (მიხეილ მაქარაშვილის მეუღლე) წერილი ირინა მაქარაშვილისადმი.

(ხელნაწერი, ფრანგულ ენაზე, ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა საფრანგეთის რესპუბლიკაში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, გოჩა ჯავახიშვილმა).

ძალიან ძვირფასო იროჩკა,

დიდი მადლობა შენი სითბოთი და სიყვარულით სავსე წერილისათვის, რომელმაც გული გამითბო.

ძალიან რთული პერიოდი მაქვს და კიდევ კარგი მიშა და ბავშვები ჩემთან იყვნენ, მეტადრე სულ პატარა, რომელსაც ძალიან ვჭირდებოდი. ამიტომ, გავაგრძელე ცხოვრება, თითქოს არც არაფერი მომხდარა.

ეხლა სახლი ჩემთვის სულ მთლად დაცარიელდა, მაგრამ მიშას ურჩევნია კიდეც, რადგან ამ ბოლო დროს ძალიან უჭირდა ბავშვების ჟრიამულისა და ჭირვეულობის ატანა. თუმცა მალე შენი დაბადების დღე მოდის და ძალიან ლამაზ დღეობას და ყველაფერს გისურვებ, რაც შენს გულს სწადია.

გეხვევი და გკოცნი იმის იმედით, რომ მალე პირადადაც ჩაგეხუტები.
შენი
ელა

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე, 135, ხ. 42763.

დანართი №2

მიხეილ მაქარაშვილის მოგონებები

დავიბადე 1903 წლის 7 ოქტომბერს (ძველი სტილით, რაც სინამდვილეში, ანუ ახალი კალენდრით 20 ოქტომბერი გამოდის), საქართველოსა და სომხეთის საზღვართან მდებარე პატარა ქალაქ ჯალალ ოღლიში,[79] სადაც იმ პერიოდში მამაჩემი[80] გარნიზონს ხელმძღვანელობდა. ვინაიდან არბოში მომნათლეს, ჩემს დედულეთში, სადაც წინაპართა მამულები იყო, ყველა ჩემს საბუთში ეს უკანასკნელი ადგილია მითითებული. მე ვარ ჩემი მშობლების 6 შვილიდან ყველაზე უმცროსი: გიორგი, ბარბარა, ნიკოლოზი, მარიკა, ირინა და ბოლოს მე – მიხეილი. ჩვენ მშობლებს სამი შვილი გიორგი, ბარბარა და მარიკა, საყმაწვილო სენით ადრეულ ასაკში დაეღუპათ. ჩემი ძმა ნიკოლოზი, ანუ ნიკუშა, როგორც ვეძახდით ხუთწლინახევრით ჩემზე უფროსი იყო. 1906 წელს, ტიფლისის იუნკერთა სკოლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის (ამჟამინდელი ლენინგრადი) წმინდა მიქაელის სახელობის საარტილერიო სამხედრო სასწავლებელი დაასრულა თუ არა, მაშინვე სამხედრო სამსახური დაიწყო, 1917 წელს გერმანიასთან ფრონტზე, კავკასიის ნაღმტყორცნელთა საარტილერიო ბრიგადაში, სადაც მამაჩემმა პირველი საბრძოლო წრთობა მიიღო. რუსული რევოლუცია ახალი დაწყებული იყო. 1917 წლის ოქტომბერში, მან იმდენი მოახერხა, რომ საქართველოში სამთო მებრძოლთა პოლკში გამოგზავნეს, რომელსაც პოლკოვნიკი ცაგურია[81] მეთაურობდა. გაგანია რუსულ რევოლუციაში ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად ტოვებდნენ საბრძოლო პოზიციებს და სახლებში გარბოდნენ. ამგვარად, თურქების წინააღმდეგ ფრონტიც, რომელიც საქართველოს საზღვარზე მიმდინარეობდა, შეწყდა და რუსი ჯარისკაცებით სავსე რამდენიმე მატარებელი, მთელი შეიარაღებით, ქვემეხებით საქართველოს გავლით რუსეთისკენ გაემგზავრა. იმ დროისთვის საქართველოს მთავრობა ჯერ კიდევ არ არსებობდა, რადგან საქართველო მხოლოდ 1918 წლის 26 მაისს გახდა დამოუკიდებელი. იმ დროს ჩვენ ამიერკავკასიის მთავრობა გვმართავდა, რომელშიც შედიოდნენ საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი (თათრები) და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხი, თავმჯდომარე იყო გეგეჭკორი.[82] ცაგურიას საარტილერიო პოლკს დიდად არ სწყალობდნენ სოციალისტები, რადგან ოფიცრებიცა და ჯარისკაცებიც თავადაზნაურთა ოჯახის შვილები, ხოლო იუნკერთა უმრავლესობა კი მუშათა შემადგენლობა იყვნენ. ამგვარად, სადაც რთული საბრძოლო და საჭიდაო იყო ნიადაგ იქ უკრავდნენ თავს ამ პოლკს. ესე იგი მაშინაც, როცა რუსი სალდათები ფრონტიდან უკან ბრუნდებოდნენ, მდიდარი და ბარაქიანი საქართველო რომ არ დაეპყროთ, რამდენჯერმე გადაისროლეს ჯავშნიანი მატარებლით ეს პოლკი შამქორში, სტრატეგიულ ლოკაციაზე აზერბაიჯანული ქალაქის ელიზავეტპოლის მახლობლად, სადაც რუსების ეშელონებს უნდა გამოევლოთ. ჩემს ძმამდეც, ცაგურიას პოლკის სხვა ქართველი ოფიცერი, ლეინტენანტი კაკო მესხი მეთაურობდა ჯავშნიანი მატარებლის მსროლელთა დანაყოფს, რომელიც 1918 წლის დასაწყისში დაბრუნებულიყო ტიფლისში. ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, მაშინ, როცა სხვა პოლკის ჯერი იყო. ეროვნული თავდაცვის მინისტრმა[83] კვლავაც ცაგურიას დივიზიას დაავალა ჯავშნიანი მატარებლის საჭირო რაოდენობის არტილერისტებით უზრუნველყოფა. ესე აღმოჩნდა ნიკუშა ოთხ ზემდეგთან და თავისი ბატალიონის ათიოდე ჯარისკაცთან ერთად გამწესებული და მატარებელი 6 იანვარს (ძველი სტილით) გაემგზავრა შამქორის მიმართულებით, პრინციპში ერთი კვირით. 12 იანვრიდანვე ხმები გავარდა, რომ რუსულ ეშელონებსა

და ჩვენს ჯავშნოსან მატარებელს შორის გაიმართა ბრძოლა, მაგრამ ვინაიდან იმ პერიოდში სატელეფონო კავშირი არ არსებობდა და სატელეგრამო ხაზიც განადგურებული იყო, არავითარი დაზუსტება ან დეტალი ჩვენამდე არ მოსულა და მოვლენების შესახებ სრულ გაურკვევლობაში ვიყავით. 14 იანვარს, დედაჩემის მფარველი წმინდანის, წმინდა ნინოს ხსენების დღეს, როგორც ყოველ წელს უამრავი სტუმარი გვეწვია. მოდიოდნენ და დედას ულოცავდნენ, თუმცა ტრადიციული ლხინებისგან განსხვავებით, იგრძნობოდა, რომ გული ისე ვერ ხარობდა და არავის ეზეიმებოდა, ყველა შეწუხებული ჩანდა. 14 იანვრის ღამეს, 15 რომ თენდებოდა, ღამის 2 საათზე ჩვენ კარზე დარეკეს, ბიცოლაჩემმა, ელენე ჟურულმა,[84] რომელიც ჩვენთან დარჩა იმ ღამეს, გააღო კარი და დავინახეთ ჩემი ძმის ერთერთი მოადგილე (დანაყოფის ხელმძღვანელი), გვარად ჟღენტი, რომელმაც ფეხი შემოდგა შუშაბანდში და იქიდან ქვითინით გვაცნობა: „მეთაური მოგვიკლესო“. ნიკუშას და კიდევ რამდენიმე მოკლულის ცხედრები მოახერხეს და ტიფლისამდე ჯავშნოსანი მატარებლით ჩამოასვენეს, რომლის ერთი ვაგონი ნაღმებისგან იყო დაგლეჯილი. ჩემი ძმის ცხედარი არბოში, ჩვენს ეკლესიაში, მამაჩემისა და დედის მხრიდან პაპა-ბებოს გვერდით დაკრძალეს... დაკრძალვის დღემდე ჩემი ძმის ცხედარი რამდენიმე დღის განმავლობაში ესვენა ტიფლისის ქვაშვეთის ტაძარში, საპატიო ყარაულში მისივე თანამებრძოლები იდგნენ. გრანდიოზული ცერემონია იყო, მით უფრო, რომ ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საბრძოლო გამარჯვება[85] (რაც სამწუხაროდ ყველას დაავიწყდა, ჩვენი ოჯახისა და რამდენიმე გამონაკლისის გარდა). მხოლოდ მოგვიანებით გახდა ჩვენთვის ცნობილი ჩემი ძმის გარდაცვალების გარემოებები. ნიკუშას უმცროსი ლეინტენანტის წოდება ჰქონდა და მხოლოდ მსროლელთა შემადგენლობას მეთაურობდა, თავად ჯავშნოსანის მეთაურობა ერთ კაპიტანს ჰქონდა მინდობილი, რომლის გვარი ზუსტად აღარ მახსოვს (მგონი ანდღულაძე უნდა ყოფილიყო). დანიშნულების ადგილზე მისი ჩასვლიდან რამდენიმე დღეში, მაშინ, როცა რუსული მატარებელი ინციდენტების გარეშე გადიოდა, ამ კაპიტანს ესტუმრა თურმე სხვა კაპიტანი, ვინმე აფხაზავა,[85] რომელსაც კიდევ რამდენიმე მეგობარი ახლდა. აფხაზავას უსაყვედურია თურმე კაპიტნისთვის, რატომ უშვებ ასე რუს ჯარისკაცებს, იარაღს რატომ არ ართმევო, როცა საქართველოს ასე სჭირდება იარაღიო. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს აფხაზავა ერთი თავზე ხელაღებული ვინმე ყოფილა, ძალიან მამაცი, მაგრამ თავგადასავლების მოყვარული და თანაც არავის ემორჩილებოდა თურმე. კაპიტანს უარი უთქვამს აფხაზავას ბრძანებას დამორჩილებოდა და რუსებისთვის იარაღი აეყარა. ეშინოდა, რომ ეს უკანასკნელნი წინააღმდეგობას გაუწევდნენ და უმსხვერპლოდ არ ჩაივლიდა ეს ამბავი, მით უფრო, რომ ტიფლისიდან არანაირი მსგავსი მითითება არ მიუღია. რაკი აფხაზავა თავისას არ იშლიდა და იჩემებდა ტიფლისიდან ვარ ამ მიზნით გამოგზავნილი, რომ ჯავშნოსანი მატარებლის მეთაურობა გადმოვიბაროო, ეს კაპიტანი წასულა ტიფლისში ბრძანების გასაცნობად, მეთაურობა კი დროებით აფხაზავას გადაუბარებია. როგორც კი კაპიტანი წასულა, აფხაზავა წინ გადაუდგა რუსულ ეშელონებს და იარაღის დაყრა მოსთხოვა, რის გარეშეც გზის გაგრძელების ნებას არ მისცემდა. დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ, საბოლოოდ რუსები დათანხმდნენ დაეტოვათ 5 000 თოფი, ორმოცდაათამდე ავტომატი თავისი სამხედრო-ბიანად. ყველა ეს იარაღი აფხაზავას ჩააბარეს, რომ ჯავშნოსანი მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში დაელაგებინათ. ყველაფერი რიგზე იყო, ჯავშნოსანი მატარებელი ცოტა ხანში უნდა დაძრულიყო და რუსულ ეშელონებსაც უნდა გაეგრძელებინათ გზა შინისკენ. ამ დროს ჩემს ძმასთან სტუმრად ჩამოსულა მისი იუნკერთა სკოლისდროინდელი მეგობარი ხან ნახჩევანსკი[86] (ამ ქალაქის გუბერნატორის შვილი), რომელსაც გაეგო, რომ ნიკუშა შამქორში იდგა და მაშინვე გამოქცეულა მის სანახავად. ნიკუშა ჯავშნოსან მატარებელში, ერთ-ერთ ქვემეხზე მჯდარა და ვაგონის ღია კარებს მიღმა ესაუბრებოდა მეგობარს. ამ დროს ერთ-ერთ ზემდეგს უთქვამს, უფროსო, რუსები მგონი ქვემეხებს ჩვენ გვიმიზნებენო, ამას კი უთქვამს, ალბათ მოგეჩვენა, რადგან უკვე ყველაფერი შეთანხმებულია და რიგზეაო. საწყალმა, რა იცოდა, რომ თურმე ამასობაში აფხაზავამ მიიღო რა იარაღის ნაწილი, ძმაკაცებთან ერთად დაულევია, დამთვრალა, ისევ მისჭრია რუსებს და სრულად განიარაღება მოუთხოვია. რუსებს უარი რომ უთქვამთ, განრისხებულა აფხაზავა და მათ ნარმომადგენლისთვის სილა გაუწნია, რევოლვერი ამოუღია და ყველას დაცხრილვით დამუქრებია,

ჯავშნოსანი მატარებლიდან გესვრით და ამოგწყვეტთ ყველას, თუ ერთ საათში ყველა იარაღს არ ჩაგვაბარებთო. მერე კი აფხაზავა ისე დაბრუნებულა მატარებელში, რომ არც ნიკუშასთვის და არც სხვებისთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს. თავისი ჭკუით ეგონა, რომ რუსებს შეეშინდებოდათ და ოღონდაც სახლში გაგვიშვანო ყველა იარაღს დაყრიდა. სამწუხაროდ, მოხდა სრულიად საპირისპირო და აფხაზავაზე გაცეცხლებულმა რუსმა სამხედროებმა გადაწყვიტეს წინააღმდეგობა გაეწიათ. მით უფრო, რომ ისინი ბევრად მეტნიც იყვნენ, დაუმიზნეს და დაბომბეს ის ღია ვაგონი, რომელშიც იყო ნიკუშა, თავის ორ ზემდეგთან ერთად და თავად აფხაზავა. ერთი ნაღმი დამიზნებით აფხაზავას მოხვდა მუცელში და სულ დაგლიჯა, ნიკუშასთან და მის ორ თანამებრძოლთან ერთად, ასევე დაღუპულა ნიკუშას მეგობარი ხან ნახჩევანსკი. იქვე, გადაღმა იდგა თათართა ცხენოსანთა პოლკი, რომელიც მოვარდა და ჩაერთო ბრძოლაში თურმე, რომ ნახჩევანსკის სიკვდილის გამო შური ეძიათ და დახმარებოდნენ ჯავშნოსან მატარებელს, საიდანაც ასევე გაუხსნეს ცეცხლი ბოლშევიკ რუსებს. ამბობენ რამდენიმე ასეული რუსი დაღუპულა ამ ბრძოლაში და ჩემი ძმის თანამებრძოლებს მოუხერხებიათ ნიკუშას, მისი ზემდეგების ცხედრები და აფხაზავას დაფლეთილი სხეულის ნაწილები გამოეტანათ და ტიფლისში წამოეღოთ. ნიკუშას ჭურვის ერთი ანასხლეტი საფეთქელში მოხვედრილიყო, მეორე კი კისრის არეში და სავარაუდოდ ტანჯვის გარეშე ადგილზევე გარდაიცვალა. მისი გვამი შიშველი ჩამოიტანეს. ღმერთმა იცის ვინ გახადა სამოსი. აი, ასე დაიღუპა ჩემი ძმა 1918 წლის 10 იანვარს (ძველი სტილით), უაზროდ, ერთი ავანტიურისტის შეცდომის გამო. არადა, მანამდე გერმანიის ფრონტზე რამდენიმე ბევრად უფრო მძიმე ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და ღმერთმა დაინდო და გადაარჩინა. მთელი ცხოვრება მას შევნატროდი. ჩემი უფროსი ძმა ჩემი კუმირი იყო, მით უფრო, რომ 8 წლის ვიყავი ჩემი ძმა რომ დაიღუპა და მთელი ცხოვრება მაკლდა და მენატრებოდა. მამაჩემი ილია 1912 წლის ივლისში 57 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩვენს მამულში, არბოში. საარტილერიო დივიზიის გენერალი იყო და სიკვდილამდე ორი წლით ადრე პენსიაზე გავიდა, რადგან გენერალ სამსონოვის[87] გამუდმებულმა ინტრიგებმა ძალიან გაანერვიულა, რამაც მისი პარალიზება გამოიწვია. ეს სამსონოვი ინტრიგებს ხლართავდა მამაჩემის საწინააღმდეგოდ, რუსეთის ომის სამინისტროს მიერ ტრანსკავკასიის არტილერიის გენერალურ ინსპექტორად დანიშვნასთან დაკავშირებით. ეს პოსტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ბევრს უნდოდა ხელში ჩაგდება, მაგრამ არათავსებადი, ზოგი რუსისთვის კი უტოპიურიც კი იყო ამ პოსტის ქართველისთვის ჩაბარება. მის პენსიამდე აშხაბადში ვცხოვრობდით, რომელიც ტრანსკასპიისპირა რეგიონის უმნიშვნელოვანესი ქალაქია. იქ მამაჩემი გენერლად, იმ რეგიონის არტილერიის ინსპექტორად მსახურობდა. მამაჩემი წარმოშობით აზნაური იყო ქართული არისტოკრატიული ოჯახიდან. მისი წინაპრები რაჭაში დაფუძნებულან და მამულები ჰქონდათ ონიდან 2 კმ-ში მდებარე სოფელ ღარში, კავკასიონის ქედის, მამისონის უღელტეხილის სიახლოვეს. მაქარაშვილების ოჯახი თავადები იყვნენ, თავად თავდგირიძის შთამომავლები, რომლის ერთ შვილს XVII საუკუნეში მეზობელი თავადის ქალი მოუტაცია, მისი გვარი აღარ მახსოვს,[88] და ცოლის ძმების მხრიდან შურისძიებას რომ გაჰქცეოდა თურქეთში გადასულა. თავადაც და მისი ცოლიც თურქეთში გარდაცვლილან, ხოლო მათ 20 წლის ერთადერთ ვაჟს გადაუწყვეტია საქართველოში დაბრუნება. მისი მშობლები გარდაცვლილებად არ მიაჩნდათ და ჯერ კიდევ იყო შურისძიების საფრთხე მისი ბიძების მხრიდან, ახალგაზრდა კაცი რაჭაში, მშობლების ნათესავი ოჯახებისგან შორს, დაბინავდა რაჭაში. ახსოვდა, რომ მამამისს ყმაწვილობისას ზედმეტსახელად ქარს ეძახდნენ, რადგან ძალიან სწრაფი და დაუდეგარი იყო. ადგა და ფსევდონიმად აიღო მაქარაშვილი, რაც შემოკლებული ფორმით ნიშნავდა „მაგ ქარის შვილი“. ამ გვარით მიიღო შემდეგ აზნაურის ტიტული. სხვათა შორის, მამაჩემს შესთავაზეს მამის უწინდელი გვარი თავდგირიძე დაებრუნებინა, რაზეც სულ უარს ამბობდა. ჩემთვის ეხლა შეუძლებელია გავიხსენო ჩვენი გენეალოგიური ხე თავიდანვე და მხოლოდ ჩემი მშობლების მშობლებზე თუ ვისაუბრებ. მამის მხრიდან ჩემს პაპას ერქვა საყვარელა. ის დაბადებული იყო 1791 წელს ანუ XVIII საუკუნეში და გარდაიცვალა 1903 წელს, ანუ მე-20 საუკუნეში 112 წლის ასაკში. 1812 წელს მონაწილეობა მიუღია ნაპოლეონთან ბრძოლაში და მამაცობისთვის ჯილდოდ, მედალიც კი მიუღია. ბებიაჩემი ჯაფარიძის ქალი[89] იყო. მათ 3 ვაჟი და 2 ქალი ეყოლათ. მამაჩემი ნაბოლარა იყო. იგი რუსეთში, კიევში

გააგზავნეს იუნკერთა კორპუსში. როგორც კი კადეტთა კორპუსის სკოლა დაასრულა არტილერიის ოფიცერთა სკოლაში შევიდა. მამაჩემმა მონაწილეობა მიიღო თურქეთთან ომში 1877 წელს და მისი საბრძოლო მამაცობა რამდენიმე ჯილდოთიც აღინიშნა. წოდებაც მიიღო და სხვადასხვა ჯვრითა და მედლებითაც დაიმშვენა მკერდი. რამდენჯერმე წარადგინეს წმინდა გიორგის ჯვრის ორდენზე, რაც ოფიცრისთვის ყველაზე საპატიო ჯილდო იყო, მაგრამ მისი მიღება ძალიან რთული აღმოჩნდა 1914 წლამდე,[90] რადგან ყოველ ჯერზე სხვა მედლით, ან ორდენით აჯილდოებდნენ. ერთხელ წმინდა გიორგის ოქროს ხმლითაც[91] დააჯილდოვეს, რაც ასევე ძალიან იშვიათ და მაღალ ჯილდოს წარმოადგენდა, მაგრამ ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ქართველი იყო. ბოლოს კი, როგორც იქნა, განსაკუთრებული საბრძოლო ხელოვნების გამოვლენისთვის (როცა მამაჩემმა 4 ქვემეხით დაამუნჯა მტრის (თურქთა) პოზიციებზე ორმოცამდე ქვემეხი, შემდეგ კი ხელთ იგდო ქვემეხებიცა და მთელი საბრძოლო მასალა, მათი მომსახურე ჯარისკაცებით), რუსულმა უმაღლესმა მეთაურობამ, ბოლოს და ბოლოს გახადა ღირსი ამ წმინდა გიორგის ორდენით დაჯილდოებისა. სხვათაშორის, ეს ბრძოლა და მისი მეთაურობა რამდენიმე წიგნშია მოხსენიებული და, მათ შორის, ერთ რუსულ წიგნში „საქართველოს მატიანე" (ავტორი განმარტავს, როგორც ქართული საბრძოლო ხელოვნების ნიმუშს), რომელშიც აღწერილია ქართველთა საბრძოლო მამაცობა და ოსტატობა რუსული ანექსიის შემდეგ. მამა საკმაოდ გვიან დაქორწინდა, 36 წლის ასაკში, თუმცა ჯერ კიდევ 31 წლისას უთხოვია დედაჩემის ხელი. დედას ქალიშვილობის გვარი იყო ნინა ჟურული. ის 20 წლისა ყოფილა, მშობლებთან თავს ბედნიერად გრძნობდა და სულაც არ ჰქონია გათხოვების სურვილი. ძალიან მხიარული ბუნების ყოფილა, უამრავი მეგობარი ჰყოლია და მხოლოდ გართობაზე ფიქრობდა. მხოლოდ 5 წლის ლოდინის შემდეგ შეურთავს ცოლად მამაჩემს და ისიც იმ პირობით, რომელიც პაპაჩემისთვის (საკუთარი მამისთვის) წაუყენებია, რომ მხოლოდ არბოს ეკლესიაში დაიწერდა ჯვარს, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. მას უთხოვია დაასრულეთ დროზე ეკლესია, რადგან მე სხვაგან ჯვარს არ დავიწერო. ჰოდა, გაუორმაგებიათ თურმე მუშახელი და ხელოსნები, რომ დროზე დასრულებულიყო ეკლესიის მშენებლობა. მათი ქორწილი და ჯვრისწერა იყო პირველი ამ ეკლესიაში. დედაჩემი ძალიან ძირძველი ოჯახიდან იყო. მათი წინაპრები თურმე ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს ჩამოსახლებულან რუსეთიდან საქართველოში.[92] წინაპარს რქმევია იური, საიდანაც წარმოდგება გვარი იურული ანუ ჟურული. (ი და ჟ ევროპულ ენებში იდენტურია). მე-14 საუკუნეში ქართლის მეფეს ჟურულებისთვის აზნაურობა უბოძებია და არსებობს კიდეც როგორც საქართველოს ისტორიაში, ასევე ჩვენს საოჯახო მეხსიერებაში შემორჩენილი, კერძოდ ჩემი ბიძის[93] მამის დურმიშხანის ოჯახში იმ ფრესკის რეპროდუქცია, რომელზეც ჩანს ჩვენი წინაპარი მუხლებზე დგას და მეფისგან იღებს აზნაურის წოდებას. მათ შესახებაც, რაც მახსოვს ვერაფერს დაზუსტებით ვერ ვიტყვი, გარდა მამაჩემის მხრიდან პაპა-ბებოსი. პაპაჩემი დურმიშხანი გარდაიცვალა 1904[94] წელს 70 წლის ასაკში. ის იყო განსაკუთრებული ძალის მქონე კაცი. ნეკა თითით, ან კბილით სწევდა ჩვენი არბოს ეკლესიის დიდ ჯაჭვს, რომელიც 70 კგს იწონიდა. ძალიან ახალგაზრდა იყო, 18 წლისა, როცა მონაწილეობდა სპეციალურ დანაყოფში, რომელსაც იმ პერიოდში რეგიონში ფართოდ გავრცელებულ ბანდიტურ ჯგუფებთან ბრძოლა ევალებოდა და მალევე მისი მეთაურიც გახდა. ამ ბანდიტებთან უფრო შედეგიანი ბრძოლის მიზნით ადგა და ზოგიერთ მათგანი, რომელიც უკვე დაკავებული ყავდათ, ციხიდან გამოუშვა, შემდეგ ისინი ამ ჯგუფში გააერთიანა და დაპირდა, რომ წესიერი სამსახურის სანაცვლოდ შეიწყალებდნენ და გაათავისუფლებდნენ. ძალიან მალე, გონიერი მოქმედებით მთლიანად აღმოფხვრა ბანდიტობა და გაანეიტრალა ბანდები. შემდეგ მონაწილეობა მიიღო თურქეთთან ომში 1860 წელს,[95] სადაც თავისი განსაკუთრებული ძალის წყალობით, ხელჩართულ ბრძოლაში დაამარცხა თურქი პოლკოვნიკი. სამწუხაროდ მისი ხმალი სხვა იარაღებთან ერთად გაქრა საქართველოში ბოლშევიკების მოსვლისთანავე. პაპაჩემმა ცოლად შეირთო მამამისის მეზობლის ქალიშვილი, რომლის მამულები 10 კილომეტრის დაშორებით ნიქოზში მდებარეობდა, პატარა ქალაქ ცხინვალიდან 3 კილომეტრში. ბებიაჩემი, ქეთევან ნამორაძე იშვიათი სილამაზის ქალი იყო. მისი პორტრეტი სხვათაშორის დღესაც ინახება თბილისის ერთერთ მუზეუმში.[96] ბებიაჩემი ერუდიტი იყო და ხელოვნება და განსაკუთრებით თეატრი აინტერესებდა. ახალგაზრდა ხელოვანთა დიდმა ქომაგმა,

სხვათაშორის მან შეუწყო ხელი ახალგაზრდა მსახიობი ქალის ლიზა ჩერქეზიშვილის სცენაზე გამოჩენას. დედის მხრიდან ჩემს ბებო-პაპას 4 შვილი ყავდათ. ორი მათგანი, უფროსი ბიჭები ბავშვობაშივე დაეღუპათ. დარჩათ დედაჩემი და მისი ერთი წლით უმცროსი ძმა – გიორგი. ბებიაჩემი გარდაიცვალა 1913 წლის ივლისში, 71 წლის ასაკში, არბოში და დაკრძალულია ეკლესიაში. თავისი ქმრის გვერდით. დედაჩემიც არბოში გარდაიცვალა 1948 წელს, მაგრამ ბოლშევიკებმა ნება არ დართეს, რომ ეკლესიაში დაესაფლავებინათ. ჩემი დის ირას წერილიდან როგორც გავიგეთ, ის სასაფლაოზე დაკრძალეს. ჩვენი ოჯახიდან დარჩა მხოლოდ ჩემი და ირა, რომელიც 1924 წელს ტოლია (ანატოლი – გ.ს.) კიზირიაზე გათხოვდა, იგი ნიკუშას სამხედრო მეგობრის ძმა იყო. სამწუხაროდ, ირას შვილი არ ეყოლა. მის გარდა კიდევ მყავს ბიძაშვილი დურმიშხანი და საქართველოში შეიძლება მყვანან მამაჩემის მხრიდან ჩემი ბიძის კონსტანტინეს შვილიშვილები. აი, შვილებო, ეს არის თქვენი წინაპრების მოკლე ისტორია. ღმერთმა ინებოს, რომ თქვენი წყალობით ჩვენი ოჯახის ხაზი არ შეწყდეს და ჩვენს კერაზე ცეცხლი არ ჩაქრეს.

შენიშვნები

[1] ილია მაქარაშვილი ცნობილი სამხედრო მოღვაწე იყო, მან განათლება კიევის ვლადიმირის გიმნაზიაში მიიღო, შემდეგ კი პავლოვსკის სამხედრო სასწავლებელში. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში. მისი სამხედრო კარიერა 1915 წელს გენერალ-ლეიტანტის ჩინით დაგვირგვინდა (სოსიაშვილი 2022: 126-128).

[2] გ. მაქარაშვილის წერილში მოხსენიებული ჯაში ვერ დავადგინეთ, რაც შეეხება წერილში მოხსენიებულ ყაუხჩიშვილს, ეს იყო მიხეილ გიორგის ძე ყაუხჩიშვილი (1889-1948 წ.წ.) – აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ძმა, სოციალისტ-ფედერალისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი, რომელიც საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ნავიდა ემიგრაციაში და ცხოვრობდა გერმანიაში. მან კარლსრუეს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მოიპოვა ელექტრო-ინჟინერიის დოქტორის ხარისხი. მუშაობდა „სიმენსის“ ქარხანაში (ენციკლოპედია-ლექსიკონი 2018: 469-470).

[3] არჩილ გედევანს და მის დას ელენას სხვა წერილშიც იხსენიებს მიხეილ მაქარაშვილი, სავარაუდოდ ის იყო ემიგრაციაში მყოფი არჩილ გედევანიშვილი (1898-1971), რომელმაც მოგვიანებით ავტობიოგრაფიული რომანი გამოსცა (გედევანიშვილი 1996). არჩილ გედევანიშვილი დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე (პაპავა 1990: 96). ვიდრე არჩილ გედევანიშვილი ევროპაში ჩავიდოდა, მიხეილ მაქარაშვილი ოჯახის წევრებისადმი გამოგზავნილ წერილებში მას ხშირად კითხულობდა და ურჩევდა, რომ ევროპაში განათლების მიღებისათვის გერმანული ენა შეესწავლა (ფონდი 1ა).

[4] ქართველების ორგანიზაცია ევროპაში.

[5] სავარაუდოდ, იგულისხმება ნიკოლოზ ჯაყელი (1887-1970 წ.წ.), ქართველი პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, იტალიის ქალაქ მილანში ერთა ლიგის საერთაშორისო ასოციაციების მეოთხე კონგრესზე საქარ თველოს წარმომადგენელი, 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი. (სარალიძე თ.გ.)

[6] გაურკვეველია ვის გულისხმობს.

[7] ვერ დავადგინეთ.

[8] დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

[9] უნდა იგულისხმებოდეს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანდრია დეკანოზიშვილის (1876-1955 წ.წ) ოჯახი. ანდრია დეკანოზიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იყო რესპუბლიკის წარმომადგენელი არგენტინაში. 1920 წელს იყო საზოგადოება „ჩემოს“ წარმომადგენელი ჰააგაში. 1921 წლი დან იმყოფებოდა ემიგრაციაში (ენციკლოპედია-ლექსიკონი 2018: 127).

[10] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების ნამდვილი წევრი (1909) (წევრები თ.გ.). ეს ქალბატონი შესაძლოა იყოს ცნობილი ექიმის – ივანე ელიაშვილის მეუღლე.

[11] ვერ დავადგინეთ.

[12] იგულისხმება გიორგი ჟურულის მეუღლე – ელენე მუსხელიშვილი.

[13] იგულისხმება გიორგი ჟურული.

[14] სავარაუდოდ, გულისხმობს არჩილ გედევანიშვილს (1898-1971 წ.წ.), რომელიც მოგვიანებით ევროპაში მოღვაწეობდა. დაკრძალულია ლევილში (პაპავა 1990: 96).

[15] აღნიშნულ პიროვნებას იხსენიებდა დურმიშხან გიორგის ძე ჟურულიც (ფონდი 1ბ).

[16] ვერ დავადგინეთ.

[17] ვერ დავადგინეთ.

[18] იგულისხმება ირინა მაქარაშვილის მეგობარი – მალალო მესხიშვილი-ანდრონიკაშვილი.

[19] შესაძლოა, იგულისხმებოდეს ექიმი თამარ ანტონის ასული გოცირიძე (1914-1967 წ.წ.) (საქართველოს ექიმები თ.გ.).

[20] შესაძლოა, იგულისხმებოდეს ანდრია დეკანოზიშვილის მეუღლის ელია ელიაშვილის ოჯახის წევრი.

[21] ვერ დავადგინეთ.

[22] ვერ დავადგინეთ.

[23] რაკი მიხეილ მაქარაშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დეკანოზიშვილების ოჯახთან, შესაძლოა, მინაწერი ეკუთვნოდეს ანდრია დეკანოზიშვილის მეუღლეს.

[24] არ იკითხება.

[25] არ იკითხება.

[26] ვერ დავადგინეთ.

[27] შესაძლოა, გულისხმობდეს არჩილ გედევანიშვილს.

[28] გაურკვეველია ვის გულისხმობს.

[29] გულისხმობს გიორგი ჟურულის ოჯახის წევრებს.

[30] არ იკითხება.

[31] იგულისხმება ირინა მაქარაშვილის მეუღლე ანატოლი კიზირია.

[32] მიხეილ მაქარაშვილს ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთში მოღვაწე ქართველ იურისტთან მიხეილ მუსხელიშვილთან (მიშელ მუსხელი), რომელიც შემდგომში სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. სწორედ მას ეკუთვნოდა ევროგაერთიანების შექმნის იდეა. (პორტალი 2020); (სიმფსონი 2001: 609); (ჰილტონი1979: 52-79); (ქართველები უცხოეთში თ.გ. ა); (შარაძე 1991: 477-482); (ჯაფარიძე 2019).

[33] სავარაუდოდ იგულისხმება მიხეილ მუსხელიშვილის ძმა გიორგი მუსხელიშვილი.

[34] ვერ იკითხება.

[35] ვერ იკითხება.

[36] სავარაუდოდ, იგულისხმება მართა მაჩაბელი, შემდეგომში აკად. ს. ჯანაშიას მეუღლე, ირინა მაქარაშვილის ახლო მეგობარი.

[37] ვერ დავადგინეთ.

[38] სავარაუდოდ, იგულისხმება თამარ სარდიონის ასული ამირეჯიბი, რომელიც 1918 წელს საღოლაშენის სკოლაში მასწავლებლად მოღვაწეობდა (ქშწკგს პროსოპოგრაფია თ.გ.).

[39] იგულისხმება ცნობილი სამხედრო მოღვაწე, საფრანგეთის ეროვნული გმირის დიმიტრი ამილახვრის ძმა – კონსტანტინე ამილახვარი (1901-1943 წ.წ.). როგორც ჩანს, მას მეორე სახელითაც იცნობდნენ (ქართველები უცხოეთში თ.გ. ბ).

[40] იგულისხმება დიმიტრი ამილახვარი (1906-1942 წ.წ.), საფრანგეთის ეროვნული გმირი, რომელიც პარიზში ირინა დადიანზე დაქორწინდა (ქართველები უცხოეთში თ.გ. გ).

[41] იგულისხმება ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსის და საზოგადო მოღვაწის იოსებ დადიანის ქალიშვილი ირინა (ბება) დადიანი (1904-1944 წ.წ.).

[42] იგულისხმება ირინას მეგობარი მარიამ (მალალო) მესხიშვილი-ანდრონიკაშვილი.

[43] იგულისხმება მიხეილ მუსხელიშვილის ოჯახი.

[44] იგულისხმება მიხეილ მუსხელიშვილის უფროსი ძმა – გიორგი მუსხელიშვილი (1901-1936 წ.წ.) რომელსაც ცოლად ჰყავდა თამარ საბახტარაშვილი (შარაძე 1991: 477).

[45] ვერ დავადგინეთ.

[46] ამ ადგილზე გაურკვევლად წერია, სავარაუდოდ, უნდა ეწეროს „პრაქტიკული გამოცდილების".

[47] მიხეილ მაქარაშვილის შვილები.

[48] იგულისხმება გიორგი ჟურულის მეუღლე – ელენე მუსხელიშვილი.

[49] იგულისხმება გიორგი ჟურული.

[50] იგულისხმება გიორგი ჟურულის ვაჟი.

[51] იგულისხმება გიორგი ჟურულის ვაჟი.

[52] იგულისხმება საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი და პოლიტიკოსი მიხეილ მუსხელიშვილი (1903-1964 წ.წ.).

[53] ვერ დავადგინეთ.

[54] იგულისხმება საფრანგეთში მყოფი ქართველი ემიგრანტი მიხეილ გოცირიძე (1897-1983 წ.წ.), რომელიც ლევილშია დაკრძალული (ციფრული ფოტომატიანე 2016).

[55] იგულისხმება მიხეილ მაქარაშვილის მეუღლე ელიზაბეტ გლასი.

[56] იგულისხმება გიორგი ჟურულის ვაჟი – კოტე ჟურული.

[57] არ იკითხება – დაზიანებულია.

[58] ტექსტში შემოკლებით წერია გვარი, უნდა იყოს ფალავანდიშვილი, თუმცა აღნიშნულ პიროვნებაზე დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ.

[59] შესაძლოა, იგულისხმებოდეს ექიმი და პუბლიცისტი გიორგი მაღალაშვილი (1904-1969 წ.წ.) რომელიც გერმანიაში მოღვაწეობდა. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოლიტიკოსებთან და საზოგადო მოღვაწეებთან (ქართველები უცხოეთში თ.გ. დ).

[60] მიხეილ მაქარაშვილის ქალიშვილის ინესის მეუღლე.

[61] ვერ დავადგინეთ.

[62] გიორგი ჟურულის ვაჟი.

[63] მიხეილ მაქარაშვილის ვაჟი.

[64] იგულისხმება პარიზში Princesse Rimma Eristoff-ის სახელით ცნობილი ქართველი მოდელი რიმა ერისთავი (Sputnik საქართველო 2019)

[65] ქეთევან ვაჩნაძე – მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საფრანგეთის სამხედრო სამსახურში მყოფი ქართველი ოფიცრის ალექსი ჩხენკელის (1905-1985 წ.წ.) მეუღლე.

[66] სავარაუდოდ, იგულისხმება მიხეილ მაქარაშვილის მამიდის – თეოდოსიას (ნადოს) ერთ-ერთი შვილი.

[67] სავარაუდოდ ეს იყო მიხეილ მაქარაშვილის ბიძის – კონსტანტინეს მეუღლის – მელანიას ძმისშვილი.

[68] სავარაუდოდ, იგულისხმებიან ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის და საზოგადო მოღვაწის იოსებ დადიანის შვილები ეკა და რუსუდან დადიანები (ქართველები უცხოეთში თ.გ. ე).

[69] ვერ დავადგინეთ.

[70] შესაძლოა, იგულისხმებოდეს ელენე გომართელი (1883-1964 წ.წ.), რომელიც ლევილის სასაფლაოზე განისვენებს. იხ. (პაპავა 1990: 94).

[71] წმინდა გიორგის დღესასწაული არბოში. იხ. თავი: სოფელი არბო და გერისთობის დღესასწაული.

[72] ვერ დავადგინეთ.

[73] ერთ-ერთ წერილში მიხეილ მაქარაშვილი იხსენიებს ბაბი დადიანს, რომელიც ნარიმ ამილახვრის ძმის მეუღლე გახდა, თუმცა დამატებითი ინფორმაცია ამ ოჯახის შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

[74] იგულისხმება გოგი მაქარაშვილის ვაჟი.

[75] გოგი მაქარაშვილის შვილები.

[76] ინესის ქალიშვილი.

[77] ინესის მეორე ქალიშვილი.

[78] გოგი მაქარაშვილის მეუღლე.

[79] იგულისხმება დღევანდელი სომხეთის ქალაქი სტეფანავანი.

[80] იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტი ილია მაქარაშვილი.

[81] იგულისხმება 1918-1921 წლებში ქართული შეიარაღებული ძალების ოფიცერი, პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია.

[82] იგულისხმება ევგენი გეგეჭკორი (1881-1954 წწ.) – ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე.

[83] იგულისხმება ამიერკავკასიის კომისარიატის სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი დ. დონსკოი (ბიბლიოვიკი თ.გ.).

[84] გიორგი ჟურულის მეუღლე, ელენე მუსხელიშვილი-ჟურულისა (1879-1974 წ.წ.).

[85] აქ უზუსტობაა.

იგულისხმება ევგენი აფხაზავა, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი ოფიცერი.

[86] სავარაუდოდ, იგულისხმება რუსეთის იმპერიის გენერალ-ადიუტანტის, ჰუსეინ-ხან ნახიჩევანსკის (1863-1919 წ.წ.) უფროსი ვაჟი ნიკოლოზ ნახიჩევანსკი. თუმცა, აქ უზუსტობაა. ჰუსეინ ხან ნახიჩევანსკის ვაჟი, რომელმაც 1911 წელს პაჟთა კორპუსი დაასრულა, 1912 წელს გარდაიცვალა (ივანოვი 2006: 195).

[87] იგულისხმება რუსეთის იმპერიის კავალერიის გენერალი ალექსანდრე სამსონოვი (1859-1914 წ.წ.) (სამსონოვი).

[88] საქართველოში მცხოვრებ მაქარაშვილთა ინფორმაციით, თავადი, რომელსაც ქალი მოსტაცეს გურიელი იყო.

[89] იგულისხმება ილია მაქარაშვილის დედა ბარბარე ჯაფარიძე.

[90] როგორც ჩანს, აქ უზუსტობაა. ილია მაქარაშვილმა წმ. გიორგის II-ე ხარისხის ორდენი 1878 წელს მიიღო.

[91] აღსანიშნავია, რომ ეს ხმალი, ილია მაქარაშვილის ორდენებთან ერთად ევროპაში პალტოში გამოკერილი ჩაიტანა 1966 წელს ილია მაქარაშვილის ქალიშვილმა ირინა მაქარაშვილმა და თავის ძმას საფრანგეთში მცხოვრებ მიხეილ მაქარაშვილს პრაღაში შეხვედრის დროს გადასცა. მას სურვილი ჰქონდა, რომ ილია მაქარაშვილის ჯილდოები მისი ვაჟის ოჯახში შენახულიყო. მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები, განსაკუთრებით მართა მაჩაბელი (ირინა მაქარაშვილი სიმონ ჯანაშიას და მართა მაჩაბლის ვაჟის – ლაშას ნათლია იყო), ირინას ურჩევდნენ ამ რისკზე არ წასულიყო, მან ხმალი და ორდენები მაინც ჩაიტანა ევროპაში. სიმონ ჯანაშიას ქალიშვილის რუსუდან ჯანაშიას ნაამბობი გადმოგვცა მისმა რძალმა თამარ გუჯაბიძემ, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

[92] ჟურულების წარმომავლობის შესახებ აღნიშნული ვერსია სათავეს იოანე ბატონიშვილის თხზულებიდან იღებს და როგორც დასაწყისში მივუთითებდით, არგუმენტებს მოკლებულია.

[93] იგულისხმება გიორგი ჟურული.

[94] თარიღში უზუსტობაა, დურმიშხან ჟურული გარდაიცვალა 1901 წელს.

[95] აქ უნდა ეწეროს 1877-1878 წ.წ.

[96] ქეთევან ჟურულის პორტრეტი საქართველოს ხელოვნების სასახლეშია დაცული.

დამოწმებანი

ბიბლიოვიკი თ.გ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოვიკი. *ამიერკავკასიის კომისარიატი*. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ამიერკავკასიის_კომისარიატი (ნანახია 14.07.2022)

გედევანიშვილი 1996: ა. გედევანიშვილი. *თავგანწირულნი*. თბილისი.

ენციკლოპედია-ლექსიკონი 2018: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. *ენციკლოპედია-ლექსიკონი*. თბილისი.

ივანოვი 2006: Р. Н. Иванов. *Генерал-Адьютант его величества.* Москва. http://anl.az/elru/i/irnqaev.pdf (ნანახია 14.07.2022)

ნაცვლიშვილი 1992: პ. ნაცვლიშვილი. არბო, პარიზი, ლიმა...არბო! გაზ. *სამშობლო*. მაისი.

პაპავა 1990: თ. პაპავა. *გაბნეული საფლავები*. თბილისი.

პორტალი 2020: პორტალი www.csogeorgia.org. *მიხეილ მუსხელიშვილი და ეჰთიანი ევროპის იდეა*. ვებგვერდი: https://csogeorgia.org/ge/post/mikheil-muskhelishvili-da-ertiani-evropis-idea (ნანახია 14.07.2022)

სამსონოვი: *Самсонов Александр Васильевич*. grwar.ru/persons/person/18 (ნანახია 14.07.2022)

სარალიძე თ.გ.: ლ. სარალიძე. *ჯაყელი ნიკოლოზ*. ვებგვერდი: http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ჯაყელი_ნიკოლოზ

საქართველოს ექიმები თ.გ.: საქართველოს ექიმები. *თამახ ანტონის ასული გოციხიძე*. http://www.nplg.gov.ge/medics/ka/00000136/ (ნანახია 14.07.2022)

სიმფსონი 2001: A. W. B. Simpson. *Human Rights and the End of Empire: Britain and the Genesis of the European Convention*. Oxford University Press.

სოსიაშვილი 2022: გ. სოსიაშვილი. *ახბო, პახიზი, ღიმა*. თბილისი.

სპუტნიკ-საქართველო 2019: სპუტნიკ-საქართველო. *Princesse Rimma Eristoff — კოკო შანელის მოდელი ტფილისელი თავადის ქალი ჩიმა ეჩისთავი*. ვებგვერდი: https://sputnik-georgia.com/20170203/Princesse-Rimma-Eristoff-koko-Sanelis-qarTveli-modeli-234732213.html (ნანახია 14.07.2022)

ფონდი 1ა: საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი #1, საქმე 135, ხ. 42736.

ფონდი 1ბ: საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი #1, საქმე 135, ხ. 42732.

ქართველები უცხოეთში თ.გ. ა: ქართველები უცხოეთში. *მიხეილ მუსხელიშვილი*. ვებგვერდი: http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000041/ (ნანახია 14.07.2022)

ქართველები უცხოეთში თ.გ. ბ: ქართველები უცხოეთში. *კონსტანტინე ამილახვახი*. ვებგვერდი: https://nplg.gov.ge/emigrants/ka/000000571/ (ნანახია 14.07.2022)

ქართველები უცხოეთში თ.გ. გ: ქართველები უცხოეთში. *დიმიტრი ამილახვახი*. ვებგვერდი: https://nplg.gov.ge/emigrants/en/00000008/ (ნანახია 14.07.2022)

ქართველები უცხოეთში თ.გ. დ: ქართველები უცხოეთში. *გიორგი მაღაღაშვილი*. ვებგვერდი: http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000239/ (ნანახია 14.07.2022)

ქართველები უცხოეთში თ.გ. ე: ქართველები უცხოეთში. *ელისო დადიანი*. ვებგვერდი: https://nplg.gov.ge/emigrants/ka/00000007/ (ნანახია 14.07.2022)

ქშწკგს პროსოპოგრაფია თ.გ.: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (ქშწკგს) პროსოპოგრაფია. *თამახ სახდიონის ასული ამირეჯიბი*. ვებგვერდი: https://society.iliauni.edu.ge/persons/18569-tamar-sardionis-asuli-amirejibi (ნანახია 14.07.2022)

შარაძე 1991: გ. შარაძე. *უცხოეთის ცის ქვეშ*. ტ. I, თბილისი.

ციფრული ფოტომატიანე 2016: ციფრული ფოტომატიანე. ქართველები საზღვარგარეთ. *მიხეილ გოციხიძის საფღავი ღვიღის ქახთველთა სასაფლაოზე*. ვებგვერდი: http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/167271 (ნანახია 14.07.2022)

წევრები თ.გ.: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები. *ნინა სამსონის ასული ეღიაშვიღი*. ვებგვერდი: http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00015924/ (ნანახია 14.07.2022)

ჯაფარიძე 2019: ე. ჯაფარიძე. ევროინტეგრაციის სათავეებთან: *მიხეილ მუსხეღიშვიღი და აღექსანდრე ნიკუხაძე*. თბილისი.

ჰილტონი 1979: R. Hilton. *Russian and Soviet Studies in France: Teaching, Research, Libraries, Archives, and Publications*. Russian Review. Vol. 38, No. 1 Jan., 1979, pp. 52-79.

LETTERS AND MEMOIRS OF MIKHAEL MAKARASHVILI

Giorgi Sosiashvili
Gori State Teaching University
giorgisosiashvili@gmail.com

There are introduced letters and memoirs of Mikhael Makarashvili. Mikhael was born in 1903. Mikhael, already a student at Tbilisi State University, went to study abroad in 1922 with other Georgian students. First, he studied in Germany (Heidelberg university) and later continued his studies at Grenoble University (France). He studied there from 1927 to 1928. Lived at various places in Fontainebleau, Grenoble and, finally, settled in

Paris. Mikhael Makarashvili was married there to Polish woman Elizabeth Glass. Couple had two children: Giorgi and Ines, both were born in Monteneblo. Giorgi served in the French Army. He received higher education there and worked at banking when was sent to South America. He met his future wife, Karmen in Lima, got married and settled there. In 1962 Mikhael and Elisabeth visited their son in Peru. Emigrant Mikhael Makarashvili often held meetings with Georgian public figures, visiting European countries to raise awareness of Georgian culture. In 1966, he attended Georgian ballet "Gorda" and met with eminent Georgian artist Vera Tsignadze.

Mikhael Makarashvili died in December, 1967, at the age of 64. He was buried at the Georgian cemetery of Leuville.

წყაროთა თარგმანი და წარდგინება

TRANSLATION AND PRESENTATION OF SOURCES

პეტრე ბუტკოვი რუსეთის მფარველობაში მისაღებად ერეკლე II-ის თხოვნის შესახებ

დავით მერკვილაძე
დამოუკიდებელი მკვლევარი
datomerkvila@yahoo.com

პეტრე ბუტკოვმა რუსეთის არმიაში თავისი სამხედრო სამსახური კავკასიაში დაიწყო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა 1791 წელს მონაწილეობდა ანაპაზე ლაშქრობაში. ხუთი წლის შემდეგ გენერალ ზუბოვს ახლდა სამხრეთ კავკასიაში ე. წ. სპარსულ ლაშქრობაში. 1801-1803 წლებში იგი იყო საქართველოში რუსეთის ჯარების მთავარსარდლის, კ. კნორინგის კანცელარიის მმართველი.

როგორც ჩანს, პ. ბუტკოვმა ამ დროიდან მოკიდა ხელი კავკასიის შესახებ თანადროული ისტორიული საბუთების შეკრებას. სამხედრო სამსახურიდან წასულმა, წლების შემდეგაც განაგრძო კავკასიის შესახებ სხვადასხვა საარქივო ისტორიული დოკუმენტებისა თუ რუსულ პერიოდიკაში მოძიებული მასალების თავმოყრა. ასე შეიქმნა მისი საკმაოდ ვრცელი ნაშრომი კავკასიის შესახებ. თუმცა ავტორი 1857 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ნაშრომის ვერც გამოქვეყნება და ვერც საბოლოო სახის მიცემა ვერ მოასწრო.

განსვენებული მეცნიერის ხელნაწერები მისმა მეუღლემ გადასცა რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიას. აკადემიამ პ. ბუტკოვის არქივის დასამუშავებლად შექმნა კომისია, რომელმაც მრავალწლიანი შრომატევადი შრომა გასწია, აღნიშნული ნაშრომი გამოსაცემად რომ მოემზადებინა. საქმეს ართულებდა ის გარემოებაც, რომ ხელნაწერებს ახლდა ავტორის მიერ სხვადასხვა ადგილას გაკეთებული მრავალრიცხოვანი ჩამატებები და ჩასწორებები, ალაგ-ალაგ ავტორის ხელნაწერის გარჩევაც კი ჭირდა. 1869 წელს ბუტკოვის ნაშრომი – „მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1722-1803 წლებში“ 2 ტომად წარსდგა მკითხველის წინაშე. ამ საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომისიის წევრის, აკადემიკოს მარი ბროსეს მიერ გაწეული შეუფასებელი ღვაწლი.

პ. ბუტკოვის დასახელებული ნაშრომი, მართლაც, უმნიშვნელოვანესი წყაროა XVIII საუკუნის კავკასიისა და მისი მიმდებარე ქვეყნების ისტორიისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მასში აქა-იქ გარკვეული უზუსტობებიც შეინიშნება.

ნაშრომის თარგმანის ერთი მონაკვეთი გასულ წელს გამოვაქვეყნეთ (მერკვილაძე 2021: 277-296), სხვა მონაკვეთები წელსვე დაიბეჭდება სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში. ამჯერად წარმოგიდგენთ პ. ბუტკოვის ნაშრომის იმ ნაწილის თარგმანს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, ძირითადად საუბარია ერეკლე II-ის მიერ რუსეთის საიმპერატორო კარზე მფარველობის შესახებ თხოვნის გაგზავნის გარემოებების შესახებ. აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს პ. ბუტკოვის ნაშრომის 104-106-ე თავებს (ბუტკოვი 1869: 114-120). თარგმანი რუსულიდან შესრულებულია თქვენი მონა-მორჩილისა და ერეკლე ხუციშვილის მიერ.

ტექსტის შინაარსის უკეთ აღსაქმელად თარგმანში ჩამატებული სიტყვები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. წარმოდგენილი შენიშვნების ნაწილი საგამომცემლო კომისიას ეკუთვნის, ნაწილი – მთარგმნელებს. ამის გამო განმარტებებს თან დავურთეთ შესაბამისი მითითებანი.

თავი 104

როდესაც საქართველოს მეფე ერეკლე შუშის ხან იბრაჰიმთან ერთად განჯასა და ერევანზე თავის ბატონობას განამტკიცებდა, ძალზე შეაშფოთა მისი გვირგვინის ახალმა მაძიებელმა.

1737 წელს რუსეთში გარდაცვლილი ქართლის მეფე ვახტანგ ლევანის ძის შვილიშვილი, 1750 წელს გარდაცვლილ ბატონიშვილ ბაქარ ვახტანგის ძის უფროსი ვაჟი, თავადი ალექსანდრე გრუზინსკი 1762

წელს იზმაილოვოს[1] პოლკში მსახურობდა გვარდიის კაპიტნად. განსვენებულ იმპერატორ პეტრე III-თან მისი სიახლოვისა და მოუსვენარი ხასიათის გამო მას მთავრობისაგან საყვედური გამოეცხადა. 1766 წლის 2 მაისს ის ყიზლარში ჩაიყვანეს და წოდებისა და მუნდირის ჩამორთმევის შემდეგ, მისი სურვილისამებრ, საზღვარგარეთ გაუშვეს.

ის სპარსეთში იმ დროს გაბატონებულ ქერიმ-ხანთან გაემგზავრა. კეთილგანწყობილმა მიღებამ მასში შვა ქართლის სამეფოზე სამემკვიდრეო უფლების ძიების სურვილი, რაც, რა თქმა უნდა, იყო უდავო და დამტკიცებული 1732 წელს რეშტში და 1735 წელს განჯაში სპარსეთთან დადებული ტრაქტატებით. თავადი ალექსანდრე სპარსელებს აამებდა, რომ საქართველოს მათ დაუმორჩილებდა და ეს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ქერიმ-ხანმა 1777 წელს უცუმი საჩუქრებით დაიყოლია, რომ საქართველოში შეჭრისა და მეფე ერეკლეს დამხობისთვის დაღესტნელები შეეკრიბა. იმავე დროს, მეორე მხრივ, ამას გილანის ხანი გედაეთი და ვექილის საკუთარი ჯარი, მისი ბიძაშვილის, ზექი-ხანის მეთაურობით შეუწყობდა ხელს.

ეს გეგმა 1778 წელს უნდა შესრულებულიყო, მაგრამ ჩაიშალა, რადგან, რუსეთის მთავრობის სურვილის შესაბამისად, ტარკის შამხალმა და ფათალი ხანმა არ მისცეს უცუმს ამის საშუალება; და რადგან ქერიმ-ხანის სიცოცხლე 1779 წლის თებერვალში შეწყდა.[2]

იმერეთის მეფე სოლომონმა, რომელსაც ერეკლესთან გარკვეული უთანხმოება ჰქონდა, 1779 წელს თავადი ალექსანდრე სპარსეთიდან თავისთან გამოიძახა და, თუმცა მომდევნო წლის დასასრულს [სოლომონი] ერეკლეს შეხვდა და შეურიგდა, მისი დამცრობის საშუალებების ფარულად ძიებას მაინც არ წყვეტდა.

თავად ალექსანდრეს გამოცხადებამ თავისი წინაპრების სამშობლოსა და კანონიერი სამემკვიდრეოს ასეთ სიახლოვეს, მის სასარგებლოდ განაწყო საქართველოს მაშინდელი კათოლიკოსი ანტონი, პაპამისის, მეფე ვახტანგის ღვიძლი ძმა, რომელიც ამის გამო ერეკლესგან სასტიკად დაისაჯა.[3] ალექსანდრეს სასარგებლოდ ქართლის ზოგიერთი თავადიც გადაიხარა, ვინაიდან ქართლელებს ერეკლე არ უყვარდათ, რადგან ის ყოველთვის უპირატესობას თავის მემკვიდრეობით ქვეშევრდომ კახელებს ანიჭებდა. თავადმა ალექსანდრემ ამ თავშესაფრიდან დაქირავებული ლეკების მეშვეობით ქართლზე თავდასხმები დაიწყო, რითაც საქართველოს მხარეებში დაბნეულობისა და მღელვარებების გამოწვევას ცდილობდა.[4]

ასეთმა გარემოებებმა მეფე ერეკლე აიძულა, რომ დაღესტნელთა ახალი ჯარის დაქირავებით გაძლიერებულიყო.

თავადი ალექსანდრე 1781 წლის გაზაფხულზე გადავიდა ახალციხეში, სადაც თურქებმა ის ტკბილად მიიღეს და იქიდანაც არანაკლებ აოხრებდა ქართლის საზღვრებს. მაგრამ თურქებისგან დახმარების გამოთხოვასა და მეზობელი სპარსელი ხანების [ერეკლეს წინააღმდეგ] აღძვრაში წარმატებას რომ ვერ მიაღწია, 1781 წლის აგვისტოს ბოლოს ისევ იმერეთში დაბრუნდა.

სოლომონ მეფემ მას ასევე გადაუწურა ყოველგვარი იმედი და აიძულა, იმერეთის სამფლობელოები დაეტოვებინა.

ამგვარად, თავადი ალექსანდრე 1782 წლის დასაწყისში 8 კაცის თანხლებით რაჭის გავლით გადავიდა ყაბარდოში, იქიდან კი ბრაგუნისა და აქსაის გავლით ჩავიდა ტარკში, შამხალ ხასბულატთან.[5] ამ მგზავრობის დროს მან თავის მხარეზე მიიმხრო ოსები და ყაბარდოელები, რომლებიც მაშინ თვითონაც შეჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ. ის შამხალს ქართლის გვირგვინის მიღებაში დახმარებას სთხოვდა და არწმუნებდა, რომ მის ხელშესაწყობად მზად იყვნენ სოლომონ მეფე, ქართლის თავადები და ალაზანგაღმელი[6] ლეკები;[7] შამხლის ხალხს თითოეულს 50 რუბლის მიცემას ჰპირდებოდა, ტფილისის დაუფლების შემდეგ კი – კიდევ ამდენივეს. შამხალიც აქეთკენ იხრებოდა, მაგრამ უთხრა, რომ ამის თაობაზე დერბენდის ხან ფათალისთან მოთათბირება იყო საჭირო. ამიტომაც თავადი ალექსანდრე 1782 წლის 27 აგვისტოს დერბენდში გაემგზავრა თავად ალექსანდრე ამილახორის თანხლებით, რომელიც მისი ოჯახისადმი ერეკლე მეფის დევნას საქართველოდან რუსეთში გაერიდა ჯერ კიდევ 1771 წელს,[8] ახლა კი პეტერბურგიდან თავად ალექსანდრე გრუზისკისთან გამოიქცა თავისი შეურაცხყოფის გამო ერეკლეზე შურისძიების იმედით.[9]

ახალი საქმეებისთვის ყოველთვის მზადმყოფი ფათალი ხანი ამ შემთხვევას, მით უფრო, მეტი ხალისით ჩაეჭიდა, რადგან მეფე ერეკლეთი უკმაყოფილო იყო შუშის ხან იბრაჰიმთან მისი კავშირის გამო. მან მოკავშირეების მიწვევა დაიწყო საქართველოზე [თავდასასხმელად] ერთობლივი მოქმედებებისთვის.

თავი 105

მეფე ერეკლემ როცა გაიგო, რასაც დერბენდსა და დაღესტანში უმზადდებდნენ, რუსეთის მთავრობას განუცხადა თავისი შეშფოთება. თავისი სახლისთვის ქართლის მფლობელობის შესანარჩუნებლად იხრებოდა რუსეთის მფარველობის ძიებისაკენ და ამის შესახებ მისწერა თავად პოტიომკინს. ამ მიზეზით ყიზლარის კომენდანტი შეეცადა, ფათალი ხანისა და შამხლისათვის წერილების საშუალებით ხელი აეღებინებინა მათ ღონისძიებებზე,[10] რაც მათ შეაჩერეს კიდეც; ხოლო ფათალი ხანმა თავადი ალექსანდრე გრუზინსკი და თავადი ამილახორი თავისთან დაიტოვა.

იმავე დროს იმერეთის მეფე სოლომონ ალექსანდრეს ძეს თურქები ემუქრებოდნენ. თუმცა სოლომონი ყოველთვის პორტას წინააღმდეგი იყო, მაგრამ ახალციხის ფაშა სულეიმანთან ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა და, ძველი ჩვეულებისამებრ, სულეიმანის მიერ იყო ნაშვილები. 1781 წლის შემოდგომაზე და 1782 წლის აგვისტოში იმპერატრიცა ეკატერინესა და თავად პოტიომკინს ის (სოლომონი – მთარგმნ.) სწერდა, რომ თურქებმა განიზრახეს მისი კვლავ თავიანთ უღელქვეშ მოქცევა და რომ სულთანმა ფოთში დიდი ფულით გამოგზავნა კაფუჯი-ბაში[11], ანაკლიაში, მდინარე ენგურის შესართავთან ციხე-სიმაგრის ასაგებად; რომ ამ ორ ადგილას და ბათუმში გარნიზონები გააძლიერეს, დიდი საწყობების აგება დაიწყეს, იმერეთის მიწებს თავს ესხმოდნენ და მგლებივით ამ ქვეყანას დაგლეჯით ემუქრებოდნენ. სოლომონი უკვე თავისი ფიზიკური ძალების სისუსტეს გრძნობდა და მით უფრო ითხოვდა დახმარების ხელის გაწვდას მისი მტრების წინააღმდეგ.

ამასობაში, როდესაც იბერიელ მეფეთა ასეთი ვედრება რუსეთის კარს აღწევდა, მისი გეგმები ამ მხარისადმი სპარსეთის ვექილ ქერიმ-ხანის გარდაცვალებასთან ერთად უარყოფილი არ იყო.

საქართველოში უკვე რამდენიმე წელი იმყოფებოდა გერმანელი მოგზაური, დოქტორი რაინეგსი, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი აღმოსავლეთში გაატარა, იცოდა ქართული და სხვა აზიური ენები და იცნობდა ამ მხარის საქმეთა ვითარებას, სადაც რამდენიმე წელი გაატარა. თავადმა პოტიომკინმა ის თავისთან გამოიძახა და 1782 წლის შემოდგომაზე საქართველოში გააბრუნა როგორც თავისი კომისიონერი[12] ერეკლე და სოლომონ მეფეებთან. სხვათა შორის, რაინეგსს დავალებული ჰქონდა, აღეძრა ერეკლე, ოფიციალურად მოეთხოვა რუსეთის თვითმპყრობელის მფარველობა, რასაც უმაღლესი დასტური მოჰყვა.

იმ დროსვე სოლომონ მეფეს წმ. ანდრიას ორდენი ეწყალობა, ერეკლეს უფროს ძეს, გიორგის კი – წმ. ალექსანდრეს ორდენი.[13]

იმავე დროს მეფე სოლომონმა ძლიერი მფარველობის დაპირება მიიღო, მაგრამ რჩევაც, – რომ ერეკლეს მეფესთან გულწრფელი თანხმობა და სიყვარული ჰქონოდა საერთო მტრების ერთობლივი მოგერიებისთვის, რაც მათ ერთმანეთს შორის დაადგინეს კიდეც საგანგებოდ ამისათვის შეხვედრისას.

სოლომონ მეფის სნეულებების სამკურნალოდ [საიმპერატორო] კარიდან გამოიგზავნა მკურნალი ნიკოლოზ ფონ ვიტენბურგი, რომელიც აქ მეფის ექიმად დარჩა; ჰქონდა რა ნაბრძანები, რომ რუსული სამხედრო უფროსობისთვის მოეხსენებინა ყოველივეს თაობაზე, რაც კი ყურადღების ღირსი იქნებოდა.[14]

თავი 106

ერეკლე მეფის მდგომარეობა მაშინ, ნამდვილად, უკიდურესად გართულებული იყო. თავადი ალექსანდრე გრუზინსკის საქმე მას ძალიან ადარდებდა. უცხოტომელ მტაცებელ მეზობლებს ის სხვანაირად ვერ აკავებდა და მათსავე ბუდეში ვერ აძინებდა, თუ არა ხალხისთვის მეტად მძიმე,

დიდი მსხვერპლის ფასად. ამის მიუხედავად, საქართველო სიმშვიდით ვერ ტკბებოდა, არამედ ყოველთვის საფრთხის მოლოდინში იყო. ერეკლე ლეკებსა და სხვა დაღესტნელებს ყოველწლიურად 60-დან 100 ათასამდე რუბლს აძლევდა და, თუმცა მათგან თავისთან 60-ოდე ამანათს იტოვებდა, ლეკები საქართველოზე ქურდულ თავდასხმებს არ წყვეტდნენ. ჯამაგირისთვის ზოგჯერ 500-მდე კაცი ჩამოდიოდა, რომლებიც თვით ტფილისში ყოველგვარ თავხედობასა და მკვლელობებს დაუსჯელად სჩადიოდნენ, ვინაიდან მეფე მათ გაღიზიანებას უფრთხოდა, რათა მათში მისი საგარეო [სამხედრო] სამსახურისთვის მზადყოფნა არ გაენელებინა.[15]

ასე, რომ, მეფე ერეკლემ დაწერა და მის იმპერატორობით უდიდებულესობასთან გააგზავნა ოფიციალური წერილობითი თხოვნა რუსეთის სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლების ქვეშ მისი მიღების თაობაზე. სხვათა შორის, ის ითხოვდა:

1-ლი. ოთხი ათას ჯარისკაცს რუსეთის კმაყოფაზე, ურწმუნოთაგან მის დასაცავად, ახალციხის დაუყოვნებლივ დასაპყრობად და ალაზანგაღმელი ლეკებისთვის მათ მიერ დაკავებული კახეთის ადგილების წასართმევად.

მე-2. სამეფო ღირსების მისთვის შთამომავლობითურთ დამტკიცებას, რათა თავად ალექსანდრე გრუზინსკის მსგავსმა პრედენდენტმა მათ სამფლობელო ქვეყნები არ წაართვას.

მე-3. კათოლიკოსის მისსავე ხარისხში უცვალებლად დატოვებას.

მე-4. ყირიმში გათავისუფლებული ქართველებისათვის სამშობლოში დაბრუნების ნებართვის მიცემას.

მე-5. საჭიროების შემთხვევაში ჯარის შესანახად სესხის სახით ფულით უზრუნველყოფას.

მეფე ერეკლე თავის მხრივ ჰპირდებოდა:

ა) საქართველოსთვის მისი ძველი მხარეების დასაბრუნებლად გამოყენებული რუსული ჯარის შესანახად გაწეული ხარჯების რამდენიმე წლის განმავლობაში გადახდას იმავე მხარეების შემოსავლებიდან.

ბ) რუსეთის კარზე მისი ერთ-ერთი ვაჟისა და რამდენიმე თავადისა და აზნაურის (ამანათებად) გაგზავნას.

გ) აღმოჩენილი ან მომავალში აღმოსაჩენი ლითონების დამუშავებით მიღებული მოგებიდან ნახევრის რუსულ ხაზინაში შეტანას.

დ) ყოველი ადგილობრივი კომლიდან ხაზინაში 70 კაპიკის შეტანას.

ე) იმპერატრიცას კარისთვის ყიზლარში 2 ათასი ვედრო საუკეთესო ღვინის გაგზავნას, რაც კი მის მხარეებში მოიწევა.[16]

ვ) [საიმპერატორო] კარზე ყოველწლიურად 14 ცხენის გაგზავნას, რაც კი საუკეთესო მოიძებნება მის ქვეყნებში.[17]

ზ) იმ მხარეების მცხოვრებთაგან, რომლებიც საქართველოს რუსული იარაღით დაუბრუნდება, ხაზინისთვის კომლიდან 70 კაპიკის აკრეფას და, ამას გარდა, იმის ნახევრისას, რასაც რუსეთში ხაზინას თავადაზნაურთა ყმები უხდიან; აგრეთვე 200 ფუთ აბრეშუმს.

თ) იმ ოლქების მკვიდრთაგან, რომლებიც რუსული იარაღით შეუერთდება საქართველოს, კომლიდან 70 კაპიკის შტანას ხაზინაში, და ამას გარდა, იმის ნახევარი, რასაც ხაზინაში იხდიან რუსეთში თავადაზნაურთა გლეხები და 200 ფუთი აბრეშუმი.

ი) არსებულ მხარეთაგან და მათგან, რომლებიც საქართველოს ამიერიდან შეუერთდება, რუსული სამსახურისთვის ჯარისკაცების მიცემას კომლთა იმ რაოდენობიდან, იმ დროს სულთა რა რაოდენობიდანაც იქნება გაწვევა რუსეთში.[18]

დაბოლოს, მეფე მასთან ურღვევი ტრაქტატის დადებას ითხოვდა.

იმავე დროს, შესაძლოა, ალბათ კათოლიკე მქადაგებელთა ჩაგონებით, ერეკლე მეფემ სცადა, [გაერკვია,] ხომ არ გამოჩნდებოდა კათოლიკური აღმსარებლობის რომელიმე ევროპელი ხელმწიფე, რომელიც მას თავისი ქვეყნისა და ქრისტიანობის მტერთაგან გადასარჩენად საჭირო ფულით მოამარაგებდა. ერეკლემ ამის თაობაზე სათხოვარი წერილები ჯერ კიდევ 1781 წელს მისწერა რომის იმპერატორ იოსებ II-ს, ტფილისში მყოფი პატრი დომინიკეს მეშვეობით, რომელიც გზაში

გარდაიცვალა. ახლა კი, 1782 წლის 18 ოქტომბერს, ეს გაიმეორა პატრი მავროსის მეშვეობით და ასეთი სესხის სანაცვლოდ შეჰპირდა, რომ იმპერატორისა და გერმანიის პორტასთან ომის შემთხვევაში თურქების წინააღმდეგ მთელი სიმძაფრით იმოქმედებდა. უცნობია, ამ წერილებმა თავის დანიშნულებას მიაღწია თუ არა, მაგრამ ერეკლეს არსაიდან კაპიკიც არ მიუღია.[19]

შენიშვნები

[1] იზმაილოვოს პოლკი შეიქმნა 1730 წლის 22 სექტემბერს. სახელი ეწოდა რუსეთის მაშინდელ იმპერატორ ანას საზაფხულო რეზიდენციის ადგილმდებარეობის (სოფ. იზმაილოვო, ამჟამად მოსკოვის ფარგლებში) მიხედვით (მთარგმნ.).

[2] ბრონევსკისთან. იაკობის 1778 წლის 11 სექტემბრის რაპორტით, სპარსეთის ვექილმა ქერიმ-ხანმა უცუმს საჩუქრები გაუგზავნა და ის სხვა მთიელებთან და ლეკებთან ერთად საქართველოზე სალაშქროდ მიიწვია, რათა რუსეთიდან წამოსული ქართველი ბატონიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე დაესვათ მეფედ. მოკლე დროში ქერიმ-ხანი მოკვდა და ეს განზრახვა უმოქმედოდ დარჩა (გამომც.).

[3] მაშინ წერდნენ, რომ ერეკლემ ანტონი კოშკიდან გადააგდო (გამომც.). საუბარია კათალიკოს ანტონ I-ის (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი) შესახებ, რომელსაც კათოლიკოსის საყდარი ეკავა 1744-1755 და 1763-1788 წლებში. სინამდვილეში იგი იყო ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს ვაჟი. ანტონი გარდაიცვალა 1788 წელს და ერეკლე II-ის მიერ მისი სიკვდილით დასჯის შესახებ ცნობა მცდარია (მთარგმნ.).

[4] ამის შემდეგ ფრჩხილებში: „(აღსანიშნავია, რომ 1781 წლის აგვისტოში ტფილისში ჭირი მძვინვარებდა და ერეკლე იძულებული იყო, კახეთში გადასულიყო)“ (გამომც.).

[5] ხაზბულატის სახელით ცნობილი შამხალი ამ ტიტულს ფლობდა 1734-1758 წლებში. ტექსტში აღნიშნულ დროს კი შამხალი იყო მურთაზა-ალი II (მურთუზალი) (მთარგმნ.).

[6] ხელნაწერში: „ალანს მიღმელი“ (за аланские) (გამომც.).

[7] იგულისხმებიან ჭარელი ლეკები (მთარგ.).

[8] ხელნაწერში წელი არ უზის, არამედ ცარიელი ადგილია დატოვებული, რომელიც აქედან ივსება: Hist. mod. de la Georgie, trad. par. Brosset ч. II, вып. II, (СПб. 1857), ნაწ. II, ნაკვ. II, გვ. 248, შენ. 1 (გამომც.). გამოცემის სრული სახელწოდებისათვის იხ. (ბროსე 1857:).

[9] ამის მიზეზები მან აღწერა წიგნში: „История георгианская о юноше князе Амилахорове“ რომელიც ამავე თავადმა დაწერა და დაბეჭდა (გამომც.). თხზულების რუსული თარგმანისათვის იხ. (ამილახვარი: 1779). მისი ორიგინალური ქართული სახელწოდებაა „გეორგიანული ისტორია ჭაბუკ თავად ამილახვარზე, რომელსაც იმ ქვეყნის მოკლე ისტორიის დართვით თავის ამხანაგებს უამბობს ანატოლიელი ვაჭარი უსიმი“ (ამილახვარი 1939: 125-157), (მთარგ.).

[10] მინაწერი: „აცნობა რა მათ, რომ თავად ალექსანდრე გრუზინსკის თავის [ამ] ღონისძიებაზე უმაღლესი ნებართვა არ გააჩნია“ (გამომც.).

[11] ტექსტში – капуджи-баши. იგულისხმება კაპუდან-ფაშა, ოსმალეთის საზღვაო ფლოტის მეთაური (მთარგ..).

[12] იგულისხმება, რუსეთის იმპერიის ოფიციალურ წარმომადგენლად (მთარგ.).

[13] ამის შემდეგ 1783 წლის 6 აპრილს, მეფე ერეკლეს გაუგზავნეს წმ. ანას ორდენი მისი ერთ-ერთი ძისთვის (გამომც.).

[14] აქ ცალკე ფურცელზე დართულია შემდეგი შენიშვნა: „როდესაც თავადმა პოტიომკინმა შენიშნა, რომ კავკასიის ხაზის მეთაურები მოსაზღვრე უცხოელ მფლობელებთან ურთიერთობისას მაღალფარდოვნებას მიმართავდნენ, 1786 წლის 27 აპრილს მათ ორდერით დაავალა თავის წერილებში ამის შემცირება, – მთარგმნელები ამას ვერ გაიგებენ და ისეთ კვანძებს შეკრავენ, რომ იქ საქმის კვალიც აღარ დარჩება. ჩემს ხსენებისას, – წერს თავადი პოტიომკინი, – არ მსურს, რომ თქვენ მე უახლოეს მინისტრად წარმომადგინოთ, არამედ – ისეთად, როგორიც ვარ, კერძოდ კი, სამხრეთის ყველა საზღვრის მთავარსარდალ ფელდმარშლად და უმაღლეს რწმუნებულად თქვენს მხარეში“ (გამომც.).

[15] ზემოაღწერილი სურათის იმდროინდელ ვითარებას არ შეესაბამება, არც რომელიმე წყაროთ დასტურდება და ერეკლეს რუსეთის მფარველობის მიღებაზე დათანხმების დამატებით ხელოვნურ დასაბუთებას უფრო წააგავს (მთარგ.).

[16] როდესაც საქართველოს სპარსელები და თურქები ფლობდნენ და ყოველ ორ წელიწადში 9 ტყვეს იღებდნენ, მათი მგზავრობისთვის კომლზე 70 კაპიკი იკრიბებოდა; მაშინ სპარსელები და თურქები თავის ხელმწიფეთათვის საუკეთესო ღვინის 50 ტიკს იღებდნენ (გამომც.).

[17] ცხენსაშენები საქართველოში მცირეა, აღსანიშნადაც არ ღირს (გამომც.). აქ პ. ბუტკოვი უნდა ეყრდნობოდეს ს. ბურნაშევის ცნობას. შდრ. (ბურნაშევი 2020: 31).

[18] რუსეთის კარი ხარკის თაობაზე ყველა ამ დაპირებას რომ დათანხმებოდა, ჩვენი გამოთვლით, საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობით ეს თანხა წელიწადში 250 ათას რუბლს არ გადააჭარბებდა; ვინაიდან, პოლკოვნიკ ბურნაშევის შენიშვნით, მეფის საერთო შემოსავლები, განჯისა და ერევნის ხარკის ჩათვლითაც კი, მაშინ ვერცხლითა და ოქროთი 400 ათას რუბლამდე იყო ადიოდა (გამომც.). იხ. (ბურნაშევი 2020: 35).

[19] ერეკლეს მეორე ელჩი მავრო ვერონელიც გზაში გარდაიცვალა (ქ. ბერიჩევში). საფრანგეთის, სარდინიისა და ნეაპოლის მეფეებისადმი, რომის პაპისა და ვენეციის რესპუბლიკისადმი გაგზავნილი წერილები აქედან პოლონელმა კაპუცინელებმა ჩაიტანეს ვენაში. იქიდან სათარგმნელად გაიგზავნა რომში. შემდეგ თარგმნილი წერილები გამოიგზავნა უკან ვენაში და იქიდან დაიგზავნა მისამართების მიხედვით. წერილების ადრესატებამდე მისვლას კიდევ დაახლ. წელიწადი დასჭირდა. დაწვრ. იხ. (თამარაშვილი 1902: 400-402; ტაბაღუა 1979: 62-63).

დამონმებანი

ამილახვარი 1779: История георгианская о юноше князе Амилахорове с кратким прибавлением истории тамошней земли от начала до нынешняго века, которую разсказывает Усим купец анатолский сотоварищам своим между разными известиями, СПб.

ამილახვარი 1939: ა. ამილახვარი. გეორგიანული ისტორია ჭაბუკ თავად ამილახვარზე, რომელსაც იმ ქვეყნის მოკლე ისტორიის დართვით თავის ამხანაგებს უამბობს ანატოლიელი ვაჭარი უსიმი, ჟურნალი „მნათობი“, № 8.

ბროსე 1857: Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIXe siècle, Traduction du Georgien, M. Brosset. Partie 2: Histoire moderne. Livraison 2, St.-Petersbourg.

ბურნაშევი 2020: ს. ბურნაშევი. „საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“, წიგნში: პოლკ. სტეფანე ბურნაშევის სამი ნაშრომი კავკასიის შესახებ, რუსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბილისი.

ბუტკოვი 1869: П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. 2. СПб.

თამარაშვილი 1902: მ. თამარაშვილი. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე*, ტფილისი.

მერკვილაძე 2021: დ. მერკვილაძე. პეტრე ბუტკოვი ქალაქ-სიმაგრე მოზდოკის დაარსების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (25), თბილისი.

ტაბაღუა 1979: ი. ტაბაღუა. საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი.

PETER BUTKOV ABOUT THE REQUEST OF EREKLE II TO BE RECEIVED UNDER THE PROTECTION OF RUSSIA

David Merkviladze
Independent researcher
datomerkvila@yahoo.com

Petre Butkov started his military service in the Russian Army in the Caucasus. In the 1790s he took part in various military expeditions. In 1801-1803 P. Butkov was the head of the Chancellery of the Commander-in-Chief of the Russian troops in Georgia, General K. Knorring. While in this position he had access to many important documents of military-political significance about the Caucasus. After completing his military service, he continued to collect documentary material on this topic. Based on this rich documentary material, P. Butkov compiled the most recent history of the Caucasus of his time. But he died and could not prepared the work for publication.

Later, the scholar's unfinished manuscripts were handed over by his widow to the St. Petersburg Imperial Academy. After several years of hard work, P. Butkov's mentioned work entitled *"Materials for the new history of the Caucasus from 1722 to 1803"*, was finally published by a special commission in two volumes in 1869.

This time we present the translation of the part of P. Butkov's work, which, among other issues, mainly deals with the circumstances of the request of Erekle II to be received under the protection of Russia. This section is chapters 104-106 of P. Butkov's book. The Georgian translation from Russian is done by David Merkviladze and Erekle Khutsishvili.

ექიმ ანტუან-მარი სალვატორის ცნობები ირანში მედიცინისა და ჰიგიენის მდგომარეობის შესახებ (1807–1808)

ირინე ნაჭყებია
გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
irnat@hotmail.com

XIX საუკუნის დასაწყისში ინდოეთზე ლაშქრობის გეგმაში ნაპოლეონმა ირანს მიანიჭა სტრატეგიული მოკავშირის ფუნქცია და იქ 1805-1809 წლებში წარგზავნილი მისიების წევრებს ამ ქვეყნისა და მისი მეზობლების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება დაავალა. წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ 1807-1809 წლებში ირანში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი მინისტრის, გენერალ გარდანის მისიის წევრის, ექიმ ანტუან-მარი სალვატორის ცნობებს სპარსელთა მედიცინისა და ინდოეთში სალაშქროდ გასაგზავნი ევროპული ჯარისათვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციების შესახებ. ეს მასალა გვხვდება სალვატორის წერილებსა (სალვატორი 1814); (სალვატორი 1812) და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაცულ მის მოხსენებით ბარათში (სსსსა: MD/Perse, vol. 7, doc. 42, fol. 113r-122r).

სალვატორის ცნობები თეირანის შესახებ. 1807 წლის აგვისტოს ბოლოს ირანში მიმავალი გენერალი გარდანი მისიის მდივნებთან ერთად კონსტანტინოპოლში ჩავიდა, რათა იქ დალოდებოდა მთავრობის შემდგომ ინსტრუქციებს (სსსსა: CP/Perse: vol. 14, doc. 2). აქ ქალაქში მყოფმა იტალიელმა ექიმმა, მარი-ანტუან სალვატორიმ, წარმატებით უმკურნალა ამ მისიის მესამე მდივანს, ფელიქს ლაჟარს. ექიმის მკურნალობით კმაყოფილმა ლაჟარმა მას რეკომენდაცია გაუწია გენერალ გარდანთან, რომელმაც ის უყოყმანოდ ჩარიცხა საფრანგეთის მისიის ექიმ-ქირურგად. წამლებზე ექიმს თვითონ უნდა ეზრუნა, გენერალი კი მას საკვებით, ბინით, ცხენებით უზრუნველყოფას დაჰპირდა და წლიური ხელფასი, 6.000 ფრანკი დაუნიშნა.

საფრანგეთის მისია კონსტანტინოპოლიდან 1807 წლის 10 სექტემბერს გაემგზავრა და ირანში ნოემბრის ბოლოს ჩავიდა. სალვატორი წერდა: „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ასე ნაქებ, ასე სასურველ სპარსეთში ჩავედით და გვეგონა, რომ გარემოს, ჰავასა და ქვეყანას გამოვიცვლიდით, მაგრამ სცილადან ხარიბდაში მოვხვდით“.[1] ბაიაზეთიდან საფრანგეთის მისია ხოის, თავრიზის, მიანეს, ზენჯანის, სულთანიესა და აბჰერის გავლით ყაზვინში ჩავიდა. ფათჰ-ალი შაჰის ბრძანებით მისია იქ რამდენიმე დღით გააჩერეს, რადგან თეირანში მათი შესვლის ყველაზე ბედნიერი დღის დანიშვნა ასტროლოგის რჩევაზე იყო დამოკიდებული. ყაზვინიდან თეირანამდე მისიამ ოთხი დღის განმავლობაში ქარიან, წვიმიან ან თოვლიან ამინდში იმგზავრა.

თეირანის შემოგარენში საფრანგეთის მისიას ცხენოსანთა ნაწილი დახვდა ერთ-ერთი წარჩინებული კარისკაცის მეთაურობით. მან ფრანგები შესანიშნავ კარავში მიიწვია, სადაც მათ მსუბუქი საუზმით გაუმასპინძლდა. შემდეგ სპარსელმა მხედრებმა სტუმრებს თავიანთი საბრძოლო ხელოვნება აჩვენეს, რასაც ორი კაცის სიცოცხლე შეეწირა. ამ ინციდენტის შემდეგ, მისია თეირანში 4 დეკემბერს შევიდა. საფრანგეთის მისიის თეირანში შესვლისთანავე ცნობილი გახდა, რომ მის შემადგენლობაში ევროპელი ექიმიც იყო.

სალვატორის ცნობით, სპარსეთის სუვერენის რეზიდენცია მაღალი და მშრალი მთის ძირში, სრულიად დაუმუშავებელ დაბლობზე მდებარეობდა. კედლით შემოსაზღვრულ, კვადრატის ფორმის ქალაქს ხუთი კარიბჭე ჰქონდა, რომელთა პირდაპირ მიწური კოშკები იდგა. შაჰის სასახლე ციხესიმაგრესავით იყო გამაგრებული. ცუდად ნაგები ქალაქის ვიწრო ქუჩებში ღამით სიარული სახიფათო იყო ღია ორმოების გამო, რომლებიც ქალაქს სანაგვის მაგივრობას უწევდნენ (სალვატორი 1812: 364-377); (სალვატორი 1814: 631-632).

სპარსელების დამოკიდებულება ევროპული მედიცინის მიმართ. გენერალმა გარდანმა სალვატორის წარჩინებული სპარსელებისთვის წამლების უფასოდ გაცემა უბრძანა. ამ გზით მან

ირანის თითქმის ყველა წარჩინებული და შაჰის ოჯახის ზოგიერთი წევრი გაიცნო. ამას გარდა, მან შაჰისა და მისი დიდმოხელეების ჰარამხანაში შესვლის უფლებაც მოიპოვა. შაჰის ნებართვით მან წარმატებით უმკურნალა მის ორ ცოლსა და რამდენიმე პრინცესას. ამგვარად, სალვატორის საშუალება ჰქონდა თავისუფლად ენახა ყველა მამაკაცისათვის მიუწვდომელი ადგილი – სპარსელთა ჰარამხანები. თავის ერთ-ერთ წერილში, ამ საკითხზე შთაბეჭდილებების გაზიარებას ის ვენაში მყოფ კოლეგას ჰპირდებოდა (სალვატორი 1812: 379-380). სამწუხაროდ, არ არის ცნობილი, შეასრულა თუ არა ეს დაპირება, რადგან ამ მეტად საინტერესო ინფორმაციას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

ფათჰ-ალი შაჰისგან განსხვავებით, სპარსელი წარჩინებულები ევროპელ ექიმს არც თუ დიდი ნდობით შეხვდნენ. ისინი მას მხოლოდ რჩევას ეკითხებოდნენ, მის წამლებს კი არ სვამდნენ: ერთ-ერთმა მათგანმა მას წამალი სთხოვა, მაგრამ კრიალოსნის დამარცვლის შემდეგ, რომელმაც „ამცნო, რომ მას ეს წამალი არ უნდა მიეღო“, ის უკან დაუბრუნა (სალვატორი 1812: 379-380).[2]

სალვატორიმ და ინდოეთში ირანის ყოფილმა ელჩმა, ნები ხანმა, თეირანის კარს კაცობრიობისთვის ვაქცინის უპირატესობის მნიშვნელობა აუხსნეს. სალვატორიმ შაჰის პირველ ვეზირს, მირზა შაფის, ვაქცინის გაკეთება შესთავაზა, მინისტრმა კი ეს ამბავი შაჰს შეატყობინა. ევროპული მედიცინისა და ქირურგიის უპირატესობაში დარწმუნებული შაჰის ნებართვით, ექიმმა მისი ერთ-ერთი ქალიშვილი და პირველი ვეზირის ძმისშვილი აცრა, მაგრამ ვაქცინამ არ იმოქმედა, რადგან ის ვადაგასული აღმოჩნდა. ექიმის მოლოდინი ვერც კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი ვაქცინის პარტიამ გაამართლა და ამგვარად, ის ამაოდ ეცადა ირანში ვაქცინაციის დანერგვას. იგი საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრს, დე შამპანის, შესჩიოდა, რომ მისიის არასათანადო ფინანსური უზრუნველყოფის გამო, მან დაკარგა ყველა სამედიცინო შედეგი და ასე შორეულ ქვეყანაში დიდ ფასად ჩატანილი მედიკამენტები.

სალვატორიმ ვეღარ გაბედა ირანში ვაქცინაციის გაგრძელება, რათა თაღლითად არ მიეჩნიათ. ამის შესახებ იგი ვენაში სწერდა თავის კოლეგას: „დამეხმარეთ ამ პრობლემის გადაჭრაში, რათა სპარსეთში ვაქცინის შეტანით ვიტრაბახო. ვფიქრობ, დღეს ის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეს სიკეთე არ შესულა. ჩუტყვავილა მათ წარმოუდგენელ ზიანს აყენებს“ (სსსსა: CP/Perse: vol. 10, doc. 12; vol. 12, doc. 105); (გარდანი 1809: 47); (შამპოლიონ-ფიჟაკი 1812: 207-208).

სალვატორიმ ყურადღება მიაქცია სპარსელთა ყოველდღიური ცხოვრების წესს, და მათ დამოკიდებულებას პირადი ჰიგიენის მიმართ. იგი წერდა:

> ამაოდ უნდა ეძიო ის ფუფუნება და ბრწყინვალება, რომლითაც ასე იწონებს თავს აზიის ყველაზე ძლევამოსილი მეფე. წარმოიდგინეთ მზეზე გამომშრალი მიწით აშენებული სახლები, მხოლოდ ერთი სართულით მინის დონეზე, კარები კლიტეების, ფანჯრები მინების, ოთახები კი მინების გარეშე. იატაკზე გაშლილი ხალიჩა სკამის, მაგიდისა და დივანის მაგივრობას სწევს. ბამბის დაულიანდაგებელი ლეიბი სუვერენის სანოლიც არის და მისი ყველაზე უკანასკნელი ქვეშაგებიც. მათ არ აქვთ ზეწრები, პირსაწმენდები, სუფრები, დანები, ჩანგლები და კოვზები. სძინავთ სრულად ჩაცმულებს, გახვეულებს ცხვრის ტყავებში. საჭმელს თითებით ჭამენ და შემდეგ ხელებს არ იბანენ. სპარსელები მხოლოდ იატაკზე სხედან და ყველაფერს ასე აკეთებენ. მამაკაცებს ქალებივით აცვიათ, ქალების სამოსი კი მეზღვაურების მსგავსი შარვალი და კოფთაა, რომელიც წელამდე სწვდებათ. სპარსეთში არ იციან რა არის სარეცხი საშუალება, რადგან არაფერი აქვთ გასარეცხი. იქ არავის აცვია პერანგი; ტანსაცმელს, რომელიც უფრო ხშირად აბრეშუმისაა, მანამდე ატარებენ, სანამ ძონძებად არ იქცევა. მეფედან დაწყებული მისი უკანასკნელი ქვეშევრდომით დამთავრებული, ყველას ტილები ჰყავს; ხოლო როდესაც ჩვენ, ევროპელები, სპარსელებთან მივდივართ ვიზიტით, დარწმუნებული ვართ, რომ ტანსაცმელზე პარაზიტები აგვყვა (სალვატორი 1812: 378-379).

სალვატორის ცნობები სპარსელი ექიმების შესახებ. ანტუან-მარი სალვატორის ცნობით, ირანში ორი მიმართულების ექიმი იყო: 1. ჯერაჰის წოდება (Dgerrah – არაბ. جراح) ქირურგს შეესაბამებოდა და მის კომპეტენციაში შედიოდა ყველა სახის შინაგანი დაავადების მკურნალობა. ეს პროფესია მამიდან შვილზე გადადიოდა და დიდი პატივისცემით სარგებლობდა. სალვატორი აღნიშნავდა, რომ სპარსელთა მიერ ოპერაციების ჩატარების მეთოდი „რამდენიმე ათასი წლით იყო ჩამორჩენილი“. 2. ჰაქიმს[3] (Hakim – არაბ. حكم) ექიმ-თერაპევტს უწოდებდნენ; მას დიაგნოსტიკა და ავადმყოფობის მკურნალობა ევალებოდა. სპარსელებისთვის მავანის ექიმად მისაჩნევად, საკმარისი იყო, რომ მას

ავიცენას (980-1037), გალენოსის (129-200/216) ან პარაცელიუსის (1493-1541) სპარსულად ნათარგმნი თხზულებებიდან ფრაზები დაეზეპირებინა და ზოგიერთი წამლისა თუ გამაყუჩებელი საშუალების (drogues) შესახებ სცოდნოდა. ამ ექიმების ვაჟებიც საქმის სრულყოფილ მცოდნეებად ითვლებოდნენ.

სალვატორის თქმით, სპარსელთაგან ბევრი იჩემებდა ექიმობას, მაგრამ მათ არ ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა, მათ მედიცინის პირველი პრინციპებიც კი არ იცოდნენ და თავიანთ უვიცობას სიამაყითა და ამპარტავნებით ნიღბავდნენ. ფათჰ-ალი შაჰმა თავის ორ ქირურგს მასთან ყოველდღიურად მეცადინეობა უბრძანა. ამ მიზნით, სალვატორიმ სპარსულად ათარგმნინა ქირურგიის პირველი ელემენტები და მათ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე თურქულ ენაზე უტარებდა მეცადინეობას. ორი თვის შემდეგ სპარსელებმა მეცადინეობა შეწყვიტეს (სსსსა: MD/Perse, vol. 7, doc. 42). სალვატორის მხრიდან სპარსელ ექიმებთან კონტაქტის დამყარების ყველა მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა.

ირანში 1805-1807 წლებში ნაპოლეონის მიერ წარგზავნილი მისიების წევრების ცნობებით, ირანში ექიმებს დიდ პატივს სცემდნენ. სპარსელ ექიმებს ჰქონდათ რაღაც წიგნები ანატომიის შესახებ, მაგრამ ისინი ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, რადგან ირანში ქირურგიას უდიდეს წინააღმდეგობას ისლამი უქმნიდა და ამდენად, იქ ანატომიის პროგრესი შეუძლებელი იყო. მათი ცოდნა ძირითადად სალბუნის დადებით, ქილების დადგმით, დაჩირქებული ადგილის გაჭრით ან მოწვით და სისხლის გამოსაშვებად წურბელების დასმით იფარგლებოდა. სპარსელი ექიმების მთელი ხელოვნება ავადმყოფობის შესახებ პულსის მიხედვით მსჯელობა და შარდის შემოწმება იყო, მათი მკურნალობის ძირითადი მეთოდი მარტივი წამლებისა და ირანში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების ცოდნით იფარგლებოდა. წამლებად რევანდს,[4] კასიას,[5] ალექსანდრიის ფოთლებს,[6] ოპიუმსა და სხვ. მცენარეებს იყენებდნენ. დიდი სიცხისა და კანის სიმშრალის დროს ავადმყოფს ყინულგარეულ გამაგრილებელ სასმელებსა და წვნიან ხილს უნიშნავდნენ, კუჭის სხვადასხვა დაავადებების დროს კი გამთბარი მუშკის,[7] ქარვის, ალოესა და სხვა ნივთიერებებისგან დამზადებულ დასამშვიდებელ საშუალებას ნიშნავდნენ. მოტეხილობის მოსაშუშებლად და ოფლის მოსადენად ხმარობდნენ მუმიოს,[8] შავი ჭირის, ცოფისა და დიზენტერიის ეფექტურ სამკურნალო საშუალებად კი ფაზარი[9] მიიჩნეოდა. ფათჰ-ალი შაჰის ჰარამხანის ექიმი, მირზა შაფი, გალენოსის სწავლების მიმდევარი იყო და იცნობდა სისხლის ცირკულაციის სისტემას, მაგრამ არაფერი იცოდა ქინაქინის დანიშნულების შესახებ და ის, ისევე როგორც აცრა, საშიშ სიახლედ მიაჩნდა. მას ლოცვების, ავგაროზებისა და თილისმების უფრო სჯეროდა. სპარსეთში უიმედო ავადმყოფობებად მიიჩნევდნენ კენჭების დაგროვებას, წყალმანკს, კანის დაავადებებს, ტრეპანაციასა და ბევრ სხვასაც, რომლებსაც ევროპაში მკურნალობდნენ. ერთ-ერთი ისფაჰანელი ექიმი კი ვენერიული დაავადების მიზეზად დილის ნამსა და ტენიანობას მიიჩნევდა (სსსსა: MD/Perse, vol. 6, doc. 19; სეა: AN, AF IV, 1686, doc. 16); (ჟობერი 1821: 336-340); (ბონტამ-ლეფორი S. d.: 178); (დიუპრე 1819: II, 359).

სალვატორის ცნობები ინდოეთზე ლაშქრობისთვის ხელსაყრელი კლიმატური ვითარების შესახებ. გენერალ გარდანის დავალებით, ინდოეთზე სავარაუდო ლაშქრობის კონტექსტში ექიმმა სალვატორიმ აღწერა კონსტანტინოპოლიდან თეირანამდე მისიის მიერ გავლილი მხარეების ჰავა, სასმელი წყლის ვარგისიანობა, ავადმყოფობები და საკვები.

ექიმის აზრით, ინდოეთზე ლაშქრობის შემთხვევაში, სხვადასხვა შემაფერხებელი მიზეზების თავიდან ასაცილებლად, ირანში ევროპული ჯარის ნაწილები წელიწადის იმ დროს უნდა გაეგზავნათ, როდესაც მცირე აზიასა და ირანში თითქმის მსგავსი ტემპერატურა იქნებოდა. ზამთარში ანატოლიაზე საჯარისო ნაწილების გადაყვანა შეუძლებელი იყო დიდი თოვლის გამო. გაზაფხული მეტად გვიან დგებოდა, დიდ სიცხეს სწრაფად მოსდევდა სიცივე, რაც მგზავრობისთვის მეტად არახელსაყრელი იყო, რადგან ორი თვის განმავლობაში ძლიერ უბერავდა სამხრეთის ქარი. მარტში, აპრილსა და მაისში თოვლის დნობის გამო მდინარეები დიდდებოდა და გზები პრაქტიკულად გაუვალი ხდებოდა. გაზაფხულის ბუნიობიდან შემოდგომამდე მცირე აზიაში რეგულარულად ქროდა ჩრდილოეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ქარები. ზაფხულში ყველა გზა საშიში და მოსარიდებელი იყო ატმოსფერული ცვლილებებით გამოწვეული ეპიდემიების გამო. ერთადერთი სეზონი, რომელსაც ექიმი უპირატესობას

აძლევდა, შემოდგომა იყო, თუმცა არც ის იყო დაზღვეული მრავალი შეფერხებისაგან, რომელიც აზიის ამ მხარეებში თითქმის ყველგან არსებობდა (სსსსა: MD/Perse, vol. 7, doc. 42).

სალვატორის ცნობები სასმელი წყლის შესახებ. სალვატორიმ შეამოწმა მცირე აზიისა და სპარსეთის მდინარეების წყლების ხარისხი, რაც ევროპული ჯარის არსებობისთვის პირველი აუცილებელი ელემენტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ანატოლია მდიდარი იყო წყლის რესურსებით, მისი მდინარეების 2/3 სასმელად არ გამოდგებოდა. ექიმის მიერ ჩატარებული წყლის ანალიზის შედეგები შემდეგი იყო: საქარიისა და ყარა-ჰისარის წყლები მწკლარტე, წურბელებით სავსე და სასმელად უვარგისი იყო. ყიზილ-ირმაკისა და მისი შენაკადების წყალი მწარე იყო და სასმელად მათი გამოყენება მხოლოდ გაწმენდის შემდეგ შეიძლებოდა. ევფრატისა და მურად-სუს წყლები შენაკადებიანად სასიამოვნო დასალევი და მსუბუქი იყო. არაქსის წყალი სასმელად უვაგისი, მიანესი – ძირითადად მსუბუქი და გამჭვირვალე, ყიზილ-უზენისა – თითქმის მუდამ მღვრიე და უვაგისი, სულთანიეს მდინარეები მლაშე, ყაზვინის ჩრდილოეთით მდებარე მთებიდან წამოსული მდინარეები გამჭვირვალე, მძიმე და უგემური იყო. თეირანში წყალი მღვრიე და მძიმე იყო,[10] ამიტომ შაჰის კარიდან ყოველ დღე იგზავნებოდა ხალხი კარგი წყლის ქერეჯიდან მოსატანად. სასმელად ვარგისი იყო აბჰერ-რუდის გამჭვირვალე წყლებიც (სსსსა: MD/Perse, vol. 7, doc. 42).

სალვატორის ცნობები შავი ჭირის შესახებ. სალვატორის ცნობით, საფრანგეთის მისიის არზრუმში ჩასვლამდე, შავი ჭირის გამო იქ ყოველდღე 60-100 ადამიანი კვდებოდა. ავადმყოფს დანაყულ ნიორზე დაყენებულ მჟავე რძეს – იოგურტს, ასმევდნენ (სსსსა: MD/Perse, vol. 7, doc. 42). შავი ჭირის ეპიდემიის გამო გაუკაცრიელებული იყო საქართველო, ხოლო ქალაქები თბილისი და ყარსი თითქმის დაცარიელებულოყო.

თავის მოხსენებით ბარათში სალვატორი დეტალურად აღწერს გენერალ გარდანის ადიუტანტის, შავი ჭირით დაავადებული 33 წლის ინჟინერ-გეოგრაფის, ლეიტენანტ ბერნარის, ავადმყოფობის ისტორიას. ამ ოფიცრის ავადმყოფობა 1807 წლის 27 ოქტომბერს თურქეთის ტერიტორიაზე, არზრუმიდან ხუთი საათის სავალზე მდებარე სოფელ ალვარში დაფიქსირდა. ავადმყოფობის სიმპტომები იყო: გაღიზიანება, უგუნებობა, მელანქოლია, უმადობა, სრული სისუსტე, დაბალი პულსი, დიდი სიცხე, ავადმყოფს ჰკლავდა ღვინის, რომისა და ყავის სმის წყურვილი. სალვატორი მას ქინაქინის ნახარშითა და გოგირდის ეთერით მკურნალობდა. ლეიტენანტი ბერნარი 1807 წლის 7 ნოემბერს, დილის ცხრის ნახევარზე ხოიში გარდაიცვალა. გენერალმა მისი ტანისამოსის დაწვა ბრძანა, რათა ინფექცია არ გავრცელებულიყო.[11] ხოის სომხურ სასაფლაოზე ლეიტენანტ ბერნარის დაკრძალვას საფრანგეთის მისიის წევრებთან ერთად სპარსელთა სამსახურში მყოფი რუსი ოფიცერი და ჯარისკაცები დაესწრნენ. გარდაცვლილი ოფიცრისათვის უკანასკნელი სამხედრო პატივის მიგების ნიშნად, სასაფლაოზე მათ სამჯერ ისროლეს მუშკეტებიდან (სსსსა: MD/Perse, vol. 3, doc. 9; გარდანი 1865: 107).

სალვატორის ცნობები თვალის დაავადებების შესახებ. ექიმ სალვატორის ცნობით, ასაკის, სქესისა და მდგომარეობის მიუხედავად, სპარსეთში ყველას აჰქონდა მხედველობასთან დაკავშირებული პრობლება. მოსახლეობის ორ მესამედზე მეტს ოფთალმია აწუხებდა, რასაც, ექიმის აზრით, მლაშე წყლის სმა, მლაშე საკვების მიღება და მარილიანი მტვერი იწვევდა. სალვატორი გაკვირვებას გამოთქვამდა, რომ „მედიცინის ღმერთკაცებს – ჰიპოკრატეს, გალენოსსა და ავიცენას", ვერ მოეძებნათ ამ დაავადების წამალი და იქვე აღნიშნავდა, რომ ევროპიდან სპარსეთში ჩასული კარგი ოფთალმოლოგი იქ უზარმაზარ ქონებას მოიხვეჭდა. ოფთალმით გამოწვეული თვალის უსიცხო მსუბუქი ანთების დროს სპარსელი ექიმები თრიაქში გარეულ შაბის ხსნარს ნიშნავდნენ, რომელიც დაცხრომის ნაცვლად ანთებას აძლიერებდა. შაჰის ფინანსთა მინისტრს – მირზა იუსუფსა და რამდენიმე სხვა წარჩინებულ პირს სალვატორიმ სტაფილომა დაუდგინა. სპარსელებს შორის გახშირებული იყო კატარაქტა. ის ძირითადად თანამდებობის პირებს ემართებოდათ, რაც, ექიმის აზრით, უკავშირდებოდა სასმელის ზომაზე მეტად მიღებას, მგრძნობიარე სიამოვნებისადმი ზღვარგადასულ ჩვეულებას და ყოველდღიურ მუდმივ მჯდომარე ცხოვრების წესს, როგორიც კარის მირზებს, სწავლულებსა და მოლებს სჩვეოდათ (სსსსა: MD/Perse, vol. 7, doc. 42); (სალვატორი 1812: 368).

სპარსელი ექიმების მიერ ოფთალმიის მკურნალობის შესახებ ცნობა ეკუთვნის საფრანგეთის მისიის წევრს, კაპიტან ოგიუსტ ბონტამ-ლეფორს. 1807 წლის აგვისტოში თავრიზის მახლობლად განლაგებულ აბას მირზას ბანაკში მყოფ კაპიტანს თვალები დაუავადდა და იგი თითქმის ვერაფერს ხედავდა თხუთმეტი დღის განმავლობაში. მეფისწულის პირადი ექიმი მას დამწვარი შაბითა და თრიაქით მკურნალობდა. საფრანგეთის მისიის ზოგიერთ წევრს ოფთალმია დიდი სიცხის დროს დაეწყო. სალვატორიმ ოფთალმია დაუდგინა თავრიზში მყოფ მისიის თარჯიმანს, ჟოზეფ-მიშელ ტანკუანსაც. მისი ცნობით, სპარსელები ამ დაავადებას უფრო მეტად იღიზიანებდნენ, რადგან თვალებზე იდებდენ ხშირად ძალიან ჭუჭყიან, ცისფერი ბამბის ქსოვილს, რომელსაც თითქმის არ იცვლიდნენ, რაც ავადმყოფობაზე უარესი იყო. მიუხედავად ამისა, ქალაქის ასი მამაკაციდან ნახევარს მაინც ქუდზე ასეთი ქსოვილი ეკიდა (ბონტამ-ლეფორი S.d.: 161); (ტანკუანი 1819: II, 69-71).

სალვატორის ცნობები სპარსელების საკვების შესახებ. სალვატორიმ შეისწავლა სპარსელების ძირითადი საკვებიც, რათა წინასწარ განესაზღვრა ირანში დაბანაკებული ევროპული ჯარის ყოველდღიური რაციონი. მისი ცნობით, სპარსელების ყოველდღიური, საყვარელი საკვები ბრინჯი და ბოსტნეული იყო. ბრინჯი საუკეთესო ხარისხისა იყო, ის ადვილად იხარშებოდა, მას სხვადასხვა სანელებლით აზავებდნენ და მრავალნაირად ამზადებდნენ. ირანის ზოგიერთ პროვინციაში, განსაკუთრებით მაზანდარანსა და გილანში, წყალში მოხარშული ბრინჯი მოსახლეობას პურის მაგივრობას უწევდა.[12]

ბრინჯი, ხორბალი, ქერი და ფეტვი ხელმისაწვდომი და იაფი, ჭვავი და შვრია კი ცოტა ან სულ არ იყო. მდიდარ მოსახლეობას კარგად გამომცხვარი და საუკეთესო ხარისხის ფქვილის, დანარჩენ ხალხს კი უხარისხო ფქვილის ცუდად გამომცხვარი პური ჰქონდა და იმასაც ნაკლებად ეტანებოდა.

ხორცს და ისიც მცირე რაოდენობით, მხოლოდ მდიდარი მოსახლეობა მიირთმევდა. ცხვარი კარგი ჰყავდათ, მაგრამ მეტად ცხიმიანი იყო და სრულიად განსხვავდებოდა ევროპულისგან, ცხელი ჰავის გამო ადგილობრივ მოსახლეობას მისი ხორცი არაჯანსაღად მიაჩნდა. შინაური ფრინველის ხორცი კარგი იყო, უხვად იყო ნანადირევიც, განსაკუთრებით მწყერი და ხოხობი. მთები და ტყეები სავსე იყო ირმებითა და გარეული თხის განსაკუთრებული ჯიშით, იყო კანჯარიც და საუკეთესო ჯიშის ტახიც, რომლის ხორცის ჭამას სპარსელებს რელიგია უკრძალავდა.

სპარსელების უმრავლესობის სასმელი წყალი იყო. ისინი გაზაფხულზე გამაგრილებელ რეჟიმს იცავდნენ, იღებდნენ ბევრ სიმჟავეს, სალათს, აგრეთვე ლიმონით, კოწახურით, ტირიფის ყვავილითა და შავთარათი შეზავებულ წყალს. მდიდარი მოსახლეობა ჭამის დროს შარბათს სვამდა, ნაკლებად არაყს.

ირანში ყველაზე მეტად გავრცელებული ხილი საუკეთესო ხარისხის ბროწეული იყო. კარგი ვაშლი მოდიოდა ერევანში, მაზანდარანში, გილანსა და აზერბაიჯანში, მაგრამ ძვირი იყო. მსხალი საშუალო ხარისხისა იყო. ყველაზე ცნობილი, ძალიან გემრიელი, არომატული და დიდი ზომის კომში ისფაჰანის მიდამოებში მოდიოდა; მისგან მეტად სასიამოვნო და სასარგებლო სასმელს ხარშავდნენ; ივნისის ბოლოს მწიფდებოდა ყურძენი, საზამთრო და ნესვი; სისხლის გასაწმენდად და ნაღველის შესამცირებლად სპარსელები საადრეო ნესვსა და ქლიავს ჭამდნენ, მწიფე ქლიავი კი სასაქმებელი საშუალება იყო (სსსსა: MD/Perse, vol. 7, doc. 42).

სალვატორის რეკომენდაციები ინდოეთზე სალაშქროდ გასაგზავნი ევროპული ჯარისთვის. თავის მოხსენებით ბარათში ექიმი სალვატორი საგანგებოდ ეხება ირანის ტერიტორიაზე ევროპული ჯარის გავლის საკითხს. იგი წერდა:

> ჯარის ჯანმრთელობის შენარჩუნება ის საკითხია, რომელიც მეტად აღელვებს ჩვენს მთავრობას, კერძოდ კი მის საიმპერატორო და სამეფო უდიდებულესობას. ამიტომ, რამდენადაც შესაძლებელია, სპარსეთზე ჯარის გავლის შემთხვევაში უნდა ავიცილოთ ის რისკები, რაც აუცილებლად შეგვხვდება მეტად ხანგრძლივი მგზავრობის დროს (სსსსა: MD/Perse, vol. 7, doc. 42).

სალვატორი სრული პასუხისმგებლობით მოეკიდა მისთვის მიცემულ დავალებას და ევროპული ჯარისთვის გასათვალისწინებელი შემდეგი რეკომენდაციები ჩამოაყალიბა:

1. დღის სიცხესა და ღამის სინესტეში ჯარისკაცების მოხერხებულად დასაწვენად, ჯარი უნდა მომარაგდეს კაპიუშონიანი კარგი ლაბადებით, შალის საბნებითა და კარვებით;[13] 2. წყლის ცუდი ხარისხის გასაუმჯობესებელი პირველი ხარისხის მნიშვნელობის სითხე ძმარია; წყალში არსებული უამრავი მიკრობის გამო, ჯარისკაცებს ეკრძალებათ გზად შემხვედრი წყაროებიდან წყლის სმა; წყლის დალევამდე აუცილებელია მისი ტილოს ნაჭერში გაფილტრვა; წყალთან დაკავშირებით ასევე ყურადღებით უნდა მოექცნენ ცხენებსაც; 3. ჯარისკაცებმა ყოველ დღე უნდა მიიღონ არყის ერთი ულუფა; 4. ჯარისკაცების რაციონში ნაკლებად უნდა იყოს ნესვი, საზამთრო და შემოდგომის სხვა ხილი, რათა თავიდან იქნას აცილებული კუჭის აშლილობა და დიზენტერია; 5. ჯარი უნდა მომარაგდეს ორცხობილის სამყოფი რაოდენობით, სანამ ჯარისკაცების კუჭი აზიაში გამომცხვარი ცუდი ჰურის მონელებას არ შეეჩვევა; 6. ჯარისკაცების ძირითადი საკვები ფაფები და კარგად მოხარშული კერძები უნდა იყოს; მეტად სასარგებლოა მათი შენელება წიწაკით, ჯანჯაფილითა და ნივრით; 7. ჯარისკაცებისთვის აუცილებლია თავის განსაკუთრებით კარგად დაფარვა და თვალების ხშირი განმენდა ოდნავ ძმარგარეული სუფთა წყლით; მზის სხივებისა და მტვრისგან თვალების დასაცავად აუცილებელია მათი მომარაგება მწვანე შუშებითა და მწვანე ფერის ქსოვილებით; 8. ცხენების შესანარჩუნებლად აუცილებელი შალის გადასაფარებლები, რაც ცხენს ღამით უნდა დაახურონ; აღმოსავლელები, რომლებიც ჩვენზე უკეთ იცნობენ ადგილობრივ ჰავას, თავიანთ ცხენებს უდიდესი გულმოდგინებით უვლიან; 9. სავალალო შედეგების თავიდან ასაცილებლად ჯარისთვის უკეთესია ღამით გადაადგილება; ჯარმა არასოდეს არ უნდა იმგზავროს დილის 10 საათიდან შუადღის 4 საათამდე; 10. დღის საათებში აუცილებელი მსვლელობის შემთხვევაში, საჯარისო ნაწილებმა ნელა უნდა იმოძრავონ; 11. მანძილის დაშორების მიხედვით საჯარისო ნაწილებმა ერთხელ ან ორჯერ უნდა შეისვენონ (სსსსა: MD/Perse, vol. 7, doc. 42).

ანტუან სალვატორის იმედი ჰქონდა, რომ მის მიერ ევროპის სამეცნიერო წრეებისათვის თითქმის სრულიად უცნობი მხარეების აღწერა იმპერატორისა და მთავრობის ყურადღებას თავისი სიახლით მიიპყრობდა (სსსსა: MD/Perse, vol. 7, doc. 42), მაგრამ ინდოეთზე ლაშქრობა არ შედგა და მისი, ისევე, როგორც გენერალ გარდანის მისიის სხვა წევრების ნაწერები, იმჟამად უყურადღებოდ დარჩა. ირანში ყოფნით უკმაყოფილო სალვატორი თავის ერთ-ერთ კოლეგას სწერდა:

> ახლა იმ სარგებელზე ვიტყვი, რაც ამ ქვეყანაში ჩემი სამედიცინო პრაქტიკის დროს მივიღე. არ დაიჯერებთ! მიუხედავად იმისა, რომ მე მეფის მხევლებს, დეიდებსა და წარჩინებულებს ვმკურნალობდი, ერთი სუც კი არ მიმიღია და სადილადაც არავის მივუწვევივარ. ამ ბრწყინვალე სენიორებს ეგონათ, რომ ჩემთვის მათი მკურნალობის პატივიც საკმარისი იყო. ამრიგად, ჩემი შემოსავალი შემცირდა. იგივე სამედიცინო პრაქტიკა კონსტანტინოპოლში რომ მქონოდა, ძალიან მდიდარი ვიქნებოდი. მაგრამ რა ვქნა! მე ქაშმირული შალებისა და მარგალიტების ქვეყანაში ვარ, მაგრამ ვერაფერი მივიღე. ერთი შალი აქ ოცდახუთი თუმანი – ხუთასი ფრანკი ღირს (სალვატორი 1812: 381-382).

სალვატორის მოღვაწეობა რუსეთში. 1808 წლის ოქტომბერში, სალვატორი გენერალ გარდანის მიერ რუსების ბანაკში ფელდმარშალ გუდოვიჩთან საგანგებო დავალებით გაგზავნილ საფრანგეთის მისიის მესამე მდივანს, ფელიქს ლაჟარს, გაჰყვა. ერევნის შტურმის შემდეგ (17.11.1808) სალვატორი სპარსელებთან ბრძოლაში მძიმედ დაჭრილ კავკასიის გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკს, სიმონოვიჩსა და რუს ჯარისკაცებს მკურნალობდა, რის გამოც გუდოვიჩი[14] საჯაროდ გამოთქვამდა თავის კმაყოფილებას (სსსსა: CP/Perse, vol. 11, doc. 1); (აქტები 1869: III, 515-516). გენერალმა გარდანმა მას მისიის ექიმის წოდება შეუჩერა (გარდანი 1865: 102). ერევნის ალყის შემდეგ თანამდებობიდან გადამდგარმა გუდოვიჩმა, რომელსაც სალვატორი რევმატიზმისგან მკურნალობდა, 1809 წლის გაზაფხულზე ექიმი მოსკოვში წაიყვანა და მას მეტად ცნობილ და აუცილებელ კაცად წარადგენდა (სსსსა: CP/Perse, vol. 11, doc. 1).

ამგვარად, თავისი შემდგომი სამედიცინო საქმიანობა სალვატორიმ რუსეთში განაგრძო. მან პირველმა მიაქცია ყურადღება რუსეთის მოსახლეობის ლტოლვას სპირტიანი სასმელის მიმართ, რასაც *furor bibendi* – სიმთვრალით გამოწვეული სიგიჟე, უწოდა. 1812 წელს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა, ფეოდორ როსტოპჩინმა,[15] ის ციმბირში გაასახლა, რადგან ექიმი ნაპოლეონის საიდუმლო ჯაშუშად მიიჩნია, რომლის მიზანი 1812 წლამდე სანკტ-პეტერბურგის მცხოვრებლების გონებრივი და სულიერი მდგომარეობის გამოკვლევა იყო (ვიგელი 1864: 173). მიუხედავად ამისა, 1817 წელს სალვატორის მოსკოვის ფიზიკა-მედიცინის საზოგადოებაში *furor bibendi*-ის საკითხზე

მოხსენების წაკითხვის საშუალება მიეცა.[16] მისი კვლევის შედეგები აღიარეს ბრიტანეთისა და რუსეთის სამედიცინო საზოგადოებებმა.[17]

დასკვნა. ზემოთ წარმოდგენილი ცნობებიდან გამოჩნდა, რომ თავისი ქვეშევრდომებისგან განსხვავებით, ევროპული მედიცინის მიმართ მეტად პროგრესული დამოკიდებულება ფათჰ-ალი შაჰმა გამოავლინა და სალვატორი მეორე ხარისხის მზის ორდენით დააჯილდოვა (სსსსა: CP/PPerse, vol. 11, doc. 105). ამგვარად, აშკარად გამოჩნდა ევროპელი ექიმის პოლიტიკური მნიშვნელობა (ელგუდი 1951: 144). ირანში სალვატორის საქმიანობას ყურადღება მიაქციეს დიდი ბრიტანეთის დიპლომატებმა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1820-1821 წლებში ირანის ტახტის მემკვიდრის, აბას მირზას სამხედრო სამსახურში მყოფი ნაპოლეონის არმიის ექს-ოფიცერის, თეოდორ ეტიეს (1795-1846), ცნობა. 1822 წლის იანვარში მან სანკ-პეტერბურგში საფრანგეთის ელჩს, გრაფ დე ლა ფერონეს, სპარსეთში არსებული ვითარების ამსახველი ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა. მასში ხაზგასმით ეწერა, რომ ირანში გასაგზავნი საფრანგეთის მისიის შემადგენლობაში აუცილებელი იყო ახალგაზრდა ექიმი-ქირურგის შეყვანა, რომელსაც უნდა შეესწავლა სპარსული, რათა თავისი პროფესიის მეშვეობით საჭირო გამხდარიყო როგორც წარჩინებულების, ისე ჰარამხანის ბინადართათვის. ეს კი ექიმს ისე მისცემდა ინფორმაციის მოპოვებისა და საქმეების საიდუმლოდ წარმართვის საშუალებას, რომ საეჭვო არ ყოფილიყო. ეტიეს ცნობით, სპარსული ენის კარგად მცოდნე ოსტ-ინდოეთის კომპანიის ექიმი ჯონ კორმიკი უფასო კონსულტაციას უწევდა აბას მირზას ჰარამხანას და იქ შეკრებილ ინფორმაციას კაპიტან ჰენრი ვილოკს აწვდიდა (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: MD/Perse, vol. 2, doc. 29). ამგვარად, ყაჯართა ირანში სწორედ ანტუან-მარი სალვატორი იყო ის პირველი ევროპელი ექიმი, რომელსაც ფათჰ-ალი შაჰმა დიდ ნდობა გამოუცხადა და თავისი ჰარამხანის მკვიდრთა მკურნალობის ნებაც კი დართო.

შენიშვნები

1 სცილა და ქარიბდა – ბერძნული მითოლოგიის ზღვის ურჩხულები, ბინადრობდნენ კლდეებში იტალიასა და სიცილიას შორის არსებული სრუტის ორივე მხარეს და ღუპავდნენ იქ გამვლელ მეზღვაურებს. „სცილასა და ქარიბდას შორის“ გამოთქმას ისეთი ვითარების დროს იტყვიან, როდესაც ვინმეს ორი მხრიდან ელის საფრთხე.

2 კაპიტან ბონტამ-ლეფორის ცნობით, თავრიზის ბეგლარბეგმა აჰმედ ხანმა მას და მისიის დრაგომანს, ოგიუსტ დე ნერსიას, გალენოსის რეცეპტით სანდალოზის ხისაგან დამზადებული სითხე აჩვენა, რომლის მიღებამდე ხანი ლოცვებს კითხულობდა და კრიალოსანს მარცვლიდა იმის გასაგებად, თუ რამდენად არგებდა მას წამალი (ბონტამ-ლეფორი S. d.: 156).

3 პროვინციის გუბერნატორების წოდება, ჰაქიმი (Hakim, არაბ. ﺣﻜﻴﻢ) სამედიცინო ცოდნის, მკურნალობის მნიშვნელობითაც იხმარება.

4 რევანდი – მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვისაგან დამზადებულ პრეპარატს ხმარობენ მედიცინაში.

5 კასია – მრავალწლოვანი მცენარე, რომელსაც საქართველოში საფაღარათო საშუალებად ხმარობდნენ. მისი ქერქი შედიოდა პირში გამოსასვლები კეთილსურნელოვანი ნარევის შემადგენლობაში.

6 ორგანულად გამხმარი სენა ალექსანდრინა გამოიყენება ნაწლავის პრობლემების სამკურნალოდ.

7 მუშკი – მეტად სურნელოვანი ნივთიერება, რომელსაც იღებენ ირმების ოჯახის ამავე სახელწოდების ცხოველის სათესლე ჯირკვლებიდან; იყენებენ პარფიუმერიაში, მედიცინაში.

8 მუმიო – უპირატესად ბუნებრივი ბიოლოგიური წარმოშობის ორგანულ-მინერალური პროდუქტი.

9 ფაზარი – ნიამორის ღვიძლში გაჩენილი გაქვავებული ნივთიერება, რომელიც სამკურნალოდ იხმარება.

10 ინგლისელი დიპლომატის, ჯეიმს მორიერის ცნობით, მათი მისიის სამსახურში მყოფ სპარსელს ექვსი დღის განმავლობაში ძლიერი ციებ-ცხელება და სისხლისდენა ჰქონდა, რასაც თეირანის წყალს აბრალებდნენ (მორიერი 1812: 229-230).

11 ლეიტენანტ ბერნარის დაკრძალვა ასახა მისიის მხატვარმა, მიშელ-ფრანსუა პრეომ (ბოპი 1911: 226). ეს სურათი დღემდე ვერ მოვიძიეთ. ცნობილი ისტორიკოსის, ირაჯ ამინის მოსაზრებით, პრეოს ნახატები აღნიშნული არქივიდან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიკარგა (ამინი 1995: 126).

12 გენერალ გარდანის ადიუტანტის, ლეიტენანტ ტრეზელის ცნობით, გილანში საუკეთესო ხარისხის ბრინჯს ცხენებს ქერის ნაცვლად აჭმევდნენ. გილანელები წყალში მოხარშული ბრინჯი ძალიან ნოყიერი და ადვილი

მოსანელებელი იყო, ხორცს ცოტას ჭამდნენ, თუმცა ძალიან კარგი ძროხები, ხარები და კამეჩები ჰყავდათ (ბსსსა: AMFAE, MD/Perse, vol. 3, doc. 2/b).

[13] 1807 წლის 16 ნოემბერს საფრანგეთის მისიამ ღამე სოფელ სეიდ-აბადში, აბას მირზას ბრძანებით დადგმულ კარვებში გაათენა. სალვატორი წერდა: „ღამე ისეთი ცივი იყო, რომ ლოგინში ვერ გავთბი. სქელი ღრუბლები, რომლებსაც ცივი ქარი მოერეკებოდა, მიწაზე სრიალებდნენ და წყლით გაჟღენთილ კარვებში შემოდიოდნენ. გაღვიძებისთანავე ისეთი შეგრძნება მქონდა, როგორც ცივი აბაზანის შემდეგ იცის. მიწა გაიყინა და თოვლი წამოვიდა“ (სალვატორი 1812: 371).

[14] გრაფი ივანე ვასილის ძე გუდოვიჩი (1741-1820) – რუსეთის არმიის ფელდ-მარშალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი და სენატორი, 1806–1809 წლებში საქართველოს მთავარმართებელი, 1809 წლიდან 1812 წლის ომის დაწყებამდე ნაპოლეონთან, მოსკოვის მთავარსარდალი იყო.

[15] გრაფი ფიოდორ ვასილის ძე როსტოპჩინი (1763-1826) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, ნაპოლეონის შემოსევის დროს, მოსკოვის მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი იყო.

[16] გერმანელი ექიმის, თომას ვეფელმეიერი წერს: „ანტონიო-მარიო სალვატორიმ შეიმუშავა ლოთობაზე დამოკიდებულების პირველი კონცეფცია. მისი ლექციები „Commentatio Pathologica“ და „Commentatio Therapeutica de Ebriositate contina remittente et intermittente“ (1817/1818) უკვალოდ გაქრა. მისი წვლილი ნარკომანიის მედიცინაში, სათანადოდ არ იყო აღიარებული, ახლა კი სრულიად დავიწყებულია“ (ვეფელმეიერი 2019: 5).

[17] იტალიელი ჟურნალისტის, მარიო კორტის აზრით, სალვატორი ჯაშუში რომ ყოფილიყო, შემდგომში ის ვეღარც სამედიცინო საქმიანობას განაგრძობდა რუსეთში და ვერც ფინანსთა სამინისტროს მოხელე, *კოლეჟსკი ასესორი* და *სტატსკი სოვეტნიკი*, გახდებოდა (ზინოვიევი 2010: 60-62).

დამოწმებანი

ამინი 1995: I. Amini. *Napoléon et la Perse, Les relations franco-persanes sous le Premier Empire dans le contexte des rivalités entre la France, l'Angleterre et la Russi*. Préfacie de Jean Tulard de l'Institut. Paris, Fondation Napoléon.

აქტები 1869: *Акты*, собранные Кавказской археографической комиссией, под ред. Ад. Берже, т. III, Тифлис, Тип. Главного Управления Наместника Кавказского.

ბონტამ-ლეფორი 1807: S. d.: Bontems-Lefort, Au., *Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année 1807*. S. l.

ბოპი 1911: A. Boppe. *Les peintres du Bosphore au dix-huitième siècle*. Paris, *Librairie Hachette* et Cie.

გარდანი 1809: Ange de Gardane. *Journal d'un voyage dans la Turquie-d'Asie et la Perse, fait en 1807-1808, suivi d'un Vocabulario Italiano, Persico et Turco par le Prince Timurat-Mirza*. Paris-Marseille: Chez Jean Mossy, Imprimeur –Libraire.

გარდანი 1865: Gardane, Alfred de, *Mission du Général Gardane en Perse sous le Premier Empire*. Paris: Librairie de Ad. Lainé.

დიუპრე 1819: A. Dupré. *Voyage en Perse, fait dans les anneés 1807, 1808 et 1809, en traversant la Natolie et la Mésopotamie, depuis Constantinople jusqu'à l'extremté du Golf Persique, et de la à Iréwan*. T. I-II, Paris, J. G. Dentu, Imprimeur-Libraire.

ელგუდი 1951: C. Elgood. *A Medical History of Persia and the Eastern Caliphate*. Cambridge University Press.

ვეფელმეიერი 2019: T. Wefelmeyer. *Antonio Maria Salvatori. Ein Beitrag zur Geschichte der Suchtmedizin*. Reihe: Medizingeschichte. LIT Verlag Münster.

ვიგელი 1864: Ф. Ф. Вигель. "Воспоминанія". *Русскій вестник, журнал литературный и политический*, том 53, Москва, Въ уноверситетской типографіи.

ზინოვიევი 2010: А. Зиновьев. Марио Корти, прозаик, переводчик, радиожурналист (Италия) – *Furor bibendi* ("Запой"). Культурная среда, 2010/1 (6).

მორიერი 1812: J. Morier. *A Journey through Persia, Armenia, and Asia Minor, to Constantinople, in the Years 1808 and 1809*. London: Printed for Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown.

ჟობერი 1821: P. Am. Jaubert. *Voyage en Arménie et en Perse, fait dans les années 1805-1806*. Paris, Chez Pélicier.

სალვატორი 1812: A. M. Salvatori. "Lettera, etc. Lettre du Dr. Salvatori attaché à l'ambassade Française en Perse (Mines d'Orient)". Bibliothèque britannique. T. 50. Genève: l'Impr. BiBliothèque Btitannique.

სალვატორი 1814: A. M. Salvatori. "Journey to Persia". By Signor Dr. Salvatori, Physician attached to the French Embassy in Persia, addressed to Signor Dr. Careno at Vienna. The Classical Journal for March & June, Vol. I. London, Printed & A. J Valpy, Tooke's Court, Chancery Lane.


საფრანგეთის ეროვნული არქივი: Archives Nationales, AF IV, 1686, doc. 16.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი doc. 12: Archives du Ministère des Affaires Étrangères, *Correspondances Politiques, Perse*, vol. 10, doc. 12; vol. 11, doc. 1,105; vol 12, doc. 105; vol. 14, doc. 2.


საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი doc. 29: Archives du Ministère des Affaires Étrangères, *Mémoires et Documents, Perse*, vol. 2, doc. 29; vol. 3, doc: 2/b, 9; vol. 6, doc: 19; vol. 7, 42.

ტანკუანი 1819: J. M. Tancoigne. *Lettres sur la Perse et la Turquie d'Asie*, T. I-II Paris: Nerveu-Libraire.

შამპოლიონ-ფიჟაკი 1812: J. J. Champollion-Figeac. «Médecine». Magasin encyclopedique ou Journal des sciences, des lettres et des arts. Redige par Aubin Louis Millin, Année 1812, Tome, I. Paris: Au Bureau du Magasin encyclopedique, Imprimerie de J. B. Sajou, 175-238.



სურ 1. ექიმ სალვატორის მოხსენებითი ბარათის ფრაგმენტი – A Fragment of Dr. SAlvatori's report AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 42, fol. 117r



120

Sur l'Ophtalmie Endemique en Perse.

Cette maladie est presque generale parmi les Persans : elle n'a point d'egard pour aucun age ni condition : j'ai vu des enfans, des adultes, des hommes, des femmes, des riches des pauvres etre affligés d'une aussi cruelle infirmité.
Je crois très inutile de faire ici une longue enumeration des differentes branches de cette maladie que j'ai observées, ou des affections qui en sont la suite. Je me bornerai à en faire connaitre les principales, et les plus frequentes, en indiquant les causes que d'après mes faibles connaissances m'ont paru telles : je terminerai enfin de les appuyer par des faits : Voici ces causes :
1° Le manque absolu d'arbres qui empeche l'homme de trouver un abri contre les grandes chaleurs de l'été.
2° Le manque de verdure où les yeux puissent se delasser par la refraction continuelle des rayons du soleil par la blancheur du Marnate de Sude, qui les repand de toute part.
Il y a des endroits où la blancheur du sol est telle, que l'on croirait au premier coup d'œil qu'il a neigé. Les villages situés dans des plaines où ce sol abonde, sont ceux où on le plus remarqué d'ophtalmies : je ne citerai ici que Thesuc, et autres villages vers le lac de (Iseki : sur cent habitans, on peut dire sans exageration qu'il y en a soixante de toutes les sexes, ou ophtalmiques.
3° La poussiere entrainée par l'air s'introduisait dans l'interieur des paupieres, occasionne sur le globe par sa nature saline, une plus ou moins forte irritation. Dans les mois de Janvier, de Mars, et même moitié d'avril, on a observé à Thesuc presque journellement des ouragans venant du Sud-Ouest. (Ces ouragans regnent dans l'immense plaine de Rey [l'ancien Rhagès] et dans le territoire de (Chehrior à l'Ouest de Rey. (C'est de Sud-Ouest aussi sortis les montagnes d'Elwend au Nord d'Hamadan, et par les sur des deserts dont la majeure partie est salée. Avant et pendant ces ouragans, le temps est sombre et lourd. La soulevre qu'éleve ce vent est si epaisse, que malgré toutes les soins que l'on prend pour l'eviter, ces soins sont presque inutiles. L'ouragan dure ordinairement une ou deux heures et n'est guères accompagné de pluies.
4° La grande humidité et la fraicheur des nuits en été ; et la coutume des habitans de dormir en plein air sur leurs terrasses.
5° L'usage de porter des bonnets fourrés de peaux de moutons (ces bonnets, de devenant bientôt sales déterminent à la tête la suppression de la transpiration cutanée ; d'où suit ordinairement la teigne ou l'ophtalmie.
6° L'usage de s'épiler les cils avec de la suie dont on forme une sorte de scarifications nommées Surmé.
A toutes ces causes il faut en ajouter une autre : c'est à dire la mauvaise methode qu'employent les Medecins Persans dans le traitement de l'Ophtalmie. Il ne m'a pas été possible, jusqu'à présent, d'observer les premiers symptômes de cette maladie : notre mission en Perse rendant l'ayer en etant malheureusement mal vue de tout le monde. Mais d'après le rapport qui m'a été fait par une certaine de personnes que j'ai consultés sur l'histoire de cette maladie, et d'après ce que j'ai pu observer moi-même, les symptômes qui ont été observés en Angleterre et heureusement decrits par le docteur Guillaume Larrey.
Lorsque

სურ 2. ექიმ სალვატორის მოხსენებითი ბარათის ფრაგმენტი – A Fragment of Dr. SAlvatori's report AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 42, fol. 120r

EVIDENCES ON MEDICINE AND HYGIENE IN IRAN BY PHYSICIAN ANTOINE-MARIE SALVATORI (1807-1808)

Irine Natchkebia
Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies
irnat@hotmail.com

At the turn of the 19th century in order to include Persia in the plan of the Indian expedition Napoleon instructed members of the missions sent there in 1805-1809 to find detailed information about that country. In this article, we focused on the information by Antoine-Marie Salvatori, – a doctor-surgeon in the mission of General Gardan, plenipotentiary and extraordinary minister of France in Iran in 1807-1809, – on the medical situation in Iran and his recommendations for European troops taking part in the projected expedition to India. The article is based on Salvatori's essays, and on his report kept in the archives of French Ministry of Foreign Affairs.

In his Mémoire the doctor Salvatori, criticized Persian doctors – Jarrah as surgeon and Hakim as physician. All of Salvatori's efforts to establish contact with Persian doctors were in vain. According to him, they masked their ignorance with pride and arrogance, many pretended to be doctors, but did not even have elementary knowledge of medicine. Though the Persians had some books about issues of anatomy, religion created a very great obstacle to surgery and its progress there was impossible. Some Persian physicians more believed in prayers, and talismans.

In the context of the supposed expedition to India as the first necessary element for the existence of an army Salvatori analyzed water quality of Asia Minor and Persia rivers, examining Persian cuisine and composed everyday useful menu for the European troops. He paid attention to the spread of an eye inflammation – ophthalmia in Persia. On the basis of this information, he formulated recommendations for European soldiers. Also, Salvatori was the first to pay attention to the Russian population's craving for alcohol, studied it and called this disease *furor bibendi* - the madness of drunkenness.

It is clear from Salvatore's writings that, unlike his subjects, Fath-Ali Shah showed a very progressive attitude towards European medicine. Antoine Salvatori was the first European doctor, trying to make the first vaccination in Persia, and was the first one whom Fath-Ali Shah let even to treat the habitants of his harem.

კარლა სერენას „მოგზაურობა კავკასიაში“

თარგმანი ფრანგულიდან, შესავალი და კომენტარები
ანა ჭეიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა
ana.cheishvili@ehess.fr

თარგმანი
ქეთევან ბიაშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი
ketevanibiashvili111@gmail.com

კარლა სერენა (1820-1884) ერთ-ერთი პირველი ევროპელი მოგზაური ქალია, რომელმაც 1874-1880 წლებში მარტომ მოიარა ეგვიპტე, სირია, ლიბანი, წმინდა მიწა, საბერძნეთი, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიები და სპარსეთი (სკინერი 2015ა). მისი ნამდვილი სახელი და გვარი იყო კაროლინ ჰარტოგ მერგენთაიმი.[1] იგი დაიბადა ანტვერპენში, ებრაულ ოჯახში და იტალიელ ვაჭარ ლეონ სერენასთან ქორწინების შემდეგ ვენეციაში გადავიდა საცხოვრებლად (არტონი 2017: 110) (არტონი 2019: 46). 1849 წელს, პოლიტიკური მოვლენების გამო, წყვილი იძულებული გახდა იტალია დაეტოვებინა და ლონდონში გადასულიყო.

კარლას სერენას საქართველოში მოგზაურობით 2008 წლიდან დავინტერესდით, როდესაც პარიზში, ბუკინისტებთან ვნახეთ ფრანგულ ჟურნალში „მსოფლიოს გარშემო“ (Le Tour du Monde) გამოქვეყნებული მისი სტატია სამურზაყანოსა და აფხაზეთში მოგზაურობის შესახებ (სერენა 1882). სტატია უხვად არის ილუსტრირებული სერენას მიერ აფხაზეთში გადაღებული ფოტოების მიხედვით შესრულებული გრავიურებით. ერთ-ერთმა გრავიურამ, რომელზეც გამოსახულია ილორის ეკლესიაში დაცული საგანძური, მაშინვე მიიქცია ჩვენი ყურადღება. ტექსტის მიხედვით, სერენამ ეს ფოტო 1881 წლის ნოემბერში გადაიღო და სასულიერო პირი, რომელიც გრავიურაზე ჩანს, ილორის ეკლესიის წინამძღვარი ზოსიმე ხელაიაა. მოგვიანებით, ამ გრავიურის, მასზე აღბეჭდილი ბედიის ბარძიმისა და კარლა სერენას საქართველოში მოგზაურობის შესახებ პირველი მოხსენება გავაკეთეთ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ფარესიშვილი 2011).

1880-1884 წლების მანძილზე, კარლა სერენამ არაერთი სტატია და წიგნი გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის შესახებ. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ჟურნალში „მსოფლიოს გარშემო“ გამოქვეყნებული სტატიების სერია და 1881 წელს გამოქვეყნებული წიგნი (სერენა 1881). ამ პუბლიკაციებში სერენა 1875-1877 და 1881 წლებში საქართველოში მოგზაურობას აღწერს. წიგნისგან განსხვავებით, სტატიები ილუსტრირებულია გრავიურებით.

კარლა სერენა მოგზაურობის დასრულებიდან მალევე, 1884 წელს, გარდაიცვალა. უცნაურია, მაგრამ მისი სახელი დავიწყებას მიეცა და XX საუკუნის მანძილზე არცერთ სამეცნიერო პუბლიკაციაში თუ მოგზაურთა შესახებ ენციკლოპედიაში არ არის ნახსენები. მხოლოდ 2006 წელს, იტალიელმა ჟურნალისტმა, დანიელა პიცაგალიმ მიუძღვნა წიგნი, რომელშიც აღწერა სერენას მოგზაურობა მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნებული სტატიებისა და წიგნების მიხედვით (პიცაგალი 2006). კარლა სერენას ცხოვრებას სტატიები ასევე მიუძღვნეს პიტერ სკინერმა (სკინერი 2015ა) და დანიელე არტონიმ (არტონი 2017) (არტონი 2019). დღეისთვის ამ ავტორების მიერ გამოქვეყნებულ ფაქტებს ჩვენ ახალს ვერაფერს შევმატებთ, რადგან სერენას არქივებისა და, განსაკუთრებით კი, ფოტოების მრავალწლიანი ძიება უშედეგო აღმოჩნდა. მხოლოდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 1883 წელს, პარიზში, სახვითი ხელოვნების გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კარლა სერენას მიერ გადაღებული ფოტოები (ოდუარ 1883: 284), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი პირველი ფოტოგრაფი ქალია, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა.

1 Caroline Hartog Mergentheim, და არა Morgensthein, როგორც აქამდე იყო ცნობილი. ცნობა მოგვაწოდეს დანიელე არტონიმ და კარლა სერენას შთამომავალმა ფილიპ კრამერმა, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებთ.

სერენას პუბლიკაციების ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმანი ჯერ არ გამოქვეყნებულა, ამიტომ გადავწყვიტეთ მკითხველს წარვუდგინოთ პირველი ტექსტი, რომლითაც იწყება ჟურნალში „მსოფლიოს გარშემო“ გამოქვეყნებული სტატიების სერია (სერენა 1880). დღემდე ქართულად გამოქვეყნებულია მხოლოდ კარლა სერენას აფხაზეთში, ახალციხესა და ახალქალაქში მოგზაურობის ამსახველი ტექსტების ნაწილი (გაფრინდაშვილი 2021: 177-263), რომელიც შესრულებულია არა ფრანგული დედნიდან, არამედ ინგლისურ ენაზე თარგმნილი ვერსიიდან (სკინერი 2015ბ). სამწუხაროდ, ინგლისური თარგმანი აცდენილია ფრანგულ დედანს: ტექსტში ჩამატებულია ფრაზები, რომლებიც არ არის ორიგინალში, შეცვლილია სოფლებისა და მდინარეების დასახელებები (ეს განსაკუთრებით ეხება სამურზაყანოსა და აფხაზეთში მოგზაურობას). შესაბამისად, იგივე შეცდომები ავტომატურად არის გადასული ინგლისურიდან თარგმნილ ქართულ პუბლიკაციაში.

რაც შეეხება წინამდებარე ტექსტს, რომელიც ქეთევან ბიაშვილთან ერთად ვთარგმნეთ, იგი ასახავს 1875-1876 წლებში კარლა სერენას საქართველოში მოგზაურობას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხშირად სხვადასხვა ისტორიული მოვლენებისა და პირების დახასიათებისას ავტორის მიერ მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამება ისტორიულ წყაროებში დადასტურებულ მონაცემებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ პერიოდში უცხოელი მოგზაურები ხშირად მათ წინამორბედთა მიერ დაფიქსირებულ ისტორიებს ეყრდნობოდნენ, საკითხის სათანადო ცოდნის გარეშე. ასევე, მეფეთა ნუმერაცია არ შეესაბამება დღეს მიღებულს, რასაც მკითხველი ადვილად შეამჩნევს ქვემოთ წარმოდგენილ თარგმანში.

კარლა სერენას პუბლიკაციებში ხშირად გვხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღწერა, თუმცა ზოგჯერ მისი მონათხრობი ეჭვს გვიჩენს ნამდვილად ნახა თუ არა ესა თუ ის ძეგლი ავტორმა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ბაგრატის ტაძრის აღმშენებლის დღეისთვის დაკარგული წარწერა, რომელიც კარლა სერენას მოჰყავს იმერეთში მოგზაურობის შესახებ გამოქვეყნებულ ტექსტში. სერენა წერს, რომ ბაგრატის ტაძრის დათვალიერებისას ნახა ქვის ფილაზე ამოკვეთილი წარწერა: „ღმერთმა შეიწყალოს ადგურბა მაისა, ამ ტაძრის აღმშენებელი.“ ასეთი წარწერა დღეისთვის არ არის ცნობილი, თუმცა მსგავსი შინაარსის წარწერა პირველად აქვს გამოქვეყნებული შვეიცარიელ გეოლოგსა და არქეოლოგს, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს (1798-1850), რომელმაც საქართველოში 1833-1834 წლებში იმოგზაურა. მონპერე ბაგრატის ტაძრის წარწერებს აღწერს და აღნიშნავს, რომ მეოთხე წარწერა, რომელიც მან „ამოტვიფრული ნახა საკურთხევლის მარჯვნივ, კარნიზის ქვაზე, რომელიც სამხრეთით იყურება“, ისევე კარგად შესრულებული არ არის, როგორც ტაძარში ნანახი სხვა სამი წარწერა (მონპერე 1839: 420-421). მას აქვე მოჰყავს ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის, მარი ფელისიტე ბროსეს (1802-1880) მიერ წაკითხული ამ წარწერის ფრანგული თარგმანი „L'architecte de cette église ressuscitera aussi ; Dieu fasse grace à Maïsa“, რაც ქართულ თარგმანში დაახლოებით ასე იკითხება: „ამ ტაძრის აღმშენებელიც აღსდგება; ღმერთმა შეიწყალოს მაისა“. ქართული წარწერის ჩანახატს მონპერე მომდევნო წელს გამოცემულ ატლასში აქვეყნებს (მონპერე 1840: XVIII-13), ხოლო აღწერაში კი წარწერის ტექსტის შეცვლილ ვარიანტს გვთავაზობს. იგი წერს: „ქართული წარწერა ქუთაისის საეპისკოპოსო ეკლესიის აღმშენებელ *ადგომბა მაისას* შესახებ; მოთავსებულია კარნიზის ქვეშ აფსიდის ფასადზე, რომელიც სამხრეთით იყურება“ – „Inscription géorgienne de *Adgomba Maïsa*, architecte de l'église métropolitaine de Koutaïs : elle est placée sous la corniche, sur la façade de l'abside qui regarde le sud“.

ცნობილია, რომ კავკასიიდან საფრანგეთში ჩასული მონპერე ბროსეს დაუკავშირდა და გადასცა საქართველოსა და სომხეთში მოგზაურობისას გადაღებული 80-მდე წარწერა ქართულ, სომხურ, ბერძნულ და არაბულ ენებზე (ბროსე 1836: 493). ბროსემ თარგმანები მიაწოდა მონპერეს (ბროსე 1887: 96-98), თუმცა, მოგვიანებით ზოგიერთი წარწერის წაკითხვა შეცვალა, როდესაც 1837 წლის 17 აგვისტოს სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება. აღნიშნული მოხსენება 1840 წელს გამოქვეყნდა (ბროსე 1840) და ალბათ, სწორედ ამით არის განპირობებული მონპერეს ნაშრომში, ტექსტსა და მოგვიანებით გამოქვეყნებულ ატლასში მოყვანილი წარწერის განსხვავებული წაკითხვა. თვით ბროსეც აღნიშნავს, რომ თავდაპირველად

ბაგრატის ტაძრის ეს წარწერა მან ნაიკითხა შემდეგნაირად: „ამის კალატოზი, შემდგომად მისისა აღაშენოს უფალმან“; მოგვიანებით კი ამგვარად შეცვალა: „ამისი გალატოზიც ადგომბა მაისას შეენდუნეს ღმერთმან“ (ბროსე 1840: 354-355). აღმშენებელის უცნაური სახელის მიუხედავად, ამ წარწერის სხვანაირად წაკითხვა შეუძლებელიაო, აქვე დასძენს ავტორი.

1847-1848 წლებში საქართველოში მოგზაურობისას ბროსე დიდხანს ამაოდ ეძებდა ამ წარწერას ბაგრატის ტაძარზე და, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თვითონ აღნიშნავს, დაახლოებით 12-ჯერ იყო ამ ადგილას მისული დღის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა განათების დროს, აღნიშნული წარწერა ვერ იპოვა, რის შედეგადაც ივარაუდა ქვის ფილის ჩამოვარდნა და წარწერის დაკარგვა (ბროსე 1851: 2). დღეისთვის ეს წარწერა არ არის ცნობილი და, რამდენადაც ვიცით, სხვა პუბლიკაცია მის შესახებ არ არსებობს. რადგან წარწერა თვით ბროსემ ვერ ნახა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ იგი კარლა სერენას ენახა. კარლას მოგონებებიდან ცნობილია, რომ მან არ იცოდა ქართული ენა და რუსულადაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ფლობდა. ვფიქრობთ, რომ სერენა იცნობდა დიუბუა დე მონპერეს უხვად ილუსტრირებულ ნაშრომს და სწორედ მასზე დაყრდნობით შეავსო საკუთარი მოგზაურობის ტექსტი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ რამდენად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ უცხოელ მოგზაურთა მიერ გამოქვეყნებულ წყაროებს.

წინამდებარე თარგმანში, ფრანგული დედნის შესაბამისად, დახრილი შრიფტით არის მოცემული ქართული სიტყვები; ზოგ შემთხვევაში, კვადრატულ ფრჩხილებში, დედნის შესაბამისად, მითითებულია კერძო პირთა და გეოგრაფიული სახელები.

მოგზაურობა კავკასიაში

კარლა სერენა

შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე – იმერეთი, კავკასიის პროვინცია 1875-1876 წლები. ტექსტი და ნახატები პირველად ქვეყნდება როგორ ჩამოვედი კავკასიაში

მოგზაურობით გატაცებას შორს მივყავართ; ამ გატაცებამ მე კავკასიაში ჩამომიყვანა მაშინ, როდესაც 1875 წლის ნოემბერში მხოლოდ ინგლისში მიმავალი გემით მგზავრობა მქონდა განზრახული. შორეული მოგზაურობიდან სკანდინავიის, რუსეთის ერთი ნაწილის, თურქეთის, ეგვიპტის, წმინდა მიწის, სირიის, ლიბანისა და საბერძნეთის გავლით დავბრუნდი კონსტანტინოპოლში. აქ, ჩემმა მეგობრებმა, იცოდნენ რა თუ როგორ მიზიდავდა აღმოსავლეთი, მირჩიეს ანატოლიის, კავკასიისა და რუსეთის გავლით შემომევლო, იმის მაგივრად, რომ ვენის გზას გავყოლოდი, რომელიც ახალს არაფერს მთავაზობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნამდვილად არ იყო ლონდონში ჩასასვლელად უმოკლესი გზა, აზიური სამყაროს კუთხის პირველად ნახვის იდეა მაცდური აღმოჩნდა; თუმცა კი მაინც ვყოყმანობდი. მარჯვნივ წავსულიყავი თუ მარცხნივ? ორმა გარემოებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ერთი მხრივ, გენერალმა იგნატიევმა [Ignatief], ელჩმა, შემომთავაზა ჩემთვის რეკომენდაცია გაეწია იმ სანაოსნო კომპანიის აგენტის წინაშე, რომლის გემებიც ანატოლიაში დაცურავს და, ასევე, წერილი მოეცა ტფილისისთვის. მეორე მხრივ, ანატოლიაში გამგზავრების წინ „ვესტას“ მეთაური კაპიტანი გირკონიში [Guirconich] მესტუმრა. მასთან ერთად უკვე რამდენჯერმე ვიყავი ნამგზავრი. მან შემაგულიანა ორი დღის შემდეგ მისი გემით წავსულიყავი. უარი ვუთხარი, რადგან ლონდონში ჩასვლა ახალი წლისთვის მქონდა დათქმული. პასუხად მივიღე, რომ წინ კიდევ ხუთი კვირა მქონდა

და შემეძლო მშვიდად ვყოფილიყავი, რადგან დანიშნულ დროს ინგლისში ვიქნებოდი. ასეთი პასუხით კმაყოფილი მოკრძალებულ ბარგს დავჯერდი და დანარჩენი ყუთები, რომლებიც ჩემი მოგზაურობის დროს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილ იშვიათ ნივთებს შეიცავდა, პირდაპირ სახლში გავაგზავნე.

ეს იყო პარასკევს.

მომდევნო კვირადღეს ნავმა, რომელზეც რუსეთის დროშა ფრიალებდა, „ვესტას“ გემბანთან მიმიყვანა.

– ხარაშო[2]! – მითხრა მეთაურმა და მეგობრულად გამომიწოდა ხელი – და აი, თქვენ ისევ რუსეთში დაბრუნდით.

კონსტანტინოპოლში გამკიცხეს, რომ მოგზაურობა წამოვიწყე წელიწადის იმ დროს, რომელიც შავ ზღვაზე ყველაზე არასაიმედოდ ითვლება. ამის დასტურად მიწინასწარმეტყველეს, რომ თანამგზავრებიც სრულებით არ მეყოლებოდა. მართლაც, კომპანიის აგენტისა და მისი ოჯახის გარდა, რომლებიც ინეჰალიაში [Inéhalie] ცხოვრობდნენ და იქიდან ბრუნდებოდნენ, მე ერთადერთი მგზავრი ვიყავი.

თავიდან ზღვა საკმაოდ წყნარი იყო. სუსტი მეზღვაური, კერასუნტს[3] გავცდით თუ არა, დასაძინებლად დავწექი. თავდაპირველად, გემის კაპიტანი დროდადრო ყურადღებას იჩენდა და ჩემს მოსაკითხად მოდიოდა; შემდეგ იგი უფრო იშვიათად ჩნდებოდა და ბოლოს, სრულებით აღარ მინახავს. მისი არყოფნა და გემის რყევა ცუდად მენიშნა. თავს უკვე ძალიან ცუდად ვგრძნობდი, როდესაც მეზღვაურმა კაპიტნისგან ბარათი მომიტანა: „გთხოვთ მომიტევოთ, შავ ზღვაში ვართ და, როგორც ჩანს, იგი ცუდ ოინს გვიმზადებს. პოსტის მიტოვება არ შემიძლია. ადგილზე დარჩით“.

ეს სიტყვები წავიკითხე თუ არა, ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და იმდენად დიდხანს გაგრძელდა, რომ გონება დამაკარგვინა. საბარელი ღამე იყო: ხშირი შეტევების შედეგად ჩემმა ცუდად ყოფნამ დილით კულმინაციას მიაღწია. საბედნიეროდ, გამთენიისას გემის კაპიტანი მესტუმრა, რომელმაც ღიმილით შეჰყვირა: „ვაშა! ჩვენ პორტში ვართ. ჩემმა პატარა „ვესტამ“ კარგად იარა. სახიფათო მომენტი კი შეიქმნა, მაგრამ მალევე გადაიარა. რას აკეთებდით მთელი ამ დროის განმავლობაში? ყვიროდით?“

– ვყვიროდი?! – წამოვიძახე – როგორ შევძლებდი? ძალა გამოცლილი მქონდა.

– მაშ გმირულად მოქცეულხართ.

– ჯობს უბრალოდ თქვათ ლაჩრულადო, ჩემო ძვირფასო კაპიტანო, რადგან თვალები დავხუჭე და გონებით სიკვდილს მივენდე.

– ზაფხულში ხმელთაშუა ზღვაზე და ზამთარში შავ ზღვაზე ნაოსნობა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. – განაგრძო მან – ზაფხულში მე თავაზიანი ვარ ქალბატონების მიმართ, მაგრამ ზამთარში ზღვის მგელი თავის პოსტზე უნდა იყოს.

– მაშინ, – მივუგე მე – სწორად ვიქცევი, რომ თქვენთან ერთად ვმგზავრობ ყველა ზღვაში და ნებისმიერ სეზონზე.

„ვესტა“ საღამომდე უძრავად იდგა ტრაპიზონის პორტში, მე კი გუბერნატორის თანხლებით ქალაქის დასათვალიერებლად გავეშურე.

ტრაპიზონის მდებარეობა მომხიბლავია. მისი გორაკები, ფერდობები, ხევები და ველები შვეიცარიასა და ტიროლს გვაგონებს. ამფითეატრის ფორმის ქალაქი ზღვის ნაპირას ამწვანებულ ჭალას ქმნის.

გამგზავრების დრო დადგა. „ვესტას“ ბათუმში ჩასვლისას წყნარი ამინდი იდგა, მაგრამ მიწაზე ფეხი დავდგით თუ არა, სტიქიები ხელახლა აბობოქრდა. არასდროს მინახავს მსგავსი გრიგალი. ძლიერმა ქარმა ჯებირიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით გადამისროლა. ყოველთვის მემახსოვრება თუ როგორი თავაზიანი მისალმებით შემხვდა კავკასია მისი სამფლობელოს კართან!

2 ძალიან კარგი (რუს.).
3 ახლანდელი გირესუნი, თურქეთის საპორტო ქალაქი (ა. ჭ.).

მხიარულ გუნებაზე მყოფ კაპიტანს სიცილი წასკდა, წამოდგომაში დამეხმარა და პატარა ბავშვივით ხელში ატაცებული მიმიყვანა იმ რუსი რწმუნებულის სამუშაო კაბინეტში, რომელიც კონსულის მოვალეობასაც ითავსებდა. „ტვირთის“ დადებისას კაპიტანმა სიცილით თქვა: „ბატონო ჯუდიჩი [Guidici], პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ უშიშარი, მაგრამ ფეხზე სუსტად მდგარი მოგზაური. რეკომენდაციას ვუწევ თქვენი სტუმართმოყვარეობისთვის.“

მართლაც, მომიწია მისი მასპინძლობით სარგებლობა, რადგან იძულებული გავხდი ქარიშხლისა და რიონის სილიანი მარჩხობის გამო, რომელიც სამეგრელოში შესვლას შეუძლებელს ხდიდა, თორმეტი დღის მანძილზე ბათუმში დავრჩენილიყავი.

ბოლოს, შევძელი კოლხეთში გადასვლა, თუმცა, მართალია, იმაზე ნაკლები დაბრკოლების გადალახვით, ვიდრე იაზონი, როდესაც აქ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ჩამოვიდა.

ფოთი დღეს სამეგრელოს პორტია. აქედან რკინიგზას ტფილისისკენ მივყავართ. ცუდმა ამინდმა კიდევ ერთხელ შემიშალა ხელი გზის გაგრძელებაში, რადგან ზვავმა მიმოსვლა თორმეტი დღის მანძილზე შეუძლებელი გახადა; თუმცა, კავკასიის ბუნებაში ყველაფერი დიდებულია, მისი ქარიშხლები და თოვლის ზვინებიც კი.

კონსტანტინოპოლიდან გამომგზავრებიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ჩავედი ტფილისში. ამ ქალაქში თოვლმა ხელახლა ჩამკეტა, გზები გაუვალი იყო. სხვათაშორის ტფილისმა ბევრი საინტერესო სანახაობა შემომთავაზა. აქ კარგად მიმიღეს. წარმადგინეს იმპერატორის ძმის, კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილის[4] წინაშე. მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ შემომთავაზა კავკასიის პროვინციები მომენახულებინა და სურვილი გამოთქვა ჩემთვის რეკომენდაცია გაეწია ხელისუფლების სხვადასხვა პირებთან.

სწორედ ამ უავგუსტოესი მფარველობის ქვეშ დაიწყო ჩემი ექსპედიციები: ერთ-ერთი მათგანი იყო მოგზაურობა იმერეთში.

I

ფოთიდან ტფილისამდე რკინიგზით ისე ვერ წავალთ, თუ გზად ქუთაისი არ გავიარეთ. ეს მომხიბვლელი ექსკურსიაა, რომლის გამოტოვებაც ყველა მოგზაურს დასწყევლიდა გულს. ჩემმა ბედნიერმა ვარსკვლავმა ინება, რომ საუცხოო მთვარის შუქით განათებულ იმერეთის ყოფილ დედაქალაქში კვირა საღამოს ჩავსულიყავი. იმ დღეს, ეს პატარა, ნისლით მოცული ქალაქი ლამაზი პეიზაჟით, მხიარული და მოძრავი იყო. ბაზარში სიცოცხლე ჩქეფს: გამყიდველები, მყიდველები, მათხოვრები ფუთფუთებენ ამ ვიწრო სივრცეში, სადაც ტალახიან მიწაზე, რომელსაც, საბედნიეროდ, კავკასიის მზის სხივები დროდადრო აშრობს, გამწკრივებულია ყველა ადგილობრივი პროდუქტი, მათ შორის – ნატიფი ორიგინალობის, თუმცა იაფფასიანი – გიშრის უამრავი ნაწარმი.

სომეხი და სხვა ვაჭრები წირვიდან გამოსულ მორწმუნეებს ხელს სტაცებენ და რომ არა საყოველთაოდ მიღებული ჩვეულება, რომელიც გულისხმობს თავდაპირველი ფასის ნახევრის შეთავაზებაზე დათანხმებას – სულ მცირე ნივთსაც კი ძვირად აყიდინებდნენ მათ.

საცალო ვაჭრობის ფარდულებს შორის მდებარეობს *დუქნები* – ქრელი დაწესებულებები, რომლებშიც საყასბე, ძეხვეულობა და ბაკალეა კაფე-რესტორნებთან არის შერეული.

რამდენიმე კვადრატული მეტრი საკმარისია ამ სხვადასხვა მრეწველობის ერთდროული ფუნქციონირებისთვის. სწორედ აქ, ამ თვალში საცემი არეულობის შუაგულში, შესაშური წესრიგის დაცვით იკრიბებიან ქუთაისლები ერთმანეთთან სასაუბროდ. მაღაზია, საცხობი, სასადილო, საჯინიბო მათთვის განკუთვნილ ადგილს ისე იკავებს, რომ თითოეული სათავსოს ჩვეული ფუნქცია არ იჭრება მეზობელ განყოფილებაში. კლიენტის ცხენი და მეპატრონის ღორი თავ-თავიანთი პატრონების გვერდით ჭამენ. იმ საბედისწერო საათის მოლოდინში, როდესაც მათ ნაჭერ-ნაჭერ

4 მიხეილ რომანოვი (1832-1909) – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს მეოთხე ვაჟი, მთავარსარდალი და სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის მეფისნაცვალი 1862-1881 წლებში (ა.ჭ.).

გაყიდიან მუშტრებზე, ღორები ფილოსოფიურად დააბოტებენ ქუთაისის ქუჩებში, ისე რომ არც კი ეჭვობენ, ისევე როგორც ის მაცხოვრებლები, რომლებიც მათი ხორცით იკვებებიან, რომ ისინი, სულ უბრალოდ, ულისეს იმ ცნობილი თანამგზავრების შთამომავლები არიან, რომლებიც კირკემ საბიზღარ ცხოველებად აქცია, რათა მათი დევნისთვის თავი დაეღწია.

მიმზიდველი სანახაობისა და იმ ნაკადულის მიუხედავად, რომელიც ქალაქის გორაკების გარშემო მოედინება, ქუთაისი მაინც არის უსუფთაო ქალაქი – თავადაც უსუფთაოა და, ასევე, ის ხალხიც, ვინ აქ ცხოვრობს. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც კვირაობით ქალაქში იკრიბებიან, ნამდვილად საუცხოო ტიპები არიან, მაგრამ ეს ადგილობრივები გაცილებით უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდნენ მათი გარემო ასეთი ღარიბი რომ არ იყოს! თუმცა, მიუხედავად ხელმოკლეობის დაღისა, ის სხვადასხვა სახის გართობა, რომელსაც ეს ხალხი მიმართავს, იქნება ეს, სეზონის მიხედვით ღია ცის ქვეშ თუ დუქნებში, აქაურ ცხოვრებას ისეთ სიცოცხლეს აძლევს, რომელიც სასიამოვნოდ იპყრობს უცხოელს.

აქ გავრცელებულ ეკლესიებს შორის ბერძნული მართლმადიდებლური რელიგია ყველაზე მეტ მიმდევარს აერთიანებს. კათოლიკები, მუსლიმები და ებრაელები ცალკე ერთობებს ქმნიან. ამის შესახებ აქვე ვიტყვი, რომ საშუალება მქონდა იმერეთის ეპისკოპოსის ქადაგება მომესმინა, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონეს მასებში განათლების შეტანას ახმარს. ეს ქართველი პრელატი განსაკუთრებით ცნობილია თავისი ქადაგებებით, რომლებიც სისადავითა და კარგი გემოვნებით[5] გამოირჩევა.

ერთ-ერთი ადგილობრივი სუვერენის ბაგრატ IV-ის დანგრეული ბაზილიკის ჩრდილსა და, ასე ვთქვათ, მფარველობის ქვეშ, აღმართულია ვრცელი სემინარია, რომელიც სულ უფრო და უფრო ივსება მოსწავლეებით. გარშემო, მეზობელ ფერდობებზე შეფენილია, მათი მფლობელების შესაძლებლობების მიხედვით, მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობილი პატარა სახლები, სადაც მარტო ან ჯგუფებად, დღეში 25 *კაპიკის* (80 სანტიმი) საფასურად ცხოვრობენ ახალგაზრდა სტუდენტები. კვირას შევესწარი თუ როგორ ტოვებდნენ საკუთარ ბუდეებს ეს ჩიტები: ერთნი ენის ტარტარით მიუყვებოდნენ ბილიკებს – მომდევნო დღის გაკვეთილებს სწავლობდნენ; სხვები, დაჩრდილულ თხრილში მსხდომნი, ამოცანის ამოხსნაზე ფიქრში უსასრულობას მდუმარედ გაჰყურებენ; დაბოლოს, რამდენიმე მათგანი, ძველი სასაფლაოს საფლავის ქვებზე ჩამოყრდნობილი, თითქოს წარსულს ეკითხებოდა და იქ ეძებდა პასუხებს მომავლის შესახებ, რომლისკენაც მათი სულები ასე მიისწრაფვის. თავადთა შთამომავლები და გლეხების ვაჟები – სკოლის ამ ძმურ აყალმაყალში ყველა ფენა ერთად შეკრებილა. სწორედ აქ ასწავლიან, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და „ბატონი" და „ყმა" ამიერიდან ყველა ერის ლექსიკონიდან უნდა ამოიშალოს.

სომხებს, რომლებიც უმეტესად კათოლიკები არიან, ქუთაისში ვრცელი, სუფთა და სადა ეკლესია აქვთ. ადგილობრივი ქალები მიწაზე დაფენილ ხალიჩებზე ფეხმორთხმით სხედან, მაშინ როდესაც უცხოელი ქალები ტაძრის წინა რიგებში იკავებენ ადგილს. იმერელი ქალები თეთრი ლეჩაქითა და ბზინვარე ქვებით მორთული თავსაკრავით, რომელიც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მათ სილამაზეს – ეს ის სურათია, რომელიც არასდროს დამავიწყდება.

ორღანის ხმა, საკმევლის ბოლი – აქ ყველაფერი აღაფრთოვანებს სულს და მას ფერიებისა თუ ანგელოზების ფანტასტიკურ სამყაროში წარიტაცებს.

ამ ეკლესიის ერთ-ერთი მღვდელი ქართველი თავადი მიხეილ თუმანოვის [Michel Tomanoff] ოცდაშვიდ შვილთაგან ერთ-ერთია. თუმანოვისა და მისი მეუღლის ხსოვნის აღსანიშნავად საკურთხეველში სამგლოვიარო მონუმენტია, რომლითაც პატივი მიაგეს ამ სამაგალითო წყვილს, რომელიც ასე ღირსეულად იცავდა ბიბლიის მითითებებს. დავამატებ, რომ კათოლიკურ

5 ეს ქადაგებები ინგლისურ ენაზე თარგმნა ღირსმა მაჰუნმა [Mahun], ბროუდუინძორის ეპისკოპოსმა (კარლა სერენა). აქ ავტორი გულისხმობს ინგლისელ ენათმეცნიერსა და ქართველოლოგს, სოლომონ ცეზარ მალანს (Solomon Caesar Malan, 1812-1894), რომელმაც იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე, 1825-1896) ქადაგებები ინგლისურად თარგმნა და გამოაქვეყნა 1867 წელს (ა.ჭ.).

საზოგადოებას ასევე აქვს სკოლა, რომელსაც თავისი შემოწირულობებით ინახავს და სადაც ფასიანი თუ უფასო მოსწავლეები თანაბრად იღებენ განათლებას. გარდა ამისა, ქუთაისში ასევე არსებობს წმინდა ნინოს სახელობის სპეციალური დაწესებულება გოგონებისთვის, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის ორასზე მეტი მოსწავლეა. სიმართლეა, რომ იმერლები მეტწილად ჯერ ისევ პრიმიტიული მორწმუნეები არიან, რომლებთანაც კეთილისა და ბოროტის ცნება ერთმანეთისგან მკაფიოდ არ განსხვავდება. თითოეული მათგანი თავისი რწმენისგან ქმნის ერთგვარ ცრურწმენას, რომელსაც თავის ვნებებს მოარგებს და ღმერთს დახმარებას სიამოვნებით შესთხოვს ჩაფიქრებული წვრილმანი ქურდობის წარმატებისთვის.

ებრაელი მოსახლეობა, რომელიც სხვებს არ ერევა, არ გვთავაზობს ისეთივე ლამაზ ტიპებს, როგორსაც მკვიდრი მოსახლეობა. სხვათაშორის, ებრაელების უბანი მოგვაგონებს იერუსალიმის ებრაული უბნების საყოველთაოდ ცნობილ უსუფთაობას.

რიონის პირას მდებარე სახალხო ბაღში არის სოფლის მეურნეობის სკოლა; მაგრამ კიდევ რამდენი რამის გაკეთებაა საჭირო, რომ აქ ღირსეულად იყოს წარმოდგენილი ამ ქვეყნის ასეთი მშვენიერი და მრავალფეროვანი ფლორა!

ამ ბაღის გარდა, რომელსაც სამხედრო მუსიკა ამხიარულებს, ქუთაისში ახლახანს შეიქმნა კლუბი თუ სამორინე: კვირა დღეს სწორედ აქ ვნახე ადგილობრივი ცეკვების შესრულება. ის რამაც განსაკუთრებით გამაოცა – პიანინოზე მარტივად შესრულებული კადრილის გარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ აქაურ კოსტუმში თუ ევროპულად ჩაცმული ადგილობრივი ქალები, *ჩოხიანი*[6] იმერელი მამაკაცები, ასევე უნიფორმიანი სამხედროები და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ჩინოვნიკები – იყო ეროვნული ცეკვა *ლეზგინკა*[7]. თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული კავკასიელი მიიჭრება მის რჩეულ ქალთან და მუსიკის ხმაზე, რომელიც სულ უფრო და უფრო მგზნებარე ხდება, ჩააბამს მას სწრაფ და გრაციოზულ სასიყვარულო ტრიალში – რაინდი ძალისხმევას არ იშურებს ქალის აღტაცებაში მოსაყვანად. ეტიკეტის არარსებობა, რომელსაც თან ერთვის კარგი მეგობრული ტონი, მთავარი მიმზიდველობაა ამ მყუდრო საღამოებისა, რომელსაც მოსდევს სუფრა, სადაც შამპანური და ადგილობრივი მაგარი ღვინო ერთმანეთს ეჯიბრება ჭკუა-გონების გამხიარულებაში.

ის იმერელი ქალები, რომელთაც შესაძლებლობა მქონდა თავისუფლად დავკვირვებოდი ამ დღესასწაულის დროს, ძირითადად მამაკაცებზე ჭკვიანები, თუმცა ნაკლებად ლამაზები არიან. სიყვარული, ისევე როგორც ეჭვიანობა, დიდ როლს თამაშობს მათ ცხოვრებაში. პოეტმა ლერმონტოვმა[8], რომელმაც თავის რუსულ პოემაში „დემონი“ ის ცეკვა აღწერა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, კავკასიელ ქალებს ხოტბა შეასხა და ისინი ღრმა და საბედისწერო სიყვარულს დამონებული გვიჩვენა. „მოწყენილი განდეგილი დემონი დაფრინავდა, – გვიამბობს ავტორი, – კავკასიის მწვერვალებზე. სიძულვილით სავსე მზერა ესროლა დედამიწას და დაინახა თამარი, რომელიც მსუბუქად მიაბიჯებდა მიწაზე. ბედნიერი დღეების მოგონებები აიშალნენ მის გონებაში და იმ დროში გადაიყვანეს, როდესაც ის ჯერ კიდევ არ იყო დაცემული ანგელოზი. მაშინ, თამარისადმი სიყვარულით შეპყრობილმა, მის მფარველ ანგელოზს მიმართა: „წადი, ის ჩემია; დაგაგვიანდა მის დასაცავად მოსვლა. მე მის გულს დაღი დავასვი, აქ მე ვარ მბრძანებელი, მე ის მიყვარს“. და ანგელოზმა, ესროლა რა ტკივილით სავსე მზერა საბრალო მსხვერპლს, გაშალა ფრთები და ციურ ეთერში ჩაიკარგა.“

იმედი ვიქონიოთ, რომ თუ შემთხვევით ბნელეთის დემონი ისევ არის გატაცებით შეყვარებული, ამიერიდან იგი სხვა რეგიონებში დაფრინავს და ქუთაისელ ლამაზ ქალიშვილებს არ ერჩის.

ვთქვი და კვლავ გავიმეორებ – კავკასიის აგრერიგად მრავალფეროვან ტიპთა დანახვისას შეუძლებელია ცნობისმოყვარეობის, აღფრთოვანების, ზოგჯერ შიშის შეკავებაც კი, ამ ბუმბერაზი მთის წინაშე, რომელიც ევროპისა და აზიის საზღვარზე აღმართულა და რომელიც, როგორც ამბობენ,

6 უსაფრთხო სავაზნეებით შემკული გრძელი ტანსაცმელი.
7 ლეზგინკა (ლეკური, რუს. лезгинка) – კავკასიური ცეკვების ზოგადი სახელწოდება XIX საუკუნეში.
8 მიხეილ ლერმონტოვი (1814-1841) – რუსი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი. მისი პოემა „დემონი“ სრულად გამოქვეყნდა 1856 წელს (ა.ჭ.).

ადამიანის მოდგმის აკვანი ყოფილა. ბიბლია და მითოლოგია გვაცნობს, ერთი მხრივ, იაფეტის შვილებს, რომლებიც ამ მედიდური მწვერვალებიდან წავიდნენ, რათა ჩვენი ევროპული თეთრი რასისთვის დასაბამი მიეცათ; მეორე მხრივ კი, იუპიტერის მიერ ამ კლდეებზე მიჯაჭვულ პრომეთეს, რომელმაც ტალახისგან მოზელილი ადამიანისთვის სულის ჩასაბერად ციდან ცეცხლი მოიპარა. შემდეგ უკვე ბერძნული პოეზია მოდის, რომელსაც ეს დედამხარე ბრწყინვალე და გრაციოზული ნახატებით დაუსახლებია: ეს ოქროს მარცვლებიანი ფაზისია[9], რომელიც იმ გასაოცარ ქალაქებს რწყავს, სადაც ყველა სასახლე მარმარილოსია; ეს იაზონი და არგონავტები არიან, რომლებიც აქ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ჩამოსულან... დღესდღეობით არქეოლოგებმა კავკასიაში გათხრების ჩატარება დაიწყეს: რა გამოჩნდება ამ მიწის სიღრმიდან? გამომჟღავნდება თუ არა მისი კლდოვანი წიაღიდან უძველესი და მივიწყებული სამყარო? ისტორიული შრეების საშუალებით შესაძლებელი გახდება თუ არა სრული მატიანის აღდგენა ამ ქვეყნისა, რომელზეც ერთი მეორის მიყოლებით ამდენმა ხალხმა გადაიარა? მანამდე კი სიმშვიდე სუფევს იმერეთში. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ აშენებული რკინიგზა ქუთაისს ტფილისი-ფოთის ხაზთან აკავშირებს. როგორც იქნა, ცივილიზაციამ მშვიდობა მოიტანა ამ მხარეში, რომელსაც ათი საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ აოხრებდნენ არაბები და მუსლიმანები[10].

II

ვინაიდან მთავრობის რეკომენდაციითა და თვით დიდი მთავრის მიხეილის მფარველობის ქვეშ ვმოგზაურობდი, ბუნებრივად ისედაც სტუმართმოყვარე იმერლები მზად იყვნენ, რომ ჩემთვის ყველა სასურველი სამსახური გაეწიათ. თანაც, მათთან კარგ დროს ჩავედი, დიდი მარხვის წინა კვირაში, როდესაც მთელი ქვეყანა ზეიმობს. როგორც უკვე ვთქვი, ქუთაისი თავიდანვე მომეწონა; ეს იყო როგორც ის ერთ-ერთი ბუნდოვანი და რთულად გასააზრებელი სანახაობა, რომლის გამოხატვაც მხოლოდ სიტყვა „მომხიბვლელობას“ შეუძლია. იმიტომ კი არა, რომ იმერეთის ეს ყოფილი დედაქალაქი არის, ასე ვთქვათ, შესაძლებლობების ქალაქი; სრულიადაც არა – ქუთაისი თავის თავში ატარებს რაღაც ისეთ თავისებურებას, რაც მნიშვნელობადაკარგული ქალაქებისთვის არის დამახასიათებელი; მიუხედავად ამისა, ან იქნებ სწორედ ამის გამო, იგი გხიბლავს და გაჯადოებს.

ქუთაისის მდებარეობა უძველესი ფაზისის (რიონი) ორივე ნაპირზე, რომლებსაც ერთმანეთთან რკინის ხიდები აკავშირებს, ყველაზე თვალწარმტაცი რამაა. თანამედროვე ქუთაისში, რომელიც იმ მთის ძირას შეფენილა, სადაც ძველი ქალაქის დიდებული ნაგებობები იყო აღმართული, მხოლოდ აივნებიანი ხის სახლებია. *ხომღის* [Khomli] დაუვიწყარი კლდე კვლავ ზემოდან დაჰყურებს ქალაქს. გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ კლდეზე იყო მიჯაჭვული პრომეთე, რომლის ღვიძლსაც სვავი კორტნიდა. ადგილობრივი მოსახლეობა იცნობს ამ ძველ მითს და ამიტომ კვლავ ინახავს გულში ღვარძლს ამ მტაცებელი ფრინველისადმი, რომელიც იუპიტერის შურისძიების იარაღი იყო. დღესაც კი, იმერელი მონადირის ერთ-ერთი სიამაყეა ამ მოკაუჭებულნისკარტიანი მტაცებლის მოკვლა, რომელიც *ხომღის* მედიდურ ნაპრალებში ბინადრობს. აქვე დავამატებთ, რომ ამ კლდეში არის ადამიანის ხელით გამოკვეთილი გამოქვაბული, აუღებელი თავშესაფარი, სადაც საფრთხის შემთხვევაში ქვეყნის მეფეებს საგანძურის შენახვა შეეძლოთ. კლდის ძირში, ქუთაისის საპირისპირო მხარეს, მდებარეობს სოფელი, საიდანაც *ხომღზე* ასვლა მოსახერხებელია. როგორც ბევრი რამ ამ სამყაროში, რომლებიც შორიდან საშიში ჩანს და ახლოდან კი უკვე არაფერია, ეს გიგანტური კლდეც მიახლოებისას კარგავს თავის მედიდურობას.

მთაზე, რომელიც ქუთაისს დაჰყურებს, ქალაქიდანვე მოჩანს შთამბეჭდავი ნანგრევები – ძველი ქალაქის ერთადერთი შემორჩენილი კვალი: ეს არის ბაგრატ IV-ის მიერ 1032 წელს აშენებული

9 ახლანდელი რიონი.

10 ამ დამპყრობელთა მიერ განადგურებული ქუთაისი აფხაზთა მეფე ლეონ I-მა აღადგინა, რომლის შთამომავლების ხელშიც იგი 1462 წლამდე დარჩა. ამ თარიღისთვის, ადგილობრივი გმირი ბაგრატ I იმერეთის მეფედ გამოაცხადეს. ქვეყნის უკანასკნელი სუვერენი იყო სოლომონ II, რომელმაც 1810 წელს თავისი ძალაუფლება რუსეთს დაუთმო.

და თურქების მიერ 1690 წელს დანგრეული ქართულ-ბიზანტიური სტილის საკათედრო ტაძარი. ადგილობრივ ძველ სუვერენთა საფლავის ქვების გვერდით მიწაზე დაყრილ ამ ნანგრევებს მომაჯადოებელი და გრანდიოზული ეფექტი აქვს – განსაკუთრებით კი საღამოს, მთვარის შუქზე აქ ამოსვლისას. მთის წვერის ეს ნაწილი ქაოტურად მიმობნეული ქვების გამო უზარმაზარ სასაფლაოს წააგავს, რომლის შუაშიც თითქოს მოჩვენება უნდა წამოიმართოს, ისევე როგორც ოპერაში *Robert le Diable*[11]. ნაგებობის უვნებლად გადარჩენილ რამდენიმე კედელზე ქართულ ენაზე შესრულებული წარწერები მოჩანს. ეს წარწერა სარკმლის შიდა ღიობზეა ამოკვეთილი: „ჰოი მეუფეო, მფლობელთა ყოველთა სუფევათაო, უმეტეს ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით. ამენ“[12].

ეს შემდეგი წარწერა თაღოვანი სარკმლის გარეთა ფასადის გარშემოა ამოკვეთილი: „შეწევნითა ღმრთისათა, ბაგრატისაგან, ნებითა ღმრთისათა და აფხაზთა და ქართველთა მეფითა, აღეშენა წმიდაი ესე საყდარი ლოცვითა დედამისისა გურანდუხტ დედოფლისა!“[13]

ეს მესამე კი ამოკვეთილია ფილაზე: „ღმერთმა შეიწყალოს ადგურბა მაისა, ამ ტაძრის აღმშენებელი.“[14] ეს სახელი ერთადერთი სახსოვარია, რაც ამ ტაძრის აღმშენებლისგან დარჩა.

ამ დიდებულ ნანგრევებზე სუროს ხშირი ყლორტებია შემოხვეული. ჰაერში აწვდენილი ღეროებით ვხვდებით, რომ ფოთლეული რამდენიმე ფენად ეხვევა და საკუთარი ფანტაზიის მიხედვით რთავს წარსულის ამ ნაშთს. აღდგენილ კედელზე პატარა სამლოცველო მიუშენებიათ, რომელსაც მახლობელი სემინარიის მღვდლები ემსახურებიან.

ქუთაისის ამ ძველ ტაძარს გარს ერტყა მძლავრი კედელი, რომლის ბრწყინვალე ფრაგმენტები ისევ არის შემორჩენილი; რაც შეეხება თვითონ ციხეს, იგი აღარ არსებობს. მხოლოდ პატარა დაჟანგული ქვემეხი – ძველი დროის უწყინარი ნაშთი დარჩენილა თავის ადგილას. კლდე, რომელზეც იგი იყო აღმართული, საიდუმლო მინისქვეშა გასასვლელებით არის დახვრეტილი. ერთ-ერთ ასეთ ღრმულში წყაროა, რომელიც ქალაქს ალყაში ყოფნის დროს ასაზრდოებდა.

ქუთაისიდან დაახლოებით ცხრა ვერსის[15] დაშორებით შესაძლებელია ისტორიული მონასტრის, გელათის ნახვა. გელათი, ისევე როგორც ყველა ადგილობრივი მონასტერი, აშენებულია მაღალი მთის წვერზე. ამგვარი მდებარეობა მას სარწმუნოების მტრის გაუთავებელი თავდასხმებისგან იცავდა. გზის სამ მეოთხედს ეტლით გავდივართ, თუმცა, ბუნდოვნად მახსოვს, რომ ზოგიერთ ადგილას ძლივსძლივობით გადავიარეთ მდინარის ფონი, რომელსაც წყაღწითელი [*Tzahal Tzitheli*] ეწოდება. იმ დღეს, როდესაც მდინარეზე გადავდიოდით საოცრად დიდი ტალღები იყო და მე, მოგზაურობისას მსგავს საფრთხეებში ჯერ კიდევ გამოუცდელი, შიშისგან შევხტი, რის გამოც ჩემმა მეეტლემ გულიანად იცინა. თანაც უკვე მომხდარის შემდეგ მარწმუნებდა, იოლად გადავრჩითო. ასევე, სიამოვნებით დავლიე ერთი ჭიქა ღვინო უახლოეს *ღუქანში* – თავშესაფარში, სადაც ერთი ან მეორე ნაპირისკენ მიმავალი მგზავრები გზად ყოველთვის ჩერდებიან: ერთნი იმისთვის, რომ გული გაიმაგრონ ამ საშინელ მდინარეზე გადასვლის წინ, მეორენი კი კმაყოფილების ნიშნად მშვიდობიანად გადალახული დაბრკოლების გამო. აღსანიშნავია, რომ მდინარემ ისე მოულოდნელად იცის მოვარდნა, რომ ზოგჯერ რამდენიმე საათი ან რამდენიმე დღეც კი არის საჭირო დალოდება, სანამ მოპირდაპირე ნაპირზე გადასვლას გაბედავ. მდინარის ფონის გადალახვის შემდეგ დარჩენილი გზა აღმართში მიდის იმ მთამდე, რომელზეც მონასტერი მდებარეობს და აქედან თვალის ერთი მოვლებით ტურისტი სავსებით ინაზღაურებს გზით გამოწვეულ დაღლასა და ემოციებს.

11 იგულისხმება ჯაკომო მეიერბერის (Giacomo Meyerbeer, 1791-1864) ოპერა „რობერტ-ეშმაკი“ (ა.ჭ.).
12 "O roi qui commandes à tous les rois, exalte de plus en plus Bagrat Couroplates, rois des Abkhases et des Kartlis, ainsi que son père, sa mère, la reine sa femme, et son fils. Amen."
13 "Avec le secours de Dieu, Bagrat, par la grâce divine rois des Abkhases et des Géorgiens, a élevé ce saint lieu de prières pour sa mère, la reine Gourandouk !"
14 "Dieu fasse aussi miséricorde à Adgourba Maisa, architecte de cette église !"
15 ვერსი – სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 1,067 კმ-ს (ა.ჭ.).

მდინარიდან დაახლოებით 600 ფუტის[16] სიმაღლეზე, მთის ქვედა ნაწილში მდებარე მონასტრიდან თვალუწვდენელი ტერიტორია ჩანს: შორს შავი ზღვაა, რომლის ტალღების გარჩევა მოწმენდილ ამინდშია შესაძლებელი; ფოთი – კავკასიის მცველი; რიონი, რომელიც დაბლობში მიიკლაკნება; შემდეგ წყალწითელი, რომელიც *ყვიტიღამი* [*Quirili*][17] ჩაედინება, და ქუთაისი, თავისი მინდვრებით, რომლებზეც სოფლები და ახალშენებია მიმოფანტული; და ბოლოს, მთელი მხარე, იმერეთისა და სამეგრელოს მთებით, რომელთა უსასრულოდ მრავალფეროვანი ფორმებიც ცის თაღის ფონზე გამორჩეულა, ხომლის დიდებული მთა და უკანა პლანზე კი თეთნულდის თოვლიანი მწვერვალი. ამ ყველაფერს წარმოსახვაში დაუმატეთ ჩამავალი მზის მოწითალო ანარეკლი, რომელიც მომაჯადოებელ ორთქლად იღვრება ამ მოძრავ პანორამაზე, ხანძარს აჩენს მდინარეებსა და ზღვაში და ცეცხლის გვირგვინს ადგამს უმწიკვლო თოვლით დაფარულ მაღალ მწვერვალებს.

გელათი ადგილობრივ სიძველეთა მარგალიტია. მისი მოჩუქურთმება ღვთისმოსავი მეფის დავით III-ის[18] დამსახურებაა, რომელიც 1090-1130 წლებში მეფობდა. ამ ნაგებობების ჯგუფს რომელშიც შედის მთავარი ტაძარი, ორი გვერდითი სამლოცველო და მეტ-ნაკლებად დაზიანებული ხის რამდენიმე პატარა სახლი, სადაც ამ წმინდა ადგილის სულიერი წინამძღვარი და მნიშვნელობადაკარგული მონასტრის რამდენიმე ბერი ცხოვრობს, გარშემო გალავანი აქვს შემორტყმული.

სანახევროდ დანგრეული კარიბჭიდან შევდივართ ასევე დანგრეულ სვეტებიან გალერეაში, სადაც მოჩანს არქიტექტურისა და სკულპტურის ლამაზი ფრაგმენტები და, ასევე, შესანიშნავად შემონახული გუმბათის თაღი. ამ გალერეას ოდესღაც დავით III-ის მიერ დარუბანდიდან ჩამოტანილი რკინის კარები კეტავდა, რომელიც ამ ქალაქში ხალიფების ბატონობის პერიოდით თარიღდებოდა. ამ კარებიდან მხოლოდ ერთი ფრთა არის გადარჩენილი, მეორის ადგილსამყოფელი უცნობია. ერთნი ამტკიცებენ, რომ ის თურქებმა წაიღეს, სხვები კი ფიქრობენ, რომ ის გადაადნეს და რკინა ეკლესიის შესაკეთებელი სამუშაოებისთვის გამოიყენეს. ასეა თუ ისე, ამ სახელგანთქმული კარის შემორჩენილი ნახევარი, როგორც ჩანს, ამჟამად პატივისცემას ნაკლებად იმსახურებს: ის გალავნის ძირში, კუთხეში, მიწაზე გდია. ეს ღირსსახსოვარი ნაშთი, რომელიც საკუთარი თვალით ვიხილე, მთლიანად რკინის კი არ არის, არამედ მუხის ხისაა – რკინის ფირფიტებითა და განივი კოჭებით. მასზე ვკითხულობთ წარწერებს, რომლებიც არაბულ ენაზე უნდა იყოს შესრულებული. მისი სიმაღლე 16 ფუტი, ხოლო სიგანე კი 5 ფუტია. დავით აღმაშენებელმა მოისურვა, რომ მისი საფლავი ამ კარის ძირში ყოფილიყო. ის მართლაც გალერეიდან არც თუ ისე შორს მდებარეობს. საფლავის ქვაზე თვით მეფის მიერ ნაკარნახევი ქართული წარწერაა: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ესე მთნავს: აქა დავემკვიდრო მე“[19]. საქართველოს სხვა მეფეები გელათში არიან დაკრძალულები; მაგალითისთვის ვახსენებ თამარ დედოფალს, ელისაბედსა და ადგილობრივ სუვერენს ეკატერინეს.

ეკლესიასთან მდებარე ორი სამლოცველოდან ერთი წმინდა გიორგისადმია მიძღვნილი, მეორე კი წმინდა ნიკოლოზისადმი. თავად ტაძარი ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშაა და ამასთან დაკავშირებით შემდეგი გადმოცემა არსებობს. როდესაც იესო ქრისტეს გარდაცვალების შემდეგ წმინდა ანდრია კავკასიისკენ მიემგზავრებოდა, მარიამმა სახეზე სუდარა მიიფარა, რომელზეც მისი სახის ანაბეჭდი დარჩა და იგი უფლის სახელით მოციქულს გადასცა. წმინდა ანდრია *აზნაურში*[20] [*Aznaour*] იმ დროს ჩავიდა, როდესაც იქაურ დედოფალს ვაჟი გარდაეცვალა. წმინდანმა ბავშვს სუდარა შეახო თუ არა, იგი მაშინვე გაცოცხლდა. ამ სასწაულმა ბევრი ადამიანი მოაქცია, თუმცა წარმართი ქურუმები უბრძოლველად დანებებას არ აპირებდნენ. ბოლოს, როგორ ჩანს, ქურუმებსა და მოციქულს შორის ერთგვარი ლოცვის ორთაბრძოლა გაიმართა: ასპარეზად შერჩეულ კარავში ქრისტიანმა ერთ მხარეს წმინდა გამოსახულება მოათავსა, წარმართებმა მეორე მხარეს თავისი კერპები დააწყვეს. დილით კერპები გადაყირავებული დახვდათ, მაშინ როდესაც ღვთისმშობლის

16 ფუტი – სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 30,48 სმ-ს (ა.ჭ.).
17 მყვირალა მდინარე – ამგვარი სახელი ეწოდა იმ ხმაურის გამო, რომელსაც მისი ტალღები ქვის კალაპოტზე დინებისას გამოსცემენ.
18 აქ და ქვემოთ იგულისხმება დავით IV აღმაშენებელი (ა.ჭ.).
19 "Ici est mon lieu de repos ; je l'ai choisi, je veux y rester".
20 სავარაუდოდ *აწყური* (ა.ჭ.).

მანათობელი ხატება კვლავ აღმართული იყო. ამ სასწაულმა ხალხი ახალ რწმენაზე მოაქცია და ამ წმინდა გამოსახულების მოსათავსებლად სამლოცველო აშენდა. მოგვიანებით, როდესაც ეს სამლოცველო მუსლიმანებმა დაანგრიეს, სასწაულმოქმედი ხატი გადამალეს და შემდეგ გელათში გადაიტანეს. ლუსკუმა, რომელიც ხატს შეიცავს, ძვირფასი თვლებით არის მოოჭვილი.

ეკლესია ბიზანტიური ჯვრის ფორმის დიდებულ ნავს[21] წარმოადგენს. პატრონიკეს გუმბათის თაღში კარგად შემონახული მოზაიკაა, რომელიც იმპერატორ ალექსი კომნენოსის საჩუქარია დავით III-სადმი და წარმოადგენს ღვთისმშობელს ყრმა იესოთი. მათგან მარჯვნივ მთავარანგელოზი მიქაელი დგას, მარცხნივ კი მთავარანგელოზი გაბრიელი. აქ, ისევე როგორც კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიასა და მოზაიკით მდიდარ სხვა ტაძრებში, თაღიდან ჩამოცვენილ ქერცლებს სუვენირად ჩუქნიან ტაძრის დასათვალიერებლად მოსულ უცხოელებს. მხოლოდ, გელათში დამთვალიერებლები იმდენად ცოტანი არიან, რომ ადგილობრივი ბერები ვერ უნდა იღებდნენ დიდ შესაწირს კომპენსაციის სახით. ეკლესიის კედლებზე ვხედავთ ფრესკებს, რომლებზეც გამოსახულია წმინდანთა ფიგურები და სხვადასხვა სცენები ქვეყნის ძველი ისტორიიდან. ძველი კანკელი აღარ არსებობს, მაგრამ ძველიდან ახალ კანკელში ხატების ის ნაწილი გადაუტანიათ, რომელსაც ნამდვილი მხატვრული ღირებულება გააჩნდა – მასიური ოქროსი, ძვირფასი თვლებითა და ტიხრული მინანქრით შემკული. მიუხედავად იმისა, რომ საკურთხევლის ყველაზე ძვირფასი საგანძური ჩაკეტილია სალაროში, რომლის კარსაც დიდი ბოქლომი ადევს, ასეთმა სიფრთხილემ მაინც ვერ შეუშალა ხელი ამ საიდუმლო სალაროს გაქურდვას, რადგან მისი არსებობა ყველამ შესანიშნავად იცის. ამ ოთახში შესვლისას აქ გამეფებული უწესრიგობა გაოცებას იწვევს. წიგნებისა და ხელნაწერების გროვა ალალბედზეა დაზვინული ერთგვარ თავღია ზანდუკში, რომელიც ბიბლიოთეკის მაგივრობას სწევს; ნაწილიც თაროებზეა, ნაწილი – მიწაზე. ხის დიდ სკივრში აწყვია მარგალიტებითა და ძვირფასი თვლებით მდიდრულად მოქარგული საეკლესიო სამოსი, მიტრები, იმერეთის სამეფო გვირგვინი და ერთ-ერთი ადგილობრივი სუვერენის ბეჭედი – აქვე ვიტყვი, ბეჭედი ისეთი ფართო გარშემოწერილობისაა, რომ იმ უფლისწულის თითი, რომელსაც ის ამშვენებდა, უცნაურად გიგანტური ზომის უნდა ყოფილიყო. აქვეა ნახევრადძვირფასი თვლებით მოქარგული ფეხსაცმელები, მშვენიერი ფორმითა და ლუი XIV-ის სტილის ქუსლით. რამხელა კონტრასტია ამ დაგროვებულ სიმდიდრესა და იმ იმერლების მართლაც გულსაკლავ სიღარიბეს შორის, რომლებიც ამ ტაძრის ძირში ცხოვრობენ!

გელათიდან არც თუ ისე შორს მოწამეთას მონასტერი მდებარეობს, რომელშიც საქართველოს ორი მეფის, სპარსელების მიერ 750 წელს ნაწამები დავითისა და კონსტანტინეს საფლავებია. ხალხური გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ წამებულთა სისხლმა შეღება წითლად მდინარე წყალწითელი და ეს სახელიც ამის გამო დაერქვა[22].

III

რკინიგზისა და გაადვილებული მიმოსვლის ეპოქაში, მოყვარული, რომელიც მოისურვებდა ერთგვარი კრებსითი წარმოდგენა შეექმნა კარნავალზე – თუ როგორ ზეიმობენ მას ერთსა და იმავე დროს ჩრდილოეთში, სამხრეთსა და დასავლეთში – ვფიქრობ, დიდი ძალისხმევის გარეშე მოახერხებდა საკუთარი თავისთვის ამ ფანტასტიკური სიამოვნების მინიჭებას: 15 დღე მისთვის საკმარისი იქნებოდა სხვადასხვა ქვეყნის ცის ქვეშ ამ დიდი „სიგიჟის“ პერიპეტიებზე დასასწრებად. პარიზის ოპერის ბოლო მეჯლისისთვის თვალის შევლებისა და ფერხულში ჩაბმული ძიძებისა და მტვირთავების მისალმების შემდეგ, იგი შეძლებდა მილანში დროულად ჩასვლას იქ კარნავალზე

21 ნავი (არქ.) – სიგრძივი სწორკუთხა არქიტექტურული სივრცე, რომელიც ისაზღვრება გრძივი სვეტების, ბურჯების რიგით ან თაღებით (ა.ჭ.).

22 აქვე მაინც აღვნიშნავ, რომ ამ მდინარის ეს განსაკუთრებული ფერი წყლის დინებისგან გადარეცხილი ნიადაგის დამსახურებაა.

დასასწრებად, *meneghino*-ს[23] დიდებული კორტეჟის მსვლელობის ნახვას და ლა სკალას[24] თეატრში დიდ *veglione*-ზე[25] დასწრებას. შემდეგ, მისთვის სრულიად შესაძლებელი იქნებოდა აქედან რუსეთში ან თუნდაც კავკასიაში ჩასვლა, სადაც, ახალი კალენდრის მიერ დაზოგილი თორმეტდღიანი სხვაობის წყალობით, იგი კეთილსინდისიერად დახურავდა საკარნავალო ციკლს.

თუ რუსეთში, დასავლეთის მსგავსად, დახურული მეჯლისები იმართება, სამაგიეროდ, ხალხი ქუჩაში მასკარადისგან თავს იკავებს: მისთვის ეს უპირატესად ის დღესასწაულია, რომლის დროსაც ის სვამს და ჭამს. ყველიერის კვირაში ხორცის ჭამა აკრძალულია; მის მაგივრობას ეროვნული კერძი სწევს, რომელსაც *ბლინი* ეწოდება – ეს მჟავე რძისგან დამზადებული ერთგვარი კრეპია, რომელიც ყველა სუფრაზე გვხვდება, როგორც მეფესთან, ასევე მის ყველაზე მოკრძალებულ ქვეშევრდომებთან. შეუძლებელია იმის დათვლა თუ რა რაოდენობის *ბლინს*ა და *ვოდკას* (რუსების საყვარელი არაყი) მოიხმარენ. გარეთ ხის ცხენებიანი კარუსელი, სხვადასხვაგვარი ფარდულები და მცირე თეატრებია, სადაც პოლიშინელი თავის რეპერტუარს ასრულებს: საყოველთაო სიმთვრალე, რომელიც ერთგვარი წინასაწარული შურისძიების ფორმაა დიდი მარხვის აკრძალვებისადმი, აგვირგვინებს ამ სახალხო მხიარულებას, რომლის ბოლო დღესაც „შეშლილი დღე“ ეწოდება.

კავკასიელებთან პირიქით არის, აქ ყველიერს არ აქვს სახალხო გართობის სახე. არც ცხენებით შეჯიბრი, არც თამაშობა, არც ცეკვა-სიმღერა; კვალიც კი არ არის იმ ხმაურიანი და მხიარული სანახაობებისა, რომლებიც ამ ნახევრად პრიმიტიულ მხარეებში ეროვნული დღესასწაულების ჩვეულებრივი ნიშანია. დიდი მარხვის წინა დღეები ერთმანეთისგან მხოლოდ შთანთქმული საჭმლისა და სასმელის რაოდენობით გამოირჩევა – ეს ურთიერთდაპატიჟების კვირაა.

ღვინის უხვი მოსავლის ამ ქვეყანაში ხალხი სვამს, სვამს ხარბად, თუმცა თრობის გარეშე; იგი კარგად არის შეჩვეული ადგილობრივ ღვინოებს, იმისთვის რომ ჭკუა თასის ფსკერზე არ დატოვოს. ამ ქართულ ქეიფებს თან ახლავს დამახასიათებელი სადღეგრძელოები. სუფრასთან დასხდომამდე სადღეგრძელოების მეთაურს – *ტოლუმბაშს* ირჩევენ, რომლის წინაც აწყობენ პირამდე სავსე ყველანაირი სახის სასმისს, ჭიქას, ყანწს, ტარიან თასებს (*აზახფეშა*). ყოველი სტუმარი, სადღეგრძელოს წარმოთქმისას, მას უთითებს იმ სასმისზე, რომლის დაცლასაც აპირებს. სასმისი ზოგჯერ რამდენიმე ბოთლ ღვინოს იტევს. *ტოლუმბაშმა* ერთი ამოსუნთქვით უნდა გამოცალოს იმავე მოცულობის თასი. ამის შემდეგ იგი ამოაბრუნებს სასმისს, რომელიც დაუყოვნებლივ ხელახლა ივსება. ამ გამოწვევას მოსდევს მეორე, შემდეგ მესამე – მანამდე, სანამ ქეიფის ყველა მონაწილე რიგრიგობით არ უპასუხებს სადღეგრძელოს.

იმ აღტაცებით, რომლითაც ოვაციებს უმართავენ თითოეულ მსმელს, შესაძლებელია იმ პატივისცემისა და სიმპათიის განსაზღვრა, რითაც იგი სარგებლობს დამსწრეების შორის. ბოლო სადღეგრძელო სუფრის მეთაურისაა: ამ დროს, უკვე თქმული სადღეგრძელოების რაოდენობის გათვალისწინებით, საერთო მხიარულება კულმინაციას აღწევს და ბებერ ბახუსს შეუძლია საკუთარი თავით იამაყოს.

„ღმერთმა გაცოცხლოს! [*Gmertma gatsoschlas*]“ – ამგვარად გადმოსცემს თავის სურვილს *ტოლუმბაში* პირველი სადღეგრძელოს შეთავაზებისას; და ყველა ერთხმად პასუხობს: *„მხავაღჟამიერ!* [*Mravaljarmier !*] დიდხანს იცოცხლეთ![26]“ დასასრულს, თამადა სახლს შემდეგი სიტყვებით ლოცავს: „დაე, ღვთისმშობელი იფარავდეს ამ სახლს!“

ტოლუმბაშს აბსოლუტური ძალაუფლება აქვს, რომ ღვინის დალევა დააძალოს დამსწრეებს. თუ რომელიმე გაჯიუტდება, მას უფლება აქვს გააძევოს, ან თავზე დაასხას იმ თასის შიგთავსი, რომლის დალევაზეც უარს ამბობს. ქართველთა მიმართ სამართლიანობისათვის დავსძენთ, რომ ამგვარი

23 მენეგინო – კომედია დელ არტეს პერსონაჟი (ა.ჭ.).
24 როგორც ვიცით, პაპის მიერ მინიჭებული პრივილეგიის გამო, მილანში კარნავალი სამი დღით უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე იტალიის სხვა ქალაქებში; მაშინ, როდესაც ლომბარდიის ამ ქალაქში სიგიჟის ეჟვნები ჯერ ისევ ჟღარუნობენ, სხვა ქალაქებში უკვე მკაცრი მარხვაა.
25 ღამის კოსტუმირებული დღესასწაული (ა.ჭ.).
26 ჩვეულებრივ ამ ფრაზებს შემდეგით ცვლიან: *აღავეხდი! იახში ოღ!*

შეურაცხყოფა ჯერ არავის დაუმსახურებია. რაც შეეხება ოჯახის უფროსს, იგი სტუმრებთან ერთად სუფრასთან არ ჯდება; მისი მოვალეობაა თვალყური ადევნოს, რომ ყველა სტუმარს სათანადოდ მოემსახურონ. უდიდესი დანაშაული იქნებოდა, რომ მასპინძელი საკუთარ თავზე ზრუნავდეს და სტუმრებს კი უყურადღებოდ ტოვებდეს. დიდი მარხვის დაწყების წინა დღეს ჩემს საპატივცემულოდ გამართულ დღესასწაულზე *ტოღუმბაშად* მე ამირჩიეს. მანამდე ერთი ყლუპი ღვინოც კი არასდროს დამელია, მაგრამ გამახსენდა რა, რომ ტფილისელმა ექიმმა ადგილობრივი ცხელების საწინააღმდეგო საშუალებად კავკასიური ღვინო მირჩია, გადავწყვიტე ორი უბედურებიდან უმცირესი ამერჩია და ღვინისადმი ზიზღი დამეძლია. მე ის იმდენად კარგად დავძლიე, რომ საბოლოოდ წყალზე სრულიად ვთქვი უარი. სამეგრელოში ჩასვლისას მე ჯერ კიდევ დამწყები და არასაკმარისად გამობრძმედილი ვიყავი, რომ ადგილობრივი მსმელებისთვის გამეძლო. ამგვარად, ეს პატივი, რომელიც მერგო, ცოტათი დამღუპველი მეჩვენებოდა. საბედნიეროდ, ჩემმა მასპინძლებმა ამის შესახებ იეჭვეს და მარჯვედ შემოაბრუნეს ეს სირთულე ჩემთვის *ვიცე-ტოღუმბაშის* დანიშვნით. მას დაევალა ჩემი ხელით შევსებული სასმისების დაცლა და, ასევე, ჩემი სადღეგრძელოების იმერულად თარგმნა, რომლებსაც რამდენადაც შემეძლო ვთხზავდი და ვუსადაგებდი საერთო მხიარულებას.

ქეიფს ცეკვა მოსდევს და აქაც კვლავ ყველაზე გულღია და ყველაზე გულითადი მხიარულება სუფევს. სახლის ყველა მსახური, ისევე როგორც ის ხალხი, ვინც ადგილობრივი ჩვეულების თანახმად სტუმრებს თან ახლავს, კედლის გასწვრივ დგება და ტაშის დაკვრით ჰყვება ორკესტრსა და ნაბიჯებს. ჭეშმარიტად სახასიათო სცენაა: ტიპები, კოსტუმები, მიხრა-მოხრა – ამაზე უფრო თვალწარმტაცს ვერაფერს ნახავთ.

საღღეგჰძეღოების მეთაუჰის ეს ჩვეულება კავკასიის მრავალ პროვინციაში გვხვდება, თუმცა ადგილობრივი ადათები ერთმანეთისგან განსხვავდება. სამეგრელოში ყველიერის დროს, დღესასწაულობენ *კაპუნობას* (ღორის ხორცის მომზადება). ყოველი ოჯახი კლავს ღორს. გოჭის ხორცით ეს ტრაპეზი მხოლოდ ოჯახური ტრაპეზია; გარეშე პირი არ იღებს მონაწილეობას. ამ წმიდათა-წმიდა საკვების ნარჩენებს არავის აძლევენ, ის ოჯახის ძაღლსაც კი არ ხვდება – ნარჩენებს წვავენ. ეს განსაკუთრებული ნადიმი შესანირია უზენაესისადმი, რათა მან საქონლის სენი და ყოველგვარი გადამდები დაავადება აშოროს ოჯახს. აქ ჩვენ ვხედავთ რომ „ყველიერის კვირა“ არსებითად „ღორის კვირაა“. მრავალი დღის მანძილზე მეგრელი სხვა არაფერს ჭამს, იმდენად, რომ საბოლოოდ თვითონვე გამოიწვევს იმ ავადმყოფობას, რომლის აცილებაც სურდა. თუ ამ დროს უცხო ესტუმრებათ, მისთვის საქათმეს დააცარიელებენ, მაგრამ ის ღორის ხორციდან ერთ ლუკმასაც ვერ მიიღებს. ეს ჩვეულება, რომელიც ზემო სამეგრელოს მთიელებშია გავრცელებული, სრულებით არ არსებობს ბარში, სადაც მოსახლეობა ოდესღაც საზღვრიდან მომავალ თურქებს შეერია – მათი შთამომავლები, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ღორის ხორცს ჭამენ, *კაპუნობას* არ აღნიშნავენ.

წლის ეს პერიოდი სწორედ ის დროა, როდესაც მიიჩნევენ, რომ ბოლო მოსავლის ღვინო მზად არის მოსახმარად და გასაყიდად. ამ დროს ხსნიან გამომწვარი თიხის დიდ ჭურჭლებს, რომლებიც ამ რეგიონში კასრის მაგივრობას სწევს, და ქართული რთველის პირველ ნაყოფს მოიხმარენ ლიბაციისას[27], რომელიც ნაკურთხ ტრაპეზს ახლავს თან. ხომ არ არის ამ რიტუალში ერთგვარი ბუნდოვანი მოგონება იმ შესაწირავისა, რომელსაც უხსოვარ წარსულში ჰქონდა ადგილი?

ქალაქებში კი პირიქით – იქ, სადაც ევროპულმა წესებმა შეაღწია, ადგილობრივმა მცხოვრებმა თავის ძველ წეს-ჩვეულებებში მისთვის მოსაწონი სიახლეები შეურია. მხიარული და უდარდელი ქართველი ერთგვარი კავკასიის პარიზელია. თავისი ხასიათის მისწრაფებით მან სიამოვნებით უბოძა მოქალაქეობრივი უფლება ევროპიდან შემოსულ ზოგიერთ გასართობს, მაგალითად კარნავალს, რომელიც მას კარგ შესაძლებლობას სთავაზობდა მისთვის ერთ-ერთ საყვარელ გასართობს – ცეკვას – მისცემოდა. ადგილობრივ კაცებსა და ქალებს ამ ხელოვნების შესანიშნავი ნიჭი აქვთ. თუმცა, კავკასიური ეროვნული ცეკვები არ არის ადგილობრივი წარმოშობის; ისინი სპარსეთისგან არის

27 ღვინის დაღვრა მიცვალებულთა შესანდობრად, მსხვერპლის შეწირვისას და ა.შ. (ა.ჭ.).

ნასესხები და ლეკებისა და სხვა მთიელების მიერ არის სახეცვლილი. ასეა თუ ისე, *ღეზგინკა*, ისეთი როგორსაც მას ჩვეულებრივ ასრულებენ, ცალკე პოემაა. კაზაკის საბრძოლო ცეკვას რაინდული გამოწვევის ხასიათი აქვს – იგი ხანჯლებით ცეკვავს და თავის ნაბიჯსაც იარაღის ფლობის სისწრაფეს უფარდებს. ჩვენი ცივილიზებული ცმუკვა – პოლკა, რეიდოვაკი და სხვები, მხოლოდ სახუმარო ცეკვებს ჰგავს ამ რიტმით, გამომსახველობით და მოხდენილი ენერგიულობით სავსე მოძრაობების გვერდით. „საარშიყო“ ცეკვა ანუ კადრილი კავკასიაში ისევე სრულდება, როგორც რუსეთში, მაგრამ იგი გარკვეულწილად განსხვავდება ევროპაში მიღებულისგან. ქალისა და მის მოპირდაპირედ მყოფის დაპატიჟებისას მამაკაცი, ამავე დროს, ორ სკამს ერთმანეთს გადააბამს თავისი ცხვირსახოცით და მისთვის სასურველ ადგილას დადგამს. ამგვარად წარმოიქმნება სკამებისგან შექმნილი დიდი კვადრატი, სადაც ყველა სკამს თავისი დანიშნულება აქვს. სანამ ერთი პარტნიორი წყვილი ცეკვავს, მეორენი ისვენებენ და კომფორტულად ჩამომსხდარნი საუბრობენ, და ასე რიგ-რიგობით. ეს ჩვეულება, რომელიც ხელსაყრელია როგორც პირისპირ ტკბილი საუბრის, ასევე ბანალური ფრაზების გაცვლა-გამოცვლისათვის, ალბათ იქედან მოდის, რომ კადრილი მრავალი ფიგურისაგან შედგება და, მაშასადამე, დიდხანს გრძელდება; ამასთანავე, ამის მიზეზი დანამდვილებით უნდა იყოს ის გრაციოზული სიზანტის მოთხოვნილება, რომელიც აქ ეროვნული ხასიათის მახასიათებელი თვისებაა.

როგორც წესი, ამ ქვეყანაში, არაფერს ანდომებენ იმაზე ნაკლებ დროს, ვიდრე იმას, რითიც დაკავებული არიან. მათი გონება სხვაგან ქრის. ლამაზი ქართველი ქალი საოცრად ქარაფშუტაა – ჭრიჭინა, ლამაზი პეპელა ჭრელი კორსაჟით. რა მცირე ადგილი უკავია მის ცხოვრებაში სწავლას?! უყვარდეს, იყბედოს, იცეკვოს – აი, მთელი მისი ცხოვრება! არც სახლისა და თეთრეულის მოვლა, არც ბავშვების აღზრდა, არც ამგვარი სხვა წვრილმანი არ ამღვრევს მის უდარდელ ყოფას. მდიდარი იქნება ის თუ ღარიბი, დაბეჩავებული თუ დიდგვაროვანი, მას ყველაფერი უშფოთველად აქვს თავის დინებაზე მიშვებული. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მამაკაცი მასთან ერთად შესაფერის წყვილს ქმნის: აქედან კი თავისუფლება ურთიერთობაში და მართლაც გასაკვირი გულღიაობა. ქალაქი ქუთაისი ამის მაგალითია. ამ იმერლებს, რომელთა არსიც უქმად ყოფნაა, არასდროს ბეზრდებათ (მათ ცოლებს კი კიდევ უფრო ნაკლებად) უსასრულოდ ვიზიტების მიღება, რომლებიც საბოლოო ჯამში მთელ მათ დროს იკავებს. ამ სტუმართმოყვარე საზოგადოებაში მეფობს მომხიბვლელი ძალდაუტანებლობა, რომელსაც თან ერთვის კარგი აღზრდის ქცევა, როგორის ნახვასაც ვერც კი წარმოვიდგენდით ასეთ პატარა ექსცენტრულ ქალაქში. ყველიერზე საუბარი რომ გავაგრძელოთ – იგი არ შემოიფარგლება სამორინეში იმ საცეკვაო თავყრილობებით, რომელზეც უკვე ვისაუბრე; ამას გარდა იმართება ქართული პიესების წარმოდგენები მოყვარულ მსახიობთა მიერ, რომელთაც სურთ თავის თანამემამულეთა შორის სცენისადმი სიყვარული გააღვივონ. ის ადგილი, სადაც წარმოდგენები იმართება, დრამატულ მოგონებას გვახსენებს: ამ შენობაში ოდესღაც ქუთაისის გუბერნატორები ცხოვრობდნენ და სწორედ აქ ერთ-ერთი მათგანი, პრინცი გაგარინი, მოკლა სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა, დადეშქელიანმა, რომელმაც საკუთარი სიცოცხლით ზღო ეს მკვლელობა. 1870 წელს, მეფე ალექსანდრეს ვიზიტის დროს, ნგრევის პირას მისული ეს შენობა ქალაქის თავადაზნაურთა ხარჯებით შეაკეთეს. ეს პატარა სასახლე, ქალაქის საკუთრება, რიონის ნაპირზე მდებარეობს. სამწუხაროდ, უფულობის გამო, იგი კვლავ უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ყველიერზე საუბარს ისე ვერ დავასრულებ, რომ არ ვთქვა: ყოველ წელს, ქუთაისში, მარხვის პირველ დღეს, გროტესკული კორტეჟი შემოივლის ქალაქის ქუჩებს *ზუხნას, თახის* და სხვა ეროვნული საკრავების გამყინავი ხმების თანხლებით. ეს არის *ყეენობის* დღესასწაული, ყაენის დღე, ანუ დღე, როდესაც 1795 წელს, სპარსეთის შაჰი, აღა-მაჰმად-ხანი ტფილისიდან გააძევეს. ამ მოვლენის აღსანიშნავად, ქართველები სახედარზე შესმულ მასხარა დიდებულს და მის ცოლს, აქეთ-იქეთ დაატარებენ. გამვლელებისგან ნაწყალობევი რამდენიმე *კაპიკის* მეოხებით, ორი საბრალო ღატაკი, კაცი და ქალი, მორჩილად განასახიერებს ამ მსხვერპლად შეწირულ და შერცხვენილ პერსონაჟებს,

რომელთა ჩამოვლაც ნამდვილი ტანჯვაა: მთელი მსვლელობის მანძილზე მათ ტალახს ესვრიან და ბოლოს რიონში აგდებენ. ეს დამცინავი მოქმედება ლონდონში გაი ფოქსის მანეკენის ჩამოტარებას გვაგონებს – ცნობილი დენთის შეთქმულების ბოროტმოქმედი გმირისა, რომელმაც პარლამენტის აფეთქება სცადა.

ამ წარმოდგენის დასრულებისთანავე, იმერეთის ყოფილი დედაქალაქი კვლავ გულმოდგინედ მომარხულეთა მსხვერპლი ხდება: სახალხო გადაცმის ერთადერთი მაგალითი, რომელიც ქალაქმა ნახა, ფსევდო-შაჰის ის უცნაური ძონძები იყო, რომელზეც ეს-ესაა ვისაუბრე; თანაც ეს ერთგვარი დაგვიანებული მასკარადია, რომელიც „შეშლილი კვირის“ დახურვის მეორე დღეს იმართება.

ქუთაისში ყოფნისას ქალაქის შემოგარენში მცხოვრები მრავალი ადგილობრივი ოჯახი გავიცანი, რომელიც მარხვის დაწყებისთანავე საკუთარ სახლებში დაბრუნდა. აქაური სტუმარ-მასპინძლობის წესის თანახმად, მათ სოფლებში დამპატიჟეს. კავკასიაში ამგვარი დაპატიჟება ბანალური ამაო ფრაზები არ არის. ამგვარად, დილით ადრე ტარანტასში[28] მოვეწყვე და გავყევი თავადის ოჯახს, რომელიც ქუთაისის მახლობლად, რაჭის მაზრაში ცხოვრობდა. რამდენიმე დღე გავატარე ამ ადგილას, რომელიც საკმაოდ გაშლილი და მჭიდროდ დასახლებულია. სოფლები აქ მიმოფანტულია, როგორც დაბლობებში, ასევე მთებში.

სახლების უმეტესობა ტირიფის წნელისაა, ზოგიც – ფიცრის. რაჭის მოსახლეობა იმერლებისგან განსხვავებული ლამაზი ტიპისაა. მამაკაცები განთქმულები არიან როგორც გულადი მეომრები და ამით კავკასიელ მამაკაცთა უმეტესობას ჰგვანან. მაღალი წოდების ქალბატონები იმდენად ნაკლებად აქტიურები არიან, რამდენადაც გლეხის ქალები – გამრჯეები.

მარხვის სიმკაცრე აქ ზედმიწევნით იყო დაცული – განსაკუთრებით სოფლებში მიეტოვებინათ ყველანაირი გართობა, მაგრამ არ მბეზრდებოდა ადგილობრივთა დინჯ და რელიგიურ ცხოვრებაზე დაკვირვება, ვინაიდან აქამდე მხოლოდ მათი საერო გასართობის მომსწრე ვიყავი. ამისთვის ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა, რადგან ლოცვებმა და მედიტაციამ ჩაანაცვლა ცეკვა-სიმღერა. აღარც ხალისიანი ტოლუმბაში, აღარც მხიარული მისამღერები ნადიმისას, რომლის ძირითადი კერძები იყო სხვადასხვანაირად შეკმაზული ლობიო, თავკერძად ფხალეული, დესერტად კი მურაბა: მენიუ, რომელსაც გულმოდგინედ იცავდნენ ღრმად მორწმუნეები მთელი მარხვის მანძილზე.

რამდენჯერმე გავისეირნე იმ სოფლის გარშემო, სადაც ვცხოვრობდი; ვნახე ძველი ეკლესიების ნანგრევები, რომლებიც თამარ მეფის ეპოქით თარიღდება – როგორც ამას საქართველოში ამბობენ უმეტეს ძეგლთა ნანგრევების შესახებ.

ტელეგრამით მიღებულმა მიპატიჟებამ დუშეთში, ოსებით დასახლებულ მაზრაში მიხმო. ვინაიდან ძლიერ მაინტერესებდა ეს ხალხი, რომელიც გადმოცემის თანახმად გერმანული წარმოშობის უნდა ყოფილიყო, საჩქაროდ ვუპასუხე ამ მიწვევას. შესაბამისად, ჩემმა მასპინძელმა რაჭაში, თავადმა ... ქუთაისამდე გამაცილა. ამჯერად გზა ცხენით გავიარე, რადგან თოვლის დნობის გამო ადიდებული მდინარეები ტარანტასით რთული გადასალახი იყო. ეს მოგზაურობა ძალიან სასიამოვნო იყო და მხოლოდ ერთი უსიამოვნო განცდა შემხვდა, როდესაც ვიგრძენი მდინარის ფონის გადალახვისას თუ როგორც ცურავდა ჩემ ქვეშ ჩემი ცხენი. პირველად მოხდა, რომ იმ ტიპის ცხენოსნობის წინაშე აღმოვჩნდი, რომელსაც სრულებით არ ვიყავი შეჩვეული. ჩემმა თანმხლებმა უშიშარმა ცხენოსნებმა გულიანად იცინეს ჩემს შიშზე, რომელიც როგორც ჩანს ვერც გაეგოთ და არც იზიარებდნენ.

ქუთაისში მშვიდობიანად ჩასული, ჩავჯექი მატარებელში, რომელმაც მცხეთის სადგურში ჩამიყვანა და სადაც უნდა შევხვედროდი ჩემს მასპინძელს – დუშეთის მაზრის უფროსს.

როდესაც მატარებელი ბაქანზე ჩამოდგა, დავინახე ჩაფარი[29], რომელიც ვაგონებს შორის დადიოდა და, როგორც ჩანს, ვიღაცას ეძებდა. მას თან წერილი ჰქონდა. იგი ჯერ ისევ მხნე მოხუცი იყო. მედლებითა და ჯვრებით დამშვენებული გულმკერდი მის სიმამაცეზე მეტყველებდა. მისი

28 სამგზავრო ეტლი.
29 მაზრის უფროსის განკარგულებაში მყოფი ეროვნული მილიციის ჯარისკაცი.

შავი ფაფახი[30] ხაზს უსვამდა თეთრ თმასა და წვერს. მისი განიერი *ჩოხა*[31] უამრავ ნაკეცად ეშვებოდა მაღალი წელიდან და ეს მოხუცი ძლიერ მუხას ჰგავდა, რომელმაც დროს გაუძლო. ვაგონის იმ კართან მოსული ჩაფარი, საიდანაც მე უნდა ჩავსულიყავი, შეჩერდა და შემომხედა. მეც ასევე მოვიქეცი.

მზერის ეს გაცვლა-გამოცვლა მასონურ ნიშანს ჰგავდა და, ძვირფასო მკითხველო, თუ ამ ნიშანმა ჩვენი ბედი არ გადაწყვიტა, სამაგიეროდ, მან ჩაფარის ძვალმაგარ ხელს ჩემს ხელში წერილი ჩაადებინა. ჩემი წინათგრძნობა გამართლდა. მილიციელი მართლაც ეძებდა ვიღაცას და ეს ვიღაც მე ვიყავი. წერილი, რომელიც გადმომცა დუშეთის მაზრის უფროსისგან იყო, რომელიც, სამსახურეობრივი საქმის გამო შეყოვნებული, მხოლოდ მეორე დღეს შეძლებდა დათქმულ შეხვედრაზე მოსვლას. იგი მთხოვდა მცხეთის საფოსტო სადგურში მისი ერთგული ოსი ჩაფარის მფარველობის ქვეშ გამეთენებინა ღამე.

ამ სათნო მოხუცი შიკრიკის დანახვამ მის მიმართ ნდობა გამიჩინა, მაგრამ ასეთივე ნდობა არ მქონდა საფოსტო სადგურების მიმართ, რომლებზეც ბევრი უსიამოვნო რამ მსმენოდა. ამიტომ, შორს წასვლისა და სიბნელეში თავშესაფრის ძიების მაგივრად, რკინიგზის სადგურის უფროსს ვთხოვე მასპინძლობა. სადგურის უფროსმა თავისი კაბინეტი დამითმო. ორ სკამზე ჩემი ქურქი დავაფინე და სამგზავრო ჩანთამ ჩემი ლოგინის მაგივრობა გასწია.

მეორე დღეს ჩემი ქორწინების წლისთავი იყო. გაღვიძებისას მზის მხიარული სხივი მომესალმა, თითქოს ჩემთვის ამ დღის მოლოცვა სურდა. ქურქი დავფერთხე, ჩემი ნესესერი ავიღე და გარეთ გამოვედი, რათა ოდნავ მაინც მომეწესრიგებინა თავი მინდორში, სადაც ერთადერთი პირსაბანი მახლობელი წყარო იყო. ჩაფარი თან გამომყვა, როგორც შეძლო დამეხმარა თავის მოწესრიგებაში და შემდეგ გაქრა.

ვალდებული ვიყავი რა დავლოდებოდი დუშეთის მაზრის უფროსის მოსვლას, ჩაფარს გავაგებინე, რომ მცხეთის დათვალიერება მსურდა. გავეშურეთ განცალკევებით მდგარი დაბისკენ, რომელიც ოდესღაც აყვავებული ქალაქი იყო – მეფეთა უძველესი რეზიდენცია. მცხეთის წმინდა ქალაქი ქრისტიანობის აკვანი იყო საქართველოში. მისი ტაძრები უძველესი დროით თარიღდება. მისი საკათედრო ტაძარი ცხრა საუკუნის წინ დაარსდა. როგორც ამბობენ, მის ერთ-ერთ საკურთხეველში შემონახულია იესო ქრისტეს კვართი, რომელიც აქ მცხეთის კოლონიის ერთ ებრაელს ჩამოუტანია. ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს მიაჩნია, რომ ის იესო ქრისტეს პირდაპირი შთამომავალია. მათ გერბზე გამოსახულია *ქიტონი* – წმინდა კვართი.

ჩვეულებრივ დროს მცხეთის ბაზარი მცირე არჩევანს გვთავაზობს, მარხვის დროს კი აქ სრულიად ვერაფერს იპოვით.

ჩემი ქორწინების წლისთავმა კავკასიაში სიმარტოვეში ჩაიარა, ჩემი მფარველის, მამაცი ოსის საზოგადოებაში.

მოგვიანებით მისი თანამემამულეები მოვინახულე მათ მხარეში. მათ ენაში ბევრი გერმანული სიტყვა დავიჭირე. მათი ტიპი, მართლაც, გერმანელებს გვაგონებს. მათ შორის ბევრია ქერა და ცისფერთვალება. ზოგადად, მათი წეს-ჩვეულებები გაცილებით უწყინარია, ვიდრე კავკასიის სხვა ხალხებისა. ისინი სკამებს იყენებენ და მიწაზე ფეხმორთხმით არ სხედან. ეს სკამები უხეშად არის გამოთლილი, მათი ფორმა სრულიად განსაკუთრებულია და სიკოხტავე არ აკლია. ისინი ასევე ბზისგან ამზადებენ თეფშებსა და დანა-ჩანგალს, რომლებსაც თვითონვე იყენებენ. ამით ისინი განსხვავდებიან მეზობელი ხალხებისგან, რომლებიც აღმოსავლელების მსგავსად ხელით ჭამენ. ოსებით დასახლებულ ოლქში სახლები ერთმანეთზე უსწორმასწოროდ დაწყობილი ქვებისგან არის აშენებული. სახურავი ბრტყელია. ეს საცხოვრებლები ერთმანეთთან ახლოს და ერთიმეორეზეა დაწყობილი.

ოსები ქრისტიანობისადმი ერთგულებით გამოირჩევიან. ისინი მრავალ ტომად იყოფიან. ძველად მათი უმეტესობა რესპუბლიკელი იყო. დღეს კი ყველანი რუსეთის კანონებს ემორჩილებიან.

30 ცხვრის ტყავის ქუდი.
31 მაუდის გრძელი სამოსი.

დამოწმებანი

არტონი 2017: D. Artoni. Tra immagini e memorie: Scoprendo l'Abcasia con gli occhi di Carla Serena, *Eurasiatica 7: Armenia, Caucaso e Asia Centrale, Ricerche 2017,* Venezia, Edizioni Ca' Foscari.

არტონი 2019: D. Artoni. Alone in the Steppes: Carla Serena in the Peripheries of the Russian Empire, *Mobility in the Russian, Central and East European past,* edited by Róisín Healy, London – New York – Routledge, Taylor & Francis Group.

ბროსე 1836: M. Brosset. Notice. *Journal asiatique,* IIIe série, Tome II, novembre, Paris, Imprimerie royale.

ბროსე 1840: M. Brosset. Explication de diverses inscriptions géorgiennes, arméniennes et grecques, *Mémoires de l'académie impériale des sciences de St.-Petersbourg,* VI série, Sciences politiques, histoire et philologie, Tome IV, St.-Petersburg.

ბროსე 1851: M. Brosset. *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847–1848 sous les auspices du Prince Vorontzof Lieutenant du Caucase,* 11e rapport, St.-Pétersbourg, Imprimerie de l'Académie impériale des sciences.

ბროსე 1887: L. Brosset. *Bibliographie analytique des ouvrages de Monsieur Marie-Félicité Brosset, 1824-1879,* Saint-Pétersbourg, Imprimerie de l'Académie impériale des sciences.

გაფრინდაშვილი 2021: *ევროპელი ქალების საქართველო, 1823-1923,* პროექტის ავტორი და სამეცნიერო რედაქტორი ლ. გაფრინდაშვილი, თბილისი.

მონპერე 1839: Fr. Dubois de Montpéreux. *Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée ; avec un atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique, etc.,* Tome I, Paris, Librairie de Gide.

მონპერე 1840: Frédéric Dubois de Montpéreux. *Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée.* Atlas. Série d'architecture ou IIIe Série. Neuchâtel, chez l'Auteur.

ოდუარ 1883: O. Audouard. *Silhouettes parisiennes : illustrées de portraits,* Paris, C. Mapron et E. Flammarion.

პიცაგალი 2006: D. Pizzagalli. *Il viaggio del destino, Carla Serena da Venezia al Caucaso,* Milano, Rizzoli.

სერენა 1880: C. Serena. Excursion dans le Caucase, de la mer Noire à la mer Caspienne, *Le Tour du Monde,* XL, Paris, Librairie Hachette et Cie.

სერენა 1881: C. Serena. *Mon voyage, souvenirs personnels : I, De la Baltique à la mer Caspienne,* Paris, M. Dreyfus.

სერენა 1882: C. Serena. Excursion au Samourzakan et en Abkhasie, *Le Tour du Monde,* XLIII, Paris, Librairie Hachette et Cie.

სკინერი 2015ა: პ. სკინერი. დავიწყებული მოგზაური: კარლა სერენა (1829-1884), *ქართველოლოგი,* N8 (23), ვებ-გვერდი: kartvelologi.tsu.ge http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/11/3 (ნანახია: 03/05/2022)

სკინერი 2015ბ: *Excursion in the Caucasus: From the black sea to the Caspian Sea, 1875-1881, by Mme Carla Serena,* Peter F. Skinner (ed.), New York – London – Tbilisi, Narikala Publications Inc.

ფარესიშვილი 2011: М. Паресишвили. *Бедийское сокровище.* ვებ-გვერდი: ekhokavkaza.com http://www.ekhokavkaza.com/a/16798396.html (ნანახია: 03/05/2022)

"TRAVEL TO THE CAUCASUS" BY CARLA SERENA

Translated from French, introduction and commentaries by
Ana Cheishvili
The School for Advanced Studies in the Social Sciences (EHESS)
ana.cheishvili@ehess.fr
Translated from French by
Ketevan Biashvili
Independent researcher
ketevanibiashvili111@gmail.com

Carla Serena (Caroline Hartog Mergentheim, 1820-1884) was one of the first European women travelers to travel to Georgia between 1875-1877. In 1881, during her second trip, she took numerous photos, which, in 1883, were presented at a Fine Arts exhibition in Paris. Although the originals of the photos are still missing, Serena is still considered to be the first female photographer in Georgia. In 1880-1884, Carla Serena published a series of articles about traveling in Georgia in the French magazine "Le Tour du Monde". These articles are richly illustrated with engravings based on photographs taken by various photographers, including Serena herself. Here we present the translation of the first article into Georgian – "Journey to the Caucasus, from the Black Sea to the Caspian Sea." The article describes Serena's arrival in Georgia, different cities, local population, etc. It is important to note that Serena reported that while visiting the Bagrati Cathedral, she saw an inscription mentioning the cathedral architect. The research revealed that this inscription was first published by the Swiss geologist and archaeologist Frédéric Dubois de Montpéreux, who traveled to Georgia in 1833-1834. Later, in 1847-1848, French orientalist Marie-Félicité Brosset searched for the inscription but could not find it and considered it lost. To date this inscription is lost, therefore we assume that Serena did not see it and she completed her text according to the work of Dubois de Montpéreux.

კომენტარები
COMMENTS

„ხუთჯვრიანი მონეტა“ – სამეცნიერო ციტირება და მისი საფრთხეები

მაია პატარიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
mpataraidze@hotmail.com

2022 წელს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში (N1) გამოქვეყნდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კონსულტანტის ნინო ჯაველიძის წერილი: „დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების „თანაალმობის“ შესახებ“, სადაც ავტორმა შემოგვთავაზა ჩემ მიერ 2022 წელს გამოქვეყნებული ნიგნის, უფრო ზუსტად კი ერთი ქვეთავის – „დავით IV-ის საგარეო პოლიტიკური ვექტორი მეფის გამოსახულებიანი მონეტების მიხედვით“ (პატარიძე 2922: 96-110) კრიტიკა. ნ. ჯაველიძე უარყოფს დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების პოლიტიკურ მოკავშირეობას; ამასთანავე, თავის წერილში, უმეტეს ადგილს უთმობს საქართველოს „სეფე დროშის“ წარმომავლობას და დიდი მონდომებით მეკამათება და უარყოფს დავითის გამოსახულებიანი მონეტის რევერსზე ხუთჯვრიანი დროშის გამოსახვას, იმ დროს, როდესაც არც დროშა და მით უმეტეს მონეტაზე მისი არსებობა ჩემს ნაშრომში გაკვრითაც (!) კი ნახსენები არ გახლავთ. კრიტიკის აბსურდულობიდან გამომდინარე, თავდაპირველად დავფიქრდი კიდეც საპასუხო წერილის აუცილებლობაზე, მაგრამ დავინახე მკითხველის შეცდომაში შეყვანის მცდელობა, რასაც უკომენტაროდ ვერ დავტოვებდი.

პირველ რიგში, მინდა ყურადღება გავამახვილო ნ. ჯაველიძის წერილის სათაურზე: „დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების „თანაალმობის“ შესახებ“. აქ ერთი სიტყვაა საყურადღებო _ „თანაალმობა“. შესანიშნავი ქართული სიტყვა „თანალმობა“, ჩემს ნაშრომში გაპარული კორექტურის გამო არარსებულ სიტყვა „თანაალმობად“ იქცა. ნ. ჯაველიძემ ეს ფორმა პირდაპირ გადმოიღო, მიუხედავად იმისა, რომ წინადადების კონტექსტი სწორედ თანალმობას (თანაგანცდას) გულისხმობდა და არა გაუგებარ თანაალმობას. თუ სტატიის ინგლისურ სათაურს გავეცნობით, იქ თითქოს ყველაფერი რიგზეა, რადგან ამ სიტყვის არსი იკითხება. თუმცა შემდგომ, წერილში ისეთ კონტექსტშია ნახსენები, რომ „თანალმობის“ შინაარსი თავდაყირა დგება. მივყვეთ ციტატას:

> უნდა ვახსენოთ მ. პატარიძის მიერ შემოთავაზებული ვარიაცია ერთიანი იერსახის მქონე ქართულ-ჯვაროსნული დროშების თაობაზე. ავტორი შენიშნავს, რომ დავით აღმაშენებელსა და ჯვაროსნებს ერთმანეთის მიმართ მხოლოდ თანაალმობის სურვილი არ აკავშირებდათ-ო. „თანაალმობით“ მკვლევარი, ალბათ, გულისხმობს იმას, რომ დავით აღმაშენებელს და ჯვაროსან მეფეებს ერთნაირი, „ხუთჯვრიანი“ ნიშნით გამოსახული დროშები უნდა ჰქონოდათ. საკითხავია, რატომ უნდა ვიგულისხმოთ აღმაშენებლის „ხუთჯვრიანი“ მონეტის მიხედვით, რომ მეფემ საქართველოს სეფე დროშაზე ასეთივე სიმბოლო გამოასახვინა?! (ჯაველიძე 2022: 209-210)

როგორც ჩანს, ნ. ჯაველიძე თვლის, რომ თანალმობა ერთნაირი დროშების – ალმების ქონას ნიშნავს. მაშინ გაუგებარია რას ნიშნავს მისივე წერილის სათაურის ინგლისურ ვარიანტში სიტყვა “fellowship”. როგორც ჩანს, ტექსტის ინგლისურად მთარგმნელმა იცოდა სიტყვა თანალმობის მნიშვნელობა. ნ. ჯაველიძე რომ გაცნობოდა თარგმანს, შესაძლოა, შეცდომა თავიდან აერიდებინა. ამისათვის, საკმარისი იქნებოდა გუგლის საძიებო ველში ჩაეწერა ეს სიტყვა (ამ ხერხს ხომ ხშირად მიმართავს და სხვადასხვა ლიტერატურის დამოწმებისას, ის ინტერნეტიდან იშველიებს ბმულებს), სადაც აღმოაჩენდა მის ზუსტ განმარტებას:

> თანალმობა – ზნეობრივი სათნოება, რომელიც ადამიანს ღმრთისა და მოყვასის წინაშე მის მოვალეობათა აღსრულებისკენ უძღვება და პატივისცემის, გულმოწყალებისა და თანაგანცდის გრძნობებით საზრდოობს (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=764).

ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მკვლევარი ნაშრომს აკრიტიკებს იმ იდეების გამო,

რომლებიც ჩემ მიერ დაწერილ წიგნში უბრალოდ არ იძებნება და ისინი მხოლოდ მისი წარმოსახვისა თუ ტექსტის სრულიად თავისებური ინტერპრეტაციის შედეგია. საქმე ეხება ხუთფიგურული კომპოზიციის ხუთჯვრიან დროშად გამოცხადებას, რასაც არა თუ ირიბად არ მივანიშნებ, არამედ კატეგორიულად ვემიჯნები (!). მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო ტერმინს „ხუთჯვრიანი მონეტა“. ნუმიზმატიკის დარგში 30 წლის მუშაობის განმავლობაში მსგავსი ტერმინი არ შემხვედრია, არათუ არ გამომიყენებია. პატივცემული მკვლევარი ცდილობს მკითხველი შეიყვანოს შეცდომაში და კრიტიკას იწყებს სიცრუით. ძნელია ვიმსჯელო, ეს ტყუილი აღქმის თავისებურებითაა ნასაზრდოები თუ შეგნებულადაა მოყვანილი.

ზემოთ მოყვანილ ციტატაშიც და შემდგომ, სტატიის ძირითად ნაწილში (სულ სტატია 14 გვერდიანია და აქედან 8 გვერდი (გვ. 203-211 – ამ თემას ეხება!) ავტორი საუბრობს ჩვენი ქვეყნის სეფე დროშის ვიზუალურ კომპოზიციაზე და მის წარმომავლობაზე. გამოცანად რჩება, რა საერთო აქვს აღნიშნულ საკითხს ჩემს წიგნთან.

მოვიყვან კიდევ ერთ ციტატას:

> მონოგრაფიის გაცნობისთანავე ცხადდება, რომ მას (მ.პ.) „თავისებურად“ ესმის სეფე დროშის იერსახის საკითხი, ხოლო მონეტის „ხუთჯვრიანი“ სიმბოლიკის გაჩენის მიზეზებთან დაკავშირებით მისი კვლევა არაერთ კითხვას აჩენს, თანაც ისე ჩანს, თითქოს მისთვის სეფე დროშის შექმნის ისტორია არანაირად არ უკავშირდება ქართული დროშათმცოდნეობის ტრადიციულ, მყარად ჩამოყალიბებულ წესებს. ამიტომ გადავწყვიტეთ ვუპასუხოთ ავტორს და წარმოვაჩინოთ ჩვენეული თვალთახედვა „ხუთჯვრიან“ მონეტასთან და, შესაბამისად, სეფე დროშის იერ-სახესთან დაკავშირებით (ჯაველიძე 2022: 198).

პასუხის გაცემა აქ ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ მსგავსი არაფერი დაწერილა ჩემს ნაშრომში. ზემოთ დავსვი კითხვა, შეგნებულად ცდილობს თუ არა ავტორი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას? ვფიქრობ, ამ კითხვას ნინო ჯაველიძის ნაშრომის სტრუქტურა სცემს პასუხს. კერძოდ, ის საკვანძო საკითხები, რომელზეც ავტორს კრიტიკული მოსაზრებები აქვს, მოყვანილია ჩემი ნაშრომიდან ზუსტი ციტატებით; ე. წ. სეფე დროშის და „ხუთჯვრიანი მონეტის“ თემა ერთადერთია, რომელსაც ვერ ციტირებს წიგნიდან, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მსგავსი რამ ნაშრომში არ წერია. რაც შეეხება „ხუთჯვრიან მონეტას“, ტერმინის უზუსტობაზე უკვე მოგახსენეთ, თუმცა ნ. ჯაველიძის დიდი მონდომება დავითის მონეტაზე არსებული იკონოგრაფიული სიუჟეტი გაეხადა ხუთჯვრიანი დროშა, შემდგომ ეს წიგნის ავტორისთვის გადაებრალებინა და კრიტიკული წერილი მიეძღვნა, სამეცნიერო დისკუსიის სფეროს სცილდება და სჯობს შეფასებისგან თავი შევიკავო.

განვმარტავ, რომ ნ. ჯაველიძისგან და მის მიერ დამოწმებული ციალა ღვაბერიძისგან (ღვაბერიძე 2016/2017: 44-58) განსხვავებით, ხუთფიგურული კომპოზიცია ჩემთვის ხუთჯვრიანი დროშა არ არის! თუ რას შეიძლება ეს კომპოზიცია ნიშნავდეს, ამაზე სხვა ნაშრომში მაქვს ვრცლად საუბარი და მისი გაცნობა ავტორსაც და მკითხველსაც შეუძლია (პატარიძე 2021 : 329-356).

ნ. ჯაველიძე თავის ნაშრომში ცდილობს ჩემ მიერ წარმოდგენილი იკონოგრაფიული კვლევა ეჭვის ქვეშ დააყენოს, რომლის თანახმადაც დავითის მონეტის რევერსის გამოსახულება ჯვაროსანთა სიმბოლიკის გამოძახილია. მკვლევარს მაგალითად მოყავს სავოიას ჰერცოგის შარლ ემანუილ I-ის (1580-1630) მონეტა. თავი რომ გავანებოთ ჯვრების იკონოგრაფიულ სხვადასხვაობას, რადგანაც შარლ-ემანუილის მონეტაზე გამოსახული ჯვარი რადიკალურად განსხვავებულია (ჯაველიძე 2022: 205) დავითის მონეტაზე აღბეჭდილი ჯვრისგან, ამ ნაწილში ყველაზე მძიმე ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიის გვერდის ავლაა: ნ. ჯაველიძე 1118 წელს მოჭრილ მონეტას ადარებს XVI საუკუნის მონეტას?! ასევე უცნაურია ავტორის მიერ აქემენიდურ მონეტებზე წარმოდგენილი შტანდარტის დაკავშირება ხუთჯვრიან კომპოზიციასთან. საინტერესოა ავტორის ხედვა შტანდარტთან დაკავშირებით. აქემენიდურ მონეტებზე წარმოდგენილი შტანდარტი, რომლის ვარიანტული სახესხვაობა ქრისტიანულ სამყაროში ლაბარუმია, ავტორის აზრით, ასევე უკავშირდება ხუთჯვრიან კომპოზიციას და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის ქართულ მართლმადიდებლურ სამყაროში ვერ მოხვდებოდა, რადგან „ხუთჯვრიანი“ ნიშანი არსით არის კათოლიკური სიმბოლო და იგი

დამახასიათებელი არ გახლავთ მართლმადიდებლური სამყაროსთვის. ავტორს დავეთანხმები, რომ „ხუთჯვრიან“ აქემენიდურ შტანდარტს ნამდვილად ვერ მოვიძიებთ ჩვენი ქვეყნის ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლებზე, მაგრამ ქართულ კედლის მხატვრობასა და ნუმიზმატიკურ წყაროებშიც არა ერთი შემთხვევა გვაქვს ლაბარუმის, მათ შორის ჯვრიანი ლაბარუმის – დაფიქსირების.

ნ. ჯაველიძის ნაშრომის გაცნობისას შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მას სურვილი აქვს დისკუსია წარმართოს რაღაც აკვიატებულ იდეაზე, ისე, რომ ამის საბაბს განსახილველი ნაშრომი არ (ვერ) აძლევს. მიუხედავად ამისა, მკვლევარს იმდენად მწველი სურვილი აქვს დავითის მონეტის რევერსის იკონოგრაფია დაუკავშიროს ხუთჯვრიან კომპოზიციას, შემდგომ კი საქართველოს სახელმწიფო დროშის ისტორიას, რომ გზადაგზა წარმოუდგენელ შეცდომებს უშვებს: იქამდე, რომ მან გადაწყვიტა გადაეწერა ქართული ისტორიოგრაფია. კერძოდ, ჯვაროსნებისა და ქართველების ურთიერთობა დაეყვანა იქამდე, რომ თითქოს ქართველები ლათინთა სახელმწიფოს შესახებ მხოლოდ ინფორმირებული იყვნენ. უფრო მეტიც, ავტორი ფიქრობს, რომ ისეთ დიდ პოლიტიკოსს როგორიც დავითია, შეუძლებელია საერთო ჰქონოდა მარგინალ ჯვაროსნებთან, რადგან ავტორის აზრით:

> ბერძენთა ჩვილთა შამფურებზე ნამოგება, რაც გახლდათ სიმბოლური გამოხატულება მართლმადიდებლური ქვეყნების მიმართ ჯვაროსანთა იდეოლოგიური პოლიტიკისა, საქართველოს სამეფო კარისთვის ცნობილი გახდებოდა არა მხოლოდ მსტოვართა ინსტიტუტის თუ სხვა საძიებო საშუალებით (ჯაველიძე 2022: 200).

რა საერთო ჰქონდა ძლევამოსილ მეფეს ჯვაროსნებთან, ამაზე წყაროები გვიამბობენ, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მათ არ ენდობა ნ. ჯაველიძე. ის კრიტიკულად აღნიშნავს, რომ ნაშრომში არ არის დამოწმებული ქართული წყაროები და რატომღაც მხოლოდ ლათინური წყაროები მომყავს, ოღონდ ამ წყაროებიდან მხოლოდ და მხოლოდ ორდერიკ ვიტალისის ცნობაზე ამახვილებს ყურადღებს. თუმცა, ამ წყაროს დევალვაციით (სხვა სიტყვა ნამდვილად არ შეეფერება), მკვლევარს ქართველი და კილიკიელი მეფის მიერ ჯვაროსანთა დახსნა მხოლოდ გაჭირვებული ადამიანების ხელის გამართვამდე დაჰყავს და ყოველგვარი პოლიტიკური ქვეტექსტის დანახვაზე უარს ამბობს.

საყურადღებოა, რომ ნ. ჯაველიძე რატომღაც გვერდს უვლის ნაშრომში დამოწმებულ სხვა ავტორებს. მაგალითად, ფულხერიუს შარტრელს („იერუსალიმის აღება“) და, რაც მთავარია, თითქმის ერთი საუკუნის წინ ზურაბ ავალიშვილის მიერ პარიზში გამოქვეყნებული ჯვაროსნული ლაშქრობების მატიანეთა კრებულში შეტანილ ლათინურ ქრონიკას *Gesta Francorum Iherusalem expugnantium*, რომელსაც ბოლოში ერთვის ბალდუინის პანეგირიკი, დავით აღმაშენებლის შესახებ ცნობებით. როგორ უნდა გავიგოთ ეს მიდგომა? თუ ქართული საისტორიო წყაროები საფუძვლიან ინფორმაციას არ გვაძლევენ ამა თუ იმ მოვლენაზე, უცხოური წყაროები უნდა უგულებელვყოთ? ამ შემთხვევაში რა დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან?

ნ. ჯაველიძემ თავის წერილში სცადა სიახლე შეეტანა ნუმიზმატიკის საფუძვლებშიც. კერძოდ, ეს ეხება მსოფლიოს წამყვანი ვალუტის დეფინიციას. ქალბატონმა ნინომ, ერთი მხრივ, გადაწყვიტა ჯვაროსნების როლი მსოფლიო პოლიტიკაში დაემცირებინა, მაგრამ ამავდროულად შეეცადა, რომ მათ მიერ მოჭრილი ფული მსოფლიოს წამყვან ვალუტად ეჩვენებინა. აქაც, გაუგებარი მეთოდოლოგიით, მაგალითებად მოჰყავს XIII-XIV საუკუნის მონეტები (ჯაველიძე 2022: 208) ერთ ადგილას ახსენებს XI საუკუნის მონეტას, რომლის გრაფიკა აქვს დამოწმებული, რომელიც, როგორც თავად აღნიშნავს, გოჩევოში ნაპოვნი მონეტაა. სურათზეც გარკვევით ჩანს, რომ ეს უტილიტარული დანიშნულების, სავარაუდოდ, სამკაულად (ან ავგაროზად) გამოყენებული მონეტაა (?), უფრო ზუსტად მონეტის გრაფიკა, რომლის ქრონოლოგიის დადგენა არც ისე მარტივია და კომპლექსურ კვლევას საჭიროებს. მკვლევარი ამ მონეტების მოშველიებით კი ადგენს:

> ცხადდება სრულიად სხვა, მ. პატარიძის თვალსაზრისის საპირისპირო სინამდვილე. ჯვაროსნულ ეპოქასა და მის შემდგომაც (XVI ს-მდე) დასტურდება, რომ ევროპის სახელმწიფოთა მეფენი და მახლობელი აღმოსავლეთის კათოლიკი მეფე-მთავრები ჭრიდნენ და იყენებდნენ „ხუთჯვრიან“ საფასეებს (ჯაველიძე 2022: 209).

ამის მიზეზად ის სავაჭრო ინტერესებს ასახელებს. რა შეიძლება ითქვას? როგორც ვხედავთ, ნ. ჯაველიძე ჯვაროსნებთან ეკონომიკურ კავშირებს უკვე აღიარებს, მაგრამ თვლის, რომ პოლიტიკასთან ამას საერთო არ აქვს. ჯერ ერთი, როგორ ხდება რომ მონეტას მხოლოდ სავაჭრო ფუნქცია შეიძლება ქონდეს და მისი პოლიტიკასთან კავშირი გამოვრიცხოთ, როცა ფული სახელმწიფოს მთავარი ატრიბუტია? ან რისი თქმა სურს ავტორს, რომ საიმპერატორო ინსიგნიებით შემკული დავითის გამოსახულებიანი მონეტა, რომელზეც საქართველოს ისტორიაში ყველაზე მედიდური სამეფო ტიტულატურაა წარმოდგენილი, მხოლოდ სავაჭრო ინტერესების გამო მოიჭრა? მართალია, ამ საკითხში გარკვევა ავტორს სპეციალური ლიტერატურის დახმარებით შეუძლია, მაგრამ როგორც დარგის სპეციალისტმა და პედაგოგმა, შემიძლია კიდევ ერთხელ განვმარტო ჩემი ციტატის არსი, ვინაიდან საკითხი არასწორად იქნა ნინო ჯაველიძის მიერ აღქმული. მივყვეთ ჩემ ციტატას:

> ძნელია ჯვაროსნული ფული წამყვან ვალუტად ჩაითვალოს მახლობელი აღმოსავლეთის ბაზარზე, ანდა ლათინთა იმპერია საქართველოსთვის ისეთ დომინანტ სახელმწიფოდ ჩაითვალოს, რაც ქართველ მეფეს სამონეტო იკონოგრაფიაზე ცვლილებების შეტანას აიძულებდა (პატარიძე 2022: 109).

ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს სამონეტო სისტემა ყალიბდებოდა ამა თუ იმ პერიოდში საერთაშორისო ბაზარზე გავრცელებული სამონეტო სისტემის საფუძველზე. ხოლო საერთაშორისო ბაზარზე გავრცელებულ სამონეტო სისტემების ავტორები არიან ის სახელმწიფოები, რომლებიც მსოფლიო დღის წესრიგს ქმნიან. მაგალითად: ასეთს წარმოადგენდა დავითის ეპოქაში ბიზანტიის იმპერია, რომელთან ეფემერული დაქვემდებარების დროსაც კი მეფე თავისი მეფობის დასაწყისში ბიზანტიური ტიპის ვერცხლის მონეტებს ჭრიდა. მსოფლიო ნუმიზმატიკა ასევე იცნობს ისეთ ინტერლოკალურ მონეტებს, როგორიც იყო ანტიკურ ხანაში ალექსანდრე მაკედონელის სტატერები. არაბული დირჰემი, ირანული აბაზი და ა. შ. რასაკვირველია, ლათინთა იმპერიას ამ მასშტაბის სახელმწიფოდ ვერ მივიჩნევთ. შესაბამისად, მათ მიერ მოჭრილი, როგორც ნ. ჯაველიძე უწოდებს ე. წ. აღებ-მიცემობის“ ანუ სავაჭრო ფუნქციის მქონე მონეტები ლოკალური ფულია საკმაოდ შეზღუდული მიმოქცევის არეალით.

დასანანია, რომ პატივცემული მკვლევარი ნაშრომიდან მხოლოდ იმ ქვეთავს იცნობს. სადაც ჯვაროსნებთან ურთიერთობაა განხილული და არ გაცნობია დავით IV -ის მიერ მოჭრილ სხვა სამონეტო ტიპების არსს, რადგან სრულად მიიღებდა ინფორმაციას როგორ შეიძლება ნუმიზმატიკური ძეგლების ფონზე გამოიკვეთოს მეფის ხედვა და საგარეო პოლიტიკა.

სტატიას ნ. ჯაველიძე შემდეგი ფრაზით ასრულებს: „უმართებულოა ქართველი ერის ისტორიის საკითხები ვიკვლიოთ თანამედროვე პოლიტიკური ვითარების გადასახედიდან“ (ჯაველიძე 2022: 211)

ჩემი დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შევძელი დამეკავშირებინა დავით მეფის და ჯვაროსნების ურთიერთობა თანამედროვეობასთან. ჩემთვის ისიც კითხვად რჩება, თუ რომელ პოლიტიკურ ვითარებაზე მიანიშნებს ავტორი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს სამეცნიერო ტექსტის აღქმის სრულიად თავისებურ შემთხვევასთან, რომელიც, სამწუხაროდ, ვერაფერს შესძენს სამეცნიერო დისკურსს და, პირიქით, შეცდომაში შეიყვანს მკითხველს.

დამოწმებანი

პატარიძე 2021: მ. პატარიძე. შუასაუკუნოვანი ფიგურული ნიშნის სემანტიკისათვის. *საისტორიო კრებული* 8, თბილისი, მხედარი.

პატარიძე 2022: მ. პატარიძე. *დავით აღმაშენებელი ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა. (ტიპოლოგია, იკონოგრაფია, საგახეო ვექტორები)*, თბილისი, არტანუჯი.

ღვაბერიძე 2016/2017: ც. ღვაბერიძე. ერთიანი საქართველოს სამეფოს სახელმწიფო დროშის შესახებ. *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XIV-XV, თბილისი, თსუ გამომცემლობა.

ჯაველიძე 2022: ნ. ჯაველიძე. დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების „თანაალმობის“ შესახებ. *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1.

“COIN WITH FIVE CROSSES” AND DANGERS OF QUOTING IN SCHOLARLY ARTICLES

Maia Pataridze
Ilia State University
mpataraidze@hotmail.com

The paper aims at responding to the critique presented by Ms. Nino Javelidze in her article published in Proceedings of the Georgian National Academy of Sciences in 2022. The author criticizes political alliance of King David Aghmashenebeli and the Crusaders conjectured in my book David Aghmashenebeli Numismatic Heritage, printed in 2022. Ms. Javelidze puts much effort in discussing the provenance of the state flag. The author enthusiastically argues against representation of five-cross banner on the reverse of coins bearing portrayal of King David. The point is just that there is no mention (not even *passim*!) of the flag and its representation on coins in my book. It is a complicated task to respond to the criticism of non-existent assumptions, but inaccurate quoting might lead readers to wrong impressions, hence a few explanatory comments of mine.

Ms. Javelidze also doubts findings of iconographic research presented in my book that ascertain reverse type of David's coins as reflection of crusaders' symbolism. She brings as an example a coin minted by Charles Emmanuel I Duke of Savoy (1580-1630). Let alone iconographic dissimilarity of crosses, the graver is methodological faulty of historical research – the author juxtaposes a coin struck in 1118 and one minted in the 16th century! Likewise, unexpected is an attempt to connect the military standards depicted on the Achaemenid coins to the five-cross composition and argue against its spread in Orthodox Georgia. I agree with the author that there are no Achaemenid five-cross military standards attested on archaeological monuments of Christian Georgia. There are though representations of labarum (labarum cross among them) evidenced in mural paintings and numismatic sources.

Ms. Javelidze also endeavoured to alter the basics of the numismatic discipline. That is to say, to present Crusaders' coins as a leading currency of the world. Again, she brings in coins dating to the 13-14th centuries as validating examples which is simply methodologically wrong.

I would like to elucidate the matter by pointing out that the monetary system of any country, Georgia included, was shaped on the basis of an international monetary system of a given historical epoch, which, in turn, was established by leading political powers on international scale, e. g. Byzantium for the period of David's reign. World numismatic is also familiar with interlocal coins as *staters* of Alexander the Great in Antiquity, Arab *dirhams* or Persian *abbasi*, etc. We cannot regard the Latin Empire a state of preeminent importance, ranking equal to the above powers, therefore, coins minted by them should be considered a local coinage with pretty limited area of circulation.

Thus, the critique suggested by Ms. Javelidze seems to be based on a very peculiar perception of a scholarly text and, unfortunately, will not contribute much to scholarly discourse, let alone misguided reader.

დისკუსია VI–VII საუკუნეების ქართლის პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე

მარიამ ჩხარტიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
mariam.chkhartishvili@tsu.ge

VI-VII საუკუნეების ქართლის პოლიტიკურ ისტორიით ჩემი დაინტერესება, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად შემთხვევით მოხდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში მე დავიწყე წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით წმინდა ევსტათი მცხეთელის „მარტვილობის“ შესწავლა. სწორედ ამ პროცესში გამოირკვა, რომ ხსენებული ძეგლის სწორი დათარიღების და მისი მონაცემების ადექვატური ინტერპრეტაციის შემთხვევაში აღნიშნული ეპოქის ქართლის პოლიტიკური ვითარების უკვე არსებული რეპრეზენტაციის არსებითი გადასინჯვა შესაძლებელია.

თხზულების წყაროთმცოდნეობითი შესწავლისას მთავარი იყო მასში აღწერილი ეპოქის დროითი კოორდინატის განსაზღვრა და მისი შექმნის თარიღის დადგენა. თავად თხზულება გვაწვდის ამ მხრივ მნიშვნელოვან ინფორმაციას: კერძოდ, ირკვევა: ა) ავტორი აღწერილი მოვლენების თანამედროვე იყო; ბ) ის თხზულებას წერდა მარტვილობიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ; გ) ნაწარმოების დასაწყისშივე მოცემულია ქრონოლოგიური ორიენტირი.

ეს ორიენტირია ხოსრო მეფის მეათე წელი. სწორედ მისი გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს აღწერილი ფაქტების დროში ლოკალიზება. ცხადია. რომ „ხოსრო მეფე“-ში იგულისხმება ირანის შაჰი. ირანის შაჰების ზეობის წლები კი საკმაო სიზუსტით არის დადგენილი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თითქოსდა საკვლევიც არაფერი რჩება. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ სახელით „ხოსრო“ გვიან ანტიკურ ეპოქაში ირანის ორი შაჰია ცნობილი:. ხოსრო ანუშირვანი ანუ ხოსრო I, რომელიც ზეობდა 531-578 წლებში და მისი შვილიშვილი ხოსრო ფარვიზი ანუ ხოსრო II, რომელიც შაჰი გახლდათ 590-628 წლებში. ამგვარად, მათ შორის არჩევანია გასაკეთებელი: იმის მიხედვით, თუ რომელ ხოსროდ მივიჩნევთ თხზულებაში დასახელებულ პიროვნებას, დალაგდება წმ. ევსტათის ცხოვრების ქრონოლოგია: მისი მოსვლა ქართლში, მისი ცხოვრება მცხეთაში და მარტვილობა.

თავიდან მკვლევრები უპრობლემოდ ანუ რაიმე დასაბუთების გარეშე აიგივებდნენ „მარტვილობაში“ მოხსენიებულ „ხოსრო მეფეს“ ხოსრო ფარვიზთან. ასევე რაიმე დასაბუთების გარეშე მ.საბინინმა „ხოსრო მეფე“ ხოსრო ანუშირვანად მიიჩნია. ამ უკანასკნელის იდენტიფიკაცია გარკვეული არგუმენტების მოშველიებით შემდგომ გაიზიარა ი.ჯავახიშვილმა და, მიუხედავად იმისა, რომ მ.ჯანაშვილმა, რომელიც „ხოსრო მეფეს“ ხოსრო ფარვიზად მიიჩნევდა, მიუთითა ი.ჯავახიშვილის თვალსაზრისის მცდარობაზე. დასკვნა „ხოსრო მეფის“ ხოსრო ანუშირვანთან გაიგივების თაობაზე დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში,

ამის საპირისპიროდ დამატებითი არგუმენტების საფუძველზე მე გავიზიარე „ხოსრო მეფის“ ხოსრო ფარვიზთან გაიგივების შესახებ მ. ჯანაშვილის და ზოგი სხვა მკვლევრის თვალსაზრისი და თხზულებაში აღწერილი ისტორიის ქრონოლოგია ხოსრო ფარვიზის ზეობის მეათე წლის მიხედვით განვსაზღვრე: სპარსი მოგვების შთამომავალი გვირობანდაკი (მონათვლის შემდგომ ევსტათი) ქართლში მოვიდა 600 წელს. VII საუკუნის ათიანი წლებში ის აქ ცხოვრობდა, აქვე მოინათლა და დაოჯახდა კიდეც. მის მიერ რჯულის ცვლილების და მაზდეანი თანამეტომეების დაცინვის გამო ერთხანს საპყრობილეშიც მოუწია ყოფნა. ათიანი წლების შუა ხანებში მან ქრისტეს რჯულისათვის მოწამეობრივი სიკვდილი მიიღო. თხზულების შექმნა კი წყაროს მონაცემის და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით VII საუკუნის 20-30-იან წლებით დავათარიღე.

ყოველივე ამის თაობაზე დაწვრილებით არის საუბარი ჩემს მონოგრაფიაში (ჩხარტიშვილი 1994:13-53,84-104) და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილ დისერტაციაში (ჩხარტიშვილი 1997: 157-220; 238-249).

ნებისმიერი ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულების ქრონოლოგიური ლოკალიზება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ ამ კონკრეტულ თხზულებასთან დაკავშირებული ვითარება მაინც განსაკუთრებული მგონია. საქმე ისაა, რომ საანალიზო წყაროს მონაცემების მიხედვით ქართლის VI-VII პოლიტიკური ისტორიის აღწერა შეიძლება შეივსოს არსებითი ფაქტებით. ასე მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ქართლის ერისმთავრების, მათ შორის, ამ გამოკვლევის სათაურში მოხსენიებული ერისმთავრების (სტეფანოზ პირველისა და ადარნერსე პირველის) ზეობის ხანის განსაზღვრა წყაროზე დაფუძნებული მტკიცე არგუმენტებით. კერძოდ, „მარტვილობის“ მეშვეობით ვიტყობთ, რომ მასში აღწერილ ეპოქაში (და ეს ეპოქა, როგორც უკვე ვთქვი, არის VII საუკუნის ათიანი წლები) ჯერ კიდევ არ არის ქართლში აღდგენილი უზენაესი საერო ხელისუფლება ქართლში. ანუ ერისმთავრები ამ დროს არ ზეობენ. მონაცემი, რომელსაც, ეს დასკვნა ეფუძნება, სრულიად ცალსახაა: მას მერე, რაც წმ. ევსტათი მცხეთაში მყოფ სპარსელებს ანუ მაზდეან თანამეტომეებს გაემიჯნა და თავის გაქრისტიანების შესახებ აშკარად განაცხადა, ევსტათი საპყრობილეში ჩააგდეს. ზუსტად ამ პერიოდში შაჰმა ქართლის იმდროინდელი მარზპანი არვანდ გუშნასპი ქვეყნიდან გაიწვია. ახლად გაქრისტინებული ახალგაზრდა სპარსელის გულშემატკივარმა ქართველებმა გადაწყვიტეს მომენტით ესარგებლათ და წასვლისას მარზპანისათვის ევსტათის საპყრობილედან გამოშვება ეთხოვათ. წყაროს ინფორმაციით მარზპანთან მისულა ქართველთა დელეგაცია სამი დიდებულის შემადგენლობით. ესენი ყოფილან: ქართლის კათალიკოსი სამოელი, ქართლის მამასახლისი გრიგოლი და ქართლის პიტიასში არშუშა. ამ სამეულის აქტიურობა ამგვარად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში იმის მაუწყებელია, რომ ამ დროს ქართლში ადგილობრივი უზენაესი ხელისუფლება ჯერ კიდევ აღდგენილი არ იყო. კათალიკოსი ანუ უზენაესი სასულიერი ხელისუფალი იყო და ის ამ სამეულის ჩამონათვალის თავშია დასახელებული. ქართლის პიტიახში ვიცით, რომ ქვემო ქართლის ერისთავი გახლდათ, ანუ რეგიონალური მმართველი, ოღონდაც სხვა ერისთავებს შორის მას განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდა და საქვეყნო გამრიგედაც ამიტომ ჩანს ამ ეპიზოდში. ზუსტად რა უფლება-მოვალეობანი ჰქონდა გრიგოლ მამასახლისს, ძნელია თქმა, მაგრამ იგი რომ უზენაესი საერო ხელისუფალი არ ყოფილა, ეს ცხადია, რადგან დასახელებულია ქართლის კათალიკოსის შემდგომ. ქართულ სინამდვილეში კი უზენაესი საერო ხელისუფალი ყოველთვის კათალიკოსზე უწინარესად სახელდებოდა. ამის თაობაზეც ვრცელი მსჯელობაა წარმოდგენილი ჩემს ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში.

ამგვარად, „მარტვილობაში“ აღწერილია ქართლის პოლიტიკური მოწყობის ფრიად სპეციფიკური ვითარება – არც მეფეა და არც ერისმთავარი – და ამ ვითარების არსებობის ქრონოლოგიური კოორდინატი, როგორც უკვე ვთქვი, არის VII საუკუნის ათიანი წლები. ნაწილობრივ ამ ფაქტებიდან გამომდინარეა ერისმთავრობის ინსტიტუტის გაჩენის დროის და სტეფანოზ პირველის ზეობის ხანის ჩემეული ქრონოლოგია: ჩემი გამოთვლით, პირველი ერისმთავარი გუარამი ტახტზე უნდა ასულიყო VII საუკუნის ათიანი წლების მიწურულიდან 20-იანი წლების დასაწყის შორის პერიოდში, ხოლო სტეფანოზ პირველის ზეობის ხანად ამავე საუკუნის 20-ანი 30-ანი წლები უნდა განისაზღვროს. ეს თვალსაზრისი და მისი დასაბუთება ასევე მოცემულია ჩემს ზემოთ მითითებულ მონოგრაფიასა და სადოქტორო დისერტაციაში.

როგორც ითქვა, ჩემ მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგია განსხვავდება ი.ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგიისაგან, გამომდინარე იქიდან, რომ ი. ჯავახიშვილი ხოსრო მეფეში ხოსრო ანუშირვანს გულისხმობდა და წმ. ევსტათი მცხეთელის „მარტვილობაში“ აღწერილ ეპოქას, შესაბამისად, VI საუკუნის პირველ ნახევარში ათავსებდა. მაგრამ, აღნიშნული დასკვნების გაკეთებისას, ცხადია, ეს პრობლემად არ ჩამითვლია, რადგან აზრები სამეცნიერო საკითხებზე ყოველთვის შეიძლება გადაისინჯოს და არც იმას აქვს მნიშვნელობა თუ ვის ეკუთვნის ისინი, - მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელს თუ ვინმე სხვას. მაგრამ ჩემი თვალსაზრისი არ ემთხვევა არც თანამედროვე მკვლევართა თვალსაზრისებს, რომელთა უმეტესობა ი.ჯავახიშვილის გავლენით ხოსრო ანუშირვანის ზეობას მიიჩნევს თხზულებაში აღწერილი ეპოქის ქრონოლოგიურ

ორიენტირად და ამაზე დამყარებული აქვთ კიდეც თავიანთი სამეცნიერო გამოკვლევები.

ამიტომ არ გამკვირვებია, რომ ჩემი თვალსაზრისი კრიტიკის საგნად გადაიქცა (ბოგვერაძე 2001: 70-76); (მუსხელიშვილი 2003:247) ამ კრიტიციზმს მე დეტალურად ვუპასუხე 2005 წელს გამოქვეყნებულ ჩემს მონოგრაფიაში (ჩხარტიშვილი 2005).

თუმც ოპონენტები ჩემს ამ უკანასკნელად მოხსენებულ მონოგრაფიასაც გამოეხმაურნენ (მუსხელიშვილი 2007): ამიტომ მომინია აღნიშნულ საკითხებს 2008 წელსაც დავბრუნებოდი (ჩხარტიშვილი 2008:192-202). 2018 წელს ისტორიოგრაფიული კუთხით განვიხილე ზემოთ აღნიშნულ ეპოქის პოლიტიკური ისტორიის რეპრეზენტაციისათვის ჩემ მიერ გამოყენებული წყაროები და განვმარტე ფაქტების ინტერპრეტაციისას შუა საუკუნეების ქართველ ისტორიკოსთა მოტივაციები. ეს აუცილებელი იყო ამ ძეგლების, როგორც საისტორიო წყაროების, ადექვატური გაგებისათვის. ამ საკითხებზე ჩემს ადრეულ პუბლიკაციებშიც მქონდა საუბარი, მაგრამ ამ ბოლო გამოკვლევაში ყველაფერს თავი მოვუყარე და ახალი აქცენტებით გამდიდრებულ ერთიანი ნარატივად წარმოვადგინე (ჩხარტიშვილი 2018:37-68).

ამის შემდგომ, ბუნებრივია, ჩავთვალე, რომ ყველა ჩემი თვალსაზრისი სათანადოდ მივიტანე მკითხველამდე და დისკუსია დასრულებულად მივიჩნიე. თუმც, როგორც გაირკვა, ზემოთ აღნიშნული ეპოქის რეპრეზენტაციასთან დაკავშირებით ჩემთან პოლემიკის სურვილი კოლეგებს ჯერ არ განელებიათ. ამას მაფიქრებინებს ორიოდე წლის წინ გამოქვეყნებული ვ. გოილაძის ახალი მონოგრაფია (გოილაძე 2020) , რომელშიც მკვლევარი უბრუნდება ადრე უკვე არაერთხელ განხილულ პრობლემებს და აკრიტიკებს, მისი აზრით, ქართული წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკულად განწყობილ მკვლევრებს. ამ კონტექსტში იგი, რატომღაც მეც მომიხსენიებს ანუ მკვლევარს, რომელმაც ქართულ წყაროთა „რეაბილიტაციას" არაერთი ნაშრომი მიუძღვნა.

კონცეპტუალური თვალსაზრისით ახალი ვ. გოილაძის მსჯელობაში არაფერი არ არის იმასთან შედარებით, რაც ადრე სპეციალურ ლიტერატურაში არ ყოფილა დაფიქსირებული და რაზედაც მე ჩემს წინა პუბლიკაციებში პასუხი არ მქონდეს გაცემული. წინამდებარე წერილში, ალბათ, არც კი შევჩერდებოდი ვ. გოილაძის აღნიშნულ მონოგრაფიაზე, ერთი გარემოება რომ არა: იგი აგდებულად საუბრობს ჩემს თვალსაზრისებზე. განსხვავებული აზრის მქონე კოლეგების ნააზრევზე მსჯელობისას ამგვარი ტონი, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ვ. გოილაძეს არ შემოუტანია (მას ამ მხრივ, სამწუხაროდ, ჰყავს წინამორბედნი), მაგრამ აღნიშნულ მკვლევარს ეს სტილი აშკარად მოსწონებია და ქართულ ისტორიოგრაფიაში მის დამკვიდრებას ცდილობს, რისი უკომენტაროდ დატოვება, ვფიქრობ, არ შეიძლება.

ამიტომ ქვემოთ განვიხილავ ვ. გოილაძის მონოგრაფიის იმ ადგილებს, სადაც ის ჩემს თვალსაზრისებს ეხება.

ა) „ეპისტოლეთა წიგნში ადარნასეს (ატრნერსეს) შესახებ არსებული ცნობები მნიშვნელოვნად ავსებს მასზე ქართულ წყაროთა მონაცემებს, მაგრამ მ. ჩხარტიშვილის მტკიცებით „ქართლის მესამე ერისმთავარი ადარნერსე" და ეპისტოლეთა წიგნის ატრნერსე, მიუხედავად სახელთა სავარაუდო იგივეობისა, ერთიდაიგივე პიროვნებანი არ არიან". „ატრნერსე არის ქართლის მამასახლისი" (გვ.36).

ვ. გოილაძე იმოწმებს ჩემი მონოგრაფიას „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" და VI-VII სს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. პოლემიკური ნარკვევი".

მისი კომენტარი კი ჩემს თვალსაზრისთან დაკავშირებით შემდეგია: „ამ „მიკვლევას", ვფიქრობ, კომენტარი არ სჭირდება" (გვ.36).

ამგვარად, მკვლევარმა მოიყვანა ჩემი აზრი (მართალია, ძალიან მოკლედ, მაგრამ მაინც) რომელსაც ის არ ეთანხმება. მოლოდინი ისეთი იყო, რომ განმარტავდა თუ რატომ არ იზიარებს მას. ის კი რას აკეთებს: ჩემს დასკვნას მიკვლევას უწოდებს და ამ სიტყვას წინწკლებში სვამს, რითაც მკითხველს იმას აჩვენებს, რომ სინამდვილეში ეს ანგარიშგასაწევი შედეგი არაა. ამასთან აღნიშნავს, რომ მისი მხრიდან ამ შემთხვევაში კომენტირება ზედმეტია, ე.ი. ამ „მიკვლ;ევის" აბსურდულობა ისედაც თვალსაჩინოა. ეფექტის სისრულისათვის ვ. გოილაძე მიუთითებს, რომ ატრნერსე, რომელიც, მისი აზრით, უნდა გაიგივდეს ქართლის ერისმთავართან (ერისმთავარი ფართო მკითხველისათვის

ცნობილია და უფრო დამაჯერებლად შეიძლება მოეჩვენოს), მე კი გავაიგივე „მამასახლისთან“.

ამგვარად, ჩემი „მიკვლევისადმი“ უნდობლობის გაჩენა, ვ. გოილაძის აზრით, უზრუნველყოფილია შემდეგი ფაქტებით: მე ქართული ისტორიოგრაფიისათვის წამირთმევია შესაძლებლობა, რომ ადარნერსე ერისმთავრის შესახებ ინფორმაცია „ეპისტოლეთა წიგნის“ მონაცემებითაც შევსებულიყო; იმის მაგიერ რომ ატრნერსეში ქართლის ერისმთავარს ვხედავდე, მე მას რაღაც გაურკვეველი პოზიციის მამასახლისთან ვაკავშირებ. აი, ამის განხილვა ზედმეტად მიუჩნევია მკვლევარს.

ვნახოთ, სინამდვილეში რა ვითარებაა

როგორც ითქვა, ჩემი თვალსაზრისი ვ. გოილაძესს გადმოცემული აქვს, მაგრამ ისე, რომ მკითხველი, რომელიც არ იცნობს ამ საკითხზე ჩემს კვლევას, ფაქტობრივ ვერაფერს გაიგებს. ამიტომ ქვემოთ მე ოდნავ ვრცლად განვმარტავ, რას ეხება საქმე.

„ეპისტოლეთა წიგნი“, როგორც ცნობილია, ეს არის დოგმატურ საკითებზე ქართველ და სომეხ საერო და საეკლესიო იერარქთა შორის პოლემიკური მიმოწერის ამსახველი დოკუმენტების კრებული, რომელიც შემოგვრჩა მხოლოდ სომხურ ენაზე. და აი, სწორედ ამ კრებულში დაცულ რამდენიმე წერილში, რომლებიც VII საუკუნის დასაწყისით თარიღდება, არის მოხსენიებული მთავარი ატრნერსე და მას აიგივებენ, როგორც ითქვა, ქართლში უზენაესი საერო ხელისუფლების აღდგენის შემდგომ მესამე ერისმთავარ ადარნერსესთან. მაგრამ ამ გაიგივების საფუძველი სხვა არაფერია თუ არა სახელთა სავარაუდო თანხვედრა: ადარნერსე//ატრნერსე.

მე ვთვლი, რომ სახელთა დამთხვევის მიუხედავად შეუძლებელია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ატრნერსე მივიჩნიოთ ქართლის ერისმთავარ ადარნერსედ. საქმე შემდეგია: მთავარი ატრნერსე, როცა საქმე ეხება ქართლის მხრიდან ოფიციალურ პირთა ჩამონათვალს, დასახელებულია ქართლის კათალიკოსის შემდგომ. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ იგი არ არის ერისმთავარი, რადგან ოფიციალური კომუნიკაციის დროს უზენაესი საერო ხელისუფალი უნდა დასახელდეს უზენაეს სასულიერო ხელისუფალზე წინ. ამგვარი რიგითობა გამონაკლისის გარეშე არის დაცული ქართულ ისტორიოგრაფიულ წყაროებში და აშკარაა, რომ ის ნორმის ამსახველია. აი, რატომ არის გამორიცხული, რომ ადარნერსე ერისმთავარი ატრნერსესთან გავაიგივოთ. ადვილი მისახვედრია, ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიისათვის რა მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის სწორად გადაწყვეტას: VII საუკუნის დასაწყისში ქართლში მესამე ერისმთაავრი კი არ ზის ტახტზე, როგორც თვლის ვ. გოილაძე და ზოგი სხვა მკვლევარი, არამედ ჯერ კიდევ უმეფობის ხანაა, რომელიც ქართული წყაროების ინფორმაციით VI საუკუნის მეორე ნახევრიდან, მეფე ბაკურის შემდგომ დაიწყო.

ახლა რატომ მგონია, რომ ეს ატრნერსე არის ქართლის მამასახლისი და არა უბრალოდ მამასახლისი, როგორც მიუთითებს ვ. გოილაძე. ქართული მხარის მიერ სომხური მხარისადმი გაგზავნილ წერილში ქართველთა მხრიდან მოკითხვის შემთვლელ ოფიციალურ პირთა შორის, პირველ რიგში, დასახელებულია კათალიკოსი, მერე მთავრები ატრნერსე და აშუშა. აშუშა/არშუშა ქართლის პიტიახშების საგვარეული სახელი იყო, ამიტომ გასაგებია, რომ ქართველების მხრიდან მომკითხველთა შორის მესამე არის ქართლის პიტიახში. აი, აქ უნდა გავიხსენოთ წმინდა ევსტათი მცხეთელის „მარტვილობა“, რომელშიც აღწერილია ეპოქა, როცა ქართლში უზენაესი საერო ხელისუფლება გაუქმებული იყო. ჩვენი ძიებისათვის ნიშანდობლივია, რომ ზემოთ მითითებული ცნობა ევსტათის გამოსახსნელად მარზპანთან მისულ ადგილობრივ დიდებულთა სამეულის შესახებ. ანუ ამ შემთხვევაშიც სამეული ჩანს ქართველთა წინამძღოლად. „ეპისტოლეთა წიგნში“ წარმოდგენილ სამეულს „მარტვილობაში“ დადასტურებული სამეულის ორი წევრის პოზიცია ემთხვევა: პირველი არის კათალიკოსი და მესამე - პიტიახში. საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი ორივე სამეულში პიროვნულადაც იგივეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ორი მმართველი სამეული ერთმანეთის მიყოლებით მოღვაწეობდა. მაგრამ აქ მთავარია მიხვედრა „ეპისტოლეთა წიგნის“ სამეულის მეორე წევრთან დაკავშირებით: თუ დასახელებულ ორ წყაროში დიდებულთა მმართველი სამეულის პირველი და მესამე წევრების პოზიციები ემთხვევა, მაშინ, ცხადია, რომ მეორე წევრის პოზიციაც დაემთხვევა. ამის გათვალისწინებით სრულიად აშკარაა, ატრნერსე, არის ქართლის მამასახლისი და „ეპისტოლეთა წიგნში“ ასახული მიმოწერა ქართლში ადგილობრივი საერო

უზენაესი ხელისუფლების აღდგენამდე პერიოდს უკავშირდება და არა ერისმთავრობის ეპოქას. ჩემი ეს დასკვნა, რომელსაც ასე აგდებულად მოიხსენიებს ვ. გოილაძე, თავდაყირა აყენებს ამ ეპოქის ვ. გოილაძისეულ რეპრეზენტაციას. და მას ჩემი არგუმენტების გაბათილება არ შეუძლია. ამიტომაც არის, რომ კომენტარს არ აკეთებს და არა იმიტომ, რომ ჩემი თვალსაზრისის მცდარობა არავისთვის საეჭვო არ შეიძლება იყოს.

ბ) ჩემი მოსაზრებისადმი აგდებული დამოკიდებულების გამომჟღავნებით შესაბამისი არგუმენტის არქონის ფაქტის დაფარვას ვ. გოილაძე სხვა საკითხზე მსჯელობის დროსაც ცდილობს:

> სანამ მცხეთის ჯვრის ტაძრის პოსტამენტის წარწერის ბოლო ნაწილის აკად. გ.ჩუბინაშვილისეულ აღდგენაზე დაყრდნობით შესრულებულ სტეფანოზ I-ის ბიოგრაფიას ა.ბოგვერაძე ენციკლოპედია „საქართველოს“ რედკოლეგიას წარუდგენდა, სტეფანოზ პირველისადმი ადარნასეს მიშვილების (ხაზი ჩემია, მ. ჩ.) შესახებ მტკიცებას უკვე ცალკე ნაშრომი ჰქონდა მიძღვნილი. მხედველობაში მაქვს პროფ. მ. ჩხარტიშვილის 1994 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში დამატებად შეტანილი გამოკვლევა- „ერისმთავარი სტეფანოზ I“. მიუხედავად იმისა, რომ მ. ჩხარტიშვილმა იცოდა მცხეთის ჯვრის ტაძრის პოსტამენტის წარწერის ბოლო ნაწილის „სახლად“ აღდგენა საეჭვო იყო, იგი მაინც „ავთენტიკურ წყაროდ“ გამოაცხადა. ცდილობს დაასაბუთოს, რატომ ადარანასე, მართლაც, ბაგრატიონთა სახლს განეკუთვნებოდა და სტეფანოზ I-ის ძე იყო. მისი მტკიცებით, „მოქცევაი ქართლისაის“ და „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სტეფანოზი და დემეტრე ძმები იყვნენ. ასეთივე სიახლოვე უნდა ჰქონდეს მათთან ადარნასესაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სახელი, ისეთ ძეგლში, როგორიც ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაა, ვერ მოხვდებოდა. სტეფანოზისა და ადარნასეს, როგორც ორი დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის, სხვადასხვა ფეოდალური სახლის წარმომადგენლების ერთ ლოცვაში მოხსენიება გამორიცხულია. ამგვარად, დასძენს მ. ჩხარტიშვილი – არ დასტურდება „ქართლის ცხოვრების“: (მხედველობაში აქვს „ქართული წყარო“, ვ.გ.) იმის თაობაზე, რომ ადარნასე ტახტის გამო სტეფანოზთან მოქიშპე პიროვნებაა. ირიბად დასტურდება „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობა მათი მამაშვილობის შესახებ. უფრო ზუსტად ამ ორ წყაროს შორის ამ მხრივ წინააღმდეგობა არ არის (გვ.47-48).

და კიდევ:

> მ. ჩხარტიშვილის წერილიდან მოყვანილ ამონარიდში არსებული მისი თხრობის შესახებ უნდა აღვნიშნო: „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკაში არავითარი არაა იმის შესახებ ადარნასე და სტეფანოზი „მამაშვილნი“ რომ იყვნენ. ამ წყაროში უბრალოდ სტეფანოზის შემდეგ ადარნასეს გაერისმთავრება იგულისხმება. მასში არც სტეფანოზისა და არც ადარნასეს დინასტიური კუთვნილება არაა მითითებული. მათ მამა-შვილობას სუმბატ დავითის ძის ცნობაზე ამყარებენ. თანაც, როცა მ. ჩხარტიშვილი აკად. გ. ჩუბინაშვილიდან მომდინარე აზრს მხარს უჭერდა, კარგი იქნებოდა, თავისი ყოფილი ხელმძღვანელის, აკად. ზ. ალექსიძის მონოგრაფიიდან ჩემ მიერ ზემოთ მოტანილი დასკვნები გაეთვალისწინებინა (ხაზი ჩემია, მ. ჩ. ისიც გაეხსენებინა აკად. ნ. ბერძენიშვილის მოხდენილი თქმით სუმბატ დავითის ძე ქართლის ერისმთავართა ისტორიის (რიგს) რომ აკოწიწებდა (გვ.48-49)..

ვ. გოილაძის ეს მსჯელობანიც გამსჭვალულია სამეცნიერო დისკუსიისათვის შეუფერებელი ინტონაციით. რას ნიშნავს მის მიერ ირონიულად ნათქვამი სიტყვა „მიშვილება“?! ჩემს ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში ვრცლად მაქვს განმარტებული თუ რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ სტეფანოზ პირველი და ადარნერსე პირველი არიან მამა-შვილი, მიუხედავად იმისა, რომ „ქართლის ცხოვრება“ მათ სხვადასხვა სახლის წარმომადგენელ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად სახავს. ირონია, ვერ დაეხმარება მკვლევარს ამ შემთხვევაში, რადგან მას ესაჭიროება არგუმენტები იმის საჩვენებლად, რომ ეს მოსაზრება არ არის სწორი. მაგრამ არგუმენტების გამონახვა მისთვის შეუძლებელია, რადგან დასახელებული ერისმთავრები, როგორც ვთქვი, მათივე დაკვეთით შესრულებულ მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში ერთობლივ ლოცვას აღავლენენ. შეუძლებელია მტრებს ერთად ეთხოვათ შემწეობა ჯვრისათვის, ერთი ოჯახის წევრებისათვის კი ამგვარი ქმედება სრულიად ბუნებრივია.

სამეცნიერო დისკუსიისათვის ასევე უადგილოა ვ. გოილაძის მიერ ჩემთვის იმის მოთხოვნა (გნებავთ თხოვნა ან რჩევა), რომ მე უნდა გამეზიარებინა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის ზ. ალექსიძის აზრი მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერის ბოლო ნაწილის ტექსტის აღდგენის თაობაზე და დაზიანებულ ადგილას ამომეკითხა სიტყვა „ქართლისა“ ნაცვლად „სახლისას“. რა შუაშია აქ სამეცნიერო ხელმძღვანელზე აქცენტი? დიახ, ბატონი ზ. ალექსიძე იყო

ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი, დიახ, ამ შემთხვევაში მე მისგან განსხვავებული თვალსაზრისი მაქვს. მაგრამ ეს როგორაა ვ. გოილაძისათვის არგუმენტი?! რისი დასაბუთება სურს მკვლევარს იმით, რომ მკითხველს ამ ფაქტს აცნობს? აკადემიკოსი ზ.ალექსიძე დიდი ავტორიტეტია პირადად ჩემთვის და მთელი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვისაც, მაგრამ აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი, რომლის აზრს ამ შემთხვევაში მე ვიზიარებ, ავტორიტეტი არ არის?! ეს თუ ავტორიტეტებზე მიდგება საქმე, თუმც, ჩემი აზრით, კვლევისას მთავარია არა ამა თუ იმ მეცნიერის ავტორიტეტი საზოგადოდ, არამედ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული მისი არგუმენტის ძალა.

ვ. გოილაძე არასწორად გადმოსცემს ჩემს თვალსაზრისს და მომაწერს იმას, რაც არ დამიწერია. მაგალითად, თითქოს მე ვამბობ, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ პირდაპირ მიუთითებს, სტეფანოზ პირველისა და ადარნერსე პირველის მამა-შვილობაზე. მე, ცხადია, ამას არ ვწერ, მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ წყაროში სტეფანოზ პირველის შემდგომ დაფიქსირებულია ადარნერსე პირველის ზეობა და, ამგვარად, ეს წყარო არ ეწინააღმდეგება აზრს იმის თაობაზე, რომ ისინი მამა-შვილი იყვნენ. ეს არის და ეს. მათი მამა-შვილობა კი სხვა მონაცემებით დასტურდება. არც ერისმთავართა საგვარეულო კუთვნილების შესახებ ვამტკიცებ რამეს. არ განმიხილავს აღნიშნული საკითხი დასახელებულ ნაშრომებში და იმიტომ.

მართლაც, ძალიან მიკვირს, რომ იმგვარად გამოცდილ მკვლევარს, როგორიც ბატონი ვახტანგ გოილაძეა, შეცდომები მოსდის ჩემი სამეცნიერო თვალსაზრისების გადმოცემისას, მაგრამ კიდევ უფრო მეტად საკვირველად (და სამწუხაროდაც) მიმაჩნია ის ფაქტი, რომ მან არგუმენტების მოყვანის ნაცვლად საკუთარი პოზიციის გამოხატვა აკადემიური დისკუსიისათვის შეუფერებელი სტილით გადაწყვიტა.

დამოწმებანი

ბოგვერაძე 2001: ა.ბოგვერაძე. ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები 90-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში(კრიტიკული მიმოხილვა). ანალები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, 2001, #2.

გოილაძე 2020: ვ. გოილაძე. *ქართლის ეპისმთავრები სტეფანოზ I და ადარნასე*, თბილისი.

მუსხელიშვილი 2003: დ.მუსხელიშვილი.*საქართველო IV-VIII საუკუნეებში*, თბილისი: მემატიანე

მუსხელიშვილი 2007: დ.მუსხელიშვილი. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის თარიღი და VI-VII საუკუნეების ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. ანალები. ისტორიის საეთნოლოგიის,რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის ჟურნალი.

ჩხარტიშვილი 1994: მ. ჩხარტიშვილი. *„მახტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“. „ცხოვრებაი და მოქაღაქობაი წმიდისა სეჰაპონ ზახზმელისაი“. წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა.* თბილისი, მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1996: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი. V-VII სს ისტორიის ამსახველი ძეგლები.* დისერტაცია წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

ჩხრტიშვილი 2005: მ. ჩხარტიშვილი. *„წმ. ევსტათი მცხეთელის მახტვილობა“ და VI-VII სს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. პოლემიკური ნახკვეთები*, თბილისი.

ჩხარტიშვილი 2008: მ. ჩხარტიშვილი. პასუხის პასუხი აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს: XXI საუკუნის საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების პრობლემები VI-VII საუკუნეების საქართველოს ისტორიის თაობაზე დებატების ფონზე. *საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები ისტორიის საკითხები*, IX.

ჩხარტიშვილი 2018: M. Chkhartishvili. Discussing Some Features of Georgian Medieval Historiography. Two Verbal Portraitsof Duke Stephanos I. Laudator Temporis Acti. Studia in Memoriam Ioannis A. Božilov,vol. II. IUS, IMPERIUM, POTESTAS LITTERAE, ARS ET ARCHAEOLOGIA. curavit I. A. Biliarsky. Институт за Исторически. Изследвания Българска Академия на Науките. Издателска къща „Гутенберг“.

DISCUSSION ON THE ISSUES OF THE POLITICAL HISTORY OF KARTLI IN 6TH-7TH CENTURIES

Mariam Chkhartishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
mariam.chkhartishvili@tsu.ge

In this article, the author presents a brief overview of his previously published works on the political history of the East Georgian state - Kingdom of Kartli - in the 6th-7th centuries. specifically refers to the novelty that was introduced by her in dating the abolition of the kingship in Kartoi and then the restoration of the national supreme government in the form of the authority of residing princes (eristtmavars). A new chronology, which differs sharply from traditional conclusions and those that accepted universal recognition only because they were introduced into scientific circulation by the founders of scientific Georgian studies, touched some modern scientists who built their representations on the chronology of traditional scholarship.

As a result, works appeared that criticized the conclusions of the author. Regrettably, the criticism was carried out with disregard for basic rules of academic ethics. The critisc and tried to hide the lack of arguments behind such unfounded and inaccurate remarks.

The author of the article responded to all such critics. In the present work she refers to Goildze's recent monograph, this scholar continues the discussion in the spirit of his predecessors, without arguments, ridicules colleagues who develop ideas different from him.

თვალსაზრისი
STANDPOINT

სასარგებლო და კარგი საქმე გაუგებრობების თანხლებით (არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ ქართული თარგმანის გამოცემის გამო)

მურმან პაპაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
murman.papashvili@yahoo.com

ქართული წიგნიერი საზოგადოება კარგად იცნობს საქართველოში თითქმის 19 წლის მანძილზე (1631 წლის მაისი-1649 წლის 18 ოქტომბერი) მოღვაწე თეატინელი მისიონერის დონ არქანჯელო ლამბერტის სახელს. ამ ღვთივკურთხეულმა მოძღვარმა, რომელსაც თავის სამშობლოში უფრო მეტი სასულიერო კარიერის გაკეთება შეეძლო, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში მსახურებით, ორი დიდი ნაშრომი დატოვა საქართველოს შესახებ. დღემდე ქართული საზოგადოება თუ მეცნიერ-მკვლევრები დიდი ინტერესით ეცნობიან დონ არქანჯელო ლამბერტის პირველ წიგნს, რომელიც 1654 წელს გამოიცა ნეაპოლში შემდეგი სათაურით: “Relazione della Colchide oggi detta Mengrelia, nella quale si tratta dell’Origine, costume e natura di quei Paesi. In Napoli, 1654” (ლამბერტი 1654:). ეს წიგნი სახელწოდებით „სამეგრელოს აღწერა“ ალექსანდრე ჭყონიამ თარგმნა და ლევან ასათიანის წინასიტყვაობით 1938 წელს გამოიცა ქართულ ენაზე (ლამბერტი 1938:).[1] რაც შეეხება მეორე ნაშრომს, “Colchide Sacra” („წმინდა კოლხეთი“), 1657 წელს გამოიცა ნეაპოლში (ლამბერტი 1657:), თუმცა ქართულ ენაზე მის თარგმნასა და გამოცემას, რომელიც 2020 წელს წარმატებით განხორციელდა, თავისებური ისტორია აქვს და თან დიდი გაურკვევლობები ახლავს. სწორედ ამ მოვლენების მოკლე ისტორიისა და მასთან დაკავშირებული გაუგებრობების გადმოცემა დავისახეთ მიზნად წინამდებარე წერილში, გარკვეული წუხილის გამოთქმით.

ცნობილი სწავლულის, მეცნიერ-ისტორიკოსის ბეჟან გიორგაძის (1905-1984) სახელი ქართველი წიგნიერი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი. მის მიერ გაწეული შრომა ფასდაუდებელია ქართული ისტორიოგრაფიისათვის, კერძოდ, საქართველოს შესახებ იტალიელი მისიონერების (დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს, დონ პიეტრო ავიტაბილეს, დონ კრისტოფორო კასტელის, ლეონეს, დიონიჯო კარლის და სხვათა) რელაციონებისა თუ სხვა სახის ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემაში.

დანამდვილებით ვიცი, რომ თავის დროზე პროფ. ილია ტაბაღუამ მის მიერ იტალიიდან ჩამოტანილი არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“ სათარგმნელად გადასცა ბატონ ბეჟან გიორგაძეს (ტაბაღუა 1999: 329, შენ. 7). მან მისთვის ჩვეული პროფესიონალიზმით ეს წიგნი თარგმნა ქართულ ენაზე და გამოსაცემად მოამზადა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ისტორიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში თარგმნილი ტექსტის გაცნობის საშუალება მქონდა, როგორც განყოფილების მდივანს. ტექსტის სტილისტურ დამუშავებაშიც აქტიურად ვიყავი ჩართული და საბეჭდ მანქანაზე მის დაბეჭდვასაც მე ვხელმძღვანელობდი). საბოლოოდ თარგმნილი ტექსტი (20 თაბახის მოცულობით) 1979 წელს გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიას გამოსაქვეყნებლად. სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზებისა, განსაკუთრებით იმხანად ბატონ ბეჟან გიორგაძის მძიმედ დაავადების, შემდეგ მალე გარდაცვალების გამო, ნაშრომის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა.

ამასობაში გავიდა წლები და საქართველოში 90-იანი წლებიდან დატრიალებულმა ამბებმა ამ წიგნის გამოქვეყნებას თავისი კვალი დაამჩნია. ბოლოს, როგორც ბატონ ბეჟან გიორგაძის მეუღლის, ქალბატონ ლამარასაგან ვიცი, პროფესორ გურამ მამულიამ 2000 თუ 2001 წელს ხელნაწერი ტექსტი წაიღო გამოსაცემად. ამ უკანასკნელმა ჩვენთვის უცნობი მიზეზებისა და გარემოებების გამო ვერ განახორციელა წიგნის დაბეჭდვა. ბატონ ბეჟან გიორგაძის ოჯახმა, მრავალი თავსდატეხილი

სამწუხარო ამბების გამო, მაშინ ამ საქმისათვის თვალის მიდევნება ვერ შესძლო. ბატონი ბეჟანის მეუღლე 2008 წელს დაინტერესდა ნაშრომის ბედით და როგორც ბატონი ბეჟანის ერთგულ მოწაფეს და ოჯახთან დაახლოებულ პირს, მთხოვა დახმარების აღმოჩენა. მეც დიდად მოვინდომე, მაგრამ 2003 წელს გარდაცვლილ გურამ მამულიას ოჯახში მისვლა მრავალ გარემოებათა გამო ვერ მოვახერხე. ყოველივე ამის შემდეგ, როგორც 2013 წელს გაირკვა, არქანჯელო ლამბერტის ამ წიგნის ბეჟან გიორგაძისეული თარგმანი (შესავალი ნაწილის გამოკლებით) ცნობილი მეცნიერის პროფესორ თამაზ ბერაძის, გურამ მამულიას მეგობრის, ოჯახში აღმოჩნდა. სხვათა შორის აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ 2008 წელსვე პროფ. თამაზ ბერაძეს, როგორც პროფ. გურამ მამულიას მეგობარს, ხელშეწყობა ვთხოვე ხსენებული ნაშრომის ბედის გარკვევაში, მაგრამ მან დახმარება ვერ აღმომიჩინა. ახლა იმაზე, თუ როგორ გაირკვა ყოველივე ეს:

2013 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე დონ არქანჯელო ლამბერტის აღნიშნულ ნაშრომთან დაკავშირებულ თემაზე მოხსენებით გამოვიდა მკვლევარ-ისტორიკოსი, მეცნიერი ბატონი დავით მერკვილაძე. ბუნებრივი იყო ჩემი დიდი ინტერესი მომხენებლის თემისადმი. ჩვენს შორის გამართული შეკითხვა-პასუხებიდან გამომდინარე გავარკვიე, რომ მის კოლეგა-მეგობარს პაპუნა გაბისონიას და ბატონ-დავითს (თუმცა ბოლოს გაირკვა, რომ იგი თამაზ ბერაძის ოჯახმა გადასცა მეცნიერის მოწაფეს ბატონი პაპუნა გაბისონიას)[2] პროფ. თამაზ ბერაძის ოჯახმა გადასცა ლამბერტის დასახელებული ნაშრომის საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი. ამთავითვე მათ არ იცოდნენ, თუ ვინ იყო ამის მთარგმნელი, რადგან ტექსტი ნაკლული იყო (აკლდა შესავალი ნაწილი, თუმცა მაშინ არ თქმულა რამდენი გვერდი აკლდა და მთლიანად რამდენი გვერდისაგან შედგებოდა) და მთარგმნელის ვინაობა მასში არ ჩანდა. ჩვენს შორის აქ გამართული პაექრობიდან გამომდინარე დავასკვენი, რომ ეს ის ტექსტი იყო, რომელიც გურამ მამულიამ წაიღო დასაბეჭდად და მისი მთარგმნელი იყო ბეჟან გიორგაძე. ყოველივე ეს ბატონი დავითს მოვახსენე და ვთხოვე, მისულიყო გიორგაძეების ოჯახთან და მათთან შეთანხმებით ემოქმედა შემდეგში, რაც, დიდად სამწუხაროდ, ვერ მოახერხა. უფრო მეტიც, მან და პაპუნა გაბისონიამ მათ ხელთ არსებული ბეჟან გიორგაძისეული თარგმანის ნაწილი ოჯახის ნებართვის გარეშე გამოაქვეყნეს გიორგაძის სავარაუდო ავტორობის მითითებით (მერკვილაძე, გაბისონია 2014: 144-153), რაც მე გაუმართლებლად მივიჩნიე და ახლაც ასე მჯერა. აღნიშნულ საკითხზე ჩვენს შორის შემდეგში ანალოგიურ შეკითხვა-კამათს ჰქონდა ადგილი 2018 წელს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, თუმცა ჩვენს შორის ვერ მოხერხდა სრული გაგების მიღწევა, რადგან ბატონი დავითი ჩემეულ თხოვნას, რომ გიორგაძეებთან შეეთანხმებინა ყველაფერი, არ იზიარებდა.

ირკვევა, ყველა გარემოებიდან გამომდინარე (ბატონ დავითისავე განმარტებით, გიორგაძის თარგმანს აკლდა შესავალი ნაწილი, ანუ დასაწყისი 57 გვერდი, გვერდები შიგ და შიგ ასევე ნაკლული იყო, ანუ არ წარმოადგენდა სრულ თარგმანს, ხოლო მისი ოჯახისათვის გადაცემის შემდეგ დავადგინეთ, რომ იგი საბოლოო ჯამში 86 გვერდს შეადგენდა. დანარჩენის ბედი დღემდე უცნობია. ე. ი. 20 თაბახიდან, ანუ 320 გვერდიანი ტექსტიდან, მათ ხელში იყო 86 გვერდი), ბატონი დავითმა იზრუნა არქანჯელო ლამბერტის ნაშრომის სრული ტექსტი მიეღო იტალიიდან, იგი სათარგმნელად გადაეცა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტისათვის (ბატონი გიორგი ცქიტიშვილი) და 2020 წელს გამოეცა სათანადო რედაქტირებითა და ვრცელი შენიშვნების დართვით.

ყოველივე ზემოხსენებულმა, ცხადია, ემოციების მოჭარბებით, ჩვენს შორის დაძაბა ურთიერთობები. არასწორად მივიჩნევდი და ახლაც მივიჩნევ, რომ მას და პაპუნა გაბისონიას გიორგაძის მემკვიდრეების თანხმობის გარეშე თამაზ ბერაძის არქივში მოხვედრილი „წმინდა კოლხეთის“ ბეჟან გიორგაძისეული თარგმანი (86 გვერდი) არ უნდა გამოექვეყნებინათ.

ყოველივე ამის შემდეგ განვითარებულ უსიამოვნო ურთიერთდამოკიდებულებას უდავოდ ჰფარავს ბატონი დავით მერკვილაძის მიერ გაწეული შრომა, რაც დაგვირგვინდა 2020 წელს ხსენებული თარგმანის გამოქვეყნებით. ამას ქართული დაინტერესებული საზოგადოება მეტ-ნაკლები სიზუსტით 1978 წლიდან ელოდებოდა. ისევე როგორც თავის დროზე არქანჯელო ლამბერტიმ

იზრუნა საქართველოს ისტორიის მისთვის ხილულ პერიოდზე ნაშრომი შეექმნა და ევროპის მაშინდელი საზოგადოებისათვის გაეცნო, დღეს ჩვენს ქვეყანაში მოქმედმა ვატიკანის საელჩომ, ასევე საქართველოში კათოლიკური ეკლესიის უმაღლესმა იერარქებმა იზრუნეს „წმინდა კოლხეთის“ გამოცემასა და ქართველი მკითხველისათვის მის გაცნობაზე. ამაში თავისი წვლილი შეიტანა დავით მერკვილაძემ, რადგან მან დაანახა დასახელებულ ადრესატებს ამ ნაშრომის გამოცემის აუცილებლობა და ამ მიზნით სათანადო შრომა გასწია. ის ფაქტი, რომ მან მოინდომა არქანჯელო ლამბერტის იშვიათი წიგნის ტექსტი იტალიიდან მიეღო, ეთარგმნინებინა, რედაქტორობა გაეწია და გამოეცა, მე სასარგებლო საქმედ და დადებით მოვლენად მიმაჩნია. ყოველივე ამან მიბიძგა, რომ ჩემი უწინდელი უარყოფითი დამოკიდებულება „წმინდა კოლხეთის“ ბეჟან გიორგაძისეული თარგმანის უნებართვოდ გამოქვეყნებასა, იმ ეტაპისათვის ტექსტის ოჯახისათვის დაუბრუნებლობაზე, ამ საჭირო და სასარგებლო საქმის შესრულების სასარგებლოდ შემეცვალა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ემყარება არა ჩემეულ განცდებს, ემოციებს, არამედ უმთავრესად იმას, თუ რაში დავრწმუნდი, როცა „წმინდა კოლხეთის“ ცქიტიშვილისეული თარგმანი წავიკითხე და დაწვრილებით შევადარე ბატონ ბეჟან გიორგაძისეული თარგმანის იმ გვერდებს, რომელიც საბოლოოდ დაუბრუნდა ოჯახს. ერთმნიშვნელოვნად, შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს წინაშეა სრული თარგმანი. რა არგუმენტები მაძლევს ამის საფუძველს? ამ ჯერზე გამოვყოფ ოთხ არგუმენტს: *პირველი*, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დედანში (იტალიური ტექსტი მე ამჯერად ხელთ არა მქონია) მოცემულ უმნიშვნელო დეტალებს, ტავტოლოგიებს, ფორმალურ ფრაზებს ბატონი ბეჟანი მისთვის დამახასიათებელი სტილით, ეტყობა, არ თარგმნის; ვრცელი და რთული წინადადებები, რომელსაც ბ-ნ ბეჟანი მარტივი წინადადებების სახით აყალიბებს, ცქიტიშვილი, ეტყობა, უცვლელად ტოვებს (უნდა ვივარაუდოთ, რადგან დედანი ხელთ არა მაქვს) და მაღალი ოსტატობით ერთი ერთზე თარგმნის; *მეორე*, ბეჟან გიორგაძის თარგმანს ეტყობა, რომ მას ისტორიკოსი თარგმნის, რომელსაც ამავე სიზუსტით ვერ ვიტყვით ბ-ნი ცქიტიშვილის თარგმანზე. ეს უკანასკნელი უშვებს უზუსტობებს რელიგიურ დეფინიციებში, რისი აქ მოტანის აუცილებლობა არ არის; *მესამე*, ორ თარგმანს შორის ზოგან, განსაკუთრებით რთული ქვეწყობილი წინადადებების თარგმნისას, ცქიტიშვილისეული თარგმანი უფრო ზუსტი უნდა იყოს, ვიდრე ბეჟან გიორგაძისა; *მეოთხე*, ოჯახისათვის დაბრუნებული 86 გვერდი, ცხადია, არ მოიცავს „წმინდა კოლხეთის“ მთელ ტექსტს, ხოლო წინამდებარე წიგნი (ძირითადი ტექსტი 322 გვერდი) (ლამბერტი 2020: 32-354) სრულ თარგმანს წარმოადგენს.

ამრიგად, აქ დასახელებული არგუმენტები მაძლევს საფუძველს ვთქვა: ხსენებული წიგნი უდავოდ წარმოადგენს არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ სრულ თარგმანს იტალიური ენიდან ქართულ ენაზე და ამავე დროს იგი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელ თარგმანად.

იმთავითვე ყველაფერი კარგად რომ ყოფილიყო გარკვეული, ანუ ბატონ დავით მერკვილაძეს საფუძვლიანად აღეწერა, რომ მათ ხელში მოხვედრილი ბატონ ბეჟან გიორგაძის თარგმანი შედგებოდა სულ 86 გვერდისაგან (თუმცა ყველგან აღნიშნავდა, რომ შესავალი 57 გვერდი და შიგ და შიგ ფურცლები აკლდა), ბეჟან გიორგაძის თარგმანის მის ხელთ არსებული ნაწილი დროზე გადაეცა ოჯახისათვის და მათთან გამოენახა საერთო ენა, მის მიერ გაკეთებული ამ კარგი საქმისადმი, მეც თავიდანვე შესაბამისი მადლიერებით აღსავსე დამოკიდებულება მექნებოდა.

დაბოლოს, ბატონმა დავით მერკვილაძემ უდავოდ კარგი საქმე გააკეთა, რაც გამოიხატა არქანჯელო ლამბერტის ამ მეტად საჭირო და საინტერესო ნაშრომის გამოცემით, რომელიც ახლა მჯერა სრული და მეტი ალბათობით დამოუკიდებელი თარგმანია. ამასთან დაკავშირებულ ჩვენს შორის არსებულ გაუგებრობებზე ამჯერად მხოლოდ გულწრფელი წუხილის გამოთქმა შემიძლია.

შენიშვნები

[1] ეს წიგნი მთლიანობაში სამჯერ გამოიცა 1901, 1938 და 2011 წელს. ამ სამივე გამოცემაში არსებული უზუსტობები და დამახინჯებები გვარწმუნებს, რომ მისი ხელახალი თარგმნა და სწორი მეცნიერული აპარატით აღჭურვა აუცილებელი ამოცანაა. დაწვრ. იხ. (ტაბაღუა 1999: 321-328).

[2] ბატონ დავით მერკვილაძის თანახმად, პაპუნა გაბისონიამ თავისი გარდაცვლილი მასწავლებლის არქივის დახარისხებისას აღმოაჩინა დასახელებული ნაშრომის ნაწილი, ანუ ფრაგმენტი (86 გვერდი), რომელიც პროფ. თ. ბერაძის ოჯახმა დასამუშავებლად სწორედ მას გადასცა.

დამოწმებანი

ლამბერტი 1654: Relazione della Colchide oggi detta Mengrelia, nella quale si tratta dell'Origine, costume e natura di quei Paesi. Del P.D. Archangelo Lamberti. Napoli.

ლამბერტი 1657: Archangelo Lamberti, *Colchide Sacra*, Napoli.

ლამბერტი 1938: არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, მეორე გამოცემა, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი.

ლამბერტი 2020: არკანჯელო ლამბერტი, *წმინდა კოლხეთი*, იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცქიტიშვილმა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბილისი.

მერკვილაძე, გაბისონია 2014: დ. მერკვილაძე, პ. გაბისონია. არქანჯელო ლამბერტის მოგზაურობა დამასკოდან გორამდე, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XV-XVI, თბილისი.

ტაბაღუა 1999: ი. ტაბაღუა. დონ არქანჯელო ლამბერტი, ცნობები კოლხეთზე დღეს სამეგრელოდ წოდებულზე, *საქართველოს უთითეთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან*, ტ. IV-V, თბილისი.

USEFUL AND GOOD WORK WITH MISUNDERSTANDINGS (FOR PUBLICATION OF GEORGIAN TRANSLATION OF ARCANGELO LAMBERT'S "COLCHIDE SACRA")

Murman Papashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
murman.papashvili@yahoo.com

The Georgian literate community is well aware of the name of Don Archangelo Lambert, the Theatine missionary who worked in Georgia for almost 19 years (May 1631-October 18, 1649). This God-blessed teacher, who could gain a more high ecclesiastic position in his homeland than by serving in our country, left two great works about Georgia. To this day, Georgian society and researchers are familiar with Don Archangelo Lambert's first book, which was published in Naples in 1654 under the following title: "Relazione della Colchide oggi detta Mengrelia, nella quale si tratta dell'Origine, costume e natura di quei Paesi. In Napoli, 1654" (Lambert 1654). This book entitled "Description of Samegrelo" was translated by Aleksandre Chkonia and published in Georgian in 1938 with a foreword by Levan Asatiani (Lambert 1938). The second work, "Colchide Sacra" ("Holy Colchis"), was published in Naples in 1657 (Lambert 1657:), however, its translation and publication in Georgian, which was successfully carried out in 2020, has a peculiar history and is accompanied by great uncertainties. In this letter, we are going to talk about this event and related misunderstandings.

This book is undoubtedly a complete translation of Archangelo Lambert's "Holy Kolkheti" from Italian to Georgian, and at the same time, it can be considered an independent translation.

Mr. Davit Merkviladze has undoubtedly done a good job, which was demonstrated by the publication of this much-needed and interesting work by Archangelo Lambert, which I now believe is a complete and most likely independent translation. I can only express my sincere concern about the misunderstandings between us related to this.

წიგნების მიმოხილვა

BOOK REVIEWS

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის "SCIENTIA" მეორე ნომერი


მანუჩარ გუნცაძე

2021 წლის დასასრულს, გამოიცა სამეცნიერო ჟურნალ "Scientia"-ს მეორე ნომერი. აღნიშნული ნომერი მიეძღვნა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ენრიკო გაბიძაშვილის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ჯემალ შარაშენიძის ხსოვნას.

ჟურნალის მეორე ნომერში 14 სტატია შევიდა, რომელთა პუბლიკაციაც მოხდა, როგორც ტრადიციული, ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონული ფორმატით scientia.ge-ზე. ჟურნალში გამოქვეყნებულ თითოეულ სტატიას ენიჭება Crossref-ის DOI ნომერი.

აღნიშნულ ნომერში წარმოდგენილი სტატიების უმეტესობა ისტორიული მიმართულების იყო, რომლებმაც მოიცვა ისტორიოგრაფია, ეპიგრაფიკა, სხვადასხვა პერიოდის ისტორიის საკითხები, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულება და ა.შ.

გამომდინარე იქიდან, რომ 2021 წელს შესრულდა 100 წელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიიდან, ჟურნალს თან დაერთო პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი სიმბოლოს, ქართული ბონის კუპიურების ფოტოები, რომლებიც სრულად არის შემონახული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში.



THE SECOND VOLUME OF INTERNATIONAL SCHOLARLY JOURNAL "SCIENTIA"

Manuchar Guntsadze


At the end of 2021, the second issue of the scholarly journal Scientia was published. The second issue of the journal included 14 articles, which were published both in traditional, printed form and in electronic format on scientia.ge. Each article published in a journal is assigned a Crossref DOI number.

დავით მერკვილაძის ახალი წიგნი: „გეორგიევსკის ტრაქტატი და მეფე ერეკლე“

ზურაბ თარგამაძე

2022 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ დაბეჭდა დავით მერკვილაძის წიგნი: „გეორგიევსკის ტრაქტატი და მეფე ერეკლე: მიზნები, სურვილები, შედეგები“. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი მოცულობით არ არის დიდი (სულ 128 ნაბეჭდი გვერდია), ავტორმა შეძლო, არსებითად ამომწურავად გადმოეცა როგორც საკუთარი თვალსაზრისი, ასევე გეორგიევსკის ტრაქტატისადმი ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებები და შეფასებები.

წიგნი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და 13 ქვეთავისაგან. წიგნს ერთვის გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ჩამონათვალი. თითოეული თავი თემატურადაა დალაგებული. პირველ თავში განხილულია გეორგიევსკის ტრაქტატის რაობა, მისი შინაარსი, მითითებულია თუ რა ხასიათის შეთანხმებას წარმოადგენდა პოლიტიკური თვალსაზრისით რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის გაფორმებული ეს „მფარველობითი“ ხელშეკრულება.



მეორე თავის პარაგრაფებში მკითხველი გაეცნობა ავტორის თვალსაზრისებს გეორგიევსკის ტრაქტატისადმი მეფის რუსეთში არსებული დამოკიდებულებების შესახებ, ასევე საბჭოთა პერიოდისა და პოსტ-საბჭოთა პერიოდის როგორც ქართულ, ასევე რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებულ შეხედულებებს.

მომდევნო თავში - „რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლის მიზეზები“ - ავტორი დეტალურად აღწერს ერეკლე მეორის მმართველობის პერიოდში ქართლ-კახეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ყურადღებას ამახვილებს ერთის მხრივ, რუსეთისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ, და, მეორე მხრივ, ერეკლე მეორის დამოკიდებულებაზე რუსეთისადმი. ამ თავში შემავალ პარაგრაფებში გაშუქებულია ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლისა და ზოგადად პრორუსული პოზიციის

მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით რუსეთის ხელისუფლების მიერ ერეკლე მეორისადმი განხორციელებული ზეწოლის ფაქტები.

ბოლო თავში - „1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგები ქართლ-კახეთის სამეფოსათვის (1783-1787 წლები)“ - ნაჩვენებია თუ როგორი ნეგატიური გავლენა იქონია ქართლ-კახეთის სამეფოზე რუსეთის მფარველობაში შესვლამ, რამდენად გააუარესდა მისი ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებსა და პოლიტიკურ ერთეულებთან.

საგულისხმოა, რომ წიგნი გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოიცა რუსულ ენაზეც (Царь Эрекле II и Георгиевский трактат 1783 года (мифы и реальность), Тбилиси, 2022), ასევე მომდევნო წლის დასაწყისში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგამომცემლო გრანტის ფარგლებში, იგეგმება მისი ინგლისურენოვანი ვერსიის დაბეჭდვაც (The Treaty of Georgievsk and Erekle II, Tbilisi, Artanuji Publishing, 2023).

წინამდებარე გამოცემა, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის, არამედ ის შეძლებს ქართული-რუსულ ურთიერთობებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრის მოპოვებას, მით უფრო, როცა მიმდინარე ვითარების გათვალისწინებით, როდესაც, ერთი შეხედვით, საქართველო პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით თითქოს რუსული ორბიტიდან თავდაღწეულ სახელმწიფოდ მოიაზრება, თუმცა აშკარაა, რომ გამოწვევები, რომელიც, ამ აზრით, დღეს დგას არანაკლებ სახიფათოა და შეიძლება კიდევ უფრო მეტადაც რეალური, ვიდრე ეს ერეკლე მეორის მმართველობის ბოლოს, გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების პერიოდში ჩანდა.

A NEW BOOK BY DAVID MERKVILADZE: “THE TREATY OF GEORGIEVSK AND EREKLE II”

Zurab Targamadze

In 2022 the Artanuji Publishing House issued book by David Merkviladze: “The Treaty of Georgievsk and Erekle II: Goals, Desires, Results”. Though the book is small in terms of the format (in total it includes 128 printed pages), the author was able to convey his own point of view, as well as the attitudes and evaluations of the Georgian scientific community towards the Treaty of Georgievsk.

The book consists of an introduction, four chapters, and 13 subchapters. To the body text are attached the list of used literature and sources.


The Artanuji Publishing House also has already published the Russian language version of this book, and at the beginning of next year, within the framework of the publishing grant by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, it is planned to publish an English language version as well.

ავთანდილ სონღულაშვილის მონოგრაფია: „ისტორია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები“

ზურაბ თარგამაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელმა ბატონმა ავთანდილ სონღულაშვილმა 2022 წელს გამოაქვეყნა ახალი მონოგრაფია: „ისტორია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები“.

მონოგრაფია დაფუძნებულია ქართულ და უცხოურ პირველად და მეორად წყაროებზე. არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით ავტორი მკითხველს სთავაზობს საქართველოს ისტორიის, მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზს. წარმოდგენილი ნაშრომი გამორჩეულია თემატური მრავალფეროვნებითაც: ნაციზმის, ანტისემიტიზმის, „ცივი ომისა“ და თანამედროვე პოლიტიკური კონფლიქტების საკითხების გვერდით მასში წარმოდგენილია აზიის, პოლიტიკური თვალსაზრისით, ისეთი მნიშვნელოვანი, ქვეყნების, როგორიცაა იაპონია და ინდოეთი, რელიგიური და სოციალური სისტემები.



მონოგრაფია დაიბეჭდა გამომცემლობა უნივერსალის მიერ, ის შედგება ცამეტი თავისაგან და მოიცავს 424 ნაბეჭდ გვერდს. წიგნს ერთვის ინგლისურენოვანი რეზიუმეც.

პირველ თავებში ავტორი ეხება რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, დავით ბატონიშვილის მოღვაწეობას დამოუკიდებლობის აღდგენის მიმართულებით. დეტალურადაა განხილული მის მიერ რუსეთის იმპერატორისათვის 1812 და 1817 წლებში გაგზავნილი ბარათები. წიგნის მომდევნო ნაწილებში პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი ყურადღებას ამახვილებს XIX საუკუნის 20-30-იან წლებში რუსეთსა და საქართველოში ჩამოყალიბებულ ფარულ ორგანიზაციებსა და მათი საქმიანობის შესახებ.

ავტორი ეხება საბჭოთა კავშირში არსებული გენდერულ პრობლემებს, ჰიტლერის

ხელსუფლებაში მოსვლისა და ანტისემიტიზმის საკითხებს; „ცივი ომის“ პერიოდის საერთაშორისო ურთიერობების პრობლემებს, კარიბის კრიზისის საკითხსა და ამერიკის შეერთებულ შტატებისა და სსრკ-ს დაპირისპირების ისტორიას. წიგნში ასევე წარმოდგენელია პოსტ-საბჭოთა პერიოდში საქართველოში განვითარებული კონფლიქტების ავტორისეული ანალიზი; რუსეთ-იაპონიის დაპირისპირების, სირიაში განვითარებულ მოვლენებსა და ყირიმის კუთვნილების საკითხებს და ა.შ.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისათვის.

A BOOK BY AVTANDIL SONGULASHVILI: “HISTORY, POLLITICS, INTERNATIONAL RELATIONS”

Zurab Targamadze

In 2022 Doctor of History, Professor, Head of the Department of Modern and Contemporary History at the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Avtandil Songhulashvili, published a new monograph: “History, Politics, International Relations”.

Based on the many primary and secondary sources, the author discusses the large-scale historical perspective: modern Georgina history, phenomena of nazism, antisemitism, and the religious and social structure of Japan and India etc.

The monograph was printed by the Publishing House Universali, it falls into thirteen chapters on 424 printed pages. The book has a summary in English.

The book is intended for researchers, students, and general public.

პროფესორ გიული ალასანიას ახალი წიგნი: „ფარსადან გორგიჯანიძის *საქართველოს ცხოვრება*“

ზურაბ თარგამაძე

2022 წელს ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ახალი გამოცემა. ტექსტი მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფესრომა გიული ალასანიამ, გამოცემის რედაქტორი გახლავთ პროფესორი გონელი არახამია.

მიუხედავად იმისა, რომ ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ცალკეული მონაკვეთები ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის აქამდეც იყო ცნობილი მ. ბროსეს, დ. ჩუბუნაშვილის, ზ. ჭიჭინაძის, ს. კაკაბაძისა და რ. კიკნაძისეული გამოცემების მიხედვით და, მათ შორის, ქართველი მკვლევრებიც ხშირად მიმართავდნენ მას საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევისას, წყაროსადმი მეცნიერთა ერთი ნაწილის ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების გამო, მისდამი ყოველთვის როდი იყო დიდი წინამდებარე პუბლიკაცია არის ამ ტექსტის პირველი სრული სამეცნიერო გამოცემა, რითაც შეიძლება ითქვას, რომ ის ფაქტობრივად დაუბრუნდა და, უფრო მეტიც, ხელახლა იქნა შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში.



სპეციალურ თავში „ფარსადან გორგიჯანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ სადაც პროფესორ გიული ალასანიას მიერ ამომწურავადაა მოთხრობილი, როგორც ფარსადან გორგიჯანიძის ბიოგრაფიის, მისი წარმომავლობის, შემოქმედებითი და პოლიტიკური საქმიანობის შესახებ, ასევე დაწვრილებითაა გადმოცემული ტექსტის ისტორია, წინამორბედ მკვლევართა წვლილი მისი შესწავლის მიმართულებით და ტექსტის გამოცემისათვის შესრულებული სამუშაო. ამ ნაწილში მკითხველი გაეცნობა დეტალურ განხილვას „საქართველოს ცხორვების“ სამეცნიერო ღირებულების შესახებ, არა მხოლოდ XVII საუკუნის ისტორიის საკითხებთან მიმართებაში, არამედ სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული სხვა ქართული წყაროების დაზუსტების თვალსაზრისითაც.

გამოცემის მაღალ სამეცნიერო ღირებულებას განსაზღვრავს ისიც, რომ გამოქვეყნებული ტექსტი, მიუხედავად გარკვეული ადგილების აღდგენისა და შევსებისა ფაქტობრივად ზუსტად იმეორებს ფარსადან გორგიჯანიძისეულ ვერსიას, ის გახლავთ გორგიჯანიძისეული ტექსტის დიპლომატიკური გამოცემა, რომელშიც მაქსიმალურადაა შენარჩუნებული გამოქვეყნებული ხელნაწერის ტექსტი.

ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრება“ დაიბეჭდა საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში, პ. იოსელიანის მიერ 1841 წელს აღმოჩენილი, ავტოგრაფად მიჩნეული და ამჟამად კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერის მიხედვით (2140, 2492). წიგნი გამოცემულია მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით და ტექსტთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ ის მოიცავს გამომცემლის მიერ მომზადებულ შესავალ ნაწილს, იგივე მონაკვეთი წიგნს ბოლოში ერთვის ინგლისურ ენაზეც. პუბლიკაციას აქვს შენიშვნები და საძიებელი.

წინამდებარე პუბლიკაციის სახით სამეცნიერო საზოგადოებამ მიიღო უაღრესად მაღალი ხარისხის, აკადემიური სტანდარტის დაცვით, შესაბამისი სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი საისტორიო წყაროს პუბლიკაცია. აღნიშული გამოცემა მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც შესაბამის საკითხებზე მომუშავე მკვლევრებისათვის, ისე ზოგადად საქართველოს ისტორიითა და წყაროთმცოდნეობით დაინტერესებული მკითხველისათვისაც.

A NEW BOOK OF PROFESSOR GIULI ALASANIA: "PARSADAN GORGIJANIDZE'S *THE LIFE OF GEORGIA*"

Zurab Targamadze

In 2022 a new and complete edition of "The Life of Georgia" by Parsadan Gorgijanidze became available to the Georgian scientific community. The text was prepared for publication, the research, comments, and indexes were added by Professor Giuli Alasania. As the publisher rightly points out, Parsadan Gorgijanidze's "The Life of Georgia", although its separate parts were already known for Georgian scientists and they have often used in the research for solving specific issues of the history of Georgia, however, always with caution, because were not sure about its reliability, because it was not fully published before this time.


Parsadan Gorgijanidze's "The Life of Georgia" has been printed by the University of Georgia Press. The book is published in high polygraphy quality. It includes an introduction prepared by Giuli Alasania; the same section is attached to the end of the book in English as well. The publication has comments and indexes. The present publication is a valuable contribution for those working in field of pre-modern Georgian history , historiography and source-studies.

მიხეილ ქართველიშვილის მონოგრაფია: „საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953–1964 წლებში“

ზურაბ თარგამაძე

2022 წელს დაიბეჭდა მიხეილ ქართველიშვილის მონოგრაფია: „საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში“. აღნიშნული მონოგრაფია წარმოადგენს ავტორის სადოქტორო დისერტაციის გადამუშავებულ ვერსიას.

მიხეილ ქართველიშივლი წლების განმავლობაში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მიმართულების პროგრამებზე, მას ისტორიის აკადემიური დოქტორის ხარისხი მიენიჭა 2020 წელს. ავტორს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული აქვს ოთხ ათეულზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში, წლებია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის გახლდათ სხვადასხვა სამეცნიერო მედიის რედკოლეგიის წევრი, 2022 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა სამეცნიერო ჟურნალი „სტუდენტური საისტორიო ძიებანი“. მიხეილ ქართველიშვილს წინამდებარე მონოგრაფია გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.



მონოგრაფია შედგება ოთხი თავის, 12 პარაგრაფისა და დასკვნისაგან. მას ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და პირთა საძიებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნს ერთვის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე. მთლიანობაში წინამდებარე მონოგრაფია მოიცავს 462 ბეჭდურ გვერდს.

რაც შეეხება მონოგრაფიის შინაარსს, იგი ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესწავლას. ავტორს, მის მიერ დასმული საკითხების კვლევისას: ათეისტური პოლიტიკის თეორიულ-იდეოლოგიური წანამძღვრები, საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა 20-60-იან წლების საქართველოში, საბჭოთა ათეისტური პროპაგანდის ძირითადი მიმართულებები

საქართველოში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 50-60-იან წლებში შესწავლილი და გამოყენებული აქვს მრავალრიცხოვანი (თითქმის ოთხასი ერთეული) ლიტერატურა როგორც პირველადი (საარქივო და დოკუმენტური მასალები, მემუარები), ისე მეორადი წყაროები (ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა, პრესის მასალები) და ელექტრონული რესურსები.

მონოგრაფიის პირველ ორ თავში შესწავლილია ათეისტური იდეოლოგიის განვითარების საკითხი დასავლეთ ევროპასა და მეფის რუსეთში, საბჭოთა პერიოდის 20-30-იანი წლებში, ასევე მეორე მსოფლიო ომსა და მის შემდგომ პერიოდში. განხილულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს მმართლმადიდებლური ეკლესიის რწმუნებულის ორგანოს ფორმირების ისტორია, ხრუშჩოვის რელიგიური პოლიტიკის თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლები. მონოგრაფიის მესამე თავში, ბეჭდური მედიის მასალების მიხედვით შესწავლილია საბჭოთა პერიოდის რელიგიური პროპაგანდა, სხვადასხვა ათეისტური საბჭოთა ორგანიზაციის რელიგიური პოლიტიკა და საქმიანობა. მონოგრაფიის ბოლო თავი ეძღვნება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულებას საბჭოთა რელიგიური პოლიტიკისადმი და საგარეო ურთიერთობების საკითხებს.

წიგნი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს როგორც ეკლესიის ისტორიის, ასევე საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებსა და მკითხველთა ფართო წრეს.

MIKHEIL KARTVELISHVILI'S MONOGRAPH: "SOVIET RELIGIOUS POLICY AND FEATURES ITS REFLECTION IN GEORGIA IN 1953-1964"

Zurab Targamadze

In 2022, Mikheil Kartvelishvili published his monograph: "Soviet Religious Policy and Features its Reflection in Georgia 1953-1964". This monograph is a revised version of the author's doctoral dissertation.


Since 2003 Mikheil Kartvelishivli was studied at Ivane Javakhishvili Tbilisi State University on the history educational programs and in 2020, by the dissertation board, he was awarded Ph.D. degree in history. Over the years, the author has published more than forty scientific publications in Georgia and abroad. Mikheil Kartvelishvili has participated in a number of international and local scientific conferences, over the years he is an invited teacher at Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The monograph consists the 4 chapters, 12 paragraphs, and a conclusion. It has attached a list of used sources and literature and indexes. It is also should be mentioned that the book is accompanied by an extensive English-language summary. In total, this monograph includes 462 printed pages.

The book will provide significant help to a wide circle of researchers and readers interested in the issues of church history and the new and recent history of Georgia.

ალბერტ ტენ კეიტის წიგნი „იოანეს ბერძნული სახარება: იოანეს სახარების სხვადასხვაენოვანი ვერსიების კრიტიკული ტექსტური ანალიზი“

ლადო მირიანაშვილი



2022 წელს გამოიცა ნიდერლანდელი დამოუკიდებელი მეცნიერისა და პროტესტანტული ეკლესიის ხუცესის, დოქტორ ალბერტ ტენ კეიტის ახალი წიგნი, რომლის სათაურია „იოანეს ბერძნული სახარება: იოანეს სახარების სხვადასხვაენოვანი ვერსიების კრიტიკული ტექსტური ანალიზი“. ავტორმა სახარების ბერძნული ტექსტი შეადარა ლათინურ, სირიულ, კოპტურ, სომხურ, ქართულ, ეთიოპურ და ჰოლანდიურ ენებზე შესრულებულ ადრეულ თარგმანებს. იმავდროულად, მან შეისწავლა ადრეული პერიოდის ეკლესიის მამების (ორიგენესა და ეფრემის) ნაწერებში შესული ციტატები სახარებიდან. ავტორმა, აგრეთვე, გამოიყენა ქართული და ჰოლანდიური ლექციონარები და დიატესარონი (ანუ ოთხივე სახარების შეჯერებული ტექსტი). ეს ორი ბოლო წყარო სახარების ტექსტის კრიტიკული ანალიზისთვის ხშირად არ გამოიყენება, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მათი მნიშვნელობა ადრეული ტექსტების ანალიზისთვის საკმაოდ დიდია. კვლევას ერთვის სათანადო კრიტიკული აპარატი.

ალბერტ ტენ კეიტის ახალი წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია ბერძნული ახალი აღთქმის პროექტისთვის, რამეთუ ახალი თარგმანების შემატების კვალობაზე მისი მასშტაბურობა გაიზარდა.

A BOOK BY ALBERT TEN KATE “THE GOSPEL OF JOHN IN GREEK: TEXTCRITICAL RESEARCH ON THE GOSPEL OF JOHN IN ALL ITS VARIETY”

Lado Mirianashvili

In 2022 a new book by Dr. Albert ten Kate, an independent scholar and Minister of the Protestant Church from Netherlands, has been published. The book’s title is “The Gospel of John in Greek: Textcritical Research on the Gospel of John in All its Variety”. The author has compared Greek text of the Gospel with early Gospel texts in the ancient translations such as Latin, Syriac, Coptic, Armenian, Georgian, Ethiopian and Dutch. He has also studied quotes from the Gospel found in the writings of some early Church Fathers such as Origen and Ephrem. Georgian and Dutch Lectionaries and the Diatessaron were also used for the analysis. These last categories are often neglected in critical research of the text, but they appear to be outstanding textual witnesses to the early Gospel texts. The study is supplied with apparatus criticus.

The new book is a contribution to the International Greek New Testament Project, as it enlarges its scope to a wider range of textual witnesses.


„სტუდენტური საისტორიო ძიებანი“

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

2022 წლის 30 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკად. შალვა ნუცუბიძის სახელობის აუდიტორიაში, გაიმართა ახალი სამეცნიერო-პერიოდული გამოცემის „სტუდენტური საისტორიო ძიებანის“ პირველი ნომრის წარდგინება.

ახლად დაარსებული ჟურნალის პირველი ნომერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების საგრანტო კონკურსის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა. პირველი ნომრის წარდგენას, სარედაქციო კოლეგიისა და ავტორების გარდა, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

„სტუდენტური საისტორიო ძიებანი“ სამეცნიერო-პერიოდული გამოცემაა, რომელშიც იბეჭდება საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიები. ჟურნალი სამი სექციისგან შედგება – სამეცნიერო სტატიები (რომელიც იყოფა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სექციებად), აკადემიური თარგმანები და წყაროს პუბლიკაციები. ჟურნალში სამივე საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ ნაშრომების გამოგზავნა.



ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დაკომპლექტებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელებით, დოქტორანტურისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებით. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა დაკომპლექტდა საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქის მკვლევრებით. სწორედ, ამ სარედაქციო კოლეგიამ და რეცენზენტებმა ანონიმური რეცენზირების პირობების გათვალისწინებით შეარჩიეს ჟურნალის პირველი ნომრისათვის სტატიები.

ჟურნალის პირველი ნომერი შინაარსობრივად საკმაოდ მრავალფეროვანი გამოდგა. ნაშრომები ეხებოდა როგორც ძველ და შუა, ისე ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის საკითხებს.

ასე მაგალითად, ზაზა ქარჩავა ხეთური კანონების მიხედვით განიხილავს თავისუფალი ადამიანისა და „მონის“ გატაცება-გაქცევის შემთხვევებს, ლალი მექერიშვილი ლეონ სპათარიოსის ბიზანტიურ მისიას საქართველოში. ჯონდი ხუხიამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ჯოვანი ტომაზო მინადოისა და ანონიმი ავტორის ცნობები სიმონ I-ის ოსმალებთან ბრძოლის შესახებ., ნიკოლოზ სარაჯიშვილმა გამოავლინა ახალი მასალები 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების შესახებ. მარიამ ხამიცაშვილმა და თამარ სამარგულიანმა სცადეს გამოერკვიათ აბორიგენი ინდიელების მდგომარეობა კანადაში – კულტურული გენოციდი თუ დისკრიმინაცია. ჟურნალში ისტორიის სექციაში ასევე იბეჭდება შემდეგი სტატიები: სერგი ადამიას“ ვალენშტაინის მკვლელობის მიზეზების შეფასების საკითხისათვის“; გოგა ცხვედიაშვილის „რიჩარდ ნიქსონი და ახალი ეტაპი აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში“; გიორგი ბუცხრიკიძის „1991 წლის „აგვისტოს პუტჩი“ მოსკოვში და საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება მისდამი (ბრიტანული და ირლანდიური პრესის მასალების მიხედვით)“; იაკობ ლაჩაშვილია „ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრის მცდელობები და მათი წარუმატებლობის მიზეზები“.

ჟურნალში აგრეთვე იბეჭდება ეთნოლოგიური პროფილის ივეტა ცერცვაძის „ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ურთიერთმიმართება შიოლა ღუდუშაურის ციკლის ტექსტებში“; ელენე ნამორაძის და თათია გურგენიძის „საჩუქართან დაკავშირებული რიტუალები და მატერიალური „შეწირულობანი“ ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით“ სტატიები

მნიშვნელოვან რუბრიკად მიგვაჩნია წყაროს პუბლიკაცია. პირველ ნომერში დაიბეჭა გიორგი ზდანოვიჩის აქამდე გამოუქვეყნებელი წერილი, რომელიც რუსულიდან ნიკოლოზ სარაჯიშვილმა თარგმნა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სამეცნიერო თარგმნის სექცია, სადაც ანანო ნატროშვილმა ფრანგულიდან თარგმნა მარკ ბლოკის კლასიკად ქცეული ნაშრომის „ფეოდალური საზოგადოების“ პირველი წიგნის პირველი თავი – „უკანასკნელი შემოსევები.“

ახლად დაარსებული ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მიზნად ისახავს, შეავსოს ის ვაკუუმი, რაც ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო-პერიოდული გამოცემების ნაკლებობით არსებობს და რაც ყველაზე მეტად სტუდენტებისათვის წარმოადგენს პრობლემას. ჟურნალის დამფუძნებლები იმედოვნებენ, რომ მათი წამოწყება ხელს შეუწყობს საისტორიო დარგში სამეცნიერო ხარისხის გაუმჯობესებასა და ისტორიული თემატიკით მკითხველთა ფართო წრის დაინტერესებას. ჟურნალის დამფუძნებლებმა ასევე განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან ითანამშრომლონ საქართველოს უმაღლესი აკრედიტებული სასწავლებლების სამივე საფეხურის სტუდენტებთან. პრეზენტაციის ბოლოს კი რედაქტორებმა გამოთქვეს იმედი, რომ ახალი გამოცემა ფართო დაინტერესებას გამოიწვევს და მნიშვნელოვან როლსაც შეასრულებს მომავალი თაობების პროფესიული დაოსტატების რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში.

“STUDENT HISTORICAL RESEARCHES”

Nikoloz Sarajishvili

On September 30, 2022 at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University the presentation of the first issue of the new scientific-periodical, journal “Student Historical Researches” was held. It was published with financial support of the grant competition for student projects of Tbilisi State University. The editorial board and authors, students and professors also attended the presentation of the first issue.

"Student Historical Researches" is a scientific-periodical, in which scientific articles related to World history and Georgian history are published. The journal consists of three sections – scientific articles (divided into history, archeology, and ethnology subsections), academic translations, and publications of source. Students of all three levels can submit papers to the journal.

The journal editorial board is staffed by Ivane Javakhishvili Tbilisi State University professors, teachers, and doctoral and master students. The editorial board is composed of researchers of different periods of the history. This editorial board and anonymous reviewers selected the articles for the first issue of the journal.

The first issue of the journal turned out to be quite diverse. The papers were related to issues of the history of Georgia and world history, both in the ancient and middle, as well as in modern and contemporary periods.

Zaza Karchava examines the cases of abduction and escape of a free person and „slave" according to the laws of the Hittites, and Lali Mekerishvili discusses the Byzantine mission of Leo Spatharios in Georgia. Jondi Khukhia brought into scientific circulation the references of Giovanni-Tommaso Minadoi and anonym author about the battle of Simon I against the Ottomans. Moreover, Nikoloz Sarajishvili revealed new materials on the 1924 anti-Soviet uprising. Mariam Khamitsashvili and Tamar Samarguliani attempted to find out the conditions of the aboriginals in Canada - the cultural genocide or the discrimination.

In the history section of the journal, the readers will also find Sergi Adamia's article on the issue of assessing the causes for Wallenstein's assassination; Goga Tskhvediashvili 's "Richard Nixon and a new stage in US-China relations"; Giorgi Butskhrikidze's " the "August coup" of 1991 in Moscow and the attitude of the Georgian government towards it (according to British and Irish press materials); Iakob Lachashvili 's " attempts to resolve the Georgian-Ossetian conflict and the reasons for their failure in 1991-2003".

There are the articles about ethnology by Iveta Tsertsvadze "Interrelationship of individual and collective creativity in a cycle text of Shiola Ghudushauri"; Elene Namoradze, Tatia Gurgenidze – "Gift-related rituals and material „sacrifice" according to Georgian ethnographic data".

The editorial board considers the publication of the sources to be an important rubric. In the first issue, Giorgi Zdanovich's previously unpublished letter was printed, which was translated from Russian by Nikoloz Sarajishvili. The scientific translation section is also important, where Anano Natroshvili has published translated from French the first chapter of the first book of Mark Blok's classic work "Feudal Society" - "Last Invasions."


The editorial board of the newly established journal aims to fill the vacuum that exists due to the lack of scientific periodical publications for the young scholars, which is one of the most pressing issues for students. The founders of the journal do hope that their initiative will contribute to the improvement of scientific quality in the field of history and provoke an interest of a wider circles of readers in historical topics. The founders also announced that they are ready to cooperate with students of all three levels of accredited higher education institutions in Georgia. At the end of the presentation, the editors expressed hope that the new edition will arouse wide interest and play an important role in the difficult and responsible task of professional training of future generations..

ქეთევან მანიას მონოგრაფია: „აფხაზეთი და ქართული იდენტობა ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით“

სოფიო ქადაგიშვილი

ქეთევან მანია წლების განმავლობაში მუშაობს ქართული იდენტობის ისტორიის საკითხებზე. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება მონოგრაფია, რომელიც 2022 წელს გამოიცა: „აფხაზეთი და ქართული იდენტობა ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით“. იგი შედგება შესავალი ნაწილისგან, ხუთი თავისაგან და დასკვნისგან. წიგნს თან ახლავს ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე. წიგნი დასტამბა გამომცემლობა მერიდიანმა. მონოგრაფია გამოიცა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში (0605).

საკვლევი საკითხი ნამდვილად მნიშვნელოვან და აქტუალურ თემას ეხება. ავტორი ცდილობს აფხაზეთისადმი მიძღვნილი მასალის რეპრეზანტაციის გზით დაუკვირდეს ქართულ იდენტობას. საკვლევ წყაროდ, კი შერჩეულია ბეჭდური მედია („დროება“, „ივერია“, მწყემსი“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი), რამდენადაც ბეჭდური მედია კარგად ასახავს ეროვნულ პერცეფციებს.



პირველი თავი ეძღვნება ტერიტორიული იდენტობის ანალიზს. მეორე თავში წარმოდგენილია ლინგვისტური იდენტობის კვლევა. მესამე თავში საუბარია თუ რა ღონისძიებას მიმართავდა რელიგიური იდენტობის შენარჩუნების მიზნით ქართული ინტელიგენცია ბეჭდური მედიის საშუალებით. ნაჩვენებია თუ როგორ აღძრავდა ბეჭდური მედია მკითხველ საზოგადოებაში სენტიმენტებს რელიგიური იდენტობის გადასარჩენად. მეოთხე თავში ავტორი ეხება იდენტობის ისტორიული მახსოვრობის თემას, ხოლო მეხუთე თავში განხილულია ეკონომიკური ერთობის საკითხი.

ქ. მანიას მონოგრაფია წარმოადგენს მნიშვნელოვან შენაძენს ქართული იდენტობის კვლევის მიმართულებით. ის დიდ დახმარებას გაუწევს ქართული იდენოტობის ისტორიის მკვლევრებსა და სტუდენტებს, ასევე ზოგადად ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

MONOGRAPH “APKHAZETI AND GEORGIAN IDENTITY THROUGH THE PRINT MEDIA REPRESENTATION” BY KETEVAN MANIA

Sopio Kadagishvili

In 2022 K. Mania published her monograph: “Apkhazeti and Georgian Identity through the Print Media Representation”, where the author intends to analyze numerous materials of printed media (“Droeba”, “Iveria”, “Tsnobis Purtseli”, “Moambe”, “Mtskemsi”, “Kvali”) dedicated to Apkhazeti in the context of research of history of Georgian identity. The particular attention is paid to social perceptions, values, and memories. The book consists of five chapters and conclusion. Chapter one is about territorial identity, chapter two is reveals linguistic identity, while chapter three consider religious identity. Chapter four and chapter five are about n historical memory, and economic unity.


თეა ქამუშაძის წიგნი: „რუსთავის საბჭოთა მემკვიდრეობა – პატარა ქალაქის დიდი ამბები“

სოფიო ქადაგიშვილი

თეა ქამუშაძის წიგნი „რუსთავის საბჭოთა მემკვიდრეობა – პატარა ქალაქის დიდი ამბები“ მოიცავს A5 ფორმატის 470 ნაბეჭდ გვერდს. წიგნი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, ხუთი თავის, დასკვნებისა და ბიბლიოგრაფიისაგან. წიგნში გვხვდება ვრცელი ინგლისურენოვანი ანოტაცია. წიგნი ეფუძნება ავტორის სადისერტაციო ნაშრომსა და პოსტსადოქტორო კვლევას, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის გაგრძელება და განვითარებაა.

წიგნში წარმოდგენილი კვლევა გულისხმობს ურბანული ნარატივების მოძიებასა და მათი რეპრეზენტაციული ბუნების ანალიზს, რომელთა ჩამოყალიბება და შექმნა საბჭოთა სისტემასა და მის დაშლას უკავშირდება.

კომუნისტებმა რუსთავის მშენებლობასთან ერთად, ქალაქის წაკითხვის ორი განსხვავებული დისკურსი შემოგვთავაზეს – ნაციონალური და ინტერნაციონალური. ქალაქის ამ ხედვების გასამყარებლად რეჟიმი სხვადასხვა ავტორსა და ფაქტს მოიხმობდა. ურბანული ნარატივების მეშვეობით კი ქალაქის ძლიერ მხარეებს წარმოაჩენდა და ქვეყნის მასშტაბით მის განსაკუთრებულ სტატუსს უზრუნველყოფდა. რუსთავი საქართველოს სიამაყედ გამოცხადდა. ამ ყველაფრის საპირისპიროდ ქალაქის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ქარხნების ქალაქში მასიურმა უმუშევრობამ დაისადგურა. წარმოდგენები ბედნიერ მომავალზე მწარე რეალობით შეიცვალა. რამაც ავტომატურ რეჟიმში ღირებულებათა გადაფასების საკითხი დააყენა. მათ შორის კომუნისტების მიერ შემოთავაზებულმა ნაციონალურმა ნარატივებმა დაკარგა დამაჯერებლობა, ხოლო ქალაქის მულტიკულტურული იმიჯი აღარ იყო მიმზიდველი. რუსთავის ინტერნაციონალური ბუნების შესუსტება, ერთი მხრივ, ეთნიკური უმცირესობების აქტიურმა მიგრაციამ, მეორე მხრივ, ეროვნული მოძრაობის ზრდამ განაპირობა.



წიგნში თანამედროვე რუსთავის მდგომარეობა, მისი სახის ტრანსფორმაცია, განხილულია როგორც ქალაქისათვის იდენტობის ძიების პროცესი, რომელიც რელიგიურ რეპრეზენტაციაში თავისებურად აისახა.

წიგნი „რუსთავის საბჭოთა მემკვიდრეობა – პატარა ქალაქის დიდი ამბები“ მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნულის სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტის YS-19-521 ფარგლებში.

A BOOK BY TEA KAMUSHADZE: “SOVIET HERITAGE OF RUSTAVI – BIG ISSUES OF THE SMALL PLACE”

Sopio Kadagishvili

The book “Soviet Heritage of Rustavi – Big issues of the small place” by Tea Kamushadze was published in 2022. The issues raised in the book serve to isolate the features of Soviet heritage in Georgia and analyze them, in particular, the formation of the “socialistic” face of Rustavi, as well as considering the process of its transformation from the anthropological perspective. The main subject of the research is how the urban narratives offered by the Soviet system affected the collective memory of the Georgian society and their trace under the conditions of transformation. The question arises here as to why the city’s socialist past “disappeared” from the modern representative urban narratives of Rustavi and why it is difficult to create a new one. The urgency of the scientific reasoning on the formation of the face of Rustavi and its post-Soviet transformation process is stipulated by the idea of Rustavi itself, whose construction initiative and industrial profile directly relate to the Soviet system. Accordingly, when a system is changed or falls down, its all kinds of challenges are revealed in this particular type of society and namely, and this provides an opportunity for discussion and observation. Observation of the process of anthropological research of the heritage of Georgia may become a starting point. Thus, the urgency of the research is stipulated, on the one hand, by the severity of the issue of the Soviet heritage and the degree of its influence on the present and, on the other hand, by the lack of scientific works regarding the abovementioned issue, both in Georgian and foreign languages. Rustavi’s post-Soviet reality has not become an object of independent scientific research for the scientists of social and human sciences so far. Accordingly, the mentioned research could have been an interesting acquisition for both Rustavi urban research and, in general, Soviet researches of Georgia. In a more general context, the research is significant for the introduction of new topics within the Georgian ethnological school.

ახალი მონოგრაფია: „საზღვრისპირა მოსახლეობა ძველად და ახლა (კახეთი)“

ლავრენტი ჯანიაშვილი

2022 წლის ბოლოს ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა კოლექტიური მონოგრაფია „საზღვრისპირა მოსახლეობა ძველად და ახლა (კახეთი)“. ავტორები: ვალერიან ვაშაკიძე, ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, ვახტანგ ურუშაძე. ნაშრომი მომზადდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებული პროექტის, `საზღვრისპირა მოსახლეობის ეთნო-კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოურ პერიოდში (კახეთი)" (BRG-I-21-954), ფარგლებში. კვლევა განხორციელდა კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე.



ნაშრომი ინტერდისციპლინური ხასიათისაა. მკვლევართა ჯგუფმა შეისწავლა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრისპირა (კახეთის) რეგიონის მოსახლეობის წარსული და თანამედროვე ეთნო-კულტურული სიტუაცია. საზღვრისპირა მოსახლეობის ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრების აღქმის თავისებურებანი; ისტორიული ნარატივების, ეთნოგრაფიული გარემოს როლი ამ პროცესებში; საკვლევი რეგიონის დემოგრაფიული ტრანსფორმაცია ქრონოლოგიურ ჭრილში; საზღვრისპირა მოსახლეობის დასახლების ფორმები, ეკონომიკა, რელიგია, სოციალური ყოფა; ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობები; მედია გარემოს, არასამთავრობო სექტორის, ქართული და აზერბაიჯანული სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა რეგიონში განვითარებულ ეთნო-კულტურულ პროცესზე. კვლევის დროს ძირითადად გამოყენებულია კაბინეტური (ისტორიულ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე მუშაობა), ემპირიული (საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის კომპლესურ-ინტენსიური მეთოდი) და სოციალური მედიის კვლევის მეთოდები.

საქართველოს სასაზღვრო რეგიონების შესწავლას არამარტო სამეცნიერო-თეორიული, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, ვინაიდან ის უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხს. იმ დროს, როცა ქვეყნის 20 % ოკუპირებულია, საქართველოს სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საზღვრებზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამავდროულად, ეს საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს პრობლემისადმი ქართული საზოგადოების ცვალებადი განწყობებისა და საერთაშორისო გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

საქართველო და აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორები არიან, რაც დიდწილად განაპირობებს მათი ურთიერთობის პოლიტიკას. ეს ორი ქვეყანა ქმნის ღერძს, რომელიც შავ ზღვას კასპიის ზღვასთან და დასავლეთს აღმოსავლეთთან აკავშირებს. დიდმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენმა და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტებმა – უფრო განამტკიცა ორი ქვეყნის ურთიერთობა. რუსული ჰიბრიდული ომის პირობებში ძალზე მნიშვნელოვანია მათ შორის მშვიდობიანი და სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნება. ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობა ცდება კავკასიის მასშტაბს და დიდი გეოსტრატეგიული მოთამაშეების ინტერესებში ექცევა. სწორედ ამიტომ არის საშური ხსენებული საკითხის ინტერდისციპლინური კვლევა და იმ ფაქტორების გამოვლენა, რაც ამ ორ სახელმწიფოს გარკვეულ პრობლემებს (საზღვრისპირა მოსახლეობაში სეპარატისტული და ეთნოცენტრული ტენდენციები, სამურნეო -ყოფითი კონფლიქტები, რელიგიური ხასიათის დაპირისპირებები, მიგრაციული პროცესები და ა.შ.) უქმნის. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესი დღემდე არ დასრულებულა, რაც გარკვეული ობიექტური და სუბიექტური პრობლემებით არის განპირობებული. აღნიშნული თვალსაზრისით, ყურადსაღებია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ის მონაკვეთი, რომელიც კახეთის მხარეს ემიჯნება და მოიცავს ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებს.

უძველესი დროიდან ეს იყო საკონტაქტო ტერიტორია, სადაც შეხება ჰქონდათ ქართველური და კავკასიის ალბანური მოდგმის მოსახლეობას. მოგვიანებით, მას ერთმანეთს ეცილებოდა ქართლის (იბერიის) და ალბანეთის სამეფოები; XV ს-დან ტერმინი ჰერეთი აღარ იხმარება და მას სახელწოდება „კახეთი“ ფარავს. XVII საუკუნეში ჰერეთის აღმოსავლეთ განაპირა თემში (კაკი/კახი) ჩამოყალიბდა ავარიელი და წახურელი ლეკების „თავისუფალი თემები“. და შეიქმნა ორი პოლიტიკური ერთეული: ჭარ-ბელაქნისა (კაკ-ენისელი) და ელისუს სასულთნოები. 1803 წელიდან აღნიშნული ტერიტორია რუსეთის იმპერიის, 1921 წლიდან აზერბაიჯანის სსრ-ს, შემდეგ კი თანამედროვე აზერბაიჯანის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ამდენად, ჟამთა სიავის გამო, დღეს ისტორიული ჰერეთის ერთი ნაწილი აზერბაიჯანს ეკუთვნის, მეორე კი - საქართველოს. უკვალოდ არ ჩაუვლია ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიაში თითქმის ორასწლოვანი ცხოვრების ისტორიას; ამას უნდა დაემატოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განვლილი საკმაოდ რთული ოცდაათწლიანი პერიოდიც. საბჭოთა ეპოქაში საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარი სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოსაზრებით რამდენჯერმე შეიცვალა.

მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ საზღვარი საბჭოთა პერიოდში ფაქტობრივად პირობითი იყო. მაგ., სიღნაღის რაიონში იგი მდ. ალაზანს მიუყვებოდა, ამ მდინარემ კი კალაპოტი რამდენჯერმე შეიცვალა, რის გამოც გასული საუკუნის 70-იან წლებში საკმაოდ დიდი ტერიტორია აზერბაიჯანის მხარეს აღმოჩნდა. მართალია, მოგვიანებით, აქ ქართული სოფელი ერისიმედი დაარსდა, სადაც ძირითადად აჭარელი ეკომიგრანტები ჩასახლდნენ, მაგრამ სახელმწიფო საზღვარი ჯერაც დაუდგენელია. ასევე სადავოდ რჩება სასაზღვრო მონაკვეთი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სადაც მდებარეობს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების აღიარებული ძეგლი, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და სხვა. ყოველივე ეს ქართულ საზოგადოებაში სერიოზული ვნებათაღელვას იწვევს.

ისტორიული მოვლენები სპეციალურ ლიტერატურაში თუ ხალხურ მეხსიერებაში არაერთგვაროვნად აისახება. პოსტსაბჭოურ პერიოდში გახშირდა პუბლიკაციები, რომელშიც აზერბაიჯანელი

ავტორები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს, თბილისის ჩათვლით, ისტორიულ აზერბაიჯანს აკუთვნებენ. აღნიშნული ნარატივი უარყოფით გავლენას ახდენს ზოგადად, ორივე ქვეყნის საზოგადოებრივ განწყობებზე, განსაკუთრებით საზღვრისპირა მოსახლეობაზე. ეს გარემოება უცილობლად ყურადსაღებია იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეურნეო-კულტურულ ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიურია.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრისპირა რეგიონის (კახეთის) მოსახლეობის ეთნო-კულტურული ტრანსფორმაციის კომპლექსური შესწავლა პოსტსაბჭოურ პერიოდში პირველად განხორციელდა. საზოგადოებრივ ყოფაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ტრადიციული და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემები, რისი თანმდევიცაა მედია დაპირისპირება, დეზინფორმაცია და ა.შ. ციფრული მედიის უნიკალურმა და განმასხვავებელმა მახასიათებლებმა, როგორიც არის მისი მულტიმედიური ხასიათი, ურთიერთმიმოცვლის, ჩართულობის და ინტერაქციის შესაძლებლობა, ინფორმაციაზე შეუზღუდავი, სწრაფი და გლობალური წვდომა, საჭირო გახადა საზოგადოებაზე მისი გავლენის მეცნიერული შესწავლა. საკითხის ამ თვალსაზრისით კვლევა შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს: აზერბაიჯანთან მოსაზღვრე სოფლების მოსახლეობაში მედიასაშუალებების აღქმისა და ნდობის ხარისხი; დეზინფორმაციის რისკი და უცხო ქვეყნების მედიასაშუალებების გავლენა ეთნიკურ ჯგუფებზე; ციფრული და ტრადიციული მედიის გამოყენების ინტენსივობა და ეფექტი ყოველდღიურობაში; ასაკობრივი, გენდერული, სოციალური და ეთნიკური მახასიათებლების კორელაცია ციფრული მედიის მოხმარებასა და ყოფითი გარემოს ტრანსფორმაციაზე და ა.შ.

A NEW MONOGRAPH: "BORDER SETTLEMENT IN THE PAST AND PRESENT (KAKHETI)"

Lavrenti Janiashvili

A group of authors has investigated the ancient and modern ethnocultural situation in the Georgia-Azerbaijan border region adjacent to Kakheti, a historical-geographic region. Based on the study and analysis of the primary sources and the collected field-ethnographic material, as well as the critical review of the opinions expressed in the scientific literature, the monograph considers the reasons that led to noticeable changes in the demographic situation of the border region and the ethnic composition of the population. The authors studied the economic and social life of the border population, their economic activity, peculiarities of the settlement, religious situation, migration processes, the difficulties accompanying the process of ethnocultural transformation and many related issues.

Special attention is paid to the relations between different ethnic and religious groups in the border region, the influence of the activities of public organizations and the media environment on the current processes. Concerning these problems, the role of historical narratives and current political events is presented; the ways of solving existing complex issues are shown. The published monographs are the first attempt at an interdisciplinary study on this topic, which has both scientific and practical value.


ქრონიკა


CHRONICLE

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია (2021)

ზურაბ თარგამაძე


2021 წლის 18 დეკემბერ ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის ახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლლიური სამეცნიერო კონფერენცია. ღონისძიება პანდემიის გამო ჩატარდა ზუმის პლატფორმის მეშვეობით.






შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთცმდონეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, წარმოადგენს აღნიშნული განყოფილების წლის შემაჯამებელ ღონისძიებას, სადაც განყოფილების თანამშრომლები კოლეგებს უზიარებენ საკუთარი კვლევის შედეგებს. თუმცა ამჯერად მასში მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის გარედან მოწვეულმა მკვლევრებმაც. ღონისძიება მიუხედავად მონაწილეთე მცირე რაოდენობისა გამოირჩეოდა თემატური მრავალფეროვნებით, წარმოდგენილი მოხსენები ეხებოდა საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის, ისტორიგორგაფიის, არქეოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოწვეულ მკველვართა შორის იყვნენ ახალგაზრდა მეცნიერებიც. მთლიანობაში წაკითხული იქნა თერთმეტი მოხსენება.


სხდომას ხელმძღვანელობდა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა ივანე ჯავახიშვილის





სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ბატონმა გიორგი ჭეიშვილმაც. მან მადლობა გადაუხადა განყოფილებ ხელმძღვანელსა და მის წევრებს კონფერენციის ორგანიზებისათვის, ასევე ხაზი გასუვა წარმოდგენილი თეზისების თემატურ მრავალფეროვნებასა და სამეცნიერო ღირებულებას.





კონფერენციის პროგრამაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლების გარდა ჩართული იყო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ერივნული ცენტრის, ასევე აჭარის არქეოლოგიური მუზეუმისა და მეცნიერების ფონდი „უდაბნოს“ წარმომამდგენლები. ღონისძიება გაგრძელდა ხუთი საათი, მოხსენებების შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია.

დაიბეჭდა მომხსენებლთა თეზისებიც, რომელსაც აქვს როგორც დოი კოდი (DOI: 10.6084/m9.figshare.17241626) მინიჭებული, ასევე ISBN (ISBN 978-9941-8-4016-6). კონფერენციის ჩანაწერის ხილვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=tCaLkz0Mt54&t=19s



THE ANNUAL SCIENTIFIC CONFERENCE OF THE DEPARTMENT OF MEDIEVAL HISTORY OF GEORGIA AND SOURCE-STUDIES AT IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY (2021)

Zurab Targamadze

On December 18, 2021, the annual scientific conference of the Department of Medieval Georgian History and Source-Studies of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology was held. Due to the pandemic, the event was held using the Zoom platform.

The annual scientific conference of the Department of Medieval Georgian History and Source Studies is the summarizing event of the department, where employees of the department share the results of their research with their colleagues. However, this time researchers invited from outside the institute also took part in it. Despite the small number of participants, the event was distinguished by thematic diversity. The presented report was related to the issues of Georgian history and source studies, historiography, archaeology and historical geography. It should also be mentioned that among the invited researchers were young scientists.

The abstracts of the participants were printed, which have both a DOI code (DOI: 10.6084/m9.figshare.17241626) and an ISBN (ISBN 978-9941-8-4016-6). The recording of the conference can be viewed at the following link: https://www.youtube.com/watch?v=tCaLkz0Mt54&t=19s

ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXIII ნომრის პრეზენტაცია


ზურაბ თარგამაძე




2022 წლის 31 მარტს გაიმართა ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXIII ტომის პრეზენტაცია. პანდემიის გამო ნომრის წარდგინება zoom-ის პლატფორმის გამოყენებით განხორციელდა. თუმც ამას ხელი არ შეუძლია ღონისძიების მსვლელობისათვის. ჟურნალის წარდგინებას ესწრებოდნენ, რედკოლეგიის წევრები, ავტორები და დაინტერესებული პირები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მიმართულების სტუდენტები.

ღონისძიებას ტრადიციულად უძღვებოდა ჟურნალის რედაქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. პირველმა სწორედ მან მიმართა მისასალმებელი სიტყვით შეკრებილ საზოგადოებას და გააცნო მათ სხდომის დღის წესრიგი. ქალბატონმა მარიამმა იასაუბრა ჟურნალის ახალი ნომრის გამოცემასთან დაკავშირებულ სირთულეებზე და სამომავლო გეგმებზე. მან დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ისტორიის დოქტორი ზურაბ თარგამაძე, რომელიც ადრე იყო სარედაქციო კოლეგიის წევრი. ამ ნომერიდან კი პროფესორ გიული ალასანიასთან და პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილთან ერთად მოწვეულ იქნა ჟურნალის თანარედაქტორად.

ქალბატონმა მარიამმა სიტყვა გადასცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს ბატონ გიორგი ჭეიშვილს, რომელმაც ისაუბრა ჟურნალის XXIII ნომრის შინაარსის შესახებ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ნომერიც გამორჩეული გახლდათ თემატური მრავალფეროვნებით, ხაზი გაუსვა ჟურნალის მნიშვნელობას და მზაობას მისი საერთაშორისო ბაზებში მოხვედრისათვის. ბატონმა გიორგიმ ასევე ხაზი გაუსვა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის აქტივობას ჟურნალში უცხოელ ავტორთა ჩართულობის უზრუნველყოფის გამო.





ბატონი გიორგის შემდეგ წამყვანმა სიტყვა გადასცა ლავრენტი ჯანიაშვილს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს. ბატონმა





ლავრენტიმ ხაზი გაუსვა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ნაყოფიერ საქმიანობას ჟურნალის განვითარების მიმართულებით.


შეხვედრის მიმდინარეობისას მსჯელობა შეეხო ზოგადად ქართული სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებსაც.


ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა პროფესორი გონელი არახამია, რომელმაც ხაზი გაუსვა ჟურნალში არსებულ რუბრიკათა თემატურ მრავალფეროვნებას. მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას , ხაზი გაუსვა რიგი სტატიების განსაკუთრებულ სამეცნიერო ღირებულებას.

ჟურნალის XXIII ტომიც ტრადიციულად მოცულობითი გამოვიდა. მასში დაიბეჭდა როგორც საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა, ასევე უცხოეთში მომუშავე ქართველ მეცნიერთა სტატიები. პუბლიკაციები დაჯგუფდა სხვადასხვა რუბრიკების მიხედვით.ძველ ანუ ტრადიციული რუბრიკებს დაემატა რამდენიმე ახალი რუბრიკა. კერძოდ აქ არის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევების, საერთაშორისო პრეზენტაციის, თეორია ისტორიულ კვლევაში და ისტორიოგრაფიის, წყაროთა თარგმანი და წარდგინების, საარქივო მასალების პუბლიკაციის, თვალსაზრისის, წიგნების მიმოხილვის, ქრონიკის, ინფორმაციის, ინტერვიუსა და ხსოვნის რუბრიკები. ჯამში XXIII ტომში შევიდა ორ ათეულზე მეტი სტატია.

ღონისძიებაზე სიტყვა წარმოთქვა ჟურნალის რედკოლეგიის წევრმა ეკა კვაჭანტირაძემ, რომელმაც წინა გამომსველელების მსგავსად ხაზი გაუსვა ჟურნალის ახალ ნომერში გამოქვეყნებული მასალების თემატურ მრავალფერნოვნებას. ამის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას ჟურნალის ცალკეული რუბრიკების ზოგადი შინაარსი გააცნეს რედკოლეგიის წევრებმა ზურაბ თარგამაძემ და სოფიო ქადაგიშვილმა. დამსწრე საზოგადოებას, სიტყვით მიმართა მანუჩარ გუნცაძემაც, რომელიც გახლავთ ჟურნალის ახალი ლოგოსა და საიტის ავტორიც. მან საზოგადოებას სწორედ ამ სიახლეების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.


დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს, თსუ-ს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის „საქართველოს ისტორია“ სტუდენტმა ლალი მექერიშვილმა, ჟურნალის ერთ-ერთი სტატიის






ავტორმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა“ დოქტორანტმა ნიკოლოზ ჟღენტმა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა იოსებ ალიმბარაშვილმა, ანა







ჭეიშვილმა – პარიზის სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის დოქტორატმა, ილიას უნივერსიტეტის პროფესორმა თამარ მესხმა, თსუ-ს პროფესორმა ნანა გელოვანმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა გურამ ლეგაშვილმა, დამოუკიდებელმა მკვლევარმა ლადო მირიანაშვილმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ალექსანდრე თვარაძემ, პროფესორმა გოჩა კუჭუხიძემ, გელათის სასულიერო აკადემიიის პროფესორმა მალხაზ მურუსიძემ.

ღონისძიებამ გასტანა ორ საათზე მეტ ხანს, შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვალერიან ვაშაკიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა ჟურნალის სამეცნიერო ღირებულებასა და მასში გამოქვეყნებული სტატიების სამეცნიერო მნიშვნელობას.

PRESENTATION OF THE 23RD VOLUME OF THE SCIENTIFIC JOURNAL "GEORGIAN SOURCE-STUDIES"

Zurab Targamadze

On March 31, 2022, the presentation of the 23rd volume of the scientific Journal "Georgian Source-Studies" was held on the zoom platform. As usual, the event was attended by academics of various universities and scientific research centers of Georgia, as well as students of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The event was opened by the Head of the Department of the Medieval History of Georgia and Source-studies at the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Professor of Tbilisi State University, co-editor-in-chief of the Journal "Georgian Source-Studies", Mariam Chkhartishvili. After that, co-editor-in chief Dr. Zurab Targamadze and member of the editorial board Sopio Kadagishvili, presented the journal's content.

In discutient on the new issue of the journal took part almost all attendees of the event: members of the editorial board, authors, administration of the Institute of History and Ethnology, professional readers and simply highly engaged in history discipline fans.

თსუ კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კონფერენცია „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“

ამირან ბასილაშვილი



2022 წლის 26 მარტს ZOOM პლატფორმის მეშვეობით გაიმართა თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის კონფერენცია „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“. კონფერენცია მიეძღვნა მსოფლიოში კავკასიურ ენათა პირველი კათედრის დაარსების ინიციატორისა და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თეორიის ფუძემდებლის არნოლდ ჩიქობავას დაბადების დღეს. 26 მარტს არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 124 წელი შესრულდა.

კონფერენციაში მონაწილეობდა 16 მეცნიერი. კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიესალმა თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მერაბ ჩუხუა. კონფერენცია მიმდინარეობდა მთელი დღის განმავლობაში ორ სხდომად. კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო. მოხსენებები მიეძღვნა საკითხებს ენათმეცნიერების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, მითოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის დარგებიდან.



კონფერენციის დასასრულს ითქვა, რომ აღნიშნული ღონისძიება ტრადიციულ სახეს მიიღებს და ყოველწლიურად ჩატარდება.

CONFERENCE OF TSU INSTITUTE OF CAUCASOLOGY “HISTORICAL-PHILOLOGICAL ASPECTS OF GEORGIAN-CAUCASIAN RELATIONS”

Amiran Basilashvili

On March 26, 2022, the conference "Historical-Philological Aspects of Georgian-Caucasian Relations" was held at the TSU Institute of Caucasology through the ZOOM platform. The conference was dedicated to the birthday of Arnold Chikobava, the initiator of the establishment of the first Caucasian languages department in the world and the founder of the theory of Ibero-Caucasian linguistics.


The sixteen scientists participated in the conference. The presentations were devoted to issues in the fields of linguistics, history, ethnography, mythology and literature.

At the end of the conference, it was decided that the event will be held annually.

შედარებითი ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის XXIII კონგრესი

ზურაბ თარგამაძე

2022 წლის 25-30 ივლისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თსუ-ს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ორგანიზებით თბილისში ჩატარდა, შედარებით ლიტერატურის საერთაშროსიო ასოციაციის (ICLA) XXIII კონგრესი. ღონისძიების თანაორგანიზატორები იყვნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: ქალაქ თბილისის მერია, თბილისის საკრებულო, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, ტურიზმის ეროვნული სააგენტო, აგრეთვე, თბილისში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფო სტრუქტურები.





ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ინსტიტუტიების ლიტერატურათმცოდნეობის, კრიტიკის, კულტუროლოგიის, თარგმანის, საგამომცემლო სფეორების და ა.შ. ორიათასამდე წარმომადგენელმა. ღონისძიება ჩატარდა ჰიბრიდული ფორმატით.

აღსანიშნავია, რომ ფორუმი მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან იმართება, პირველად 1955 წელს ჩატარდა ვენეციაში (იტალია), პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან პირველად საქართველოში გაიმართა. კონგრესის თემად განისაზღვრა: „მსოფლიო ლიტერატურების გადააზრება: გლობალური






XXIII Congress of the ICLA










BRITISH COUNCIL









და ლოკალური„ ცენტრალური და მარგინალური მიმართულებები“.

გახსნით ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა პრინსტონის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შედარებითი ლიტერატურის პროფესორი, შედარებითი ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი სანდრა ბერმანი. კონგრესის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შარვაშიძე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, ჯაბა სამუშია, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ირმა რატიანი, რომელმაც ისაუბრა კონგრესის მნიშვნელობასა და მიზნების შესახებ.

კონგრესის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ინტერდისციპლინური მოხსენებები, ასევე სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებით გაიმართა ვორკშოპები და თემატური შეხვედრები. კონგრესზე მოხსენება: „ქართული იდენტობის წრთობის პროცესი: ჩენ/სხვა ოპოზიცია (მეცხრამეტე საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურის მიხედვით", წარადგინეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა და განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლებმა ზურაბ თარგამაძემ და სოფიო ქადაგიშვილმა.





XXIII CONGRESS OF THE ICLA

Zurab Targamadze

On July 25-30, 2022, the XXIII Congress of the International Comparative Literature Association (ICLA) was held in Tbilisi. The event was organized by Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. The co-organizers of the event were the Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia and the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Supporters of the event were: Tbilisi City Hall, Tbilisi City Council, Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, National Library of the Parliament of Georgia, Ilia Chavchavadze House-Museum in Saguramo, National Tourism Agency, as well as international organizations and state structures in Tbilisi.

The work of the congress took part up to two thousand scientists from the world's leading scientific institutions from the fields of literary studies, criticism, culturology, translation, publishing spheres, etc. representatives of the universities of Princeton, Cambridge, Tokyo, and Ljubljana. The congress was also participated by Georgian academics, representatives of Tbilisi State University, Ilia State University and etc. The plenary sessions were worked within five days. The event was held in a hybrid format.

In the framework of the congress, interdisciplinary reports were presented, as well as workshops and thematic meetings were held on various topics.

კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი

ლადო მირიანაშვილი

2022 წლის 25-28 აგვისტოს, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა. კონგრესის ორგანიზატორი იყო ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის კვლევათა ინსტიტუტი (საერთაშორისო პროექტის „მეცნიერება საზოგადოებისათვის“ ფარგლებში).

კონგრესის გახსნის საზეიმო ცერემონიალის დროს, დამსწრეებმა, მისასალმებელ გამოსვლებთან ერთად, მოისმინეს სვანური სიმღერა-საგალობელი „ლაჟღვაში“, რომელიც მესტიის ფოლკლორულმა ანსაბლმა „რიჰომ“ შეასრულა.





სამეცნიერო ფორუმის სამუშაო თემა იყო „კავკასია – ინტერდისციპლინური კვლევები II – ენები, ხალხები, კულტურა, გენეტიკური კვლევები“. კონგრესზე წარმოდგენილი მოხსენებები შემდეგი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით იყო დაჯგუფებული:

- ენათმეცნიერება, სოციოლინგვისტიკა (3 სექცია),
- ისტორია (2 სექცია),
- არქეოლოგია,
- კულტუროლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა,
- ეთნოლოგია,
- ფოლკლორი, ლიტერატურა,
- ეკოლოგია, გეოპოლიტიკა, გეოეკონომიკა,
- კავკასიის ხალხთა ფიზიკური ანთროპოლოგია, გენეტიკური კვლევები.

წარმოდგენილი იყო მოხსენებები, რომლებითაც გამოიკვეთა კავკასიის რეგიონის ენებისა და ხალხების კულტურულ-ცივილიზაციური კონტექსტი ისტორიულ ჭრილში (ინტერდისციპლინური კვლევების შედეგების გათვალისწინებით); წარმოჩნდა კავკასიის რეგიონის წინაშე არსებული ჰუმანიტარულ-ეკოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები; მოინიშნა გამოწვევათა გადასაჭრელად გასატარებელი აქტივობების სამეცნიერო საფუძვლები; განისაზღვრა კავკასიის ლინგვოკულტურული და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების შესაძლებლობები.













კონგრესზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კავკასიური ენების სიცოცხლისუნარიანობისა და მათი ფუნქციონირების პრობლემებს, აგრეთვე, კავკასიის ხალხთა ფიზიკური ანთროპოლოგიის საკითხებს, გენეტიკური კვლევების შედეგებსა და მათ მიმართებას არქეოლოგიური და ლინგვისტური კვლევების შედეგებთან.

















VI INTERNATIONAL CONGRESS OF CAUCASIOLOGISTS

Lado Mirianashvili

On 25-28 August 2022, in a local museum of Mestia of History and Ethnography was held the VI International Congress of Caucasiologists. The Congress was organized by Ivane Javakhishvili Tbilisi State University, National Museum of Georgia and Institute of Political Studies, the Polish Academy of Sciences (within the frames of an international project "Science for Society").

Welcoming speeches were delivered at the opening ceremony and a folklore ensemble "Riho" from Mestia sang a song-chant "Lazhghvashi".

The topic of the Congress was "Caucasus - Interdisciplinary Studies – II: Languages, Peoples, Cultures, Genetic Research". Papers presented at the congress were grouped according to the following scientific fields:

The conference was held in three sections. Papers were presented in following scientific fields:

- Linguistics, Sociolinguistics (3 sections)
- History (2 sections)
- Archaeology
- Cultural studies, art history
- Ethnology
- Folklore, literature
- Ecology, geopolitics, geoeconomics
- Physical anthropology of the peoples of the Caucasus, genetic research

Cultural and civilizational context of languages and peoples of the Caucasus region in a historical context was outlined in the presented papers (as a result of interdisciplinary studies); the humanitarian, environmental, political and economic challenges of the Caucasus region have been presented; scientific basis of activities for solving existing challenges has been outlined; opportunities for conservation of linguistic heritage and biodiversity of the Caucasus were defined.

The Congress paid special attention to the issues of vitality and functioning of the Caucasian languages, as well as to the issues of physical anthropology of the peoples of the Caucasus, results of genetic research and the relationship of these studies with the results of archaeological and linguistic studies.

საერთაშორისიო სამეცნიერო კონფერენცია: „კავკასია საერთაშორისო სავაჭრო და კულტურათაშორისი ურთიერთობების გზაჯვარედინებზე“

ზურაბ თარგამაძე

2022 წლის 5-6 სექტემბერს სომხეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ თემაზე: „კავკასია საერთაშორისო სავაჭრო გზაჯვარედინზე და კულტურათაშორის ურთიერთობები“. კონფერენცია ორგანიზებული იყო სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთცოდნეობის ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსისტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ.





კონფერენცია ჩატარდა სომხეთის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მეცნიერების კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ღონისძიების გახსნით ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდა სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის აკადემიკოსი იური სუვარიანი, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „კავკასია არის გზაჯვარედინი, სადაც მრავალი ქვეყნის ინტერესები იკვეთება“. ასევე გამოთქვა იმედი, რომ „აღნიშული კონფერენცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კავკასიის შემსწავლელი მეცნიერებების განვითარებაში. არსებულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში ახალი გართულებები ჩნდება და ჩვენს კონფერენციას ასევე უნდა ჰქონდეს პრაქტიკული მიზანი, რომ შემუშავდეს სტრატეგია,













რომელიც შექმნის შესაძლებლობას ერთობლივად გავუმკლავდეთ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს“. მომდენო გამომსვლელმა, სომხეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, რობერტ ღაზარიანმა, მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ინსტიტუტისთვის მნიშვნელოვანია სომხურ-ქართული სამეცნიერო კავშირების გაძლიერება და რომ „კავკასიის რეგიონში და, კერძოდ, სომხეთის მაღლობებზე ჩამოყალიბებულმა უძველესმა სამოქალაქო ცენტრებმა და იქ განვითარებულმა სამოქალაქო ღირებულებებმა, ისტორიულმა მოვლენებმა, გავლენა მოახდინეს მთელ რეგიონში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე. მოგვიანებით, კავკასია კი ნამდვილ ცივილიზებულ გზაჯვარედინად იქცა მკვიდრი და მეზობელი ხალხებისთვის“.

დამსწრეებს სიტყვით მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსიტუტის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ღონისძიებაში



მონაწილეობისათვის: „ჩვენთვის დიდი პატივია აქ ყოფნა. აღნიშული თანამშრომლობა ჩვენი ინსტიტუტისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია. იმედი მაქვს კონფერენცია იქნება წარმატებული და მომავალში უფრო მეტი ასეთი კონფერენციისა თუ ერთობლივი პუბლიკაციის ორგანიზებას შევძლებთ“. ამის შემდგეგ, გიორგი ჭეიშვილმა, დამსწრე საზოგადოებას, სომეხ კოლეგებსა და კონფერენციის მონაწილეებს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის ჯაბა სამუშიას გზავნილი გააცნო სადაც აღნიშნული იყო რომ „ეს კონფერენცია აჩვენებს სომხეთსა და საქართველოს შორის არსებულ სამეცნიერო დიალოგს და ჩვენს ორმხრივ სამეცნიერო ურთიერთობებს. ვფიქრობ, რომ საქართველოშიც ჩატარდება მსგავსი ღონისძიება, სადაც შევძლებთ გავაგრძელოთ დაწყებული საქმიანობა“.

ღონისძიებას დაესწრო რამდენიმე ათეული მეცნიერი, სომხეთის მეცნიერებათა კადაემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტიდან, ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტიდან და ორ ათეულამდე მეცნიერი საქართველოდან (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან, საქართველო – წმ. ანდრეას სახელობის უნივერსიტეტიდან, საქართველოს უნივერსიტეტიდან). მომხსენებლები იყვნენ იაპონიიდან (ტოკიოს უნივერსიტეტი), რუსეთის ფედერაციიდან (RDGA აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ლომონოსოვის უნივერსიტეტი), პოლონეთიდან (ვარშავის უნივერსიტეტი), ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ირანის სამეცნიერო ცენტრებიდან. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ირაკლი კვანჭახაძე.

საბჭოს პლენარული სხდომის დასრულების შემდეგ პირველ სამეცნიერო სესიაზე მოხსენება წაიკითხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა. მისი მოხსენება: „მეფობა და საზღვრები შუა საუკუნეების საქართველოში“ შეეხებოდა პოლიტიკური გეოგრაფიისა და პოლიტიკური აღქმების საკითხებს შუა საუკუნეების საქართველოში. იდეოლოგიური კონსტრუქციებისა და ტერიტორიული ზრდის საკითხების ურთიერთმიმართების პრობლემას. ავტორმა მოხსენებაში განხილული პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზის საფუძველზე გამოთქვა თვალსაზრისი, რომ ისტორიულ გეოგრაფიას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა პოლიტიკური და იდეოლოგიური ტრანსფორმაციების გაგებისათვის.

გიორგი ჭეიშვილი ასევე ხელმძღვანელობდა მეორე სამეცნიერო სესიის მუშაობას.

ამავე სესიაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების







საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგემ, მთავარმა მეცნიერ თანამშრომელმა, პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმაც წარმოადგინა მოხსენება: „წმინდა რიფსიმე და მისი თანმხლებნი ქართული ნარატიული წყაროების მიხედვით“. მოხსენებაში წმინდა რიფსიმეს ცხოვრების შესახებ ქართულ ნარატიულ წყაროებში, კერძოდ, „მოქცევაი ქართლისაიში“ დაცული ინფორმაციის წყაროთმცოდნეობით და ისტორიულ მნიშვნელობას გაესვა ხაზი. აღნიშული იქნა, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ წმინდა რიფსიმესა და მისი მეგობრების ცხოვრების შესახებ შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც სხვა წყაროებში ან არ გვხდება, ან განსხვავებულად არის წარმოდგენილი, მაგალითად, რიფსიმეს მიმდევართა რაოდენობა, ასევე მათი მოგზაურობის დაწყებისა და დასრულების და მათი წამების თარიღები.

მარიამ ჩხარტიშვილი ასევე ხელმძღვანელობდა 6 სექტემბერს გამართულ მეხუთე სამეცნიერო სესიას.



5 სექტემბერს მესამე სამეცნიერო სესიაზე მოხსენება წაიკითხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა ზურაბ თარგამაძემ. მოხსენება შეეხებოდა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებს. მოხსენების სათაური იყო: „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიიდან: ყუთლუ არსლანის შეთქმულება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ“. მოხსენებაში ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის, მათი მიზანდასახულობის შესახებ წარმოდგენილი იყო განსხვავებული თვალსაზრისი. აღნიშული შეთქმულება ავტორის მიერ წარმოდგენილი იქნა პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზის, ასევე, იმ პერიოდში პოლიტიკური ვითარების გათვალისწინების საფუძველზე, ტახტის ლეგიტიმაციის პრობლემის კონტექსტში.

ამავე სესიაზე მოხსენება წაიკითხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა სოფიო ქადაგიშვილმა. მოხსენებაში: „ქართული და სომხური იდენტობრივი პერცეფციები შუასაუკუნეების ქართული წყაროების მიხედვით“, ავტორმა ხაზი გაუსვა, ეთნიკური ფენომენის კვლევის თვალსაზრისით ქართული ნარატიული წყაროების გამოყენების მნიშვნელობას. აღნიშნა, რომ ეთნიკური ერთობები კოლექტიური *მეს* იდენტიფიცირებას სხვებთან მიმართებაში ახდენენ და რომ ქართული



ნარატიული წყაროების მიხედვით, ქართული ჩვენ-ჯგუფისათვის ასეთი სხვების აღგიღს ხშირად სომხები იკავებდნენ. კვლევაში ხაზგასმული იყო ეთნიკური მარკერების მნიშვნელობა შიდა ჯგუფური შეჭიდულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ქართული მაგალითის საფუძველზე ნაჩვენები იყო ამ მარკერთა ცვალებადობისა და მათი ერთობაზე გავლენა.

6 სექტემბერს, მეხუთე სამეცნიერო სესიაზე მოხსენება წარმოადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა ლავრენტი ჯანიაშვილმა. მოხსენება: „ტრადიციული კულტურული ტრანსფორმაციების ზოგიერთი ასპექტი სასაზღვრო რეგიონში მცხოვრე მოსახლეობაში“, შეეხებოდა საქართველოს საზღვრისპირა რეგიონში, კერძოდ, კახეთში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, კაბალას



თემი) მოსახლე ეთნიკურ აზერბაიჯანლებში მიმდინარე კულტურული ტრანსფორმაციის პროცესს. წარმოდგენილი დაკვირვების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობაში ცვლილებები შეიმჩნევა ტრადიციული კულტურის პრაქტიკულად ყველა სფეროში. გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობა, ერთი მხრივ, ახდენს საკუთარი ეთნიკური იდენტობის გამოკვეთას, მეორე მხრივ კი, ისინი ცალკეულ მომენტებში ავლენენ ქართულ კულტურულ გავლენებსაც.

6 სექტემბერს, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა რობერტ ღაზარიანმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა შეხვედრის შედეგები შეაჯამეს. მათ ხაზი გაუსვეს იმ გარემობას, რომ ეს იყო ამ ინსტიტუტების მიერ ერთობლივად ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გამოთვქეს თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი. დახურვის ცერემონიალზე სიტყვა წარმოთქვეს, პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა (ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), ანუშ ჰოვჰანისიანმა (სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), იაროსლავ ტურლუკოვსკიმ (ვარშავის უნივერსიტეტი), ერეკლე ჟორდანიანიამ (საქართველოს მეცნირებათა ეროვნული აკადემია, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ტომოკო მორიკავანიმ (ტოკიოს უნივერსიტეტი), და სხვებმა. მათ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ღონისძიება ჩატარდა მაღალ სამეცნიერო აკადემიურ დონეზე, სესიების განმავლობაში მომხსენებელთა მიერ დასმული იქნა საყურაღებო სამეცნიერო პრობლემები, ასევე გამოთქვეს იმედი, რომ აღნიშული ღონისძიება მიიღებს რეგულარულ ხასიათს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პარტნიორობისა და სამეცნიერო თანამშრომლობის გაღმავებას.

INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE: "THE CAUCASUS ON THE CROSSROADS OF INTERNATIONAL TRADE AND CULTURAL EXCHANGES"

Zurab Targamadze

On September 5-6, 2022 "The Caucasus on the Crossroads of International Trade and Cultural Exchanges". The conference was organized by the Institute of Oriental Studies of the National Academy of Sciences of Armenia and the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The conference was held with the financial support of the Science Committee of the Ministry of Education, Science, Culture, and Sports of Armenia.

In the event took the part scientists from many scientific bodies: the Institute of Oriental Studies of the Academy of Sciences of Armenia, the Institute of History and Archeology of the Academy of Sciences of Armenia; Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology at the Tbilisi State University, Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, University of Tokyo, Institute of Oriental Studies at Lomonosov University, University of Warsaw etc.

On September 6, Robert Ghazarian, the director of the Institute of Oriental Studies of the National Academy of Sciences of Armenia, and Giorgi Tcheishvili, the director of the Institute of History and Ethnography of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, summarized the results of the conference. They emphasized the fact that this was the first international scientific conference jointly organized by these institutes. They expressed their desire to continue cooperation.

საქართველოს ეროვნული არქივის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ლადო მირიანაშვილი

2022 წლის 8-10 სექტემბერს თბილისში, ჰიბრიდულ ფორმატში მიმდინარეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, რომელმაც 120-ზე მეტ ქართველ და უცხოელ მეცნიერს უმასპინძლა. ღონისძიება საქართველოს დიპლომატიურ სივრცეში დაბრუნების 30 წლის იუბილეს მიეძღვნება და საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა.





კონფერენცია საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გახსნა. მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს საქართველოში აშშ-ის საელჩოს კულტურის ატაშემ კრისტოფერ ანდერსონმა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის, ნოე რამიშვილის შვილიშვილმა მიშელ რამიშვილმა. კონფერენციის პარალელურად, ეროვნულ არქივში გაიმართა გამოფენა, რომელიც საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლის იუბილეს მიეძღვნა.

საკონფერენციო მუშაობა სამ სექციად მიმდინარეობდა. წარმოდგენილი იყო მოხსენებები შემდეგი სამეცნიერო მიმართულებებით:

- ფილოლოგია (კლასიკური, ბიზანტიური და ახალბერძნული ფილოლოგია, ლიტერატურა, ლინგვისტიკა, ენათმეცნიერება, ლიტერატურის თეორია, კოდიკოლოგია-ტექსტოლოგია, ფოლკლორისტიკა)
- ისტორია, წყაროთმცოდნეობა, არქივთმცოდნეობა, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია
- ხელოვნებათმცოდნეობა (გამომსახველობითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, არქიტექტურა, აუდიო და ვიზუალური ხელოვნება, მუსიკა, თეატრი, ხელოვნების თეორია და ისტორია, ქორეოგრაფია);
- კულტუროლოგია (მუზეუმოლოგია, სიძველეთმცოდნეობა, კულტურის თეორია და ისტორია)
- ციფრული ესთეტიკა და დიზაინი;
- ციფრული არქივები და მონაცემთა ბაზები;
- კონსერვაცია-რესტავრაცია.

სხვასთან ერთად, წარმოდგენილი იყო მოხსენებები, რომლებიც საქართველოს უცხო ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიას შეეხებოდა.





THE 7TH INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE OF THE NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA

Lado Mirianashvili

On 8-10 September 2022, the 7th International Scientific Conference "Archival Studies, Source Studies – Trends and Challenges" of the National Archives of Georgia, Ministry of Justice, was held in Tbilisi. Some 120 scholars from Georgia and abroad participated in hybrid sessions of the event. The conference was dedicated to the 30th anniversary of Georgia's reengagement in the diplomatic processes and was supported by the US Embassy in Georgia.

The conference was opened by the General Director of the National Archives. The welcome speeches were delivered by Christopher Anderson, Cultural Attaché of US Embassy in Tbilisi, and Michel Ramishvili, grandson of Noe Ramishvili, the first Chairman of the First Georgian Republic.

Simultaneously with the conference, the Archives hosted an exhibition dedicated to the 30th anniversary of Georgia's reengagement in the diplomatic processes.

The conference was held in three sections. Papers were presented in following scientific fields:

- Philology (Classical, Byzantine and Modern Greek Philology, Literature, Linguistics, Literary Theory, Codicology-Textology, Folklore Studies)
- History, Source Studies, Archival Studies, Ethnology, Anthropology
- Art Criticism (visual and decorative-applied arts, architecture, audio and visual arts music, movie, theater, art theory and history, choreography)
- Cultural Studies (Museology, Archeology, Culture Theory and History)
- Digital Aesthetics and Design
- E-archives and Databases
- Conservation and Restoration.

Papers dedicated to history of diplomatic relations of Georgia with foreign countries were delivered during the Conference.

საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი

თეა ქამუშაძე



2022 წლის 3-5 ოქტომბერს, თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი. კონგრესი მიეძღვნა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძისა და თამაზ გამყრელიძის ხსოვნას. კონგრესში წარმოდგენილი იყო 152 სამეცნიერო მოხსენება. მასში მონაწილეობას იღებდა, როგორც გამოცდილი და ღვაწლმოსილი მეცნიერები, ისე ახალგაზრდა მკვლევრები. მთლიანობაში მომხსენებლები წარმოადგენდნენ, 18 ქვეყნის, უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ინსტიტუციებს, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს. კონგრესის მონაწილეებმა მოხსენებები წაიკითხეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. საქართველოს გარდა, 41 მომხსენებელი წარმოდგენილი იყო ქვეყნებიდან: უკრაინა, იტალია, თურქეთი, სომხეთი, რუსეთი, პოლონეთი, ისრაელი, რუმინეთი, იაპონია, აზერბაიჯანი, ინგლისი, კანადა, ავსტრია, ავსტრალია, გერმანია, საფრანგეთი და შვედეთი. კონგრესისათვის დაიბეჭდა ორენოვანი პროგრამა და მოხსენებების თეზისებიც. კონგრესის ფარგლებში ასევე იგეგმება მოხსენებების სრული ვერსიების ელექტრონული პუბლიკაცია.

კონგრესს ორგანიზება გაუწია თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა, თანაორგანიზატორები კი იყვნენ ილიას უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. სასესიო მუშაობის გარდა სამეცნიერო ღონისძიების ფარგლებში, თსუ-ს პირველ კორპუსში, გაიხსნა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძისადმი ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტო-გამოფენა. კონგრესის ფარგლებში, ასევე, გაიხსნა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელობის მემორიალური კაბინეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

კავკასიოლოგიური კონგრესი, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ღონისძიება განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.



INTERNATIONAL CONGRESS OF CAUCASIAN STUDIES


Tea Kamushadze

On October 3-5, 2022, the International Caucasian Congress was held in Tbilisi. The congress was dedicated to the memory of academicians Mariam Lortkipanidze and Tamaz Gamkrelidze. 152 scientific reports were presented at the congress. Both experienced scientists and young researchers took part in it.

The congress was organized by the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of TSU, and the co-organizers were the Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies of Ilia State University and the Georgian National Academy of Sciences.

ბელგრადის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ზურაბ თარგამაძე



2020 წლის 26-29 ოქტომბერს, სერბეთში, ქალაქ ბელგრადში, ბელგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტმა უმანსპინძლა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას: „მმართველობისათვის ვარგისობა/არავარგისობა: მმართველთა მიღებისა და უარყოფის ისტორიული მაგალითები“.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი გახლდათ, ბელგრადის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი სიმა ავრამოვიჩი. კონფერენციის ფარგლებში მოხსენებები წაიკითხა ორმოცდაათამდე მეცნიერმა, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებს.

ღონისძიების გახსნის ფორმალური მხარის დასრულების შემდეგ, პირველი სამეცნიერო სესიის შესავალი ლექცია წაიკითხა ემერიტუს პროფესორმა ჯონ ბეინსმა, მანვე უხელმძღვანელა პირველ სამეცნიერო სესიას, რომელის სამუშაო თემატიკა გახლდათ: „მმართველთა თვისებები/რა აქცევთ მათ კარგ მმართველებად“. 26 ოქტომბერს, ჩატარდა მეორე და მესამე სამეცნიერო სესიებიც. მეორე სამეცნიერო სესიის სამუშაო Tემატიკა იყო: „რელიგია“ და მას გაუძღვა ასოცირებული პროფესორი დალიბორ ჯუკიჩი. მესამე სამეცნიერო სესიის წინ შესავალი ლექცია წაიკითხა ასოცირებულმა პროფესორმა ათინა ა. დიმოპოლუმ, მანვე უხელმძღვანელა მესამე სამეცნიერო სესიას, რომლის სამუშაო თემატიკა გახლდათ: „ (სამართლებრივი და) პოლიტიკური კულტურა. პირველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ კოლეგებმა გადაინაცვლეს არაფორმალურ გარემოში, სადაც განტვირთვასთან ერთად ხანგრძლივი სამუშაო დღის შემდეგ შეჯამეს სესიების განმავლობაში წაკითხული მოხსენებები.

27 ოქტომბერს, კონფერენციის მეორე სამუშაო დღეს, მეოთხე სესიის წინ შესავალი ლექცია წაიკითხა ემერიტუს პროფესორმა, უილიამ ე. მონტერმა, მანვე უხელმძღვანელა მეოთხე სამეცნიერო



















სესიას. მეხუთე სამეცნიერო სესია მიეძღვნა ქალთა ძალაუფლების საკითხს მმართველობაში, მას ხელმძღვანელობდა ასოცირებული პროფესორი ნინა კრშლიანინი. მეექვსე სესიის წინ შესავალი ლექცია წაიკითხეს პროფესორებმა პიტერ შრეინერმა და იზაბელ გრიმ სტადელმანმა. მეექვსე სესიის სამუშაო თემა გახლდათ „შეზღუდული შესაძლებლობები და უძლურება“, მას უხელმძღვანელა პროფესორმა პიტერ შრეინერმა.

მომდევნო სამუშაო დღეს, სესიის დაწყების წინ საჯარო ლექცია წაიკითხა პროფესორმა კალიოპი ბურდარამ. მანვე უხელმძღვანელა მეშვიდე სამეცნიერო სესიას, რომლის თემატიკა გახლდათ „ძალაუფლება და პოლიტიკა“. აღნიშნულ სესიაზე მოხსენება წაიკითხა ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელმა მარიამ ჩხარტიშვილმა თემაზე: „სამეფო ოჯახის უარყოფილი მემკვიდრეები ძველ და შუა საუკუნეების საქართველოში“. პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა უხელმძღვანელა მერვე სამეცნიერო სესიას. ამ სესიაზე მოხსენებით: „უფლისწული დემეტრე (დემნა) ქართულ ისტორიოგრაფიაში“, წარსდგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი სოფიო ქადაგიშვილი. მესამე სამუშაო დღის ბოლო, მეცხრე სამეცნიერო სესიის წინ შესავალ ლექცია წაიკითხა და შემდეგ უხელმძღვანელა აღნიშნულ სესიას, პროფესორმა იოანის პაპადოპოლუსმა. აღნიშნული სესიის თემატიკა გახლდათ „მემკვიდრეობის“ საკთხი. მეცხრე სესიის ფარგლებში მოხსენება წაიკითხა ივანე ჯავახიშვილის















სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ზურაბ თარგამაძემ, მოხსენების თემატიკა გახლდათ: „XI-XII საუკუნეებში სამეფო ოჯახში არსებული დაპირისპირება და დავით აღმაშენებლის ნაყალბევი ანდერძი“.

მეცხრე სამუშაო სესიის შემდეგ ღონისძიების ოფიციალური სამეცნიერო ნაწილი დასრულდა. შემაჯამებელი სიტყვით დამსწრე საზოგადოებას მიმართეს ორგანიზატორებმა და დამსწრე საზოგადეობის წარმომადგენლებმა.

29 ოქტომბერს სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორებმა, ღონისძიების მონაწილეებს უმანსპინძლეს კულტურული პროგრამის ფარგლებში. მონახულებულ იქნა ბელგრადის შემოგარენში არსებული რამდენიმე სერბული მონასტერი: რუშედოლი და ახალი ჰოპოვო ფრუსკა გორაზე, ასევე სმერსკი კარლოვსკში სერბეთის მიტროპოლიტის რეზიდენცია. საღამო დასრულდა ვახშმით დუნაის ნაპირზე არსებულ რესტორან პასენტში.

ორგანიზატორებმა გამოსცეს თეზისების კრებულიც (იხ. ბმული: http://wp2008.ius.bg.ac.rs/un-fit-to-rule/files/2022/10/Unfit-to-rule-zbornik-apstrakata-sa-koricama.pdf), სადაც შევიდა როგორც მომხსენებელთა, ასევე შესავალი ლექციების ავტორთა თეზისები.













INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE ORGANIZED BY BELGRADE UNIVERSITY FACULTY OF LAW

Zurab Targamadze

On October 26-29, 2020, in the city of Belgrade, Serbia, the Faculty of Law of the Belgrade State University hosted an international scientific conference: "(un)fit to rule: themes of acceptance and rejection of rulers throughout history".

The head of the organizing committee of the conference was Emeritus Professor of the University of Belgrade, Dr. Sima Avramović. In the framework of the conference, reports were პრეზენტედ by up to fifty scientists, who, in turn, represented scientific-research institutions and universities of different countries of the world.

After the end first three working days of the conference, on October 29, the organizers hosted the participants within the frame of the cultural program. They visited Several Serbian monasteries in the outskirts of Belgrade: Krušedol (16th century) and Novo Hopovo (15th and 16th centuries) on Fruška Gora, endowments of the Branković noble family, the despots of Serbia. Then they were tripped by bus to Sremski Karlovci, the seat of the Serbian Metropolitan since 1713, and took a short walking tour of the town center. The day ended with lunch on the banks of the Danube in Pasent restaurant.

The organizers also published a collection of abstracts (see link: http://wp2008.ius.bg.ac.rs/un-fit-to-rule/files/2022/10/Unfit-to-rule-zbornik-apstrakata-sa-koricama.pdf), which included the theses of both the speakers and the authors of the introductory lectures.


კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი (თბილისი, 14–16 ნოემბერი, 2022)

მარიამ ბეჟიტაშვილი



ინტერდისციპლინარული პროფილის სამეცნიერო ღონისძიება სახელწოდებით „კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 14-16 ნოემბერს გაიმართა. კონგრესი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურს ცენტრის, არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლობით განხორციელდა და იგი გამოჩენილი ჩერქეზი კლასიკოსის, მწერალ მიხეილ ლოხვიცკის (აჯუკ-გირეი) ასი წლის იუბილეს მიეძღვნა.

ღონისძიების გახსნის ცერემონიას დაესწრნენ და მისალმების სიტყვით წარსდგნენ: კონგრესის ხელმძღვანელი, თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორი - მერაბ ჩუხუა, მასპინძელი უნივერსიტეტის რექტორი – ჯაბა სამუშია, ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი – ნანა გაფრინდაშვილი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსიტუტის დირექტორი – ნანა მაჭავარიანი, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი – ანდრო ბედუკაძე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე – გიორგი ალიბეგაშვილი, მალმოს უნივერსიტეტის კავკასიური კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი – კარინა ვამლინგი, ლუნდის უნივერსიტეტის ფროფესორი – გერდ კარლინგი, სახალხო მწერალი და ჰუმანისტი – ისა ქაძოევი (ინგუშეთი), ჰ. წადასის სახ. ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის გრამატიკულ კვლევათა განყოფილების ხელმძღვანელი (დაღესტანი) – მაჰომედ მაჰომედოვი, გროზნოს სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი (ჩეჩნეთი) – აისა ხალიდოვი; ჩრდილოკავკასიური საერთაშორისო არქიტექტურული აკადემიის ცენტრის წევრ-კორესპონდენტი (ოსეთი) – ვლადიმერ ბესოლოვი და „Circassian Media“-ს ავტორი ადიღეს ჩერქეზული რესპუბლიკიდან – აიდემირ კაზანოკოვი. გამომსვლელებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის მიმართულებით არსებული სამეცნიერო და კვლევითი ტრადიციების, დარგის სამომავლო განვითარებისა და პირველი ქართული უნივერსიტეტის, როგორც კავკასიელი ხალხების გამაერთიანებელი ფუნქციის მატარებელი











სასწავლო-კვლევითი დაწესებულების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

„მულტიდისციპლინური და აქტუალური საკითხები“ – ასე შეაფასეს კონგრესის პროგრამა შვედეთის მალმოს უნივერსიტეტის პროფესორმა კარინა ვამლინგმა და ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორმა გერდ კარლინგმა. კონგრესზე მოწვეულმა მკვლევრებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კავკასიოლოგიის მიმართულებით მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი.

ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სამეცნიერო თანამშრომლობა რეგიონში მშვიდობის, სახელმწიფო უსაფრთხოების, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების კონტექსტში შეაფასეს და კავკასიელი ხალხების საერთო ინტერესებზე ისაუბრეს.

„ეს კონგრესი გახლავთ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“, რაც მემკვიდრეობითობის უწყვეტობის მაჩვენებელია“ – პროფ. ნანა მაჭავარიანის ეს შეფასება გულისხმობს, რომ კონგრესის იდეა ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც საფუძველი აკად. არნ. ჩიქობავამ ჩაუყარა. 1965 წლიდან









მოყოლებული, მისი ხელმძღვანელობით კავკასიის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში 10 რეგიონული სამეცნიერო სესია ჩატარდა. ექვსი საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზება ამშვენებს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დოსიეს, ხოლო ხუთი საერთაშორისო კონგრესი თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით გაიმართა. კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი მისი წინამორბედი ღონისძიებებისგან მრავალი სიახლით, ახალი მასშტაბებითა და დიდი წარმომადგენლობითი პოტენციალით გამოირჩა. იგი შერეული ფორმატით გაიმართა. 2 დღის განმავლობაში თსუ-სა და ჩერქეზული კულტურის ცენტრის სივრცეში ჩატარდა 17 სექცია, ხოლო მე-3 დღეს კიდევ 6 სექცია გაიმართა ონლაინ, ზუმის პლატფორმაზე. სექციები მუშაობდა შემდეგი მიმართულებებით: ენათმეცნიერება, დარგთაშორისი ლინგვისტური კვლევები, ლიტერატურათმცოდნეობა, ფოლკლორისტიკა, ისტორია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, არქეოლოგია, წყაროთმცოდნეობა, კულტუროლოგია. ცალკე 2 სექციად იყო წარმოდგენილი







სტუდენტური კვლევები, რომლის ავტორებადაც მოგვევლინენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრანტები და დოქტორანტები. საბოლოო ჯამში, კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ორ ასეულამდე მკვლევარმა-კავკასიოლოგმა კავკასიისა და ევროპის სახვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრიდან. წარდგენილიქნა 175 მოხსენება.

კავკასიოლოგიის კონგრესის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი გახლდათ არსებული პოლიტიკური ვითარების გამო ბოლო პერიოდში მინავლებული ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების აღდგენა-გაღრმავება რეგიონის იმ სასწავლო-

სამეცნიერო ცენტრებთან, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ ინგუშეთში, ჩეჩნეთში, დაღესტანში, ჩერქეზულ რესპუბლიკებსა და ოსეთში. „კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფების/ცენტრების თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი ფორუმ-კონფერენციების მოწყობა და ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ფართო საზოგადოებისთვის არამხოლოდ ქართული კავკასიოლოგიის, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელად მიგვაჩნია“ – ნათქვამია კონგრესის დამფუძნებლისა და ორგანიზატორის, პროფ. მერაბ ჩუხუას მიმართვაში.

1st INTERNATIONAL LINGUISTIC-ANTHROPOLOGICAL CONGRESS OF CAUCASOLOGISTS

Mariam Bezhitashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University hosted international interdisciplinary event dedicated to the 100th anniversary of the famous Circassian classic Mikhail Lokhvitsky (Adzhuk-Girey) on November 14-16, 2022.

The congress was organized by TSU Educational and Scientific Institute of Caucasology, Arnold Chikobava Institute of Linguistics and Circassian (Adyghian) Cultural Center.

The congress program was included 175 presentations, the number of Caucasian and other participants with so-authors amounted 200.

The Congress was worked in the following areas: linguistics, interdisciplinary linguistic studies, literary studies, folkloristics, history, ethnology, anthropology, archeology, source studies, cultural studies.

There were seventeen sections at the congress during two working days, six sections were be held onlain. Student studies were presented in two separate sections.

It was desided that congress will be held regularly.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – SCIENTIA II

მანუჩარ გუნცაძე

2022 წლის 24-25 ნოემბერს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია Scientia (გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში) გაიმართა. კონფერენციამ უკვე ტრადიციული სახე მიღო და ის წელიწადში ერთხელ გაიმართება. კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ ქალაქ თბილისის მერია, რომელმაც ფინანსური მხარდაჭერა გაუწია კონფერენციის ორგანიზატორებს., ასევე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი.





კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო და ჰუმანიტარული დარგის რამდენიმე მიმართულება მოიცვა: ისტორია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება, ფილოლოგია, ეთნოლოგია და ა.შ. კონფერენციის მსვლელობა საინტერესო სამეცნიერო დისკუსიებით წარიმართა, რასაც დამატებით ხელი შეუწყო მონაწილეთა წარმომადგენლობითობამ. კონფერენციაზე გასულ წელთან შედარებით გაცილებით მეტი მონაწილე იყო წარმოდგენილი, თუმცა სტანდარტი კვლავაც დაცული იყო. თითოეულმა მოხსენებამ გაიარა მინიმუმ ორმაგი ფარული რეცენზირების პროცესი. შესაბამისად, კონფერენციაზე გამოსვლის დადებითი რეცენზიების მქონე მოხსენებებს მიეცათ.





აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოელ მონაწილეთა შორის წარმოდგენილი იყო სამეცნიერო დელეგაცია სომხეთის მეცნიერებათა აკადემიიდან. კონფერენციის ფარგლებში გამოიცა მოხსენებათა ვრცელი თეზისების კრებული. თითოეულ პუბლიკაციას მიენიჭა შესაბამისი DOI ნომერი.









INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE – SCIENTIA 2

Manuchar Guntsadze


On November 24-25, 2022, the second international scientific conference Scientia (Challenges and Trends in Humanities) was held at the National Manuscript Center. The conference has already taken a traditional form and will be held once a year. Supporters of the conference were Tbilisi City Hall, which provided financial support to the conference organizers, as well as Iv. Javakhishvili Tbilisi State University and Humanitarian Studies Center.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია (2022)

სოფიო ქადაგიშვილი


ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებას უკვე ტრადიციად ექცა წლის ბოლოს სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება. 2022 წელს, 23 დეკემბერს, წინა წლისგან განსხვავებით, კოვიდ პანდემიის შემდეგ პირველად, კონფერენცია ჩატარდა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. კონფერენციის მიმართ ინტერესი, რომელიც, ფაქტობრივად, განყოფილების წლიური აქტივობის შეჯამებაა, ამ ხნის განმავლობაში უფრო და უფრო მატულობს, რასაც ცხადყოფს გამოხმაურებები და დამსწრე საზოგადოების ყოველწლიური ზრდა. 2023 წელს მოხსენება წარმოადგინა თერთმეტმა მონაწილემ.


კონფერენციას უძღვებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელი მარიამ ჩხარტიშვილი. კონფერენციის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვალერიან ვაშაკიძემ.



კონფერენციის ფორმატიდან გამომდინარე, მონაწილეების უმრავლესობა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის და წყაროთმცოდნეობის განყოფილების წევრები იყვნენ, თუმცა წინა წლების მსგავსად საორგანიზაციო ჯგუფმა რამდენიმე მონაწილე ამჯერადაც მოიწვია ინსტიტუტის გარედან. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ილიას უნივერსიტეტის პროფესორმა თემო ჯოჯუამ, მოხსენებით: „იერუსალიმის წმ. თევდორეს მონასტრის კუთვნილი XIII საუკუნის პარაკლიტონის (Jer. Geo. 41) მინაწერები ჯვრის მონასტრის წინამძღვარ-ყოფილი საბას, ალასტანელი მწიგნობრის

















დიმიტრი ბიძანაშვილისა და მონაზონ ნაომის (XIV-XVI სს.) მოხსენებით“ და დამოუკიდებელმა მკვლევარმა – ლადო მირიანაშვილმა, მოხსენებით: „ლევან II დადიანის მიერ ღალიძგას სასახლის კარის ეკლესიისთვის შეწირული წმ. ონოფრე დიდის ხატის წარწერა“.

გარდა მოწვეული სტუმრებისა, მოხსენებები წარადგინეს მასპინძელი განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლებმა: გიორგი ჭეიშვილმა – „ალბანთა მეფის ტიტულის გაგებისთვის“, ვახტანგ გოილაძემ – „რანისა და მოვაკანის საპიტიახშო მეფეთა ცხოვრებაში“, ალექსანდრე თვარაძემ – „სახელმწიფოს მართვის განსხვავებული მოდელებისთვის შუა საუკუნეებში: ღონისძიებების გატარება დედაქალაქიდან თუ მეფის მიმოსვლის და რეგიონებში ადგილზე ყოფნის საშუალებით“, ქეთევან ქუთათელაძემ – „ხიდების სახელწოდებანი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით“, პაპუნა გაბისონიამ – „ენგურის ხეობის სამეგრელოს სოფლების ისტორიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან“, სოფიო ქადაგიშვილმა – „ტერიტორია და იდენტობა შუა საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით (X-XVIII სს)“, ზურაბ თარგამაძემ – „საბჭოთა პერიოდის ქართული საისტორიო სკოლის პრაქტიკა: შუა საუკუნეების რეპრეზენტაციის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“, ეკა კვაჭანტირაძემ – „დასრულებული თუ დაუსრულებელი კონფლიქტი?“, ბოლო მოხსენება წარადგინა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა მარიამ ჩხარტიშვილმა – „ქართლის ერისმთავრები სტეფანოზ I და ადარნერსე I. წყაროთა ანალიზი და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა“. მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსიას, რომელსაც, როგორც ყოველთვის ხანგრძლივი დრო დაეთმო. დისკუსიამ ხელი შეუწყო საკვლევი საკითხების გამოკვეთას, დაზუსტებას და სამუშაო პერსპექტივების წარმოჩენას. კონფერენციის ბოლოს, მ. ჩხარტიშვილმა მიმოიხილა კონფერენციის თემატიკა და მუშაობა. ღონისძიების მუშაობა შეაჯამა ვ. ვაშაკიძემ. სამეცნიერო მუშაობა დასრულდა ინსტიტუტის კორპორატიული ვახშმით.

გამოიცა კონფერენციის პროგრამა და თეზისების კრებული.



THE ANNUAL SCIENTIFIC CONFERENCE OF THE DEPARTMENT OF MEDIEVAL HISTORY OF GEORGIA AND SOURCE-STUDIES OF THE IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY (2022)

Sopio Kadagishvili

The Department of Medieval History of Georgia and Source-Studies of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology has already become a tradition of holding a scientifc conference at the end of the year. On December 23, 2022 the conference was held at the Institute of History and Ethnology... Eleven participants presented their reports in 2023.

The conference was chaired by , the head of the Department of Medieval History of Georgia and Source-Studies Mariam Chkhartishvil. iThe deputy director of the institute, Valeri Vashakidze, addressed the participants of the conference and the attending public with a welcome speech.

ინფორმაცია
INFORMATION

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ძარცვის (შავი არქეოლოგიის) პრობლემის შესახებ საქართველოში

ვასილ ჭიჭაღუა
ააიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვისა და კვლევის ცენტრი
vtchitchagua@hsoj.ge

ანზორ მჭედლიშვილი
ააიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვისა და კვლევის ცენტრი
amtchedlishvili@gmail.com

Looting – დანაშაული, რომელიც გულისხმობს მაღაზიებიდან და შენობებიდან ნივთების მოპარვას აჯანყების, ხანძრისა და სხვა მსგავსი მოვლენების შემდეგ (Looting – the crime of stealing things from shops or buildings after a riot, fire, etc.). ასე განმარტავს Looting-ს ოქსფორდის უნივერსიტეტის ლექსიკონი. სწორედ ეს სიტყვა გამოიყენება ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, უმეტესად სამარხების, გაძარცვის ფაქტის აღსანიშნავად. საქართველოში ამ მოვლენას ჟარგონულად „შავ არქეოლოგიად" მოვიხსენიებთ.

დაფუძნების დღიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრი ახორციელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის მონიტორინგს და ამ სფეროში არსებული პრობლემების გამოაშკარავებას. სხვადასხვა საველე აქტივობებისას გამოვლინდა ჩვენთვის ახალი და საკმაოდ მწვავე პრობლემა – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ძარცვა, იგივე შავი არქეოლოგია. ამ დროისთვის, ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის შედეგად მიღებული მონაცემების სისტემატიზაციისა და ანალიზის შედეგად, საკმარისი ინფორმაცია გვაქვს გარკვეულ შეკითხვებზე საპასუხოდ და ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში გამოვლენილი ტენდენციების განსასაზღვრად.

დასაწყისისთვის მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ამ მოვლენამ, კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში, მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ძალზე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა. ამის ილუსტრირებისთვის საკმარისია განვიხილოთ ორი კონკრეტული შემთხვევა: 1. 1950-1970 წლებში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ძარცვის შემთხვევები იტალიაში; 2. 2011 წლიდან დღემდე მიმდინარე სირიის კრიზისის შედეგად ამ ქვეყნის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის მასობრივი ძარცვის ფაქტები. ამ მაგალითების შესახებ მონაცემების მოძიება განხორციელდა ააიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის სპეციალისტების მიერ საერთაშორისო საგანმანათლებლო აქტივობაში (International Campus Preserving cultural heritage, online edition. November 5 – December 4, 2020, Rondine Cittadella della Pace, Italy) მონაწილეობის შედეგად, რომელიც ეძღვნებოდა სამხედრო შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებს. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში ჩვენი ორგანიზაციის მკვლევარებს მიეცათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე მომუშავე ექსპერტების მიერ განხორციელებული კვლევების შედეგებს. ქვემოთ მოცემული მონაცემები წარმოგვიდგინა დოქტორმა (Conservation of Architectural Heritage, University of Rome, Italy) ბიჟან რუჰანიმ, რომელიც წამყვანი მკვლევარია ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიის სკოლის ეგიდით ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში განხორციელებულ კვლევებში (პროექტი ეძღვნება აღნიშნულ რეგიონებში განადგურების პირას მყოფი არქეოლოგიური ძეგლების გადარჩენის საკითხს) და

გვიდო გუარდუჩიმ – ფლორენციის ლორენცო დი მედიჩის სახელობის იტალიის საერთაშორისო ინსტიტუტის ანტიკური კვლევების კათედრის ხელმძღვანელმა. ამ ექსპერტების მიერ წლების განმავლობაში განხორციელებული კვლევების შედეგები კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია სათანადო ყურადღების გამოჩენა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ძარცვის ფაქტებისადმი ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებების მხრიდან.

ბატონი გვიდო გუარდუჩის მიერ მოწოდებული მონაცემებით, 1953 წელს იტალიაში ნამოწყებულმა მიწის რეფორმამ, რომელიც გულისხმობდა ფერმერებისათვის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემას, ბიძგი მისცა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ძარცვის ციებ-ცხელების დაწყებას ქვეყანაში. აღნიშნულის მიზეზი გახდა ის, რომ ფერმერებისათვის საკუთრებაში გადაცემული ნაკვეთების ნაწილში აღმოჩნდა სხვადასხვა ეპოქის სამარხები და სხვადასხვა სახის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. იმის გამო, რომ მიწა ამა თუ იმ სამარხითა და მასში არსებული ფასეულობებით უკვე ეკუთვნოდა კერძო მესაკუთრეს, მოსახლეობა თვლიდა, რომ იქაური ნივთებიც მთლიანად მათი იყო. შესაბამისად, ისინი არ ერიდებოდნენ საფლავების ძარცვას და ამის შედეგად მოპოვებული არტეფაქტების გაყიდვას შავ ბაზარზე. ამ საქმიანობის შედეგად მიღებულმა დიდმა მოგებამ ორგანიზებული დანაშაულის (მაფიის) ლიდერების ინტერესიც გამოიწვია. საფლავებისა თუ სხვადასხვა ეპოქის ძეგლების ძარცვამ იტალიაში საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა მონაცემებით, მხოლოდ ტოსკანას რეგიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, 1950-1970 წლებში 2 000 000-მდე არტეფაქტი იქნა მოპოვებული და გატანილი გასაყიდად შავ ბაზარზე. ამავე პერიოდში „საფლავების მძარცველობა“ საკმაოდ შემოსავლიან პროფესიად იქცა. ეს საქმე – ცოდნა და გამოცდილება, როგორც ხელობა – გადაეცემოდა მემკვიდრეობით მამიდან შვილზე. შეძლებული პიროვნებები გარკვეულ წინასწარ ინვესტიციებსაც კი დებდნენ ამ საქმიანობაში. ქირაობდნენ დიდი გამოცდილების მქონე საფლავების მძარცველებს და ხელფასს უხდიდნენ შემოსავლის მომტანი ადგილის მოძიებისთვის. საფლავების მძარცველებს ზედმეტ სახელიც კი გაუჩნდათ – Tombaroli (იტალიური სიტყვიდან Tomba, რაც „საფლავს“ ნიშნავს).

2011 წელს სირიაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი, მალევე გადაიზარდა სამხედრო დაპირისპირებაში. აღნიშნული კონფლიქტი თავისი ხანგრძლივობით და დაპირისპირებული მხარეების განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა. წლების განმავლობაში მსოფლიო სირიაში მომხდარი მრავალი საშინელების მოწმე გახდა, მათ შორის, ამ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უპრეცედენტო მასშტაბის განადგურებისა. ამ პროცესის ერთ-ერთი უმძიმესი გამოვლინება იყო 2015 წლის 30 აგვისტოს, დაბომბვის შედეგად, უძველესი პალმირას რელიგიური კომპლექსის (Bel Templein Palmyra) თითქმის მთლიანი განადგურება. დოქტორ ბიჟან რუჰანის მიერ მოწოდებული მონაცემებით, ამგვარი მასობრივი ნგრევის ფაქტების გარდა, კონფლიქტმა წარმოშვა კიდევ ერთი, უაღრესად მძიმე მოვლენა, რომელმაც არანაკლები ზიანი მიაყენა სირიის კულტურულ მემკვიდრეობას. ეს მოვლენა საფლავების მასობრივი ძარცვაა, რამაც, ფაქტობრივად, სამრეწველო მასშტაბები მიიღო. საფლავების ძარცვით დაკავებული იყო კონფლიქტის თითქმის ყველა მხარე, როგორც სამთავრობო ძალების წარმომადგენლები, ასევე – მასთან დაპირისპირებული სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებების წევრებიც. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების (უძველესი სამარხების) ძარცვა გარკვეული შემოსავლის წყაროდაც კი იქცა თითოეული მათგანისთვის. ძირითადად გაიძარცვა რომაული და ბრინჯაოს ხანის საფლავები, თუმცა, არაერთხელ დაფიქსირდა შედარებით თანამედროვე ქრისტიანული საფლავების ძარცვის ფაქტებიც. საბოლოოდ, სატელიტური ფიქსაციის მეთოდის გამოყენებით გამოვლინდა ომის პერიოდში მთლიანად განადგურებული 27, ნაწილობრივ განადგურებული 52 და ძლიერ დაზიანებული 276 კულტურულ-ისტორიული ძეგლი. შავი არქეოლოგების მიერ გაძარცვული სხვადასხვა ეპოქის სამარხების რიცხვი კი რამდენიმე ათასს აღწევს.

ზემოთ განხილულ ორ შემთხვევას (იტალიის და სირიის) შორის ბევრი განსხვავებაა, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი მსგავსება მაინც არის – ესაა კატასტროფის თავიდან აცილების საქმეში

სახელმწიფოს არაჯეროვანი ძალისხმევა. იტალიის შემთხვევაში ეს იყო მინის რეფორმის არასწორი დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე, ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებისადმი არასათანადო წინააღმდეგობის გაწევის და ზოგადად მათ მიმართ სუსტი პოლიტიკის გატარების შედეგი; ხოლო სირიის შემთხვევაში ეს იყო სახელმწიფოს როლისა და მისი ინსტიტუციების მთლიანი მოშლა, რამაც საბოლოო ჯამში ქვეყანა იქამდე მიიყვანა, რომ თავად სახელმწიფო შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებიც კი არ ერიდებოდნენ საფლავების ძარცვას.

ჩვენ ეს ორი მაგალითი იმიტომ შევარჩიეთ, რომ მათი განხილვისას მკვეთრად თვალში საცემია ის მასშტაბური ზიანი, რომელიც შესაძლებელია მიაყენოს შავმა არქეოლოგიამ ამა თუ იმ ქვეყნის კულტურასა და კულტურულ მემკვიდრეობას.

საქართველოში, საბედნიეროდ, არ გვაქვს ამგვარი მდგომარეობა, მაგრამ საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობის და იმ სახელმწიფო ინსტიტუციების გაძლიერების გარეშე, რომლებიც ახდენენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ძარცვის პრევენციას, სიტუაცია შესაძლებელია სწრაფად დამძიმდეს და დაემსგავსოს ზემოთ მოყვანილ მაგალითებს.

ზოგადად, რა მამოტივირებელი ფაქტორები უბიძგებს კულტურული მემკვიდრეობის მძარცველებს დაკავდნენ ამ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობით? ამ შეკითხვაზე სრული პასუხის გაცემა ძალზე რთულია, მაგრამ, შესაძლებელია ძირითადი ფაქტორების გამოყოფა. ესენია:

- ფინანსური შემოსავლის მიღების სურვილი – მიუხედავად იმისა, რომ რეალურად, უმეტეს შემთხვევაში, ამ საქმიანობისგან მიღებული შემოსავალი ძალზე მწირია, ზოგ პიროვნებას, ფინანსური სიდუხჭირის გამო, მაინც აქვს ინტერესი მის მიმართ.

- აზარტი, სიამოვნების მიღების სურვილი – ამ საქმიანობაში ჩართულ ადამიანებს მოსწონთ იდუმალება, ძებნა, თავგადასავლის შეგრძნება.

- თანმდევი არაფინანსური შემოსავალი – ხშირ შემთხვევაში ამ საქმიანობით დაკავებული ადამიანები იმ ნივთებს, რომლებსაც შავ ბაზარზე ფასი არ აქვს, იყენებენ როგორც საჩუქარს ან ბარტერული გაცვლის ობიექტს.

- პრესტიჟი, უნარების გამოვლენის შესაძლებლობა – ხშირად ამ საქმიანობით დაკავებული ადამიანების სტატუსი მაღლდება იმ საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობენ. ეს ფაქტორი უმეტესად აქტუალურია სოფლის მოსახლეობისთვის, რომლებიც საკუთარი დასახლების ახლო ტერიტორიებზე აწარმოებენ ძეგლების ძარცვას.

- ძიების შედეგად მოპოვებულ არტეფაქტებს თავის საკუთრებად თვლიან – შავ არქეოლოგებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ძიებას ახორციელებენ საკუთარი დასახლების მახლობლად და თვლიან, რომ მათი სოფლის მახლობლად მდებარე ძეგლი ან თუნდაც სამარხი მათი საკუთრებაა და შეუძლიათ ისე მოექცნენ, როგორც უნდათ.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე, შეგვიძლია ვისაუბროთ ძეგლების ძარცვის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ორგანიზაციის აქტივობები ძირითადად შემოიფარგლება აღმოსავლეთ საქართველოთი, დასავლეთ საქართველოში შავი არქეოლოგების საქმიანობის კვალის დაფიქსირების შესაძლებლობა ნაკლებად გვაქვს, თუმცა, გვაქვს ინფორმაცია ჩვენი კოლეგებისგან, რომ დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რეგიონში შავი არქეოლოგები საკმაოდ აქტიურად საქმიანობენ, ძირითადად, ანტიკური ეპოქის ძეგლებს ძარცვავენ და მოპოვებულ არტეფაქტებს ყიდიან შავ ბაზარზე. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ უშუალოდ ჩვენი ორგანიზაციის ნევრების მიერ მრავალჯერ არის დაფიქსირებული

ძეგლებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული არაკანონიერი არქეოლოგიური გათხრების კვალი. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი მუნიციპალიტეტები: ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული, დუშეთი, დედოფლისწყარო და სხვა. ძარცვის კვალი დაფიქსირდა ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებზე, როგორიცაა: მზეწვერის წმინდა გიორგის ეკლესია (დუშეთის მუნიციპალიტეტი), სატორგის სამონასტრო კომპლექსი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), მუგუთის ქვაბებთან არსებული ნამოსახლარი და ეკლესიები (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი), გაგის ციხე (მარნეულის მუნიციპალიტეტი) და სხვა მრავალ შესაძლოა ნაკლებად მასშტაბურ, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან ძეგლზე. ამ ძეგლების ძარცვის და, ზოგადად, შავი არქეოლოგიის პრობლემაზე საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად, ჩვენი ორგანიზაციის მიერ ტელეკომპანია „ფორმულასთან" თანამშრომლობით მომზადდა სატელევიზიო რეპორტაჟი. მასში ნაჩვენებია რამდენიმე ძეგლზე არსებული ძარცვის კვალი და ხაზგასმულია ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა (ბმული:https://www.youtube.com/watch?v=efXQXZ3i-1U).

საინტერესოა, რა უტყუარი კვალი მიგვანიშნებს ძეგლზე შავი არქეოლოგების მიერ განხორციელებულ ვანდალიზმზე:

- თუ საუბარია შენობაზე დახურული შესასვლელით, რომელშიც ადამიანის გარდა ვერავინ მოხვდება, ამ მოცემულობაში საკმაოდ იოლია უკანონო სამუშოების განხორციელების კვალის დადგენა. მაგალითად, თუ ტაძარში, რომელსაც აქვს კარი საკეტით, იატაკზე არის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ორმოები, გათხრილია სამარხები, დაზიანებული და გადაადგილებულია იატაკის საფარი – ეს ცალსახა ნიშანია იმისა, რომ ძეგლი მძარცველების მსხვერპლი გახდა.

- თუ უძველეს სასაფლაოზე ვხედავთ, რომ ასობით კილოგრამი წონის საფლავის ქვები გადაადგილებულია და გათხრილია სხვადასხვა ზომის ორმოები, მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ სასაფლაო შავი არქეოლოგების მსხვერპლი გახდა.

- თუ ძეგლის ან ნამოსახლარის ტერიტორიაზე ვხედავთ სხვადასხვა ზომის ორმოს, რომლებიც განლაგებულია უწესრიგოდ, არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და ამ ორმოების მახლობლად ხშირად გდია მეტალის ნივთი, ეს მიგვანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე ძიებას აწარმოებდნენ შავი არქეოლოგები. როგორც ცნობილია, შავი არქეოლოგები სპეციალური მეტალოდეტექტორებით ეძებენ არტეფაქტებს. მძარცველი მეტალოდეტექტორით ადგენს სავარაუდო მეტალის ნივთის ადგილს, თხრის მიწას და თუ ნივთი უსარგებლო აღმოჩნდება (ლურსმანი, მეტალის ნატეხი, ნალი და ა.შ.), მას იქვე აგდებს.

- ადგილობრივი მოსახლეობა გვაწვდის ინფორმაციას, რომ მათ ნახეს, როგორ მუშაობდნენ ადამიანები (თხრიდნენ მიწას) ძეგლის ირგვლივ ან მის ტერიტორიაზე. ასევე გვიყვებიან, რომ ძეგლის ირგვლივ ან მის ინტერიერში დახვდათ გადაადგილებული საფლავის ქვები ან იატაკის საფარი.

დასაფიქრებელია, რა ძირითადი ფაქტორები უწყობს ხელს საქართველოში შავი არქეოლოგიის განვითარებას. ეს საკითხი საინტერესოა არა მხოლოდ განხილვის და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, არამედ, მომავალში ამ საქმიანობის პრევენციისადმი მიმართული ღონისძიებების დასაგეგმად.

- პირველი და უმთავრესი ფაქტორი, რა თქმა უნდა, გახლავთ ეკონომიკური სიდუხჭირე, რაც აიძულებს რიგით მოქალაქეს, თუნდაც მცირე შემოსავლის მიღების მიზნით, ჩაერთოს ამ

საქმიანობაში.

- თანამედროვე და საკმაოდ მძლავრ საძიებო ხელსაწყოებთან (მეტალოდეტექტორი, გეორადარი) მარტივი წვდომა.

- ამ სფეროში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების არასრულყოფილება, რაც ამ საქმიანობით დაკავებულ პირს შესაძლებლობას აძლევს, იოლად აარიდოს თავი სასჯელს.

- ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული პირებისთვის განსაზღვრული სასჯელის სიმცირე, რაც იწვევს დაუსჯელობის სინდრომის ჩამოყალიბებას.

- დაბალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ცნობიერება.

- უძველესი სოფლებისა და დაბების დაცლა, მოსახლეობის მიგრაცია.

აღსანიშნავია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე ქართული სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტიტუციებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ძეგლების საკმაოდ დიდი ნაწილი მდებარეობს სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე ან რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ოკუპაციის ზოლს მიღმა. ამ ძეგლების დაცვის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა ძალზე არამდგრადია – არ არის შექმნილი არანაირი ეფექტური მექანიზმი, რომელიც ქართულ საზოგადოებასა და სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობას, მოახდინოს ამ ძეგლების დაზიანების ან მათი ძარცვის პრევენცია. ქართული თუ საერთაშორისო ფონდების დახმარებით განხორციელებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ამ ძეგლების მდგომარეობა ძალზე მძიმეა და გაუმჯობესების არანაირი ტენდენცია არ შეინიშნება. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებითა და ახალი მიდგომების შემუშავებით, აუცილებელია ამ ძეგლების ირგვლივ შექმნილი ვითარების სასწრაფოდ გამოსწორება, ასევე – ჩვენი სახელმწიფოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული ძეგლების დაცვის საკითხებში არსებული ახალი, სპეციფიკური გამოწვევების (მათ შორის, შავი არქეოლოგიის) გათვალისწინება და მათზე სათანადო რეაგირება.

ON THE PROBLEM OF LOOTING OF CULTURAL HERITAGES MONUMENTS (BLACK ARCHEOLOGY) IN GEORGIA

Vasil Tchitchagua
NGO Center of Georgian Cultural Heritage Preservation and Research
vtchitchagua@hsoj.ge
Anzor Mtchedlishvili
NGO Center of Georgian Cultural Heritage Preservation and Research
amtchedlishvili@gmail.com

A big challenge for the Georgian state and public institutions working in the field of cultural heritage protection is the fact that a large part of the historical and cultural monuments of our country is located in the territory of other states or in the territories occupied by the Russian Federation, where the protection of these monuments cannot actually be implemented. There is no effective mechanism that would give Georgian society

and the state the opportunity to monitor these monuments and prevent their damage or looting. Research carried out with the help of Georgian or international funds shows that the condition of these monuments is very difficult and no improvement trend is observed. By sharing international experience and developing new approaches, it is necessary to urgently correct the situation created around these monuments, as well as to take into account the new, specific challenges (including black archeology) to the protection of monuments located in both controlled and noncontrolled territory in Georgia.

ხსოვნა

IN MEMORIAM

პროფესორ იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილის (1961-2022) გამოსათხოვარი



2022 წლის 9 დეკემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. ბატონი სოსო ფართო დიაპაზონის, მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესების მქონე ისტორიკოსი იყო, კვლევას შესანიშნავად უთავსებდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მას წლების მანძილზე „ქართული წყაროთმცოდნეობასთან“ ინტენსიური საქმიანი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. ხშირად აქვეყნებდა ამ ჟურნალში თავის სტატიებს, აგრეთვე გორის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენციების შესახებ საინფორმაციო მასალებსაც ბეჭდავდა. ბატონი სოსოს დაბადებიდან მე-60 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებები ჟურნალში ფართოდ გაშუქდა. ფაქტებით მდიდარ ქრონიკის ტექსტს ახლავს საინტერესო ფოტომასალა. ამ ფოტოებზე ბატონ სოსოს ვხედავთ შემართულს, ძალიან ბედნიერს, მომავლის იმედით სავსეს. რა დასანანია. ეს ხომ სულ ერთი წლის წინ იყო და ახლა კი ის აღარ არის ჩვენს შორის.

ბატონი სოსო ჩვენს ჟურნალს დიდად გულშემატკივრობდა. ყოველთვის ესწრებოდა „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალი ნომრების წარდგინებას, კეთილ სიტყვასაც შეგვაწევდა, შრომას დაგვიფასებდა, გაგვამხნევებდა. გასულ წელს ჟურნალის 23-ე ტომის წარდგენისას მას სარედაქციო კოლეგიისაგან ჟურნალის სიმბოლიკით აღბეჭდილი სამახსოვრო საჩუქრებიც გადავეცით როგორც ერთგულ ავტორს და მკითხველს.

ბატონი სოსო იყო კოლეგიალური, თბილი, უაღრესად დახვეწილი ადამიანი. ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის და, კონკრეტულად, ჩვენი ჟურნალისათვის, ნამდვილად დიდი დანაკლისია მისი უდროო წასვლა.

ნათელში იყავით ბატონო სოსო! მშვიდობით და მერმისში შეხვედრამდე!

ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ სარედაქციო კოლეგია





IN MEMORIAM OF PROFESSOR IOSEB (SOSO) ALIMBARASHVILI (1961-2022)

On December 9, 2022, died suddenly the doctor of history, Gori State University Associate Professor Ioseb (Soso) Alimbarashvili. He was a broad-ranging historian with diverse academic interests who successfully combined researching with teaching and social activities. Over the years, he developed a close creative relationship with the "Georgian Source-Studies". I.Alimbarashvili often published his papers in this journal and also information about the conferences held under the aegis of Gori State University. Our journale widely covered the events dedicated to the 60th anniversary of the birth of I. Alimbarashvili. The fact-rich text of this chronicle is supported with many photographs. At these pictures I. Alimbarashvili is full of happiness, hope and courage. And that was just one year ago. What a pity that he is no longer among us.

I. Alimbarashvili collaborated with our journal, he was always with us at the presentations of the new issues and spoke out for our support, highly appreciating our work. Last year, during the presentation of the 23rd volume of the journal, the editorial board awarded I. Alimbbarashvili with special souvenirs with the symbolism of the journal as a devoted author and reader. I. Alimbarashvili was so collegiate, so cordial, so gentle. His premature departure from life is a great loss for the Georgian scientific community in general and specifically for our journal

Dear friend, rest in Peace! We say goodbye till we meet again...

Editorial board of the Journal "Georgian Source-Studies"

გზამკვლევი ავტორთათვის

სტატიის ენა.

სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, გამონაკლის შემთხვევაში – რუსულად.

სტატიის სტრუქტურა.

კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის), დამოწმებანი, რეზიუმე (რეზიუმეები).

სტატიის სათაური.

გამუქებული, ცენტრში, ფონტის ზომა 14.

ავტორის სახელი და გვარი.

გამუქებული, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 12.

ძირითადი ტექსტი.

ფონტის ზომა 11, მანძილი სტრიქონებს შორის 1.15. ძირითად ტექსტში ქვესათაურები – ფონტის ზომა 11, გამუქებული.

შენიშვნები (სათაური).

გამუქებული, ფონტის ზომა 12.

შენიშვნები (ტექსტი).

ფონტის ზომა 10, მანძილი სტრიქონებს შორის 1. შენიშვნების ნუმერაცია უნდა გაკეთდეს ხელით და არა არსებული სპეციალური პროგრამის საშუალებით. შენიშვნები არ უნდა იქნეს გამოყენებული ლიტერატურის დამოწმებისათვის, არამედ მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად. შენიშვნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25.

დამონმებანი (სათაური).

გამუქებული, ფონტის ზომა 12,

დამოწმებანი (ტექსტი).

ფონტის ზომა 10, ინტერვალი 1. უცხოელი ავტორების გვარები უნდა გადმოღებულ იქნეს ქართულად და ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე.

ფონტი.

სილფაენი (**Sylfaen**) ყველა ენისათვის.

აბზაცი.

აბზაცი უნდა გაკეთდეს კლავიშით თაბ (**tab**), რომელიც დაყენებული უნდა იყოს ერთ სანტიმეტრზე.

ციტირება.

ერთი ან ორი სტრიქონის მოცულობის ამონარიდი (პირდაპირი ციტირების შემთხვევაში) ტექსტისაგან გამოიყოფა ორი ბრჭყალებითთ. ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ზემოდანაც და ქვემოდანაც უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტისაგან. ციტატის ტექსტი უნდა შეინიოს აბზაცის დონეზე, ფონტის ზომა უნდა იყოს 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

ციტირებისას სტატიის ავტორის მიერ გამოტოვებული ადგილების ნაცვლად უნდა დაიწეროს სამი წერტილი და ჩაისვას ოთხკუთხედ ფრჩხილებში [...]. ციტატაში ავტორისეული ცვილებების შესახებ შენიშვნები თავსდება ფრჩხილებში. ქართულენოვან სტატიაში უცხოენოვანი წყაროდან ციტირების შემთხვევაში აუცილებელია ქართული თარგმანის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ ავტორი ციტირებისას აკეთებს გამოტოვებებს და ციტატა მოიცავს რამდენიმე გვერდს ციტატაში გამოტოვების ადგილების სათანადოდ აღნიშვნასთან ერთად დამოწმებაში უნდა მიეთითოს საწყისი და საბოლოო გვერდები.

სასვენი ნიშნები.

აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარა ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპოზიტებისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის. სასვენი ნიშანი იწერება ბრჭყალების შემდგომ, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი ინდექსი იწერება სასვენი ნიშნის შემდგომ.

მოცულობა.

სტატიის მოცულობა შენიშვნების, დამოწმებანის, დანართებისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 6000 სიტყვას. საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 სიტყვას. მოცულობის გადაჭარბება ითლება ტექნიკურ ხარვეზად და ამგვარი სტატიები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს რედაქტირებისათვის.

რეზიუმე.

როგორც ქართულენოვან, ისე უცხოურენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულად დ ა ინგლისურად. რეზიუმე ინგლისურ ენაზუ უნდა ითარგმნოს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ.

რეზიუმე არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს ჟურნალის რომელი სექციისათვისაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკვლევი პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ინფორმაციული, მიმოხილვითი და ა.შ. სტატიის რეზიუმესათვის სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაცრი დაცვა. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

როგორც ქართულენოვან, ისე უცხოენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულად და ინგლისურად. რეზიუმე ინგლისურ ენაზე უნდა თარგმნილ იყოს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ

ლიტერატურის მითითების ნესი.

დამოწმებული ლიტერატურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 ერთეულს. ამ მოთხოვნის

დაუცველობაც ჩაითვლება ტექნიკურ ხარვეზად და სტატია შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდება რედაქტირებისათვის ავტორს. სექციაში დამოწმებანი დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს ანბანური რიგის მიხედვით (უცხოელი ავტორის ან უცხო ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი ტექსტშიც და ლიტერატურის ჩამონათვალში უნდა მიეთითოს ქართულად). ფონტის ზომა 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

დამოწმებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში, სასურველია, ავტორებმა მიუთითონ არა მარტო გამოცემის ადგილი, არამედ გამომცემლობაც. ამავე დროს წერტილები და მძიმეები დასვან ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

ლიტერატურის დამოწმების კონკრეტული მაგალითები

ა) დამოწმება სტატიის ტექსტში და სტატიის ბოლოში

სტატიის შიგნით – ერთი ავტორის ნაშრომი:

(ჩხარტიშვილი 2009: 5).

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი ერთი ავტორის ნაშრომი:

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკ ჰელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – ორი ავტორის ნაშრომი:

(ჩხარტიშვილი, მანია 2011: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი**

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბექჭულ მელიაში, ივერია და მისი მკითხველი საქართველო*, ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – რამდენიმე ავტორის ნაშრომი:

(ჩხარტიშვილი და *სხვები* 2017: 64)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი

ჩხარტიშვილი და *სხვები* 2017: M. ChkhartiSvili, S. Kadagishvili, Z. Targamadze. Dress and Identity: A Georgian Case Study, *Fashion Through History*: *Costumes*, *Symbols*, *Communication*, Volume I, Edited by Giovanna Motta and Antonello Biagini, Cambridge scholars publishing, Newcastle

ბ) ერთი და იმავე ავტორის ერთიდაიმავე წელს გამოცემული ნაშრომები:

ჩხარტიშვილი 2009ა: M. Chkhartishvili. *On Georgian Identity and Culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhartishvili)*, Tbilisi, Universal.

ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკ ჰელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

გ) მონოგრაფიის, დისერტაციის დამოწმება, კრებულის ან ჟურნალის სტატიის დამოწმება:

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკ ჰელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

კაშია 2005: ჯ. კაშია. ცალკეული შენიშვნები პატრიოტიზმის თემაზე, *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*, მთ. რედ. ზ. კიკნაძე, თბილისი, არეტე.

ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის ორი თვე" ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის ივერიის 10 ნომრის მიხედვით, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ., XII, თბილისი, უნივერსალი.

თარგამაძე 2019: ზ. თარგამაძე. *ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)*, სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

დამოწმება ტექსტში: (თარგამაძე 2019: 67).

თუ მონოგრაფიას ვიმოწმებთ, მაშინ კურსივით ვბეჭდავთ მის სათაურს; თუ კრებულში ან ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიას ვიმოწმებთ, კურსივით ვბეჭდავთ კრებულის ან ჟურნალის სახელწოდებას. შესაბამისად, აღარაა საჭირო მითითება „ჟურნ.", ან „კრ".

ამასთან როდესაც ერთი და იმავე ადგილას ვიმოწმებთ რამდენიმე ავტორს, ტექსტში თითოეული დამოწმება ფრჩხილებით უნდა გამოიყოს ერთმანეთისაგან:

დამოწმება ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2009: 5); (თარგამაძე 2018: 205).

დ) უცხოენოვანი ან უცხოელი ავტორის ნაშრომის დამოწმების წესი:

სტატიის ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2014: 202).

სექციაში დამოწმებანი:

ჩხარტიშვილი 2014: M.Chkhartishvili.Conceptualizing the Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix, *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*, Volume I, Edited by Antonello Biagini and Giovanna Motta, Cambridge Scholars Publishing.

ე) გამოქვეყნებული წყაროს მითითების წესი:

გამოქვეყნებული ქართულენოვანი წყაროს დამოწმების შემთხვევაში ტექსტში უნდა მიეთითოს გამომცემლის (და არა ავტორის) გვარი; არ უნდა მიეთითოს თხზულების სათაურიც:

სტატიის შიგნით: (ყაუხჩიშვილი 1955: 2) (და არა „ქართლის ცხოვრება" ან ლეონტი მროველი)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, სახელგამი.

უცხოენოვანი წყაროს დამოწმების შემთხვევაში შეიძლება მიეთითოს მთარგმნელის გვარი.

ვ) საარქივო მასალის დამოწმება:

სტატიის შიგნით: (ფონდის მითითება ან არქივი)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ფონდი 416: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საიტორიო არქივი. ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11.

ზ) სამეცნიერო თარგმანის დამოწმება:

სტატიის შიგნით: (ჩხარტიშვილი 2004: 5).

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია*, თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალენი, თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

თ) საინტერნეტო პუბლიკაციის დამოწმება:

საინტერნეტო პუბლიკაციის შემთხვევაში მოქმედებს დამოწმებისა და ციტირების ზემოთ აღწერილი წესები: თუ ვიმოწმებთ ელ-გამოცემას, აუცილებელია, ლიტერატურის ჩამონათვალში ეს აღნიშნული იყოს; ამასთან უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამართი, ასევე დამოწმების ბოლოს ფრჩხილებში უნდა დაფიქსირდეს პუბლიკაციის ნახვის თარიღი.

ნოსენკო: Е. Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности тому подобных понятиях, ვებ-გვერდი: berkovich-zametki.com http://berkovich-zametki.com/Nomer42/Nosenko1.htm (ნანახია: 01/03/2007).

იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ პუბლიკაციაში არ არის მითითებული ავტორი და თარიღი, მაშინ დამოწმებაში უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაური, ელექტრონული მისამართი და ელექტრონულად გამოქვეყნების თარიღი.

ი) საილუსტრაციო მასალის გამოყენების წესი:

ჟურნალში ილუსტრაციები (ფოტო, გრაფიკული გამოსახულება და სხვ.) დაიბეჭდება შავთეთრად. ავტორმა მასალა უნდა წარმოადგინოს ელექტრონული სახით. ილუსტრაციას უნდა ახლდეს განმარტება. ამასთან სტატიის ავტორი ვალდებულია თავად მოიპოვოს მასალის გამოყენების უფლება.

ზ) ნაშრომის დამოწმება სხვა ავტორის ნაშრომის მეშვეობით:

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ავტორს ვიმოწმებთ სხვა ავტორის მიხედვით, დამოწმებაში ჩვეულებრივ უნდა წარმოდგენილ იქნეს სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა და ამის დამატებით უნდა მიეთითოს იმ ნაშრომის სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, საიდანაც ვსარგებლობთ დამოწმებისათვის.

GUIDELINES FOR AUTHORS

Coverage:

The research paper should be original contribution focused on history representation, source criticism, and historiography. The term source is understood in broadest sense of this word; accordingly, journal will accept the papers in archaeology and cultural anthropology too. There are no restrictions regarding the chronology or region: the papers might be devoted to the history of any country and people, to any period from ancient times until today. Alongside with research papers the publications of sources with relevant commentaries, translations of primary and secondary (from other languages to Georgian) sources, book reviews, information about the different evens of academic life (presentations, conferences, workshops etc.), also materials reflecting debates, papers devoted to outstanding contributions of scholars as well as in memoriam of those who passed away, but their contribution to the history of profession should be remembered, are welcomed.

The authors are responsible to obtain copyrights for the used illustrative materials.

The publication in the journal is free. The authors will be granted one hard copy of the journal. The journal will be permanently accessible through the web-site of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology.

Language:

The language of the submitted manuscript should be Georgian with the summary in English, or English with summary in Georgian. As an exception manuscript might be submitted in Russian too with summaries in Georgian and English.

The length:

The length of the papers should not exceed 6000 words; the papers of informative character should not exceed 4000 words.

Citation Style:

For references and citation authors should use Chicago style: author-date system http://www. chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.htmlhttp://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.html

Number of references and notes:

The references must be given at the end of each contribution with a maximum of 40 titles. Notes should be as endnotes with maximum number 25 and placed before the references.